პ. ჩაგანი

თეატლაულთა რევოლუციური ომლვანეო�ის ისტორიიდან

ახალი საარქივო მასალების მიხედვით

«საბჭოთა ეროვნული»
19 თბილისი 62

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲡ

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

წინასიტყვაობა

ამ წიგნში მკითხველი გაეცნობა საინტერესო მასალას, რომელიც ჩვენ უმთავრესად მოსკოვისა და ლენინგრადის საისტორიო არქივებში მუშაობისას (1959 წ.) გამოვავლინეთ და რომლის დიდი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო. ეს მასალა ცხადად გვიჩვენებს, რომ ქართველი სტუდენტები, ე. წ. თერგდალეულები, რომლებიც XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, ჩაბმული ყოფილან პეტერბურგისა და მოსკოვის არალეგალური რევოლუციური წრეების საქმიანობაში და უაღრესად ენერგიული ბრძოლა უწარმოებიათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მეფის მთავრობის პოლიციისა და ჟანდარმერიის მოხელეთაგან შედგენილი მრავალრიცხოვანი საბუთები თვალნათლივ წარმოგვიდგენენ ქართველი სტუდენტების კონსპირაციულ საქმიანობას, მათი ჩხრეკის, დაპატიმრების, დევნა-შევიწროვებისა და გადასახლების ფაქტებს; ეს საბუთები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინათ მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის მთელი გუნდი მხარში ედგა სახელოვან რუს რევოლუციონერებს — ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს, გერცენს, შელგუნოვს — და განმათავისუფლებელი მოძრაობის დიადი დროშის ქვეშ, თავგანწირვით იბრძოდა ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ახლადგამოვლენილი საარქივო საბუთების შესწავლისა და მათში მოხსენიებული დიდმნიშვნელოვანი ფაქტების ანალიზის დროს ჩვენ ვცდილობდით დაეყრდნობოდით საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებს, ვცდილობდით შეძლებისდაგვარად გაგვეთვალისწინებია და ახალი მასალების შუქზე გაგვეაზრებია ყველაფერი, რაც მანამდეც ცნობილი იყო პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ქართველი სტუდენტების მოღვაწეობაზე და, ამრიგად, მკითხველისათვის წარმოგვედგინა რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თერგდალეულთა მონაწილეობის ცოტად თუ ბევრად სრული სურათი. გარდა ამისა, წიგნის შესავალსა და დასკვნით თავში ჩვენ ვცადეთ თეორიულ, აგრეთვე ნაწილობრივ ისტორიულ ასპექტში გაგვეხილა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა ირგვლივ ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა შორის ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა. თუ რამდენად შეგძელით ჩვენი ამოცანის შესრულება, ამის განსჯა მკითხველს ეკუთვნის.

დარწმუნებული ვართ, რომ შემდგომი კვლევა-ძიება აღმოაჩენს ბევრ ახალ, აქამდე უცნობ მასალას, რომელიც კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰფენს ჩვენი სახელოვანი წინაპრების მოღვაწეობას. არა მარტო არქივებსა და მუზეუმებში, არამედ ხალხ-

შიც (ოჯახებში) დარჩენილია მრავალი საინტერესო საბუთი, ცნობა, კერძო წერილი, ფოტოსურათი, რომლებსაც შეუძლიათ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიონ ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეს. ამიტომ დიდი მადლობა ეკუთვნის იმ პირთ, რომლებიც არ მოერიდებიან შრომას და დაეხმარებიან ჩვენს ისტორიკოსებს ამგვარი მასალების გამოვლინებისა და შეგროვების საქმეში.

წიგნს დამატების სახით ერთვის ორი სტატია ილია ჭავჭავაძეზე, რომლებიც ადრე ჩვენს პერიოდულ პრესაში იყო გამოქვეყნებული; ვიმედოვნებთ, რომ ეს სტატიებიც ხელს შეუწყობენ წინამდებარე ნაშრომში აღძრული საკითხების უკეთ გაგებას.

მკითხველთა შენიშვნებს ამ წიგნის ნაკლოვანებებზე მადლობის გრძნობით მივიღებთ და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებთ კიდევაც ახალ ნაშრომში, რომელიც, ჩვენი განზრახვით, თერგდალეულთა მოღვაწეობისა და იდეოლოგიის შემდგომ, გაღრმავებულ შესწავლას უნდა მიეძღვნას.

ა ვ ტ ო რ ი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი გუნების გაგებისათვის

ეპოქა, რომელშიც ამ წიგნს გადავყავართ, ყოველმხრივ საინტერესო და ღირსსახსოვარი ეპოქა იყო ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ისტორიაში. ეს იყო ძველი, საუკუნოებრივი რუტინით დახავსებული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ნგრევისა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების ეპოქა, როცა ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა ცხოვრების მთელი წინანდელი ფორმების ძირფესვიანი გარდაქმნის საკითხი.

ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას თან მოჰყვა ახალი, ძველი ქვეყნის გარდამქმნელი რევოლუციური იდეები, რომლებსაც უნდა გაეთვითცნობიერებინა და მოემზადებინა მშრომელი ხალხი მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ქვეყნად ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების დასამყარებლად.

სამწუხაროდ, ის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში გაიშალა, ჯერ კიდევ არ არის სათანადო მეცნიერული სიღრმით შესწავლილი. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ისტორიის მკვლევართა შორის თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასებაში დღემდე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი სავსებით უარყოფს თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის თვით ფაქტსაც კი და გამოჩენილ ქართველ სამოციანელებს მიიჩნევს არა რევოლუციურ დემოკრატებად, არამედ ჩვეულებრივ ლიბერალებად; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მკვლევარები

ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს და მათ თანამებრძოლებს სთვლიან არა მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის ინტერესების დამცველებად, არამედ გაბატონებული და შეძლებული კლასების, ე. ი. ბურჟუაზიის ან გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავად-აზნაურების ინტერესთა დამცველებად, მათ იდეოლოგებად.

ეს შეხედულება, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი მიმდევარი ჰყავს, ჩვენ მიგვაჩნია აშკარა გაუგებრობად და ქართული სამეცნიერო აზრის მიუტევებელ შეცდომად, რომლის ასე ფართოდ გავრცელება ჩვენი ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის უტყუარი ნიშანია. მიუხედავად ამისა, ამ შეხედულების დარღვევა და საბოლოოდ გაქარწყლება ადვილი არ არის. საქმე ისაა, რომ ხსენებული შეცდომა ემყარება გარკვეულ თეორიულ პრინციპებს, საკმაოდ მწყობრად ჩამოყალიბებულ კონცეფციას, რომელიც თუმცა უდავოდ მცდარია, მაგრამ ძნელად გამოსამჟღავნებელი და კიდევ უფრო ძნელად აღმოსაფხვრელია.

მასალები, რომლებიც ძირიანად ეწინააღმდეგებიან ზემოხსენებული მკვლევარების კონცეფციას და ცხადად ამტკიცებენ, რომ თერგდალეულები იყვნენ არა ბურჟუა-მემამულეების, არამედ ერის დაჩაგრული ნაწილის, მშრომელი ხალხის მხარეზე, აქამდეც საკმაოზე მეტი არსებობდა. ასეთი მასალების რიცხვს უპირველეს ყოვლისა ეკუთვნის თვით თერგდალეულთა მდიდარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელსაც ყოველი განათლებული ქართველი იცნობს და რომლითაც სამართლიანად ამაყობს მთელი ქართველი ერი. მაგრამ ზემოხსენებული მკვლევარებისათვის ეს მასალა საკმარისი არ აღმოჩნდა. თავიანთი წინასწარშემუშავებული თვალსაზრისის შესაბამისად ეს მკვლევარები თვითნებურად ეპყრობოდნენ ფაქტებსა და მოვლენებს და ყოველნაირად ცდილობდნენ ლიბერალიზმის ჩარჩოებით შემოეფარგლათ თერგდალეულთა თავდადებული ბრძოლა ძველი წყობილების წინააღმდეგ. ამასთან თერგდალეულთა რევოლუციურობის უარსაყოფად ისინი ჩვეულებრივ იმ გარემოებაზე მიუთითებდნენ, რომ თითქოს თერგდალეულებს არ განუცდიათ ცარიზმის მხრივ ისეთი დევნა-შევიწროვება, როგორც ეს რუსმა რევოლუციონერებმა, ჩერნიშევსკიმ და მისმა მიმდევრებმა განიცადეს, რომ მათ არ უგემიათ ციხეები და გადასახლებანი და

რომ თითქოს „თერგდალეულების ბრძოლა, უფრო ლიტერატურულ-იდეური ხასიათის ბრძოლა იყო“.[1]

ახალი საარქივო მასალები, რომელთაც მკითხველს წინამდებარე წიგნში გავაცნობთ, ყოველგვარ საფუძველს აცლიან ზემოთ მოყვანილ და მის მსგავს მსჯელობას და უდავოდ ადასტურებენ, რომ ჩვენი თერგდალეულები ისეთივე რევოლუციონერები იყვნენ, როგორც ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლი რუსი რევოლუციონერები; ეს მასალები ნათლად გვიჩვენებენ, რომ თერგდალეულებს არ დაჰკლებიათ არც დევნა-შევიწროვება, არც ჩხრეკა-დაპატიმრება და არც გადასახლება. ეს მასალები თერგდალეულთა თავგანწირული რევოლუციური მოღვაწეობის დამაჯერებელ სურათს გვიხატავენ.

აი ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამიერიდან ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ბოლო მოეღება თერგდალეულთა დამამცირებელ, სრულიად უსაფუძვლო მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს ჩვენი სახელოვანი სამოციანელი მოღვაწეები ემსახურებოდნენ ექსპლოატატორული კლასების და არა მშრომელი ხალხის ინტერესებს. ახლა სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დადგა დრო, როცა აუცილებელია უკუვაგდოთ ეს ძველი, უკვე დიდი ხნის დრომოჭმული თვალსაზრისი, რომელიც ამჟამად, ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, აშკარა ანაქრონიზმად იქცა. დადგა დრო, როცა ჩვენმა მეცნიერულმა აზრმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა განსაზღვროს მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების უდიდესი საზოგადოებრივი მოძრაობის შინაარსი და ხასიათი, ურომლისოდაც შეუძლებელია საქართველოს ახალი ისტორიის სწორი გაგება.

მაგრამ იმისათვის, რომ ზემოხსენებულ მკვლევართა შემცდარი თვალსაზრისი საბოლოოდ დაირღვეს და გაქარწყლდეს, როგორც ჩანს, არ კმარა მისი დამარღვეველი ფაქტების რაგინდარა რაოდენობით შეკრება და გამოქვეყნება; ამასთანავე ერთად, ჩვენი აზრით, აუცილებელია კრიტიკული და თეორიული აზრის მოშველიება, აზრისა, რომელმაც უნდა გამოამჟღავნოს და დაასაბუთოს ხსენებული შემცდარი თვალსაზრისის სრული თეორიული შეუსაბამობა.

ამ მიზნით, ვიდრე რუსეთში თერგდალეულთა რევოლუციური

---

[1] კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1959 წ., გვ. 275.

მოღვაწეობის ფაქტიური მასალის გადმოცემას შევუდგებოდეთ, წინასწარ თავს ნებას მივცემთ მოკლედ მაინც განვიხილოთ თეორიულ ასპექტში სადავო პრობლემის უმთავრესი საკვანძო საკითხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოციანი წლების მოღვაწეთა მემკვიდრეობის შეფასებისათვის, სახელდობრ თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების ანუ არსის გაგების საკითხი.

1. საკითხის ისტორიისათვის

თერგდალეულთა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასების ცდები თითქმის იმ დროიდანვე იწყება, როდესაც ისინი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ. უკვე 60-70-იანი წლების ქართულ პრესაში დიდი რაოდენობით ქვეყნდება როგორც ძველი წყობილების დამცველთა, ისე ახალი თაობის წარმომადგენელთა კრიტიკული და თვითკრიტიკული წერილები, რომლებიც შეიცავენ ფრიად საინტერესო დაკვირვებებს და კრიტიკულ ელემენტებს თერგდალეულთა მოღვაწეობისა და იდეოლოგიის შესაფასებლად. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ აკაკის სტატიაზე „ვინ სტყუვის“ (ჩვენი ეხლანდელი ძველი და ახალი თაობა)[1], რომელიც 1872 წ. ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, და ნ. ნიკოლაძის სტატიაზე „ახალი ახალგაზრდობა“,[2] რომელიც დაიბეჭდა 1873 წ. ჟურნალ „კრებულში“. იმ ხანებში ამნაირი წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა, რადგან თერგდალეულთა მოღვაწეობა და იდეები ქართველ საზოგადოებაში იმთავითვე უდიდეს ინტერესს იწვევდა. ამ მხრივ სავსებით სწორად გადმოგვცემს მაშინდელ ვითარებას გაზეთ „დროების“ რედაქტორი ს. მესხი, რომელიც 1873 წელს წერდა: „მგონი არც ერთ საგანზე არ დაწერილა იმდენი ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ლიტერატურაში, რამდენიც ჩვენს ძველსა და ახალს თაობაზე.“[3]

მომდევნო ხანაში — 80-90-იანი წლებში — არათუ არ შენელებულა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა ჩვენი საზოგადოების

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, გვ. 153—174.

[2] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 52—76.

[3] გაზ. „დროება“, 1873 წ., № 19.

ინტერესი 60-იანი წლების მოღვაწეებისადმი. იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო პუბლიცისტური სტატია, რომლებშიც შემცდარ და აშკარად დაუსაბუთებელ აზრებთან ერთად, მოიპოვება უდაოდ სწორი და საყურადღებო შენიშვნებიც; ეს შენიშვნები ხელს უწყობდნენ და წინ სწევდნენ თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს. 80-იან წლებში გამოქვეყნებული საყურადღებო წერილებიდან შეიძლება მივუთითოთ ნ. ურბნელის (ხიზანიშვილის) წერილებზე „ძველი და ახალი თაობა" და „ჩვენს ლიტერატურულ კეთილსინდისიერებაზედ". რომლებიც გამოქვეყნდა 1883 წელს გაზეთ „დროებაში".[1] და გ. მაიაშვილის (ზდანოვიჩის) სტატიაზე „ძველი და ახალი თაობა და მის გამო ლაპარაკი ჩვენში", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში"[2] 1889 წელს. ურბნელი მაღალ შეფასებას აძლევს თერგდალეულთა მოღვაწეობას 60-იან წლებში, მაგრამ მკაცრად აკრიტიკებს მათ მიერ რეფორმის შემდგომ ხანაში წამოყენებულ შემცდარ თეორიას წოდებათა შერიგების შესახებ. გ. მაიაშვილის წერილში გამოთქმულია ფრიად საინტერესო აზრები თერგდალეულთა მოღვაწეობის შესაფასებლად. ავტორი ამჩნევს, რომ თერგდალეულებმა პირველმა აიმაღლეს ხმა დაჩაგრული გლეხობის სასარგებლოდ, მაგრამ თერგდალეულები მას იმავე თავადაზნაურობის წარმომადგენლებად, მათ იდეოლოგებად მიაჩნია.

90-იან წლებში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის წერილები: „კვალის ორი წლის ნაღვაწი" და „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა", რომლებიც გაზეთ „კვალის" ფურცლებზე[3] დაიბეჭდა. ამ წერილებში გ. წერეთელმა, რომელიც წინათ თერგდალეულთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, სცადა მოეცა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და აზროვნების დაყოფა სხვადასხვა მიმართულების დასებად მათი კლასობრივი ხასიათის მიხედ-

---

[1] „დროება", 1883 წ., № 94 და №99.

[2] „ივერია". 1889 წ., № № 222, 223, 226, 228, 233, 238.

[3] „კვალი", 1895 წ., № № 1, 3, 5 და 1897 წ. № 46.

ვით, რითაც საფუძველი ჩაუყარა ე. წ. „სამი დასის“ ყალბ თეორიას[1]. გ. წერეთელმა ქართველი სამოციანელები გაჰყო ორ, ერთიმეორის მოწინააღმდეგე ჯგუფად ანუ დასად: პირველი დასი, მისი სიტყვით, იყო „უცებ აფეთქებული და უცებვე ჩამქრალი მაშინდელი ლიბერალური ახალგაზრდობის“ დასი, რომელსაც ი. ჭავჭავაძე მეთაურობდა; მეორე დასი კი, რომელიც თითქოს 1866 წელს ჩაისახა, წარმოადგენდა „პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების დასს“. მაშასადამე, გ. წერეთლის მიხედვით, პირველი დასი ლიბერალებია, ხოლო მეორე დასი — დემოკრატები. მაგრამ რანაირ დემოკრატებზეა ლაპარაკი? იმ დროს, როცა დასების თეორია ითხზვებოდა, გ. წერეთელი (ისევე როგორც ნ. ნიკოლაძე) სთვლიდა, ჩვენში ერის წინამძღოლი და პროგრესის მატარებელი კლასი მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიააო. ამიტომაც მეორე დასის მიმდევრები, მათ შორის საკუთარი თავიც გ. წერეთელს მიაჩნდა ბურჟუაზიის იდეოლოგებად, რაც მისი გაგებით, უდრიდა დემოკრატობას.

როგორც ვხედავთ, უკვე 90-იან წლებში ჩაისახა ის შემცდარი აზრი, რომ თითქოს თერგდალეულები გამოხატავდნენ შეძლებული კლასების იდეოლოგიას, სახელდობრ: მათი ერთი ნაწილი — გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის იდეოლოგიას, ხოლო მეორე ნაწილი — ბურჟუაზიის იდეოლოგიას. ეს თვალსაზრისი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომში განვითარდა და ფართოდ გავრცელდა ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

მეოცე საუკუნის დამდეგს ჩაისახა ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასების კიდევ ერთი, შემდეგში აგრეთვე ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომელსაც თუმცა მარქსისტულობის პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ სინამდვილეში სხვა არა იყო რა, თუ არა დაბალი მარკის ვულგარულ-სოციალოგიური ნავარჯიშები. მხედველობაში გვაქვს ნ. ჟორდანიას წერილების სერია. სათაურით „პრესა“, რომელიც იბეჭდებოდა „კვალის“ ფურცლებზე 1900 წლის დასაწყისიდან. ამ წერილებში სრულიად უხამსად და გაბიაბრუებულად არის დახასიათებული თერგდალეულთა მოღ-

---

[1] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ჩვენი წერილი „დასების თეორიის გადასინჯვისათვის“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ., № 3 და № 4; აგრეთვე წიგნში „ილია ჭავჭავაძე, პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი“, 1957 წ.).

ვაწეობის დასაწყისი პერიოდი („საქართველოს მოამბის“ ხანა), ხოლო გაზეთი „ივერია“ და მის ირგვლივ შემოკრებილი მოღვაწეები გამოცხადებულია კონსერვატორებად, ე. ი. რეაქციული თავადაზნაურობის ინტერესების დამცველებად.[1] აქედან ცხადია, რომ ნ. ჟორდანია დასების თეორიის ავტორზე კიდევ უფრო შორს წავიდა, მან ი. ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეთ არ აკმარა „ლიბერალობის“ ტიტული და კიდევ უფრო ცუდი იარლიყი („კონსერვატორი“) მიაკერა.

ცოტა უფრო გვიან, სახელდობრ 1904 წ., ცალკე წიგნად გამოიცა ფ. მახარაძის ვრცელი გამოკვლევა „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, რომელშიც ავტორი ცდილობს მარქსისტული თვალსაზრისით განიხილოს 60-იანი წლების ერთ-ერთი გამოჩენილი მწერლის შემოქმედება და სავსებით სამართლიანადაც მიუთითებს საგლეხო რეფორმის წინ „სურაპის ციხის“ გამოქვეყნების დიდი საზოგადოებრივ მნიშვნელობას. რაც შეეხება 60-იანი წლების დანარჩენ მოღვაწეებს, კერძოდ ი. ჭავჭავაძესა და მის ჯგუფს, რომელთა მოღვაწეობა-შემოქმედების განხილვას ხსენებულ წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი, აქ ფ. მახარაძე სრულიად შემცდარ, არამარქსისტულ პოზიციაზე დგას. ავტორი იძლევა რეფორმამდელი ხანის საქართველოს საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის არასწორ სურათს; იგი უგულვებელჰყოფს გლეხობის როლს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებაში, რის გამო ხელიდან უსხლტება თერგდალეულთა იდეოლოგიის კლასობრივი გაგების შესაძლებლობა. ი. ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს ავტორი „კნიაზ-ლიბერალებს“ უწოდებს“[2].

მომდევნო წლებში, თვით 1905 — 1907 წლების რევოლუციის ბობოქარ დღეებშიც კი, არ შენელებულა საზოგადოების ინტერესი 60-იანი წლების მოღვაწეთა მიმართ. რევოლუციის შემდეგ თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლა მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა კიდევ უფრო ინტენსიური და სერიოზული შრომის საგანი გახდა. მრავალრიცხოვან საჟურნალ-გაზეთო წერილებს გარდა, ამ დროს იწერება და ცალკე წიგნებად იცემა გამოკვლევები, რომლებშიც მოცემულია როგორც მთლიანად XIX საუკუნის, ისე საკუთრივ

---

[1] „კვალი“, 1900 წ., № № 7, 9, 10, 11.

[2] ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. V. 1926, გვ. 133.

60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის შესწავლის, გააზრებისა და შეფასების ცდები.

1911 წელს გამოიცა კაპიტალური გამოკვლევები—ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე)“ და კიტა აბაშიძის „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომლებშიც წმინდა ლიტერატურულ საკითხებთან ერთად ავტორები ეხებიან XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების საკითხებსაც, კერძოდ კი თერგდალეულთა მოღვაწეობისა და მემკვიდრეობის შეფასების საკითხს. სამწუხაროდ, ამ ავტორებმა ვერ მოახერხეს ხსენებული საკითხის შესწავლაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. ალ. ხახანაშვილმა თითქმის მთლიანად გაიმეორა გ. წერეთლის დასების თეორიის ყალბი დებულებები; რაც შეეხება კ. აბაშიძეს, თუმცა მან მართებულად გაუსვა ხაზი თერგდალეულთა დამსახურებას ეროვნული თავისუფლების იდეების ქადაგების საქმეში, მაგრამ სრულებით ვერ მოახერხა მათ საზოგადოებრივ შეხედულებათა კლასობრივი შინაარსის საკითხის არათუ გარკვევა, არამედ დაყენებაც კი.

იმავე 1911 წელს დაიწყო ბეჭდვა ა. ჯორჯაძის თხზულებათა ხუთტომიანი კრებულისა, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი 60-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების საკითხების განხილვას. უნდა ითქვას, რომ ა. ჯორჯაძე ქართული საზოგადოებრივი აზრის უდავოდ ნიჭიერი მკვლევარია, მას მოეპოვება არა ერთი საინტერესო დაკვირვება და შენიშვნა, მოეპოვება სწორი აზრები, მაგრამ საერთოდ მისი კონცეფციები, რომლებიც ტიპიური ბურჟუაზიული აზროვნების ნაყოფია, სრულიად შემცდარ პრინციპებზეა აგებული. ა. ჯორჯაძე სამართლიანად აკრიტიკებს გ. წერეთლის დასების თეორიას,[1] ის კარგად ხედავს ამ თეორიის უნიადაგობას, მაგრამ თვითონაც ვერ ახერხებს მოგვცეს 60-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი შეფასება. ა. ჯორჯაძე არ უარყოფს, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი იბრძოდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ და იცავდნენ გლეხობის ინტერესებს, მაგრამ მათი ბრძოლა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, მისი აზრით, არ სცილდებოდა იმავე თავადაზნაურობის

1. ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეხუთე, 1914 წ., გვ. 192-193.

იდეოლოგიას; ა. ჯორჯაძე გვარწმუნებს, რომ ეს ბრძოლა იყო თავადაზნაურობის ორი თაობის, მამებისა და შვილების ბრძოლა,[1] ე. ი. რეაქციული და ლიბერალური თავადაზნაურობის შინაკლასობრივი ბრძოლა. ამასთან, ა. ჯორჯაძის აზრით, ზოგიერთი თერგდალეულისათვის, მათ შორის ი. ჭავჭავაძისთვისაც, არ ყოფილა უცხო დემოკრატიული აზროვნება, ოღონდ დემოკრატობაც მას (გ. წერეთლის მსგავსად) ესმოდა როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგობა.

იმისათვის, რომ მკითხველმა თვალნათლივ წარმოიდგინოს, რა დონემდე ავიდა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესწავლა ქართული ბურჟუაზიული აზროვნების ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელთა ნაშრომებში, მოვიყვანთ დამახასიათებელ ციტატს ა. ჯორჯაძის ვრცელი გამოკვლევიდან „მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“:

„პოლიტიკური ტერმინოლოგიის მიხედვით ძალიან ძნელია „მესამოციანობის“ დახასიათოვნება ერთის განსაზღვრულის დოქტრინით. „სოციალისტი“ ნიკოლაძე ბევრს სწერს და ჰქადაგებს ლიბერალურ პრინციპთა ფარგალში. ერთობა, მუნიციპალიტეტი და სხვა ამ ხასიათის თვითმოქმედების საჭიროება ჩვეულებრივი საგანია მისი საუბრისა. მეორეს მხრით, „ლიბერალი“ ჭავჭავაძე დემოკრატიულ ნიადაგზე სდგას, როდესაც თავისი ხელოვნურ კალმის ნაწარმოებით ცხოვრების ძირითად რეორგანიზაციის საჭიროებაზე გვითითებს, სერგეი მესხს და გ. წერეთელს კიდევ საშუალო ადგილი უჭირავთ. პირველი თითქოს უფრო ლიბერალიზმს თანაუგრძნობს, მეორე დემოკრატიზმს. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება ვსთქვათ ის, რომ „მესამოციანეობა“ არის ახალი ერა ჩვენს კულტურაში, მან შემოიტანა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში მოარული სოციალ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები. პირველ ხანაში იგი „ნაროდნიკულ“ ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. თანდათან ამ გავლენას თავიდან იშორებს, და მესამოციანებიდან იწყება გაევროპიელება ქართულ აზროვნებისა. და თუ მაინც და მაინც საჭიროა დეფინიცია, ამ ეპოქის მთავარი დამახასიათებელი თვისება — ლიბერალიზმ-დემოკრატიზმშია“.[2]

---

[1] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეორე, 1911 წ., გვ. 131.

[2] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეხუთე, 1914 წ., გვ. 181.

აქედან ცხადია, რომ ა. ჯორჯაძემ თუმცა უარჰყო გ. წერეთლის დასების თეორია, მაგრამ მაინც გაიზიარა მისი ერთ-ერთი ძირითადი დებულება, სახელდობრ ის დებულება, რომ თითქოს თერგდალეულები იყვნენ ნაწილობრივ ლიბერალები, ხოლო ნაწილობრივ დემოკრატები (მათი გაგებით, ბურჟუაზიის იდეოლოგები).

გარდა ზემოთ დასახელებული ნაშრომებისა ხსენებულ პერიოდში (მეოცე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში) თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლას მიეძღვნა მრავალი საყურადღებო საჟურნალ-გაზეთო სტატია და ცალკე ბროშურა. იმდროინდელი ქართული ჟურნალები და გაზეთები პირდაპირ სავსეა წერილებით, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეეხებიან 60-იანი წლების ეპოქას და მის გამოჩენილ ადამიანებს — ილიას, აკაკის, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, ს. მესხს და სხვა თერგდალეულებს. განსაკუთრებით ბევრი წერილი ამ საკითხზე მაშინდელ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა თერგდალეულთა მთავარი ხელმძღვანელის ი. ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის შემდეგ (1907 წ.).

ჩვენ აქ არ შეგვიძლია თუნდაც ზოგად ხაზებში შევეხოთ ამ მრავალრიცხოვანი წერილების შინაარსს, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამას კი ვიტყვით: ხსენებული წერილების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მათი ერთი ნაწილი თავისი შინაარსით არსებითად ემთხვევა გ. წერეთელ-ა. ჯორჯაძის კონცეფციას და თერგდალეულებს მიიჩნევს გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის ან ბურჟუაზიის იდეოლოგებად, რაც, მათი ავტორების აზრით, საზოგადოების პროგრესული ძალების იდეოლოგობას ნიშნავს, მეორე ნაწილი კი გამოხატავს ვულგარულ-სოციოლოგიურ თვალსაზრისს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ნ. ჟორდანიამ და რომლის მიხედვით თერგდალეულები (ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი) რეაქციული თავადაზნაურობის იდეოლოგებად არიან მიჩნეული. ხსენებული წერილების უდიდესი უმრავლესობა არსებითად ამ ორი თვალსაზრისის გამოხატულება და ილუსტრაციაა. პირველ თვალსაზრისს ემხრობოდნენ უმთავრესად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულების პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი თავი XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმის გამგრძელებლებად, ქართული ლიტერატურის კორიფეების— ილიას და აკაკის მემკვიდრეებად გაესაღებინათ, რათა გამოეყენები-

ნათ მათი დიდი სახელი და პოპულარობა თავიანთი პარტიული ინტერესებისათვის; მეორე თვალსაზრისის მომხრე და თავგამოდებული დამცველი იყო სოციალ-დემოკრატიული მიმართულების რამდენიმე გზააბნეული „თეორეტიკოსი“, რომლებიც თავიანთი ვულგარული თვალთახედვის წყალობით ვერ ამჩნევდნენ იმ არსებით და პრინციპულ განსხვავებას, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებსა და, მეორე მხრივ, თერგდალეულებს შორის; ამით აიხსნება, რომ ნ. ჟორდანიას ვულგარული თვალსაზრისი შემდგომში კიდევ უფრო განვითარდა და საოცარ უხამსობამდე მივიდა. მაგალითად, 1914 წელს გამოიცა პ. გელეიშვილის წიგნაკი „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი“, რომელშიაც არა მარტო ილია, არამედ აკაკიც, ნ. ნიკოლაძეც და სხვა დანარჩენი თერგდალეულები გამოცხადებული არიან რეაქციული თავადაზნაურობის იდეოლოგებად, ძველი, ფეოდალურ-ბატონყმური წესწყობილების დამცველებად. აი თერგდალეულებზე გელეიშვილის მსჯელობის ერთ-ერთი ნიმუში:

„აიღეთ თითქმის ყველა ჩვენი ეგრეთ წოდებული სამოციანი წლების მწერლები და საზოგადო მოღვაწეები; შეისწავლეთ მათი ნაწერები და ნააზრები და თქვენ ცხადად დაინახავთ, რომ თითქმის ყველა ისინი ილია ჭავჭავაძის მიმდევრები არიან, მისებრ წარსულის იდეალიზაციით არიან გაჟღენთილი. აიღეთ, თუ გნებავთ, აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძემ თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობა დააგვირგვინა „მოამბეში“ მოთავსებული ცნობილი წერილით — „რა უშველის თავად-აზნაურობას?“, რომელშიაც იმავე ილიას აზრებს იმეორებს.

აკაკი წერეთელი ლექსათ თუ პროზათ სულ ამ წარსულის ქებადიდებაშია... აბა დამისახელეთ, თუ გინდათ, ერთი გმირი აკაკის თხზულებებში, რომელიც წინ იხედებოდეს, რომელიც თვალ-ცრემლიანი არ გასცქეროდეს „დიდებულ წარსულს“...

ამრიგად, ილიამ გაიტაცა მთელი ქართული ლიტერატურა თავისი უდიდესი წარმომადგენლებით. მას მიჰყვა ქართული საზოგადოებრივი აზროვნება.

აღიზარდა და განმტკიცდა ჩვენში ძველი ფეოდალური საქართველოს იდეალიზაცია. გამეფდა თავად-აზნაურული სული, აზროვნება, გემოვნება, ხელოვნება, თავად-აზნაურული ბედოვლათობა.

ყველა ეს დღესაც საფლავის ლოდათ აწევს გულზე ქართველ საზოგადოებას“.[1]

ასეთია მოკლედ თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა კლასობრივი ბუნების გაგების ორი ძირითადი თვალსაზრისი, რომლებიც შემუშავდა ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ არც ერთი ეს თვალსაზრისი არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული; მისი ავტორები ხელმძღვანელობდნენ არა იმდენად ჭეშმარიტების დადგენის სურვილით, რამდენადაც თავიანთი პარტიების ვიწროდ გაგებული ტაქტიკური ინტერესებით.

მაგრამ არ ვიქნებოდით მართალი, რომ ამ ორი, შემცდარი თვალსაზრისის არსებობასთან ერთად არ შეგვემჩნია აგრეთვე იმავე ხანებში აღმოცენებული ჩანასახები სავსებით სწორი, მეცნიერული შეხედულებისა თერგდალეულთა მოღვაწეობასა და აზროვნებაზე. საქმე ისაა, რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია ილიას, აკაკის, ნ. ნიკოლაძისა და მათ უახლოეს თანამებრძოლთა გაბიაბრუების, შეუფასებლობისა თუ რეაქციონერებად გამოცხადების ცდებს; ყოველი საღად მოაზროვნე და განათლებული ქართველისათვის, რომელიც თავისუფალი იყო წინასწარშედგენილი ყალბი შეხედულებისაგან და ცოტად თუ ბევრად ობიექტური მსჯელობა შეეძლო, იმთავითვე ცხადი იყო, რომ როგორც ილია და აკაკი, ისე მათი უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ მშრომელი ხალხის, პირველ რიგში ქართველი გლეხობის სოციალური და ეროვნული მისწრაფებების თავგამოდებული დამცველები. ასეთი თვალსაზრისი, რომელიც ხალხში ყოველთვის არსებობდა, არც თუ იშვიათად იჩენდა ხოლმე თავს პრესის ფურცლებზეც და არა მარტო ცალკეული გამონათქვამების სახით, არამედ ფრიად საყურადღებო წერილების სახითაც. ამგვარი წერილების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, 1908 წელს გაზეთ „მიწაში“ გამოქვეყნებული წერილი „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“, რომელიც ავტორის ხელმოუწერლად დაიბეჭდა. აი, რა არის ნათქვამი ამ საინტერესო წერილში.

„ილია იყო მწერალი. მერე ვის ცხოვრებას აგვიწერდა, ვისთვის უცემდა გული, ვის იცავდა და რას მოითხოვდა? ილ. ჭავჭავაძე აგვიწერდა დაბეჩავებულის გლეხების ცხოვრებას, ყოველი ჩაგრულის

---

1 დასახელებული წიგნაკი, გვ. 78-79.

და უბედურის ყოფას, მისი გული ძგერდა ობლისა და გლახაკისათვის, სიმართლისათვის იტანჯებოდა. იწვოდა და მოითხოვდა, რომ დედამიწაზე დამსხვრეულიყო მონობის ბორკილები, განთავისუფლებულიყო მშრომელი ხალხი და თავისუფლების დროშის ქვეშ დამყარებულიყო ძმობა, ერთობა და თანასწორობა".[1]

აქ ჩამოყალიბებული დებულება უდავოდ სწორი დებულებაა. ასეთი მსჯელობა არაიშვიათად გვხვდება მაშინდელ პრესაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ იმდროინდელი ავტორები უძლურნი იყვნენ მეცნიერულად დაესაბუთებიათ მათ მიერ გამოთქმული ცალკეული სწორი დებულებები. ქართული ისტორიული მეცნიერების საერთო ჩამორჩენილობისა და გამწვავებული პოლიტიკური ვითარების პირობებში შეუძლებელი იყო თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების მეცნიერული შესწავლა. ასეთი შესწავლისათვის შესაფერი პირობები შეიქმნა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი არსის გაგების საკითხში, ისევე როგორც მთლიანად XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების შესწავლაში, ჩვენი აზრით, სამი მთავარი პერიოდი შეინიშნება. პირველ პერიოდში, რომელიც 1921 წლიდან დაახლოებით 1934 წლამდე გრძელდებოდა, თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლას ხელს უშლიდა ე. წ. „რაპპელების" მოღვაწეობა. როგორც ცნობილია, „რაპპელები" იყვნენ მარქსიზმის ვულგარიზატორები და დამმახინჯებლები, რომლებსაც გულწრფელად სურდათ დაეცვათ პროლეტარული კულტურის ინტერესები და ამ მიზნით გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტური შეხედულებების წინააღმდეგ, მაგრამ თავიანთი თეორიული მოუმზადებლობის გამო — ნამდვილი, შემოქმედებითი მარქსიზმის უცოდინარობის გამო, ისინი ასევე გააფთრებით ებრძოლნენ თავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს, ჩვენს სასიქადულო კლასიკოს მწერლებს,

---

[1] კრებული „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ ფიქრებში", ცვაძის რედაქციით, გვ. 101.

რითაც იზიარებდნენ თერგდალეულთა მიმართ იმავე ვულგარულ-ნიჰილისტურ თვალსაზრისს, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ხსენებულ პერიოდში „რაპპელების“ შეხედულებებმა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირეს. მათი მცდარი შეხედულებების ასეთ გავრცელებას ბევრად შეუწყო ხელი ფ. მახარაძემ, რომელიც კლასიკოსების მიმართ თავიდანვე არასწორ პოზიციაზე იდგა. 1931 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში ფ. მახარაძემ 60-იანი წლების გამოჩენილ მოღვაწეებს, ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს, „რეაქციონური და მონარქისტული მწერლები“[1] უწოდა.

ასეთი აშკარად შემცდარი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეხედულება, ცხადია, დიდხანს ვერ იარსებებდა. რაც უფრო ვითარდებოდა ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება, მით უფრო ნათელი ხდებოდა სრული უნიადაგობა მარქსიზმის ვულგარიზატორთა ამ ნიჰილისტური თვალსაზრისისა, რომელიც აშკარად აფერხებდა ქართული კულტურის შემდგომ წინსვლას.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ 1934 წელს, — იმ დროს, როდესაც მოსკოვში საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა ჩატარდა, — ზემდგომი ორგანოების ჩარევის მეოხებით საზღვარი დაედო ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა უხამს კრიტიკას, რაც თერგდალეულთა (და საერთოდ ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა) შეფასების საკითხში ერთგვარ შემობრუნებას მოასწავებდა.

მას შემდეგ, რაც შეწყდა ჩვენი კლასიკოსების უსაფუძვლო განქიქება და კომუნისტური პარტიის დახმარებით უკუგდებული იქნა „რაპპული“ იდეოლოგია, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარება ჰპოვა ახალმა თვალსაზრისმა, რომლის შემუშავება დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ცნობილი მკვლევარის პროფ. სიმ. ხუნდაძის სახელთან. მისმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა, რომლებიც უმთავრესად 1926 — 1933 წლებში დაიწერა, თერგდალეულთა შეს-

---

[1] კრებული „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“, 1932 წ., გვ. 42.

წავლისა და დაფასების საკითხში საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი ისტორიოგრაფიის ახალ, მეორე პერიოდს.

ს. ხუნდაძემ თავის შეხედულებებს თერგდალეულებზე საფუძვლად დაუდო გ. წერეთლის ზემოთ ხსენებული დასების თეორია და სცადა ამ თეორიის შემდგომი განვითარება-დასაბუთებ. როგორც თეორიულად (მარქსისტული თვალსაზრისით), ისე ისტორიული ფაქტების მოშველიებით. ამასთან მან გაითვალისწინა აგრეთვე ცნობილი ბურჟუაზიული მოაზროვნეების (გ. მაიაშვილი, ა. ჯორჯაძე) მოსაზრებანი, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ასეთი გზით ს. ხუნდაძემ შექმნა, ან უფრო სწორად, ერთ მთლიან სისტემად ჩამოაყალიბა თერგდალეულებზე მანამდე უკვე გამოთქმული შეხედულებანი და იზრუნა იმისათვის, რომ ამ კონცეფციას ჰქონოდა მეცნიერული (ე. ი. თეორიულადაც და ისტორიულადაც დასაბუთებული) სახე.

რამდენიმე სიტყვით ს. ხუნდაძის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის შინაარსი შემდეგნაირად შეიძლება გადმოვცეთ: იმ ეპოქაში, როდესაც ძველი, უკვე დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ინგრევა და მის ნაცვლად იმარჯვებს ახალი, კაპიტალისტური წყობილება, პროგრესის მეთაური და ძველი წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი ძალა არის აღმავალი კლასი — ბურჟუაზია, რომლის წარმომადგენლები (იდეოლოგები) დემოკრატები არიან. რაც შეეხება თავადაზნაურობას, ის ძველი წყობილების დამცველი რეაქციული ძალაა, მაგრამ მათ შორისაც არის ერთი ნაწილი, რომელსაც ესმის ფეოდალური წყობილების დრომოჭმულობა და ცდილობს გარდაქმნას თავისი მეურნეობა კაპიტალისტურ ნიადაგზე, შეუგუოს იგი ახალ, ბურჟუაზიულ ვითარებას, ე. ი. თვითონაც გაბურჟუების გზაზე დგას (ს. ხუნდაძე მათ „პროგრესულ თავადაზნაურობას“ უწოდებდა[1].) თავადაზნაურობის ეს ნაწილიც მომხრეა დრომოჭმული ბატონყმური წყობილების მოსპობისა, ოღონდ ისე, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარების სათავეში ისევ თავადაზნაურობა დარჩეს. ამის შესაბამისად ახალი, ანტიბატონყმური იდეოლოგიის წარმომადგენლებიც ორ ჯგუფად ანუ მიმდინარეობად იყოფა: „პროგრესული“ თავადაზნაურობის იდეოლოგები ანუ ლიბერალები და ბურჟუაზიის იდეოლოგები ანუ

---

[1] ს. ხუნდაძე. ნარკვევები, 1941, გვ. 170.

დემოკრატები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ი. ჭავჭავაძე და მისი „პირველი დასი“, ხოლო მეორე ჯგუფს — გ. წერეთელ-ნ. ნიკოლაძის „მეორე დასი“.[1] 60-იანი წლების დასაწყისში ორივე ეს ჯგუფი შედარებით ერთიანი ფრონტით ებრძვის ბატონყმობას, მაგრამ მალე მათი ერთიანობა ირღვევა და უკვე 1869 წლიდან, ს. ხუნდაძის სიტყვით, „ი. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის სახით ერთიმეორეს დაუპირისპირდა თავადაზნაურობის ლიბერალური მსოფლმხედველობა და ბურჟუაზიის რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი“.[2]

უნდა ითქვას, რომ ეს კონცეფცია ს. ხუნდაძეს აშენებული აქვს უმთავრესად თეორიულ (მისი რწმენით მარქსისტულ) შეხედულებებზე, ხოლო რაც შეეხება ისტორიულ საბუთიანობას, აქ მისი პოზიცია ძალიან ღარიბად გამოიყურება; იგი ხშირ შემთხვევებში გვერდს უვლის ყველასათვის ცნობილ ფაქტებს და არსებითად ეყრდნობა ერთადერთს და ისიც არასწორად გაგებულს ისტორიულ საბუთს, სახელდობრ ნ. ნიკოლაძის სტატიას „ახალი ახალგაზრდობა“, რომელშიც ვითომც ლაპარაკი იყოს თერგდალეულთა შორის ორი დასის არსებობაზე[3].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ს. ხუნდაძის კონცეფცია აშკარად მცდარ თეორიულ შეხედულებებზეა აშენებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის დროზე მან მაინც უდავოდ დადებითი როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ს. ხუნდაძის მიერ შემუშავებულმა და საკმაოდ მწყობრად ჩამოყალიბებულმა თვალსაზრისმა საბოლოოდ დაამარცხა და ლიტერატურის სარბიელიდან განდევნა წინანდელი პერიოდის უხამსი შეხედულებანი; მან ხელი შეუწყო და სტიმული მისცა მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომ გაფართოვებას, რის შედეგად ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გამომზეურდა თერგდალეულთა მოღვაწეობის ამსახველი დიდძალი ახალი ფაქტიური მასალა. აქვე უნდა აღინიშნოს,

---

1 მეტი სიზუსტისათვის აღვნიშნავთ, რომ, ს. ხუნდაძის აზრით, ამ ორ ძირითად ანტიბატონყმურ ჯგუფს გარდა იყო კიდევ „გარდამავალი საფეხური... თავადაზნაურული ლიბერალიზმიდან ნამდვილ დემოკრატიზმისაკენ“; ამ გარდამავალ საფეხურს, მისი სიტყვით მიეკუთვნებოდა აკაკი წერეთელი (ნარკვევები, გვ. 142).

2 „ნარკვევები“, გვ. 171.

3 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ჩვენი წერილი „დასების თეორიის გადასინჯვისათვის“.

რომ ს. ხუნდაძეს უაღრესად ძნელ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა და მისი თვალსაზრისის ნაკლოვანებანიც ბევრის მხრივ სწორედ ამ გარემოებით აიხსნება. მისი შემცდარი კონცეფცია იყო საფეხური, რომელსაც, როგორც ჩანს, ვერ ავიცდენდით; ეს იყო ხარკი, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ აზრს უნდა გაეღო წინანდელი უაზრობისა და უხამსობისათვის.

ს. ხუნდაძის შეხედულებათა გავლენა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე საკმაოდ ხანგრძლივი და ძლიერი იყო.[1] როგორც სამამულო ომამდე, ისე ომის დროს და განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში იცემოდა მრავალრიცხოვანი ნაშრომები, რომლებშიც თერგდალეულთა მოღვაწეობა და აზროვნება გაშუქებული იყო ს. ხუნდაძის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის მიხედვით[2]. მისი თვალსაზრისი ოფიციალურ თვალსაზრისად იქცა და დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერული კრიტიკისათვის მიუწვდომელი იყო[3]. მაგრამ რაც უფრო ვითარდებოდა ქართული ისტორიული მეცნიერება და გროვდებოდა ფაქტიური მასალა 60-იანი წლების ეპოქისა და თერგდალეულთა მოღვაწეობის შესაფასებლად. მით უფრო აშკარა ხდებოდა ხსენებულ საკითხზე ს. ხუნდაძის თვალსაზრისის შეუსაბამობა.

---

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული კონცეფციის გავლენისაგან არსებითად თავისუფალი იყვნენ ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი რიგი მკვლევარები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. ასეთი მკვლევარების რიცხვს, მაგალითად, მიეკუთვნებიან: გერონტი ქიქოძე, რომელმაც ჯერ კიდევ 1913 — 1914 წლებში გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო სტატიები 60-იანი წლების გამოჩენილ მოღვაწეებზე და შემდგომშიც აგრძელებდა ნაყოფიერ მუშაობას ამ მიმართულებით; პავლე ინგოროყვა, რომელმაც ფასდაუდებელი შრომა გასწია ი. ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემისა და შესწავლის საქმეში; ვახტ. კოტეტიშვილი, რომელმაც 1925 — 1927 წლებში გამოაქვეყნა სამტომიანი ნაშრომი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე და სხვები, რომელთა ღვაწლს აქ ბუნებრივია, ვერ შევეხებით.

[2]. ამ კონცეპციის კვალი, სამწუხაროდ მოიპოვება ერთ-ერთ ჩემს ადრინდელ სტატიაშიც („კომუნისტი", 1940 წ., № 278).

[3] მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია, ს. ხუნდაძის ყალბი დებულება, თითქოს ილია ჭავჭავაძე და მისი ე. წ. „პირველი დასი" ფეოდალურ-პროგრესული მიმართულების დასი იყო, შევიდა ხალხის მტერ ბერიას წიგნაკში: „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომლის კრიტიკა იმდროინდელ პირობებში შეუძლებელი იყო.

ჯერ კიდევ 1936 წელს გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა ილიას უკვდავი პოემის „კაკო ყაჩაღის“ თარგმანი სათანადო სარედაქციო წერილით, რომელშიც ი. ჭავჭავაძე დახასიათებული იყო როგორც „საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე“.[1] მომდევნო, 1937 წელს, ილიას დაბადების 100 წლის თავზე „პრავდამ“ მთელი გვერდი მიუძღვნა დიდი ქართველი მწერლის იუბილეს და თერგდალეულთა ბელადი კვლავ დაახასიათა როგორც „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწე“.[2]

ამ დებულებებით როგორც საერთოდ თერგდალეულების, ისე მათი მთავარი ხელმძღვანელის შეხედულებათა კლასობრივი არსი გაგებული და შეფასებულია სულ სხვა თვალსაზრისით, ვიდრე მათ ს. ხუნდაძე და მისი მიმდევრები აფასებდნენ. ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს ეს სახელმძღვანელო დებულებები არსებითად უარჰყოფს გ. წერეთელ-ს. ხუნდაძის დასების თეორიას და იძლევა გასაღებს თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი არსის ნამდვილი, მეცნიერული გაგებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ჩვენს მკვლევარებს იმ დროსაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მაგალითად, მკვლევარი გ. აბზიანიძე თავის საინტერესო წერილში „ილია ჭავჭავაძე, როგორც ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე“, რომელიც „პრავდის“ ზემოთ ხსენებულ დებულებათა უშუალო გავლენითაა დაწერილი, სამართლიანად აღნიშნავდა: „ეს განსაზღვრა წარმოადგენს იმ მეთოდოლოგიურ წინამძღვარს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ილია ჭავჭავაძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზის დროს. ეს განსაზღვრა სრულიად ახალ შუქსა და პერსპექტივაში აყენებს არა მარტო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და მოღვაწეობას, არამედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სოციალური აზროვნების და ლიტერატურის ისტორიის მთელ რიგ საკვანძო საკითხებს“.[3]

---

[1] გაზეთი „პრავდა“, 1936 წ., 4 სექტემბრის ნომერი.

[2] გაზეთი „პრავდა“, 1937 წ., 29 მაისის ნომერი.

[3] ი. ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1939 წ., გვ. 139.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს სავსებით სწორი მოსაზრებაა. ამგვარი, უდავოდ სწორი განცხადებანი „პრავდის“ ზემოთ ხსენებულ დებულებებთან დაკავშირებით იმ ხანებში ჩვენში ძალიან ხშირი იყო. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჩვენმა საისტორიო მეცნიერებამ იმ დროს ვერ შესძლო ამ თეორიულ დებულებათა შინაარსის სათანადოდ გახსნა, რის გამო ძველი თვალსაზრისი კვლავ შეურყეველი დარჩა. მართალია ჩვენს ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს თავიანთ ნაშრომებში ხშირად მოჰყავდათ ხოლმე ზემოთ ხსენებული ციტატები „პრავდიდან“, მაგრამ შემდეგ, როგორც წესი, ივიწყებდნენ მათ და კვლავ წინანდელ, იმ დროს გაბატონებულ კონცეფციას უბრუნდებოდნენ. ასე მოიქცა თვით გ. აბზიანიძეც. ა. წერეთლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ წერილში მან დაივიწყა ის „სრულიად ახალი შუქი და პერსპექტივა“, რომელშიც, მისი სიტყვით, „პრავდის“ განსაზღვრა აყენებდა თერგდალეულების შემოქმედებასა და მოღვაწეობას და აშკარად მიემხრო გ. წერეთლის დასების თეორიას, გამოაცხადა რა აკაკი წერეთელი ე. წ. მეორე დასის „ცენტრალურ ფიგურად“[1].

ამრიგად, მიუხედავად „პრავდის“ სწორი მითითებებისა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მკვლევარები აშკარად ხედავდნენ თერგდალეულებზე წინანდელი შეხედულებების გადასინჯვის საჭიროებას ჯერ კიდევ 30-იანი წლების მეორე ნახევარში, იმ პერიოდში მაინც არ მოხერხდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ახლებურად გააზრება და თერგდალეულებზე ნამდვილად მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავება.

მხოლოდ ომის შემდგომ პერიოდში, როცა ზემდგომი ორგანოების მითითებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა გაშალა ფართო მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს დასაწერად, რომელშიც მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაც უნდა შესულიყო, საბოლოოდ მომწიფდა საკითხი თერგდალეულებზე ახალი თვალსაზრისის შემუშავების აუცილებლობისა.

---

1 ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 33-34.

იმავე დასების თეორიის საზომით უდგება გ. აბზიანიძე ნ. ნიკოლაძის შეფასებასაც (იხ. მისი ნაშრომი „ნარკვევები XIX ს. ქართული აზროვნების ისტორიიდან“, 1959 წ., გვ. 125-126).

ხსენებული ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირადი დავალებითა და უშუალო ხელმძღვანელობით ამ სტრიქონების ავტორი ჯერ კიდევ 1945 წელს შეუდგა ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და აზროვნების მონოგრაფიულ შესწავლას. რამდენიმე წლის გულდასმითმა კვლევა-ძიებამ ჩვენ იმ მტკიცე დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ არა ექსპლოატატორული კლასების (თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის), არამედ მშრომელი ხალხის, პირველ რიგში გლეხობის იდეოლოგები. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ის დიდი საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საქართველოში გასული საუკუნის 60-იან წლებში გაიშალა, რუსეთის იმპერიის საერთო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო, ხოლო ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და მთელი რიგი სხვა გამოჩენილი თერგდალეულები იყვნენ ამ რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი და, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი წინამორბედნიც საქართველოში. კონკრეტული ისტორიული მასალის შესწავლა და ანალიზი ყოველგვარ ეჭვს გარეშე ადასტურებდა, რომ სწორედ რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთა იდეები, — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები წარმოადგენდნენ იმ დროშას, რომელიც თერგდალეულებმა მაღლა აღმართეს და რომლითაც მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს დახავსებული ფეოდალური ურთიერთობის დამცველებს.

მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენთვის ნათელი გახდა ისიც, რომ მაშინდელ ვითარებაში არ შეიძლებოდა, რუსეთის იდეები პირდაპირ ყოფილიყვნენ ჩვენში გადმოტანილნი; ეს იდეები უნდა გადატეხილიყვნენ საქართველოს იმდროინდელი თავისებური ვითარების პრიზმაში და ამის შესაბამისად რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც მიეღო შედარებით სხვანაირი ხასიათი. თუ რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და მიზანს სოციალურ უსამართლობათაგან მასების განთავისუფლების საქმე შეადგენდა, ჩვენში ამ პრობლემას დაემატა აგრეთვე ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების პრობლემა. ასე წარმოიშვა რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით და საქართველოს ცხოვრების პირობების თავი-

სებურებათა შედეგად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მედროშე ილია ჭავჭავაძე იყო.

ეს და ამის მსგავსი მთელი რიგი სხვა ახალი დებულებანი ჩვენ ჩამოვაყალიბეთ და შეძლებისდაგვარად დავასაბუთეთ კიდევაც ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“,[1] რომელიც 1949 წელს გამოიცა.[2] ჩვენმა შემდგომმა კვლევა-ძიებამ მხოლოდ დაადასტურა და გააღრმავა ხსენებულ ნაშრომში გადმოცემული ახალი თვალსაზრისი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ავტორები თავიანთ საკვლევაძიებო მუშაობაში, ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თერგდალეულთა შეხედულებების კლასობრივი არსის გაგების აქამდე გაბატონებული თეორია არასწორია და საჭიროა მისი შეცვლა ახალი თვალსაზრისით; მათ გაბედულად მიიტანეს იერიში ძველი თეორიის მთელ რიგ დებულებებზე და თავიანთ ნაშრომებში გამოთქვეს ბევრი საყურადღებო აზრი, რაც წინ სწევს ხსენებული საკითხის სწორ გაგებას და ხელს უწყობს ახალი, მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავებასა და გავრცელებას. ასეთი ავტორების რიცხვს ჩვენ ვაკუთვნებთ კერძოდ: ლ. გორგილაძეს, ა. ქუთელიას, გ. მეგრელიშვილს, მ. გაფრინდაშვილს, ა. კენჭოშვილს, ვ. გაგოიძეს და სხვ. ეს ავტორები ძველი თეორიის დამცველთაგან იმით განსხვავდებიან, რომ მეტი თუ ნაკლები ზომითა და საბუთიანობით აღიარებენ 60-იან წლებში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის არსებობას. უნდა გამოვტყდეთ: ხსენებულ ავტორებს ჩვენ ბევრ რამეში არ ვეთანხმებით, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ ისინი, სხვებთან შედარებით, სწორ გზაზე დგანან.

ლ. გორგილაძემ ჯერ კიდევ 1951 წელს გამოსცა საყურადღებო ნაშრომი „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, რომელ-

---

[1] იხ. გვ. 13, 63, 133, 134 და ა. შ.

[2] ვსარგებლობთ შემთხვევით და აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ ნაშრომში წამოყენებული ახალი დებულებების გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ჩვენი გამოჩენილი კრიტიკოსების გიორგი ნატროშვილის, ვანო წულუკიძისა და ლევან ასათიანის კარგად დასაბუთებულმა რეცენზიებმა, რომლებიც იმ ხანებში გამოქვეყნდა „კომუნისტში“, „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ და „მნათობში“; აგრეთვე ნაწილობრივ კრიტიკოს შ. ჩივაძის საყურადღებო რეცენზიამ, რომელიც დაიბეჭდა რუსულ ჟურნალში „ვოპროსი ფილოსოფიი“.

შიც მორიდებულად, მაგრამ მაინც საკმაოდ გარკვევით ეპვის ქვეშ დააყენა გ. წერეთლის დასების თეორია.[1] იმავე ნაშრომის მეორე, შევსებულ გამოცემაში (1956 წ., 14/IX) ავტორი, საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს მაკეტის გავლენით (1956 წ. 3/III), გაცილებით უფრო შორს წავიდა, მნიშვნელოვნად დასცილდა გ. წერეთელ- ს. ხუნდაძის დასების თეორიას და გაიზიარა მაკეტის მთელი რიგი პრინციპული დებულებანი.[2]

ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების შესახებ გამოთქვეს მკვლევარებმა ა. ქუთელიამ და ვ. გაგოიძემ: პირველმა სტატიაში — „ილია ჭავჭავაძე — რევოლუციური დემოკრატი", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში" 1954 წ. და აგრეთვე რუსულად იმავე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომებში",[3] ხოლო მეორემ — ნაშრომში „საქართველოს მოამბე," რომელიც გამოიცა 1956 წელს. არსებითად სწორად აქვს გადმოცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხის არსი აგრეთვე მკვლევარ ა. კენჭოშვილს პოპულარულ ნარკვევში „ილია ჭავჭავაძე", რომელიც 1955 წელს გამოიცა.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. მეგრელიშვილის ნაშრომი „Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, том I", რომელიც 1960 წელს გამოიცა, და მ. გაფრინდაშვილის ნაშრომი „ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან", რომელიც გამოიცა 1959 წელს. გ. მეგრელიშვილის წიგნის მთავარ ღირსებად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ავტორი ნ. ნიკოლაძეს სთვლის რევოლუციურ დემოკრატად და საკმაოდ საფუძვლიანადაც ასაბუთებს ამ სწორ აზრს, მაგრამ ესეც უნდა ითქვას: სამწუხაროდ, ავტორი ვერ ახერხებს თერგდალეულთა იდეოლოგიის ძირითად საკითხებში ბოლომდე გარკვევას, რის გამო იძულებულია ილია ჭავჭავაძეს სავსებით აუაროს გვერდი, ხოლო ს. მესხი, ისევ ძველი თეორიის შესაბამისად, ბურჟუა-ლიბე-

---

[1] ლ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, 1951 წ., გვ. 111.

[2] ლ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, 1956 წ., თავი მეორე, გვ. 24—83.

[3] „მნათობი", 1954 წ., № 9, აგრეთვე ხსენებული ინსტიტუტის „შრომები", ტ. V.

რალად გამოაცხადოს;[1] მიხ. გაფრინდაშვილის წიგნის მთავარ ღირსებად კი, პირიქით, სწორედ სერ. მესხის მოღვაწეობის სწორი შეფასება, მისი რევოლუციურ-დემოკრატად აღიარება უნდა ჩაითვალოს[2].

ამგვარი ნაშრომების გამოჩენა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში იმის მომასწავებელია, რომ წინანდელი თვალსაზრისი თერგდალეულებზე უკვე დრომოჭმული გახდა და რომ თანდათან გზას იკაფავს ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაზრისი.

ახალმა თვალსაზრისმა აღიარება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის წამყვან მეცნიერ-ისტორიკოსთა მხრივ და საფუძვლად დაედო თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასებას საშუალო სკოლის ახალ სახელმძღვანელოში „საქართველოს ისტორია“, რომელიც გამოიცა 1958 წელს, აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით. ვფიქრობთ, ყოველი შეგნებული ქართველისათვის სასიამოვნო უნდა იყოს იმის გაგება, რომ წინანდელ შეცდომათა და დამახინჯებათა შემდეგ, — მას შემდეგ, რაც ქართველ მოსწავლეთა მრავალ თაობას ოფიციალური სასკოლო სახელმძღვანელოები უნერგავდნენ ჯერ სრულიად უხამს და დამახინჯებულს, ხოლო შემდეგ მეცნიერულად არასწორსა და საზოგადოებრივად არაპატრიოტულ შეხედულებებს მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს სახელოვან მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, ჩვენმა მოსწავლეებმა, ბოლოს, მიიღეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელშიც ღირსეულად არის წარმოდგენილი თერგდალეულთა ფასდაუდებელი ღვაწლი ჩვენი სამშობლოს წინაშე.

ასე ჩაეყარა საფუძველი ხსენებულ საკითხში ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ახალ, მესამე პერიოდს, — თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლისა და დაფასების პერიოდს.

2. შემცდარი შეხედულებების გავრცელება ამჟამად და მათი დაძლევის აუცილებლობის პრობლემა.

ამრიგად, ჩვენ დავამთავრეთ თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების ირგვლივ

[1] დასახელებული ნაშრომი, გვ. 275—295.

[2] ხსენებული წიგნის გვ. 302.

აზრთა განვითარების მოკლე მიმოხილვა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოკიდებული დაახლოებით 1958 წლამდე[1]. ახლა საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ თერგდალეულთა ისტორიოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობას, რისთვისაც მოგვიხდება გამოვარკვიოთ როგორი შეხედულებანი არსებობს და ცოცხლობს დღესდღეობით და რა ზიანი მოაქვს მათ ქართული კულტურის განვითარებისათვის. აგრეთვე მოვისაზროთ, რა ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავძლიოთ და უკუვაგდოთ ყალბი შეხედულებანი, რაც ქართული საზოგადოებრივი აზრის შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობაა.

სამწუხაროდ, თითქმის ყველა ყალბი შეხედულება, რომლებიც წინათ გამოთქმულა თერგდალეულთა შესახებ, მათ შორის აშკარად უხამსი შეხედულებებიც კი, ჩვენს დროში კვლავ ცოცხალია და აქა-იქ ახლაც იჩენს ხოლმე თავს. ზოგი მათგანი ამჟამად მიმალულია და ელოდება შემთხვევას, რომ კვლავ გამოვიდეს სცენაზე. ზოგი ოდნავ ბუტუტავს, ზოგი კი უშიშრად გამოდის და აშკარად თავმომწონეობს ჩვენი ლიტერატურის მოედანზე.

ვისაც სისტემატურად უდევნებია თვალი ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიისათვის უკანასკნელი ათითხუთმეტი წლის განმავლობაში, ის ადვილად შეამჩნევდა, რომ თერგდალეულებზე, ს. ხუნდაძის საყოველთაოდ გავრცელებული კონცეფციის გარდა, გამოთქმული იყო მრავალი სხვა ყალბი შეხედულებაც, რომლებსაც თუმცა არასოდეს არ სჭერიათ აზროვნების მოედანზე მაინცადამაინც დიდი ადგილი, მაგრამ მიმდევრებიც არ გამოლევიათ.

შევეხოთ მათ ძალიან მოკლედ.

---

[1] მკითხველი იმედია გვაპატიებს, რომ ამ მოკლე მიმოხილვაში (და საერთოდ წინამდებარე ნაშრომში) ჩვენ სრულებით არ ვეხებით ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ბევრ მკვლევარს, რომლებსაც უდავო დამსახურება მიუძღვით თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების შესწავლაში (მხედველობაში გვყავს მკვლევარები: ნ. ბერძენიშვილი, გ. ჯიბლაძე, პ. გუგუშვილი, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ს. ჭილაია, დ. გამეზარდაშვილი გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ვ. ზამბახიძე, ი. ბოცვაძე, ა. გაჩეჩილაძე და სხვ.); ეს იმით აიხსნება, რომ ამჟამად ჩვენ მიზნად ვისახავდით არა თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიის დაწერას, არამედ აზრთა განვითარების გადმოცემას მარტო ერთ საკითხზე და ისიც ძალიან მოკლედ.

უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ყველაზე უკიდურესი შეხედულება, — ე. წ. რაპჰული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით თერგდალეულები პირწავარდნილ რეაქციონერებად და მონარქისტებად არიან მიჩნეულნი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ, რომ ამჟამად საჭირო იყო ამგვარი შეხედულებების წინააღმდეგ ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება, რადგან რაპჰული თვალსაზრისი დღეს უკვე საბოლოოდ დაძლეულია და რაიმე სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენს. მაგრამ არ იქნებოდა სწორი არ შეგვემჩნია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, მათ შორის პროფესორის წოდების მქონენიც, რომლებსაც ახლაც სწამთ თერგდალეულების რეაქციონერობა და მონარქისტობა და წერენ „მეცნიერულ“ ნაშრომებს ამ უხამსი შეხედულებების დასაცავად. არა გვგონია სადავო იყოს, რომ ასეთი შეხედულებების გამოცოცხლების ცდებს გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ, რა შენიღბულ ფორმაშიც არ უნდა მოგვევლინონ ისინი.

ასევე შეუწყნარებელია მეორე, ზემოთ ხსენებული თვალსაზრისის საწინააღმდეგო უკიდურესობის გამომხატველი თვალსაზრისიც, რომელიც წინათაც არსებობდა, მაგრამ ერთხანს მივიწყებული იყო, ამ უკანასკნელად კი კვლავ აღსდგა მკვდრეთით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები არსებითად გამოცხადებული არიან სოციალისტებად, — არა წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის მიმდევრებად, არამედ ნამდვილი, მეცნიერული სოციალიზმის მიმდევრებად. როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მკვლევარ მ. კვესელავას, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური წერილი, რომელშიც ავტორი მიზნად ისახავს დაანახოს მკითხველს, თუ „როგორ მივიდა გოეთეს მიერ „ფაუსტში“ განვითარებული „თავისუფალ მინაზე თავისუფალი შრომის“ უტოპიური იდეა მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებამდე“[1]. ამ მიზნის მისაღწევად ავტორს რატომღაც გადაუწყვეტია გამოიყენოს ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს არც საქართველოს ისტორიის ფაქტებს,

---

[1] „მნათობი“, 1961 წ., № 12, გვ. 116.

არც თვით ილია ჭავჭავაძის ნაწერებს და, რაღაც ყოვლის შემძლე „ფაუსტური პარადიგმების“ საშუალებით, ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ილიას იდეალი გლეხური დემოკრატიის პრინციპები კი არ იყო, არამედ რაღაც უსახო და ზოგადი, ბუნებაში არ არსებული „კაცური კაცი“; რომ თითქოს „ილია თანასწორუფლებიანი მშრომელი „კაცური კაცის“, როგორც ერთიანი ერთის, იდეოლოგია და არა გლეხობისა[1]. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იმავე პარადიგმების შემწეობით ავტორი, რომელიც ძალიან თავისუფლად დაფრინავს „მარადიული განვითარების ფაუსტური იდეის“ ღრუბლებში, ილია ჭავჭავაძეს სწყვეტს არა მარტო გლეხობისაგან, არამედ მთელი ქართველი ერისაგანაც; მისი სიტყვით, თუ ილიას „იდეებს ისევ ეროვნული ჩარჩოებით შევზღუდავთ“, ამით თითქოს მის ბრძოლას „დავუკარგავთ სწორ პოლიტიკურ ორიენტაციას“[2].

რა თქმა უნდა, ასეთ პარადიგმულ აღმოჩენებს სერიოზულად არ უნდა შევხედოთ, რადგან ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ზემოთ ხსენებულ თვალსაზრისს არავითარი რეალურ-ისტორიული საფუძველი არ გააჩნია, ხოლო მეცნიერული კვლევა-ძიების შეცვლას სქოლასტიკური ვარჯიშობით არასოდეს არ მოჰყოლია და არც ამჟამად შეიძლება მოჰყვეს რაიმე დადებითი შედეგი[3]. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, არ შეიძლება ზემოთ ხსენებული თვალსაზრისის გაუკრიტიკებლად დატოვება, რადგან გარეგნულად იგი თვალისმომჭრელი და ბრჭყვიალაა, რის გამო არ არის გამორიცხული რომ ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში გავრცელდეს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამგვარ, სრულიად უსაფუძვლო და აპოლოგეტურ თვალსაზრისს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლისა და ნამდვილი დაფასებისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი ილიას სიტყვები: „უსა-

---

[1] იქვე, გვ. 130.

[2] „მნათობი“, 1961 წ.. № 12, გვ. 134.

[3] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის შეხედულება გოეთეს შესახებ, რომელსაც მ. კვესელავა იყენებს, ახალი არ არის: იგი ეკუთვნის წვრილბურჟუაზიული მიმართულების გერმანელ პუბლიცისტს კარლ გრიუნს, რომლის „კაცური კაცის თვალსაზრისი“ სასტიკად გააკრიტიკა და პირდაპირ გააცამტვერა ფ. ენგელსმა ჯერ კიდევ ამ ასოცი წლის წინათ. (იხ. ფ. ენგელსის ნაშრომი „Немецкий социализм в стихах и прозе“, კ. მარქსის და ფ. ენგელსის თხზულებათა მეოთხე ტომი, გვ. 223—248).

ფუძვლო წუნს ადამიანი უფრო ადვილად შეიფერებს, ვიდრე უსაფუძვლო ქებას"[1].

მესამე თვალსაზრისი, რომელიც წინა ორთან შედარებით უფრო ახლოსაა სიმართლესთან, მაგრამ მაინც უდავოდ შემცდარია. ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები არ ყოფილან არც ერთი ცალკე კლასის იდეოლოგები, არამედ გამოხატავდნენ მთელი ქართველი ერის ინტერესებს, განურჩევლად წოდებისაო. ასეთი თვალსაზრისი გამოთქვა, კერძოდ, მკვლევარმა ლ. ასათიანმა 1950 წელს ჟურნალ „მნათობში" დაბეჭდილ ერთ-ერთ რეცენზიაში[2]. ეს თვალსაზრისი მით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ მომდინარეობს თვით თერგდალეულებისაგან; ილია, აკაკი და სხვა თერგდალეულები არა ერთხელ აღნიშნავდნენ ხოლმე, რომ ისინი ზრუნავენ თელი ხალხის, მთელი ქართველი ერის ჭირ-ვარამზე და არა რომელიმე ცალკე კლასის ინტერესებზე. ჩვენ წინადაც გვქონდა შემთხვევები აღგვენიშნა[3] და ახლაც გვინდა გავიმეოროთ, რომ თერგდალეულებს ჰქონდათ ერთგვარი საფუძველი ელაპარაკნათ მთელი ხალხის, მთელი ერის სახელით, მაგრამ თანამედროვე მეცნიერება არ სცნობს და უკუაგდებს ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ერის „საერთო ინტერესების" თეორიას; თანამედროვე მეცნიერებას მიაჩნია, რომ თვით გარდამავალ ეპოქებშიც კი არც ერთ საზოგადო მოღვაწეს არ ძალუძს გამოეთიშოს ერთმანეთის წინააღმდეგ სამტროდ ამხედრებული კლასების ურთიერთ დაპირისპირებულ ინტერესებს და თანაბრად ემსახუროს ყველა კლასს, მთელ ერს. თვით თერგდალეულთა მოღვაწეობისა და შემოქმედების ყურადღებით შესწავლა სავსებით ცხადჰყოფს, რომ მათი საზრუნავი ჩინმედლებით მორთული, უსაქმური თავადაზნაურობა, ან კიდევ ხალხის მყვლეფელი ბურჟუაზია კი არ იყო, არამედ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ერის ცხრა მეათედს შეადგენდა და რომელიც თავისი შრომით ჰქმნიდა ერის მთელ მატერიალურ დოვლათს.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილები, 1949 წ., გვ. 58.

[2] „მნათობი", 1950 წ., № 11.

[3] ბ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1954 წ., გვ. 62—64, 331, 332 და ა. შ.; აგრეთვე რუსული გამოცემა «Илья Чавчавадзе, философские и соц.-полит. воззрения». გვ. 39, 40.

შემდეგი, სათვალავით მეოთხე, შეხედულება თერგდალეულთა შესახებ კომპრომისული შეხედულებაა და ცდილობს დაასაბუთოს ის აზრი, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძე თავის მხატვრულ ნაწერებში რევოლუციური დემოკრატია, ე. ი. გლეხობის იდეოლოგია, ხოლო პუბლიცისტურ წერილებში — ლიბერალი, ე. ი. აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგი. ეს თვალსაზრისი ახალი არ არის, იგი ჯერ კიდევ კიტა აბაშიძიდან მოდის, მაგრამ ამ უკანასკნელად მისი დასაბუთება სცადა მკვლევარმა მ. დუდუჩავამ ნაშრომში „ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა", რომელიც 1960 წელს გამოიცა. მ. დუდუჩავას აზრით, „ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და პუბლიცისტურ-თეორიულ წერილებში ასახული თვალსაზრისის ძირითადი ტენდენციები სხვადასხვაა"[1]. ეს სხვადასხვაობა კი თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ილია „ობიექტურად მართლაც გვევლინება რევოლუციონერ-დემოკრატად"[2]. ხოლო მის პუბლიცისტურ ნაწერებში „ობიექტურად, უფრო მეტად იხატებიან აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესები და მისწრაფებანი"[3].

ზედმეტად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ილიას შემოქმედების ამგვარ მექანიკურ გაყოფას არ გააჩნია რაიმე ცოტად თუ ბევრად სერიოზული საფუძველი. მართალია, მხატვრულ ნაწერებში უფრო ადვილი იყო მეფის ცენზურისათვის თვალის ახვევა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გაპარება, რის გამო ილიას მხატვრული შემოქმედება უფრო მეტ მასალას შეიცავს მისი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციების დასახასიათებლად, მაგრამ დაკვირვებული მკვლევარი ადვილად იპოვის იმავე აზრებს ილიას პუბლიცისტურ წერილებშიც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამას გრძნობს თვით მ. დუდუჩავაც, რომელიც კარგად იცნობს ი. ჭავჭავაძის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ შემოქმედებას, მაგრამ თუ ის მაინც იძულებულია ზემოთ ხსენებული კომპრომისული თვალსაზრისი გაიზიაროს, ეს ფაქტი ჩვენი აზრით, შემდეგი გარემოებით აიხსნება: მკვლევარი მიხვედრილია, რომ ძველი, ხუნდაძისეული კონცეფცია აღარ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროა მისი შეცვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ უპოვია უდავო თეორიული საბუთები მის უარსაყოფად და უკუსაგდებად.

---

[1] მ. დუდუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, 1960 წ., გვ. 305.

[2] იქვე, გვ. 302.

[3]. იქვე. გვ. 306.

შემდეგი, სათვალავით მეხუთე თვალსაზრისი, რომელსაც აგრეთვე კომპრომისული ხასიათი აქვს, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის გაუქმებამდე გლეხობის იდეოლოგი და, მაშასადამე, რევოლუციური დემოკრატი იყო, ხოლო რეფორმის შემდეგ ბურჟუა-ლიბერალის პოზიციაზე გადავიდა. ასეთი თვალსაზრისი გამოთქვა, მაგალითად, კრიტიკოსმა შ. ჩივაძემ ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ რეცენზიაში, მისი სიტყვით, «И. Чавчавадзе до отмены крепостного права был идеологом крестьянства»[1], ხოლო «после отмены крепостного права перешел на позиции просветителя-демократа»[2].

ძნელი დასანახი არ არის, რომ ამგვარი თვალსაზრისი მხოლოდ ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობის არასაკმარისად შესწავლის შედეგად შეიძლებოდა წარმოშობილიყო. ვინც არ მოერიდება შრომას გულდასმით გადაათვალიეროს ილიას როგორც რეფორმამდელი, ისე რეფორმის შემდეგდროინდელი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები, მისთვის აშკარა გახდება, რომ ჩვენი სასიქადულო მწერალი მთლიანი პიროვნება იყო და ლაპარაკი მისი შეხედულებების რაიმე შეცვლაზე არა თუ სამოციან წლებში, არამედ 80-90-იან წლებშიც კი, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

დაბოლოს, აღსანიშნავია კიდევ ერთი, საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც თავისი შინაარსით აშკარად ეკლექტიკური ბუნებისაა. ამ თვალსაზრისის წარმომადგენლები, — თუკი შეიძლება, რომ ის ცალკე, დამოუკიდებელ თვალსაზრისად ჩაითვალოს, — თავიანთ ნაშრომებში არ გამოთქვამენ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არავითარ ახალ აზრს, არამედ ცდილობენ უკვე არსებული, სხვადასხვაგვარი შეხედულებების შეერთებას და ამრიგად, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებათა შერიგებას, ან ყოველ შემთხვევაში, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობათა შერბილებას. ასეთი თვალსაზრისის წარმომადგენლებად, ჩვენი აზრით, ჩაითვლებიან, მაგალითად, მკვლევარები ვ. ბახტაძე და ა. თავაძე.

თავის ნაშრომებში „Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли" და „ილია ჭავჭავაძის სოციალ-ეკო-

---

[1] იხ. ჟურნ. „Вопросы философии", 1951, №4, გვ. 244.

[2] იქვე, გვ. 243.

ნომიური შეხედულებანი“, ვ. ბახტაძე ცდილობს ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებების შეერთებას. ერთი მხრივ, ის ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იზიარებს გ. წერეთელ-ს. ხუნდაძის დასების თეორიას[1], ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს დააბუთოს, რომ თერგდალეულები გლეხობის ინტერესების თანმიმდევრული დამცველები იყვნენ. ზოგჯერ წიგნის ერთსა და იმავე გვერდზე მკითხველი იპოვის მტკიცებას იმის შესახებაც, რომ, ვთქვათ, ნ. ნიკოლაძე 60-იან წლებში ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების მოღვაწე იყო და იმის შესახებაც, რომ იმავე ხანებში იგი „последовательно защищал интересы крестьянства“[2].

ზუსტად ასეთივე სურათია ი. ჭავჭავაძის მიმართაც. ავტორი არა ერთხელ სამართლიანად მიუთითებს, რომ ილია იყო გლეხობის ინტერესების თავდადებული დამცველი და ცარიზმის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი[3], მაგრამ იქვე ამტკიცებს, რომ ის თითქოს ვერ ამაღლდა რუსეთის რევოლუციონერი-დემოკრატების მსოფლმხედველობამდე, „не стал революционным демократом“.[4] იმის გასაგებად, თუ როგორ ესმის ავტორს „გლეხობის მხარეზე ყოფნა“, ე. ი. მისი იდეოლოგობა, მოვიყვანთ დამახასიათებელ ადგილს მისი მსჯელობიდან: „რასაკვირველია, ილია არ არის იმ მიმართულე-

---

[1] В. Бахтадзе, Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли, 1960, გვ. 103, 104, 114 და ა. შ.

[2] იქვე, გვ. 105.

[3] იქვე, გვ. 161, 172, 173 და ა. შ.

[4] იქვე, გვ. 275-276.

ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე აღვნიშნავთ, რომ გაკვირვებას იწვევს ავტორის განცხადება (იხ.. იქვე გვ. 275), თითქოს მან სხვებზე ადრე, სახელდობრ 1948 წელს გამოთქვა აზრი, ილია ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგად გამოდიოდაო (ცერძოდ მეისნერის პროექტის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკულ წერილში). როგორც მისი ნაშრომების ყურადღებით შესწავლა გვარწმუნებს, მას არა თუ არ გამოუთქვამს, არამედ არც შეეძლო (მეცნიერულად) გამოეთქვა ხსენებული აზრი, რადგან გლეხობის იდეოლოგობა რევოლუციურ-დემოკრატობას ნიშნავს, ჩვენი ავტორი კი თვითონვე აცხადებს, ილია ვერ ამაღლდა რევოლუციონერი დემოკრატების პოზიციებამდეო.

რაც შეეხება გამოთქმებს —„ილია წვრილ გლეხურ მეურნეობას“, „გლეხობის ინტერესებს იცავდაო“, — ასეთი და ამაზე ბევრად უფრო გაბედული გამოთქმები მრავლად არის გაბნეული ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში.

ბის წარმომადგენელი, რომელიც მოითხოვს იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობის არსებით შეცვლას. მაგრამ იგი იმ მიმართულების წარმომადგენელია უეჭველად, რომელიც განსაზღვრული ზომიერების დაცვით მოითხოვს არსებული ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ გაუმჯობესების მოთხოვნაში იგი გლეხობის მხარეზეა, მისი ინტერესების დამცველია, სურს იგი იყოს მფლობელი წარმოების ძირითადი საშუალების — მიწისა"[1].

გონების დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ აქ ილია ჭავჭავაძე არსებითად აღიარებულია ჩვეულებრივ ლიბერალად, რომელიც მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს გლეხობისადმი დათმობების მომხრე, რამდენადაც ამას მოითხოვს „ეპოქის სული", ე. ი. თვით გაბატონებული კლასის ინტერესები თავადაზნაურული ლიბერალის თვალსაზრისით.

აქედან ცხადია, რომ სხვადასხვაგვარი აზრების შეერთება-შეთანხმების ცდები არ შეიძლება მარცხით არ დამთავრდეს; ვერავითარი ლამაზი და რბილი სიტყვები და ვერავითარი ფრთხილი ფორმულები ვერ შესცვლის პრინციპულ და საბუთიან მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

როგორც ითქვა, ანალოგიური თვალსაზრისის წარმომადგენლად ჩვენ მიგვაჩნია აგრეთვე მკვლევარი ა. თავაძე. მის ნაშრომში „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი", რომელიც 1951 წელს გამოიცა, ილია ჭავჭავაძე, ერთი მხრივ, აღიარებულია, როგორც „ქართველი გლეხობის ინტერესების გამომხატველი"[2] და „ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი"[3]. ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ისეთი მოღვაწე, რომელიც „იღწვოდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარებისათვის... უმტკივნეულოდ, ფეოდალების შემორიგების გზით"[4]; როგორც მოღვაწე, რომელიც „ფეოდალების წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას უარყოფდა"; „ხალხის რევოლუციურ

---

[1] იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები", ტ. XXXIV, 1948 წ., გვ. 289.

[2] დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 51.

[4] იქვე, გვ. 9.

მოძრაობას საჭიროდ არ ცნობდა"[1] და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში „შემარიგებლურ გზას" ადგა[2].

იმავე წიგნში ავტორი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულება მატერიალისტურია, მისი მეთოდოლოგიური პრინციპი დიალექტიკურია"; რომ ილია „გასცდა მეტაფიზიკურ მატერიალიზმს და უშუალოდ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს"[3]. ამავე დროს, მკითხველმა უნდა ირწმუნოს ავტორის ეს აზრიც: „ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულება დიდი რუსი მატერიალისტების სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისამდე არ ამაღლებულა"[4].

ცხადია, ამგვარი, ერთმანეთის აშკარად საწინააღმდეგო დებულებების მექანიკური შეერთება დიდ მეცნიერულ შენაძენად ვერ ჩაითვლება. მაგრამ ესეც კია, რომ ამ მკვლევარების პოზიცია თერგდალეულთა ისტორიოგრაფიის ახლანდელი ვითარებისათვის მეტად დამახასიათებელია, ის მაჩვენებელია ძველი, დრომოჭმული შეხედულებების აშკარა კრიზისისა და წარმოადგენს ამ კრიზისის დაძლევის თავისებურ ცდას.

ძველი, შემცდარი თვალსაზრისი რომ მართლა სერიოზულ კრიზისს განიცდის, ხოლო ახალი, მეცნიერული თვალსაზრისი თანდათან გზას იკაფავს, ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მთელი რიგი ავტორები, მათ შორის ცნობილი კრიტიკოსები და მკვლევარები, თავიანთ ნაშრომებში ხშირად ხავსებით უვლიან გვერდს თერგდალეულთა იდეოლოგიის კლასობრივი კუთვნილების განსაზღვრის საკითხს და თუმცა პირდაპირ არსად არ ამბობენ თერგდალეულები გლეხობის იდეოლოგები იყვნენო, მაგრამ მათი მსჯელობიდან ასეთი დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს. ამ მხრივ საინტერესოა ბესო ჟღენტის ნაშრომი, რომელიც შესავლის სახით წამძღვარებული აქვს ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწერების ერთ-ერთ რუსულ გამოცემას. ჩვენი აზრით, ეს ნაშრომი დაწერილია დიდი ერუდიციით, მკაფიოდ და ცოცხლად; მასში გამოთქმულია არა ერთი გაბედული და მეცნიერულად სწორი დებულება, რომელიც ლახვარს სცემს ძველ თეორიას და საავსე-

---

[1] იქვე, გვ. 146.

[2] იქვე, გვ. 9. 146.

[3] იქვე, გვ. 38.

[4] იქვე, გვ. 145, 146.

ბით შეესაბამება ახალ თვალსაზრისს[1]. მაგალითად, სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ავტორის შემდეგი განცხადება: «На протяжении всей своей общественной и литературной деятельности И. Чавчавадзе бдительно стоял на страже интересов народа и давал решительный отпор реакционным, антинародным силам»[2] ან კიდევ: «В своих убеждениях и высказываниях И. Чавчавадзе выступает как сторонник и единомышленник вождей русской революционной демократии»[3]. ამ დებულებებიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ ილია ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგი იყო. მაგრამ ავტორი თავს იკავებს და არსად არ აკეთებს ასეთ დასკვნას. როგორც ჩანს, ის შეგნებულად უვლის გვერდს ამ მეტისმეტად დახლართულ და სადავო საკითხს, ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს და სადღაც მაინც საჭიროდ სთვლის მოაგონოს მკითხველს, რომ თერგდალეულები ცნობილნი არიან „... в истории грузинской общественной мысли под названием «Пирвели даси»[4]. ეს მითითება ‘ამადაღებულ „პირველ დასზე“, ჩვენი აზრით, ნაშრომში სრულიად ზედმეტია. მართალია, ავტორი არ იყენებს ისტორიულ მასალას, რადგან ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს ის მხოლოდ ლიტერატურულ ასპექტში იხილავს, მაგრამ ის ვრცელი ლიტერატურული მასალაც, რომელსაც ის ეყრდნობა და სწორადაც აფასებს, სრულ საფუძველს აძლევდა მას განესაზღვრა ილიას მსოფლმხედველობა როგორც გლეხური იდეოლოგიის გამოხატულება და გადაჭრით გამიჯნოდა დრომოჭმულ დასების თეორიას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ თერგდალეულთა შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგების ირგვლივ მრავალ-სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობდა და დღესაც არსებობს. მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ თითქოს ყველა ისინი ჩვენში ფართოდ იყოს გავრცელებული და სერიოზულად უშლიდეს ხელს თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლას. სინამდვილეში ზემოთ ჩვენ მიერ ჩამოთვლილ შემცდარ შეხედულებებს (გარდა

---

[1] Илья Чавчавадзе, избранные сочинения, 1957 წ., გვ. VIII, XI, XII, XXXII, XXXV და ა. შ.

[2] იქვე, გვ. XLIII.

[3] იქვე, გვ. XXXII.

[4] იქვე გვ. VIII

ს. ხუნდაძის კონცეფციისა), ამჟამად მხოლოდ თითო-ოროლა წარმომადგენელი ჰყავთ მეცნიერთა შორის და, ვფიქრობთ, არც მომავალში მოსალოდნელი მათი ფართოდ გავრცელება, რადგან არ არსებობს არც ისტორიული და არც თეორიული საფუძველი მათი მეცნიერულად დასაბუთებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა ს. ხუნდაძისა და მისი მიმდევრების შეხედულებათა მიმართ. ს. ხუნდაძის თვალსაზრისით 1934 წლიდან მოკიდებული დაახლოებით ოცდახუთი წლის განმავლობაში განუყოფლად ბატონობდა და დღესაც უდავოდ ძლიერი პოზიციები გააჩნია როგორც ქართულ, ისე განსაკუთრებით რუსულ ისტორიოგრაფიაში. თუ რამდენად გავრცელებულია ამჟამადაც გ. წერეთელ- ს. ხუნდაძის თვალსაზრისი, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ ძველ, დრომოჭმულ კონცეფციას ჯერ კიდევ იზიარებს ქართველ და რუს მკვლევართა დიდი უმრავლესობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი თვალსაზრისის დამცველ მეცნიერთაგან ყველას როდი უმუშავნია საგანგებოდ თერგდალეულთა მოღვაწეობისა და შემოქმედების შესასწავლად. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ გაკვრით ეხება ამ საკითხს და იზიარებს გ. წერეთელ- ს. ხუნდაძის თვალსაზრისს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისია. მაგალითად, ისეთი ცნობილი ისტორიკოსი, როგორიც იყო გ. ხაჭაპურიძე, თვითონვე ამბობდა, ვალიარებო თერგდალეულების დასებად დაყოფის ტრადიციულ სქემას «как это принято считать в исторической литературе»[1]. ასევე ითქმის ისტორიკოსებზე ს. კაკაბაძესა და ზ. მშველიძეზე, რომლებიც სხვა საკითხების კვლევასთან დაკავშირებით და ისიც მხოლოდ გაკვრით ეხებიან თერგდალეულთა კლასობრივი რაობის საკითხს[2]. რაც შეეხება ლიტერატურათმცოდნეებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მარტო ლიტერატურულ მასალაზე აშენებს თავის მსჯელობას, ხოლო ისტორიულ და თეორიულ სფეროში არ აწარმოებს დამოუკიდებელ კვლევა-ძიებას და იზიარებს იმავე „საერთოდ მიღებულ“ დასკვნებს, ე. ი. დასების თეორიის დებულე-

---

[1] Г. В. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века, 1950, стр. 17.

[2] С. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, 1941, გვ. 75; აგრეთვე: ზ. მშველიძე, „რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“, 1960, გვ. 11, 12, 15.

ბებს. ეს შეეხება არა მარტო ლიტერატურის ისტორიის დამწყებ მეცნიერებს, არამედ ისეთ ცნობილ მეცნიერებსაც, როგორიცაა, მაგალითად, მიხ. ზანდუკელი[1], შ. რადიანი[2], აგრეთვე აპ. მახარაძე[3] და სხვები.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია კამათი ისეთ ავტორებთან, რომლებსაც თერგდალეულთა საზოგადოებრივ შეხედულებებზე არ მოეპოვებათ სპეციალური გამოკვლევები და მხოლოდ სხვა მეცნიერთა აზრს იზიარებენ, რადგან თუ დამტკიცდება, რომ მათი აზრების წყარო ყალბია, იმედია ისინი გაუკრიტიკებლადაც ხელს აიღებენ თავიანთ შემცდარ შეხედულებებზე.

მაგრამ არიან ისეთი ავტორებიც, რომლებსაც სპეციალური გამოკვლევები აქვთ დაწერილი თერგდალეულთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და ამ გამოკვლევებში ბევრი საინტერესო ისტორიული მასალაც მოეპოვებათ, ოღონდ როცა საქმე თეორიულ განზოგადოებაზე მიდგება, ისინიც უკან იხევენ და უკრიტიკოდ იღებენ ძველი თეორიის დებულებებს. ასეთი ავტორების რიცხვს, ჩვენი აზრით, მიეკუთვნებიან ისტორიკოსი გ. ზაქარიაძე, რომელმაც გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი ნ. ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე[4], ს. ავალიანი, რომელმაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამორკვევას[5] და ლიტერატურათმცოდნე კ. მეძველიას, რომელმაც ასევე საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა საკუთრივ დასების თეორიის საკითხს[6]. ეს ავტორები, სამწუხაროდ, არაფერს ახალს არ გვეუბნებიან თერგდალეულთა შეხედულებების კლასობრივი ბუნე-

---

[1] მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, 1954 წ., გვ. 222, 226, 238, 240 და ა. შ.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა 1939, გვ. 23, აგრეთვე История грузинской литературы, Москва, 1952, გვ. 148.

[3] ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1952.

[4] გ. ზაქარიაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1955, გვ. 9, 10, 50, 51, 169, 227 და ა. შ.

[5] ს. ავალიანი, გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, 1954, გვ. 23, 24, 25 და ა. შ.

[6] ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, XV. 1956, გვ. 333—385.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კ. მეძველიამ სცადა საჯაროდ, პრესის ფურცლებზე დაეცვა გ. წერეთელ – ს. ხუნდაძის დასების თეო-

ბის შესახებ და არსებითად უცვლელად იმეორებენ დასების ძველი თეორიის დებულებებს. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ მათთან კამათიც ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

დაბოლოს, ძველი თეორიის დამცველთა შორის მოიპოვებიან ისეთი ავტორებიც, რომლებიც არ სჯერდებიან გ. წერეთელ- ს. ხუნდაძის დებულებათა უბრალო განმეორებას; ეს მკვლევარები გრძნობენ, რომ ახლანდელ პირობებში, როცა დაგროვილია დიდი ფაქტიური მასალა და უკვე გამომუშავდა ახალი, თერგდალეულთა კლასობრივი არსის მეცნიერულად ამხსნელი თვალსაზრისი, ძველი თეორიის დაცვა მისი წინანდელი, უცვლელი სახით, შეუძლებელია; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გამოემშვიდობონ ამ უნიადაგო თეორიას, ისინი ცდილობენ შეასწორონ და შეალამაზონ იგი, ცდილობენ განავითარონ და დაასაბუთონ ძველი დებულებები ახალი თეორიული არგუმენტებით, კერძოდ ვ. ი. ლენინის აზრების მოშველიებით. ეს ავტორები ცდილობენ გააუმჯობესონ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გააკეთილშობილონ“ ძველი თეორია. მაგრამ თუ ყურადღებით შევისწავლით იმ ცვლილებებს, დამატებებსა და შესწორებებს, რომლებსაც ამ თვალსაზრისის დამცველები გვთავაზობენ, დავრწმუნდებით, რომ ცვლილებები მხოლოდ საქმის გარეგან მხარეს — გადმოცემის მანერას და ფრაზეოლოგიას შეეხება, საკითხის არსი კი უცვლელი რჩება.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, კრიტიკის მთავარი ცეცხლი ჩვენ სწორედ ასეთი ავტორების წინააღმდეგ უნდა მივმართოთ, რადგან ამჟამად მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ძველი თეორიის ნამდვილ საყრდენს. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავანახოთ მკითხველს, რომ ძველი თეორიის გაუმჯობესებისა და, მაშასადამე, შენარჩუნების ყოველგვარი ცდები უნაყოფო შრომაა და რომ საჭიროა არა ამ დრომოჭმული თეორიის დაცვა და გაუმჯობესება, არამედ მისი უარყოფა და გადაჭრით უკუგდება.

რია (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ., № 14 და № 15), მაგრამ ვერ შესძლო ეპოვა ვერც ერთი ცოტად თუ ბევრად საყურადღებო არგუმენტი ამ დრომოჭმული თეორიის დასასაბუთებლად; მან არსებითად გაიმეორა იმავე გ. წერეთელს- ს. ხუნდაძის დებულებები, რის გამო მოგვაკლო მასთან კამათის სიამოვნებას. კ. მეძველია თვითონაც არ ფარავს, რომ მისი მეცნიერული კვლევა-ძიება ვერ სცილდება ს. ხუნდაძის მიერ ჯერ კიდევ 1927 წ. შედგენილ სქემას (იხ. ქუთაისის პედ. ინსტ. დასახელებული შრომები, გვ. 341).

მაგრამ ჯერჯერობით დავუბრუნდეთ ისევ ძველი თეორიის გავრცელების საკითხს და აგრეთვე ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ სერიოზულ ზიანზე, რომელსაც ეს თეორია ამჟამად ჩვენი კულტურის განვითარების საქმეს აყენებს.

განსაკუთრებით სამწუხარო ის არის, რომ ხსენებული დრომოჭმული თეორიის მიხედვითაა შეფასებული თერგდალეულთა მემკვიდრეობა ისეთ სერიოზულ გამოცემაში, როგორიცაა საშუალო სკოლის უფროსი კლასების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო[1], მოსკოვში გამოცემული „История грузинской литературы"[2] და აგრეთვე ოდნავ შენიღბული ფორმით ამ ცოტა ხნის წინად გამოცემულ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში"[3].

რაც შეეხება რუსულ ისტორიოგრაფიას, ჩვენდა საბალალოდ. იქ ჯერჯერობით გაბატონებულია ქართველი ავტორების მიერ შემუშავებული ზემოთ ხსენებული თეორია,[4] რომლის მიხედვით ჩვენი სახელოვანი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ყოველგვარი შერბილებისა და შელამაზების გარეშე არიან წარმოდგენილნი როგორც გაბატონებული კლასების, — ე. ი. მეფის მთავრობის, მემამულეებისა და ბურჟუების, — ერთგული მსახურნი, რომლებიც ვითომ «стремились ужиться с царизмом и стояли на страже интересов господствующих классов грузинской нации»[5].

ეს სიტყვები ჩაწერილია არა რომელიმე მეორეხარისხოვან გამოცემაში, არამედ კაპიტალურ ნაშრომში „История СССР", რომელიც ასიათასიანი ტირაჟით არის გამოცემული მოსკოვში 1959 წელს და სათანადო სამინისტროს მიერ დამტკიცებულია როგორც უმაღლესი სასწავლებლების ოფიციალური სახელმძღვანელო მთელ საბჭოთა კავშირში.

ასეთივე სურათს ვხედავთ უმაღლესი სასწავლებლების მეორე

---

[1] სახელმძღვანელო — ქართული ლიტერატურის ისტორია, 1955 წ., გვ. 241, 377 და ა. შ.

[2] История грузинской литературы, 1952, მეორე ნაწილის მეორე თავი (ავტორი შ. რადიანი).

[3] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957, ნაწ. პირველი, თავი პირველი (ავტორი ნ. მახარაძე).

[4] ჩვენ აქ. უმთავრესად, მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო ლიტერატურა და არა საჟურნალ-გაზეთო სტატიები.

[5] История СССР, том II, Москва, 1959, стр. 278.

სახელმძღვანელოში „История политических учений“, რომელიც 1960 წელს გამოიცა მოსკოვში. მასში ნათქვამია, რომ «Идеи Чавчавадзе, его политические идеалы не вышли за рамки дворянского либерализма»[1], რომ «А. Церетели... не смог возвыситься до проповеди революционной борьбы»[2]. ასეთი ყალბი შეხედულება საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებაა და თუმცა არის ზოგიერთი გამონაკლისიც (მაგალითად, ერთ-ერთ სპეციალურ ნაშრომში ისტორიკოსი ი. ჩერნიაკი ნ. ნიკოლაძეზე სამართლიანად ამბობს, რომ ის იყო „участник революционно-демократического движения шестидесятых-восьмидесятых годов прошлого столетия“)[3], მაგრამ გამონაკლისები ოდნავადაც ვერ სცვლიან საერთო სურათს.

თუ რამდენად ფართოდაა რუსეთში და მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელებული ძველი, უკვე დრომოჭმული შეხედულება, მოწმობს თუნდაც ასეთი ფაქტი: ზემოთ ხსენებული თვალსაზრისი საფუძვლად უდევს თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასებას ისეთ უდიდეს გამოცემებში, როგორიცაა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ (გამოიცა 300 ათასი ტირაჟით) და ათტომიანი „მსოფლიო ისტორია“ (იცემა 165 ათასი ტირაჟით).

ვინც არ მოერიდება შრომას გადაათვალიეროს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ის ტომები, რომლებშიც მოთავსებულია სტატიები თერგდალეულებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხთა იმ გამოჩენილ მოღვაწეებზე, რომლებიც თერგდალეულებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი, ერთიან იდეურ ნიადაგზე იბრძოდნენ ცარიზმისა და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, ის თვალნათლივ დარწმუნდება, რომ „ენციკლოპედიაში“ ყველა ხალხის მოწინავე შვილები არიან დაფასებულნი ღირსეულად, გარდა ქართველი ხალხის შვილებისა. ასე, მაგალითად, სტატიაში, რომელიც ი. ჭავჭავაძისადმია მიძღვნილი, მხოლოდ ეს არის ნათქვამი: «Выдающийся грузинский писатель и общественный деятель, основоположник критического реализма в груз. литературе»[4] (მერე მიდის მოკლე ბიოგრაფია); აკაკი წერეთელზე ნათქვამია: «Выдающийся

---

[1] История политических учений, М. 1960, გვ. 541.

[2] იქვე.

[3] Литературное наследство, ტომი 62, გვ. 402.

[4] БСЭ, т. 47, 1957. გვ. 15.

грузинский поэт»[1]; გიორგი წერეთელზე: «Выдающийся грузинский писатель и публицист»[2]; ნიკო ნიკოლაძეზე: «Грузинский общественный деятель, публицист и литературный критик»[3].

ახლა შედარებისათვის ვნახოთ, რა არის ნათქვამი, მაგალითად, ტ. შევჩენკოზე: «Великий украинский народный поэт, художник, революционер-демократ, борец против царизма и крепостничества»[4]. ასეთივე მაღალი შეფასება აქვს მიცემული ბელორუსი ხალხის საამაყო მოღვაწეს, 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატს კ. კალინოვსკის[5], სომეხი ხალხის სახელოვან შვილს მიქაელ ნალბანდიანს[6] და სხვებს.

ძალიან დამახასიათებელია „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში" მოთავსებული განმაზოგადოებელი სტატია «Революционные демократы», რომელშიც მოცემულია რუსეთში მოღვაწე რევოლუციონერ-დემოკრატთა საერთო შეფასება. სტატია იწყება რევოლუციონერ-დემოკრატთა შემდეგი ზოგადი დახასიათებით: «Революционные демократы в России — участники русского революционно-освободительного движения, являвшиеся идеологами крестьянской демократии и боровшиеся с крепостничеством и его пережитками после реформы 1861 г., за свержение самодержавия путем народной революции... В годы революционной ситуации 1859—1861, когда вопрос об отмене крепостного права приобрел наибольшую остроту, выступила целая плеяда Р. д., призывавших народ к революционной борьбе, разоблачавших политику либералов, направленную на сговор с царизмом»[7]. ამის შემდეგ სტატიის ავტორი კონკრეტულად ასახელებს რუსეთისა და რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების რევოლუციონერ-დემოკრატთა პლეადის შემადგენლობას, ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მრავალრიცხოვან მიმდევართა და თანამებრძოლთა სახელებს, მაგრამ მათ შორის და-

---

[1] იქვე, ტ. 46, გვ. 571.
[2] იქვე, გვ. 572.
[3] იქვე, ტ. 29, გვ. 626.
[4] იქვე, ტ. 47, გვ. 630.
[5] იქვე, ტ. 19, გვ. 436.
[6] იქვე, ტ. 29, გვ. 75.
[7] იქვე, ტ. 36, გვ. 183-184.

სახელებული არ არის არც ერთი ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი. შემთხვევითია, თუ არა ეს ფაქტი? რა თქმა უნდა, არა! ავტორი, რომელიც ძველ თეორიას მიჰყვება, სავსებით ლოგიკურად იქცევა: მართლაც, თუ ქართველი სამოციანელები ლიბერალები იყვნენ, როგორღა შეიძლება იმათი მოთავსება გლეხური დემოკრატიის იდეოლოგებს შორის, რომლებიც ებრძოდნენ რა ცარიზმს. ამავე დროს დაუნდობლად ამათრახებდნენ ლიბერალებსაც, რომელთა პოლიტიკა ნამდვილად იყო მიმართული „на сговор с царизмом“.

ასე ცალმხრივად და დამახინჯებულად არის წარმოდგენილი ჩვენი სახელოვანი სამოციანელების ღვაწლი „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.

დაბოლოს, გადავავლოთ თვალი აგრეთვე ისეთ ფრიად მნიშვნელოვან გამოცემას, როგორიცაა ზემოთ ხსენებული მრავალტომეული „Всемирная история“. ეს გამოცემა სამართლიანად არის მიჩნეული საბჭოთა ისტორიოგრაფიის უდიდეს მიღწევად; მასში თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით არის განხილული, გაანალიზებული და შეფასებული ყველა ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები. ამიტომაა, რომ ამ გამოცემის ყოველ ტომს დიდი ინტერესით მოელის საბჭოთა მკითხველი. ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის წიგნის ბაზარზე გამოჩნდა ხსენებული გამოცემის მეექვსე ტომი, რომელშიც გაშუქებულია მსოფლიო ისტორიის სწორედ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი. რუსეთისადმი მიძღვნილ თავში არის სპეციალური პარაგრაფი „Развитие революционного движения в 60-х годах. Продолжение буржуазных реформ в 1863—1874 гг.“ ამ პარაგრაფში, რომელიც მოცულობით დაახლოებით ერთი თაბახია, ვრცლად არის წარმოდგენილი რევოლუციური მოძრაობა როგორც რუსეთის, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისა გასულ საუკუნის 60-იან წლებში, დახასიათებულია ამ მოძრაობის ყველა ცოტა თუ ბევრად თვალსაჩინო მოღვაწე, მათ შორის ზემოთ ხსენებული კ. კალინოვსკი და გ. ნალბანდიანი, რომელთა ბიოგრაფიებს დაახლოებით ნახევარი გვერდი უჭირავს, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატებზე, ისინი უბრალოდ ნახსენებიც კი არ არიან.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი კაცობრიო-

ბის წინაშე ჩვენი ერის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ხანა წარმოდგენილია სრულიად გაღარიბებულად; გამოდის, რომ ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის გამარჯვების ხანაში ყოველ ერს ჰყავდა რევოლუციონერები — „იმ საზოგადოებრივ ძალთა ბელადები, რომელნიც ქმნიან ყოველგვარ გარდაქმნას“[1], — ისინი არ ჰყოლია მხოლოდ ქართველ ერს![2]

ეს რომ მართალი იყოს, მაშინ რა გვეთქმოდა, მაგრამ რომ არ არის მართალი?! დღეს ჩვენ მოგვეპოვება უამრავი ფაქტიური მასალა, რომელიც უდავოდ ამტკიცებს, რომ ზემოთ ხსენებულ ხანაში ქართველ ერს ჰყავდა არა ერთი ან ორი, არამედ მთელი გუნდი სახელოვანი რევოლუციონერებისა, რომლებიც ღირსეულად მიუძღოდნენ წინ ერს მის დაუდგრომელ ბრძოლაში ყველა ჯურის მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობის არასწორი შეფასება შედეგია ზოგიერთი ავტორის არაობიექტური და ტენდენციური დამოკიდებულებისა მათ მიმართ, მაგრამ ეს ასე არ არის. თავისთავად ცხადია, რომ იმ ავტორებს, რომლებიც საგანგებოდ არ შეისწავლიან თერგდალეულთა მოღვაწეობას და მხოლოდ ძველი თეორიის დამცველთა ნაშრომებს დაეყრდნობიან, რაგინდ კარგი განწყობილებაც არ უნდა ჰქონდეთ თერგდალეულებისადმი, მაინც არ შეუძლიათ მათი ღირსეულად დაფასება. ამის მაგალითია, თუნდაც, ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ვ. გოლცევი, რომელიც უდავოდ დიდი სიმპათიებით იყო გამსჭვალული ჩვენი კლასიკოსებისადმი და ბევრიც იშრომა მათი პოპულარიზაციისათვის, მაგრამ ამის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს, რა თქმა უნდა, ძველი თვალსაზრისის გავლენით, ისიც „ლიბერალურ-თავადაზნაურულ ჯგუფში“ ათავსებდა[3]. მაშასადამე, საქმეს სწყვეტს არა სიმპათიები და ანტი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 134.

[2] ზოგიერთი ავტორი, სამწუხაროდ, უფრო შორსაც მიდის და ქართველ სამოციანელებს ადგილს არ უთმობს არა თუ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა შორის, არამედ საერთოდ XIX საუკუნის რუსეთის ხალხთა მოწინავე საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელთა შორისაც კი (მაგალითად, ს. მიხაილოვის სტატია ჟურნალში „ევროპოსი ფილოსოფია“, 1952 წ., № 5, გვ. 180—189).

[3] Илья Чавчавадзе, избранные произведения. Москва, 1950 г., стр. 7.

პათიები, არამედ საკითხის სწორი გაგება, ე. ი. ნამდვილად მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავება, რაც ცხადია, უპირველეს ყოვლისა ქართველი მეცნიერების ამოცანაა.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის კვლევა-ძიება წინ ვერ წავა, თუ არ დავძლევთ თერგდალეულთა შესახებ ჩვენში გავრცელებულ ყალბ თეორიებს. მათ შორის, როგორც ითქვა, ყველაზე გავლენიანი და, მაშასადამე, დღევანდელ პირობებში ჩვენი კულტურისათვის ყველაზე მეტი ზიანის მომტანი უდავოდ ს. ხუნდაძისა და მისი მიმდევრების დრომოჭმული კონცეფციაა, რომელიც მით უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს, რომ თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე თეორიის — მარქსიზმ-ლენინიზმის სახელით გამოდის, მარქსისტულობას ჩემულობს. ამ კონცეფციის უნიადაგობის დასაბუთება ჩვენი ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით გამოვამჟღავნოთ ძველი თვალსაზრისის[1] დამცველთა ძირითადი შეცდომების თეორიული ფესვები და დავანახოთ მკითხველს, რომ ამ თვალსაზრისის მთავარ სახელმძღვანელო დებულებებს არაფერი აქვთ საერთო მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან.

3. ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული როლის ორგვარი გაგება: ყალბი და მეცნიერული.

ძველი თეორიის დამცველთა შეცდომების ერთ-ერთი მთავარი წყარო ჩვენებური ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული როლის არასწორი გაგებაა.

ისტორიოგრაფიული მიმოხილვიდან, რომელსაც ჩვენ ზემოთ გავეცანით, მკითხველი უკვე დაინახავდა, რომ ძველი თვალსაზრისის დამცველები (წინანდელი მოაზროვნეებიცა და საბჭოთა მკვლევარებიც) ბურჟუაზიას, როგორც ალმავალ კლასს, სთვლიან რეფორმათა ეპოქის ყველაზე მოწინავე კლასად და იმდროინდელი პროგრესის მებაირახტრედ, სთვლიან ანტიბატონყმური რევოლუციური მოძრაობის მთავარ ხელმძღვანელად და მამოძრავებელ ძალად; ამიტომ საქართველოს ბურჟუაზიის მაშინდელი იდეოლოგიაც მათ მიაჩნიათ ყველაზე მოწინავე, დემოკრატიულ იდეოლოგიად, რომელიც ვითომ

[1]. ს. ხუნდაძისა და მისი მიმდევრების კონცეფციას ჩვენ სიმოკლისათვის ზოგჯერ „ძველ თეორიას“ ან „ძველ თვალსაზრისს“ ვუწოდებთ.

გამოხატავდა და შეესაბამებოდა ქართველი ხალხის სურვილებსა და მისწრაფებებს, მისი სოციალური და ეროვნული თავისუფლების იდეებს. ეს აზრი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო გარკვევით გამოთქმული[1], მაგრამ განსაკუთრებით მწყობრად და რელიეფურად ის ჩამოყალიბებულია უკანასკნელი წლების მანძილზე გამოცემულ ნაშრომებში, რომლებიც საქართველოს ისტორიისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის ცნობილ მკვლევართა კალამს ეკუთვნის. იმისათვის, რომ მკითხველმა კონკრეტულ მაგალითებზე დაინახოს, თუ როგორ ესმით ზემოთ ხსენებული ძველი თეორიის თანამედროვე მომხრეებს ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის როლი, ჩვენ თავს ნებას მივცემთ მოვიყვანოთ ამონაწერები ისეთ თვალსაჩინო მეცნიერთა ნაშრომებიდან, როგორიც არიან ისტორიკოსები: ა. კიკვიძე და ი. კაჭარავა.

კაპიტალურ ნაშრომში „საქართველოს ისტორია“, რომლის პირველი ნაწილი (XIX ს.) 1954 წელს გამოვიდა, ხოლო მეორე ნაწილი (XIX—XX სს.) — 1959 წელს, ა. კიკვიძე ვრცლად იხილავს ჩვენთვის საინტერესო პრობლემას და ცდილობს განავითაროს და გაამჯობესოს გ. წერეთელ-ს. ხუნდაძის თეორია. წიგნიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორი საქართველოს ისტორიის ფაქტიური მასალის კარგი მცოდნეა. მაგალითად, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ XIX საუკუნის ავტორისეულ დახასიათებას, რომელიც ზოგადად შემდეგ ლაკონურ დებულებებშია ჩამოყალიბებული:

„ქართველი ხალხი XIX საუკუნის დასაწყისიდან ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა. ერთი მხრივ, მას მეფის ბიუროკრატია ჩაგრავდა, მეორე მხრივ, მებატონე თავადაზნაურობა... აშკარად თავდამსხმელთა — პოლიციელისა და მებატონის გვერდით ხალხს უხილავად უჭერდა სალტეს ახალი ბატონი — კაპიტალი. ხალხის მძიმე მდგომარეობა იწვევდა მასობრივ აჯანყებას, რომელსაც მეფის მთავრობა სამხედრო ძალით ახშობდა. გლეხთა რევოლუციური ბრძოლის დიდი გამოვლენა იყო გურიის აჯანყება 1841 წ. და სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1857 წელს“[2].

---

[1] მაგალითად, 1894 წელს ნ. ნიკოლაძე წერდა: „ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორ-მასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“.

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, 1959 წ., გვ. 6.

ყველაფერი ეს სრული ჭეშმარიტებაა. ხალხს ნამდვილად ჩაგრავდა და სისხლს სწოვდა მეფის მთავრობაც, თავადაზნაურობაც და ბურჟუაზიაც. ამიტომაც იყო, რომ ხალხი (გლეხობა) აჯანყებებს აწყობდა. მაგრამ ესეც ვიკითხოთ: ვინღა იყო ხალხის მხარეზე და ვინ ესარჩლებოდა მას? ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ვინ იყო მშრომელთა ინტერესების დამცველი? ამ კითხვას ავტორი სრულიად სამართლიანად უპასუხებს: „თერგდალეულებიო"; ის ამბობს: „ხალხი და მისი ცხოვრება, აი უმთავრესი საგანი და სარბიელი ქართველი მებრძოლი ინტელიგენციის მოქმედებისა. ასეთ მოთხოვნილებას აყენებდა დემოკრატიული იდეებით შეიარაღებული ახალი თაობა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ. თერგდალეულები — ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვ. მკაცრად გმობდნენ ძველ მემამულეობას, ქადაგებდნენ სოციალური თანასწორობისა და ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების იდეებს. თერგდალეულებმა მწერლობას მიზნად დაუსახეს ხალხის ცხოვრების ასახვა, ხალხის განათლება და აღზრდა და მთელი თავიანთი შემოქმედებითი პრაქტიკა ამ მხრით წარმართეს"[1].

ყოველივე ესეც უდავო ჭეშმარიტებაა. მაშასადამე, ვისი იდეოლოგები ყოფილან თერგდალეულები? თითქოს აქ პასუხი ნათელი უნდა იყოს. ავტორის მსჯელობიდან ლოგიკურად გამოდის, რომ თერგდალეულები ხალხის (ძირითადად გლეხობის) იდეოლოგები ყოფილან. მაგრამ არა, ავტორი სრულიად მოულოდნელ პასუხს იძლევა: ის ცდილობს დაგვარწმუნოს, თერგდალეულები... ხალხის მჩაგვრელების — ბურჟუებისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის იდეოლოგები არიანო. აი, სად იჩინა თავი უკუღმართი ძველი თეორიის გავლენამ! ავტორის სიტყვით, „ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა აგრარულ კაპიტალიზმს, მემამულეობის შეზრდას კაპიტალიზმში"[2]. რაც შეეხება გ. წერეთელსა და ნ. ნიკოლაძეს, მართალია 60-70-იანი წლების მათს წერილებში „გატარებულია ფართო დემოკრატიული პრინციპები, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა იმას, რომ მათი სახით „დროება" და მისი დამატება „კრებული" განვიხილოთ, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების

---

[1] იქვე, გვ. 61.
[2] იქვე, გვ. 70.

მოსარჩლენი"[1]. ე. წ. პირველი დასიც და მეორე დასიც ბურჟუაზიულ იდეებს ქადაგებდა, ოღონდ „მეორე დასი უფრო მიუახლოვდა კაპიტალიზმისაგან გამოწვეული დროის მოთხოვნილებას და იწყო სამრეწველო ამხანაგობებისა და რიგ წარმოებათა დაარსების პროპაგანდა. ასევე, კაპიტალისტური პროგრესის გზისაკენ მიუთითებდა ქართველ ხალხს ილ. ჭავჭავაძეც, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო მემამულური მეურნეობის კაპიტალიზმში გადაზრდის გზა"[2]. ჩვენი ავტორი დარწმუნებულია, რომ „დემოკრატიული თავისუფლების პრინციპები" და „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა", რომელსაც თერგდალეულები ქადაგებდნენ, „ემსახურებოდა ახლად წარმოქმნილი ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნას, ახალგაზრდა ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს და წარმოადგენდა ამ კლასის მოქმედების იდეოლოგიურ გამოხატულებას"[3].

კიდევ უფრო მეტი სითამამით იცავს ამ შემცდარ თვალსაზრისს ი. კაჭარავა; ის თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ძველი თეორიის ტრადიციულ და უკვე გაცვეთილ დებულებებს, შემდეგ კი თავს ესხმის იმ მკვლევარებს, რომელთაც არ ესმით, თუ როგორი „პროგრესული" აზრების გამომხატველი იყო გასულ საუკუნეში სიტყვები „ბურჟუა" და „ბურჟუაზიული". აი მისი მსჯელობის ნიმუში:

„სამოლვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ბურჟუაზია. ახალმა კლასმა XIX საუკუნის 60-იან წლებში „ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი" წამოაყენა. ამ პერიოდში ახლის მესიტყვედ გამოდის ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი „თერგდალეულები"... „თერგდალეულები" ახლოს მივიდნენ ხალხთან, ისინი ხელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც „ბურჟუაზიის ნაციონალური კითხვის" გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. „თერგდალეულები" იყვნენ „ბურჟუაზიული ნაციონალური კითხვის" (sic) იდეოლოგები. საერთოდ კი ისინი ობიექტურად ლიბერალური ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე დამდგარ თავად-აზნაურთა იდეოლოგები იყვნენ საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე თავისი დროის დიდი განმანათლებელი და აღ-

---

[1] იქვე, გვ. 75.
[2] იქვე გვ. 77.
[3] იქვე, გვ. 76.

მავალი ბურჟუაზიის იდეოლოგია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მის დიდ როლს საქართველოს ისტორიაში. მაშინ, როდესაც ილია და მისი ჯგუფი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, ბურჟუაზიის იდეოლოგობა პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეს ნიშნავდა. ეს ხშირად უგულებელყოფილია ქართველი საზოგადოებრივი აზრისა და ხალხის ისტორიის მკვლევართა მიერ; „ბურჟუაზია" და „ბურჟუაზიული" განხილული უნდა იქნეს ისტორიული თვალსაზრისით"[1].

ამას უშუალოდ მოსდევს ციტატი ვ. ი. ლენინის ცნობილი ნაშრომიდან „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?"[2], რომელმაც ი. კაჭარავას აზრით, უნდა დაგვარწმუნოს, რომ ბურჟუები არც ისე ცუდი ხალხი ყოფილა, როგორც ეს „ზოგიერთებს" წარმოუდგენია; რომ ისინი „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშენი იყვნენ" და ა. შ.

სამწუხაროდ, მთელი ეს მსჯელობა გაუგებრობის ნაყოფია. ჩვენი ავტორების (ძველი თეორიის დამცველების) შეცდომა ის არის, რომ მათ ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა ბურჟუაზიული განვითარების კანონზომიერებანი პირდაპირ, მექანიკურად გადმოაქვთ საქართველოში და არავითარ ანგარიშს არ უწევენ არც დროთა ბრუნვით გამოწვეულ ისტორიულ ცვლილებებს, არც ადგილობრივი ვითარების თავისებურებებს. იქ, ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში, ბურჟუაზია მართლაც ანტიფეოდალური რევოლუციის ხელმძღვანელი ძალა და იმდროინდელი პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშე იყო; სწორედ ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა იქ ე. წ. „მესამე წოდების" (მათ შორის გლეხობის) ბრძოლას ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში გლეხობა მისი მოკავშირე იყო, ბურჟუაზია კი გლეხობის ინტერესების ერთგული დამცველი, — რევოლუციური ძალა, რომელიც აზანზარებდა ძველ სამყაროს.

მაგრამ ყოველივე ეს იყო საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში. მომდევნო ხანაში, თუნდაც უკვე 1848 წლის ბურჟუაზიუ-

---

[1] ი. კაჭარავა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, 1959 წ., გვ. 43-44.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ 2, გვ. 628.

ლი რევოლუციების პერიოდში, თვით ევროპაშიც კი ძირფესვიანად შეიცვალა რევოლუციაში ბურჟუაზიის როლი და, მაშასადამე, შეიცვალა ბურჟუაზიული რევოლუციების მამოძრავებელი ძალების ხასიათი. ეს ცვლილება კიდევ უფრო მკვეთრად გამოიხატა რუსეთის იმპერიაში რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებებისა და გატარების (1861 — 1905 წლების) პერიოდში.

ეს საკითხი ლენინიზმში დიდი ხანია გადაწყვეტილია და სამწუხაროა, რომ დღეს კვლავ გვიხდება ამაზე მსჯელობა, მაგრამ, როგორც ჩანს, უამისოდ ვერ მოვიშორებთ ძველ ტვირთს, რომელიც ლოდივით გვაწევს და წინსვლას გვიშლის. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ სათანადო ამონაწერებს ვ. ი. ლენინის ნაშრომებიდან.

ეხება და ანალიზს უკეთებს რა ჩვენთვის საინტერესო საკითხს, ვ. ი. ლენინი თავის საპროგრამო ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“, ამბობს: „...მარქსისტების ერთი ნაწილი, სახელდობრ მარჯვენა ფრთა, ყოველთვის კმაყოფილდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგადი, აბსტრაქტული, შაბლონური გაგებით და ვერ შესძლო გაეგო ამ ბურჟუაზიული რევოლუციის, სწორედ როგორც გლეხური რევოლუციის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ხასიათი... როგორც ცნობილია, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მომხდარი გათიშვის დასაწყისში, 1903 წელს კაუტსკი უკანასკნელთა მხარეზე დადგა. 1907 წელს, რუსეთის რევოლუციაზე დაკვირვების შემდეგ, რომლის შესახებაც არა ერთხელ დაუწერია კაუტსკის, იგი ერთბაშად მიხვდა, რა შეცდომა დაუშვა პლეხანოვმა, რომელმაც მას თავისი ცნობილი შეკითხვის ფურცელი გაუგზავნა. ამ შეკითხვის ფურცელში პლეხანოვი ეკითხებოდა მ ხ ო ლ ო დ რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე და არ გამოჰყოფდა გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციის ცნებას, არ ცდილობდა გაეხსნა ფრჩხილები: „ბურჟუაზიული დემოკრატია“, „ბურჟუაზიული ოპოზიციური პარტიები“. კაუტსკიმ გაასწორა ეს შეცდომა და პლეხანოვს უპასუხა, რომ ბურჟუაზია არ წარმოადგენს რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელ ძალას, რომ ამ გაგებით ბურჟუაზიული რევოლუციების დრო წასულია, რომ „ინტერესთა მტკიცე ერთობა მთელი რევოლუციური ბრძოლის პერიოდში არსებობს მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის (დასა-

ხელებული ბროშურა, გვ. 30-31); რომ „სწორედ ეს (ინტერესთა ეს სიმტკიცე) უნდა დაედოს საფუძვლად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელ რევოლუციურ ტაქტიკას“ (იქვე, გვ. 31). აქ სრულიად ნათლად არის გამოთქმული ბოლშევიკური ტაქტიკის საფუძვლები წინააღმდეგ მენშევიკურისა... პლეხანოვმა ვერ გაიგო გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციის არა გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავების საკითხი“[1].

სხვა ადგილას, სახელდობრ ნაშრომში „პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციაში“, ლენინი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ამბობს:

„პლეხანოვის მეორე შეცდომა კაუტსკიმ გაასწორა იმით, რომ ნათლად და გარკვევით გამიჯნა „ლიბერალური“ და გლეხური ბურჟუაზიული დემოკრატია...შევნიშნავთ, რომ კაუტსკი, როდესაც იცავს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის იდეას, არსებითად არავითარ „ახალ“ იდეას არ აყენებს, არამედ სავსებით მიდის მარქსისა და ენგელსის გზით. მარქსი 1848 წელს „რეინის ახალ გაზეთში“ წერდა: „მსხვილმა ბურჟუაზიამ — ლაპარაკია 1848 წლის 18 მარტის შემდეგდროინდელ გერმანელ ბურჟუაზიაზე, — თავიდანვე ანტირევოლუციურმა, თავდაცვითი და შეტევითი კავშირი დასდო რეაქციასთან ხალხის შიშით, ე. ი. მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის შიშით“. „გერმანიის 1848 წლის რევოლუცია, — წერდა მარქსი 1848 წლის 29 ივლისს,—საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მხოლოდ პაროდია არის... საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიას ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავისი მოკავშირეები, გლეხები... გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზია სრულიად ურცხვად ღალატობს გლეხებს...“

მარქსი აქ ბურჟუაზიული რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში აშკარად უპირისპირებს ერთმანეთს რეაქციასთან შეკავშირებულ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს პლუს დემოკრატიული ბურჟუაზია, ე. ი. უმთავრესად გლეხობა“[2].

ამრიგად, ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, და უფრო გვიან ეს კაუტსკიმაც შენიშნა, რომ 1848 წლიდან მოკიდებული ბურჟუაზიულ რევოლუციებში ბურჟუაზია აღარ გამოდიოდა რო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 440—442.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 459—460.

გორც მისი მამოძრავებელი ძალა და პროლეტარიატს, რომელიც ჭველი. წყობილების წინააღმდეგ ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლი იყო, გვერდში ედგა (როგორც მოკავშირე) არა ბურჟუაზია, არამედ გლეხობა. დიდმა ლენინმა, რომელიც მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას ეყრდნობოდა, რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ძალთა კონკრეტული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა ბოლშევიკური პარტიის ახალი ტაქტიკური ხაზი და მუშათა კლასი წაიყვანა არა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, არამედ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში მეფისა და მემამულეების ძალაუფლების დასამხობად.[1]

შესაძლოა ჩვენ შემოგვედავონ და გვითხრან, ყოველივე ეს სწორია 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდისათვის, მაგრამ არ ვრცელდება გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ხანაზეო. ამის გასაბათილებლად ჩვენ მივუთითებთ ლენინის მიერ არა ერთხელ გამოთქმულ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ „1861 წელმა წარმოშვა 1905 წელი"[2] და რომ „1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომელნიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს".[3]

ასეთია რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (1861—1905 წწ.) ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის როლის მეცნიერული გაგება.

ამის შემდეგ გასაგები და სავსებით ბუნებრივია, რომ ლენინი ყოველთვის დაუნდობლად ამათრახებდა ბურჟუა-ლიბერალების პოლიტიკას, დასცინოდა მათ შემარიგებლურ-ლაქიურ სულს, ზრდიდა მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ბურჟუაზიასთან შეურიგებლობის სულისკვეთებით. ლენინი თითქმის ყოველთვის ზიზღით ლაპარაკობდა ლიბერალებზე (ე. ი. ბურჟუებზე) და იშვიათად თუ დასც-

---

[1] უფრო დაწვრილებით ახსნა-განმარტებას აქ აღძრულ საკითხზე მკითხველი იპოვის ვ. ი. ლენინის კლასიკურ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" (თხზულებანი, ტ. 9).

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 132.

[3] იქვე, გვ. 128-129.

დებოდა თბილი სიტყვა ბურჟუაზიის რომელიმე იდეოლოგზე.[1] წერილში „საგლეხო რეფორმა და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია“, ლენინი 60-იანი წლების ლიბერალების შესახებ ამბობდა:

„ლიბერალებს უნდოდათ რუსეთი „გაენთავისუფლებიათ“ „ზევიდან“, არ დაერღვიათ არც მეფის მონარქია, არც მემამულეთა მიწათმფლობელობა და ბატონობა, და მხოლოდ ურჩევდნენ მათ „დაეთმოთ“ დროის მოთხოვნილებისათვის... 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ „მ ო ლ ა ყ ბ ე ნ ი, მ კ ვ ე ხ ა რ ე ბ ი დ ა ს უ ლ ე ლ ე ბ ი“ უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათს შიშს რევოლუციის წინაშე, მათ უხასიათობას და ყურმოჭრილ მონობას ძლიერთა წინაშე“.[2]

. ყოველივე ამის შემდეგ რაღა ფასი უნდა ჰქონდეს ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსის მტკიცებას: თითქოს გასული საუკუნის 60-იან წლებში ბურჟუა-ლიბერალები „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშენი“ იყვნენ? ასე წერა და ასე მსჯელობა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც ვერ იცნობენ რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში ბურჟუაზიის როლის ლენინურ თეორიას, რაზედაც ეს-ეს არის გვქონდა საუბარი.

გაცილებით უფრო თანმიმდევრულ, თუმცა აშკარად არასწორ პოზიციაზე დგანან ის თანამედროვე რუსი ისტორიკოსები, რომლებიც თავიანთ განმაზოგადებელ ნაშრომებში თერგდალეულთა მოღვაწეობას ეხებიან და მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი არსის განსაზღვრას ცდილობენ. რუსი საბჭოთა ისტორიკოსები (ყოველ შემთხვევაში მათი დიდი უმრავლესობა) ამ საკითხში ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებს ეყრდნო-

---

[1] რამდენიმე ასეთი თბილი სიტყვა ლენინს ნათქვამი აქვს ცნობილ ბურჟუა სკალდინზე და მის მსგავს ლიბერალ-განმანათლებლებზე წერილში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ ლენინის ამ სიტყვებს სრულიად უადგილოდ იმოწმებს ი. კაჭარავა ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში. ლენინი სკალდინს უწოდებს განმანათლებელს, რაც სავსებით სწორია, რადგან 60-იან წლებში განმანათლებელთა რიგებში დემოკრატებთან ერთად არაიშვიათად ლიბერალებიც მოხვდებოდნენ ხოლმე, მაგრამ არც ერთი ლიბერალი არ ამაღლებულა და არც შეიძლებოდა, რომ ამაღლებულიყო რევოლუციური დემოკრატების პოზიციებამდე; ლენინს აზრადაც კი არ ჰქონია ბურჟუა-ლიბერალი სკალდინი ჩერნიშევსკი-დობროლუბოვის სიმაღლეზე აეყვანა და მათთვის გაეთანაბრებია.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 129-130.

ბიან და ამის შესაბამისად თერგდალეულებს ისინიც ლიბერალებად, ე. ი. ბურჟუაზიის იდეოლოგებად სთვლიან, მაგრამ ქართველ ისტორიკოსთაგან (ძველი თეორიის დამცველთაგან) განსხვავებით, ისინი საგანს პირდაპირ თავის სახელს არქმევენ და თუმცა აღიარებენ თერგდალეულთა ერთგვარ პროგრესულ როლს ქართული კულტურის განვითარებაში, მაგრამ სრულიადაც არ ცდილობენ ლიბერალები „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეებად" გამოაცხადონ. აი, მაგალითად, როგორ არის შეფასებული თერგდალეულთა მოღვაწეობა და იდეოლოგია ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ, სსრ კავშირის ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოში:

«В Закавказье национальное движение среди дворянской и буржуазной интеллигенции в первую очередь проявилось в Грузии и Армении. В Грузии оно было представлено двумя группами: либерально-помещичьей (газета «Иверия»), призывавшей дворян стать во главе капиталистического развития, и буржуазно-либеральной (Г. Церетели, Н. Николадзе и др.), ратовавшей за развитие промышленности и торговли. Обе группы, играя прогрессивную роль в развитии грузинской культуры, грузинского языка и литературы, отражали чаяния грузинской буржуазии, стремившейся к овладению национальным рынком. Обе группы стремились ужиться с царизмом и стояли на страже интересов господствующих классов грузинской нации»[1].

ამ სტრიქონების ავტორმა, ცხადია, ცუდად იცის საქართველოს იმ პერიოდის ისტორია, სამაგიეროდ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მან კარგად .იცის თეორია: ვინც იტყვის თერგდალეულები ლიბერალებიაო, მან ისიც უნდა თქვას, რომ ისინი მეფისა და გაბატონებული კლასების ლაქიები არიანო; ხოლო ვინც იმას გვიქადაგებს, ჩვენებური ბურჟუა-ლიბერალები „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშენი" იყვნენო, ის თვალებს გვიხვევს.

მკითხველი, რა თქმა უნდა, შეამჩნევდა, რომ აქამდე ჩვენ უმ-

---

[1] იხ. «История СССР», том II, М. 1959, стр. 278.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოში ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე და სხვა ქართველი რევ.-დემოკრატები გათანაბრებულია არა მ. ნალბანდიანთან და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატებთან, არამედ „მშაკის" რედაქტორ არწრუნთან და მის მსგავს ბურჟუაზიულ ლიბერალებთან.

თავრესად ვლაპარაკობდით რუსეთის ბურჟუაზიაზე, მაგრამ რამდენადაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ჩვენ სრული უფლება გვაქვს იმდროინდელი რუსეთის სოციალური ცხოვრების შესახებ გამოთქმული ზოგადთეორიული დებულებანი საქართველოზედაც გავავრცელოთ; ცხადზე უცხადესია, რომ ყოველივე ის, რასაც ლენინი რუსეთის ბურჟუაზიის როლის შესახებ ამბობს, შეეხება საქართველოს ბურჟუაზიასაც, რომელიც ეროვნებით უმთავრესად სომხური, რუსული და ევროპული წარმოშობის კაპიტალისტებისაგან შესდგებოდა.

რაც შეეხება საკუთრივ ქართველ, ეროვნულ ბურჟუაზიას, რეფორმების წინ და თვით რეფორმების ხანაში (60-იან წლებში) მას არა თუ „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეობა" არ შეეძლო, არამედ ის იმ დროს არც კი არსებობდა როგორც კლასი. თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში სავსებით დამტკიცებულია და არავინ დავობს იმის შესახებ, რომ რეფორმების წინ და თვით რეფორმების ხანაში ქართველი ბურჟუაზია როგორც კლასი არ არსებობდა და მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი როგორც კლასის ჩამოყალიბება მოხდა რეფორმის შემდეგ პერიოდში. 60-იან წლებში საქართველოში არ ყოფილა არც ქვანახშირის (არსებითად) და არც მარგანეცის მრეწველობა. არ ყოფილა არც ბათუმის ნავთის გადამმუშავებული ქარხნები (ბათუმი იმ დროს ჯერ კიდევ თურქეთის ხელში იყო), არც ფოთის ნავთსადგური, არ ყოფილა არც ერთი რკინიგზა და სარკინიგზო ქალაქი; მთელი მაშინდელი საქართველოს მრეწველობა, რომელიც თავმოყრილი იყო თბილისში და რამდენიმე პატარა ქალაქში, თითქმის მთლიანად უცხო კაპიტალისტების ხელში იყო[1].

---

[1] საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით ს. ხუნდაძეც აღიარებდა 60-იანი წლების საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიის არ არსებობის ფაქტს. „ისტორიული ფაქტია, — ამბობდა ის ჯერ კიდევ 1927 წელს ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", — რომ ჩვენში ბურჟუაზიული კლასი არ ჩამოყალიბებულა და არც არსებულა მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე" (იხ. ტ. I, გვ. 27; აგრეთვე, ტ. II, გვ. 296). მაშ, როგორღა შეიძლება არ არსებული კლასის იდეოლოგიაზე ვილაპარაკოთ და არა მარტო ვილაპარაკოთ, არამედ ასეთი კლასის იდეოლოგიად გამოვაცხადოთ ეპოქის ყველაზე მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობა? ისეთ ნიჭიერ მკვლევარს, როგორიც ს. ხუნდაძე იყო, არ შეიძლებოდა ნაწილობრივ მაინც არ ეგრძნო ამ კითხვის კანონიერება და მაშასადამე, მის მიერ შექმნილ კონცეფციის შეუსაბამობა. რა თქმა უნდა, ის ამას გრძნობდა, მაგრამ რაკი პრობ-

მაგრამ საისტორიო მეცნიერებასაც რომ თავი დავანებოთ, განა ქართული კლასიკური ლიტერატურის ყოველი მცოდნესათვის ნათელი არ არის, რომ 60-იან წლებში ჩვენში ეროვნული ბურჟუაზია მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა? სოლომონ იაკიჩ მეჯღანუაშვილი უდავოდ იმდროის ტიპიური ფიგურაა, მაგრამ განა სასაცილო არ არის ვამტკიცოთ, რომ მეჯღანუაშვილები იმდროინდელი „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშენი" იყვნენ?! ან კიდევ: ილია, აკაკი და მათი სახელოვანი თანამებრძოლები მეჯღანუაშვილების იდეოლოგები იყვნენო?!

არა, ილია ჭავჭავაძე მეჯღანუაშვილებს კი არ უმღეროდა, არამედ კაკოს, ზაქროს, გაბროს, პეპიას, ოთარაანთ ქვრივს და გიორგის; სწორედ ესენი — მშრომელი ქართველი გლეხობის წარმომადგენლები — იყვნენ, ილიას აზრით, ქართველი ერის სული და გული, მისი მომავალი, და სწორედ მათზე ამყარებდა ის მთელ თავის იმედს. ამ ფაქტის არ დანახვა ისტორიული სინამდვილის წინაშე თვალის დახუჭვას ნიშნავს.

ამრიგად, არ არსებობს არავითარი საბუთი, არც თეორიული და არც ისტორიული, რომელიც ოდნავ მაინც მიგვითითებდა, რომ თითქოს ჩვენებური ბურჟუაზია „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშე" იყო. პირიქით, ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეთი აზრი დიდი ხნის დრომოჭმული მითია.

4. ბურჟუაზიული რეფორმების ეპოქაში ნამდვილი დემოკრატია გლეხური დემოკრატიაა

თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასებაში დაშვებული სერიოზული შეცდომების მეორე წყარო გლეხობის ისტორიული როლისა და გლეხური დემოკრატიის მნიშვნელობის არასწორი გაგებაა.

ძველი თვალსაზრისის დამცველები (წინანდელი მოაზროვნეე-

ლვმის ნამდვილი მეცნიერული ახსნა ვერ მოახერხა, სცადა შექმნილი უხერხულება ნაწილობრივ მაინც შეერბილებია; სწორედ ამ მიზნით დაიმოწმა მან პლეხანოვის სიტყვები „ფსიხოლოგიური ევოლუცია წინ უსწრებს ეკონომიურ რევოლუციას"-ო (ს. ხუნდაძე, „ნარკვევები", 1941, გვ. 270). მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მან ვერ გაიგო ამ დებულების აზრი. სინამდვილეში პლეხანოვი და ყოველი ნამდვილი მარქსისტი სწორედ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რასაც მას ს. ხუნდაძე მიაწერს (Г. В. Плеханов. К вопросу о развитии монистического взгляда на историю, 1938, გვ. 99-100).

ბიცა და საბჭოთა მკვლევარებიც) ვერ ითვალისწინებენ რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის, როგორც გლეხური რევოლუციის, თავისებურებებს და გვერდს უვლიან ამ რევოლუციის მომზადებაში გლეხობის როლის საკითხს, რის გამოც მათთვის სრულიად გაუგებარი რჩება წვრილბურჟუაზიულ-გლეხური დემოკრატიის ისტორიული მნიშვნელობა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ მკვლევართა კონცეფციაში უდავოდ არის ერთგვარი ლოგიკა: რაკი მათ ისტორიული პროგრესის მედროშედ ბურჟუაზია აღიარეს, გლეხობას, ცხადია, კუდში მოჩანჩალის როლი უნდა რგებოდა და არც მისი საკუთარი გმირული ბრძოლა და არც მის იდეოლოგთა თავდადებული მოღვაწეობა ანგარიშში ჩასაგდები არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მათი ლოგიკა სრულიად ყალბ წინამძღვრებზეა აშენებული.

ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით გლეხობაზე ქართველ ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა შეხედულებების გარჩევას, რადგან ეს საჭირო არ არის: ისინი სწორედ იმიტომ იწოდებიან ბურჟუაზიულ მოაზროვნეებად, რომ ბურჟუაზიის თვალსაზრისს გამოხატავენ, ბურჟუაზია მიაჩნიათ ერის წინამძღოლად და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ; ასეთ ხალხს კი ცხადია, ვერ მოვთხოვთ გლეხობის როლის სწორი გაგება მოეცათ.

სულ სხვანაირად დგას საკითხი მუშათა კლასის იდეოლოგების — მარქსისტების მიმართ. სწორედ ისინი — მუშებისა და გლეხების ინტერესთა ეს ნამდვილი და თანმიმდევარი დამცველები — ისტორიის მიერ მოწოდებული იყვნენ ამაღლებულიყვნენ გლეხობის როლის სწორ გაგებამდე; სწორედ მათ მოეთხოვებოდათ მუშათა კლასის მტერ-მოყვარის გარჩევა, ლიბერალური იდეოლოგიისაგან გლეხური დემოკრატიის გამოყოფა და მისი ისტორიული მნიშვნელობის სწორი, მეცნიერული გაგება.

ცნობილია, რომ რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფის — „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროგრამის ყველაზე სუსტი ადგილი სწორედ გლეხობის როლის არასწორი გაგება იყო. ამ ჯგუფის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, გამოჩენილი მარქსისტი გ. პლეხანოვი ვერ აფასებდა გლეხობის როგორც რევოლუციაში მუშათა კლასის მოკავშირის როლს. „პლეხანოვს ლიბერალური ბურჟუაზია მიაჩნდა ისეთ ძალად, რომელსაც შეეძლო რევოლუციისათვის მხარდაჭერა, თუმცა არამტკიცე მხარდაჭერა, გლეხობას კი ზო-

გიერთ თავის შრომაში იგი სრულებით არ იღებდა მხედველობაში".[1]

პლეხანოვის შეცდომებმა შემდეგში საკმაოდ გაიდგა ფესვები როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში[2]. საჭირო გახდა დიდი ლენინისა და მისი თანამებრძოლების ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა ამ შეცდომების დასაძლევად, გასანადგურებლად და უკუსაგდებად. მაგრამ ზოგიერთი ისტორიული საკითხის გაგებაში, კერძოდ კი თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასებაში ეს შეცდომები დღემდე არ არის ბოლომდე დაძლეული. სამწუხაროდ, ეს გარემოება ბევრი მხრით აიხსნება იმ არასწორი პოზიციით, რომელიც ამ საკითხში დაიკავა ცნობილმა რევოლუციონერმა და საზოგადო მოღვაწემ ფ. მახარაძემ.

ჯერ კიდევ 1904 წელს ნაშრომში „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო" ფ. მახარაძე შემდეგნაირად ახასიათებდა რეფორმების ხანის საქართველოს საზოგადოებრივ ვითარებას:

„რას წარმოადგენდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი საზოგადოება?

ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილი არ არის. როცა რომელიმე საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ განსაკუთრებით ხალხის ის ნაწილი გვყავს მხედველობაში, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და საზოგადოებრივ განვითარებას თავის დაღს ასვამს. პროგრესიულ როლს თამაშობს ესა თუ ის საზოგადოება, თუ რეგრესიულს, ეს სულ სხვა კითხვაა. როცა, მაგ; ჩვენ ვახასიათებთ ძველ საბერძნეთის, გინდ რომის საზოგადოებას, ჩვენ არ ვეხებით მაშინდელ მონებს, არ ვიღებთ მხედველობაში იმათ ზნე-ჩვეულებათ; ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს მაშინდელი თავისუფალი მოქალაქენი, რომლებიც თავის ქვეყნის საქმეებს განაგებდნენ...

ვისგან შედგებოდა ჩვენში საზოგადოება ამ ნახევარი საუკუნის წინათ? რა იყო ამ საზოგადოების განზრახვა და მისწრაფება? რაში გამოიხატებოდა მისი ხასიათი და ზნე-ჩვეულება? რა და რა ჯგუფებისაგან შედგებოდა მაშინდელი ჩვენი საზოგადოება?

ქართველი საზოგადოება ამ ნახევარი საუკუნის წინათ თითქმის მარტო თავადაზნაურობისაგან შესდგებოდა. გლეხკაცობაზე არ შე-

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1952, გვ. 20.

[2] იხ. ამ საკითხზე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957, გვ. 38.

იძლება ვილაპარაკოთ, ვინაიდან იგი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო და ამიტომ მას არ შეეძლო საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. მართალია უმისოდ არ შეიძლებოდა თვით საზოგადოების არსებობა, მაგრამ იგი ცხოვრობდა ისეთ პირობებში, რომ მას თავის გულიდან არ შეეძლო რაიმე საზოგადოებრივი ძალის წარმოშობა, მომქმედ ჯგუფის წამოყენება საზოგადო სარბიელზე. მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ჩვენს გლეხკაცობაში ჩნდება ასეთი ჯგუფის, ასეთი ძალის წარმოშობის ნიშნები.... რაც შეეხება სხვა საზოგადოებრივ ელემენტებს... მხოლოდ ვაჭრები და ჩარჩები ჩნდებიან აქა-იქ, მაგრამ როგორც საზოგადოებრივი ძალა, იმათი მნიშვნელობა ჯერ კიდევ მცირე იყო იმ ხანებში. ამნაირად დაგვრჩა მხოლოდ თავადაზნაურობა... ბურთი და მოედანი იმ ხანებში, რომლებზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოთ, როგორც იყო კიდევ, ისევ მხოლოდ თავადაზნაურობას ჰქონდა დათმობილი".[1]

რაც შეეხება იმ „ნიშნებს", რომლებიც ვითომც გვიჩვენებდნენ, რომ გლეხობაში უნდა წარმოშობილიყო რაიმე საზოგადოებრივი ძალა, ასეთ ნიშნებად ავტორს საზოგადოებრივ ასპარეზზე დ. ჭონქაძის გამოჩენა მიაჩნია. დ. ჭონქაძის მოღვაწეობა, მისი აზრით, სრულიადაც არ არის 60-იანი წლებისათვის დამახასიათებელი მოვლენა, პირიქით, ჭონქაძე თავისი დროის არაჩვეულებრივი მოვლენაა, გამონაკლისია, რომელსაც არც წინაპარი ჰყოლია და არც გამგრძელებელი მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში (ე. ნინოშვილამდე). აი, რას ამბობს ამის შესახებ თვით ავტორი:

„იმ დროებაში დ. ჭონქაძე არა თუ იშვიათი, არამედ თითქმის ერთადერთი პირი იყო, რომელიც თვით ხალხისაგან იყო გამოსული და რომელსაც ხალხის გასაჭირი აწუხებდა და აფიქრებდა. იგი ერთადერთი პირი იყო, რომელსაც ხალხის კეთილდღეობა სწყუროდა. მაგრამ მისი მოღვაწეობისათვის ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მომზადებული. საზოგადოებრივ მოღვაწეობის ნიადაგზე მას არ შეეძლო შთამომავლობის დატოვება, რომ მისთვის თავის წმინდა ანდერძი გადაეცა; ერთი სიტყვით, იმ დროს არ იყვნენ ჭონქაძეები. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს, რომელიც იმ დროს მხოლოდ ლიტერატურით ისაზღვრებოდა, დაეპატრონენ ისეთი პირები, რომ-

---

1 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. V, გვ. 128-129.

ლებიც მებატონეთა წოდებიდან იყვნენ გამოსული. ამათ მწერლობა ხალხისათვის როდი უნდოდათ; ის იმათთვის უფრო ან დროს გასატარებელი და ან სახელის მოსახვეჭი საშუალება იყო"[1].

ასეთია ფ. მახარაძის თვალსაზრისი.

ძნელი დასანახი არ არის, რომ აქ ავტორი აშკარად არამარქსისტულად უდგება ისტორიულ მოვლენათა ახსნას, აუბრალოებს და არასწორად წარმოგვიდგენს 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სურათს. ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში დაშვებულია რამდენიმე არსებითი შეცდომა, რომლებმაც შემდგომში დიდი უარყოფითი როლი ითამაშეს თერგდალეულთა მემკვიდრეობის სწორად გაგებისა და დაფასების საქმეში.

ჯერ ერთი, მეთოდოლოგიურად არასწორია ავტორის მიერ თვით საკითხის დაყენება: მარქსისტული თეორიის თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია იმის მტკიცება, რომ თითქოს მონებს „თავის დაღი არ დაუსვამთ" მონათმფლობელური საზოგადოების განვითარებისათვის; პირიქით, კარგად ცნობილია, რომ მარქსიზმის თვალსაზრისზე მდგომ მკვლევარებს სწორედ მონათა მრავალრიცხოვანი აჯანყებები მიაჩნიათ ერთ-ერთ უდიდეს შინაგან ფაქტორად, რომელმაც საფუძველი შეურყია მონათმფლობელურ წყობილებას და გამოიწვია იმ დროისათვის პროგრესულ, ფეოდალურ წყობილებაზე გადასვლა.

კიდევ უფრო მიუტევებელი შეცდომაა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევისა და კაპიტალიზმის გამარჯვების ეპოქაში გლეხობის გამოთიშვა საზოგადოებისაგან და მისი უდიდესი ისტორიული როლის არ დანახვა. „გლეხკაცობაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, ვინაიდან იგი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყოვო",— ამბობს ავტორი, მაგრამ განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ გლეხობის უუფლებობა ვერ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს იგი არავითარ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა იმდროინდელი საზო-

---

[1] იქვე, გვ. 190. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა ა. ჯორჯაძეც, რომელიც თავის ერთ-ერთ ვრცელ გამოკვლევაში ამბობდა: „ჩვენში როგორც რომანტიკოსი პოეტები იყვნენ თავად-აზნაურნი, ისე მესამოცე წლების მოღვაწენიც იგივე თავად-აზნაურები იყვნენ. იმ ხანაში ჩვენში არ იყო შეხლა „რაზნოჩინცებისა" თავად-აზნაურულ ინტელიგენციასთან (ჭონქაძეები გამონაკლისს შეადგენდნენ). (იხ. მისი თხზულებანი, წიგნი მეხუთე, გვ. 76).

გადოების ცხოვრებაში და „თავის დაღს არ ასვამდა“ ცხოვრებას?! გლეხობა ბატონყმობის დროს რუსეთშიც ისეთივე უუფლებო წოდება იყო, როგორც საქართველოში, მაგრამ ვინ, რომელმა მარქსისტ-ლენინელმა უარყო რუსეთის გლეხობისა და მისი იდეოლოგების — ჩერნიშევსკის სახელოვანი თაობის უდიდესი ისტორიული როლი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ან კიდევ: ვინ არ იცის დღეს, რომ თუმცა ქართველი გლეხობა ბატონყმობის დროს უუფლებო იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, და თუ გნებავთ სწორედ ამიტომ, ის თავგანწირვით იბრძოდა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, იბრძოდა იმისათვის, რომ მოეპოვებინა ეს უფლებები, მოეპოვებინა მიწა და ადამიანური ცხოვრების პირობები. ფ. მახარაძემ მშვენივრად იცოდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით კი სწორედ ბატონყმობის გაუქმების წინ, საქართველოს გლეხობა იარაღით ხელში აქტიურად ებრძოდა მემამულეებსა და მეფის მთავრობას, მაგრამ თავისი ვულგარული მეთოდის წყალობით ის ვერ ამჩნევდა იმ პირდაპირ კავშირს, რომელიც არსებობდა გლეხობის ამ ბრძოლასა და თერგდალეულთა რევოლუციურ იდეებს შორის.

როგორც ვიცით, ლენინმა ბელინსკის ცნობილ წერილში გოგოლისადმი სრულიად სამართლიანად დაინახა ყმა გლეხთა სულიერი განწყობილება;[1] საკვირველია, რომ ჩვენმა მარქსისტებმა ეს განწყობილება ისეთ ნაწარმოებებშიც კი ვერ შენიშნეს, როგორიცაა „კაკო ყაჩაღი“ და „აჩრდილი“.

შემდეგ. უდავოდ შემცდარი და არამარქსისტულია ის აზრი, რომ თითქოს მარტო გლეხობის წრიდან გამოსულ მოღვაწეს შეუძლია გამოხატოს გლეხობის სულისკვეთება და მისწრაფებანი, ე. ი. გახდეს გლეხობის იდეოლოგი. ეს თვალსაზრისი რომ სწორი იყოს, დიდი ხანია ჩამოერთმეოდათ რევოლუციური დემოკრატის ტიტული რუსეთის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ: გერცენი, ოგარიოვი, ნეკრასოვი, პისარევი, სალტიკოვ-შჩედრინი და მრავალი სხვ., რადგან ყველა ისინი თავად-აზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი; ასევე დაემართებოდა ბელორუსი ხალხის სიამაყეს, გამოჩენილ რევოლუციურ დემოკრატს კ. კალინოვსკისაც, რომელიც თუმცა

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 16, გვ. 148.

შთამომავლობით „დვორიანინი“ იყო, მაგრამ თავდადებით იბრძოდა გლეხობის ინტერესებისათვის.

დაბოლოს, სრულებით არ შეეფერება ისტორიულ სიმართლეს და არასწორია იმის მტკიცება, რომ თითქოს დ. ჭონქაძე ხალხის წრიდან გამოსული ერთადერთი პირი იყო, რომელსაც „ხალხის კეთილდღეობა სწყუროდა“, ხოლო ყველა დანარჩენი იმდროინდელი მოღვაწენი „მებატონეთა წოდებიდან იყვნენ გამოსული“ და მათ ლიტერატურა უფრო დროს გასატარებელ, გასართობ საქმედ მიაჩნდათო. რა მებატონეები იყვნენ, მაგალითად, თერგდალეულთა ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები როგორიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და იაკობ გოგებაშვილი? ან კიდევ: ანტონ ფურცელაძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვანი? რაც შეეხება იმ თერგდალეულებს, რომლებიც შთამომავლობით მართლაც თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდნენ, მათი დიდი უმრავლესობაც როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, გაღარიბებული ოჯახის შვილები იყვნენ და თავად-აზნაურისა არსებითად მარტო სახელიღა ჰქონდათ შერჩენილი. თვით ილია ჭავჭავაძე, რომლის მამა-ბიძანი ირან-თურქეთისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში დაეცნენ და განადგურდნენ, პეტერბურგში ნასესხები ფულით გაემგზავრა და სიღარიბის გამო განთავისუფლებულიც კი იყო სწავლის ქირისაგან; გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო, დავით, ბესარიონ ღოღობერიძეები და ბევრი სხვა თერგდალეული პეტერბურგში ყოფნისას უდიდეს მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ და უმთავრესად სტიპენდიით ან კერძო გაკვეთილებით ცხოვრობდნენ. არა გვგონია შეეცდეთ, ოუ ვიტყვით, რომ ალბათ მარტო გერცენსა და ოგარიოვს თავიანთი მამულებიდან იმაზე მეტი შემოსავალი ექნებოდათ, ვიდრე ყველა თერგდალეულს ერთად, მაგრამ ვის, რომელ მარქსისტს მოსვლია რუსეთში აზრად ამ საბუთით მათი რევოლუციური მოღვაწეობა უარეყო? ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმ საოცარ ლოგიკაზე, რომლის დახმარებით ავტორმა ილიას და აკაკის მთელი შემოქმედება „გასართობ საქმედ“ გამოაცხადა.

ამრიგად, არც თეორიულად და არც ისტორიულად არ არის მართალი ის აზრი, რომ თითქოს ბურჟუაზიული რეფორმების წინ და თვით რეფორმების ხანაში ქართველი საზოგადოება მარტო თავადაზნაურობისაგან შედგებოდა და ცხოვრების ასპარეზზე ბურთი და მოედანი მარტო მას ეჭირა, რომ თითქოს გლეხობა იმ დროს არავითარ საზოგადოებრივ როლს არ თამაშობდა, ხოლო გლეხური იდეო-

ლოგია არც კი არსებობდა. სინამდვილეში, ცხადია, სულ სხვა ვითარება იყო. ნამდვილად მარქსისტული თვალსაზრისით შეიარაღებული მკვლევარისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის დამტკიცება, რომ იმ ეპოქაში სწორედ გლეხობა წარმოადგენდა ძველი წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ მთავარ ძალას, ხოლო გლეხობის იდეოლოგები — მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა — პროგრესის ნამდვილი მედროშენი იყვნენ.

ფ. მახარაძის შემცდარი თვალსაზრისი შემდეგში, როგორც ვიცით, შესცვალა ს. ხუნდაძის ასევე შემცდარმა კონცეფციამ, რომელშიც რეაქციული თავადაზნაურობის ადგილს ლიბერალები იჭერენ, ხოლო გლეხობისა და საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის ისტორიული როლი კვლავ უგულვებელყოფილი რჩება. გ. წერეთელ-ს. ხუნდაძის თეორიის მიმდევრებს გლეხობა სრულებით არ სჭირდებათ და არც იწუხებენ თავს მისი როლის შესწავლა-გარკვევისათვის. მათ სავსებით აკმაყოფილებს ძველი, ტრაფარეტული სქემა: იყო ფეოდალური წყობილება, მოვიდა კაპიტალიზმი, თავადაზნაურობა შესცვალა ბურჟუაზიამ; ეს უკანასკნელი ახალი, აღმავალი კლასია და, მაშასადამე, ის არი ახალი, მოწინავე იდეების მატარებელი, პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშე. რაღა საჭიროა აქ კიდევ გლეხობის შემოჩრა?

დაახლოებით ასე მსჯელობდნენ ძველი თეორიის მიმდევრები და ისინი სავსებით დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ მარქსისტულ თვალსაზრისს იცავდნენ.

მაგრამ ძველი თეორიის განვითარება ამაზეც არ შეჩერებულა. როცა გამოჩნდნენ მკვლევარები, რომლებმაც გლეხობისა და მისი იდეოლოგების როლზე დაიწყეს ლაპარაკი, ძველი თეორიის დამცველებმა იგრძნეს, რომ მათ სქემას დანგრევა მოელოდა და წამოაყენეს ახალი, ყოვლად უსაფუძვლო დებულება, რითაც კიდევ უფრო გააღრმავეს თავიანთი შეცდომა; მათ გამოაცხადეს, რომ წვრილბურჟუაზიული (გლეხური) იდეოლოგია ჩვენში, კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში, რეაქციული იდეოლოგიაა. მაგალითად, პროფ. ა. კიკვიძე, ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში, გვარწმუნებს, რომ თითქოს „წვრილბურჟუაზიული მიმართულება საზოგადოებრივ მოძრაობაში კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში რეაქციას წარმოადგენდა და რომ ილ. ჭავჭავაძე წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი ყო-

ფილიყო, ის ვერავითარ პროგრესულ როლს ვერ შეასრულებდა ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში".[1]

ამრიგად, თუ წინათ ბევრი ჩვენი მკვლევარი გლეხობას და საერთოდ წვრილბურჟუაზიას[2] აღებული პერიოდის ისტორიულ მოვლენათა ანალიზისას ანგარიშში არ აგდებდა, ახლა ზოგი მათგანი მას რეაქციულ ძალადაც კი აცხადებს. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის როლის ასეთი გაგება, რა თქმა უნდა, დიდი გაუგებრობაა და მასში მარქსისტული არაფერია.

მკითხველისათვის, რომ ნათელი გახდეს, ერთი მხრივ, ძველი თეორიის დამცველ მკვლევართა შეხედულებების უსაფუძვლობა, ხოლო, მეორე მხრივ, გლეხობისა და გლეხური დემოკრატიის ნამდვილი ისტორიული როლი რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შევეცდებით ძალიან მოკლედ გადმოგცეთ ვ. ი. ლენინის აზრები ამ საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იმ არსებითი განსხვავების დანახვას, რომელიც რუსეთში ბურჟუაზიისა და გლეხობის, ე. ი. ლიბერალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიის ინტერესებს შორის არსებობდა. „რუსეთში დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფის საკითხი მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია", — ამბობდა ლენინი[3]. წერილში „გერცენის ხსოვნას", რომელიც 1912 წელსაა დაწერილი საკითხს რუსეთის ბურჟუაზიულ

---

[1] აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, 1959 წ., გვ. 78.

იმავე ნაშრომში (გვ. 77) ავტორი აცხადებს, რომ თითქოს ჩვენ წერილში „დასების თეორიის გადასინჯვისათვის („ლიტერატურული გაზეთი", 1956 წ. № 4) გ ა ვ ი მ ე ო რ ე თ მისი თვალსაზრისი პირველი და მეორე დასის შესახებ. ეს განცხადება გაუგებრობის შედეგია. გულწრფელად ვაღიარებთ, რომ ჩვენთვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა, ჩვენი აზრები რომ ემთხვეოდეს ხსენებული ავტორის აზრებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის: პირველი და მეორე დასის შეფასების საკითხში ჩვენ სულ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ პოზიციებზე ვდგევართ.

[2] როგორც ცნობილია, მარქსისტული თვალთახედვით იმ ეპოქაში წვრილბურჟუაზიას, გლეხობასთან ერთად, მიეკუთვნებოდნენ: ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ინტელიგენციის ფართო ფენები და მოსწავლე ახალგაზრდობა (ამ საკითხის დაწვრ. განმარტება იხ. მაო ძე-დუნის რჩეული ნაწერების მესამე ტომში, გვ. 164—167).

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 353.

რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზიისა და გლეხობის ი ნ ტ ე რ ე ს თ ა განსხვავების შესახებ, ლენინი უწოდებს ნამდვილად მნიშვნელოვან და სერიოზულ ისტორიულ საკითხს“ და მიუთითებს, რომ ეს საკითხი ახალი კი არ არის, არამედ ჯერ კიდევ გერცენის „კოლოკოლმა“ დააყენაო[1].

ზემოთ, როდესაც რუსეთის პირველ რევოლუციაში ბურჟუაზიის როლის საკითხს ვიხილავდით, ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ლენინი ყოველთვის არსებითად განასხვავებდა ერთიმეორისაგან ამ რევოლუციაში ბურჟუაზიისა და გლეხობის როლს, გადაჭრით ებრძოდა პლეხანოვისა და მისი მენშევიკი მიმდევრების შემთანხმებლურ ტაქტიკას და მოუწოდებდა მუშათა კლასს არა ლიბერალებთან (ბურჟუაზიასთან), არამედ გლეხობასთან კავშირისაკენ. ჩვენ დავინახეთ, რომ სწორედ გლეხობა და არა ბურჟუაზია მიაჩნდა ლენინს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ბუნებრივ და საიმედო მოკავშირედ.

მაგრამ ნიშნავს, თუ არა ეს, რომ ლენინი არ სცნობდა გლეხობის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას და გლეხობას ისეთივე სოციალისტურ ძალად მიიჩნევდა, როგორც მუშათა კლასს? რა თქმა უნდა, არა. ლენინმა მშვენივრად იცოდა, რომ გლეხი წვრილი ბურჟუაა, რომ ის ორმაგი ბუნებისაა და მერყეობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ის არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა ,რომ „ეგრეთ წოდებული „მშრომელი“ გლეხი ნამდვილად წ ვ რ ი ლ ი მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ან წვრილი ბურჟუაა, რომელიც თითქმის მუდამ — ან თვითონ ქირავდება სხვისთვის სამუშაოდ, ანდა თვითონ ქირაობს მუშებს. „მშრომელი“ გლეხი, როგორც წვრილი მეპატრონე, პოლიტიკაშიც ქანაობს მეპატრონეებსა და მუშებს შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის“.[2]

ლენინი არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა აგრეთვე, რომ რუსეთის პირველ რევოლუციაში გლეხობა გამოდიოდა არა სოციალისტური, არამედ საერთო დემოკრატიული, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოთხოვნებით. ის ამბობდა: „რუსეთში დიადმა წლებმა, 1905—1907 წლებმა, საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ დაქირავებული მუშების კლასი ერთადერთი გამოდიოდა და შეკავშირდა,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი ტ. 18, გვ. 15.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 234

როგორც სოციალისტური ძალა. გლეხობა გამოდიოდა და ირაზმებოდა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალა“.[1]

აქედან ცხადია, რომ ლენინს რუსეთში ნამდვილ ბურჟუაზიულ დემოკრატიად მიაჩნდა არა ბურჟუაზია, არამედ გლეხობა. სწორედ გლეხური, ე. ი. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიაა, ლენინის აზრით, ნამდვილი რევოლუციური დემოკრატია, ის დემოკრატია, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები, ხოლო უფრო გვიან რევოლუციური ნაროდნიკები.

შევჩერდეთ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით.

რუსეთის პირველი რევოლუციის ხანაში ლენინს, როცა ის წვრილბურჟუაზიული (გლეხური) დემოკრატიის როლსა და მნიშვნელობას არკვევდა, ბრძოლა უხდებოდა ამ საკითხის ორგვარი დამახინჯების წინააღმდეგ: პირველი დამახინჯება გამომდინარეობდა თვით წვრილბურჟუაზიული მოაზროვნეების (უმთავრესად ნაროდნიკების) შემცდარი შეხედულებიდან, ხოლო მეორე — ზოგიერთი მარქსისტის არასწორი პოზიციიდან.

პირველი დამახინჯების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის წვრილბურჟუაზიული მოაზროვნეები (დაწყებული გერცენიდან და ჩერნიშევსკიდან .და გათავებული სოციალისტ-რევოლუციონერებით) თავის თავს სოციალისტებად სთვლიდნენ, ხოლო გლეხობა მიაჩნდათ იმ ძალად, რომელსაც შეეძლო რუსეთი სოციალიზმამდე მიეყვანა. მათ არ ესმოდათ მუშათა კლასის როლი და არ იცოდნენ, რომ მათი მოთხოვნები არსებითად არ სცილდება ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებს. მათ მოძღვრებაში, არსებითად სოციალისტური არაფერი იყო და საკვლევით ბუნებრივია, რომ ლენინი (ისევე როგორც თავის დროზე ევროპაში მარქსი და ენგელსი) დაუნდობლად ებრძოდა სხვადასხვაგვარ წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს, ებრძოდა მუშათა კლასზე ამ შეხედულებათა გავლენის ყოველგვარ გამოხატულებას და განუმარტავდა პროლეტარიატს იმ არსებით განსხვავებას, რომელიც მის საკუთარ იდეოლოგიასა და გლეხურ იდეოლოგიას შორის არსებობდა.

მეორე დამახინჯების არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგიერთი მარქსისტი, რომელიც გატაცებული იყო წვრილბურჟუაზი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 20, გვ. 117.

ული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლით, ვეღარ ხედავდა წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგიის დადებით მნიშვნელობას, ვერ ამჩნევდა გლეხური დემოკრატიის რევოლუციურ როლს და არ ესმოდა, თუ რატომ იყო აუცილებელი მუშათა კლასის მიერ გლეხური დემოკრატიისადმი ყოველმხრივ მხარდაჭერა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

ლენინმა არა ერთი შესანიშნავი ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხს და სავსებით ნათელჰყო ორივე ამ დამახინჯების არსი, მან გააცამტვერა მოწინააღმდეგეთა პოზიციები და გასწმინდა გზა გლეხობის როლისა და გლეხური დემოკრატიის სწორი, ნამდვილად მეცნიერული გაგებისათვის.

გავეცნოთ რამდენიმე ამონაწერს ლენინის ნაშრომებიდან. წერილში „ბრძოლა მარქსიზმისათვის“ ლენინი ამბობს: „აიღეთ ჩვენებური ნაროდნიკების ძირითადი პრინციპი. ნაროდნიკების შეხედულება, თითქოს მიწის კერძო საკუთრების გაუქმება და თანაბრად დაყოფა სოციალიზმი ან „სოციალიზაცია“ იყოს, მხოლოდ შემცდარი და ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი შეხედულებაა. მარქსმა დიდი ხანია დაამტკიცა, რომ გაბედულ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ეკონომისტებს შეუძლიათ მოითხოვონ და მოითხოვდნენ კიდეც მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას. ეს არის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რეფორმა, რაც ა ფ ა რ თ ო ე ბ ს კაპიტალიზმის სარბიელს. ჩვენ მხარს ვუჭერთ გლეხებს, როგორც ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ დემოკრატიას, მათს ბრძოლაში მიწისა და თავისუფლებისათვის მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ“.[1]

სხვა წერილში, რომელიც დაწერილია 1912 წელს და რომლის სათაურია „პოლიტიკური პარტიები რუსეთში“, ლენინი ამბობს:

„დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა ს რუსეთში წარმოადგენენ ყველა ჯურის ნაროდნიკები, ყველაზე მემარცხენე ესერებიდან ვიდრე ენესებამდე და ტრუდოვიკებამდე. ისინი ყველანი ხალისით წარმოთქვამენ „სოციალისტურ“ ფრაზებს, მაგრამ შეგნებული მუშებისათვის შეუწყნარებელია თავი მოიტყუოს ამ ფრაზების მნიშვნელობის საკითხში. ნამდვილად არავითარ „მიწის ფლობის უფლებაში“, არავითარ მიწის „გათანაბრებითს განაწილებაში“, არავითარ მიწის სოციალიზაციაში“ სოციალიზმის ნასახიც არ არის....

მაგრამ ფრაზები „შრომითი საწყისისა“ და „ნაროდნიკული სო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 404-405.

ციალიზმის“ შესახებ გამოხატავენ დემოკრატის ღრმა რწმენას (და გულწრფელ მისწრაფებას), რომ შესაძლებელია მოისპოს და საჭიროა მოისპოს მ თ ე ლ ი შუასაუკუნეობრივობა მიწათმფლობელობაში, ხოლო მასთან ერთად პოლიტიკურ წყობილებაშიც. თუ ლიბერალები (კადეტები) მიისწრაფვიან პურიშკევიჩებთან გაინაწილონ პოლიტიკური ძალაუფლება და პოლიტიკური პრივილეგიები, ნაროდნიკები სწორედ იმიტომ არიან დემოკრატები, რომ ისინი მიისწრაფვიან და უნდა მიისწრაფვოდნენ ამჟამად მიწათმფლობელობის ყ ვ ე ლ ა პრივილეგიისა და პოლიტიკაში ყ ვ ე ლ ა პრივილეგიის მოსპობისაკენ.

რუსეთის გლეხობის უდიდესი მასის მდგომარეობა ისეთია, რომ პურიშკევიჩებთან არავითარ კომპრომისზე (რაც ლიბერალისათვის სავსებით შესაძლებელი, მისაწვდომი და მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ი ა) მას ოცნებაც არ შეუძლია. ამიტომ წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიზმს ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი ხნით მასობრივი ფესვები აქვს რუსეთში“[1].

განსაკუთრებული სიცხადით გლეხობისა და გლეხური დემოკრატიის როლს ლენინი ახასიათებს კაპიტალურ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთში 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“, რომელშიც ამომწურავადაა განსაზღვრული როგორც წვრილბურჟუაზიულ-ნაროდნიკული მიმართულების მოაზროვნეთა, ისე ზოგიერთი მარქსისტის შეცდომების არსი. ლენინი პირდაპირ ახვედრებს მიზანში, როცა დაუფარავად ააშკარავებს იმ ზოგიერთი მარქსისტის შეზღუდულობას და თეორიულ მოუმწიფებლობას, რომლებიც სამართლიანად აკრიტიკებენ რა წვრილბურჟუაზიული შეხედულებების სოციალისტურ საფარველს, ამავე დროს ვერ ამჩნევენ ამ შეხედულებათა უდიდეს პროგრესულ როლს ბატონყმური წყობილებისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ისტორიულ ბრძოლაში.

„ყველა ნაროდნიკის შეცდომა ის არის, — ამბობს ლენინი, — რომ ისინი, წვრილი მეურნის ვიწრო თვალთახედვით შეზღუდულნი, ვერ ხედავენ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ბურჟუაზიულობას, რომელშიც შედის გლეხი ბატონყმური ბორკილებისაგან განთავისუფლების შემდეგ. ისინი წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მიწათმოქმედების „შრომითს საწყისს“ და „გათანაბრებულობას“, როგორც ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი ლატიფუნდიების განადგურების ლოზუნგს, აქ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 45-46.

ცევენ აბსოლუტურ, თვითკმარ რამედ, რაც ნიშნავს განსაკუთრებულ, არა ბურჟუაზიულ, წყობილებას.

ზოგიერთი მარქსისტის შეცდომა ის არის, რომ ნაროდნიკების თ ე ო რ ი ი ს გაკრიტიკების დროს ვერ ამჩნევენ მის ისტორიულ-რეალურ და ისტორიულ-გეგმაშეწონილ შ ი ნ ა ა რ ს ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა შ ი. აკრიტიკებენ და სამართლიანადაც აკრიტიკებენ „შრომითს საწყისს“ და „გათანაბრებულობას“, როგორც ჩამორჩენილ, რეაქციულ, წვრილბურჟუაზიულ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს, და ივიწყებენ, რომ ეს თეორიები გამოხატავენ მოწინავე, რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ს, რომ ეს თეორიები ძველი, ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ უაღრესად გაბედული ბრძოლის დროშას წარმოადგენენ. თანასწორობის იდეა—უაღრესად რევოლუციური იდეაა საერთოდ აბსოლუტიზმის ძველი წესწყობილების და განსაკუთრებით ძველი ბატონყმური, მსხვილმემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს იდეა კანონიერი და პროგრესულია, როდესაც ის ფეოდალური, ბატონყმური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას გამოხატავს... და ცუდი იქნებოდა ის მარქსისტი, რომელიც გააკრიტიკებდა ბურჟუაზიული ლოზუნგების სოციალისტური საფარველის სიყალბეს და ამავე დროს ვერ შეაფასებდა მათ ისტორიულ-პროგრესულ მნიშვნელობას, როგორც უაღრესად გაბედული ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ლოზუნგებისას ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა შ ი“[1].

აქედან დღესავით ნათელია, რომ წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის სოციალისტური იდეოლოგია და ნამდვილ, მეცნიერულ სოციალიზმთან შედარებით ჩამორჩენილი, რეაქციული თეორიაა, ამავე დროს ყველაზე მოწინავე, პროგრესული და რევოლუციური თეორიაა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში; ის არის გამომხატველი ნამდვილი რევოლუციური დემოკრატიისა; ის არის პროგრესის დროშა, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს რევოლუციურ ბურჟუაზიას ეპყრა ხელთ, ხოლო რეფორმების ხანის რუსეთსა და საქართველოში — რევოლუციურ გლეხობას და მის იდეოლოგებს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 289-290.

ასეთია ამ საკითხის ლენინური დაყენება.

ამის შემდეგ რაღა ფასი შეიძლება ჰქონდეს ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსის მტკიცებას, თითქოს „წვრილბურჟუაზიული მიმართულება საზოგადოებრივ მოძრაობაში კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში რეაქციას წარმოადგენდა“, ან კიდევ: „რომ ილ. ჭავჭავაძე წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი ყოფილიყო, ის ვერავითარ პროგრესულ როლს ვერ შეასრულებდა ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში“. განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ავტორის ეს მტკიცება შემოვაბრუნოთ და სრული რწმენით განვაცხადოთ: ილია ჭავჭავაძე რომ წვრილი ბურჟუაზიის (გლეხობის) იდეოლოგი არ ყოფილიყო, ის ვერ შეასრულებდა იმ უდიდეს პროგრესულ და რევოლუციურ როლს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც მან შეასრულა და რომლის სათანადო დაფასება, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოგვიხერხებია.

ზოგიერთი ავტორი, როგორც ჩანს, შეცდომაში შეჰყავს თვით ცნებას „ბურჟუაზიული დემოკრატია“. რაკი ამ გამოთქმაში სიტყვა „ბურჟუაზიაა“ ნახმარი, ეტყობა, ისინი ფიქრობენ, რომ ყველგან, სადაც კი მარქსიზმის კლასიკოსები ამ გამოთქმას ხმარობენ, ბურჟუაზიული იდეოლოგია იგულისხმებაო. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას ის უცნაური ფაქტი, რომ არაიშვიათად მკვლევარები, რომლებიც არსებითად სწორად მსჯელობენ თერგდალეულთა იდეოლოგიის კლასობრივი არსის შესახებ, სრულიად მოულოდნელად გვერდზე გადაუხვევენ ხოლმე და მათ ისევ ბურჟუაზიის იდეოლოგებად მონათლავენ. მაგალითად, ისტორიკოსი ა. იოსელიანი თავის საყურადღებო ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები“, სამართლიანად მიუთითებს, რომ „ილია გლეხთა ინტერესების თავგამოდებული დამცველია“[1] და რომ იგი „ქართველი ერის აწმყოს იმედად და მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის მედროშედ — საქართველოს ეროვნული განთავისუფლების მთავარ მამოძრავებელ ძალად — გლეხკაცობას მიიჩნევს“.[2] მაგრამ მიუხედავად ამისა, მისივე სიტყვით, ილია თითქოს „ობიექტურად კაპიტალიზმის განვი-

---

[1] ა. იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, 1951, გვ. 291.

[2] იქვე, გვ. 351.

თარების პრუსიულ გზას იზიარებს“,[1] რის გამო ის გზები, რომლითაც ის თავისი იდეალების განხორციელებას ცდილობს „ობიექტურად ლიბერალურ-ბურჟუაზიულია“.[2]

ასეთივე შთაბეჭდილება გვრჩება მთელი რიგი სხვა ავტორების ნაშრომთა კითხვის დროსაც[3]. როგორც ჩანს, ეს ავტორები არ ითვალისწინებენ ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ მეცნიერული ცნება გლეხებსაც მიუდგება და ლიბერალებსაც, მაგრამ პროლეტარიატის დამოკიდებულება „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ ამ ორი ნაირსახეობისადმი აუცილებლად უნდა იყოს არსებითად სხვადასხვაგვარი“.[4]

ამრიგად, დღესავით ნათელია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთსა და საქართველოში „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ ორგვარი ნაირსახეობა არსებობდა: ერთი მათგანი წარმოადგენდა ბურჟუაზიის(აგრეთვე გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის) იდეოლოგიას ანუ ლიბერალიზმს, ხოლო მეორე— გლეხობის იდეოლოგიას ანუ რევოლუციურ დემოკრატიზმს. პირველი, — მიუხედავად იმისა, რომ ის აღმავალი კლასის იდეოლოგია იყო, ისტორიული პირობების თავისებურებათა გამო, სრულებითაც არ წარმოადგენდა პროგრესის მედროშეს; პირიქით, ის გამოირჩეოდა შემთანხმებლური, მერყეევი ბუნებითა და ლაქიური სულით; მეორე კი ნამდვილად იყო შეუდრეკელი მებრძოლი ცარიზმისა და მემამულეების, აგრეთვე მათი ლაქია ლიბერალების წინააღმდეგ.

ამჟამად ქართული ისტორიოგრაფიის განკარგულებაში მოიპოვება მრავალრიცხოვანი ისტორიული საბუთები და უამრავი, მეცნიერულად შემოწმებული ფაქტები, რომლებიც ყოველ ეჭვს გარეშე ადასტურებენ, რომ თერგდალეულები ეკუთვნოდნენ „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ მეორე ნაირსახეობას, სახელდობრ რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა მებრძოლ რაზმს, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის.

ხოლო თუ ვინმეს სურს იცოდეს, თუ ვინ ეკუთვნოდა საქართველოში „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ ზემოთ ხსენებულ პირველ

---

[1] იქვე, გვ. 276.

[2] იქვე, გვ. 291.

[3] იხ. მაგალითად, მ. დუდუჩავას ნაშრომი, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, 1960. გვ. 306.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 457.

ნაირსახეობას, ე. ი. ლიბერალთა რაზმს, — არც ამის გაგება წარმოადგენს რაიმე სიძნელეს: ლიბერალების ჯგუფს ეკუთვნოდა ქართველ მოღვაწეთა ის ჯგუფი, რომელიც თავს იყრიდა ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო და რომელსაც ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ ათავსებენ ხოლმე რეაქციონერთა ბანაკში. არც გრიგოლ ორბელიანი, არც დიმიტრი ყიფიანი, არც ივანე კერესელიძე და არც ალექსანდრე ორბელიანი არასოდეს არ ყოფილან რეაქციონერები, ე. ი. ძველი, ბატონყმური ცხოვრების მოტრფიალენი; ისინი იყვნენ ტიპიური ლიბერალები, რომლებსაც ესმოდათ, რომ ბატონყმური წესწყობილების გარდაქმნა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება აუცილებელი და გარდუვალია, ოღონდ ამ გარდაქმნას ისინი მოელოდნენ ზემოდან, ე. ი. მთავრობისაგან და არა გლეხთა მასების რევოლუციური მოძრაობისაგან, რისიც მათ ცეცხლივით ეშინოდათ. ამიტომ იყო, რომ თერგდალეულები მეფის მთავრობისა და რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, ამავე დროს არც ამ ლიბერალებს ინდობდნენ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამათრახებდნენ ხოლმე მათ როგორც მეფის მთავრობის წინაშე ლაქუცისათვის, ისე ქართველი გლეხობის ინტერესების ღალატისათვის. თუმცა ესეც უნდა ითქვას: თერგდალეულები პატივს სცემდნენ, აფასებდნენ და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ზემოთ ხსენებულ ლიბერალთა საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას, მათ ბრძოლას ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის, რომელიც მართალია უფრო ხშირად გაუბედავი და უხერხემლო ხასიათის ბრძოლა იყო, მაგრამ ზოგჯერ გაბედულ, რევოლუციურ გამოსვლებშიც გადაიზრდებოდა ხოლმე (მაგალითად, როგორიც იყო დ. ყიფიანის გამოსვლები თვითმპყრობელობის შოვინისტური კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ 80-იან წლებში).

ასეთია ისტორიული სინამდვილე.

თანამედროვე ქართული მეცნიერული აზრი უდავოდ დიდ ვალშია მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა მიმართ. ჩვენ დღემდე ვერ მოგვიხერხებია ჩვენი ერის უაღრესად გამოჩენილ შვილთა მემკვიდრეობის სერიოზული შესწავლა და დაფასება, ვერ მოგვიხერხებია კაპიტალური ნაშრომების შექმნა თვითეული მათგანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მათ საინტერესო აზრებსა და იდეებზე.

არა გვგონია სადავო იყოს, რომ ჩვენ მოვალე ვართ გამოვასწო-

როთ ეს ჩამორჩენა და უახლოეს ხანში შეექმნათ ნამდვილად მეცნიერული კაპიტალური ნაშრომები მე-19 საუკუნის მოღვაწეებზე, რომლებშიც ღირსეულად იქნება წარმოდგენილი ქართველი ერის იმდროინდელი მღელვარე ცხოვრებაც და მისი სახელოვანი შვილების ნამოღვაწარიც.

ცხადია, ასეთი ნაშრომების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწორი გაგებითა და საქართველოს ცხოვრების მოვლენებისადმი მისი სწორი მიყენებით, რაც წარმოუდგენელია საქართველოს ისტორიის კონკრეტული მასალის ბეჯითად შესწავლის გარეშე. წარსულის მოვლენათა და საზოგადო მოღვაწეთა შეფასებას ჩვენ უნდა მივუდგეთ ისტორიულად, რაც დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ „ჰეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“.[1]

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ისტორიულ პირთა ღვაწლის იმგვარად დაფასება, როგორც აფასებდა მათ გენიალური ლენინი. ვინ იცოდა მარქსისტული თეორია ისე კარგად, როგორც ლენინმა? მაგრამ ის მაინც საჭიროდ სთვლიდა უდიდესი მუშაობა გაეწია ისტორიულ მოვლენათა ყოველმხრივ და ზედმიწევნით შესასწავლად, ისტორიულ მოღვაწეთა მემკვიდრეობის შესასწავლად და მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებდა სათანადო დასკვნებს. ამიტომაც იყო მისი მსჯელობა და დასკვნები ყოველთვის ზუსტი და ღრმად მეცნიერული. ლენინი მშვენივრად ხედავდა წვრილბურჟუაზიულ-გლეხური დემოკრატიის ისტორიულ შეზღუდულობას, მათ სერიოზულ ნაკლოვანებებს და მიუთითებდა კიდევაც ამ ნაკლოვანებებზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლებს ის სთვლიდა თავისი დროის ყველაზე გამოჩენილ ადამიანებად, სახელოვან რევოლუციონერებად, იმ მოწინავე ძალთა ბელადებად, რომლებიც ისტორიულ გარდაქმნებს ახდენენ. ვინ არ იცის, მაგალითად, რომ გერცენის ე. წ. „რუსული სოციალიზმის“ თეორიას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან და რომ მასში ნამდვილი სოციალიზმის ნასახიც არ მოიპოვება; ვინ არ იცის აგრეთვე, რომ გერცენი უშვებდა სერიოზულ, ლიბერალური ხასიათის შეცდომებს და მოთაფლულ წერილებს უგზავნიდა ალექსანდრე მეორეს, მაგრამ აბა გადაშალეთ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1927 წ., ტ. V, გვ. 66.

ლენინის თხზულებათა მე-18 ტომი და ნახეთ, როგორ აფასებს იგი გერცენს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ საგანგებო წერილში! ამ წერილში სრულიადაც არ არის მიფუჩეჩებული, ან შერბილებული გერცენის ლიბერალური შეცდომები, მაგრამ ამასთანავე ერთად საფუძვლიანად არის დასაბუთებული, რომ გერცენი „იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის მემამულეთა მეფესთან“.[1] აი, ეს იყო მთავარი და ამიტომაც აჰყავდა ლენინს გერცენის მნიშვნელობა უდიდეს სიმაღლეზე. „პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობასო“,[2] — ამბობდა ლენინი და ამაზე მეტი დაფასება გლეხური დემოკრატიის ბანაკის მოღვაწისა წარმოუდგენელია.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ კიდევ ერთი მაგალითი. ცნობილია, რომ ლენინმა ლიბერალურ ნაროდნიკს ნ. კ. მიხაილოვსკის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გააფთრებით ებრძოდა მარქსიზმს და რომლის შეხედულებათა სასტიკი კრიტიკით თვით ლენინი არა ერთხელ გამოსულა, მიუძღვნა სპეციალური წერილი; ეს წერილი წარმოადგენს იშვიათ ნიმუშს როგორც საერთოდ ისტორიული პიროვნების, ისე კერძოდ გლეხური დემოკრატიის წარმომადგენელი მოღვაწის მეცნიერული შეფასებისას. მიუხედავად იმისა, რომ ლენინს მიხაილოვსკი მარქსიზმის მტრად მიაჩნდა და მუდამ დაუნდობლად აცამტვერებდა მის წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს, როცა საქმე მის ისტორიულ შეფასებაზე მიდგა, ლენინმა მისი მოღვაწეობა განიხილა გლეხური დემოკრატიის ისტორიული მნიშვნელობის შუქზე და უაღრესად საპატიო ადგილი დაუთმო მას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მიხაილოვსკი იყო რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და მის შეხედულებათა ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი წარსული საუკუნის უკანასკნელ მესამედში“.[3] მიხაილოვსკის შეცდომების, მისი არათანმიმდევრობისა და შეზღუდულობის მიზეზებს ლენინი ხედავდა არა მის პირად თვისებებში, არამედ იმ კლასის თავისებურ მდგომარეობაში, რომლის წარმომადგენელიც ეს მოღვაწე იყო. ლენინი მიუთითებდა,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 19.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 129.

რომ „რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატია, ე. ი. პირველ რიგში გლეხობა, ლიბერალურ ბურჟუებსა და პროლეტარიატს შუა შემთხვევით კი არ მერყეობს, არამედ თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო“[1]. ლენინმა გადაჭრით უკუაგდო ნაროდნიკ მწერალთა გაზვიადებული და უსაფუძვლო მტკიცება მიხაილოვსკის ვითომდა „სოციალისტობის“ შესახებ და გვიჩვენა, რომ მიხაილოვსკის შეხედულებანი არა თუ მეცნიერულ სოციალიზმთან შედარებით, არამედ 60-იანი წლების გამოჩენილ რევოლუციურ-დემოკრატთა თეორიებთან შედარებითაც კი ჩამორჩენილი შეხედულებები იყო. მიუხედავად ამისა, მიხაილოვსკის მოღვაწეობას მან უაღრესად მაღალი შეფასება მისცა და დიდი მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა მისი დამსახურება რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აი ეს განსაზღვრაც: „მიხაილოვსკის დიდ ისტორიულ დამსახურებას რუსეთის განთავისუფლებისაკენ მიმართულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაში ის წარმოადგენს, რომ იგი მხურვალედ თანაუგრძნობდა გლეხების ჩაგრულ მდგომარეობას, ენერგიულად ებრძოდა ბატონყმური ჩაგვრის ყველა და ყოველნაირ გამოვლინებას, იცავდა ლეგალურ, აშკარა პრესაში — თუნდაც გადაკვრითი სიტყვებით — თანაგრძნობასა და პატივისცემას „იატაკქვეშეთისადმი“, სადაც მოქმედებდნენ უაღრესად თანმიმდევარი და გაბედული დემოკრატი რაზნოჩინცები, და თვითონაც კი პირდაპირ დახმარებას უწევდა ამ იატაკქვეშეთს... მიხაილოვსკის ხსოვნას ჩვენ პატივს ვცემთ მისი გულწრფელი და ნიჭიერი ბრძოლისათვის ბატონყმობის, „ბიუროკრატიისა“ (ბოდიშს ვიხდი არაზუსტი სიტყვისათვის) და სხვ. წინააღმდეგ, იატაკქვეშეთისადმი მისი პატივისცემისა და დახმარებისათვის“.[2]

ასე აფასებდა ლენინი გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლებს იმ დროსაც კი, როცა ისინი ლიბერალებს კუდში მისჩანჩალებდნენ და მარქსიზმს გააფთრებით თავს ესხმოდნენ.

ასეთია წარსულის მემკვიდრეობისადმი ლენინური მიდგომის ნიმუშები. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მხოლოდ ლენინის ნათელი აზრები წარმოადგენენ ჩვენი გამოჩენილი წინაპრების ღირსეულად დაფასების საიმედო კომპასს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 134.

[2] იქვე, გვ. 130, 134.

5. ბლეხური დემოკრატია და ეროვნული საკითხი

დაბოლოს, თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასებაში დაშვებული სერიოზული შეცდომების მესამე წყაროდ უნდა მივიჩნიოთ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის არსის არასწორი გაგება.

ძველი თვალსაზრისის დამცველები (წინანდელი მოაზროვნეებიცა და საბჭოთა მკვლევარებიც) ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას განიხილავენ შაბლონურად — მხოლოდ როგორც ბურჟუაზიის ეროვნულ მოძრაობას — და სრულებით ვერ ამჩნევენ მის რევოლუციურ-დემოკრატიულ შინაარსს. ამით აიხსნება, რომ ეს მკვლევარები არავითარ განსხვავებას არ ხედავენ, ერთი მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს შორის, რასაც შედეგად მოსდევს ისეთი მეტად სამწუხარო გაუგებრობა, როგორიცაა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და მათი თანამებრძოლების ნაციონალისტებად და შოვინისტებად გამოცხადება.

ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფასების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობის წარმოშობის ისტორიას, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა; ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ საკითხშიც საბჭოური ისტორიოგრაფიის ძირითად შეცდომათა ფესვები ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში ჩაისახა. ამ ფესვებს ორი უმთავრესი წყარო ასაზრდოებდა: ერთი წყარო იყო ბურჟუაზიული მოაზროვნეების, კერძოდ, ა. ჯორჯაძის შეხედულებანი, ხოლმე მეორე, — მარქსიზმის ქართველ ვულგარიზატორთა არასწორი პოზიცია და არასწორი თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში.

ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, რომლებსაც ხშირად თავი მოჰქონდათ (რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლოდ) 60-იანი წლების გამოჩენილ მწერალთა და მოაზროვნეთა საქმის მემკვიდრეებად, მეოცე საუკუნის დამდეგიდან გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს არა მარტო სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს და რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა სხვა ერის პროლეტარების ერთიანობის იდეას იცავდნენ, არამედ აგრეთვე იმ მოწინავე ქართველი მოღვაწეების წინააღმდეგაც, რომლებსაც კარგად

ესმოდათ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა და მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს რუსეთთან მჭიდრო კავშირისაკენ. ამ ნიადაგზე აღმოცენდა მწვავე უთანხმოება, ერთი მხრივ, ნაციონალისტებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის. ნაციონალისტებმა შექმნეს ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძემ 80-იანი წლებიდან უღალატა თავის წინანდელს იდეალებს და გადავიდა ცარიზმის მხარეზე.

ბურჟუაზიული ნაციონალისტების ცნობილი ბელადი ა. ჯორჯაძე ჯერ კიდევ 1901 წელს დაწერილ წერილში „პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე“, ნაწყენი და გაღიზიანებული ტონით აღნიშნავდა: „ფსიხოლოგიური კანონია, რომ სუსტი და ღონემიხდილი სხვას შეჰყურებდეს და სხვისგან მოელოდეს მოწყალებას და დახმარებას. ასე ემართება ილია ჭავჭავაძესაც. თვალი გადააავლეთ „ივერიის“ ნომრებს 1887 წლიდან დაწყებული. კითხულობთ და არ გჯერათ, რომ შესაძლებელია ამგვარი ცვლილება... ავტორს სხვა პოზიცია ეჭირა წინად ეროვნულ კითხვების განმარტებაში, და ეს ცვლილება მარტო ილია ჭავჭავაძის დამახასიათებელი არ არის, იგი თითქმის მთელ ძველ თაობას ეხება“.[1]

შემდგომში უთანხმოება ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა და ეს ორი მიმართულება ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდა. ილია ჭავჭავაძემ 1902 წლის დასაწყისში გამოაქვეყნა მკაცრად დაწერილი, სატირული ხასიათის ფელეტონი „ივ. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია“, რომელშიც სასაცილოდ აიღო არჩილ ჯორჯაძის და გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ე. წ. „ახალი მიმართულება და „ახალი ფსიხოლოგია“.[2] ა. ჯორჯაძემ თავის მხრივ ცილი დასწამა ილია ჭავჭავაძეს (უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ), რომ იგი თითქოს „ამაყობდა თავისი ერთგულებით“ რუსეთის მეფისადმი და რომ თითქოს ილიამ მასთან (არჩილ ჯორჯაძესთან) პირად საუბარში განაცხადა, „ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისაო“. ამ საფუძველზე ა. ჯორჯაძე არწმუნებდა მკითხველს, რომ „ილია ჭავჭავაძე მართა-

---

[1] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეორე, გვ. 111.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი სრული კრებული, ტ. II, 1941 წ., გვ. 302.

ლია მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა", მაგრამ „ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდებოდაო".[1]

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ გაუგებრობისა და ცილისწამების შეზავების შედეგია. ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს არ ესმოდათ და არც სურდათ გაეგოთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს. როცა ისინი ქართველ ხალხს რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კავშირისაკენ მოუწოდებდნენ, მხედველობაში ჰყავდათ არა თვითმპყრობელური ან ბურჟუაზიული რუსეთი, არამედ რევოლუციურ-დემოკრატიული რუსეთი, რომლისგან ჩამოშორება მათ იმ პირობებში არ მიაჩნდათ სასარგებლოდ თვით ქართველი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაციონალისტები იძულებული გახდნენ თვითონვე ეღიარებინათ, მათი გზა არსებითად რომ განსხვავდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზისაგან, რითაც აშკარა გახდა სრული უნიადაგობა და უსაფუძვლობა მათი ცდებისა, ამოფარებოდნენ დიდი ქართველი მწერლების ავტორიტეტს და გამოეყენებიათ მათი სახელი და პოპულარობა თავიანთი ნაციონალისტური ინტერესებისათვის. „ნუ შევდრკებით, — მოუწოდებდა ა. ჯორჯაძე თავისიანებს, — და თამამად გამოვეცალოთ ჩვენს მწერალს (ე. ი. ი. ჭავჭავაძეს — პ. რ.) იქ, საცა ჩვენი გზები ერთმანეთს შორდებიან".[2] ასეთ აუცილებელ დასკვნამდე მიიყვანა ნაციონალისტები თვით ფაქტების ლოგიკამ.

დღეს ჩვენთვის არავითარ განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის გაგება, რომ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს შორის ბრძოლისა და უთანხმოების ერთადერთი მიზეზი სრულიადაც არ ყოფილა ეროვნული საკითხი, მეტიც: ეს მთავარი მიზეზიც კი არ ყოფილა; მარქსისტული თვალთახედვით შეიარაღებული მკვლევარისათვის ცხადია, რომ მათი გზების დაშორებისა და ურთიერთ დაპირისპირების მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიური საკითხებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა იყო. ეს ცხადად ჩანს თვით ჯორჯაძის ნაწერებიდანაც. დავაკვირდეთ, მაგალითად ა. ჯორჯაძის შემდეგ

---

[1] ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეორე, გვ. 223-224.

[2] იქვე, გვ. 131.

სიტყვებს: „ჭავჭავაძის ცალ-მხრივობა იმაში კი არ არის, რომ აქცევდა ყურადღებას ქართულ სოფელს, არამედ იმაში, რომ მ ა რ ტ ო (ხაზგასმა ა. ჯორჯაძისაა. — პ. რ.) სოფლისაკენ იყო მიმართული მისი გულისყური";[1] ან კიდევ: „ილია ჭავჭავაძე როგორც სოფლის მოსარჩლე, თავის გაზეთის „ივერიის" საშუალებით თვალყურს ადევნებდა სოფლის ჭირ-ვარამს... ხოლო ჩვენი უთანხმოება ილია ჭავჭავაძესთან ამ კითხვებში გამოისახება შემდეგში: ავტორი მარტო სოფლის ცხოვრებას ადევნებს თვალყურს, ქალაქი თავის რთულის აგებულებით აქვს სრულებით მივიწყებული".[2]

მაშასადამე: ა. ჯორჯაძეს სწორედ იმიტომ არ მოსწონს ი. ჭავჭავაძის მიმართულება, რომ ის მარტო სოფელზე (ე. ი. არსებითად გლეხობაზე) ზრუნავს, ხოლო ქალაქის (ე. ი. ბურჟუაზიის) ინტერესები სრულებით არ აწუხებს. აქედან ცხადია, რომ ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი წარმოადგენენ ორ სხვადასხვაგვარ იდეოლოგიას: ერთია ბურჟუაზიის იდეოლოგია, ხოლო მეორე — წვრილი ბურჟუაზიის (გლეხობის) იდეოლოგია. აქედან ცხადია ისიც, რომ სწორედ ეს იდეოლოგიური სხვადასხვაობა იწვევს მათი შეხედულებების დაპირისპირებას ეროვნულ საკითხშიც.

დიახ, დღეს მარქსისტულად მოაზროვნე მკვლევარებისათვის ნათელია, რომ ნაციონალიზმი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სულ სხვადასხვა შინაარსის მიმართულებები იყო და მათი შეხედულებები როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ საკითხებში არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება არ იყო (და დღესაც არ არის) ნათელი ზოგიერთი მკვლევარისათვის, რომლებიც თუმცა მარქსიზმის სახელით გამოდიოდნენ, მაგრამ ხშირად აუბრალოებდნენ და უხეშად ამახინჯებდნენ ნამდვილი, შემოქმედებითი მარქსიზმის მოძღვრებას.

ცნობილია, რომ პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად ბოლშევიკურმა პარტიამ ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე სწორად გადაწყვიტა ნაციონალური საკითხი და თავის პროგრამაში შეიტანა მუხლი, რომლის

---

[1] იქვე, გვ. 121.

[2] იქვე გვ. 121-122.

ძალით რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ერს ეძლეოდა თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკ-ლენინელებს სწორად ესმოდათ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის არსი და დაუღალავად იბრძოდნენ ერთა თანასწორუფლებიანობისათვის, იბრძოდნენ იმისათვის, რომ რუსეთის „უცხო" ერებს ჰქონოდათ უფლება თავიანთი სურვილების თანახმად მოეწყოთ თავიანთი ნაციონალური საქმეები.

მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რიგებში იყვნენ ისეთი მოღვაწენიც, რომლებიც გარკვეულ პერიოდში არ სცნობდნენ და პირდაპირ უგულვებელჰყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის ლენინურ პრინციპს. სამწუხაროდ, ასეთ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერი ფ. მახარაძე, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა და ნაწილობრივ დღესაც სარგებლობს ჩვენს მკვლევარებს შორის. როგორც ცნობილია, ბოლშევიკური პარტიის VII (აპრილის) კონფერენციაზე, რომელიც შედგა პეტროგრადში 1917 წელს, ფ. მახარაძე ნაციონალურ საკითხში მიემხრო პიატაკოვის ოპოზიციონურ ჯგუფს. ეს ჯგუფი ებრძოდა ლენინის ხაზს ნაციონალურ საკითხში, ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს რეაქციონურ ლოზუნგად სთვლიდა და მოუწოდებდა პარტიას იმისაკენ, რომ გაეჩაღებია ბრძოლა ეროვნულ მოძრაობათა წინააღმდეგ[1]. ვ. ი. ლენინმა, რომელიც ამ კონფერენციის მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა, აგრეთვე ი. ბ. სტალინმა, რომელიც კონფერენციაზე მომხსენებელი იყო ეროვნულ საკითხზე, და სხვა გამოჩენილმა ბოლშევიკ-ლენინელებმა მკაცრად ამხილეს და გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში გაატარეს პიატაკოვის ჯგუფის ოპორტუნისტული თვალსაზრისი[2]. აპრილის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელმაც კვლავ დაადასტურა, რომ ლენინური ნაციონალური პოლიტიკა იყო ბოლშევიკური პარტიის ერთადერთი და უცვლელი პოლიტიკა. მასში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ «За всеми нациями, входящими в состав России, должно быть признано

---

[1] История коммунистической партии Советского Союза, М., 1959 г., გვ. 210.

[2] იქვე.

право на свободное отделение и на образование самостоятельного государства»[1].

ხსენებულ კონფერენციაზე ფ. მახარაძე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც იცავდა პიატაკოვის ხაზს და გადაჭრით ილაშქრებდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის წინააღმდეგ[2]. კონფერენციის შემდეგ ფ. მახარაძემ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი, რომელშიც დეტალურად გააშუქა აპრილის კონფერენციაზე ნაციონალური საკითხის განხილვის ისტორია, ჩამოაყალიბა როგორც ლენინის, ისე პიატაკოვის მომხრეთა თვალსაზრისი და აგრეთვე ის მოტივები, რომლის ძალითაც თვითონ იგი „გადაჭრით წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ერს უფლება ჰქონდეს თავისუფალი გამოყოფისა“.[3] ამ წერილში ფ. მახარაძე აცხადებდა: „კონფერენციის შემდეგ მე დავრწმუნდი იმაში, რომ შეუძლებელია ერს ეს უფლება (ლაპარაკია თვითგამორკვევის უფლებაზე. — პ. რ.) ჩამოვართვათო“.[4] მაგრამ იქვე გამოთქვამდა ისეთ აზრებს ნაციონალური კულტურის, ენის და სხვ. შესახებ, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკასთან, კერძოდ ის ამბობდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პიროვნული და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“.[5]

ასეთი იყო ფ. მახარაძის პოზიცია და თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში.

აქედან ცხადია, რომ მას ყოველი მოღვაწე, რომელიც ხალხის ეროვნული უფლებებისათვის იბრძოდა, ნაციონალისტად უნდა მოჩვენებოდა და სოც. ფედერალისტებთან და მათ მსგავს სხვა ბურჟუაზიულ მოღვაწეებთან გაეთანაბრებინა. ფ. მახარაძე მართლაც ასე იქცეოდა: თერგდალეულებს ის ეძახდა „მესამოცე წლების მოლიბერალო-ნაციონალისტურ ინტელიგენციას“,[6] ხოლო ხალხოსნებზე

---

[1] История всесоюзной коммунистической партии (большевиков), краткий курс, 1946, გვ.182.

[2] ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 121 — 124.

[3] ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 128.

[4] იქვე, გვ. 128.

[5] იქვე, გვ. 128-129.

[6] იხ. კრებული, ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში, 1932 წ., გვ. 44.

ამბობდა, ისინი „გადაგვარებული, ე. ი. განაციონალისტებული“ არიანო.[1]

ამრიგად, თუ ბურჟუაზიული ნაციონალისტები თერგდალეულებს და მათ ბელადს ი. ჭავჭავაძეს ტახტის ერთგულებას უკიჟინებდნენ (რაც მათი უმეცრების ნაყოფი იყო), ზოგიერთი მარქსისტი თეორეტიკოსი მათ სეპარატიზმსა და ნაციონალიზმში სდებდა ბრალს (რაც მათ მიერ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯების შედეგი იყო).

ესეც უნდა ითქვას: ფ. მახარაძე სრულებითაც არ სვამდა იგივეობის ნიშანს ი. ჭავჭავაძისა და ა. ჯორჯაძის ეროვნულ პროგრამებს შორის.[2] მას მიაჩნდა, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც დახავსებული „ნატურალური მეურნეობის დამცველი და თავადაზნაურობის მებაირახტრე“,[3] გაცილებით უფრო საშიში რეაქციონერი იყო, ვიდრე ა. ჯორჯაძე, რომელიც მაინც შედარებით უფრო პროგრესული კლასის — ბურჟუაზიის მებაირახტრე იყო. ამით აიხსნება, რომ იგი მუდამ განსაკუთრებული სიძულვილით ეპყრობოდა ი. ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეთ და არ იშურებდა მათ „შესამკობად“ ისეთ ეპიტეტებს, როგორიცაა: „მონარქისტი“, „მუშების და გლეხების ექსპლოატატორი“, „კონტრრევოლუციონერი“[4] და ა. შ.

ფ. მახარაძეს, რომელსაც სუბიექტურად საუკეთესო სურვილები ამოძრავებდა, არ ესმოდა ლენინური პოლიტიკის არსი არც გლეხური დემოკრატიისა და არც ეროვნული მოძრაობისადმი დამოკიდებულებაში. ეს იყო არა მისი დანაშაული, არამედ მისი უბედურება, მისი ტრაგედია, რაც გამოწვეული იყო ჩვენში მოწინავე მეცნიერული აზრის ჩამორჩენილობით და რამაც, სამწუხაროდ, დიდი ზიანი მოუტანა ქართული კულტურის წინსვლა-განვითარების საქმეს.

ს. ხუნდაძის კონცეფციის დამსახურება ის იყო, რომ მან თავიდან აგვაცილა მარქსიზმის ვულგარიზატორთა რაპპული ტიპის თვალსაზრისი, რომელსაც უკიდურესობამდე მიპყავდა თერგდალეულთა გაბიაბრუება, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთავარი

---

[1] ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში, გვ. 45.

[2] ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1924, გვ. 276-277.

[3] იქვე, გვ. 277

[4] ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში, გვერდები: 42, 47, 48 და ა. შ.

ბოროტება ამ კონცეფციის შემუშავების შემდეგაც დაუძლეველი დარჩა. ვერც ს. ხუნდაძემ და ვერც მისმა მრავალრიცხოვანმა მიმდევრებმა ვერ შეამჩნიეს ის არსებითი განსხვავება, რომელიც მუდამ არსებობდა ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და თერგდალეულების თვალსაზრისთა შორის ეროვნულ საკითხში. მათ ვერ დაინახეს და სათანადოდ ვერ შეაფასეს აგრეთვე ის მიზეზები, რამაც გამოიწვია თერგდალეულების პოზიციის შეცვლა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში გასული საუკუნის 80-იანი წლებში. ამიტომაც ს. ხუნდაძემ თითქმის უცვლელად მიიღო როგორც ფ. მახარაძის, ისე განსაკუთრებით ა. ჯორჯაძის ძირითადი დებულებები და მათი ეკლექტიკური შეზავებით შეიმუშავა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი რუსეთის ტახტის უსაზღვროდ ერთგულნიც იყვნენ და პირწავარდნილი ნაციონალისტებიც. ამ ყოვლად უსაფუძვლო და უხამს აზრს ის არა ერთხელ იმეორებს თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში. მაგალითად, ნაშრომში, რომელიც აკაკის შემოქმედებისადმია მიძღვნილი, მას სიტყვა-სიტყვით მოჰყავს ა. ჯორჯაძის ცილისმწამებლური ბრალდებები, როგორც ილიას ვითომდა ტახტისადმი ერთგულების დამამტკიცებელი საბუთები, და თავის მხრივ დასძენს: „ასეთი ეროვნულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა, აშენებული ტახტის ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულზე, ძველი თავადაზნაურული ინტელიგენციის მსოფლმხედველობას წარმოადგენდა. ამ პოლიტიკურ-ეროვნულ პროგრამას ემსახურებოდა დიმიტრი ყიფიანი... 90-იან წლებში ასეთი პოლიტიკურ-ეროვნული კრედოს გამტარებელი და მეთაური შეიქმნა ილია ჭავჭავაძე“.[1] ასეთივე ერთგული ყოფილა თურმე რუსეთის მეფის ტახტისა აკაკი წერეთელიც.[2] ხოლო რაც შეეხება ჩვენი სასიქადულო მწერლების ნაციონალისტობას, ამის დასამტკიცებლად ს. ხუნდაძე მიგვითითებს იმ ბრძოლაზე, რომელიც 20-იან წლებში ქალაქის თვითმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით გაჩაღდა, ერთი მხრივ, თბილისის სომხური წარმოშობის ბურჟუაზიის იდეოლოგებსა და, მეორე მხრივ, მოწინავე ქართველ მოღვაწეებს შორის, რომლებიც წვრილი ბურჟუაზიის (გლეხობისა და ქალაქის ღარიბი ხალხის) ინტერესების დამცველები იყვნენ.

---

[1] ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941, 137.

[2] იქვე, გვ. 94.

ს. ხუნდაძე სრულებით ვერ გაერკვა ხსენებული სარჩევნო ბრძოლის კლასობრივ არსში და დემოკრატი ქართველი მოღვაწეები ყოველგვარი საბუთის გარეშე გამოაცხადა თავადაზნაურულ-ნაციონალისტური მიმართულების რეაქციონურ ძალთა ბელადებად და მედროშეებად. მისი სიტყვით, „საქართველოს თავადაზნაურობა მისი იდეოლოგის ილ. ჭავჭავაძის სახით აშკარა თავდასხმაზე გადადიოდა სომხის ბურჟუაზიის მიმართ და მთელ სომხობას უცხადებდა ბრძოლას“.[1] რაც შეეხება აკაკის, თურმე მასაც „არ სურდა დაენახა, რომ ამ ბრძოლაში არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა სომხის მშრომელ ხალხსა... ისტორიულმა პირობებმა აკაკიც აამეტყველა ნაციონალისტურად“.[2]

ასეთია ს. ხუნდაძის თვალსაზრისი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათზე. ამ თვალსაზრისს მარქსისტულობის პრეტენზია აქვს, მაგრამ ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ სინამდვილეში იგიც ვულგარული სოციოლოგიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

ს. ხუნდაძის შეხედულებები, როგორც ითქვა, ფართოდ გავრცელდა. მკვლევართა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გაიზიარა ის აზრი, რომ თითქოს ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა უღალატეს თავიანთ პირვანდელ (მათი აზრით, ლიბერალურ) შეხედულებებს და გადაუხვიეს მარჯვნივ, ე. ი. გადავიდნენ მეფის მთავრობის მხარეზე; გაიზიარეს აგრეთვე ის აზრი, რომ თითქოს ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები პირწავარდნილი ნაციონალისტები იყვნენ. დამახასიათებელია, რომ ისეთი თავდაჭერილი და ზომიერების იშვიათად დამრღვევი მკვლევარიც კი, როგორიც შ. რადიანია, წლების მანძილზე გარკვევით ეწეოდა მსგავსი აზრების პროპაგანდას. მაგალითად, ერთ-ერთ თავის ნაშრომში ის ამბობს: „80-იანი წლებიდან ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხდება თვალსაჩინო გარდატეხა... შიში დემოკრატიული რევოლუციის წინაშე, რომელიც მოითხოვდა სრულ ლიკვიდაციას ფეოდალიზმის ნაშთებისა და აქედან მემამულეთა მიწათმფლობელობისა და თავადაზნაურობის, როგორც კლასისა, ი. ჭავჭავაძეში აძლიერებს მემარჯვენე სულისკვეთებას“.[3]

---

[1] ს. ხუნდაძე, ნარკვევები, გვ. 335.

[2] იქვე, გვ. 150.

[3] ი. ჭავჭავაძე. ლექსები, პოემები, მოთხრობები, 1937, გვ. XXX.

შემდეგ: „ეროვნული იდეისადმი სამსახურის გზაზე, ი. ჭავჭავაძე ხშირად ეროვნულ უკიდურესობამდე მიდიოდა და ამჟღავნებდა ნაციონალისტურ სულისკვეთებას. ეს მან განსაკუთრებით გამოამჟღავნა პუბლიცისტურ წერილებში“.[1]

ასეთ თვალსაზრისს იზიარებდნენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტში საჯაროდაც აცხადებდნენ მარქსიზმის ყველა ჯურის დამმახინჯებლები. დამახასიათებელი ფაქტია, მაგალითად, რომ 1930 წელს ცნობილი ენათმეცნიერი ნ. მარი, რომელიც აგრეთვე მარქსისტობას ჩემულობდა, ლენინგრადის უნივერსიტეტის დაარსების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თავს იქებდა ქართველი „ნაციონალისტების“ წინააღმდეგ ბრძოლით. «Будущий яфетидолог, — ამბობდა ნ. მარი თავის თავზე, — по мере общения с различными национальными массами Кавказа и изучения их языков постепенно переходит на интернационализм в восприятии Кавказской общественности и становится антинационалистом, что особенно болезнено ощущается и резко осуждается учениками, друзьями и недругами из грузин-националистов. Отселе (он) мишень всех националистических нападок, особенно острых со стороны грузинских националистов, вождь которых, известный писатель кн. Чавчавадзе, при общем молчаливом сочувствии пригвоздил его публично к позорному столбу»[2].

როგორც ვხედავთ, აქ ილია ჭავჭავაძე გამოცხადებულია უკვე „ქართველი ნაციონალისტების ბელადად“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მარის ზოგიერთი მოწაფე თავის მასწავლებელზე კიდევ უფრო შორს წავიდა და იქამდე გაკადნიერდა, რომ ქართველი ხალხის სასიქადულო მწერლებს შოვინისტებს უწოდებდა.[3]

ის აზრი, რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ნაციონალისტები იყვნენ, სამწუხაროდ, დღესაც ცოცხალია. სულ ამ ცოტა ხნის წინად (1960 წ.) მოსკოვში გამოიცა კაპიტალური ნაშრომის „Очерки истории исторической науки в СССР“ მეორე ტომი, რომელშიც სხვა რესპუბლიკებთან ერთად წარმოდგენილია ქართუ-

---

[1] იქვე.
[2] Н. Я. Марр, «Избр. работы», т. I, стр. 271.
[3] В. Миханкова, Н. Я. Марр, 1935 г., зз. 43, 175.

ლი ისტორიოგრაფიის მდგომარეობის მიმოხილვა. ამ ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიოგრაფიის რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების დახასიათებას; მასში დაწვრილებით არის განხილული არა მარტო საკუთრივ რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის რევოლუციონერ-დემოკრატთა ისტორიული შეხედულებანი, ოღონდ არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატებზე. სამაგიეროდ, წიგნში ყოველგვარი ცვლილების გარეშეა წარმოდგენილი ყბადაღებული დასების თეორიის სქემა, რომლის მიხედვით, როგორც ვიცით, თერგდალეულები ლიბერალებად არიან გამოცხადებული. რაც შეეხება საკუთრივ ილია ჭავჭავაძეს, მის შესახებ წიგნის სათანადო პარაგრაფის ავტორი, ისტორიკოსი ვ. გაბაშვილი მკითხველს აუწყებს, რომ თითქოს «Чавчавадзе отстаивал националистические представления об «единстве», «неделимости» нации»[1].

ეს მაგალითი მოწმობს, რომ ძველი თეორიის დამცველთა შორის დღესაც მოიპოვებიან მკვლევარები, რომლებიც არ თაკილობენ, პირდაპირ უწოდონ ქართველი ხალხის საამაყო მწერლებს „ნაციონალისტები“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი „გაბედული“ და „გულახდილი“ ავტორები ამჟამად მაინც იშვიათ გამონაკლისს შეადგენენ. მათი დიდი უმრავლესობა იმავე აზრს გვთავაზობს უფრო შელამაზებული და შენიღბული ფორმით, რასაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი. სწორედ ეს გარემოება გვავალებს, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გამოვამჟღავნოთ და დაუნდობლად გავაკრიტიკოთ ასეთ მკვლევართა ნამდვილი შეხედულებანი.

როგორც უკვე ითქვა, ამჟამად ძველი თეორიის დამცველთა მდგომარეობა საკმაოდ გაძნელებულია. თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლისა და დაფასების საქმე სწრაფად მიდის წინ. ვლინდება სულ ახალი და ახალი ფაქტიური მასალა, რომელიც ძირს უთხრის და აქარწყლებს ძველ თვალსაზრისს; გარდა ამისა, თერგდალეულთა მემკვიდრეობის ნამდვილ დაფასებას დიდად უწყობს ხელს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მრავალრიცხოვანი ნამუშევრები. ჩვენი ფართო საზოგადოებრიობა არა მარტო მეცნიერული ან მხატვრული წიგნების საშუალებით ეცნობა, არამედ სცენაზე და

---

[1] Очерки истории исторической науки в СССР, II, М., 1960, გვ. 755.

ეკრანზეც ხედავს თერგდალეულ მწერალთა ნაწარმოებების გმირებს და სულ უფრო მეტად სწავლობს ავის და კარგის გარჩევას.

ასეთ პირობებში ძნელია აშკარად იქადაგო, „გლახის ნაამბობისა“ და „ბაში-აჩუკის“ ავტორები ნაციონალისტები და ბურჟუა-მემამულეების ინტერესების დამცველები იყვნენო. ამით აიხსნება, რომ ს. ხუნდაძის კონცეფციის თანამედროვე დამცველები (როგორც ზემოთ უკვე ითქვა), ახლა ყოველნაირად ცდილობენ შეალამაზონ, შეარბილონ და შენიღბონ თავიანთი შემცდარი შეხედულებანი[1]; ამასთან ისინი ცდილობენ დაასაბუთონ ეს შეხედულებანი მრავალრიცხოვანი ციტატების საშუალებით. ამიტომაცაა, რომ ახლა ეს მკვლევარები იშვიათად ლაპარაკობენ ილიას და აკაკის ნაციონალისტობაზე, ზოგჯერ აკრიტიკებენ კიდეც ს. ხუნდაძის ცალკეულ, მეტიმეტად უხეშ შეცდომებს და ჩვეულებრივ თერგდალეულთა ხელმძღვანელებს უწოდებენ „დიდ პატრიოტებს“, „სახელოვან მწერლებს“ და ა. შ. მაგრამ როცა საქმე მათს მეცნიერულ შეფასებაზე მიდგება, ისინიც მუდამ იმავე პრინციპით ხელმძღვანელობენ და ისეთსავე კრიტერიუმს იყენებენ, როგორსაც მათი მასწავლებელი იყენებდა, სახელდობრ: თერგდალეულებს ისინი ყოველთვის სთვლიან ლიბერალებად, ე. ი. ბურჟუაზიის ან გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის იდეოლოგებად. მაგრამ ვინ არ იცის დღეს, რომ აქედან სულ ადვილია ილიას და აკაკის ნაციონალისტებად და შოვინისტებად გამოცხადება, რადგან ბურჟუაზიის იდეოლოგია იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთშიც და ჩვენშიც სწორედ ნაციონალისტური და შოვინისტური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი? ვინც იტყვის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ლიბერალები იყვნენო, ის გარდუვალად მივა იმ დასკვნამდე, რომ ისინი ნაციონალისტებიც იყვნენ. სწორედ ასე ემართებათ ძველი თეორიის დამცველებს და ამ თეორიის ვერავითარი „შელამაზება“ და „შერბილება“ საქმეს ვერ შველის.

---

[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლაპარაკია არა რომელიმე ავტორის მიერ თავისი შეხედულებების შეგნებულად შენიღბვაზე ან მკითხველი საზოგადოებისათვის თვალის ახვევის ცდებზე, არამედ ობიექტურ ვითარებაზე, რაც აიძულებს მკვლევარებს (ზოგჯერ მათდა შეუმჩნევლადაც) იყვნენ თავდაჭერილნი. ამა თუ იმ ავტორს, სუბიექტურად, შეიძლება ძალიანაც მოსწონდეს და უყვარდეს ილიას და აკაკის ნაწარმოებები, მაგრამ ის მაინც ვერ შესძლებს მათ ნამდვილ დაფასებას, თუ სწორი, მეცნიერული თვალსაზრისით არ შეიარაღდა.

ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არ ჩამოგვართვან, თავს ნებას მივცემთ ერთხელ კიდევ ძალიან მოკლედ შევეხოთ ძველი თეორიის მიმდევართა ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენლის, ისტორიკოს ა. კიკვიძის შეხედულებებს, — ამჯერად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათის ირგვლივ.

ა. კიკვიძეს თავის ნაშრომებში არა ერთხელ მოუხსენებია გულთბილად და დიდი პატივისცემით ილია და აკაკი, რომლებმაც, მისი სამართლიანი თქმით, „მაღლა ასწიეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა“.[1] ამავე ავტორს ეკუთვნის დამსახურება ს. ხუნდაძის ზოგიერთი შემცდარი დებულების კრიტიკისა, როგორც თერგდალეულთა სოციალური, ისე ეროვნული პროგრამის გაგებისა და შეფასების ირგვლივ. მაგალითად, ა. კიკვიძემ სავსებით სწორად შენიშნა, რომ ს. ხუნდაძე შეცდომას უშვებდა, როცა ერთ-ერთ გამოჩენილ თერგდალეულს დავით მიქელაძეს, რომელიც ქართველ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ იარაღით საბრძოლველად მოუწოდებდა, „წმინდა წყლის ნაციონალისტად“ აცხადებდა; ა. კიკვიძემ საჭიროდ მიიჩნია უარეყო ს. ხუნდაძის ეს აზრი და განმარტა, რომ „მეფის რუსეთთან ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ნაციონალისტობა კი არ არის, არამედ ეროვნული საქმე—ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა“.[2]

ეს, რა თქმა უნდა, სავსებით სწორი აზრია. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ვეღარ ახერხებს ამ სწორი დებულების შემდგომ განვითარებას და დანარჩენ თერგდალეულებზეც მის გავრცელებას, რის გამო საბოლოო ჯამში თვითონაც იმავე ყალბი აზრის აღიარებამდე მიდის, რომელიც ცალკე შემთხვევაში სამართლიანად დაიწუნა და უკუაგდო.

ა. კიკვიძის შეხედულებანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ ყველაზე სრულად ჩამოყალიბებულია მის სადისერტაციო ნაშრომში „Общественно-политическое движение в Грузии в XIX веке (национально-освободительная борьба)», რომლის ავტორეფერატი დაიბეჭდა 1952 წელს. მასში ნათქვამია: «Демократическое движение передовой грузинской интеллигенции приняло широкий размах, и это не удивительно: гру-

---

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, 1959 წ., გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 84.

зинские шестидесятники потому возглавили национально-освободительную борьбу грузинского народа, что эта борьба являлась освободительной миссией самой молодой буржуазии.

Вопрос национальной свободы был в ту эпоху основным вопросом для подымающегося класса. Это был исторический прогресс, поскольку освободителем нации в борьбе с феодализмом, как учит Ленин, является капитализм».[1]

აი, ეს არის ის მთავარი ღერო, რომელზედაც ასხმულია ძველი თეორიის დამცველთა ყალბი აზრების მთელი აკიდო; რა კარგი მტევნებიც არ უნდა შემატონ ამ აკიდოს, სულ ერთია, ეს საქმეს ვერ უშველის, რადგან თვითონ მისი ღერო დამპალია და დიდი ხანია გადასაგდებია.

მოყვანილი ციტატიდან ნათელია, რომ ძველი თეორიის დამცველები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფასების საკითხშიც არ ღალატობენ თავიანთ თავს და ისევ ბურჟუაზიის ჯახრაკ ცხენს ებღაუვებიან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე დავინახეთ იმ აზრის სრული უნიადაგობა, რომ თითქოს ჩვენში ბურჟუაზია იყო პროგრესის და ცივილიზაციის მედროშე და ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი ძალა, არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს იმის გაგებაც, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო „ბურჟუაზიის მისია“. არა გვგონია, ამჟამად ჩვენში ბევრი მოიძებნოს ისეთი მეცნიერი (თუნდაც ძველი თეორიის მიმდევარი), რომელმაც არ იცოდეს, რომ 60-იანი წლების საქართველოში ეროვნული ბურჟუაზია, როგორც კლასი, არ არსებობდა; არც ისეთი მკვლევარების არსებობაა საგულვებელი, რომლებიც დაიჯერებდნენ, რომ უცხოელ კაპიტალისტებს, — მაშინ ჩვენ ქვეყანაში თავისუფლად რომ დაპარპაშებდნენ, ან თუნდაც სომხური წარმოშობის ბურჟუებს, — ყველა ამ რუქსებს, გოხშტრაზერებს, როზმორდუკებს, ზეიცერებს, ბოზარჯიანცებსა და მირზოევებს, — თითქოს აწუხებდათ ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილები. პირდაპირ გულუბრყვილობაა, რომ 60-იანი წლების საქართველოში ვეძებოთ რაღაც არ არსებული „პროგრესული ბურჟუაზია“ და ვერ დავინახოთ მრავალრიცხოვანი ქართველი

---

[1] დასახელებული შრომის ავტორეფერატი, გვ. 19.

გლეხობა, რომელიც იარაღით ხელში ებრძოდა თავადაზნაურობასაც და თვითმპყრობელობასაც.

მაგრამ დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი, რადგან ეს საკითხი ისედაც უკვე ნათელია, და ვნახოთ, როგორ აქვს წარმოდგენილი ჩვენს ავტორს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარების პროცესი. ზემოთ ხსენებულ ავტორეფერატში შემდეგ ნათქვამია: «Национально-освободительная борьба в 70-80-х годах, возглавляемая демократической интеллигенцией, сыграла историческую роль в деле защиты национальной самобытности, языка и национальной культуры. Однако это движения демократической интеллигенции, объективно представлявшей классовые интересы буржуазии, являлось буржуазным национальным движением, которое не могло дать народу национальной свободы... Национальное движение буржуазии выраждается в национализм»[1].

აი, ის საბოლოო წერტილი, სადაც აუცილებლად უნდა მისულიყო და მივიდა კიდევაც ჩვენი ავტორი.

აქედან ცხადია, რომ ძველი თეორიის დამცველები და მათ შორის ისინიც, რომლებიც უცვლელად კი არ იმეორებენ ს. ხუნდაძის კონცეფციას, არამედ ცდილობენ მის გაუმჯობესება-შელამაზებას, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიიჩნევენ წმინდა ბურჟუაზიულ მოძრაობად, რომელიც რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, პროლეტარულ ეტაპზე მუშათა კლასის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას კი არ შეუერთდა, არამედ ნაციონალიზმში გადაგვარდა.

ამ სრულიად უსაფუძვლო და შემცდარი აზრის დასამტკიცებლად ძველი თეორიის დამცველები მიმართავენ ერთადერთ საიმედო მეთოდს, რომლის საშუალებით ამქვეყნად ყველაფრის „დამტკიცება“ შეიძლება: ეს გახლავთ ციტატური მეთოდი. ავტორები, რომლებიც ამ მეთოდით სარგებლობენ, როგორც წესი, ნაკლებად იწუხებენ თავს იმისათვის, რომ ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლონ აღებული საკითხი; ისინი ჩვეულებრივ კმაყოფილდებიან ცალკეული, დროისა და სივრცის გარეშე აღებული ციტატებით, რომლებიც ასე თუ ისე „უდგება“ მათ საკუთარს, წინასწარ შემუშავებულს

[1] იქვე, გვ. 24-25.

თვალსაზრისს. ასეთი ავტორები აიღებენ ხოლმე მარქსიზმის კლასიკოსთა ერთ რომელიმე ცალკე ნაშრომს, რომელიც ვთქვათ, მათთვის საინტერესო საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს ეხება, და აშენებენ მასზე მთელ თავის მსჯელობას ისე, რომ ანგარიშს აღარ უწევენ მარქსიზმის კლასიკოსთა სხვა ნაშრომებს, რომლებშიც გაშუქებულია იმავე საკითხის მეორე მხარე; ან კიდევ: აიღებენ მარქსიზმის გამოჩენილ ავტორთა მარტო იმ ნაშრომებს, რომლებშიც რომელიმე საკითხთან დაკავშირებით საქართველოა მოხსენებული და ყურადღებას აღარ აქცევენ სხვა ნაშრომებს, რომლებშიც თუმცა საქართველო არ არის მოხსენებული, მაგრამ იგივე საკითხი უფრო სრულად და ყოველმხრივ არის განხილული. ასეთი მეთოდის გამოყენების შედეგად ხშირია შემთხვევები, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის ციტატები იქცევიან თავისებურ საფარად, რომლის შემწეობით უხეშად მახინჯდება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება.

იმისათვის, რომ მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს, რა დიდი ზიანი მოაქვს ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის ციტატური მეთოდის გამოყენებას, თავს ნებას მივცემთ დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი.

მკვლევარები (ძველი თეორიის დამცველები), რომლებიც ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ბურჟუაზია იყო ჩვენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი, ხშირად მიგვითითებენ ხოლმე ი. სტალინის ნაშრომზე „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“. მათი აზრით, ამ ნაშრომის შინაარსი მოწმობს, რომ თერგდალეულები „ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხის“ გადაჭრისათვის იბრძოდნენ და, მაშასადამე, ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენ. ასე მსჯელობს, მაგალითად, ისტორიკოსი ი. კაჭარავა, რომელიც ერთ-ერთ თავის გამოკვლევაში დაწვრილებით ეხება ხსენებულ ნაშრომს[1]. ი. კაჭარავა მთელ თავის მსჯელობას 60-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარშემო აშენებს ზემოთ ხსენებული ნაშრომიდან ამოღებულ ციტატებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი არც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე და არც 60-იანი წლების მოღვა-

---

[1] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1958, გვ. 6—10.

წეებზე. ი. კაჭარავა გვარწმუნებს: „სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ბურჟუაზია. ახალმა კლასმა XIX საუკუნის 60-იან წლებში „ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი“ წამოაყენა... თერგდალეულები იყვნენ „ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხის“ იდეოლოგები“.[1]

ჯერ ერთი, საკითხავია: საიდან ჩანს, ან რა ნიშნის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ნაშრომში ავტორს მხედველობაში ჰყავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი ხელმძღვანელები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი? ამ კითხვის პასუხი ძველი თეორიის დამცველთა საიდუმლოებას შეადგენს; მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ ხსენებულ ნაშრომში ლაპარაკია არა 60-იან, ან თუნდაც 70-იან წლებზე.

დღესავით ნათელია, რომ ზემოთ დასახელებული ნაშრომი ეხებასულ სხვა საკითხს და სულ სხვა ეპოქას, რის გამო ყოველგვარი ცდები ამ ნაშრომის გამოყენებით საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ მოძრაობად გამოცხადებისა, მოკლებულია რაიმე სერიოზულ საფუძველს.

არიან ისეთი მკვლევარებიც, რომლებიც მიგვითითებენ ი. სტალინის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაზე; ეს სიტყვა თითქოს მოწმობს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა ახალგაზრდა ბურჟუაზიამ აღმართა. ასეთ აზრს გამოთქვამს, მაგალითად, მკვლევარი მ. დუდუჩავა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არ არის ძველი თეორიის ორთოდოქსი დამცველი, მაგრამ ილია ჭავჭავაძეს მაინც ბურჟუაზიის იდეოლოგად სთვლის. ნაშრომში „ი. ჭავჭავაძის ესთეტიკა“, მიგვითითებს რა ამ სიტყვაზე (აგრეთვე რამდენიმე სხვა ამის მსგავს არგუმენტზე), ავტორი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ყველაფერი ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, არა მარტო თავისი ობიექტური შინაარსით, არამედ მთელი თავისი არსებითაც, პროგრესულ-დემოკრატიული ეროვნული ბრძოლის ჰეგემონი და ხელმძღვანელი, ძირითადად, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ აღმავალი ბურჟუაზია“[2].

---

[1] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1958, გვ. 8.

[2] მ. დუდუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, გვ. 310.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხსენებულ სიტყვაზე მიგვითითებს აგრეთვე მკვლევარი ა. კიკვიძე, რომელიც სთვლის, რომ ამ სიტყვაში მოცემული ბურჟუაზიული იდეოლოგიის დახასიათება, თითქოს მთლიანად შეეხება საქართველოს ბურჟუაზიას, კერძოდ გაზეთ „დროების“ პუბლიცისტებს.[1]

გვაპატიონ ხსენებულმა დიდად პატივცემულმა ავტორებმა, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე ციტატების უადგილოდ დამოწმებასთან გვაქვს.

ცნობილია, რომ პარტიის მეცხრამეტე ყრილობაზე სტალინი არ შეხებია რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სპეციფიკურ პირობებს.

მაგრამ შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზია ჩვენშიც იცავდა „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს“ და „ერის მეთაურად ითვლებოდა“? რა თქმა უნდა არა!

დაბოლოს, მკვლევართა ერთი ნაწილი იმოწმებს იმავე ავტორის ნაშრომს „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც დაწერილია 1913 წელს. აქ განხილულია ბურჟუაზიული ერების წარმოშობისა და ეროვნული მოძრაობის საკითხები. მაგრამ, თუ ჩვენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის არსის სწორი გაგება გვინდა, არ იქნება საკმარისი მარტო ამ ნაშრომს დავეყრდნოთ.

ზემოთ ხსენებულ ნაშრომში ბურჟუაზიაზე ლაპარაკია საერთოდ და არ არის ხაზგასმული წვრილი ბურჟუაზიის (გლეხობის) განსაკუთრებული როლი ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. სწორედ ამ გარემოებას შეჰყავს შეცდომაში ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი, რომლებიც სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ სხვა ნაშრომებს ამ საკითხზე. ამ შეცდომას, სამწუხაროდ, ვერ ასცდა ისეთი მკვლევარიც კი, როგორიცაა მ. გაფრინდაშვილი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არ ჩაითვლება ძველი თეორიის მიმდევრად. ნაშრომში, რომელიც მან გ. წერეთლის საზოგადოებრივი შეხედულებების გამორკვევას მიუძღვნა, ნათქვამია: „60-70-იანი წლების ქართულ სინამდვილეში წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი ძალები რუსეთის თვითმპყრობელურ-მემამულური საჰელმწიფოს სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმისაგან განთავისუფლებას რომ მოითხოვდნენ, განსაზღვრული აზრით, მთელ ხალხ-

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, 1959 წ., გვ. 75:

თან ერთად მონაწილეობდნენ ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ „ბაზარი პირველი სკოლაა, სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს“ და ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიისთვისაც საქართველოს და ქართველი ხალხის განთავისუფლება არსებითად უცხო ქვეყნის ბურჟუაზიასთან ბრძოლაში „მშობლიური“ ბაზრის დაპყრობას ნიშნავდა.

ამიტომ იყო, რომ 90-იან წლებში, როცა ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების საქმე პროლეტარიატის ხელში გადავიდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე ნაციონალისტურ-რეაქციულ კილოზე ალაპარაკდა. დიალექტიკამ აქაც გაიმარჯვა: თავის დროზე ნაციონალური და რევოლუციური, შემდეგში ნაციონალისტურად და რეაქციულად გადაიქცა“.[1]

ეს მსჯელობა უდავოდ მცდარი მსჯელობაა. ვისაც ჩვენი სამშობლოს ახალი ისტორია ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანად შეუსწავლია, მისთვის ნათელია, რომ მტკიცება — თითქოს საქართველოს „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე ნაციონალისტურ-რეაქციულ კილოზე ალაპარაკდა“ — ისტორიული სინამდვილის დამახინჯებას ნიშნავს; ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში „დიალექტიკამ კი არ გაიმარჯვა“, არამედ ჩვენი პატივცემული ავტორი გახდა იძულებული ერთგვარი ხარკი გადაეხადა ს. ხუნდაძის დრომოჭმული თეორიისათვის.

როგორც ცნობილია, სტალინმა კომინტერნის აღმასკომის იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქმულ სიტყვაში (1925 წ.), მიუთითა რა იმ ცვლილებაზე, რაც რუსეთის მარქსიზმის ისტორიაში ნაციონალური საკითხის დაყენებამ განიცადა, ხაზგასმით აღნიშნა გლეხობის განსაკუთრებული როლი ნაციონალურ მოძრაობაში.

ჩვენ ვფიქრობთ, ვისაც სურს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი გაიგოს, მას არ შეუძლია გვერდი აუაროს და სათანადოდ არ გაითვალისწინოს, რომ 60-70 წლების საქართველოში, როცა ეროვნული ბურჟუაზია, როგორც კლასი, არა თუ

---

[1] მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 45.

რაიმე სერიოზულ პროგრესულ ძალას არ წარმოადგენდა, არამედ არც კი არსებობდა, სწორედ გლეხობა და გლეხთა მოძრაობა წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულსა და გულს, მის საყრდენსა და საფუძველს.

შეიძლება ჩვენ გვითხრან, რომ იმ დროს გლეხთა სტიქიური მოძრაობა და ცალკეული აჯანყებები არ იყო უშუალოდ შეერთებული და შერწყმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელსაც უფრო ინტელიგენციის ძალები წარმართავდნენ; რომ ადგილი არ ჰქონია მეფის მთავრობის წინააღმდეგ საერთო-სახალხო აჯანყებას, მომზადებულს ორგანიზებულად და შეიარაღებულს ერთიანი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამით. ეს, ცხადია, მართალია, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედარებით სისუსტეს მიუთითებს და სრულებითაც არ სცვლის საკითხის არსს. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი აჯანყება არ ყოფილა გამორიცხული არც 60-იანი წლების დამდეგს და არც 80-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთში აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაციები შეიქმნა. მაგრამ, როგორც ცნობილია, რევოლუციური სიტუაცია არც 60-იანი და არც 80-იანი წლების დამდეგს არ გადაზრდილა რევოლუციაში და რუსეთში გაიმარჯვა სასტიკმა რეაქციამ, რამაც არარეალური გახადა ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განცალკევებული შეიარაღებული გამოსვლა.

დიახ, რუსეთის რეაქციამ იმ დროს აჯობა რევოლუციის ძალებს, რის გამო გლეხობისა და მისი იდეოლოგების ბრძოლამ, რომელიც მოკლებული იყო მუშათა კლასის დახმარებას, ვერ მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ბრძოლას ამაოდ მაინც არ ჩაუვლია; ამ ბრძოლამ ნიადაგი მოუმზადა 1905—1907 წლების რევოლუციას და შემთხვევით როდი იყო, რომ საქართველოში, რუსეთის იმპერიის ბევრ სხვა მხარესთან შედარებით, მისი ჰექა-ქუხილი გაცილებით უფრო მძლავრი იყო.

ასეთია საქმის ვითარება ზოგიერთი ჩვენი მკვლევარის მიერ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის გასაგებად ციტატების დამოწმების მხრივ.

სამწუხაროდ, ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა ვ. ი. ლენინის ნაშრომებიდან ციტატების დამოწმების მხრივაც. ყველა შემთხვევაში, როცა ჩვენი მკვლევარები თავიანთი შემცდარი თვალსაზრისის

დასასაბუთებლად ლენინს იმოწმებენ, საქმე გვაქვს ზემოთ ხსენებული ციტატური მეთოდის გამოყენებასთან. ძველი თეორიის დამცველები, იმის ნაცვლად, რომ კეთილსინდისიერად შეისწავლონ ლენინიზმის მოძღვრება და გაერკვნენ მის არსში, ცდილობენ ლენინის ნაწერებში იპოვნონ ცალკეული ციტატები, რომლებიც „მიუდგება“ მათს საკუთარ შეხედულებებს; მაგრამ თუ ადამიანი ყურადღებით გადაიკითხავს იმ ნაშრომებს, საიდანაც ასეთი ციტატები მოაქვთ და გაითვალისწინებს სათანადო კონტექსტს, მაშინვე დაინახავს, რომ ციტატი დამოწმებულია უადგილოდ. შევეხოთ ორ დამახასიათებელ მაგალითს.

ზოგიერთი მკვლევარი მიგვითითებს ლენინის ცნობილ ნაშრომზე „სოციალიზმი და ომი“, რომელშიც პროლეტარიატის ბელადი არკვევს 1914 წლის მსოფლიო ომთან მუშათა პარტიების დამოკიდებულების საკითხს. თავისთავად ცხადია, რომ ამ საკითხს ძალიან მცირე დამოკიდებულება აქვს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, მაგრამ ლენინის ხსენებულ ნაშრომში მოიპოვება ერთი ასეთი გამოთქმა: „ერების განმათავისუფლებლის ნაცვლად, როგორიც კაპიტალიზმი იყო ფეოდალიზმთან ბრძოლაში, იმპერიალისტური კაპიტალიზმი ერების უდიდესი მჩაგვრელი გახდა“.[1] ამ გამოთქმის საფუძველზე ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს „ქართველი სამოციანელები იმიტომ ჩაუდგნენ სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომ ეს იყო ახალგაზრდა ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი მისია“.[2]

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ ლენინის ციტატი სრულიად უადგილოდ არის დამოწმებული. ვინც გადაიკითხავს ლენინის დასახელებული ნაშრომის თუნდაც მხოლოდ რამდენიმე გვერდს, ის თვალნათლივ დაინახავს, რომ ლენინს მხედველობაში აქვს სულ სხვა ქვეყნები და სულ სხვა ეპოქა.

ზოგიერთი ავტორი მიგვითითებს აგრეთვე ვ. ლენინის ნაშრომზე „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, რომელიც დაწერილია 1914 წელს. ამ ნაშრომში მოიპოვება ასეთი ფრაზა „ბურჟუაზია, რომელიც ყოველი ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ბუნებ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 365.

[2] ა. კიკვიძე, დასახელებული ავტორეფერატი, გვ. 19.

რივად მის ჰეგემონად (ხელმძღვანელად) გამოდის, პრაქტიკულ საქმეს უწოდებს ყველა ეროვნული მისწრაფებისათვის მხარდაჭერას".[1] სწორედ ამ ფრაზის საფუძველზე ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს საქართველოში „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში... პროგრესულ-დემოკრატიული ეროვნული ბრძოლის ჰეგემონი და ხელმძღვანელი, ძირითადად, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ აღმავალი ბურჟუაზია".[2]

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქაც საქმე ლენინის ციტატის უადგილოდ დამოწმებასთან გვაქვს. ვინც გადაიკითხავს ლენინის ზემოთ ხსენებული ნაშრომის თუნდაც მარტო მეორე თავს, რომელსაც სათაურად აქვს „საკითხის ისტორიული კონკრეტული დაყენება", ის თვალნათლივ დაინახავს, რომ ლენინს როცა ის ბურჟუაზიის ჰეგემონობაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს არა 60-იანი წლების ხანა და რუსეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ საკუთრივ ბურჟუაზიული ეროვნული მოძრაობა, რომელიც სწორედ იმ ხანებში (1905—1907 წ.წ. შემდეგ) ფართოდ გაიშალა თითქმის მთელ რუსეთში.

ჩვენი მკვლევარები (ძველი თეორიის დამცველები) ცალკეული ციტატებით რომ არ იყვნენ მეტისმეტად გატაცებულნი და ამის ნაცვლად ყურადღებით სწავლობდნენ ლენინის ნაშრომებს, ისინი ბევრს საგულისხმოს გაიგებდნენ სადაო საკითხზე ლენინის თუნდაც ზემოთ ხსენებული ფრიად საინტერესო ნაშრომიდან „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ"; ისინი გაიგებდნენ, კერძოდ, რომ „მარქსისტული თეორიის უთუო მოთხოვნას ყოველგვარი სოციალური საკითხის გარჩევის დროს წარმოადგენს მისი ჩასმა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ისტორიულ ჩარჩოებში, ხოლო შემდეგ, თუ ლაპარაკია ერთ ქვეყანაზე (მაგალითად, ნაციონალურ პროგრამაზე ამა თუ იმ ქვეყნისათვის), იმ კონკრეტულ თავისებურებათა აღრიცხვა, რომლებიც ამ ქვეყანას სხვებისაგან განასხვავებენ ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ფარგლებში".[3]

ისინი ბევრს საგულისხმოს გაიგებდნენ აგრეთვე ლენინის სხვა ნაშრომებიდან, რომლებიც ეროვნული საკითხისადმია მიძღვნილი, კერძოდ, ნაშრომიდან „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 20, გვ. 500.

[2] მ. დუდუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, გვ. 310.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 489.

ზე", რომელიც იმავე 1914 წელსაა დაწერილი და რომელშიც საქართველოზეცაა ლაპარაკი. ამ ნაშრომში ლენინი დაუნდობლად ამათრახებს ყველა ქვეყნის, და მათ შორის საქართველოს, ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ამხელს მის გამცემლურ ბუნებას და ლაქიურ სულს. ლენინი ამჟღავნებს კერძოდ ბურჟუაზიის მოღალატეობას ენების საკითხში, რომელსაც ლიბერალები „უდგებიან როგორც თვალთმაქცი ჩარჩები"[1], და მზად არიან ივაჭრონ დედა ენით. ამავე დროს ლენინი იქვე გვიჩვენებს იმის მაგალითს, თუ როგორ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ნაციონალიზმი და დემოკრატია. „არც ერთი დემოკრატი, მით უმეტეს არც ერთი მარქსისტი არ უარყოფს ენათა თანასწორუფლებიანობას",[2] ამბობს ლენინი და დამაჯერებლად ცხადჰყოფს იმ არსებით განსხვავებას, რომელიც ეროვნულ საკითხში დემოკრატებსა და ლიბერალებს შორის არსებობს.

იმავე ნაშრომში ჩვენს მკვლევარებს (ძველი თეორიის დამცველებს) შეეძლოთ წაეკითხათ ლენინის შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: „თ ვ ი თ ე უ ლ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, ვინაიდან თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა (ხოლო უმრავლესობაში კიდევ—შავრაზმული და კლერიკალური)—ამასთან არა მარტო „ელემენტების" სახით, არამედ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კულტურის სახით".[3]

ნუთუ ამ სრულიად ნათელი სიტყვების შემდეგ შეიძლება მარქსისტულ თვალსაზრისზე მდგომმა მკვლევარმა ერთმანეთში აურიოს, ერთი მხრივ, დემოკრატიული კულტურა და იდეოლოგია, რომელსაც მშრომელი და ექსპლოატირებული მასის ცხოვრების პირობები წარმოშობს და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის კულტურა და იდეოლოგია, რომელიც გაბატონებული და ექსპლოატატორული კლასის ინტერესების გამოხატულებაა?!

---

[1] იქვე, გვ. 6.
[2] იქვე, გვ. 10.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 10.

ან იქნებ ფიქრობენ, რომ ქართველი ერი რაღაც გამონაკლისს შეადგენდა და აქ არ ყოფილა დემოკრატიული კულტურა და დემოკრატიული იდეოლოგია? რატომ აღარიბებენ ასე ჩვენი ერის კულტურას?! რატომ ვერ ხედავენ XIX საუკუნის საქართველოს იმ შესანიშნავ დემოკრატიულ ლიტერატურას და აზროვნებას, რომელიც დაამშვენებდა ყოველ ერს და რომლითაც სამაროლიანად იამაყებდა საქართველოზე ბევრად დიდი ერის შვილიც?!

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე მეცნიერებაა, თუ მას კარგად შევისწავლით და საქართველოს ისტორიის მოვლენების კვლევისას გამოვიყენებთ არა თალმუდისტურად, არამედ მარქსისტულად, დაგვეხმარება სწორად ავხსნათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი და ღირსეულად დავაფასოთ ამ მოძრაობის სახელოვანი ხელმძღვანელები. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მარქსიზმის კლასიკოსთა არც ერთი დებულება, არც ერთი ციტატი, რომელიც ნამდვილად და არა მოჩვენებითად, ადასტურებდეს საქართველოს სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ თავდადებულ მოღვაწეთა ძირითადი იდეებისა და პრინციპების არადემოკრატიულ ხასიათს, მათს თითქოსდა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ, თუ თავადაზნაურულ-ლიბერალურ შინაარსს.

კიდევაც რომ არ გაგვაჩნდეს ლენინის პირდაპირი მითითება ჩაგრული ქვეყნის ხალხთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეროვნული მოძრაობის არსის შესახებ, როგორც გლეხური დემოკრატიის გამოხატულებისა, მარქსისტი მკვლევარისათვის ეს ჭეშმარიტება მაინც უდავო იქნებოდა, რადგან იგი ლენინიზმის მთელი მოძღვრებიდან გამომდინარეობს, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ საკითხზე ჩვენ მოგვეპოვება ლენინის პირდაპირი და თანაც ზუსტად ჩამოყალიბებული მითითება, რომელმაც არ შეიძლება სერიოზულად არ დააფიქროს ციტატების მოყვარული მკვლევარები. მხედველობაში გვაქვს ლენინის მოხსენება კომინტერნის II კონგრესზე 1920 წელს, სადაც ნათქვამია:

„მე მინდოდა განსაკუთრებით გამესვა ხაზი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის საკითხისათვის ჩამორჩენილ ქვეყნებში. სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია ზოგიერთი უთანხმოება. ჩვენ ვდაობდით იმაზე, პრინციპულად და თეორიულად სწორი იქნებოდა თუ არა იმის განცხადება, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და

კომუნისტურმა პარტიებმა მხარი უნდა დაუჭირონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობას ჩამორჩენილ ქვეყნებში; ამ დისკუსიის შედეგად ჩვენ მივედით იმ ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე, რომ „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ მოძრაობის ნაცვლად ვილაპარაკოთ ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაზე. არავითარი ეჭვი არაა, რომ ყოველი ნაციონალური მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყოს, ვინაიდან ჩამორჩენილ ქვეყნებში მოსახლეობის მთავარი მასა შედგება გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმომადგენელია“.[1]

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ლენინის საპროგრამო განცხადებასთან, რომელიც შეეხება სპეციალურად ჩვენთვის საინტერესო საკითხს და რომელიც ერთსულოვნად არის მიღებული კომუნისტურ ინტერნაციონალში წარმოდგენილ კომპარტიების წარმომადგენელთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და დისკუსიის შედეგად.

და აი, ასეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სრულიად გარკვევით და ნათლად ადასტურებს, რომ ჩამორჩენილი ქვეყნების ნაციონალურ-რევოლუციური (ანუ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი) მოძრაობა არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობაა არა იმიტომ, რომ მას ბურჟუაზია (თუნდაც ახალგაზრდა, ან „ნორჩი“ ბურჟუაზია) ხელმძღვანელობს, ჰეგემონობს და ა. შ., არამედ იმიტომ, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში, — ისეთებში, როგორიც იყო, მაგალითად, — XIX საუკუნის საქართველო, — „მოსახლეობის მთავარი მასა შედგება გლეხობისაგან, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმომადგენელია“. მაშასადამე, თუ ლაპარაკია ჩამორჩენილი და ჩაგრული ქვეყნის ეროვნულ მოძრაობაზე, მაშინ, ცნებები: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ ანუ „ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა“ და „ბურჟუაზიულ დემოკრატიული“ ანუ „გლეხურ-დემოკრატიული მოძრაობა“, არსებითად და ძირითადად ერთი და იგივე შინაარსის ცნებებად უნდა მივიჩნიოთ.

საკითხის ამგვარად გაგების შემდეგ, სავსებით ნათელი ხდება აზრი და მნიშვნელობა ლენინის ცნობილი ფორმულისა, რომელსაც ჩვენი მკვლევარები (ძველი თეორიის დამცველები) ძალიან ხშირად

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 287.

იმეორებენ ხოლმე, მაგრამ რომლის ნამდვილი შინაარსი მათთვის გაუგებარია. მხედველობაში გვაქვს ფორმულა, რომელშიც რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი პერიოდებია განსაზღვრული და რომელიც ძირითადად ემთხვევა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების პერიოდებს. აი, ეს ფორმულაც:

„განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან“.[1]

ძველი თეორიის დამცველები, რომლებიც ამ ფორმულას ხშირად იმოწმებენ, განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპს ჩვეულებრივ იხსენიებენ ხოლმე, როგორც „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს“, ხოლო ცნებას „რაზნოჩინცულს“ — სავსებით გვერდს უვლიან. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი გულმავიწყობა არ არის. საქმე ისაა, რომ მათი გაგებით „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ — ბურჟუაზიის იდეოლოგიას ნიშნავს, „რაზნოჩინცები“ კი, როგორც ყველასათვის ცნობილია, უმთავრესად წვრილბურჟუაზიას (გლეხებს, ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს) ჰქვია; მაშასადამე, მათი თვალსაზრისით ლენინის ფორმულა გაუგებარია, და აი, ისინიც შეუმჩნეველად „ასწორებენ“ ლენინის ამ ფორმულას. მათ, ცხადია, მხედველობიდან გამოეპარათ, რომ ლ ე ნ ი ნ ი რ უ ს ე თ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა დ ს წ ო რ ე დ წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს („რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ ც ე ბ ს“) მ ი ი ჩ ნ ე ვ ს; სწორედ ამიტომაა, რომ იმავე წერილში ლენინი რაზნოჩინელთა რიცხვს მიაკუთვნებს რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და გლეხური იდეოლოგიის ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ ბელინსკი, გერცენი და ჩერნიშევსკი.[2]

ამჟამად ჩვენში თითქმის არც ერთი მკვლევარი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ თერგდალეულები აღიზარდნენ ჩერნიშევსკისა და მისი თანამოაზრეების იდეებზე; მიუხედავად ამისა, ძველი თეორიის დამ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი ტ. 20, გვ. 292.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 293.

ცველები მაინც ცდილობენ გამონახონ რაღაც პრინციპული სხვა-დასხვაობა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის საზოგადოებრივ შეხედულებებსა და თერგდალეულთა საზოგადოებრივ შეხედულებებს შორის. თუმცა ასეთ ცდებს აქამდეც არ გააჩნდა საფუძველი, მაგრამ ეს ყველასათვის ნათელი არ იყო. დღეს კი, როცა აღმოჩნდა ახალი, რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში თერგდალეულთა უაღრესად აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები, ყველასათვის ცხადი და ნათელი გახდა (ან უნდა გახდეს) ამ ცდების სრული უსაფუძვლობა. მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტები ჩვენთვის სრულიად უდავოს ხდიან რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირდაპირ იდეურ ნათესაობას, თერგდალეულებისა და რუსი რევოლუციონერების პრინციპების, მიზნებისა და მოქმედების ერთგვარობას. ეს სავსებით სწორი და ისტორიულად კანონზომიერი მოვლენაა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა აქედან ის დასკვნა გამოგვეტანა, რომ რუსეთის რევოლუციური დემოკრატებისა და თერგდალეულების წინაშე ისტორიულად სავსებით ერთნაირი ამოცანები იდგა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ამოცანები იმდენადვე განსხვავებული უნდა ყოფილიყვნენ, რამდენადაც განსხვავდებოდა რუსეთისა და საქართველოს მაშინდელი ცხოვრების პირობები.

თუ რუსეთის გლეხობა ბატონყმური წესწყობილებისაგან გამოწვეულ სოციალურ ჩაგვრას განიცდიდა და ამის შესაბამისად საკუთრივ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპის უმთავრეს და უპირველეს ამოცანას ბატონყმობის და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, საქართველოში უდავოდ განსხვავებული მდგომარეობა იყო; ქართველი გლეხი იჩაგრებოდა არა მარტო როგორც გლეხი, არამედ აგრეთვე როგორც ქართველი, ე. ი. როგორც ჩაგრული ერის შვილი; მას სჯიჯგნიდნენ და სისხლს სწოვდნენ როგორც ადგილობრივი მჩაგვრელები — მემამულეები და ბურჟუები, ისე მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი ·ჩინოვნიკები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მოესპოთ საქართველო და ქართველი ერი, აღეგავათ პირისაგან მიწისა მისი ენა და კულტურა. ასეთ პირობებში, ცხადია, არ შეიძლებოდა, რომ თერგდალეულებს სოციალურ უსამართლობასთან ერთად განსაკუთრებული სიმწვავით არ ეგრძნოთ აგრეთვე ეროვნული უსამართლო-

ბა და ჩაგვრა; მაშასადამე, არ შეიძლებოდა, რომ მათ თავიანთი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად არ ექციათ ხალხის ეროვნული ინტერესების, მისი ენისა და კულტურის, მისი ეროვნული თვითმყოფობის დაცვა დესპოტური სახელმწიფოს ხელყოფისაგან.

თერგდალეულებმა კარგად იცოდნენ, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ შეეძლოთ თავიანთი რუსი თანამოაზრეების სრული მხარდაჭერისა და დახმარების იმედი ჰქონოდათ: ეს გარემოება მათ მხნეობას და ენერგიას მატებდა, გამარჯვების რწმენას უნერგავდა; ისინი ამაყობდნენ მით, რომ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ბანაკს ეკუთვნოდნენ; მაგრამ ამასთანავე ერთად მათ ისიც კარგად ესმოდათ, რომ ქართველი ხალხის განთავისუფლება უპირველეს ყოვლისა თვით ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციის საქმე იყო; მათ ესმოდათ, რომ თვით თერგდალეულებს, რომლებიც ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ავანგარდში იდგნენ, თავიანთ მხრებზე უნდა გადაეტანათ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე; მათ უნდა გაეღვიძებიათ ხალხი და გაძღოლოდნენ წინ მჩაგვრელთა შესამუსრავად.

ეს დიადი მიზანი აძლევდა ბუმბერაზულ ძალას ილიას, აკაკის და მათ ირგვლივ შემოკრებილ შესანიშნავ ადამიანებს, — ქართველი ხალხის ამ განათლებულ, კეთილშობილ და თავდადებულ შვილებს. ქართველი ხალხის წინაშე აღმართული საფრთხე, ერის სასიცოცხლო ინტერესები ავალებდა მათ დღენიადაგ ეფიქრათ და ეზრუნათ თავიანთ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ სამშობლოზე, რათა შეემსუბუქებინათ მისი ეროვნული ტკივილები. ამასთან რაც უფრო ძლიერდებოდა თვითმპყრობელობის მხრივ კოლონიური ჩაგვრა, მით უფრო მწვავდებოდა ეროვნული საკითხი და ამის შესაბამისად იზრდებოდა თერგდალეულთა წინააღმდეგობის ძალაც. ამით აიხსნება, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თერგდალეულებმა ეროვნული საკითხი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვან საკითხად, ქართველი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გამოაცხადეს, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი მას დაუქვემდებარეს.[1]

---

[1] ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკოსმა გ. მარგველაშვილმა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ა. წერეთლის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესწავლას, სავსებით სამართ-

თერგდალეულები იყვნენ სამშობლოს ერთგული შვილები, თავდადებული პატრიოტები, რომლებიც მზად იყვნენ სიცოცხლეც კი შეეწირათ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. მაგრამ ისინი იყვნენ არა ბატონყმური სამშობლოს, არა მეფის, მემამულეებისა და ბურჟუების საქართველოს პატრიოტები, არამედ დემოკრატიული საქართველოს, მშრომელი ხალხის სამშობლოს პატრიოტები. მათი პატრიოტიზმი სრულიადაც არ ყოფილა ნაციონალისტურად შეზღუდული და შეიცავდა ინტერნაციონალიზმის იდეებს, სხვა ერებისა და ხალხებისადმი, მათი მოწინავე ადამიანებისადმი პატივისცემის, მათთან თანამშრომლობისა და მეგობრობის იდეებს. ამით აიხსნება, რომ თერგდალეულები ხალხით თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ არა მარტო რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან. არამედ აგრეთვე პოლონელ, უკრაინელ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვ. რევოლუციონერ-დემოკრატებთანაც.

ასეთია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილი გაგება თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით.

ასეთია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და გლეხური დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულება.

ყოველივე ზემონათქვამიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ამჟამად ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას მოეპოვება უმდიდრესი ფაქტიური მასალაც და უტყუარი თეორიული საფუძველიც იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოგვცეს გასუ-

---

ლიანად გააკრიტიკა ის მკვლევარები, რომლებიც, ვერ ამჩნევენ რა შინაგან კავშირს რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის, თერგდალეულებს (მათ შორის აკაკის) ლიბერალებად აცხადებენ. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი, სამწუხაროდ, არ უწევს სათანადო ანგარიშს ისტორიულ ფაქტებს და ნაჩქარევ დასკვნას აკეთებს: მარტო კრაკოვის 1846 წლის აჯანყების მაგალითზე მითითებით იმ დასკვნის გამოყვანა, რომ თითქოს თერგდალეულები ყოველთვის, თვით 90-იან წლებამდე ერთნაირად უყურებდნენ ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ამოცანებს, არასწორად მიგვაჩნია; თუ საქმე პოლონეთთან შედარებაზეა, საქართველოს 60-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობა უნდა შეეადაროთ არა კრაკოვის 1846 წლის რევოლუციას, რომელიც თვით პოლონეთისთვისაც არ იყო დამახასიათებელი, არამედ პოლონეთის 1863 წლის განმათავისუფლებელ აჯანყებას, სადაც კლასობრივ ძალთა თანაფარდობა, კრაკოვის რევოლუციასთან შედარებით, სხვაგვარი იყო.

ლი საუკუნის საქართველოს გამოჩენილი ადამიანების — ილია ჭავ-ჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის და სხვათა ნაღვაწ-ნაშრომისა თუ ნაფიქრ-ნააზრევის სწორი, მეცნიერული შეფასება.

ასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც თერგდალეულები საამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ. იმ დროიდან მოკიდებული მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდება კამათი იმის შესახებ, თუ საზოგადოების რომელი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა მათი მოღვაწეობა და შემოქმედება. ამ საკითხის სწორ გადაწყვეტას წინათ ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, ჩვენი მეცნიერული აზრის ჩამორჩენილობა, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა კლასებისა და პარტიების ინტერესთა ურთიერთ დაპირისპირებულობა. მაგრამ ამჟამად, როცა ჩვენს ქვეყანაში აღარც სხვადასხვა, ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასები არსებობენ და მეცნიერების განვითარებისათვისაც უმაგალითო პირობებია შექმნილი, ერთადერთ დაბრკოლებად ზემოხსენებული საკითხის გადაჭრის გზაზე შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის თავმოყვარეობა; მაგრამ რა არის ჩვენი პირადი თავმოყვარეობა ისეთ დიდ მიზანთან შედარებით, როგორიცაა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების ღირსეული დაფასება?!

უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ისტორიულ დავაში, რომელიც თერგდალეულთა გამო ასე დიდხანს სწარმოებდა, ყველაზე სამწუხარო მომენტად მარქსისტი ავტორების არასწორი პოზიცია და უხეში შეცდომები მიგვაჩნია. მაგრამ ესეც უნდა ითქვას: იმ მარქსისტებს, რომლებიც შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებზე იდგნენ, კარგად ესმოდათ მშრომელი ხალხისა და გაბატონებული კლასების ინტერესთა სხვადასხვაობა და არასოდეს არ აურევიათ გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლები თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგებში. ამის მაგალითია ა. წულუკიძის თეორიული ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია გასაღები თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულების სწორი, მეცნიერული გაგებისათვის.[1]

[1] მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ა. წულუკიძის ნაშრომი „ოცნება და სინამდვილე", რომელშიც წამოყენებული და დასაბუთებულია შემდეგი საკვლევით სწორი და მეცნიერული დებულება: „თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლათ აღორძინებული მშრომელი ხალხი (იხ. წულუკიძე, თხზულებათა კრებული, 1927, გვ. 169).

ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე ქართული მეცნიერული აზრის გადაუდებელი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე ჩამოიშოროს გზიდან ყალბი დამნაშავეები და მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით შეიმუშაოს მეცნიერული თვალსაზრისი სახელოვან თერგდალეულებზე; ეს საჭიროა არა მარტო ისტორიისათვის, არამედ კიდევ უფრო მეტად ჩვენი დღევანდელობისათვის, — საბჭოთა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ქართველ ხალხს უფლება აქვს წარდგეს კაცობრიობის წინაშე როგორც ისეთი ერი, რომელმაც უდიდესი ენერგია, ნიჭი და გონების ძალა გამოიჩინა ძველი წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში და თავისი გარკვეული წვლილიც შეიტანა კაცობრიობის გონებრივ და სულიერ მიღწევათა დიდ საგანძურში.

ასეთია საკითხების ის წრე, რომელზეც გვინდოდა მკითხველთან საუბარი წიგნის შესავალშივე.

ქვემოთ შევეცდებით, ახლად გამოვლინებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს, თუ როგორ გაბედულად იბრძოდნენ ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინათ სიბნელისა და რეაქციის წინააღმდეგ მშობლიურ კერას მოშორებული, მაგრამ სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით გულანთებული ქართველი ჭაბუკები.

თავი პირველი

რევოლუციური მოძრაობა რუსეთში XIX ს. 60-იანი წლების დამდეგს და ქართველი სტუდენტობა

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რუსეთში XIX საუკუნის 50—60-იან წლებში

მეცხრამეტე საუკუნის 50—60-იანი წლების ხანა რუსეთის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი და მღელვარე ისტორიული მოვლენებით მდიდარი ხანაა. სწორედ ამ დროისთვის მომწიფდა კონფლიქტი რუსეთის დრომოჭმულ ფეოდალურ-ბატონყმურ საწარმოო ურთიერთობასა და ახალ (ბურჟუაზიულ) საწარმოო ძალების განვითარებას შორის, უკიდურესად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა სოფლად და ქალაქად და ფართოდ გაიშალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო მეფის მთავრობისა და მთლიანად ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, რუსეთი ევროპის მოწინავე სახელმწიფოებთან შედარებით, გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლებისათვის იქ უკვე ძალიან შორს იყო წასული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესი. ძველი საზოგადოებრივი წყობილება ღრმა კრიზისს განიცდიდა. ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა რუსეთის ცხოვრებაში ძირეული ცვლილების მოხდენის, სახელდობრ ფეოდალური ფორმაციის კაპიტალისტური ფორმაციით შეცვლის აუცილებლობის საკითხი.

რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების სიდამპლე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა ყირიმის ომის (1853—1856 წწ.) დროს. მიუხედავად იმისა, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ამ ომში უდიდესი გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს, რუ-

სეთმა მაინც დიდი დამარცხება განიცადა. ომმა თვალნათლივ გამოამჟღავნა ბურჟუაზიული ინგლისისა და საფრანგეთის აშკარა ტექნიკურ-ეკონომიური უპირატესობა ბატონყმური რუსეთის წინაშე. სევასტოპოლის დაცემამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ბატონყმურ წესწყობილებას და აიძულა რუსეთის მმართველი წრეები ეზრუნათ რეფორმების საშუალებით ამ წყობილების „შეკეთება-შელამაზებაზე“.

ყირიმის ომის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა კლასთა ბრძოლა რუსეთში. გლეხთა მოძრაობის ტალღა სულ უფროდაუფრო მატულობდა და 50-იანი წლების ბოლოს იმდენად აზვირთდა, რომ წალეკვით ემუქრებოდა რუსეთის გაბატონებულ კლასებს და მთელ მათ სახელმწიფო წესწყობილებას. კლასთა ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა ქალაქებშიც. ბიუროკრატიულ-პოლიციური სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტი ხალხის თვალში არაჩვეულებრივად დაეცა.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, უუფლებო კლასების გაძლიერებულ ბრძოლას მეფისა და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, შედეგად მოჰყვა ანტიბატონყმური, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის გაძლიერება. რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ავიდა თავისი განვითარების უფრო მაღალ, ე. წ. რაზნოჩინურ ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საფეხურზე. ეს მოძრაობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების დამდეგს, როდესაც მას სათავეში ჩაუდგნენ დიდი რევოლუციური დემოკრატები ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლუბოვი. ამ გამოჩენილი ადამიანებისა და აგრეთვე მათი მებრძოლი ორგანოს ჟურნალ „სოვრემენიკის“ გარშემო თავი მოიყარეს რუსეთის ყველაზე საუკეთესო ადამიანებმა, რომელთა რევოლუციური მოღვაწეობა ძილს უფრთხობდა მეფის რეაქციონურ მთავრობას. იმავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ა. გერცენისა და ნ. ოგარიოვის მიერ საზღვარგარეთ გაჩაღებულ რევოლუციურ აგიტაციას. გერცენის სახელოვანი „კოლოკოლი“ თითქმის დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა რუსეთში და აღვიძებდა ხალხს, მოუხმობდა მას ბრძოლისაკენ. იმ ხანებში (1859 — 1861 წწ.) რუსეთში აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

საბჭოთა ისტორიკოსების უახლესი გამოკვლევები მოწმობენ, რომ ბურჟუაზიული რეფორმების წინ რუსეთში არა მარტო აქტიური რევოლუციური აგიტაცია იყო გაჩაღებული ბატონყმური წეს-

წყობილებისა და მისი დამცველი მეფის მთავრობის წინააღმდეგ, არამედ არსებობდა არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციაც, რომელსაც გააჩნდა ერთიანი ცენტრალური ხელმძღვანელობა და რომელიც პრაქტიკულად ამზადებდა, რაზმავდა ძალებს საყოველთაო-სახალხო აჯანყებისათვის[1].

მეფე ალექსანდრე II, რომელიც ტახტზე 1855 წელს, ნიკოლოზ I-ის სიკვდილის შემდეგ ავიდა, ქვეყანაში შექმნილი უაღრესად მწვავე პოლიტიკური ვითარების გამო იძულებული გახდა დროებით ლიბერალური პოლიტიკის გზას დადგომოდა და ბატონყმობის გაუქმებაზე ეზრუნა. ყირიმის ომის დამთავრებისთანავე, 1856 წლის 30 მარტს მოსკოვის თავად-აზნაურთა წარმომადგენლების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა. უმჯობესია ზემოდან. ე. ი. ჩვენ თვითონ გავანთავისუფლოთ გლეხობა, ვიდრე ველოდოთ, სანამ ქვემოდან, ე. ი. ძალით გაინთავისუფლებდნენ თავსო. 1861 წლის 19 თებერვალს მეფემ ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ და დაამტკიცა თავად-აზნაურთა წარმომადგენლების მიერ შედგენილი გლეხთა მოწყობის დებულება, რომელიც მართალია, გლეხს პირად თავისუფლებას აძლევდა, მაგრამ მის ეკონომიურ მდგომარეობას არა თუ არ აუმჯობესებდა, არამედ კიდევ უფრო აუარესებდა. ამავე დროს დებულება უზრუნველჰყოფდა მემამულეთა ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების საკვლებით შენარჩუნებას.

ამრიგად, საგლეხო რეფორმას არ გადაუწყვეტია ძირითადი წინააღმდეგობა რუსეთის გაბატონებულ კლასებსა და გლეხობას შორის და ამით აიხსნება, რომ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ შიმართული გლეხთა ბუნტები და რევოლუციურ-დემოკრატიული შოძრაობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შეუნელებლად გრძელდებოდა.

მართალია ბატონყმობის გაუქმების დროს არ მოხდა, — როგორც ეს მაშინდელ რევოლუციონერებს ეგონათ, — საგლეხო რეფორმით იმედგაცრუებული გლეხობის საყოველთაო აჯანყება, მაგრამ 1861 წლის განმავლობაში რუსეთის მრავალ მხარეში გამოდი-

---

[1] ამ საკითხზე განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს შეიცავს აკადემიკოს შ. ვ. ნეჩკინას გამოკვლევა: Новые материалы о революционной ситуации в России (1859—1861 гг.), იხ. «Литературное наследство», ტ. 61, გვ. 459.

ოდნენ გლეხები იარაღით ხელში მთავრობისა და მემამულეების წინააღმდეგ. გლეხთა ამ გამოსვლებს ალექსანდრე II „ლიბერალური“ მთავრობა ყველგან სისხლში ახრჩობდა. ასე, მაგალითად, 18 აპრილს პენზის გუბერნიის სოფ. კანდეევკაში მთავრობის ჯარმა, რომელსაც გენერალი დრენიაკინი მეთაურობდა, სროლა აუტეხა აჯანყებულ გლეხებს და მრავალი გლეხი დახოცა. იმავე ხანებში გენერალ აპრაქსინის ბრძანებით მთავრობის ჯარმა ასობით გლეხი დახოცა ყაზანის გუბერნიის სოფ. ბეზდნაში[1].

მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისათვის მეტად დამახასიათებელი მოვლენა იყო პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობა 1861 წლის შემოდგომაზე, რომელიც გლეხობის ინტერესებისათვის რუსეთის მოწინავე ძალთა თავდადებული ბრძოლის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა. ასევე დამახასიათებელი იყო მაშინდელი ვითარებისათვის პოლონეთის დიდი აჯანყება, რომელიც მიზნად ისახავდა პოლონელი ხალხის განთავისუფლებას ცარიზმის მხრით მძიმე კოლონიური ჩაგვრისაგან.

მას შემდეგ, რაც 1861 წლის გაზაფხულზე, გლეხთა განთავისუფლების პირობების გამოცხადების დროს არ მოხდა გლეხობის დიდი აჯანყება, რუსეთის მაშინდელ რევოლუციონერებს ახალი იმედი დაებადათ: ისინი ფიქრობდნენ, რომ 1863 წლის გაზაფხულზე, როდესაც გარიგების სიგელების ძალაში შესვლის ვადა დგებოდა, გლეხობა აშკარად დაინახავდა, რომ მთავრობა არ ზრუნავს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, საბოლოოდ დარწმუნდებოდა, რომ მეფისაგან ნაბოძები „თავისუფლება“ მოტყუება იყო და სწორედ მაშინ დაიწყებოდა დიდი ხნის ნანატრი სახალხო რევოლუცია რუსეთში. ეს აზრი ფართოდ იყო გავრცელებული მაშინდელ რევოლუციონერებს შორის, მაგრამ მათი იმედები ამჯერადაც არ გამართლდა. პირიქით, გლეხთა მოძრაობა იმ ხანებში თანდათან კლებულობდა. ამასთან ერთად ცარიზმმა მოახერხა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაც და ამრიგად, დადგა რეაქციის ზეიმის დრო.

მთავრობის უმაღლეს სფეროებში ჯერ კიდევ 1862 წლის გაზაფხულიდან შეუდგნენ რევოლუციური ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის მზადებას. ჟანდარმთა შეფი (ე. ი. სახელმ-

---

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. შ. გ. ლევინის წიგნი: **Общественное движение в России в 60—70-ые годы XIX века, М. 1958 წ. გვ. 143—164.**

წიფოს მაშინდელი უმაღლესი პოლიტიკური პოლიციის მეთაური) იმ ხანებში ზედიზედ უგზავნის მეფეს საგანგაშო მოხსენებებს, რომლებშიაც მოითხოვს დამთავრდეს მთავრობის ლიბერალობიას თამაში და დაიწყოს მკაცრი რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ. 1862 წლის 27 აპრილს მან ხელმწიფეს წარუდგინა სამი ვრცელი მოხსენება, რომლებშიც დახატულია მაშინდელი რუსეთის პოლიტიკური ვითარების სურათი და დასახულია რევოლუციურ ძალთა წინააღმდეგ მთავრობის ბრძოლის მთელი პროგრამა.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ რუსეთის იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ზედმეტი არ იქნება ზოგადად მაინც გავეცნოთ ამ მოხსენებათა შინაარსს.

პირველ მოხსენებაში, რომლის სათაურია „საერთო მიმოხილვა“, ნათქვამია: „გასული წლის ჩემს ყოვლად უქვეშევრდომილეს ანგარიშში, მე ჩემს მოვალეობად მიგიჩნიე თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყურადღება მიმექცია სახელმწიფოში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობისა და ადამიანთა ძლიერი გაღიზიანებისათვის, რაც სულ უფროდაუფრო მეტად ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა ფენებში. ამ ცოტა ხნის წინათ თვით დედაქალაქში მომხდარმა ამბებმა დაადასტურეს ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობის მერყეობა და გამოამჟღავნეს, რომ ყოველდღიურად იზრდება გავლენა დამღუპველი რევოლუციური მოქმედებისა, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს ლიტერატორებსა, მეცნიერებსა და მოწავლეთა შორის, რომლებიც მოწამლული არიან სოციალიზმის იდეებით“[1].

ამის შემდეგ მოხსენების ავტორი ლაპარაკობს, თითქოს მთავრობამ თვითონ მიიღო საკმარისი ზომები რუსეთში ქონებრივი და ზნეობრივი პროგრესისათვის და აგრეთვე განათლებისათვის; მთავრობა ლიბერალურ პოლიტიკას ადგია და მან მრავალი კეთილი ნაბიჯი გადაადგაო; მაგრამ მთავრობის ამ სიკეთეს არაფრად აგდებენ „ე. წ. მოწინავე ადამიანები“, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყონ მთავრობას, პირიქით, სულ უფრო გაბედულად გამოდიან მის წინააღმდეგ. თუ აქამდე კიდევ შეიძლებოდა ნაწილობრივ

---

[1] აქ, როგორც ჩანს, მხედველობაშია პროფ. პავლოვის საქმე და მასთან დაკავშირებით სტუდენტთა პოლიტიკური გამოსვლა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მაინც გვეფიქრა, რომ მათი მოქმედება არაა საშიში სახელმწიფოს საფუძვლებისათვის, ახლა ამის ფიქრი არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლებაო. პეტერბურგში ძალიან დაძაბული მდგომარეობაა, მაგრამ არა ნაკლებ სამწუხარო ამბები ხდება იმპერიის ბევრ სხვა ნაწილშიაცო.

შემდეგ მოხსენების ავტორი ეხება პრესის თითქოსდა „დამღუპველ“ გავლენას ხალხზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაზე და ამბობს: „პრესა რუსეთში, დასავლეთ ევროპის მაგალითის მიხედვით, გადაიქცა ძლიერ იარაღად იმ სწრაფად მზარდი პატარა და ნაწილობრივ ნიჭიერი კლასის, — მწერალ-განმაახლებელთა კლასის ხელში, რომელიც ცდილობს დიდება მოიპოვოს და სარგებლობა ნახოს იმით, რომ პერიოდულ გამოცემებს ავსებს ყალბი პატრიოტიზმისა და პროგრესის სულისკვეთებით გაჟღენთილი სტატიებით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მთავრობას, ტახტსა და კანონიერ წესრიგს“[1].

შემდეგ ჟანდარმთა შეფი იძულებულია თავის მოხსენებაში აღიაროს, რევოლუციური იდეები თანდათან ვრცელდება არმიაშიც და მოსალოდნელია არმიის გახრწნაო. მოხსენების დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „ამრიგად, ოპოზიციური პარტია ყოველდღიურად იზრდება და ძლიერდება, მასში თავს იყრის და ერთიანდება სხვადასხვა სახალხო ელემენტი, ხოლო მთავრობა განმარტოებული რჩება და სულ უფროდაუფრო მეტად უახლოვდება იმ რღვევას, რომელსაც მას უმზადებს რევოლუციური პროპაგანდის დაუღალავი მეცადინეობა და უკმაყოფილო ელემენტების შემტევი მოქმედება“[2].

ამის შემდეგ მოხსენების ავტორი აყალიბებს 6 პუნქტისაგან შემდგარ ღონისძიებათა და რეპრესიათა პროგრამას (გლეხობის საკითხის მოგვარების დაჩქარება, პრესაზე ცენზურის გაძლიერება, ჯარში დისციპლინის გაძლიერება და სხვ.), რომლის გატარება, მისი აზრით, უზრუნველყოფდა რევოლუციური ვითარების ჯერ შენელებას, შემდეგ კი სრულ ლიკვიდაციას.

მეორე მოხსენებაში, რომლის სათაურია „პოლიციურ ღონისძიებათა შესახებ“, ჟანდარმთა შეფმა ხელმწიფეს ჩამოუთვალა ის სპეციალური ღონისძიებანი, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებელი

---

[1] ЦГИАМ, ф. III 0,1 эксп., д. 230, ч. 1, 1862 г л. 23.

[2] იქვე, ფურც. 30-31.

იყო საკუთრივ პოლიციის ორგანოების გასაძლიერებლად და პოლიტიკურად არასაიმედო პირებზე საიდუმლო მეთვალყურეობის სისტემის გასაუმჯობესებლად.

მესამე მოხსენებაში — „საგანგებო ღონისძიებათა შესახებ“ ხაზგასმულია პეტერბურგში არსებული საიდუმლო წრეების აქტიური მუშაობა და მათი განსაკუთრებით საშიში ხასიათი, დასაბუთებულია სასწრაფო ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა, კერძოდ კი ყველაზე აქტიური რევოლუციონერების დაუყოვნებლივ გაჩხრეკა და დაპატიმრება.

მოხსენებებს დამატების სახით ახლდა „სია იმ პირებისა, რომელთა ერთდროული და სასტიკი ჩხრეკაა განზრახული“. ამ სიაში სულ 50 კაცი იყო შეტანილი. პირველ ნომრად აღნიშნულია „ლიტერატორი ჩერნიშევსკი“, მას მისდევენ მისი გამოჩენილი თანამებრძოლები: შელგუნოვი, ობრუჩევი, ძმები სერნო-სოლოვიოვიჩები და სხვები. მეოცდაოთხე ნომრად ჩანიშნულია „ღოღობერიძე“.

მეფე ალექსანდრე მეორემ მოიწონა ჟანდარმთა შეფის მოხსენებები და დაავალა მას შედგომოდა მის მიერ დასახული ღონისძიებების დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარებას.

ამრიგად, მთავრობამ მოიხსნა ლიბერალობის ნიღაბი და გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე. დაიწყო რეპრესიებისა და ტერორის ხანა. 1862 წლის 7 ივლისს დააპატიმრეს ჩერნიშევსკი. იმავე დროს რვა თვით დახურეს ჟურნალი „სოვრემენიკი“. დაიწყო აქტიურ რევოლუციონერთა ჩხრეკა, დაპატიმრება და შორეულ ციმბირში გადასახლება.

მაგრამ დევნამ და შევიწროვებამ ვერ გასტეხა რევოლუციონერთა ნებისყოფა. ტერორის მიუხედავად ისინი კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას საძულველი მეფის მთავრობის წინააღმდეგ. 1862—1863 წლების მანძილზე ნაყოფიერ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ცნობილი საიდუმლო ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლია“. 1866 წლის 4 აპრილს ნ. იშუტინის წრის წევრმა დიმიტრი კარაკოზოვმა ესროლა მეფე ალექსანდრე მეორეს, მაგრამ ააცდინა. კარაკოზოვის გასროლას მოჰყვა რეაქციის კიდევ უფრო გაძლიერება. მეფის კანცელარიის მესამე განყოფილება (ჟანდარმერია) ყოვლად ძლიერი გახდა და განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. ადამიანებს აპატიმრებდნენ და ციხეებში ამწყვდევდნენ არა მარტო რე-

ვოლუციური მოღვაწეობისთვის, არამედ რევოლუციონერთა მიმართ გამოჩენილი თანაგრძნობისთვისაც კი.

მიუხედავად ამისა, 1866—1869 წლების მანძილზე შეუნელებლივ გრძელდებოდა არალეგალური რევოლუციური მუშაობა. ამ მუშაობაში, ისევე როგორც წინა წლებშიც, უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სტუდენტები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

2. სტუდენტთა მოძრაობის დაწყება პეტერბურგში და ქართველი სტუდენტობა. ილია ჭავჭავაძის როლი.

„ყირიმის ომის შემდეგ ხალხში ისეთი საყოველთაო დრტვინვა იყო, რომ ამას ვერ შეამჩნევდა მხოლოდ წინასწარგანზრახვით, განგებ დაბრმავებული თავად-აზნაურთა პარტია...

ახალი თაობა, თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, დადგა იმ ხალხის მხარეზე, რომელიც მთავრობისა და თავადაზნაურობის მეწველ ძროხად გადაქცეულიყო...

ახალთაობას არ შეეძლო მეფე ალექსანდრე მეორის ცრურეფორმატორულ მთავრობასთან ხელჩაკიდებული სიარული. ეს ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ძალა მალე უეჭველად უნდა დასტაკებოდა ერთმანეთს და დაეწყო ურთიერთ შორის, როგორც იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“[1].

ასე ნათლად და გარკვევით აფასებდა მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას იმ ეპოქის ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე.

ყირიმის ომის დამთავრების მეორე დღესვე რუსეთის მთავრობამ შეამჩნია ის საფრთხე, რომელიც მისთვის ახალი თაობის მოძრაობას მოჰქონდა. საკმარისია ადამიანმა თვალი გადაავლოს მეფის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილების იმდროინდელ საქმეებს, რომ ნათელი გახდეს, როგორი შეშფოთებითა და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მთავრობის უმაღლეს სფეროებში ახალგაზრდობის მხრით უკმაყოფილების სულ მცირედი გამოვლინების ფაქტებსაც კი. საისტორიო არქივებში დაცული, ჟამთა სვლისაგან გაყვითლებული ღერბიანი ქაღალდები მოგვითხრობენ, რა გა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931 წ., გვ. 219, 235, 240.

ფაციცებით დაეძებდნენ მეფის ლაქიები უკმაყოფილების კერებს, „საშიშ ელემენტებს“, თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდებს...

უკვე 1857 წელს მესამე განყოფილებას თავის საიდუმლო არქივში მოუგროვებია ცნობები პეტერბურგის სტუდენტთა შორის მთავრობის საწინააღმდეგო სჯა-ბაასზე, ანტირელიგიურ განწყობილებაზე, გერმანული ფილოსოფიის ცუდ გავლენაზე და სხვ.[1] ცალკე საიდუმლო საქმეა შემდგარი იმის თაობაზე, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს 1857 წელს დაუწყიათ ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა, რომლის სათაური ყოფილა „Вестник свободных мнений (голос из сердца)“.[2] მომდევნო 1858 წელს პოლიტიკური პოლიციის უმაღლესი ორგანოები შეუშფოთებია რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების ყოფილ სტუდენტების განზრახვას, ყოველწლიურად მოეწყოთ სადილები ერთად კურსდამთავრებულ მეგობრებს შორის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით.[3] „ახალგაზრდები ერთად თავს მოიყრიან, ვინ იცის აქედან რა გამოვაო“,—ბჭობენ ჟანდარმები და ცდილობენ ყოველნაირად შეუშალონ ხელი ახალგაზრდების შეხვედრებს. იმავე 1858 წელს შედგენილი ერთ-ერთი საქმიდან[4] ჩანს, რომ პეტერბურგში ხმა გავრცელებულა: 18 თებერვალს სტუდენტები აპირებენ მოაწყონ ზეიმი-ქეიფობა ნიკოლოზ I გარდაცვალების დღის აღსანიშნავადო. პოლიცია ფეხზე დამდგარა. ჟანდარმები შფოთავენ, მათ ყველგან მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება ელანდებოდათ. მათ ისიც კი აღელვებთ, რომ სტუდენტები ქუჩაში ერთად დადიან, იცინიან, ხმამაღლა ლაპარაკობენ. „ზოგიერთ სტუდენტს ამ ბოლო დროს თეთრი ქუდები ახურავს, რატომ? აქვთ კი ამის ნებაო?“[4] — ეკითხებიან მსტოვრები თავიანთ უფროსებს. დამახასიათებელია კიდევ ასეთი ფაქტი: პეტერბურგის ერთ-ერთ ქუჩაზე რამდენიმე სტუდენტი ერთმანეთზე ხელგადახვეული მიდიოდა. პოლიციელმა ეს მათ წესრიგის დარღვევად ჩაუთვალა და ობერპოლიცმეისტერ გრაფ შუვალოვთან წაიყვანა. ამ უკანასკნელისაგან სტუდენტებმა შეიტყვეს, რომ თვითეული

---

[1] ЦГИАЛ, ф. 109, секретный архив, опись 1, д. 1468. 1857 г.
[2] იქვე, საქმე 1467, 1857 წ.
[3] იქვე, საქმე 1042, 1858 წ.
[4] იქვე, საქმე 1469, 1858 წ.
[5] იქვე,

სტუდენტის დაპატიმრებისათვის 10 მანეთი ყოფილა ჯილდოდ დანიშნული პოლიციელებისათვის.[1] შეურაცხყოფილი სტუდენტები გაბედულად შეეკამათენ ობერპოლიცმეისტერს და ხმა აღიმაღლეს სტუდენტთა აბუჩად აგდების გამო. ეს ამბავი ძალიან გახმაურებულა პეტერბურგის სტუდენტთა შორის და მათი დიდი გულისწყრომა გამოუწვევია.

რაც დრო გადიოდა, დამოკიდებულება ახალი თაობის წარმომადგენლებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის სულ უფროდაუფრო დაძაბული ხდებოდა. უკვე 1861 წლის დასაწყისისათვის პეტერბურგის სტუდენტთა არალეგალური, მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა ფართოდ იყო გაშლილი. მესამე განყოფილების საიდუმლო არქივის ერთ-ერთ საქმეში[2] თავმოყრილია ჟანდარმთა აგენტურის მიერ 1861 წლის 15 მარტამდე შეგროვილი ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ სტუდენტთა ჯგუფები სისტემატურად იკრიბებიან ვასილიევის კუნძულზე საიდუმლოდ და ადგენენ გეგმებს მეფის მთავრობის დამხობისა და რუსეთში რესპუბლიკური წყობილების დამყარების შესახებ. იმავე საქმიდან ჩანს, რომ სტუდენტებს აქვთ საიდუმლო ბიბლიოთეკები, სადაც სასტიკად აკრძალულ წიგნებს ინახავენ.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ პეტერბურგის სტუდენტთა დიდი პოლიტიკური გამოსვლა, რომელიც 1861 წლის შემოდგომაზე მოხდა, მოულოდნელი და შემთხვევითი მოვლენა კი არ ყოფილა, არამედ წლების განმავლობაში მზადდებოდა და მწიფდებოდა. ამასთანავე ერთად პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება არ ყოფილა იზოლირებული, მარტო პეტერბურგის ვითარებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. სტუდენტობა იმ დროს რუსეთის თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში გამოდიოდა რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნილებით, იბრძოდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ. ცნობილია, მაგალითად, რომ ხარკოვის სტუდენტთა საიდუმლო წრემ ჯერ კიდევ 1856 წლის აპრილში შეადგინა და ქალაქ ხარკოვის ქუჩებში გამოაკრა პროკლამაცია-პაროდია პარიზის ზავის შესახებ მეფის მანიფესტზე.[3] ცნობილია აგრეთვე მოსკოვის სტუდენტთა მღელვარე კრებები (сходки) 1857 წელს, რაც გამო-

---

[1] იქვე, საქმე 1470, 1858 წ.
[2] იქვე, საქმე 1043, 1861 წ.
[3] იხ. «Литературное наследство», ტ. 61. გვ. 468.

წვეული იყო პოლიციის თავხედური მოქმედებით (პოლიციელებმა სცემეს სტუდენტთა ერთ ჯგუფს), აგრეთვე კიევის სტუდენტთა დემონსტრაციები იმავე 1857 წელს. მომდევნო 1858 წელს სტუდენტთა სერიოზულმა პოლიტიკურმა მოძრაობამ თავი იჩინა ხარკოვის უნივერსიტეტში. მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ სტუდენტთა მოძრაობა გაიშალა 1861 წლის დასაწყისიდან. კიევში უნივერსიტეტიდან გარიცხეს ერთი სტუდენტი, რომელმაც ქუდი არ მოიხადა მეფის 19 თებერვლის მანიფესტის კითხვის დროს. ამას მოჰყვა სტუდენტთა სერიოზული მღელვარება, რამაც აიძულა კიევის გენერალ-გუბერნატორი გარიცხული სტუდენტი უკანვე დაებრუნებია[1]. თებერვალ-მარტში პეტერბურგის, მოსკოვისა და კიევის სტუდენტებმა საჯაროდ პანაშვიდი გადაუხადეს იმ ვარშაველებს, რომლებიც მეფის ჯარისკაცებმა დახვრიტეს პოლიტიკური მანიფესტაციების დროს. თებერვალში პეტერბურგის სტუდენტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს დიდი რევოლუციური დემოკრატის შევჩენკოს ხსოვნის პატივსაცემად. აპრილში ყაზანის სტუდენტებმა პანაშვიდი გადაუხადეს ცარიზმის მიერ ს. ბეზდნაში დახვრეტილ გლეხებს.

ამ უკანასკნელმა მოვლენებმა განსაკუთრებით შეაშფოთა მეფის მთავრობა, რომელმაც გადასწყვიტა საგანგებო ღონისძიებების მიღება სტუდენტთა წინააღმდეგ. თანამდებობიდან გადაყენებული იქნა განათლების მინისტრი ლიბერალი ა. კოვალენსკი და მის ნაცვლად დაინიშნა სამხედრო პირი პუტიატინი. დაიწყეს უნივერსიტეტებისათვის ახალი, რეაქციული წესების შედგენა, რასაც არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა სტუდენტთა მოძრაობის ახალი აზვირთება.

სწორედ ამ დროს, სახელდობრ 1861 წლის 9 მაისს პეტერბურგში, თავის ორ ამხანაგთან (გ. მესხთან და დ. აბდუშელიშვილთან) ერთად, ჩავიდა ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე, რომლის ვრცელი მოგონებებიდან ჩვენ ვგებულობთ მრავალ დიდმნიშვნელოვან და საგულისხმო ფაქტს პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტების ცხოვრებასა და საქმიანობაზე, მათ განწყობილებასა და მისწრაფებებზე, მათ მონაწილეობაზე სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობაში.

ნ. ნიკოლაძის მოგონებებს ადასტურებენ და ავსებენ რიგი სხვა წყაროები, რომლებიც გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და სა-

---

[1] იხ. ს. გ. სვასტიკოვის ნაშრომი კრებულში: Исторический сборник, 1907 г. («Наша страна»).

ზოვადო მოღვაწეების, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტების კალამს ეკუთვნიან.[1] ასეთებია, მაგალითად, ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, გ. წერეთლის ისტორიულ-დოკუმენტური მოთხრობები (განსაკუთრებით „მგზავრის წერილები“), აგრეთვე მოგონებები და პირადი წერილები კ. ლორთქიფანიძის, ბ. ღოღობერიძის, ი. ისარლიშვილისა და 60-იანი წლების სხვა გამოჩენილი მოღვაწეებისა. ზოგიერთი ცნობა ქართველი სტუდენტების რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ შემოგვინახეს თავიანთ მოგონებებში რუსმა რევოლუციონერებმაც (მაგალითად, ლ. ფ. პანტელეევმა).

ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან და ზემოხსენებული სხვა წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი უმრავლესობა უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კერძოდ კი სტუდენტთა პოლიტიკურ გამოსვლებში. ამ წყაროებიდან ნათლად ჩანს აგრეთვე, რომ პეტერბურგში მყოფი რევოლუციურად განწყობილი ქართველი სტუდენტების ხელმძღვანელად 1861 წლის გაზაფხულამდე ყველასაგან ილია ჭავჭავაძე ყოფილა აღიარებული, ხოლო მისი სამშობლოში წამოსვლის შემდეგ, 1861 წლის გაზაფხულიდან თვით სტუდენტთა მღელვარების დამთავრებამდე, ხელმძღვანელის როლი ილიას უახლოეს თანამებრძოლს ნიკოლოზ ღოღობერიძეს უთამაშნია.[2]

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე პეტერბურგში 1857 წლის ივლისში ჩავიდა და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. იმ დროს ის იყო 20 წლის ყმაწვილი, მაღალი იდეებითა და წმინდა გრძნობებით აღფრთოვანებული. ილიას არ დაუტოვებია არც მოგონებები და არც ცოტად თუ ბევრად ვრცელი ავტობიოგრაფია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მაშინდელი შეხედულებებისა და განწყობილების გაგება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. სულაც რომ არ გაგვაჩნდეს პეტერბურგში მისი საქმიანობის შესახებ რაიმე ცნობა, მისი იმდრო-

---

[1] საარქივო წყაროებს აქ არ ვეხებით, მათზე საუბარი ქვემოთ გვექნება.

[2] იხ. ამის შესახებ: ნ. ნიკოლაძე, მოგონებანი სამოციან წლებზე, რჩეული ნაწერებში, ტ. I, გვ. 94-95; აკ. წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“, რჩეული ნაწერები, 1940 წ., გვ. 461.

ინდელი ნაწერებიც ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა მის პოლიტიკურ იდეალებზე. მაგალითად, დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმ ადამიანის სულისკვეთების გასაგებად, რომელიც 1858 წელს, პეტერბურგში ყოფნისას წერდა:

> რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,
> ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
> ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
> თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს[1].

ან კიდევ:

> ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
> განახლებისა გრიგალის ქროლას,
> ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
> ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —

> და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
> შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
> და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
> ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების[2].

ეს შესანიშნავი, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი სიტყვები სავსებით შეეფერებოდა მაშინდელი პეტერბურგის ქართველი სტუდენტების ბელადს. ისინი, თავიანთი ხელმძღვანელის მსგავსად, გამსჭვალული იყვნენ მეფის მთავრობისადმი სიძულვილით და ოცნებობდნენ ხალხისადმი უანგარო სამსახურზე. ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთები, მხატვრულ ნაწერებს თავიც რომ დავანებოთ, საკმარისად მოიპოვება ჩვენს მემუარულ და ეპისტოლარულ ლიტერატურაში.

ამჟამად სავსებით დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი უახლოეს კავშირში იმყოფებოდნენ ნ. გ. ჩერნიშევსკისთან, ნ. ა. დობროლუბოვთან, ნ. ვ. შელგუნოვთან და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელ რიგ სხვა გამოჩენილ ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. ჩერნიშევსკის ოჯახში, რომელიც მაშინ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. 36.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. 140.

გვარი შტაბის როლს ასრულებდა, ქართველი სტუდენტები თითქმის ყოველ დღე დადიოდნენ. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: როცა 1861 წელს ის პირველად მივიდა ჩერნიშევსკის ოჯახში, იქ იხილა ქართველი სტუდენტების მთელი ჯგუფი, რომელიც ჩერნიშევსკის ოჯახთან უკვე დიდი ხნის დაახლოებული და დამეგობრებული ყოფილა. აი მისი სიტყვები: „ისინი (ლაპარაკია ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მისი მეუღლის შესახებ. პ. რ.) ცხოვრობდნენ ვლადიმერის ქუჩაზე, სობოროს გვერდით. (ჩემი მისვლისას) სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის... მაგიდის გარშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუმარი... სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან, ახოვანი, ლამაზი ყმაწვილები, მშვენიერ ტანისამოსით, მორთულნი... ბაასის დედააზრი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ჩარჩა, იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი სტუდენტთაგანი, ივანე ანდრონიკაშვილი, შემდეგში კახეთის გამოჩენილი მევენახე, აღფრთოვანებული იყო სენატში მიხაილოვის უშიშარი საქციელით, რომელმაც იქ გამოაშკარავა მთელი თავისი შეხედულებანი და თავის დასაცავი სიტყვის ნაცვლად საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის წინააღმდეგ...

დარბაზში შემოვიდა ჩერნიშევსკი... მისმა მეუღლემ გააცნო ჩემი თავი ჩერნიშევსკის და დაუმატა, რომ მე ერთ-ერთი ციხეში ნამყოფთაგანი ვარ. მან ღიმილით მომცა რამდენიმე კითხვა ჩემი შთაბეჭდილების შესახებ, რომლებზედაც გაჭირვებით შევძელი მეპასუხნა აღელვების გამო...

თანდათან შევეჩვიე იმათ და აღარ ვმორცხვობდი. სხვა ქართველ სტუდენტების მსგავსად, რომელნიც ყოველდღე იყვნენ მათ სახლში, მეც მოვშინაურდი“[1].

ნ. ნიკოლაძის ცნობებს ადასტურებს და ნაწილობრივ ავსებს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე ი. ისარლიშვილი, რომლის მოგონება ჯერ კიდევ 1913 წელს გამოაქვეყნა გ. თუმანიშვილმა[2]. ისარლიშვილი ამბობს, ქართველ სტუდენტთა წრეს ძალიან იზიდავდა ჟურნალ „სოვრემენიკის“ რედაქციაო და დასძენს: იმ ქართველი სტუდენტებიდან, რომლებიც ჩემთან ერთად ჩერნიშევსკისთან დადიოდნენ, კარგად მახსოვს

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 121-122.

[2] იხ. მისი წიგნი, Характеристика и воспоминания, 1913 წ., გვ. 230—232.

ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ღოღობერიძე, დ. ღოღობერიძე და სხვებიო. აქ აღსანიშნავია, რომ ისარლიშვილი სტუდენტთა მღელვარების დროს პირველი კურსის სტუდენტი იყო და, მაშასადამე, მისი მოგონებაც იმ პერიოდს შეეხება, როცა ი. ჭავჭავაძე პეტერბურგში უკვე აღარ იმყოფებოდა.

ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებთან ი. ჭავჭავაძისა და მისი მეგობრობის სიახლოვის დასადასტურებლად სხვა საბუთებიც მოიპოვება. ერთ-ერთი ასეთი საბუთია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის რ. ხომლელის (ფანცხავას) წერილი, რომელიც ჯერ კიდევ 1909 წელს გამოქვეყნდა. ამ წერილში რ. ხომლელი გადმოგვცემს: „რუსეთის საუკეთესო ჟურნალი „Современник“ და მისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ .ჩერნიშევსკი, რ ო მ ე ლ ს ა ც ჩ ვ ე ნ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი ი ლ ი ა დ ა ა ხ ლ ო ვ ე ბ ი თ ი ც ნ ო ბ დ ა. რ ო გ ო რ ც ე ს ჩ ე მ თ ვ ი ს ა დ ა ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს უ თ ქ ვ ა მ ს, იმას ქადაგობდა, რომ ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო. ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე... ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ჭავჭავაძის ქადაგება იყო წარმტაცი“.[1]

აქედან ცხადია, რომ ილიას უბრალო ნაცნობობა კი არ ჰქონია ჩერნიშევსკისთან, არამედ მასთან ახლო ურთიერთობაში ყოფილა, რაც სავსებით შეესაბამება იმ სიტუაციას, რომელსაც ნ. ნიკოლაძე ზემოთ ციტირებულ მოგონებებში გადმოგვცემს.

შემდეგი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც, ჩვენი აზრით, გვიჩვენებს გამოჩენილ რუს რევოლუციურ დემოკრატებთან ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების არა მარტო იდეურ ნათესაობას, არამედ პრაქტიკულ კავშირ-ურთიერთობასაც, ესაა თვით ი. ჭავჭავაძის ერთი კერძო წერილი, რომლიდანაც ჩანს ილიას განსაკუთრებული პატივისცემაც და სიახლოვეც ნ. ვ. შელგუნოვისადმი. როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გამოირკვა,[2] 80-იან წლებში ნ. ვ. შელგუნოვს ერთი თავისი ნაცნობის (ა. ფირალიშვილის) საშუალებით მიუმართავს ილია ჭავჭავაძისთვის, აღმოეჩინა დახმარება მეფის მთავრობისაგან დასჯილი მისი შვილისათვის, რო-

---

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1951 წ., ტ. I, გვ. 11.

[2] ამ საკითხზე იხ. აკ. კენჭოშვილის წერილი ჟურნ. „მნათობში“, 1956 წლის № 10; აგრეთვე აკ. კენჭოშვილისა და შ. საკაძის წერილი „ლიტერატურული გაზეთის“ 1956 წლის 13 ივლისის ნომერში.

მელიც კავკასიაში რიგით ჯარისკაცად იყო გამწესებული. ი. ჭავჭავაძეს, რომელიც იმ დროს თვითონაც პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მოუხერხებია თხოვნის შესრულება და ფირალიშვილისადმი გაგზავნილ რუსულად დაწერილ საპასუხო წერილში ასეთ საგულისხმო სიტყვებს ამბობს:

„ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა გადავცე ეს კეთილი ცნობა ნ. ვ. შელგუნოვს, რომლის მიმართ უნივერსიტეტის სკამიდანვე ვარ გამსჭვალული უაღრესად გულწრფელი და ღრმა პატივისცემით. ამავე დროს არ შემიძლია მადლობა არ გადაგიხადოთ თქვენ იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მომანიჭეთ რაიმეთი მაინც ვემსახურო ისეთ უპატიოსნეს და განათლებულ მოღვაწეს, როგორიც ნ. ვ. შელგუნოვია: იშვიათად შემისრულებია მე დავალება, რომელიც ასე სასიამოვნო ყოფილიყოს ჩემთვის“.[1]

თუ გავიხსენებთ ნ. ვ. შელგუნოვის, როგორც პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის როლს[2], ძნელი არ იქნება გავიგოთ, თუ რატომ იყო ილია გამსჭვალული მის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით სწორედ „უნივერსიტეტის სკამიდანვე“.

დაბოლოს, საინტერესოა გავიხსენოთ აგრეთვე ნ. ა. დობროლუბოვის დღიურის ის ადგილი, სადაც ის ი. ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლის დავით ყიფიანის გაცნობაზე ლაპარაკობს და მისი პიროვნების გარკვეულ დახასიათებასაც გვაძლევს: „ტატარ(ინოვ)ებიდან მე გავქანდი აღმოსავლეთელ სტუდენტებთან, — ჩაუწერია დობროლუბოვს დღიურში ჯერ კიდევ 1857 წლის 13 იანვარს, — სადაც „პოლიარნაია ზვეზდას“ მეორე წიგნაკი მელოდებოდა. ტრიროგოვი, რომელსაც ის სადღაც ეშოვნა და რომელსაც მე პირველად აქ გავეცანი, ძალიან საყვარელი და კეთილი კაცია, ოღონდ მგონი საკმაოდ სუსტი ხასიათი აქვს და ადვილად შეუძლია აჰყვეს ყოველგვარ გატაცებას... მეორე სტუდენტი, ყიფიანი, რომელსაც საკუთარი თმა ქუდივით ახურავს, ძლიერი ბუნების, მაგრამ თავშეკავებული ადამიანი უნდა იყოს“.[3]

---

[1] ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 119.

[2] ამ საკითხზე იხ. ლ. ფ. პანტელეევი, მოგონებები, 1958, გვ. 246.

[3] Н. А. Добролюбов, Полное собрание сочинений, М. 1934—1939 гг., т. VI. стр. 451.

ეს საბუთები, ვფიქრობთ, სრულიად უდავოს ხდიან იმ აზრს, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები პირად ურთიერთობასა და კავშირში იყვნენ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც პეტერბურგში ცხოვრობდნენ და ხალხის კეთილდღეობაზე, ქვეყნად ძმობის, ერთობისა და თავისუფლების დამყარებაზე ოცნებობდნენ, არ შეიძლებოდა არ დაახლოვებოდნენ და დაუახლოვდნენ კიდევაც რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვან მედროშეებს.

ჩვენ ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს პირდაპირი საბუთები, რომლებიც დაგვიმოწმებდნენ ქართველი სტუდენტების მონაწილეობას სტუდენტთა იმ არალეგალური წრეების მუშაობაში, რომლებიც, მე-3 ამე განყოფილების ცნობების მიხედვით, ვასილიევის კუნძულზე იკრიბებოდნენ ჯერ კიდევ 1861 წლის გაზაფხულამდე (ჩვენ მიერ გამოვლინებული ახალი საარქივო მასალები შეეხებიან ქართველი სტუდენტობის მონაწილეობას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში 1861 წლის შემოდგომიდან, ე. ი. სტუდენტთა მღელვარების დაწყებიდან); არც ის ვიცით, მიიღეს თუ არა ქართველმა სტუდენტებმა მონაწილეობა იმ პანაშვიდებში, რომლებიც პეტერბურგის სტუდენტებმა გადაუხადეს ცარიზმის მიერ ვარშავაში დახვრეტილ პოლონელებს და იმ ხანებში გარდაცვლილ უკრაინელ რევოლუციონერ-დემოკრატს ტ. შევჩენკოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართველი სტუდენტების რევოლუციურ განწყობილებას, მათს უშუალო კავშირს ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებთან, აგრეთვე მათ ახლო კავშირს რევოლუციურად განწყობილ პოლონელ სტუდენტებთან; თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე ძრავალრიცხოვან საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც გვიმტკიცებენ ქართველი სტუდენტების უაღრესად აქტიურ მონაწილეობას არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობაში 1861-1869 წლებში, სრული საფუძველი გვექნება ვივარაუდოთ, რომ ამაზე ადრეც, ე. ი. 1857-1861 წლების პერიოდშიც ქართველი სტუდენტები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ პეტერბურგის სტუდენტთა მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობაში. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 1861 წლის შემოდგომამდე მესამე განყოფილების, ან სხვა დამსჯელი ორგანოების არქივებში არ გვხვდება ცნობები ქართველ სტუდენტთა რევოლუციურ საქმიანობაზე, ამის მთავარი მიზეზი უთუოდ ისაა, რომ იმ პერიოდში (1861 წლის

შემოდგომამდე), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობა იძულებული იყო ლიბერალური პოლიტიკა გაეტარებია და სტუდენტთა დევნა-შევიწროება დამსჯელი ორგანოების მხრით ჯერ კიდევ არ იყო იმდენად გაჩაღებული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1861 წლის შემოდგომიდან. ამით აიხსნება, რომ მესამე განყოფილების საქმეებში 1861 წლამდე ძალიან იშვიათად მოიპოვება მასალები არა მარტო ქართველი, არამედ რუსი სტუდენტების რევოლუციური მოღვაწეობის შესახებაც. ამითვე აიხსნება, რომ ბევრი ქართველი სტუდენტი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, რომლებმაც მოასწრეს პეტერბურგიდან წამოსვლა სტუდენტთა მღელვარების დაწყებამდე, გადაურჩა რეპრესიებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დაპატიმრებას გადაურჩა არა მარტო პეტერბურგიდან ადრე წამოსული ი. ჭავჭავაძე, არამედ აგრეთვე ნიკოლოზ ღოღობერიძე, რომელიც ილიას შემდეგ და თვით სტუდენტთა მღელვარების დროსაც, ქართველი სტუდენტების ხელმძღვანელის როლს ასრულებდა. როგორ მოხდა ეს? ამ კითხვის პასუხს მკითხველი იპოვის შემდეგ თავში, სადაც ჩვენ შეეცდებით მოკლედ გადმოვცეთ, თუ როგორ ვითარდებოდა სტუდენტთა მოძრაობა პეტერბურგში ი. ჭავჭავაძის სამშობლოში წამოსვლის შემდეგ, ახლა კი ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ისევ ილია ჭავჭავაძეზე, სახელდობრ კი პეტერბურგიდან ილიას ნაადრევად წამოსვლის მიზეზებზე.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძეს 1861 წელს უნდა დაემთავრებია პეტერბურგის უნივერსიტეტი, მაგრამ იმავე წლის დამდეგს, გამოსაშვებ გამოცდებამდე კარგა ხნით ადრე ის სამშობლოში გამოემგზავრა. რა იყო მიზეზი პეტერბურგიდან ილიას ნაადრევი გამომგზავრებისა?

ამ საკითხზე მკვლევართა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, პეტერბურგიდან ილია გამოცდების ჩაბარებამდე შესაძლოა ავადმყოფობის გამო წამოვიდაო. მაგრამ ასეთი მოსაზრებისათვის რაიმე პირდაპირი საფუძველი არ არსებობს. ჩვენი ფიქრით, სინამდვილესთან გაცილებით უფრო ახლოსაა ილიას თანამებრძოლი და მისი პირველი ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე, რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს წერდა: „ახალგაზრდა ილიას, რასაკვირველია, ძალ-ღონე შესწევდა, რათა კარგად ჩაჰკვირებოდა მაშინდელ ჟამთავითარებას, განცხოველებულ საზოგადო ცხოვრებას, ზეაღმატებულ

მწერლობის და საზოგადოებრივის იდეალით გაშუქებულ მეცნიერ პროფესორების კვლევა-ძიებას...

და ილიაც ჩაუკვირდა და განიმსჭვალა საზოგადოებრივის იდეალებით. ილიასაც მოედო გულს ცეცხლი მოღვაწეობის სურვილისა, მწერლობის დროშის ზეაღმართვისა და, აი, ილიას გული აღარ უდგება რუსეთში, გალომებული მოიბრძვის თავის ქვეყანაში მთლად აღელვებული, ჭკუა-გონება გადახალისებული, ახლად დაბადებული, ზღვა გრძნობა მორეული, ღრმა ფიქრებში წასული... მოუთმენლად მოიბრძვის მებრძოლთა გუნდის შიგ შუა-გულს ჩასადგომად, აქაურ მოშხამულ, დაობებულ ჰაერის გასაწმენდათ, ახალი საპოლიტიკო, სალიტერატურო და საზოგადოებრივ აზრების სამოციქულოდ, საქადაგებლად"[1].

ამრიგად, ჯერ კიდევ 1913 წელს ესმოდათ, რომ ი. ჭავჭავაძეს „გული აღარ უდგებოდა რუსეთში" და 1861 წლის დამდეგს გამოცდების ჩაუბარებლად დაბრუნდა სამშობლოში არა ავადმყოფობის ან სხვა რაიმე პირადი მოთხოვნილების გამო, არამედ მაშინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარების გამო. ამჟამად კი შეიძლება მეტიც ითქვას: თუ მაშინდელი რუსეთის კონკრეტულ ვითარებას და ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ილიას სიახლოვეს გავითვალისწინებთ, გარკვეული საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ ი. ჭავჭავაძე საქართველოში გამოემგზავრა არა მარტო პირადი სურვილით, ე. ი. საკუთარი გულის კარნახით, არამედ რუსეთის მაშინდელი რევოლუციური ცენტრის რჩევით და, შესაძლოა, პირდაპირი დავალებითაც კი. ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მაშინდელი ხელმძღვანელები ყოველნაირად ცდილობდნენ სანდო პირების საშუალებით გაებათ კავშირი რუსეთის განაპირა რაიონებთან, კერძოდ კი ამიერკავკასიასთან და მოემზადებიათ იქ პირობები მოსალოდნელი სახალხო აჯანყებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ილიას 1859 — 1861 წლების ნაწერებზე დაკვირვება და მათი ანალიზი.

ამ რამდენიმე წლის წინათ „ლიტერატურნოე ნასლედსტვო"-ში გამოქვეყნდა ა. ი. გერცენისა და ნ. პ. ოგარიოვის არქივის ე. წ. „პრაღის კოლექციაში" აღმოჩენილი ხუთი კონსპირატიული დოკუ-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXV—XXVI.

მენტი[1], რომლებიდანაც ნათელი ხდება, რომ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ 1857 წლიდან ადგენდნენ არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისა და მოქმედების გეგმებს და ემზადებოდნენ სახალხო აჯანყებისათვის, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი ჯერ 1861 წლის გაზაფხულზე მოელოდნენ, ხოლო შემდეგ — 1863 წლის გაზაფხულზე. ხსენებული დოკუმენტებიდან ნათელი ხდება აგრეთვე, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საერთო-სახალხო აჯანყებისათვის მზადებაში კავკასიის ჩაბმას და აუცილებლად სთვლიდნენ კავკასიაში გამოცდილი აგენტების გაგზავნას[2]. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია ხსენებული დოკუმენტებიდან მოვიყვანოთ თუნდაც ორი უაღრესად საინტერესო ამონაწერი:

„თუ აჯანყება მარტო ვარშავასა და კიევში მოხდება, ის ძმათაშორის ბრძოლად — პოლონეთის ომად გადაიქცევა; იმისათვის, რომ აჯანყება სახალხო განთავისუფლებად იქცეს, ის უნდა მოდიოდეს მთელი პერიფერიიდან, ე. ი. ვარშავასა და კიევთან ერთდროულად შიდა რუსეთისკენ უნდა დაიძრას კავკასია და თან გაიყოლიოს ასტრახანი, დონი და შავიზღვისპირეთი“[3].

შემდეგ:

„მე ნაკლებად მწამს ვარშავის აჯანყების წარმატება... მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა დავრაზმოთ („организовать“) კავკასია და ურალი, იმ ვარაუდით, რომ თუ დასავლეთის მოძრაობას წარმატება ხვდა, ისინი დაეხმარონ მას და მისცენ აჯანყებას არა შინაბრძოლის (ძმათა ომის) ხასიათი, არამედ სახალხო აჯანყების მნიშვნელობა. ხოლო თუ მას წარმატება არ ექნა, მაშინ კავკასიამ და ურალმა უნდა გააგრძელონ დარაზმვა („организацию“) იმგვარად, რომ გარკვეული დროის შემდეგ მათ წამოეშველოს დასავლეთის ახალი მოძრაობა“.[4].

აკადემიკოსი მ. ვ. ნეჩკინა, რომელმაც ეს დოკუმენტები გამოაქვეყნა და მათი დაწვრილებითი ანალიზიც მოგვცა, საფუძვლიანად

---

[1] «Литературное наследство», ტ. 61, გვ. 493—522.

[2] იხ. იქვე, გვერდები: 501, 504, 506, 508, 509, 510 და სხვ.

[3] იქვე, გვ. 509.

[4] იქვე, გვ. 510.

ასაბუთებს, რომ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელების მიერ ჯერ კიდევ რეფორმამდე დიდი ხნით ადრე მოფიქრებული და საკმაოდ დეტალურად ჩამოყალიბებული სახალხო აჯანყების მომზადების გეგმა ქაღალდზე როდი დარჩენილა; ამ გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტები თანდათან ხორციელდებოდა ცხოვრებაში რეფორმის წინ და თვით რეფორმის ხანაში, განსაკუთრებით კი 1860 — 1862 წლების პერიოდში[1].

ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ დაწერილ ცნობილ პროკლამაციაში — «Барским крестьянам от их доброжелателей поклон»[2], გარკვევით ჩანს, რა ფართო მასშტაბი მიიღო იმ დროს რევოლუციური ცენტრის საქმიანობამ. პროკლამაციიდან ჩანს, კერძოდ, რომ რევოლუციური ცენტრი ადგილებზე ყველგან გზავნიდა თავის წარმომადგენლებს. პროკლამაციაში პირდაპირ არის ნათქვამი:

„ჩვენ ხომ ყველგან, ადგილებზე ჩვენი ადამიანები გვყავს, ყოველი მხრიდან მოგვდის ჩვენ ცნობები, რას შვრება და როგორ არის ხალხი. და აი ჩვენც ვიცით, რომ ჯერჯერობით მომზადება არ დამთავრებულა. ხოლო როცა მომზადება დამთავრდება, ჩვენ ამასაც შევიტყობთ“[3].

ბუნებრივად იბადება კითხვა: შეეძლოთ თუ არა ჩერნიშევსკის და რევოლუციური მოძრაობის სხვა ხელმძღვანელებს აჯანყების პრაქტიკული მომზადების დროს მხედველობიდან გამოეტოვებიათ კავკასია და მისი ცენტრი თბილისი?

ამ კითხვას ლოგიკურად მოსდევს მეორე კითხვა: ვის გაგზავნიდნენ იქ სათანადო დავალებებით, თუ არა თავისსავე თანამოაზრეს, გავლენიან პირს და ჩერნიშევსკის ოჯახის მუდმივ სტუმარს კავკასიელი სტუდენტებიდან?

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, ასეთი კითხვების დასმა სრულიადაც აღარ გვეჩვენება საფუძველს მოკლებულად.

ახლა ვნახოთ, როდის წამოვიდა ილია პეტერბურგიდან და როგორი იყო მისი განწყობილება იმ ხანებში.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ი. ჭავჭავაძის იმ პერიოდის ნაწერე-

---

[1] «Литературное наследство», ტ. 61, გვ. 474-475.

[2] ეს პროკლამაცია, ნ. ვ. შელგუნოვის ცნობით, დაწერილია 1861 წლის დამდეგს.

[3] «Литературное наследство» ტ. 61, გვ. 476.

ბის ანალიზს, რადგან ასეთი სამუშაო უკვე შესრულებული გვაქვს[1]. ვიტყვით მხოლოდ, რომ 1859—1861 წლების პერიოდში ილია აშკარად მოუწოდებდა ხალხს საყოველთაო-სახალხო აჯანყებისაკენ, რომლის მიზანი ცარიზმის დამხობა და „მთელ კავკასიის თავისუფლება“ უნდა ყოფილიყო. საკმარისია გავიხსენოთ ილიას ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა 1859 წელს დაწერილი ცნობილი ლექსი „ნანა“, სადაც ქართვლის დედა პირდაპირ მოუწოდებს შვილს:

აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან ვით შვილი ერთგული.
დაკვდი მამულს მსხვერპლად![2]

ან კიდევ — პოემა „ქართვლის დედა“, რომელიც 1860 წელსაა დაწერილი პავლოვსკში (პეტერბურგის ახლოს) და რომელშიც საყოველთაო-სახალხო აჯანყების დიდებული სურათია გადაშლილი. განა სწორედ ამ დროს არ დაიწერა ილიას ცეცხლოვანი სიტყვები:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა[3].

ძალიან ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ პოემაში ილია ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის აჯანყებას იზოლირებულად, ე. ი. როგორც დამოუკიდებელ, საკუთრივ ქართველი ხალხის აჯანყებად კი არ განიხილავს, არამედ ორგანიულად უკავშირებს მთელი კავკასიის განთავისუფლებას. ის ამბობს:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება[4].

---

[1] „ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1954 წ., გვ. 192—207.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1951, ტ. I, გვ. 44.

[3] იქვე, გვ. 154.

[4] იქვე, გვ. 151.

გონების დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ აქ ადამიანმა პირდაპირი კავშირი დაინახოს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელების მიერ შედგენილ საყოველთაო-სახალხო აჯანყების გეგმასთან, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სწორედ იმავე ხანებშია დაწერილი ილიას ბრწყინვალე პოემა „კაკო ყაჩაღი“ (1860 წ. დეკემბერი, პეტერბურგი), ცხადი გახდება, რომ ილია ჭავჭავაძეს იმ დროს სახალხო აჯანყება წარმოდგენილი ჰქონდა არა მარტო როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, არამედ როგორც ბრძოლა ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, ე. ი. სწორედ ისე როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდათ ჩერნიშევსკის, გერცენს და ოგარიოვს.

როდის გამოემგზავრა ილია პეტერბურგიდან?

ჯერჯერობით მისი წამოსვლის თარიღი ზუსტად დადგენილი არ არის. მაგრამ ირკვევა, რომ პეტერბურგიდან ის წამოსულა არა უადრეს 1861 წლის თებერვლისა და არა უგვიანეს იმავე წლის მარტისა. ასეთი მოსაზრება ემყარება შემდეგ მონაცემებს: 1) 1861 წლის იანვრის ბოლოს ილია ჯერ ისევ პეტერბურგშია, რაც დასტურდება მისი ლექსის „გაზაფხულის“ დათარიღებით (28 იანვარი); 2) ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებებში ამბობს, პეტერბურგში 1861 წლის 9 მაისს ჩავედი, მაგრამ ი. ჭავჭავაძე იმ დროს იქ აღარ დამხვდაო, — სწორედ ჩემი ჩასვლის წინ სამშობლოში დაბურნებულიყოო[1], 3) 14 მაისს ილია უკვე თბილისშია, რაც დასტურდება მისი სტატიის „პასუხის“ დათარიღებით. ყოველივე ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ იმ დროს პეტერბურგიდან თბილისამდე მოგზაურობას დაახლოებით თვე-ნახევარი სჭირდებოდა, ცხადი გახდება, რომ პეტერბურგიდან ი. ჭავჭავაძე 1861 წლის თებერვალში ან მარტში გამომგზავრებულა.

ახლა მკითხველს ვთხოვთ გაიხსენოს, რომ მეფე ალექსანდრე მეორემ ბატონყმობის გაუქმების მანიფესტს ხელი მოაწერა 1861 წლის 19 თებერვალს, ხოლო საჯაროდ ამ მანიფესტის გამოცხადება მოხდა 1861 წლის 5 მარტს, და მაშინ, ვგონებ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ი. ჭავჭავაძის პეტერბურგიდან გამგზავრება პირდაპირ კავშირ-

---

1 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 92, 94.

შია სწორედ ამ მანიფესტის გამოცხადებასა და მასთან დაკავშირებით მოსალოდნელ სახალხო აჯანყებასთან.

ანდა შეეძლო კი „ერის წყლულით" გულდამწვარ ილია ჭავჭავაძეს გამოცდების ჩაბარებაზე ეზრუნა იმ დროს, როცა ანთებული ოცნება თვალწინ ხალხის განთავისუფლების დიად სურათს უხატავდა? რა თქმა უნდა, არა.

ამიტომ სავსებით მართალია მისი მეგობარი გრიგოლ ყიფშიძე, როცა ამბობს, ილიას გული აღარ უდგებოდა რუსეთში და მთლად აღელვებული, ზღვა გრძნობა მორეული მოიბრძოდა სამშობლოში, რათა მებრძოლთა გუნდის შიგ შუაგულს ჩამდგარიყოო.

განა ილიას იმდროინდელი ფიქრები და გრძნობები, მისი გულისდუღილი სავსებით აშკარად და გასაგებად არ არის გადმოცემული მის უკვდავ „მგზავრის წერილებში"! ნუთუ, ვინც მას გულდასმით წაიკითხავს, მისთვის დღესავით ნათელი არ იქნება, თუ რისთვის შესტრფოდა სამშობლოსკენ მომავალი ჭაბუკი ილია „თერგის ზარიან ხუილს, გამალებულ ბრძოლას და დრტვინვას"; განა თვითონვე გარკვევით არ ამბობს ილია, თუ რისთვის მოიჩქაროდა იგი სამშობლოში: „... დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო... და ის თვითეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად"[1].

ილიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო პირდაპირ ეთქვა, საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მივდივარო, მაგრამ ეს მიზანი აშკარად გამოსჭვივის მის ყოველ სტრიქონში.

„გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცადოთ ამის პასუხის მიცემაო"[2], — ამბობს ილია და დღეს ჩვენთვის გასაგებია მისი უჩვეულო მღელვარების მიზეზი, გასაგებია ისიც, თუ რა „დიდ ცეცხლზე" ლაპარაკობდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი.

ვფიქრობთ, ნათქვამი საკმარისია იმ მოსაზრების ნათელსაყოფად, რომ ი. ჭავჭავაძე 1861 წლის დამდეგს პეტერბურგიდან წამოვიდა არა ავადმყოფობისა ან სხვა რაიმე პირადი მოთხოვნილების გამო.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებ., 1951 წ. ტ. II, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 22.

არამედ იმისათვის, რომ ხელი შეეწყო საქართველოსა და მთელ კავკასიაში სახალხო აჯანყების მომზადებისა და წარმართვისათვის, რომლის მიზანი ბატონყმური წესწყობილების მოსპობა და რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლება იყო.

რა თქმა უნდა, ამ საკითხს შემდგომი გაღრმავებული შესწავლა სჭირდება. კერძოდ, აუცილებელია დეტალურად იქნას შესწავლილი ი. ჭავჭავაძის და მისი თანამებრძოლების პრაქტიკული საქმიანობა თბილისში 1861—1862 წლებში. მაგრამ ეს ცალკე გამოკვლევის საგანია.

ახლა კი ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ისევ პეტერბურგის ამბებს.

3. პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება 1861 წელს და ქართველი სტუდენტობა. ნიკოლოზ ღოლოგერიძის როლი

1861 წლის ზაფხულში რუსეთში უაღრესად დაძაბული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ერთი მხრივ, მთავრობის მიერ უნივერსიტეტების მიმართ აღებულმა აშკარად რეაქციულმა კურსმა, ხოლო, მეორე მხრივ, არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების გაბედულმა მოქმედებამ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და საბოლოოდ მოამწიფა პირობები პეტერბურგის სტუდენტთა დიდი პოლიტიკური გამოსვლისათვის. ახალგაზრდობის გარევოლუციონერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროკლამაციებს «Великорусь», «Что нужно народу», «К молодому поколению» და სხვ., რომლებსაც ზედიზედ უშვებდნენ იმ ხანებში რევოლუციური ორგანიზაციები, რევოლუციურ ცენტრთან უშუალოდ რომ იყვნენ დაკავშირებულნი. ამ პროკლამაციათა ავტორები გაბედულად აყენებდნენ რუსეთის მთელი სახელმწიფო წეს-წყობილების ძირფესვიანი გარდაქმნის საკითხს.

მაისის ბოლოს მთავრობამ დაამტკიცა ე. წ. „ახალი წესები“, რომლის მიზანი იყო რუსეთის უნივერსიტეტებში იეზუიტური რეჟიმის დანერგვა; ამავე ხანებში შემოიღეს სტუდენტთა მატრიკულები, რასაც, მთავრობის აზრით, უნდა გაეადვილებია პოლიციისათვის სტუდენტებისადმი თვალყურის დევნება. სასტიკად აიკრძალა სტუდენტთა ყოველგვარი კრება და თუნდაც უბრალო თავმოყრა, აიკრძალა აგრეთვე სტუდენტთა ორგანიზაციები (ურთიერთდახმარების სალაროები, ბიბლიოთეკები და სხვ.). შეშინებული მთავრობა იქამ-

დეც კი მივიდა, რომ სტუდენტებს აუკრძალა თამბაქოს მოწევა და' მოსპო თამბაქოს მოსაწევი ოთახები. ამ უკანასკნელ ღონისძიებას საფუძვლად ედო ხელისუფლების წარმომადგენელთა შიში, თამბაქოს მოსაწევი ოთახი შესაძლოა სტუდენტებმა პოლიტიკური მსჯელობისათვის თავშესაყრელ ადგილად გადააქციონო.

ასეთი ღონისძიებებით მთავრობა ცდილობდა ჩაეხშო სტუდენტთა პოლიტიკური მოძრაობა, მაგრამ სინამდვილეში მის მიერ შემოღებულ „ახალ წესებს" შედეგად მოჰყვა სტუდენტთა უკმაყოფილების შემდგომი გაძლიერება და მათი რევოლუციური აღტყინების არაჩვეულებრივი აღმავლობა. ასე მომწიფდა პირობები სტუდენტთა „ბუნტისათვის". ახლა საჭირო იყო მარტო ნაპერწკალი, რომ ერთბაშად აფეთქებულიყო ახალგაზრდული ენერგია და ასეთი ნაპერწკალიც მალე გაჩნდა.

„ლექციები სექტემბრის მეორე კვირას დაიწყო, — გადმოგვცემს თავის მოგონებებში ნ. ნიკოლაძე. — ათიოდე დღის შემდეგ ტანისამოსის დასაკიდში... გაჩნდა რუსეთში ჯერ არ გაგონილი რამ: დაბეჭდილი პროკლამაცია „К молодому поколению"[1]. ეს იყო პირველი მერცხალი დაწყებული არეულობისა. ერთმა სტუდენტთაგანმა, მგონია, ნეკლიუდოვმა ჩამოიღო კედლიდან პროკლამაციის ფურცელი და გამოაცხადა, რომ საქტო დარბაზში წაიკითხავს მას ყველას გასაგონად. აუდიტორიებიდან გამომავალი სტუდენტები გაჰყვენ მას. ნეკლიუდოვი შედგა მაგიდაზე, რომელზედაც ოქროს ფოჩებიანი წითელი მაუდი იყო გადაფარებული, და დიდის პათოსით წაიკითხა პროკლამაცია. გულის ფანცქალით ვუსმენდით მის მაღალ ხმას, რომელიც თანდათან აღფრთოვანებაში გადადიოდა. პროკლამაცია თავიდან ბოლომდე ახალი გამოცხადება იყო ჩვენთვის. იმიტომ კი არა, რომ ოპოზიციონურ ლიტერატურას არ ვიცნობდით, ბევრი ჩვენგანი კითხულობდა „Колокол"-ს, „Полярная звезда"-ს და მაშინ ისკანდერის ფსევდონიმით უფრო ცნობილი გერცენის სხვა ცალკე გამოცემებს; მაგრამ იქ დაცინვასთან, სარკაზმთან გვქონდა საქმე, ეს

---

[1] ეს პროკლამაცია დაწერა ნ. ვ. შელგუნოვმა მ. ლ. მიხაილოვთან ერთად. ეს უკანასკნელი ხსენებული პროკლამაციის გავრცელებისთვის დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მ. ლ. მიხაილოვის გასამართლებით (1861 წ.) დაიწყო რევოლუციონერთა წინააღმდეგ რეპრესიების მთელი სერია — პ. რ.

პროკლამაცია კი, გარდა იმისა, რომ ცალკე პირებსაც და მთელ მთავრობასაც ჰკიცხავდა, მოგვიწოდებდა აშკარა ბრძოლისაკენ ძველი რეჟიმის დასამხობად, და არა მხოლოდ გასასწორებლად. ანათემასავით გაისმოდა პროკლამაციის გამანადგურებელი ტონი. ჩემზე, ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა. ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში"[1].

ასე დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება, რომელიც თითქმის მთელ თვეს გრძელდებოდა. 25 სექტემბერს სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ და მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც იმ ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ მოვლენად გადაიქცა. შემდეგ დღეებში შეუნელებლად გრძელდებოდა სტუდენტთა მღელვარე დემონსტრაციები და შეკრებები. 12 ოქტომბერს პოლიცია და ჯარის ნაწილები თავს დაესხნენ უნივერსიტეტის შენობის წინ შეგროვილ სტუდენტებს, რამდენიმე ასეული სტუდენტი დააპატიმრეს და ჯერ პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი კრონშტადტში გადაიყვანეს. უნივერსიტეტის სტუდენტებს სოლიდარობა გამოუცხადეს პეტერბურგის სხვა სასწავლებლების მოსწავლეებმა და პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციამ. მთელი ქალაქი შეიძრა. მთავრობა იძულებული გახდა უნივერსიტეტი დაეხურა და ახლად შემოღებული ე. წ. „ახალი წესების" შეცვლაზე ეფიქრა.

ქართველმა სტუდენტებმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა გამოსვლებში და ბევრმა მათგანმა კიდევაც იგემა პეტრე-პავლესა და კრონშტადტის ციხეები. სტუდენტთა პირველ დემონსტრაციაში ქართველების მონაწილეობის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო ნიკოლოზ ღოღობერიძე, რომელსაც გვერდში ედგა და აქტიურად ეხმარებოდა მისი უახლოესი თანამებრძოლი, გამოჩენილი რევოლუციონერი ბესარიონ ღოღობერიძე.

ნიკოლოზ ღოღობერიძის, როგორც ქართველი სტუდენტების ხელმძღვანელის როლი კარგად ჩანს ნ. ნიკოლაძის და აკ. წერეთლის მოგონებებიდან, აგრეთვე, რიგი სხვა წყაროებიდან. ნ. ნიკოლაძე ამბობს: „1861 წლის ზაფხულის აღტყინებული სულისკვეთება ნელ-ნელა ჩვენც გადმოგვეცა იმ ჩვენი უფროსი ამხანაგების მეოხებით, რომელთაც კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ რუს და, განსაკუთ-

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 97-98.

რებით, პოლონელ სტუდენტობასთან. ჩვენ წრეში, პოეტის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1861 წლის ზაფხულს (სწორედ ჩვენი ჩასვლის წინ), უდავო გავლენა მოიპოვა ნიკო ღოღობერიძემ, რომელიც იმ შემოდგომაზე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს ასრულებდა"[1].

ამ ფაქტს ადასტურებს აკაკი წერეთელიც, რომელიც „ჩემ თავგადასავალში" ამბობს, ნიკო ღოღობერიძე „გავლენიანი იყო და მამაშვილურად გვეპყრობოდაო"[2].

ასეთივე აზრი გატარებულია ერთი უცნობი ავტორის წერილში, რომელიც ნიკო ღოღობერიძის ხსოვნისადმია მიძღვნილი. ეს წერილი დაიბეჭდა 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო", რომელიც ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა, წერილში ნათქვამია: „პეტერბურგში ყოფნის დროს ნიკოლოზი თვალსაჩინო სტუდენტი იყო, ერთი გულწრფელი და ენერგიული მუშაკი იმ პატრიოტული წრისა, რომელიც მაშინ დაარსდა პეტერბურგში. იმ დროს ნიკოლოზის ამხანაგები და კარგი მეგობრები იყვნენ ცნობილი ჩვენი და რუსების მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, დავით ყიფიანი, ნიკოლოზ ჯაბადარი, ბესარიონ ღოღობერიძე, განთქმული კრიტიკოსი დობროლუბოვი, ლ. პანტელეევი, შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე და წიგნების გამომცემი, აწ თავმჯდომარე სალიტერატურო ფონდისა, და ხოროშევსკი, ცნობილი პედაგოგი... ნიკოლოზი გულმოდგინე მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო ყოველი პეტერბურგში ახალ მოსულ ქართველ ახალგაზრდისა, რომელსაც უნივერსიტეტში შესვლა უნდოდა. ეხლაც ჩვენში ცოცხალნი არიან ბევრნი მოღვაწენი, რომელნიც ნიკოლოზ ღოღობერიძეს მოუმზადებია უნივერსიტეტში შესასვლელად. თავის მოძმისათვის ამაგის დადება და სამშობლოს სამსახური იმ თავიდან გახდა ნიკოლოზის ცხოვრების მიზნად"[3].

ამ ამონაწერებიდან ნათელია, რომ ი. ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზ ღოღობერიძე უდავოდ ხელმძღვანელ როლს თამაშობდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა შორის. ცხადია, ის დაკავშირებული იყო სტუდენტთა მოძრაობის

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 94.
[2] აკ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, 1940, გვ. 461.
[3] „ძველი საქართველო", ტ. II, გვ. 13.

ხელმძღვანელებთან და მათგან ღებულობდა მითითებებს. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელ წრეებთან უშუალოდ იყო დაკავშირებული აგრეთვე ბესარიონ ღოღობერიძე, რომლის საქმიანობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ როგორც ნიკო, ისე ბესარიონი შედიოდნენ სტუდენტთა საიდუმლო კომიტეტში, რომელიც მღელვარების დროს არსებობდა.

აი, ეს ორი სტუდენტი გამოცხადდა 1861 წლის 24 სექტემბერს, ე. ი. პეტერბურგის სტუდენტთა გრანდიოზული დემონსტრაციის წინა დღეს ქართველ სტუდენტთა თავშესაყრელ ადგილას, კერძო სასადილოში და საიდუმლოდ აცნობა იქ მყოფ ქართველებს: „ხვალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე" გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო[1].

ჩვენი სტუდენტები მიხვდნენ, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. თუ აქამდე საქმე საიდუმლო წრეებში ან უნივერსიტეტის აუდიტორიებში მთავრობის საწინააღმდეგო სჯა-ბაასს ეხებოდა, ახლა ქუჩაში უნდა გამოსულიყვნენ და აშკარად დაპირისპირებოდნენ მეფის მთავრობას, მის ჯარსა და პოლიციას. ქართველი სტუდენტების მთავარი საზრუნავი, რა თქმა უნდა, მათი დაჩაგრული სამშობლოს ბედ-იღბალი იყო, პეტერბურგში კი პოლიტიკური ვითარება ისეთ მიმართულებას იღებდა, რომ ადვილად შეიძლებოდა ერთი მუჭა ქართველი სტუდენტობა რეაქციის მსხვერპლი გამხდარიყო და თავისი სათაყვანებელი სამშობლოსთვის სამუდამოდ დაკარგულიყო. გამართლებული იქნებოდა თუ არა ასეთი ნაბიჯი და მოსალოდნელი მსხვერპლი — აი დიდმნიშვნელოვანი კითხვა[2], რომელიც მაშინ ქართველი სტუდენტების წინაშე დადგა. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ღოღობერიძეების წინადადება, მიუხედავად სტუდენტთა შორის მათი დიდი ავტორიტეტისა, ერთბაშად როდი იქნა მიღებული. ამ წინადადებამ გამოიწვია საკმაოდ მწვავე კამათი, რომლის დაახლოებით შინაარსს ჩვენ ვტყობილობთ ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 100.

[2] ეს კითხვა შემდგომშიც არა ერთხელ დამდგარა რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების წინაშე და ყოველთვის მწვავე კამათისა და მსჯელობის საგანი ყოფილა. (იხ. ამ საკითხზე ი. ჭავჭავაძის წერილი „პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი"; წერილები, ტ. I, 1949 წ. გვ. 86 — 88).

პირველად სიტყვა აუღია დ. ნ. აბდუშელიშვილს, რომელსაც უთქვამს, უმჯობესი იქნება დემონსტრაციაში მონაწილეობისაგან თავი შევიკავოთო. „ჩვენ იმისათვის ვართ აქ ჩამოსული, რომ უნდა ვისწავლოთ, და არა მთავრობას ვასწავლოთო. მთავრობა ჩვენ რასაკვირველია, არ გაგვიგონებს და უკან სახლში გაგვაბრუნებსო, რაც ჩვენთვის გაცილებით უარესია, ვიდრე ციმბირში წასვლაო“.[1] .

დ. აბდუშელიშვილის ამ განცხადებას დამსწრეთა შორის დიდი გაკვირვება გამოუწვევია. „ღოღობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინესო, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე. — ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და პირველად წააწყდნენ ახლა ურჩობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო“.[2]

მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად ეს უკანასკნელი არგუმენტი საკმარისი არ აღმოჩენილა. სიტყვა აუღია ერთ-ერთ გავლენიან და ყველასათვის საყვარელ სტუდენტს კირილე ლორთქიფანიძეს, რომელსაც მკაფიოდ ჩამოუყალიბებია იმათი პოზიცია , ვინც თავშეკავების მომხრე იყო. „კირილე ლორთქიფანიძემ შენიშნა,—გახაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ. რუსეთში, პოლონეთში, მალოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხი. ეს ქვეყნები უინტელიგენციო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა, ჩვენში კი საქმე სხვანაირია. ჩვენ ქართველი სტუდენტობის პირველი თაობა ვართ. ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებ — შვილები უნივერსიტეტში გამოგზავნონო. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიაბარებენ, მით უმეტეს ეს უფრო ადვილი საქმეა და არც ფულის დახარჯვაა საჭირო“.[3]

კამათი დიდხანს გაგრძელებულა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ღოღობერიძეების ხაზს გაუმარჯვნია. „ბევრი კამათის შემდეგ, — დაასკვნის ნ. ნიკოლაძე, — ნიკოლოზ ღოღობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 101.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 101.

მაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთქა"[1].

მეორე დღეს, 25 სექტემბერს გაიმართა სტუდენტთა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელიც, ნ. ნიკოლაძის სიტყვით, „უფრო თვალსაჩინოდ და დიდებულად ჩატარდა, ვინემ მის მომწყობთ ჰქონდათ წარმოდგენილი".[2] ქართველებმა მასში ერთსულოვანი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს[3]. საინტერესოა ასეთი დეტალი: როცა ჯარისკაცებმა თოფები გატენეს და დემონსტრანტებს დაემუქრნენ, ზოგიერთი სტუდენტი შეკრთა, მწყობრიდან გამოვიდა და მასლობელი შესახვევისაკენ გაიქცა. მათ დაედევნენ კირილე ლორთქიფანიძე და დ. აბდუშელიშვილი (ე. ი. სწორედ ის სტუდენტები, რომლებიც თავიდან არ იყვნენ მომხრე დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისა) და გაქცეულები უკანვე დააბრუნეს: „რაკი ერთხელ მოვსულვართ, მორჩა, ჩვენი უნდა გავიტანოთო,—უთხრეს".[4]

მთავრობის წარმომადგენლებმა ვერ გაბედეს სტუდენტებისათვის სროლა აეტეხათ. მეფე იმ ხანებში პეტერბურგში არ იმყოფებოდა, მის დაუკითხავად კი მთავრობა უკიდურესი ზომების მიღებას ერიდებოდა. ამასობაში სტუდენტთა მღელვარება შეუნელებლივ გრძელდებოდა. „გაიბა ყოველდღიური ყრილობები ცის ქვეშ, — გადმოგვცემს ნიკოლაძე, — ჯერ უნივერსიტეტის ეზოში, — სანამ ისიც არ დაგვიკეტეს, — და შემდეგ კი მდინარის განაპირა ქუჩაზე და მოედანზე უნივერსიტეტის წინ... და ეს გრძელდებოდა დღითიდღე"[5].

1861 წლის 12 ოქტომბერს, როცა სტუდენტები ჩვეულებრივად შეიკრიბნენ უნივერსიტეტის წინ და ის-ის იყო აპირებდნენ „ყრილობის" დაწყებას, მოულოდნელად მათ თავს დაესხნენ და ალყა შემოარტყეს პოლიციისა და ჯარის ნაწილებმა. მათ რამდენიმე ასეული სტუდენტი დააპატიმრეს და გაუყენეს გზას პეტრე-პავლეს ციხისაკენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალყის გარეთ დარჩენილი

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 101.

[2] იქვე, გვ. 102.

[3] იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, აკ. წერეთელი კვლავ თავის თვალსაზრისზე დარჩა და დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღია. ამის შესახებ იხ. მისი „ჩემი თავგადასავალი", რჩეული ნაწერები, 1940, გვ. 461-462.

[4] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 102.

[5] იქვე, გვ. 106.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დაპატიმრებულ სტუდენტთა ჯგუფი. პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან): კოვალენსკი, ევტუშევსკი, ისარლიშვილი და გულევიჩი, მეორე რიგში სხედან: ნ. ნიკოლაძე, პეტ. ალხაზიშვილი, ბეს. ღოღობერიძე, გ. წერეთელი, მესამე რიგში დგანან: ჯარისკაცები, ოფიცრები და სტუდენტები: ა. ჩოლოყაშვილი, ი. პროტროვსკი, ფატუროვსკი, დავ. ღოღობერიძე, დუკდევსკი და კ. ლორთქიფანიძე.

1861 წელი ფოტო.

სტუდენტები თავგანწირვით ცდილობდნენ გაერღვიათ ალყა და შეერთდებოდნენ თავიანთ დაპატიმრებულ მეგობრებს. პოლიციისა და ჯარის ნაწილებთან სტუდენტთა ხელჩართული შეტაკების შედეგად, როგორც ნიკოლაძე გადმოგვცემს, „არა მცირედი რიცხვი სტუდენტებისა ,ცხენებით გათელილი ან კონდახით ნაცემი, ეყარნენ ქვაფენილზე“.[1]

მთავრობა იძულებული გახდა დიდი ხნით დაეხურა პეტერბურგის უნივერსიტეტი. დაიწყო პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარების მიზეზების მკაცრი გამოძიება და მთელი რუსეთის სტუდენტთა ყოველმხრივი დევნა-შევიწროვება.

დაპატიმრებული ქართველი სტუდენტების უმეტესი ნაწილი (თუ ყველა არა), როგორც ჩანს, 12 ოქტომბერს დაუპატიმრებიათ. იმ მრავალრიცხოვან მასალებში, რომლებიც მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული და სტუდენტთა მღელვარების მთელ ისტორიას ასახავს, არა ერთი ცნობა მოიპოვება დაპატიმრებული ქართველი სტუდენტების შესახებაც. დაპატიმრებულ სტუდენტთა ერთ-ერთ საერთო სიაში[2] შეტანილია 11 ქართველი სტუდენტი, რომელთა გვარისა და სახელის გვერდით მიწერილია მოკლე ცნობები მათი მშობლების ვინაობის შესახებ. ესენი არიან: ვ ა ს ი ლ ს ა ვ ა ნ ე ლ ი (გვერდზე მინაწერი: დედა მისი ცხოვრობს ქ. თბილისში); ნ ი კ ო ლ ო ზ ნ ი კ ო ლ ა ძ ე (მშობლები ჰყავს თბილისში); ა ბ ე ლ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი (თბილისის გუბერნიის, თბილისის მაზრის სოფ. ახმეტაში ჰყავს მამა); დ ა ვ ი თ ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე (ქუთაისის გუბერნიიდანაა, იქ ჰყავს მშობლები); დ ა ვ ი თ ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (მშობლები ქუთაისის გუბერნიაში ჰყავს); პ ე ტ რ ე ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი (თბილისის გუბერნიიდანაა, გორში ჰყავს მამა, მსაჯულია); კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (ქუთაისის გუბერნია); გ რ ი გ ო ლ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (თბილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ ხოვლედანაა); გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი (მამა ჩინოვნიკია ქ. ქუთაისში); ბ ე ს ა რ ი ო ნ ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე (ქუთაისის გუბერნია); ი ა კ ო ბ ი ს ა რ ლ ი შ ვ ი ლ ი (მამა აზნაურია, ცხოვრობს ქ. თბილისში).

პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარების დროს დაპატიმრე-

---

[1]. ნიკო ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 108.

[2] Ф. III О, I экс. д. 271, ч. I, 1861 г.. лл. 304—315.

ბულთა ის სია, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი სტუ-
დენტებიცაა შეტანილი (გარდა ვასილ სვანელისა), გამოქვეყნდა
გერცენის კოლოკოლშიც[1]. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს სია სრული
არ არის. არქივის საქმეებში ჩვენ წავაწყდით კიდევ სამი ქართველი
სტუდენტის გვარს, რომლებიც, როგორც ჩანს, დაპატიმრებული
ყოფილან პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარების დროს, ზემოთ
ხსენებულ სიაში კი შეტანილ არ არიან. ესენი არიან: ვ ა ს ი ლ თ უ-
მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ქ ს ი-მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი (ორივე-
ნი — მესამე კურსის სტუდენტები) დ ა ი ა გ ო რ წ ე რ ე თ ე ლ ი (პირ-
ველი კურსის სტუდენტი). ესენი შეტანილი არიან კავკასიის კომი-
ტეტის მიერ ჟანდარმთა შეფისათვის წარდგენილ სტუდენტთა იმ სია-
ში, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე იზრდებოდნენ პეტერბურგის
უნივერსიტეტში, საიდანაც გაირიცხენ „სტუდენტთა არეულობაში
მონაწილეობისათვის“.[2] პირველი ორის შესახებ საბუთში პირდაპირ
არის ნათქვამი, რომ ისინი დაპატიმრებულნი ყოფილან. ხოლო ი.
წერეთელიც რომ დაპატიმრებული უნდა ყოფილიყო, ამას გვაფიქ-
რებინებს ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ ისიც შეტანილია დაპატიმრე-
ბულებთან ერთად კავკასიის კომიტეტის მიერ შედგენილ სიაში,
ხოლო მეორესაც, — სხვა პატიმრებთან ერთად მასაც უნივერსიტე-
ტიდან გარიცხულად სთვლიან.[3]

ამრიგად, ჯერჯერობით დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ
პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებაში აქტიური მონაწილეობის
მიღებისათვის დაპატიმრებული და დასჯილი იყო სულ მცირე 13
თუ 14 ქართველი სტუდენტი. რა თქმა უნდა, სტუდენტთა მოძრაო-
ბის აქტიურ მონაწილეთა რიცხვი ქართველ სტუდენტთა შორის
გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ ეტყობა ბევრი მათგანი შემთხ-
ვევით გადაურჩა დაპატიმრებას.

საინტერესოა, ყურადღება მიექცეს ერთი დამახასიათებელ დე-
ტალს: დაპატიმრებულ სტუდენტთა ზემოთ ხსენებულ სიას, რომელ-
შიც 11 ქართველი სტუდენტიცაა შეტანილი, ბოლოში შემდგენელ-

---

[1] იხ. „კოლოკოლის“ 1861 წ. 1 დეკემბრის (№ 114) ფურცელი.

[2] Ф. III. О., I эксп., опись 5, д. 277, ч. 13, лл. 15-16, 1861 г.

[3] ესეც კია, რომ კ. ლორთქიფანიძის ცნობით, კრონშტადტის ციხეში მარტო 13 ქართველი სტუდენტი ყოფილა (იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 394).

თა შენიშვნები ახლავს; ერთ-ერთი შენიშვნიდან[1] ვტყობილობთ, რომ კავკასიელი წარმოშობის სტუდენტებს გადაჭრით უარი უთქვამთ მატრიკულების მიღებაზე და რომ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს (თითქოს) გამოუთქვამს სურვილი მატრიკულების მიღებისა, მაგრამ სინამდვილეში მათაც არ მიუღიათ. ამ ცნობის აზრი და მნიშვნელობა რომ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ მატრიკულების მიღება-არმიღების საკითხი სტუდენტთა მღელვარების დროს ძალიან პრინციპული მნიშვნელობის საკითხად იქცა. მატრიკულის მიღება სტუდენტის მიერ ასე თუ ისე ნიშნავდა მთავრობის მიერ შემოღებული ე. წ. „ახალი წესების" აღიარებას, ამიტომ სტუდენტთა მოძრაობის ხელმძღვანელები მიუწოდებდნენ სტუდენტებს უარი ეთქვათ მატრიკულების მიღებაზე; მთავრობაც ამ საკითხს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა და ყველა სტუდენტს, რომელსაც მატრიკული არ ჰქონდა მიღებული, მეამბოხედ სთვლიდა; უმატრიკულებოდ სტუდენტებს უნივერსიტეტის შენობაშიც კი არ უშვებდნენ. ამით აიხსნება, რომ სტუდენტთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა მიეღო მატრიკულები, მაგრამ 12 ოქტომბრის ამბების შემდეგ, როცა ისინი მოწმენი გახდნენ პოლიციისა და ჯარის ნაწილების აღვირახსნილი მოქმედებისა, როცა მათი ამხანაგები ასობით დააპატიმრეს და ციხეში ჩაჰყარეს, მატრიკულიანი სტუდენტების მერყეობას ბოლო მოეღო და მათაც სახეში მიაყარეს დაფხრეწილი მატრიკულები მეფის ჩინოვნიკებს. ჟანდარმთა კორპუსის ხელმძღვანელები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ „მატრიკულები შემდეგ მთლად დაგლეჯილუნი ვიპოვეთ, რაც ალბათ იმ სტუდენტთა წაქეზებით მოხდა, რომლებსაც არ სურდათ დამორჩილებოდნენ უნივერსიტეტის წესებსო".[2]

ასეთია მოკლედ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარებისა და მასში ქართველი სტუდენტების მონაწილეობის ისტორია.

როგორც დავინახეთ, ბევრი ქართველი სტუდენტი[3] და მათ შორის აგრეთვე ნიკოლოზ ღოღობერიძე, რომელიც სტუდენტთა მოძრაობაში უდავოდ ხელმძღვანელ როლს თამაშობდა, დაპატიმრებუ-

---

[1] Ф. III. I. эксп., опись. 5, д. 277, ч. 13, 315.

[2] Ф. III. О, 1 эксп., д. 277, ч. 1, л. 275, 1861 г.

[3] სულ ქართველ სტუდენტთა რიცხვი პეტერბურგში იმ დროს 30-დე ყოფილა (იხ. აკაკის „ჩემი თავგადასავალი", რჩეული ნაწერები, 1940 წ. გვ. 358).

ლი არ ყოფილა. რით აიხსნება ეს ფაქტი? ამ კითხვას რომ სწორი პასუხი გავცეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელშიც სტუდენტთა დაპატიმრება ხდებოდა. სხვა საბუთიც რომ არ გვქონდეს, ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდანაც კარგად ჩანს, რომ სტუდენტთა უმრავლესობის დაპატიმრება მოხდა არა შერჩევით, მათი აქტიურობისდაკვალად, არამედ ერთბაშად და განურჩევლად, პირდაპირ მოედანზე, უნივერსიტეტის წინ. დააპატიმრეს ისინი, ვინც ჯარისკაცთა და პოლიციელთა ალყაში მოჰყვა, დანარჩენები კი დაპატიმრებულებს ახლოსაც აღარ გააკარეს. „იმ ჯარს, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე, — რომელიც გარს გვერტყა, თავს დაესხა სტუდენტების დიდი ბრბო, რომელსაც სურდა გაენაწილებია ჩვენი ხვედრი... თავდამსხმელი სტუდენტობა სამასზე მეტი იყო. დაიწყო რაღაც ხელჩართული ბრძოლის მაგვარი. გვარდიელები ცდილობდნენ დაეშალათ სტუდენტებისათვის მათი რიგების დარღვევა. მაინც ასორმოცდაათმა ყმაწვილმა მოახერხა რიგის დარღვევა და ჩვენ წრეში შემოიჭრენ, თუმცა ამ დროს ბევრს მათგანს დაუმტვრიეს გვერდები და ერთს კი — თავიც გაუხეთქეს. სტუდენტთა ბრბოს დანარჩენი ნაწილი გაჰფანტა ცხენოსან ჟანდარმთა ესკადრონის უეცარმა იერიშმა, რომელმაც შუაზე გააპო მათი რიგები“.[1]

აქედან ჩანს, რომ მრავალი სტუდენტი (ასორმოცდაათამდე), მიუხედავად იმისა, რომ თვითონ თავგანწირვით მიისწრაფოდა გაენაწილებია პატიმარი ამხანაგების ბედი, მაინც არ ყოფილა დაპატიმრებული.

სტუდენტთა დაპატიმრება რომ განურჩევლად, მათი „დანაშაულის“ გაუთვალისწინებლად მოხდა, ეს ოფიციალური საბუთებითაც დასტურდება. ასე მაგალითად, მესამე განყოფილების ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში პირდაპირ არის ნათქვამი: „უნივერსიტეტის არეულობის დროს დაპატიმრება ხდებოდა არა იმისდა მიხედვით, იყო თუ არა დამტკიცებული დანაშაული, არამედ მხოლოდ პიროვნების ვინაობაზე სასწრაფოდ შეკრებილი ცნობების მიხედვით. ამიტომ ბევრი სტუდენტი რომლებსაც შესაძლებელია დაპატიმრებულებსა და უკვე დასჯილებზე არა ნაკლები მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული არეულობაში, ხელუხლებლად დარჩა და არავითარი სასჯელი არ მიუღია“.[2]

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 108.

[2] ф. 109, секр. архив, опись 1, д, 1475, л. 32.

აქედან ცხადია, რომ რევოლუციურად განწყობილი ქართველი სტუდენტების ხელმძღვანელი ნიკოლოზ ღოღობერიძე და მასთან ერთად სხვა ქართველი სტუდენტები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობაში, სრულიად შემთხვევით გადაურჩნენ დაპატიმრებას და რეპრესიებს.

12 ოქტომბერს დაპატიმრებული სტუდენტები დაახლოებით ორი თვის შემდეგ — 1861 წლის 6 დეკემბერს — გაანთავისუფლეს ციხიდან. ამ ხნის განმავლობაში მოქმედებდა მთავრობის საგანგებო კომისია, რომელმაც ყველა დაპატიმრებული სტუდენტი დამნაშავეთ სცნო და მათ სხვადასხვა სასჯელი დაადო. უნივერსიტეტიდან ე. წ. „მგლის პასპორტით“ გაირიცხნენ უმთავრესად მაღალი კურსის სტუდენტები (ამათ ესპობოდათ უფლება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებისა), უმცროსი კურსის სტუდენტები კი მეფემ „შეიწყალა“ და მშობლების თავდებობით ნება დართო პეტერბურგში დარჩენისა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ მათ შეეძლოთ სწავლა განეგრძოთ.

საარქივო საბუთებიდან ირკვევა, რომ არსებითად დაპატიმრებულ სტუდენტთა დასჯაც არ ყოფილა შეფარდებული მათ „დანაშაულთან“. მესამე განყოფილების იმავე მოხსენებაში ვკითხულობთ: „სტუდენტებს, რომლებიც ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში მომხდარი არეულობის გამო იყვნენ დაპატიმრებულნი, სასჯელი განესაზღვრათ არა იმ დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, რომელიც თვითეულ მათგანს აღმოუჩინა ამ საქმისათვის ს. პეტერბურგში შექმნილმა კომისიამ, არამედ იმ კურსის მიხედვით, რომლებზეც ისინი სწავლობდნენ.

ამრიგად, იმ დაპატიმრებულ სტუდენტებს, რომლებიც IV კურსზე იყვნენ, უნივერსიტეტიდან გარიცხვა მიესაჯათ“.[1]

სტუდენტთა მღელვარებისა და მათი საქმის გამოძიების დამთავრების შემდეგ ქართველი სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, და მათ შორის ნიკოლოზ ღოღობერიძეც, სამშობლოში გამოემგზავრა და გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც გარს შემოიკრიბა თანამებრძოლთა გუნდი და ახლა უკვე თავის სამშობლოში გაშალა საბრძოლო დროშა თვითმპყრობელობისა და ძველი წყობილების წინააღმდეგ.

---

[1] Ф. 109. секр. архив, опись 1, д. 1475, л. 32.

რაც შეეხება პეტერბურგში დარჩენილ ქართველ სტუდენტებს, ისინი, ერთი მხრივ, ყოველნაირად ეხმარებოდნენ თბილისში მყოფ თანამოაზრეებს, ხოლო, მეორე მხრივ, პეტერბურგის რევოლუციურ ძალებთან ხელიხელჩაკიდებული განაგრძობდნენ ენერგიულ არალეგალურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

1862 — 1863 წლების პერიოდში ქართველმა სტუდენტებმა, განსაკუთრებით კი ბესარიონ ღოღობერიძემ, თვალსაჩინო როლი ითამაშეს რუსეთის რევოლუციურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კერძოდ, კი ცნობილი არალეგალური საზოგადოების „ზემლია ი ვოლიას“ საქმიანობაში. ჩვენი აზრით, ეს დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა. ამიტომ გავეცნოთ მას დაწვრილებით.

4. საიდუმლო საზოგადოება „ზემლია ი ვოლია“ და ქართველი სტუდენტობა. ბესარიონ ღოღობერიძის რევოლუციური მოღვაწეობა

1862 წლის დამდეგს რუსეთში შეიქმნა და მთელი ორი წლის განმავლობაში აქტიურად მოქმედებდა დეკაბრისტების შემდეგ ყველაზე დიდი რევოლუციური ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლიას“ („მიწა და თავისუფლება“) სახელწოდებით, რომელმაც სცადა გაეერთიანებინა მაშინ რუსეთში მომქმედი მრავალრიცხოვანი რევოლუციური წრეები და ერთიანი გეგმით წარემართა რევოლუციური მუშაობა რუსეთის მთელ იმპერიაში. ამ ორგანიზაციას ჰყავდა თავისი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც პეტერბურგში იმყოფებოდა და ძლიერი საქალაქო კომიტეტები პეტერბურგსა და მოსკოვში, აგრეთვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი კომიტეტები, განყოფილებები და ცალკეული მიმდევრები რუსეთის მრავალ მხარეში. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა, — როგორც მისი ცენტრალური კომიტეტი აცხადებდა ერთ-ერთ პროკლამაციაში, — „იმპერატორის თვითმპყრობელობის დამსხვრევას და სახალხო ინტერესების გამარჯვებას“.[1]

აკადემიკოსი მ. ნეჩკინა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა „ზემლია ი ვოლიას“ რევოლუციური მოღვაწეობა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ორგანიზაციის პროგრამა „ერთ-ერთი უაღრესად რადიკალური პროგრამათაგანი იყო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში, — ეს პროგრამა მოითხოვდა დემოკრატიუ-

---

[1] «Свобода», № 1, 1863 г.

ლი რესპუბლიკის დამყარებას, ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატის მოსპობას და მის შეცვლას არჩეული პირებით, კერძო საკუთრების მოსპობას მიწაზე და ფაბრიკა-ქარხნებზე, მიწისა და სამრეწველო საწარმოების სახელმწიფოს ხელში გადასვლას, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობას".[1]

მაგრამ „ზემლია ი ვოლიას" ხელმძღვანელები არ შეჩერებულან მარტო რადიკალური პროგრამის შედგენაზე, მათ გააჩაღეს უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი პრაქტიკული რევოლუციური საქმიანობა: ბეჭდავდნენ და ხალხში ავრცელებდნენ პროკლამაციებს და აგრეთვე საზღვარგარეთიდან შემოტანილ რევოლუციურ ლიტერატურას, აგროვებდნენ სახსრებს რევოლუციური მუშაობისათვის, აწყობდნენ საიდუმლო სტამბებს და ა. შ.

„ზემლია ი ვოლია" იმისათვის ემზადებოდა, რომ სათავეში ჩადგომოდა საყოველთაო-სახალხო აჯანყებას, რომელიც რუსი რევოლუციონერების მაშინდელი რწმენით 1863 წლის გაზაფხულზე (გლეხებსა და მემამულეებს შორის დადებული ე. წ. გარიგების სიგელების ვადის გასვლასთან დაკავშირებით) უნდა მომხდარიყო, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რევოლუციონერთა იმედი არც ამჯერად გამართლდა, გლეხთა მოძრაობა არ გადაიზარდა სახალხო აჯანყებად და ამ მდგომარეობას არ შეეძლო გადამწყვეტი გავლენა არ მოეხდინა „ზემლია ი ვოლიას" შემდგომ საქმიანობაზე. რევოლუციონერებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ: მათი ერთი ნაწილი მოითხოვდა აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყებას და პოლონეთში უკვე დაწყებული აჯანყებისადმი აქტიურ მხარდაჭერას, მეორე ნაწილი კი უფრო ფრთხილ ტაქტიკას ადგა და რაკი ხედავდა, რომ გლეხთა მოძრაობა მთელ რუსეთში თანდათან ნელდებოდა, აჯანყების დაწყებას მიზანშეუწონლად და უსარგებლოდ სთვლიდა. პოლონეთის აჯანყების დამარცხებისა და მთელ რუსეთში რეაქციონურ-შოვინისტური ტენდენციების გაძლიერების შედეგად „ზემლია ი ვოლიამ", რომლის სულისჩამდგმელებისა და ხელმძღვანელი მოღვაწეების დიდი ნაწილი ან მთავრობამ დააპატიმრა, ან კიდევ იძულებული გახდნენ საზღვარგარეთ გადახვეწილიყვნენ, — 1863 წლის ბოლოს არსებობა შესწყვიტა.

თავისთავად ცხადია, რომ ქართველი მკითხველისათვის განსა-

---

[1] «История СССР», 1957 г., т. 1, стр. 120.

კუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგი საკითხის გარკვევას: შედიოდნენ თუ არა ქართველი რევოლუციონერები „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში, და თუ შედიოდნენ, რა მონაწილეობას ღებულობდნენ, ან კიდევ: ჰქონდა, თუ არა „ზემლია ი ვოლიას“ პირდაპირი ორგანიზაციული კავშირი საერთოდ ამიერკავკასიასთან და კერძოდ კი საქართველოსთან, თბილისთან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი დღემდე საერთოდ არ გამხდარა მსჯელობის საგნად. რაც შეეხება რუსულ ისტორიოგრაფიას, იქ ხსენებული საკითხი უკვე დღის წესრიგში დგას, ოღონდ საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერჯერობით არ არის. აკადემიკოსი მ. ნეჩკინა, რომელიც ამ საკითხს შეეხო 1957 წელს, ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში, ასეთ მოსაზრებებს გამოთქვამს:

„ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალურ კომიტეტს.. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პოლონეთის საიდუმლო საზოგადოებასთან: როგორც ჩანს, იყო კავშირი ამიერკავკასიასთანაც“.[1]

შემდეგ:

„ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი ცნობა „ზემლია ი ვოლიას“ კავშირისა ამიერკავკაასიასთან, მაგრამ ნ. პ. ოგარიოვის დირექტივა — საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა დავრაზმოთ კავკასია და ურალი, რომელიც 1862 წ. იყო მიცემული (პრაღის კოლექციის კონსპირატული დოკუმენტი „საზღვარგარეთული საზოგადოება“), გვაიძულებს ყურადღებით მოვეკიდოთ იმ ფაქტს, რომ ანდრუშენკომ პუშტორსკისთან მისვლისას მასთან ნახა გრიგოლ ჯავახოვი (ჯავახიშვილი) — სტუდენტთა მოძრაობის მონაწილე, რომელიც ადრე პუშტორსკისთან ერთად იჯდა პეტრე-პავლეს ციხეში. გ. ჯავახიშვილი ამ დროს უკვე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ ორივე ღოღობერიძის (დავითისა და ნიკოლოზის) მოღვაწეობა“.[2]

---

[1] «История СССР», т. I, стр. 112.

[2] იქვე, გვ. 130; დავით ღოღობერიძეზე მკვლევარი აქ კანონიერად ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, მაგრამ მითითება ნიკოლოზ ღოღობერიძის მოღვაწეობაზე, როგორც ჩანს, გაუგებრობის შედეგია: ნ. ღოღობერიძე 1861 წლის ბოლოს გამოემგზავრა საქართველოში და „ზემლია ი ვოლიას“ მოღვაწეობის ხანაში პატერბურგში აღარ იმყოფებოდა; ნიკოლოზის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დავითთან ერთად პეტერბურგში აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ბესარიონ ღოღობერიძე და აკად. მ. ნეჩკინას ალბათ სწორედ ის ჰყავს მხედველობაში.

გარდა ამისა, მკვლევარი იმავე ნაშრომში (სქოლიოში) გადმოგვცემს მის მიერ არქივში მიკვლეულ ორ საინტერესო ცნობას: პირველი, — „პ. პუშტორსკი აღიარებს, რომ იცნობდა ღოღობერიძეს“,[1] მეორე, — ლ. პანტელეევიც აჩვენებს დაკითხვაზე: „დაპატიმრების დღეს მასთან (პუშტორსკისთან) იყო ქართველი სტუდენტიო“.[2]

აი ყველაფერი, რასაც ამბობს აკადემიკოსი მ. ნეჩკინა „ზემლია ი ვოლიას“ კავშირზე ამიერკავკასიასთან და ამ საიდუმლო საზოგადოებაში ქართველების მონაწილეობაზე. აქედან ცხადია, რომ მკვლევარს ფრიად საყურადღებო დაკვირვებისა და ზოგიერთი საარქივო ცნობის საფუძველზე, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ა დ მიაჩნია ქართველების უშუალო მონაწილეობა „ზემლია ი ვოლიას“ საქმიანობაში და მათი მეოხებით ამ ორგანიზაციის კავშირი ამიერკავკასიასთან, — თუმცა ეს აზრი მას ჯერ ჰიპოთეზად ვარაუდის სახით აქვს გამოთქმული და დამტკიცებულად არ სთვლის.

ჩვენს ხელთ ამჟამად არსებული ახალი დოკუმენტები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საშუალებას იძლევიან არა მარტო დავადასტუროთ „ზემლია ი ვოლიას“ საქმიანობაში ქართველების უშუალო მონაწილეობის ფაქტი, არამედ ისიც ნათლად დავინახოთ, რომ მათ ამ ორგანიზაციაში ფრიად აქტიური როლი უთამაშნიათ.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ „ზემლია ი ვოლიას“ ისტორიის ისეთ პირველ ხარისხოვან წყაროს, როგორიცაა ამ ორგანიზაციის წევრისა და მისი ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი მოღვაწის ლ. ფ. პანტელეევის მოგონებები. უკვე ამ მოგონებებიდან სავსებით აშკარად ჩანს, რომ „ზემლია ი ვოლიას“ წევრთა შემადგენლობაში შედიოდა კავკასიელთა მთელი ჯგუფი, რომელსაც ფრიად აქტიური პოზიცია ეჭირა და მზად იყო მონაწილეობა მიეღო ყველაზე გაბედულ რევოლუციურ მოქმედებაში. მაგალითად, როდესაც აჯანყებულ პოლონელ რევოლუციონერთა წარმომადგენელმა ვლადისლავ კოსოვსკიმ თხოვნით მიმართა „ზემლია ი ვოლიას“ ხელმძღვანელობას, აღმოეჩინათ პოლონეთის აჯანყებისათვის ქმედითი დახმარება, ამ საკითხის განხილვის დროს კავკასიელებმა მხარი დაუჭირეს პოლონელთა დასახმარებლად აქტი-

---

[1] მითითებულია წყარო: ЦГИА, ф. опись, д. 75, лл. 26 и 28.

[2] იქვე, ფ. 8.

ური მოქმედების ხაზს და გამოთქვეს მზადყოფნა მონაწილეობა მიეღოთ ფრიად სახიფათო ექსპედიციაში, მაგრამ კომიტეტის უმრავლესობამ მათი წინადადება არ მიიღო, რადგან კავკასიელები შედარებით ცოტა არიან და საქმე კი ძალიან სახიფათოაო. აი ლ. პანტელეევის სიტყვები:

„სხვა შემთხვევაში მან (კოსოვსკიმ) წინადადება მოგვცა: ამა და ამ რიცხვში პეტერბურგიდან რკინიგზით ჩვეულებრივ ვითარებაში გაიგზავნება ექვსი მილიონი მანეთიო (როგორც ჩანს, ამ ფულს მთავრობა პოლონეთის აჯანყების ჩასახშობი ღონისძიებების დასაფინანსებლად გზავნიდა — პ. რ.). საჭირო იყო მატარებელზე თავდასხმა. გამოჩნდნენ ამ ექსპედიციის მოწყობის მსურველნი „ზემლია ი ვოლიას“ იმ წევრთაგან, რომლებიც კავკასიელები იყვნენ; მაგრამ კომიტეტმა ჩასთვალა, რომ მათი (კავკასიელების) რიცხვი დიდი არ არის, ხოლო მატარებელზე თავდასხმა მეტისმეტად ფანტასტიური საქმეაო“.[1]

ამ ცნობიდან აშკარაა, ჯერ ერთი, ის, რომ „ზემლია ი ვოლიას“ წევრებად ყოფილა პეტერბურგში იმ დროს მცხოვრები კავკასიელების მთელი ჯგუფი, თუმცა. ეს ჯგუფი მრავალრიცხოვანი არ ყოფილა; მეორე, — ამ ჯგუფის წევრები დასწრებიან კომიტეტის (წყაროდან არ ჩანს, „ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალურ თუ პეტერბურგის კომიტეტზეა ლაპარაკი) სხდომას ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს, როგორც იყო პოლონეთის აჯანყების დახმარება, რაც იმის მაუწყებელია, რომ კავკასიელები (ან ერთი მათგანი მაინც) ან კომიტეტის წევრები ყოფილან, ან კიდევ, ყოველ შემთხვევაში „ზემლია ი ვოლიას“ აქტიური მოღვაწენი; დაბოლოს, ამ ცნობიდან ისიც აშკარაა, რომ კავკასიელები გაბედული რევოლუციონერები და პოლონეთის აჯანყების აქტიური მხარდაჭერის მომხრენი ყოფილან.

ამრიგად, ლ. პანტელეევის ეს ცნობა საფუძველს აცლის იმ აზრს, რომ თითქოს „ჩვენ არა გვაქვს ამიერკავკასიასთან „ზემლია ი ვოლიას“ კავშირის მაუწყებელი პირდაპირი ცნობა“ (აკადემიკოს ნეჩკინას, როგორც ჩანს, ლ. პანტელეევის ეს ცნობა უბრალოდ მხედველობიდან გამორჩა) და უდავოდ ადასტურებს „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში კავკასიელების ყოფნის ფაქტს.

---

[1] Л. Ф. Пантéлеев, Воспоминания, 1958, стр. 323-324.

ახლა გამოსარკვევია საკითხი: სახელდობრ ვინ იყვნენ ეს კავკასიელები და რა წვლილი შეიტანეს მათ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში.

ზემოთ, როცა რუსეთის იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ვითარებას ვახასიათებდით, შევეხეთ ჟანდარმთა შეფის მიერ 1862 წლის გაზაფხულზე მეფისათვის წარდგენილ საგანგებო მოხსენებებს და განსაკუთრებულ სიას იმ ყველაზე გამოჩენილი რევოლუციონერებისას, რომელთა „ერთდროული და სასტიკი ჩხრეკა“ იყო განზრახული. ეს სია აღმოჩნდა მესამე განყოფილების ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო საქმეში, რომელსაც სათაურად აქვს: „რუსეთის ხალხის რევოლუციურ სულისკვეთებასა და ამასთან დაკავშირებით აღმაშფოთებელი მოწოდებების გავრცელების შესახებ“. ამ სიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩერნიშევსკისთან, შელგუნოვთან, ობრუჩევთან და რუსეთის სხვა გამოჩენილ რევოლუციონერებთან ერთად, შეტანილი იყო ქართველი „ღოღობერიძე“.

რომელ ღოღობერიძეზეა აქ ლაპარაკი?

60-იან წლებში პეტერბურგში ოთხი სტუდენტი ღოღობერიძე იმყოფებოდა: სამი მათგანი — ნიკოლოზი, დავითი და სიმონი (იგივე სოსო) ძმები იყვნენ, ხოლო მეოთხე ბესარიონი — მათი ბიძაშვილი. ამათგან, რომელ ღოღობერიძეს ხვდა წილად პატივი მოხვედრილიყო რუსეთის გამოჩენილ რევოლუციონერთა სიაში?

შეიძლება სრულიად გარკვევით ითქვას, რომ ხსენებულ სიაში არ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ნიკოლოზი, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ის ჯერ კიდევ 1861 წლის ბოლოს გამოემგზავრა საქართველოში და ზემოხსენებული სიის შედგენის დროს პეტერბურგში აღარ იმყოფებოდა; ხსენებულ სიაში არ შეიძლებოდა მოხვედრილიყო არც სიმონი, რადგან მან პეტერბურგში ცოტა ხანს დაჰყო და რევოლუციურ მოძრაობაში რაიმე თვალსაჩინო მონაწილეობა არ მიუღია (ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი პირადი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ 1862 წლის 8 აპრილს სიმონი სასწავლებლად უკვე მოსკოვში იყო გადასული); მაშასადამე, დაგვრჩა დავითი და ბესარიონი. ისინი ორივენი აქტიური რევოლუციონერები იყვნენ, მაგრამ 1862 წლის გაზაფხულისათვის დავითი, რომელიც ბესარიონზე ბევრად უმცროსი იყო და ის-ის იყო იწყებდა რევოლუციურ მოღვაწეობას ჟანდარმთა თვალში ვერ ჩაითვლებოდა „საშიშ რევოლუ-

ციონერად". მაშასადამე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზემოთ ხსენებულ სიაში მოხსენებული „ღოღობერიძე" ესაა ბესარიონ ლევანის ძე ღოღობერიძე, რომელიც ნამდვილად იყო იმ ხანებში პეტერბურგში მცხოვრებ, ქართველთა შორის ყველაზე გამოჩენილი რევოლუციონერი და, მაშასადამე, ჟანდარმებს სრული საფუძველი ჰქონდათ ჩაეთვალათ იგი ჩერნიშევსკის უახლოეს თანამებრძოლად.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ ხსენებულ სიაში „ღოღობერიძე" მოხსენებულია სტუდენტთა მოძრაობის ცნობილ მონაწილეებთან ნიკოლოზ უტინთან და ევგენი პეჩატკინთან ერთად, რომლებიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბესარიონის უახლოესი ამხანაგები და თანამებრძოლები იყვნენ. ამ სამი მეგობრის გვარებს სიაში გვერდზე მიწერილი აქვს ასეთი განმარტება: „აქაური უნივერსიტეტის ,ყოფილი სტუდენტები", იქვე არის ჩამოყალიბებული მათი (სამივესი ერთად) „ბრალდება" შემდეგი ფორმულირებით:

„მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა არეულობაში, მოახდინეს დემონსტრაცია პროფესორ კოსტომაროვის ლექციაზე, იმ-ყოფებიან დანაშაულებრივ კავშირში ჩერნიშევსკისთან და დიდი ეჭვი გვაქვს, რომ მათვე დაბეჭდეს მოწოდება პავლოვის სასარგებლოდ და აგრეთვე გაავრცელეს სხვა მოწოდებებიც".[1]

ეს მეტისმეტად საინტერესო ცნობაა. აქ მოკლედ არის გადმოცემული საქმიანობა პეტერბურგის სტუდენტთა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური რევოლუციური ჯგუფისა, რომელსაც მესამე განყოფილებაში „უტინის პარტია" შეარქვეს. სტუდენტთა ამ ჯგუფის მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობები მოიპოვება როგორც მესამე განყოფილების არქივში, ისე მემუარულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ლ. პანტელეევის მოგონებებში.

გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარების შემდეგ, მიუხედავად ასობით სტუდენტის დაპატიმრებისა და ბევრი მათგანის მკაცრად დასჯისა, რევოლუციური საქმიანობა სტუდენტთა შორის შეუნელებლივ გრძელდებოდა. ციხიდან გამოსვლისთანავე (1861 წლის დეკემბერში) სტუდენტებმა აქტიური მუშაობა გააჩაღეს. მათ ყველაზე გამოჩენილ სტუდენტებისაგან შექმნეს კომიტეტი, რომლის

---

[1] ЦГИАМ, Ф. 109, 1 экс., д. 230, ч. 176, л. 49, 1862 г.

ოფიციალური მიზანი უნივერსიტეტიდან გარიცხვის გამო გაჭირვებაში ჩავარდნილი სტუდენტებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა იყო, მაგრამ სინამდვილეში კომიტეტი ამ ამოცანით არ კმაყოფილდებოდა და სათავეში ედგა რევოლუციური სტუდენტობის მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობას. ამ კომიტეტის შემადგენლობის შესახებ ზუსტ ცნობას გვაწვდის ლ. პანტელეევი. ის ამბობს:

„6 დეკემბერს ყველა სტუდენტი გამოუშვეს (დაახლოებით 300 კაცი, პეტრე-პავლეს ციხიდან და კრონშტადტიდან). მაშინვე ე. ი. ანდრეევსკის[1] ირგვლივ თავი მოიყარა რამდენიმე სტუდენტმა, რომლებიც სტუდენტთა მღელვარების დროს ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ, და ჩამოყალიბდა თავისებური კომიტეტი: მის შემადგენლობაში შევდიოდით: ნ. უტინი, ბ. ღოღობერიძე, ა. გერდი, პ. ფონდერფლიტი, ე. პეჩატკინი, ს. ლამანსკი, პ. გაიდებუროვი, პ. სპასკი, მორავსკი და მე".[2]

სწორედ ამ კომიტეტში ჩაისახა იდეა საჯარო ლექციების კითხვით თითქმის მთელი საუნივერსიტეტო კურსის აღდგენისა, რომელსაც იმ დროს ჯერ კიდევ დახურული უნივერსიტეტის მაგიერობა უნდა გაეწია. ამ საჯარო ლექციებს კითხულობდნენ პეტერბურგის საუკეთესო მეცნიერული ძალები. მალე ლექციები ძალიან პოპულარული გახდნენ. მათ ესწრებოდნენ არა მარტო სტუდენტები, არამედ ასობით გარეშე პირებიც და ამრიგად, იქმნებოდა პირობები მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გასაჩაღებლად. სტუდენტებმა და მოწინავე პროფესორებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ეს პირობები და ქალაქის თვითმართველობის დარბაზი. სადაც ხსენებული ლექციები ტარდებოდა, რევოლუციური აგიტაციის ტრიბუნად გადააქციეს. შეშფოთებული მეფის მთავრობა და მისი აგენტები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს სტუდენტთა მოძრაობას. ჟანდარმთა შეფი, ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ მოხსენებაში მეფეს მოახსენებდა, საჯარო ლექციების მოწყობის ნებართვა რომ გავეცით, შეცდომა მოგვივიდაო; ლექციების მოწყობა-ჩატარების საქმე სტუდენტებმა ჩაიგდეს ხელში და მათ ზოგიერთი პროფესორიც ეხმარებაო. ეს უკანასკნელნი ხშირად აშკარად ქადაგებენ მთავრობის საწინააღმდეგო აზრებსო. „ამგვარი მსჯელობა, — არწმუნებ-

---

[1] ივანე ანდრეევსკი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესორი.

[2] А. Ф. Пантелеев. Воспоминания, 1958 г., стр. 259

პეტერბურგის სტუდენტთა კომიტეტი, რომელშიც ქართველ სტუდენტთაგან შედიოდა ბ. ლ. ლოლობერიძე (ზგან მარცხნიდან მეორე). 60-იანი წლების დასაწყისის ფოტო.

და მთავარი ჟანდარმი მეფეს, — მრავალრიცხოვანი მსმენელების წინაშე ყოვლად უადგილოა, ამგვარი მსჯელობა საშიშია და მას არ შეიძლება სხვა რამ ეწოდოს, თუ არა დემაგოგების რევოლუციური პროპაგანდა"[1].

საინტერესოა ასეთი დეტალი: ჟანდარმთა შეფის მოხსენებაში აქ ციტირებული ადგილისათვის მეფეს ხაზი გაუსვამს და გვერდზე მიუწერია: „საუბედუროდ, სავსებით მართალია!"

ასე მომწიფდა მთავრობის სფეროებში აზრი მკაცრი რეპრესიების აუცილებლობისა არა მარტო რევოლუციურად განწყობილ სტუდენტების წინააღმდეგ, არამედ მათი თანამგრძნობი პროფესორების წინააღმდეგაც. პირველი მსხვერპლი ამ რეპრესიებისა პროფესორი პავლოვი აღმოჩნდა.

სტუდენტობის ერთ-ერთი საყვარელი პროფესორი ისტორიკოსი პლატონ ვასილის ძე პავლოვი 1862 წლის 5 მარტს მეფის მთავრობამ დააპატიმრა და მეორე დღესვე გაუსამართლებლად გადაასახლა შორეულ ვეტლუგაში. რა იყო ამის მიზეზი?

მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო:

„ლიტერატურულ საღამოზე, ამ თვის 2 რიცხვში... პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა სტატსკი სოვეტნიკმა (სამოქალაქო მრჩეველმა) პავლოვმა წაიკითხა თავისი სტატია „რუსეთის ათასი წლის შესახებ". ამ სტატიის კითხვის დროს ბატონმა პავლოვმა თავს ნება მისცა ისეთი გამოთქმები და შეძახილები ეხმარა, რომლებიც არ ყოფილა ცენზურისაგან გასინჯულ მის სტატიაში და რომლებიც ხელს უწყობენ მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილების გამოწვევას. ამის გამო სტატსკი სოვეტნიკს პლატონ პავლოვს ეკრძალება საჯარო ლექციების კითხვა და გაცემულია განკარგულება მისი გადასახლების შესახებ შორეულ სამაზრო ქალაქში საცხოვრებლად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ".[2]

ამ ამბავს უფრო დაწვრილებით გადმოგვცემენ თავიანთ მოგონებებში ნ. ნიკოლაძე და ლ. პანტელეევი, რომლებიც ესწრებოდნენ იმ ლიტერატურულ საღამოს, სადაც პავლოვმა ლექცია წაიკითხა.[3]

---

[1] ЦГИАМ. Ф. III О. 1 экс., д. 230, ч. 1, л. 25.

[2] იხ. М. Лемке, «Очерки освободительного движения шестидесятых годов», 1908 г. стр. 12-13.

[3] იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ: 126—128; Л. Ф. Пантелеев, Воспоминания. стр. 227-229.

მათი მოგონებებიდან ჩანს, რომ პავლოვს არ გამოუთქვამს რაიმე განსაკუთრებული, მთავრობის აშკარად საწინააღმდეგო აზრი, მაგრამ მის მიერ გადაკვრით ნათქვამმა სიტყვებმაც კი, რომლებშიც, ნ. ნიკოლაძის მოწმობით, იმდროინდელი „წყობილებისა და დაწესებულებათა გადახალისების“ იმედი იყო გამოთქმული, დამსწრეთა არაჩვეულებრივი აღტკინება გამოიწვია. პავლოვი მრავალჯერ გამოიწვიეს სცენაზე; მქუხარე ტაშისაგან უზარმაზარი დარბაზი გრგვინავდა და ზანზარებდაო, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე.

ეს იყო პროფესორ პავლოვის მთელი „დანაშაული“, რასაც მისი გადასახლება მოჰყვა. გამოჩენილი მეცნიერისადმი ასეთმა მკაცრმა და უსამართლო მოპყრობამ აღაშფოთა სტუდენტები და მათი კომიტეტი ენერგიულად გამოესარჩლა პავლოვს.

სტუდენტთა კომიტეტმა დაადგინა: პროტესტის ნიშნად შეეწყვიტათ საჯარო ლექციების კითხვა. თავდაპირველად ამ დადგენილებას შეუერთდნენ პროფესორებიც, მაგრამ შემდეგში მათმა უმრავლესობამ, ცნობილ პროფესორ კოსტომაროვის მეთაურობით, შეიცვალა პოზიცია და მოითხოვა ამ დადგენილების შეცვლა.

„ისინი ამტკიცებდნენ, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე, — რომ კურსების დახურვა — ეს სწორედ მთავრობისათვის იქნებოდა ხელსაყრელი, რომ ეს ზიანს მოუტანდა მხოლოდ სტუდენტობას, რომელიც დარჩებოდა დაქსაქსული, უხელმძღვანელოდ; ხოლო უმთავრესი კი ისაა, რომ სტუდენტობა მოკლებული იქნებოდა საზოგადოებასთან შეხვედრისა და მასში პროპაგანდის გაწევის საშუალებას“.[1]

ემყარებოდნენ რა ასეთ მოსაზრებებს, პროფესორები ხელახლა შეიკრიბენ დადგენილებების გადასასინჯად ა. ვ. სოვეტოვის ბინაზე. თავიანთ კრებაზე მათ მიიწვიეს აგრეთვე ბესარიონ ღოღობერიძე, როგორც სტუდენტთა კომიტეტის წევრი.

სტუდენტთა კომიტეტის წევრები არ მოელოდნენ, რომ მათი დადგენილების წინააღმდეგ მათივე თანამგრძნობი პროფესორები წავიდოდნენ, და როცა ბ. ღოღობერიძემ მათ ამის შესახებ აცნობათ, კომიტეტის წევრთა აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა. აი როგორ გადმოგვცემს ამ მომენტს ლ. პანტელეევი:

„ღამის თერთმეტ საათს უკვე გადაცილებული იყო, რომ შემო-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები,, ტ. I, გვ. 128.

დის ღოლობერიძე. „კომიტეტში მოვდიოდი, — ამბობს ის, — მაგრამ შემთხვევით შევხვდი სოვეტოვს; მან მითხრა, რომ მასთან შედგება პროფესორების კრება, და დაჟინებით მთხოვა მეც დავსწრებოდი კრებას იმისათვის, რომ შემდეგ გადმომეცა ჩვენი კომიტეტისათვის, რასაც პროფესორები დაადგენდნენ. მე დავეთანხმე, და იცით რა, პროფესორებმა უარი თქვეს მიღებულ გადაწყვეტილებაზე და დაადგინეს, რომ განაგრძობენ ლექციების კითხვას; მათ იკისრეს, რომ ხვალ კოსტომაროვის ლექციის დაწყებამდე ან თვითონ გამოცხადდებიან ქალაქის თვითმართველობაში, ან თვითეული მათგანი ჩვენი კომიტეტის სახელზე გამოგზავნის წერილობით ცნობას იმის შესახებ, რომ მისი ლექციები გაგრძელდება“. ღოლობერიძის მიერ მოტანილმა ამბავმა ენით აუწერელი სენსაცია გამოიწვია. ნ. უტინმა, რომელმაც ვერ გაარკვია საქმის ვითარება, შეუტია ღოლობერიძეს: „როგორ შეგეძლოთ თქვენ ასეთ რამეზე დასთანხმებულიყავით? თქვენ არ გქონდათ არავითარი უფლება“. — „მე არაფერზედაც არ დავთანხმებულვარ, მხოლოდ ვიჯექი და ვუსმენდი“.

ბუნებრივად ისმებოდა კითხვა: რაღა უნდა გვექნა?“[1]

ეს ამბავი მოხდა 1862 წლის 7 მარტს. მეორე დღეს დანიშნული იყო პროფ. კოსტომაროვის საჯარო ლექცია. სტუდენტთა კომიტეტმა გადაწყვიტა მაინც თავისი გაეტანა და აი, 8 მარტს საღამოს კოსტომაროვის ლექციაზე მან მოაწყო ისეთი მთავრობის საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაცია, რომელმაც მთელ რუსეთში გაიხმაურა. მიუხედავად .იმისა, რომ სტუდენტებს ძალიან უყვარდათ კოსტომაროვი, მის ლექციას ისინი სტვენით და ერთსულოვანი საპროტესტო ლოზუნგებით შეხვდნენ: „ძირს“; „არ გვინდა“; „ჩვენ გვინდა პავლოვი“. ლექცია ჩაიშალა.

ამრიგად, სტუდენტთა კომიტეტმა მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე სამარცხვინო ბოძზე გააკრა მთავრობის რეაქციული პოლიტიკა. ჟანდარმთა შეფი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გაძლიერდა „მთავრობის საწინააღმდეგო პარტიის გამბედაობა. ამ პარტიის მიერ პავლოვი ისეა საზოგადოების წინაშე გამოყვანილი, როგორც სიმართლისათვის უდანაშაულოდ წამებული“[2].

კოსტომაროვის ლექციაზე მომხდარი ამბის შემდეგ მთავრობამ

---

[1] Л. Пантелеев, Воспоминания, стр. 263.

[2] ЦГИАМ, ф. III О, I экс., д. 230, ч. 1, 1862 г.

აკრძალა საჯარო ლექციების კითხვა. მალე დაიშალა სტუდენტთა ზემოთ ხსენებული კომიტეტიც, ხოლო სტუდენტთა კრებაზე არჩეულმა ახალმა კომიტეტმა რომელშიც ნ. უტინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები აღარ შედიოდნენ, რეაქციის გაძლიერების გამო, შედარებით ზომიერი მოქმედების კურსი აიღო[1].

ამის შემდეგ ნ. უტინი, რომელიც მაშინ რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელთაგანი იყო,[2] სათავეში უდგება თანამებრძოლთა მცირე ჯგუფს და აჩაღებს უაღრესად აქტიურ არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობას. სწორედ ეს ჯგუფი, რომელშიც თვალსაჩინო როლს თამაშობდა ბ. ღოღობერიძეც და რომელიც ჟანდარმერიამ „უტინის პარტიის" სახელით მონათლა, დაუკავშირდა არალეგალურ რევოლუციურ საზოგადოება „ზემლია ი ვოლიას" და ენერგიულად ჩაება მის საქმიანობაში.

რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ბ. კოზმინმა 1955 წელს „ლიტერატურნოე-ნასლედსტვოში" გამოაქვეყნა საინტერესო მასალები და გამოკვლევა ნ. უტინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, საიდანაც კარგად ჩანს როგორც თვით უტინის, ისე მისი უახლოესი თანამებრძოლების და მათ შორის ნ. ღოღობერიძის ენერგიული რევოლუციური საქმიანობა საერთოდ და კერძოდ კი მათი კავშირი „ზემლია ი ვოლიას" ხელმძღვანელებთან, მათი შესვლა „ზემლია ი ვოლიას" შემადგენლობაში და იქ გაჩაღებული აქტიური რევოლუციური მუშაობა. ბ. კოზმინი ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა ლ. პანტელეევის ცნობებს, რომელსაც ამ საკითხზე ფრიად საინტერესო მასალები მოიპოვება თავის „მოგონებებში".

მ. კოზმინის მიერ თავმოყრილ მასალებს, ლ. პანტელეევის მოგონებებს და სხვა აქამდე ცნობილ წყაროებს ავსებენ ჩვენს მიერ არქივში გამოვლინებული ახალი მასალები და ამიტ შედეგად ჩვენ საშუალება გვეძლევა მკითხველს წარმოვუდგინოთ ცოტად თუ ბევრად მთლიანი სურათი რუსეთის იმ რევოლუციური ახალგაზრდობის თავდადებული მოღვაწეობისა, რომელთანაც უდავოდ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქართველი ხალხის შვილებიც.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევეცდებით დავადგინოთ, ვინ და ვინ

---

[1] Л. Пантелеев, Воспоминания, стр. 269.

[2] «Литературное наследство», т. 62, зз. 614.

შედიოდნენ ე. წ. „უტინის პარტიაში“. მასალების სიმცირის გამო, რა თქმა უნდა, ძნელია უტინის ყველა თანამებრძოლის დადგენა, მაგრამ ზოგიერთი მათგანის შესახებ უტყუარი საბუთები მოიპოვება. უდავოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, რომ უტინის უახლოეს თანამებრძოლთა ჯგუფში შედიოდნენ ევგენი პეჩატკინი და ბეს. ღოლობერიძე. ამას ამტკიცებს, ჯერ ერთი ის ფაქტი, რომ ისინი შედიოდნენ სტუდენტთა რევოლუციურ კომიტეტში ნ. უტინთან ერთად; მეორე ის, რომ იმავე უტინთან ერთად არიან ისინი მოთავსებული მესამე განყოფილების მიერ შედგენილ გასაჩხრეკთა სიაში და ბრალდებაც სამივეს ზუსტად ერთნაირი აქვს წაყენებული; დაბოლოს, ამას ამტკიცებს პეჩატკინის მიმართ — პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერის ერთ-ერთი აგენტის ცნობა[1], ხოლო ბ. ღოლობერიძის მიმართ — რევოლუციონერი ქალის ბარბარე ალექსანდროვსკაიას ჩვენება[2]. ამათ გარდა „უტინის პარტიას“ ეკუთვნოდნენ აგრეთვე ლ. ფ. პანტელეევი, პ. ლ. სპასკი და სხვები.

უტინის ჯგუფის ერთ-ერთი პირველი არალეგალური ნაბიჯი იყო პროფესორ პავლოვის საქმის გამო პროკლამაციის შედგენა და გავრცელება. ეს პროკლამაცია პეტერბურგში გამოჩნდა 1862 წ. 15 მარტს. იგი შეიცავდა მთავრობის წინააღმდეგ პროტესტს პროფესორ პავლოვის უკანონოდ გადასახლების გამო[3].

ამ პროკლამაციის გამოსვლის მეორე დღესვე ჟანდარმერიის აგენტი თავის უფროსებს მოახსენებდა: „თითქმის არ არის საეჭვო, რომ მოწოდება პავლოვის შესახებ, რომელიც გუშინ გამოჩნდა, შედგენილია უტინის პარტიის მიერ (...) უტინის პარტია შესდგება მჭიდროდ დარაზმული საზოგადოებისაგან, რომლის მოქმედება საიდუმლოდ რჩება ყველასათვის, ვინც იმ საზოგადოებას არ ეკუთვნის. ცხადია, რომ ეს საზოგადოება ყველაზე მეტად იცავს პავლოვს. ამასთანავე ერთად ხსენებული პარტია კედლად დგას ჩერნიშევსკის დასაცავად“.[4]

ამ ცნობიდან აშკარაა, რომ მესამე განყოფილების აგენტურა ძალიან ოპერატიულად მოქმედებდა და საკმაოდ კარგადაც ერკვეო-

---

[1] «Литературное наследство», т. 62, стр. 613.

[2] იქვე.

[3] М. Лемке, Очерки освободительного движения «шестидесятых годов», 1906 г. ,стр. 13.

[4] «Литературное наследство», т. 62, стр. 611-612.

და რევოლუციონერთა მოქმედებაში. აგენტები იმ ხანებში დღე და ღამე უთვალთვალებდნენ ჩერნიშევსკის ბინას და აღრიცხვაზე აჰყავდათ ყველა, ვინც კი ჩერნიშევსკისთან დადიოდა. მათი ცნობებიდან ჩანს, რომ 1861 წლის ბოლოდან მოკიდებული ჩერნიშევსკის დაპატიმრებამდე მისი ყველაზე ხშირი სტუმრები სწორედ ნ. უტინი და მისი თანამებრძოლები იყვნენ.[1] ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტთა მოძრაობას, უურადღებით ადევნებდა თვალს მათ ყოველ ნაბიჯს, თანაუგრძნობდა, ეხმარებოდა და ხელმძღვანელობდა მათ. როგორც ლ. პანტელეევი გადმოგვცემს, ჩერნიშევსკი თვითონაც მისულა უტინის ბინაზე, როცა იქ სტუდენტთა კომიტეტის სხდომა ყოფილა.[2]

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე მესამე განყოფილების ერთი ცნობა, საიდანაც ჩანს ბ. ღოლობერიძის სიახლოვე ჩერნიშევსკისთან და აგრეთვე მისი უშუალო მონაწილეობა პროფ. პავლოვის გადასახლების გამო „უტინის პარტიის“ მიერ შედგენილ პროკლამაციაში. ამ ცნობაში ნათქვამია: „ღოლობერიძე ბესარიონი უნივერსიტეტის არეულობაში მონაწილეობისათვის გარიცხულია სტუდენტთა შემადგენლობიდან. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ის ჩერნიშევსკისთან ცხოვრობდა. უტინისა და პეჩატკინის მსგავსად, ღოლობერიძეზე ეპვია მიტანილი, რომ მან შეადგინა მოწოდება პავლოვის სასარგებლოდ“.[3]

ჩერნიშევსკის ბინაზე ბ. ღოლობერიძის ცხოვრების ფაქტმა არ უნდა გაგვაკვირვოს: როგორც ჩანს, ჩერნიშევსკისთან დაახლოებული პირების ცხოვრება მის ბინაზე იშვიათი მოვლენა არ ყოფილა. მაგალითად, ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ერთხანს ისიც ცხოვრობდა პავლოვსკში ჩერნიშევსკის ბინაზე მეზობინში.[4]

„უტინის პარტიის“ აქტიურმა რევოლუციურმა მოქმედებამ და პოპულარობამ იმთავითვე მიიქცია „ზემლია ი ვოლიას“ ხელმძღვანელთა უურადღება და უკვე 1862 წლის მარტში მათ (ცენტრალური კომიტეტის წევრის ა. ა. სლეპცოვის საშუალებით) მოლაპარაკება გა-

---

[1] «Литературное наследство», т. 62, стр. 612.

[2] Л. Пантелеев, Воспоминания, стр. 272.

[3] Процесс Н. Г. Чернышевского. Архивные материалы. Саратов. ОГИЗ. 1939 г., стр. 33.

[4] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 138.

მართეს ნ. უტინთან, რომელმაც უყოყმანოდ მიიღო წინადადება ხსენებულ საიდუმლო საზოგადოებაში შესვლის შესახებ. უტინმა ბუნებრივია, საიდუმლო საზოგადოებაში შეიყვანა თავისი უახლოესი თანამებრძოლები, რომლებიც თავის მხრით ცდილობდნენ ახალი წევრები მიეზიდათ. მარტო ლ. პანტელეევმა ოცამდე ახალი წევრი მიიზიდა „ზემლია ი ვოლიას" შემადგენლობაში.[1] უტინის ჯგუფმა უაღრესად თვალსაჩინო, წამყვანი როლი ითამაშა „ზემლია ი ვოლიას" საქმიანობაში.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ფაქტები: ბესარიონ ღოღობერიძე იყო პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის დიდი პოლიტიკური გამოსვლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი; სტუდენტთა მღელვარების ჩაქრობის შემდეგ საპატიმროდან გამოსვლისთანავე ის შევიდა სტუდენტთა კომიტეტში და ენერგიულ მონაწილეობას იღებდა კომიტეტის მთელ საქმიანობაში, ხოლო ამ კომიტეტის დაშლის შემდეგ მჭიდროდ დაუკავშირდა ნ. უტინს, ე. პეჩატკინს, ლ. პანტელეევს და სხვ., და მათთან ერთად შეადგინა ე. წ. „უტინის პარტია", რომლის წევრებს უახლოესი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ ჩერნიშევსკისთან; უდავოდ დადგენილია ისიც, რომ ნ. უტინი და მისი „პარტია" 1862 წლის გაზაფხულზე დაუკავშირდნენ „ზემლია ი ვოლიას", შევიდნენ მის შემადგენლობაში და გადაიქცნენ მის უაღრესად აქტიურ და ენერგიულ მოღვაწეებად.

მაგრამ არსებობს, თუ არა პირდაპირი საბუთი იმისა, რომ პირადად ბ. ღოღობერიძე შედიოდა „ზემლია ი ვოლიას" შემადგენლობაში?

ასეთი საბუთი კიდევაც რომ არ არსებობდეს, ჩვენ მაინც უფლება გვექნებოდა ზემოთ ხსენებული, უკვე დადგენილი ფაქტების საფუძველზე გვეგულისხმა ხსენებულ საიდუმლო საზოგადოებაში ბ. ღოღობერიძის უდავო მონაწილეობა, მაგრამ ამჟამად ჩვენ ასეთი მტკიცებისათვის პირდაპირი საბუთიც მოგვეპოვება.

ბ. კოზმინი, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ ნაშრომში დაწვრილებით იხილავს „ზემლია ი ვოლიას" შემადგენლობაში ნ. უტინის შესვლისა და მოღვაწეობის საკითხს, იხსენიებს ცნობილი რევოლუციონერი ქალის ბ. ალექსანდროვსკაიას ერთ ფრიად საინტერესო ცნობას, რომელსაც ჩვენი საკითხის გასარკვევად გა-

---

[1] Л. Пантелеев, Воспоминания, стр. 315.

დამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ქვემოთ მოგვყავს როგორც ეს ცნობა, ისე მასთან დაკავშირებით ბ. კოზმინის მსჯელობა:

„1862 წლის მარტში „ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ა. ა. სლეპცოვმა წინადადება მისცა უტინს შესულიყო საიდუმლო ორგანიზაციაში. უტინი, რომელიც, პანტელეევის ცნობით, ადრეც ლაპარაკობდა მჭიდროდ დარაზმული რევოლუციური ორგანიზაციის აუცილებლობაზე, ხალისით დასთანხმდა სლეპცოვს...

პირველ სერიოზულ საქმედ, რომელიც წილად ხვდა უტინს, როგორც ჩანს, პ. გ. ზაიჩნევსკის მოსკოვის წრესთან მოლაპარაკება იყო. სამწუხაროდ, ამ მოლაპარაკების შესახებ ჩვენ მარტო ბ. ალექსანდროვსკაიას ცნობა მოგვეპოვება. მისი სიტყვით, 1862 წ. მარტის შუა რიცხვებში პეტერბურგში ჩამოვიდნენ ზაიჩნევსკის წრის წევრები ა. პ. პოკროვსკი, ი. ვ. პანიატოვსკი, დ. პ. ევრეინოვი და რუბინსკი. მათი თხოვნით, ალექსანდროვსკაიამ ისინი გააცნო უტინს, რომელიც თავისთან მიიწვია. „ჩემდა საკვირველად, — გადმოგვცემს ალექსანდროვსკაია, — (უტინი) მარტო კი არ მოვიდა, არამედ პანტელეევთან და ღოღობერიძესთან ერთად, — ამ უკანასკნელს მე არც კი ვიცნობდი. მათ ჩემი მოცილება უნდოდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემამდე მაინც აღწევდა ზოგიერთი სიტყვა, საიდანაც მე შემეძლო დამესკვნა, რომ ისინი ერთმანეთის წინაშე რიღაცით თავს იქებდნენ, ბოლოს გადაკოცნეს ერთმანეთი და ყველანი ერთდროულად დაიშალნენ. შემდეგში მე გავიგე, რომ ისინი იმ ღამეს სადღაც კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, თანაც კიდევ შეიმატეს რამდენიმე პირი, რომელთაგან ვიცი მხოლოდ „სოვრემენიკის“ თანამშრომლის სლეპცოვის გვარი, — და იქ შეაერთეს ორივე საზოგადოება ერთად...“

იმაზედაც რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ალექსანდროვსკაიას აშკარად არევია ა. ა. სლეპცოვი — „სოვრემენიკის“ თანამშრომელ ვ. ა. სლეპცოვში, მის ჩვენებაში კიდევ ერთი უფრო მნიშვნელოვანი შეცდომაც მოიპოვება: გაერთიანება, რომელზედაც ალექსანდროვსკაია ლაპარაკობს, არ მომხდარა: ზაიჩნევსკის წრე „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში არ შესულა“.[1]

ამ მრავალმხრივ საინტერესო ცნობიდან ნათელი ხდება, რომ ნ. უტინს პირველსავე სერიოზულ საქმეში, რომელსაც ის „ზემლია

[1] «Литературное наследство», т. 62, стр. 614.

ი ვოლიას“ დავალებით აკეთებდა და რომელშიც თვით ამ საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ა. ა. სლეპცოვიც მონაწილეობდა, უშუალოდ და აქტიურად ჩაუბამს თავისი უახლოესი თანამებრძოლები ლ. პანტელეევი და ბ. ღოღობერიძე. ამ ფაქტის შემდეგ არა გვგონია შეიძლებოდეს ორი აზრის არსებობა იმის შესახებ, შედიოდა თუ არა ბ. ღოღობერიძე „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში. ვფიქრობთ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ბ. ღოღობერიძე გვერდში ედგა ნ. უტინს ამ უკანასკნელის „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში შესვლის შემდეგაც და ის არა მარტო შედიოდა „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში, როგორც მისი რიგითი წევრი, არამედ ნ. უტინთან ერთად ასრულებდა ფრიად პასუხსაგებ დავალებებს და, მაშასადამე, ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ხსენებულ ორგანიზაციაში. საფიქრებელია, რომ ნ. ღოღობერიძე იყო „ზემლია ი ვოლიას“ პეტერბურგის კომიტეტის წევრი. ყოველ შემთხვევაში, უდავოდ მიგვაჩნია, რომ სწორედ ბ. ღოღობერიძე იყო ერთი იმ კავკასიელთაგანი, რომელიც „ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალურ (თუ პეტერბურგის) კომიტეტის სხდომაზე მოითხოვდა აჯანყებული პოლონელებისათვის აქტიურ მხარდაჭერას და მზად იყო მონაწილეობა მიეღო მატარებელზე თავდასხმაში, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს არა ერთი და ორი ახალი საარქივო საბუთი,[1] საიდანაც ჩანს, რომ 1862—1863 წლების განმავლობაში ბ. ღოღობერიძე უაღრესად აქტიურ და ენერგიულ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა.

პოლიცია და ჟანდარმები მის ყოველ ნაბიჯს აღრიცხავდნენ. მესამე განყოფილების აგენტის მოხსენებებიდან ნათლად ჩანს, რომ ბ. ღოღობერიძე ხსენებულ პერიოდში რევოლუციურ მუშაობას ეწევა არა განცალკევებულად, არამედ იმავე ნ. უტინის ჯგუფში, ე. ი. ახლა უკვე „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში. ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან გარკვევით ჩანს აგრეთვე, რომ ბ. ღოღობერიძესთან ერთად არალეგალურ მუშაობას ეწევა დავით ღოღობერიძე, რომელსაც მესამე განყოფილების აგენტები „უმცროს ღო-

---

[1] ეს და აგრეთვე სხვა ახალი საარქივო საბუთები, რომლებიც რუსეთში მყოფი ქართველი ახალგაზრდობის რევოლუციური მოღვაწეობას შეეხებიან, ცალკე წიგნად იქნება გამოცემული. პ. რ.

ღობერიძედ“ იხსენიებენ.. აი ერთ-ერთი მეტისმეტად საინტერესო საბუთი, რომელიც ჩვენ მესამე განყოფილების საქმეებში აღმოვაჩინეთ და რომელიც ახალ შუქს ფენს ორივე ღოღობერიძის არალეგალურ საქმიანობას:

„ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, კვირას[1], კერძო აგარაკზე პეტერგოფში უ ტ ი ნ ი ს პარტიამ ნამდვილად გამართა სადილი, რომელზედაც ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე მ (სტუდენტი (?) რომელიც ჩერნიშევსკისთან დადის და თანაც პავლოვსკში ცხოვრობს) წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეიცავდა საყვედურებს ლიბერალური პარტიის მიმართ, რომ მის წევრთა შორის ნაკლებია აქტიურობა და სრულებით არ არის ერთსულოვნება და გადამწყვეტი ღონისძიებები. შემდეგ მან თქვა, რომ საიდუმლო კომიტეტს განზრახული აქვს შეტევითი მოქმედება აწარმოოს. ეს სიტყვა, როგორც ამბობენ, სტუდენტთა ხელიდან-ხელში გადადის. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე (უმცროსს) ზემოხსენებულ სადილზე მაგარი შეტაკება მოუხდა ერთ-ერთ მოსადილესთან. როცა მას სიტყვის თქმა უნდოდა, ამ დროს ყოფილმა სტუდენტმა ლ ე ბ ე დ ე ვ მ ა დაიყვირა: „ნახავთ რაც მოგივათ, თქვენ ხომ არისტოკრატი ხართ!...“ საქმე დუელამდე მივიდა, მაგრამ როგორღაც მოახერხეს შერიგება“.[2]

აქედან ნათელია, ჯერ ერთი, ის რომ ბეს. ღოღობერიძე ამ დროს (1862 წ. სექტემბერი) კვლავ „უტინის პარტიის“ ერთ-ერთი აქტიური წევრია და ამ პერიოდშიც აქტიური რევოლუციური მოქმედების, — „შემტევი“ პოლიტიკის მომხრეა; შემდეგ ამ საბუთიდან ნათელია, რომ რევოლუციურად განწყობილ სტუდენტთა შორის ბეს. ღოღობერიძე იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ მისი სიტყვა გადაუწერიათ და სტუდენტებს შორის ხელიდან-ხელში გადასულა; დაბოლოს, საბუთიდან აშკარაა, რომ ბეს. ღოღობერიძეს „უტინის პარტიის“ და, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ „ზემლია ი ვოლიას“ საქმიანობაში ჩაუბამს თავისი ქართველი თანამოაზრენი, კერძოდ დავით ღოღობერიძე, რომელიც ამ დროისთვის იმდენად გაზრდილა იდეურად, რომ ცდილობს საჯაროდ პოლიტიკური სიტყვა წარმოთქვას.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ზემოთ ხსენებულ საბუთში განსაკუთ-

---

[1] ლაპარაკია 1862 წლის სექტემბრის ერთ-ერთ კვირა დღეზე.

[2] ЦГИАМ, ф. 109, 1 экс. д. 277, ч. 2, л. 257, 258.

რებით საყურადღებოა სიტყვები: „მან სთქვა, საიდუმლო კომიტეტს განზრახული აქვს შეტევითი მოქმედება აწარმოოს“. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია „ზემლია ი ვოლიას“ პეტერბურგის კომიტეტზე, მაგრამ საიდან ეცოდინებოდა ბ. ღოღობერიძეს ამ კომიტეტის განზრახვები, ან, კიდევაც რომ სცოდნოდა, რა უფლება ჰქონდა სტუდენტების წინაშე საჯაროდ ელაპარაკა საიდუმლო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ? ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასე მოქცევა მას შეეძლო მხოლოდ იმავე საიდუმლო კომიტეტის დავალებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბ. ღოღობერიძე ხსენებული კომიტეტის წევრი ან, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად ნდობით აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა ასეთი დეტალიც: ზემოხსენებულ დოკუმენტს, რომელიც 1862 წლის 18 სექტემბერსაა შედგენილი, იმავე თარიღით, ფანქრით წარწერილი აქვს ჟანდარმთა შეფის შემდეგი რეზოლუცია: „ხომ არ შეიძლება უფროს ღოღობერიძეს თავაზიანად გამოვკითხოთ მისი შეხედულებები და განზრახვანი — რამდენადაც ის კავკასიელია, ამის გაკეთება წარმატებით შეიძლება ვ. პ. ბუტკოვის დახმარებით“.

აქედან ჩანს, რომ ჟანდარმთა შეფი იმდენად დაინტერესებული ყოფილა ბ. ღოღობერიძის საქმიანობით, რომ აღარ დაკმაყოფილებულა აგენტურის მიერ მოპოვებული ცნობებით და ახლა სხვა გზით, — მაღალ თანამდებობის პირების გამოყენებით (ბუტკოვი სტატს-სეკრეტარი—სახელმწიფო მდივანი — და ე. წ. „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მმართველი იყო) და „თავაზიანი ლაპარაკით“ უცდია გაეგო ის, რისი გაგებაც აგენტების საშუალებით ვერ მოუხერხებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ჟანდარმთა შეფს ამ ხერხითაც ვერ მიუღწევია თავისი მიზნისათვის. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ბ. ღოღობერიძე 1862 წელს გადაურჩა დაპატიმრებას.

იმ ორმოცდაათი ეჭვმიტანილი რევოლუციონერიდან, რომელთა „ერთდროული და სასტიკი ჩხრეკა“ იყო განზრახული და რომელთა სია მეფეს 1862 წლის აპრილის ბოლოს წარედგინა, მთავრობამ იმავე წლის ზაფხულში თითქმის ყველანი დააპატიმრა. დაპატიმრებას გადაურჩა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, მათ შორის ნ. უტინი და ბ. ღოღობერიძეც. როგორ მოხდა ეს?

ბ. კოზმინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „თუ უტინი მაშინ დაპატიმრებას გადაურჩა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობას ჯერ

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ в г. МОСКВе

III отделение „собственной его императорского величества“ канцелярии

секретный архив

Жандармское донесение

Наблюдение за прибывшими в Ко-
нецкую Дворянинова Кутаисской
губернии Гогаберидзы Б.Р. и Варо-
мо Гогаберидзе В.Р.

Производил Захаров С.Г.

Начато 9 марта 1873 г. Окончено 26 апреля 1873 г.

На _____ листах

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ в г. МОСКВе
Фонд № 109 Опись № 1 Ед. хр. № 612

გარეკანი მესამე განყოფილების საიდუმლო არქივის საქმისა. რომელშიც ინახება ჟანდარმთა აგენტურის მიერ შეგროვილი მასალა პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ მყოფ დავით და ბესარიონ ღოღობერიძეების შესახებ. 1873 წ.

კიდევ არ ჰქონდა ხელთ მისი მამხილებელი ფორმალური საბუთები“.[1]

საფიქრებელია, რომ სწორედ ასეთივე მიზეზით გადაურჩა დაპატიმრებას ბ. ღოღობერიძეც, რომელიც ეტყობა, კარგი კონსპირატორი ყოფილა.

1862 წლის ივნისში დააპატიმრეს ნ. ჩერნიშევსკი და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის სხვა გამოჩენილი ხელმძღვანელები. გაძლიერდა რეაქცია. ყოველდღე თხელდებოდა რევოლუციონერთა რიგები. მაგრამ ბ. ღოღობერიძე მაინც შეუპოვრად განაგრძობდა არალეგალურ საქმიანობას.[2] ეს საქმიანობა მას არ შეუწყვეტია მაშინაც კი, როცა მისი უახლოესი მეგობარი ნ. უტინი იძულებული იყო საზღვარგარეთ გაქცეულიყო (1863 წ. მაისში). და მხოლოდ 1863 წლის შემოდგომაზე, როცა გამძვინვარებული რეაქციის ვითარებაში „ზემლია ი ვოლია“ იძულებული იყო არსებობა შეეწყვიტა, ბ. ღოღობერიძემ ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა ბრძოლის ველი და სამშობლოში გამოემგზავრა.

ზემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში ბესარიონს გარდა შედიოდა აგრეთვე დავით ღოღობერიძე (რომლის რევოლუციურ მოღვაწეობაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამათ გარდა „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში შედიოდნენ სხვა ქართველებიც. თუმცა ეს საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს, მაგრამ უკვე ამჟამადაც სრული საფუძვლით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ზემლია ი ვოლიას“ შემადგენლობაში ბესარიონ და დავით ღოღობერიძეებს გარდა შედიოდა აგრეთვე გრიგოლ ჯავახიშვილი.

გ. ჯავახიშვილი (გორის მაზრის სოფ. ხოვლეს მცხოვრები) პეტერბურგის უნივერსიტეტში 1860 წელს შესულა და სტუდენტთა მღელვარების დროს მეორე კურსზე ყოფილა. როგორც ნ. ნიკოლა-

[1] «Литературное наследство», т. 62, стр. 618.

[2] დამახასიათებელია ერთ-ერთი რუსი რევოლუციონერის, 1862 წლის 27 აგვისტოს დაპატიმრებულ ვასილიევის საინტერესო ჩვენება: ვასილიევი აღიარებს, რომ რევოლუციური ლიტერატურით მას ამარაგებდნენ მისი უახლოესი ამხანაგები, მათ შორის — ღოღობერიძე (იხ. М. Лемке, Политические процессы в России 1860-х г. г. М. 1923 г., стр. 663). უფრო საფიქრებელია, რომ აქ ლაპარაკი ბესარიონ ღოღობერიძეზეა, თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ ვასილიევს დავითი ჰყავდეს მხედველობაში.

ძის მოგონებებიდან ჩანს, გ. ჯავახიშვილმა სტუდენტთა მოძრაობაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო. ის დააპატიმრეს და სხვებთან ერთად 6 დეკემბრამდე იჯდა ციხეში. ნ. ნიკოლაძე გრიგოლ ჯავახიშვილს ახასიათებს, როგორ „კეთილ და უაღრესად წესიერ კაცს“.[1]

რა საფუძველი გვაქვს ჩვენ ვიფიქროთ, რომ გ. ჯავახიშვილიც იყო „ზემლია ი ვოლიას“ წევრი?

ასეთი მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძველს უპირველეს ყოვლისა გვაძლევს ის ფაქტი, რომ გ. ჯავახიშვილი დაკავშირებული ყოფილა „ზემლია ი ვოლიას“ ცენტრალური კომიტეტის წევრ პ. პუშტორსკისთან. ზემოთ ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ აკად. მ. ნეჩკინას გამოკვლევა, სადაც ნათქვამია, რომ „ანდრუშენკომ პუშტორსკისთან მისვლისას მასთან ნახა გრიგოლ ჯავახოვი (ჯავახიშვილი) — სტუდენტთა მოძრაობის მონაწილე, რომელიც ადრე პუშტორსკისთან ერთად იჯდა პეტრე-პავლოვსკის ციხეში. გ. ჯავახიშვილი ამ დროს უკვე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა“.

აქ მოხსენებული ანდრუშენკო „ზემლია ი ვოლიას“ მოსკოვის ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო და 1863 წლის მაისის პირველ რიცხვებში მოსკოვის კომიტეტის დავალებით ჩავიდა პეტერბურგში პ. პუშტორსკისთან „ზემლია ი ვოლიას“ პროგრამის ირგვლივ მოსალაპარაკებლად. სწორედ ამ დროს უნახავს მას გრიგოლ ჯავახიშვილი პ. პუშტორსკისთან; თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ გ. ჯავახიშვილს პუშტორსკისთან ნაცნობობა ჯერ კიდევ სტუდენტთა მღელვარების დროიდან ჰქონია და საპატიმროშიაც მასთან ერთად მჯდარა, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ფაქტს, რომ პუშტორსკის „ზემლია ი ვოლიას“ წევრ სხვა ქართველებთანაც ჰქონია კავშირ-ურთიერთობა (გავიხსენოთ იმავე მ. ნეჩკინას ცნობა: „პ. პუშტორსკი აღიარებს, რომ იცნობდა ღოღობერიძეს“) — ცხადი გახდება, რომ გ. ჯავახიშვილის ყოფნა მასთან სწორედ 1863 წლის მაისში არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს და რომ ეს ფაქტი მიგვითითებს გ. ჯავახიშვილის კავშირზე „ზემლია ი ვოლიასთან“.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს და ამაგრებს ის ფაქტიც, რომ გ. ჯავახიშვილს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონია ბეს. ღოღობერიძეს-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 103.

თან და ისინი ერთად გამომგზავრებულან პეტერბურგიდან 1863 წლის შემოდგომაზე.

თბილისიდან 1863 წლის 7 ოქტომბერს პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ პირად წერილში ნიკო ღოღობერიძე ატყობინებს დავით ღოღობერიძეს, „ბესარიონი და ჯავახიშვილი ჩამოვიდნენო“.[1] ცოტა გვიან, სახელდობრ 1863 წლის 11 ნოემბერს ნიკო კვლავ ატყობინებს დავითს: „ბესარიონი, ჯავახიშვილი და ა. ჩოლოყაშვილი ჩამოვიდნენ. ბესარიონს მისცეს გიმნაზიაში არითმეტიკის უმცროსი მასწავლებლობა“.[2] .

ბ. ღოღობერიძის გამომგზავრება 1863 წლის შემოდგომაზე პეტერბურგიდან სავსებით ბუნებრივი და გასაგებია: უნივერსიტეტი მას დიდი ხნის დამთავრებული ჰქონდა, ხოლო „ზემლია ი ვოლიას“ ორგანიზაციამ, რეაქციის გაძლიერების გამო, არსებობა შესწყვიტა. ამის შემდეგ მას, რა თქმა უნდა, პეტერბურგში დარჩენა აღარ შეეძლო: თვით მოვლენათა ლოგიკის ძალით ბეს. ღოღობერიძეს პეტერბურგის მღელვარე რევოლუციური ცხოვრება უნდა გაეცვალა თბილისის გიმნაზიის არითმეტიკის მასწავლებლის უწყინარ თანამდებობაზე. მაგრამ რატომ გამოემგზავრა მასთან ერთად გ. ჯავახიშვილი, რომელსაც იმ დროს უნივერსიტეტი ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა ჰქონოდა დამთავრებული? ამ კითხვას ადვილად ავხსნით, თუ გავიზიარებთ იმ საფუძვლიან აზრს, რომ ეს უკანასკნელიც „ზემლია ი ვოლიას“ წევრი იყო და მისი დაშლის შემდეგ იძულებული იყო გაცლოდა პეტერბურგის პოლიციის აგენტებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ ხსენებულ პირებს გარდა „ზემლია ი ვოლიას“ წევრთა შორის სხვა ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჯერჯერობით მათზე ძნელია კონკრეტული ფაქტებით ლაპარაკი, ამ საკითხს შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიება სჭირდება. სრულიადაც არ მიგვაჩნია გამორიცხულად აგრეთვე, რომ „ზემლია ი ვოლიას“ წევრები ყოფილიყვნენ თვით საქართველოში, კერძოდ თბილისში, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხიც არ არის შესწავლილი.

საქართველოში 1861—1863 წლებში პოლიტიკური ვითარება მეტისმეტად დაძაბული იყო. მზადდებოდა ბატონყმობის გაუქმება. ღელავდა გლეხობა. ახალი თაობის წარმომადგენლები ილია ჭავჭავა-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 109, оп. 214, д. 492.

[2] იქვე.

ძის მეთაურობით თავდადებით იბრძოდნენ როგორც მეფის მთავრობის, ისე რეაქციული ადგილობრივი თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ნ. ოგარიოვის მოწოდება — „რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავრაზმოთ კავკასიაო“, — არ შეიძლებოდა დარჩენილიყო ცარიელ ფრაზად; საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მოწინავე ადამიანები რუსი რევოლუციონერების მხარდამხარ იბრძოდნენ მშრომელი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

თავი მეორე

რეაქციისა და თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა

1. პეტერბურგის სტუდენტთა არალეგალური საქმიანობა 1862—1865 წლებში. დავით ღოღობერიძის რევოლუციური მოღვაწეობა

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის დიდი პოლიტიკური გამოსვლა მოულოდნელი და ერთბაშად მომხდარი სტიქიური მოვლენა კი არ ყოფილა, არამედ თანდათან, წლების განმავლობაში მზადდებოდა და მწიფდებოდა. ამ გამოსვლის მომზადებაში დიდი როლი ითამაშეს სტუდენტთა ისეთმა, ერთი შეხედვით, „უწყინარმა“ ორგანიზაციებმა, როგორიც იყო სტუდენტთა ბიბლიოთეკები და ურთიერთ დახმარების სალაროები, რომელთა დაარსება 1861 წლამდე მთავრობის მიერ ნებადართული იყო. ოფიციალურად ამ ორგანიზაციების დანიშნულება ის იყო, რომ ბიბლიოთეკებს ხელმოკლე სტუდენტებისათვის დახმარება გაეწია სასწავლო ლიტერატურის მიწოდებით, ხოლო სალაროებს — საჭირო შემთხვევებში მათთვის სესხის მიცემით ხელი გაემართა.

სინამდვილეში ბიბლიოთეკებიცა და სალაროებიც სტუდენტებმა რევოლუციური საქმიანობის ცენტრებად გადააქციეს. ბიბლიოთეკებში აგროვებდნენ რევოლუციური შინაარსის აკრძალულ წიგნებს, რომლებიც სტუდენტთა ხელიდან ხელში გადადიოდა, ხოლო სალაროებში მოგროვილ თანხებს არაიშვიათად ახმარდნენ ისეთ მიზნებს, რასაც მის ოფიციალურ დანიშნულებასთან საერთო არა-

ფერი ჰქონდა. სწორედ ბიბლიოთეკებისა და სალაროების საფარით იქმნებოდა სტუდენტთა პოლიტიკური წრეები, რომლებიც ოფიციალურად ბიბლიოთეკის თუ სალაროს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად იკრიბებოდნენ, სინამდვილეში კი მეფის მთავრობის დამხობისა და ხალხის განთავისუფლების გეგმებს ადგენდნენ.

ამით აიხსნება, რომ 1861 წლიდან მთავრობამ სასტიკად აკრძალა სტუდენტთა ყოველგვარი ორგანიზაციები და მათ შორის ბიბლიოთეკა-სალაროებიც. სტუდენტთა „არეულობის" შემდეგ მესამე განყოფილებამ თავისი აგენტებით აავსო უმაღლესი სასწავლებლები, ის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს და ძირშივე ახშობდა სტუდენტთა ორგანიზაციების აღდგენის ყოველგვარ ცდას. მაგრამ, სასტიკი დევნის მიუხედავად, მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი სტუდენტობა 1863 წლის შემოდგომიდან მაინც ახერხებს აქტიური მუშაობის გაშლას ბიბლიოთეკა-სალაროების დასაარსებლად. ეს მუშაობა, რა თქმა უნდა, არალეგალურად მიმდინარეობდა და როგორც მესამე განყოფილების არქივში ახლად აღმოჩენილი მასალებიდან ჩანს, მასში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიუღია დავით ღოღობერიძეს, რომელიც ამ საქმის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი და ხელმძღვანელი ყოფილა.

აქვე გვინდა ვაცნობოთ მკითხველს, რომ მესამე განყოფილების არქივში აღმოჩნდა დავით ღოღობერიძისადმი სხვადასხვა პირთაგან გაგზავნილი პირადი წერილების დიდი კოლექცია (სამასამდე წერილი[1]), რომელიც, როგორც ჩანს, მისთვის ერთ-ერთი ჩხრეკის დროს ჩამოურთმევიათ. ეს წერილები დ. ღოღობერიძისადმი მიწერელია მისი ნათესავებისა და მეგობრებისაგან უმთავრესად 1860-იან წლებში. წერილები შეიცავენ უამრავ საინტერესო და საყურადღებო ცნობას ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. განსაკუთრებით ბევრი წერილია ადრესატის და-ძმებისაგან — ნიკო და სიმონ ღოღობერიძეებისა და ანეტა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისაგან, არის აგრეთვე წერილები მისი ისეთი ახლო მეგობრებისაგან, როგორიც იყვნენ: ვასილ თუმანიშვილი, გიორგი წერეთელი, კოტე მესხი და სხვები. ხსენებული წერილები გვეხმარება უკეთ გავითვა-

---

[1] ეს წერილები ინახება: ЦГИАМ, ф. 109, оп. 214, д. 492. ზემოთ ჩვენ უკვე არა ერთხელ მოვიშველიეთ ციტატები წერილების ამ კოლექციიდან.

ლისწინოთ მაშინდელი ვითარება საერთოდ და კერძოდ კი თვით დ. ღოღობერიძის მოღვაწეობა.

საარქივო საბუთებიდან ჩანს, რომ დავით ღოღობერიძეს მთავრობის ორგანოების ყურადღება მოუპყრია. ჯერ კიდევ 1862 წელს. სწორედ ამ წელს მეფემ დააარსა დიდი თანამდებობის პირებისაგან შემდგარი უმაღლესი კომისია, რომლის მიზანი რუსეთში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის წარმოება იყო. 1862 წლის მარტში პეტერბურგში თავი მოიკლა ჟურნალ „სოვრემენიკის" თანამშომელმა, რევოლუციონერმა იგნატი პიოტროვსკიმ, რომელიც დაახლოებული ყოფილა ქართველ სტუდენტებთან[1] და მათ შორის დ. ღოღობერიძესთანაც. მეფის მიერ დაარსებულმა უმაღლესმა კომისიამ მის თვითმკვლელობაში პოლიტიკური აქტი დაისახა და დაიწყო მასალების შეგროვება როგორც თვით პიოტროვსკის, ისე მისი ახლო ამხანაგების შესახებ.

ამ კომისიის ერთ-ერთ საქმეში, რომელიც 1862 წლის ოქტომბერ-ნოემბერშია შედგენილი, მოიპოვება კომისიის მიმართვა (№ 392) მესამე განყოფილებისადმი, რომელშიც კომისია ითხოვს შეაგროვონ მასალები პიოტროვსკის უახლოესი ამხანაგების საქმიანობაზე და იქვე მიუთითებს, რომ უკვე დაპატიმრებულ ჩერნიშევსკის გარდა, მის უახლოეს მეგობრებად ითვლებიან ცეიდლერი, ვინმე ღოღობერიძე, მიასოედოვი, ეგოროვი და სხვებიო.[2]

თუ როგორი ცნობები შეუგროვა მესამე განყოფილებამ უმაღლეს კომისიას, ეს ჩანს ერთი გვიანდელი (1864 წლის) დოკუმენტიდან, რომელშიც ნათქვამია: „იმ ცნობებიდან, რომლებიც თავის დროზე იყო შეგროვილი № 392 მომართვაში დასახელებული ზოგიერთი პირის შესახებ, სახელდობრ: ნადეჟინი სოვეტნიკ ცეიდლერზე, სტუდენტებზე მიასოედოვსა და ღოღობერიძეზე[3] აღმოჩნდა, რომ თუმცა ამ პირებს არ გამოუჩენიათ თავი მთავრობის საწინააღმდეგო რაიმე მოქმედებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ მათს პოლი-

---

[1] ი. პიოტროვსკის შესახებ იხ. ნ. ნიკოლაძის მოგონება, რჩეული ნაწერები, გვ. 113—117.

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 60, 1862 г., л 1.

[3] აქ რომ სწორედ დავით ღოღობერიძეზეა ლაპარაკი, ეს იქიდან მტკიცდება, რომ ის მოხსენებულია სტუდენტად. 1862 წელსაც და 1864 წელსაც ის ერთად ერთი სტუდენტი ღოღობერიძე იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში.



ნიკოლოზ ღოღობერიძის წერილი, გაგზავნილი მისი ძმის დავითისადმი თბილისიდან პეტერბურგში 1865 წლის 1 მარტს. წერილში ლაპარაკია ფერგდალეულთა შეკვეთით ქ. ვენაში დამზადებული ქართული შრიფტის შესახებ.

[illegible] – [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible], [illegible]
[illegible]. [illegible] 2400 [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] 1200 [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]

ტიკურ კეთილსაიმედობაში. ასე, ნადვორნი სოვეტნიკ-ცეიდლერთან, რომელიც სტუდენტ ნიკოლოზ მიასოედოვთან ერთად ცხოვრობს ვასილიევის კუნძულზე, მე-11 ხაზის № 28 სახლში, ხშირად იყრიდა ხოლმე თავს მრავალრიცხოვანი სტუდენტობა. ცეიდლერი ხშირად დადიოდა გატჩინაში რამდენიმე დღით და ბოლოს საზღვარგარეთ გაემგზავრა.

რაც შეეხება ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ს, მან უკვე არა ერთხელ გამოაჩინა თავისი მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულება".[1]

აქედან ცხადია, რომ დავით ღოღობერიძეს უკვე 1862 წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე არა ერთხელ გამოუჩენია მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულება, თუმცა მთავრობის საწინააღმდეგო რაიმე პრაქტიკულ მოქმედებაზე მესამე განყოფილებას მისთვის ჯერ კიდევ ვერ წაუსწრია.

სხვა მასალებიდან ჩანს, რომ პოლიციისა და ჟანდარმერიის აგენტები უკვე 1862 წლის ზაფხულში გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს არა მარტო ბესარიონის, არამედ აგრეთვე დავითის თითოეულ ნაბიჯს. 1862 წლის აგვისტოში მესამე განყოფილებას დაუგზავნია სპეციალური მიმართვები პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერის, განათლების სამინისტროსა და კავკასიის კომიტეტის სახელზე, რომლებშიც მოითხოვდა ცნობებს ბესარიონ და დავით ღოღობერიძეების შესახებ[2]. იმავე წლის სექტემბერში ხსენებულმა ორგანოებმა მესამე განყოფილებას გამოუგზავნეს პასუხები, სადაც ატყობინებდნენ ყველაფერს, რაც მათ ორივე ღოღობერიძის შესახებ იცოდნენ. ობერპოლიცმეისტერის პასუხში დავით ღოღობერიძეზე ნათქვამია, რომ ის სტუდენტთა „არეულობის" შემდეგ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და პოლიციის მიერ გაფრთხილებულია, „პოლიციური წესების სულ უმცირესი დარღვევის შემთხვევაში შორეულ გუბერნიაში იქნება გადასახლებულიო".[3]

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის კავკასიის კომიტეტის (ბუტკოვის) პასუხი; სადაც ცნობები წარმოდგენილია არა მარტო ღოღობერიძეებზე, არამედ რამდენიმე სხვა ქართველ სტუდენტებზეც, რომლებიც ხსენებული კომიტეტის სტიპენდიანტები იყვნენ. მოგვყავს ეს პასუხი მცირე შემოკლებით:

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, опись 1, д. 60, л. 2, 1862 г.

[2] ЦГИАМ, ф. III О, 1 экс. опись 5, д. 277, ч. 13, л. 8-9.

[3] იქვე, გვ. 10.

„კავკასიისა და ამიერკავკასიის მკვიდრთაგან, რომლებიც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, ზოგნი სახაზინო აღსაზრდელებია, ზოგნი კი — თავის ხარჯზე მყოფნი. პირველნი კავკასიის კომიტეტის საქმეთა მმართველის, სტატს-სეკრეტარის გამგებლობასა და მზრუნველობაში იმყოფებიან, მეორენი კი, როგორც კერძო პირები, არ ექვემდებარებიან მის გამგებლობას.

პირველი კატეგორიის სტუდენტთაგან, — იმ არეულობაში მონაწილეობისათვის, რომელიც გასულ წელს სტუდენტებმა მოახდინეს, და მატრიკულების მიღებაზე უარის თქმისათვის, — უნივერსიტეტიდან გაირიცხნენ:

1. ბესარიონ ღოღობერიძე, მე-4 კურსელი. ის პეტერბურგში დატოვებულია თავად ირაკლი გრუზინსკის თავდებობით, რომელიც დროებით იმყოფებოდა პეტერბურგში და ამა წლის მაისში თბილისში წავიდა. აძლევს კერძო გაკვეთილებს და, როგორც ამბობენ, ემზადება გამოცდებისათვის სამეცნიერო ხარისხის მისაღებად.

2. თავადი ვასილ თუმანოვი, მე-3 კურსელი. მან, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ამიერკავკასიაში წასვლის სურვილი გამოთქვა; მაგრამ შემდეგ, პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის განსაკუთრებული ნებართვით, დარჩა პეტერბურგში გამოცდების ჩასაბარებლად კანდიდატის ხარისხზე. ამჟამად მან წარმატებით ჩააბარა ხსენებული გამოცდები.

3. ნიკოლოზ ალექსეევ-მესხიევი, მე-3 კურსელი, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ გაემგზავრა თბილისში. ამ ზაფხულზე მოისურვა ლონდონსა და პარიზში გამგზავრება. ამასთანავე მის მიერ კავკასიის ნამესტნიკის მოვალეობის ამსრულებლისათვის წარდგენილ საქმიმო მოწმობაში ნათქვამი იყო, რომ მისთვის აუცილებელია მკურნალობა კარლსბადის წყლებზე. ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა კეთილი ინება და ის აზრი გამოთქვა, რომ ალექსეევ-მესხიევი არ შეიძლება გავუშვათ საზღვარგარეთ და რომ თავად ორბელიანს არც კი უნდა მიემართა მეფისათვის ასეთი შუამდგომლობით.

4. პეტრე ალხაზოვი, მე-3 კურსელი, წავიდა თბილისში. ამჟამად სად იმყოფება, არ ვიცი, მაგრამ ხმები დადის, თითქოს მას თბილისში საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა მიეღოს.

5. ვასილ სავანელი, მე-2 კურსელი, აგრეთვე წავიდა თბილისში.

6. კირილე ლორთქიფანიძე, მე-2 კურსელი. დატოვებულია აქ პეტერბურგის მაზრის მოსამართლის, ტიტულიარნი სოვეტნიკ სამსონ ერისთავის თავდებობით. ემზადება პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად, როგორც კი დანარჩენი ფაკულტეტები გაიხსნება.

7. დავით ღოღობერიძე, მე-2 კურსელი. დატოვებულია აქ მისი ბიძაშვილის, აზნაურ კლდიაშვილის თავდებობით; ეს კლდიაშვილი, როგორც ამბობენ, სრული არარაობაა. ასევე ემზადება პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად.

8. იაგორ წერეთელი, 1-ლ კურსელი. დატოვებულია აქ სამხედრო სამინისტროს აუდიტორიულ დეპარტამენტში მოსამსახურის, ასესორ წერეთლის თავდებობით. ემზადება პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად[1]".

ამ დოკუმენტში ბევრი რამ არის ჩვენთვის საინტერესო. დიდად საინტერესოა კერძოდ სტუდენტ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის საზღვარგარეთ წასვლის ცდის ისტორია. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი ისევ დავით ღოღობერიძეს დავუბრუნდეთ.

მასალების სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს წარმოუდგინოთ მკითხველს დ. ღოღობერიძის მაშინდელი საქმიანობის ცოტად თუ ბევრად სრული სურათი, მაგრამ ჩვენს ხელთ მაინც არის ზოგიერთი ძალიან საყურადღებო ფაქტი, რომელთა საფუძველზე შეგვიძლია სრულიად გარკვეული მოსაზრებანი გამოვთქვათ.

1862 წლის გაზაფხულზე ნიკო ღოღობერიძე თბილისიდან საინტერესო წერილს უგზავნის ძმებს დავითს და სიმონს პეტერბურგში. ეს წერილი ფრთხილად არის დაწერილი, მაგრამ მაინც გვაძლევს ერთგვარ წარმოდგენას საერთოდ მაშინდელი ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის განწყობილებაზე და კერძოდ დ. ღოღობერიძის საქმიანობაზე. „ზაქარია ერისთავი მოდის პეტერბურღს ივნისში, — სწერს ნიკო, — ის კარგი ყმაწვილი არის, მაგრამ სულ გამოუცდელი, სულ შინ ნამყოფი დედასთან. თქვენ იცით, როგორ გაწვრთნით მას და გახდით დემოკრატად... ძლიერ სასიამოვნო იყო ჩემთვის წაკითხვა დათიკოს სიტყვებისა, რომელნი, როგორც პირველნი გამოცდილებანი სა-

[1] ЦГИАМ, ф. III О. I экс., опись 5, д. 277, ч. 13, л. 15—16.

ლიტერატურო ასპარეზზედ, არიან ძლიერ კარგნი და იმედი მაქვს, რომ თანდათან უფრო გაიმართავ კალამს. ეცადეთ, მეგობრებო ჩემო, მიიღოთ სწავლა და გამოცდილება, რომელნიც არიან პირველნი საუნჯენი კაცისა; ცოდვა იქნება თქვენთვის, რომ არ ისარგებლოთ იმისთანა კარგი დროით, როგორიც ეხლა თქვენ დაგიდგათ და არ გაამართლოთ ის იმედი, რომელიც აქვს თქვენზედ სამშობლოსა. ეხლანდელ მდგომარეობაში პეტერბურღისა ყველაზედ უფრო ადვილად გაიხსნება კაცი და შეიძლება მიღება იმ გამოცდილებისა და ტაქტისა, რომელიც ისრე საჭირო (ა) ჩვენთვის საბრძოლველად უზრდელობისა და რუტინისა. — ი მ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს წ ა კ ი თ ხ ვ ა მ ა რ თ ლ ა ც ა რ მ ო ვ ი დ ო დ ა კ ა რ გ ა დ, თ უ შ ე კ რ ე ბ ი ლ ე ბ ა ს ჰ ქ ო ნ დ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი (ხაზი ჩემია. — პ. რ.); ამასთანავე მე უნდა გაგახსენოთ ერთი საქმე: თქვენ უფრო საჭირო ხართ თქვენი მამულისათვის, ვინემ რუსეთისათვის და ამის გამო უნდა დაიჭიროთ თავი და იყოთ ბრთხილად".[1]

აქედან ნათელია, რომ ჯერ კიდევ 1862 წლის დამდეგს დავით ღოღობერიძეს დაუწერია და რომელიღაც „შეკრებილებაზე" წაუკითხავს კიდეც რაღაც ლიტერატურული დოკუმენტი (შესაძლოა პოლიტიკური პამფლეტი ან პროკლამაცია), რომელიც, ნიკო ღოღობერიძის აზრით, თავისი შინაარსით ძალიან კარგი ყოფილა, მაგრამ ოფიციალურ შეკრებაზე მისი წაკითხვა გარკვეულ პოლიტიკურ რისკთან ყოფილა დაკავშირებული. ამიტომაცა, რომ ნიკო საჭიროდ სთვლის გააფრთხილოთ ძმა „თავი დაიჭიროს", რადგან სამშობლოსთვის უფრო საჭირო ხარ, ვიდრე რუსეთისათვისო.

თუ ამასთანავე ერთად იმ ფაქტსაც გავიხსენებთ, რომ დ. ღოღობერიძე 1862 წლის სექტემბერში აპირებდა პოლიტიკური სიტყვის თქმას „უტინის პარტიის" მიერ მოწვეულ სტუდენტთა ბანკეტზე და ამ ნიადაგზე შეტაკებაც კი მოუხდა ერთ-ერთ კონსერვატიულად განწყობილ სტუდენტთან (რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი), — უფლება გვექნება ვიფიქროთ, რომ დ. ღოღობერიძე საპატიმროდან გამოსვლისთანავე გვერდში ამოდგომია ბეს. ღოღობერიძეს, ჩაბმულა რევოლუციურ საქმიანობაში და აქტიურად გაუჩაღებია რევოლუციური აგიტაცია.

---

1 ამოღებულია დ. ღოღობერიძის პირადი წერილების ზემოთ ხსენებული კოლექციიდან, ფურც. 52.

შეიძლება მეტიც ითქვას: საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დავით ღოღობერიძე ეკუთვნოდა „ზემლია ი ვოლიას“ წევრთა იმ დიდ ჯგუფს, რომელსაც ნ. უტინი და მისი უახლოესი მეგობრები ხელმძღვანელობდნენ და რომელმაც 1862 წელს მოაწყო საიდუმლო სტამბა; სწორედ ამ სტამბაში იბეჭდებოდა „ზემლია ი ვოლიას“ ცნობილი პროკლამაციები.

ჩვენი მოსაზრება რომ საფუძვლიანია, ამას მოწმობს რამდენიმე ფრიად საყურადღებო ფაქტი, რომელთა შესახებ მოკლედ ვუამბობთ მკითხველს.

1864 წლის მარტში მოსკოვიდან სიმონი უგზავნის წერილს დავითს პეტერბურგში. წერილში ნათქვამია:

„აქ, როგორღაც, ერთხელ ლიონიძესთან და, ვგონებ, მესხიც იქ იყო, — ჩამოვარდა შენზედ ლაპარაკი, ძველ კასსაზე — ეს კაცი, ნიკოლაძე... მოყვა ასრე, ისრეო, ჩვენო, რასაკვირველია, მართალი ვიყავითო, მე ამასო კიდევაც ავუხსნი დათიკოსო, როდესაც ცოტა გადაიქარვებსო სიმხურვალესო, დათიკო ამტკიცებდაო ამისთანა სიტყვებსო, რომ მრავალ სხვადასხვა კაცს სხვა მოთხოვნილება აქვსო (აქ ფილოსოფოს (მა) ლიონიძემ შენიშვნები გაუკეთა, ნუთუ, ნუთუ დათიკო მაგას იტყოდაო, მე იმედი არა მქონდაო), რომ თ უ ჩ ვ ე ნ ტ ი პ ო გ რ ა ფ ი ა გ ა ვ ხ ს ე ნ ი თ (ხაზი ჩემია, — პ. რ.) სრული (?) და ვიმუშავეთო, რას დაემგვანებაო. ყველა თითით ხელს მოგვიშვერს, და მუშას დაგვიძახებენო! მართალია თუ არა?“[1]

აქ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრეში ჯერ კიდევ ნიკოლაძის იქ ყოფნის დროს, ადგილი ჰქონია მსჯელობას და კამათს სტამბის დაარსების შესახებ. მართალია ნიკოლაძის სიტყვებიდან ისე გამოდის (თუ დავიჯერებთ, რომ სიმ. ღოღობერიძე მის სიტყვებს სწორად გადმოგვცემს),[2] რომ დავითი თითქოს წინააღმდეგი ყოფილა სტამბის გახსნისა, მაგრამ, ჯერ ერთი, დავითის პოზიციის ნიკოლაძისეული გადმოცემა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ თვით ნიკოლაძის მსმენელებში გამოუწვევია გაკვირვება (ლიონიძემ შენიშვნები გაუკეთა, ნუთუ დათიკო

---

[1] დ. ღოღობერიძის პირადი წერილების კოლექცია, ფ. 109-110.

[2] აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სიმ. ღოღობერიძე იმ ხანებში გაჯავრებული ყოფილა ნ. ნიკოლაძეზე და ზემოხსენებულ წერილებში მის შესახებ ძალიან მკვახედ ლაპარაკობს, — ნიკოლაძეს სულმდაბლობას და „ხლესტაკოვობას“ სწამებს.

მაგას იტყოდაო; თვითონ სიმონიც გაკვირვებული ეკითხება დავითს: „მართალია თუ არაო"), ხოლო მეორეც, — კიდევაც რომ წინაალმდეგი ყოფილიყო დავითი თავდაპირველად სტამბის გახსნისა, ხომ შეეძლო ამხანაგების ზეგავლენით შეეცვალა პოზიცია?

ერთი სიტყვით, ზემოხსენებული წერილიდან ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ მტკიცდება შემდეგი საინტერესო ფაქტი: ქართველ სტუდენტთა შორის ჯერ კიდევ 1862 წლის გაზაფხულზე აღძრულა საკითხი სტამბის გახსნის აუცილებლობისა.

დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ საიდუმლო სტამბა მართლაც მალე დაარსდა პეტერბურგში. ამის შესახებ ბ. კოზმინი ამბობს: „1862 წლის ზაფხულში უტინმა და მისმა ამხანაგებმა საკუთარი ინიციატივით პეტერბურგის მხარის ერთ-ერთ აგარაკზე მოაწყვეს საიდუმლო სტამბა... ამ სტამბაში მუშაობდა რამდენიმე ახალგაზრდა კაცი, რომლებიც ფ. ს. სუდაკევიჩისა და მ. ოსტროვსკის წრის წევრები იყვნენ; ეს წრე ცნობილი იყო „პეტერბურგის კომუნის" სახელწოდებით. უტინი ჯერ კიდევ სტუდენტობიდან იყო დაახლოებული ამ წრის წევრებთან. უტინისა და მისი ამხანაგების მიერ შექმნილმა სტამბამ სექტემბერში გამოუშვა უტინის მიერ დაწერილი პროკლამაცია „განათლებულ კლასებს" და შეუდგა მზადებას არალეგალური ჟურნალის პირველი ნომრის გამოსაცემად".[1]

თუ გავითვალისწინებთ ბეს. ღოღობერიძის სიახლოვეს უტინთან, სრულიად ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ როგორც ბესარიონს, ისე დავითს მონაწილეობა უნდა მიეღოთ სტამბის დაარსებასა და პროკლამაციების ბეჭდვის საქმეში. მაგრამ ეს მხოლოდ მაინც მსჯელობაა; არსებობს თუ არა რაიმე საბუთი ამ მოსაზრების დასადასტურებლად?

მესამე განყოფილების საიდუმლო არქივში ჩვენ წავაწყდით ერთ საბუთს, რომელიც მხარს უჭერს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას და გარკვეულ შუქს ფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს, თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ ეს საბუთი არ კმარა ჩვენი მოსაზრების საბოლოოდ დასამტკიცებლად.

საქმეს, რომელშიც ხსენებული საბუთია ‹ჩაკერებული, გარედან აწერია: „აგენტურული ჩანაწერები კომუნისტურ საწყისებზე დაფუძნებული საზოგადოების წევრების და ამ წევრთა კრებების მე-

---

[1] «Литературное наследство», т. 62, стр. 616.

თვალყურეობაზე". შიგ სულ სამი ბარათია. პირველ მათგანში ნათქვამია: „უკვე არა ერთხელ მოგვივიდა ცნობები იმის შესახებ, რომ პეტერბურგში არსებობს საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია კომუნისტურ საწყისებზე და რომლის წევრებიც თავს იყრიან სხვადასხვა სახლებში კომუნიზმის მოძღვრების გასავრცელებლად".[1] შემდეგ ლაპარაკია ჩერნიშევსკის მიმდევრებზე და ჩამოთვლილია სად და სად იკრიბებიან „კომუნისტური იდეების" მქადაგებლები. მეორე ბარათი ეხება ლიტერატორ მინაევს, რომელსაც აგრეთვე პოლიცია უთვალთვალებდა, ხოლო მესამე — დავით ღოღობერიძეს.

აი ამ ბარათის შინაარსი: „შაბათს საღამოს, იზმაილოვის პოლკის მე-9 ასეულში, პლატოვის სახლში, სადაც როგორც უკვე მოგხსენდათ, იმყოფება ნიჰილისტებისაგან შემდგარი კომუნა, — შემჩნეული იყო დიდი კრება. იქ მივიდნენ სხვადასხვა გრძელთმიანი საეკვო პიროვნებები, რომლებიც სომხებს ჰგავდნენ; ერთი მათგანის თანხლებით მოვიდა ვიღაც ქალი. მეეტლეები, რომლებმაც ისინი მოიყვანეს, ამბობენ, რომ მათ ისინი დაიქირავეს ვასილიევის კუნძულზე და ახალ გადასახვევში. — ამ უკანასკნელში ცხოვრობს ცნობილი ყოფილი (?) სტუდენტი სომეხთაგან (Sic). ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე,[2] — ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს, უ ტ ი ნ ი ს ა და მათ მსგავსთა ერთ-ერთი მეგობარი. სრულიადაც არ იქნება გასაკვირი, რომ ღოღობერიძე ნამდვილად დადიოდეს ხსენებულ კომუნაში.

თვალყურის დევნება იქ გრძელდება".[3]

ეს დოკუმენტი თუმცა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ისეთი ხასიათისაა, რომ არ იძლევა საშუალებას დადასტურებულად ჩავთვალოთ დ. ღოღობერიძის მონაწილეობა „პეტერბურგის კომუნაში", მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ჟანდარმთა აგენტებს საკუთარი შესაძლებლად მიაჩნდათ მისი იქ მონაწილეობა, თავისთავად მეტყველებს ზემოთ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ. თუ ჟანდარმთა აგენტების ამ დაკვირვებას ცალკე, იზოლირებულად ავი-

---

[1] ЦГИАМ, ф. III О, секр. арх. оп. 1, д. 243, л. 1. 1864 г.

[2] აქ რომ ნამდვილად დავითზეა, ლაპარაკი, ეს იქიდან ჩანს, რომ 1864 წელს არც ბესარიონი და არც სხვა რომელიმე ღოღობერიძე, დავითს გარდა, პეტერბურგში აღარ იმყოფებოდა. რაც შეეხება სიტყვებს „ყოფილი სტუდენტი", — ეს, ვფიქრობთ, ჟანდარმთა აგენტის ისეთივე შეცდომაა, როგორც ღოღობერიძის სომეხად ჩათვლა მის მიერვე.

[3] იქვე, ფ. 4.

ღებთ, რა თმა უნდა, ის ვერაფერს ვერ დაგვიმტკიცებს, მაგრამ თუ მას განვიხილავთ ისეთ უდავო ფაქტებთან კავშირში, როგორიცაა ქართველი სტუდენტების სურვილი დაეარსებინათ სტამბა, ბესარიონ და დავით ღოღობერიძეების ყოფნა „ზემლია ი ვოლიას“ რიგებში და იქ მათი აქტიური მოღვაწეობა, მათი უახლოესი კავშირი ნ. უტინთან და, მაშასადამე, იმ წრესთან, რომელმაც სტამბა მართლა დაარსა და რომელიც როგორც ეს ჟანდარმთა აგენტებსაც ცოდნიათ, „კომუნის“ სახელს ატარებდა, — თუ ამ ფაქტებს გავითვალისწინებთ, სრული საფუძველი გვექნება ვაღიაროთ, რომ ჟანდარმთა აგენტურის დაკვირვება და დასკვნა უდავოდ სწორი უნდა იყოს.

კიდევ უფრო ნათლად ხატავენ მესამე განყოფილების მიერ შეგროვილი მასალები დ. ღოღობერიძის არალეგალურ საქმიანობას 1863 წლის შემოდგომიდან; ეს საქმიანობა დაკავშირებულია სტუდენტთა საიდუმლო ბიბლიოთეკისა და სალაროს დაარსებასთან. მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც „ზემლია ი ვოლია“ დაიშალა, ხოლო ბესარიონ ღოღობერიძე სამშობლოში დაბრუნდა, მიუხედავად რეაქციის არაჩვეულებრივი გაძლიერებისა, დავით ღოღობერიძეს არ შეუწყვეტია არალეგალური რევოლუციური საქმიანობა; მან მხოლოდ ტაქტიკა შესცვალა: პოლიტიკური აგიტაციის ნაცვლად, ხელი მოჰკიდა სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციების შექმნას და მთელი ენერგიით ჩაება ამ საქმეში.

მესამე განყოფილების საიდუმლო არქივში აღმოჩნდა ერთი 1865 წელს შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია: „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა განზრახვაზე იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის კედლებს გარეთ გაეხსნათ სალარო და ბიბლიოთეკა, ცნობები ჯერ კიდევ 1863 წლის ბოლოს მოგვივიდა. იმ დროს სალაროს დაარსებისათვის აქტიურად იღვწოდნენ სტუდენტები ლ ი ჩ კ ო ვ ი და ო ტ ტ ო, ხოლო ბიბლიოთეკის გახსნისათვის ცნობილი სტუდენტი ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე“.[1]

კიდევ უფრო დაწვრილებითი ცნობები მოიპოვება დ. ღოღობერიძის მოღვაწეობაზე მეფის მიერ 1862 წელს დაარსებული უმაღლესი კომისიის ერთ-ერთ საქმეში, რომელიც შედგენილია 1863 წლის სექტემბერ-ნოემბერში. საქმის სათაური ასეთია: „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა წესების გამო „პეტერბურგსკიე

[1] ЦГИАМ, ф. 109, секретный архив, оп. 1, д. 1498, л. 1-2. 1865 г.

ვედომოსტში“ (№ 243) დაბეჭდილი სტატიისა და ზოგიერთი სტუ-დენტის, სახელდობრ ოტტოს, ღოღობერიძის, ლიჩკოვისა და სივო-როტკინის თვითნებური მოქმედების შესახებ“. როგორც სათაური-დანაც ჩანს, ეს საქმე უმაღლეს კომისიაში იმასთან დაკავშირებით აღძრულა, რომ გაზეთ „პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ დაუბეჭდავს ხელმოუწერელი წერილი, რომელშიც თუმცა რბილად, ლიბერალუ-რი პოზიციებიდან, მაგრამ მაინც საკმაოდ გაბედულად არის გაკრი-ტიკებული უმაღლესი სასწავლებლებისათვის მთავრობის მიერ იმ დროს შემოღებული ე. წ. „ახალი წესები“. უმაღლეს კომისიას ამ წერილსა და სტუდენტთა მოწინავე ნაწილის არალეგალურ საქმია-ნობას შორის პირდაპირი კავშირი დაუნახავს და მაშინვე დაუწყია სათანადო კვლევა-ძიება. მესამე განყოფილებას კომისიისათვის წა-რუდგენია ცნობები ზოგიერთი საეჭვო სტუდენტის საქმიანობაზე. ერთ-ერთ ცნობაში ნათქვამია:

„სტუდენტთა სალაროს ირგვლივ მოგვეპოვება ცნობები: სა-ლაროს დაარსება წამოიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის თავი-სუფალმა მსმენელმა ო ტ ტ ო მ, რუსი სტუდენტებისათვის; სალაროს ორგანიზატორია 10 კაცი, ო ტ ტ ო ს და ლ ი ჩ კ ო ვ ი ს მეთაუ-რობით... ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე კი სათავეში უდგას სხვა სალაროს, რომელიც კავკასიელი სტუდენტებისათვის არსდება, ისინი აწყობენ აგრეთვე ბიბლიოთეკას...

ყველა ეს დაწესებულება იქმნება საიდუმლოდ, ფულის შეტა-ნასაც კი ყველას როდი შესთავაზებენ, არამედ მარტო მათ, ვისაც იცნობს რომელიმე წევრთაგანი. რაც შეეხება თხოვნის მიცემას უნივერსიტეტიდან განთავისუფლების შესახებ, ჯერჯერობით მხო-ლოდ ისაა ცნობილი, რომ ზოგიერთი სტუდენტი ამის წინააღმდე-გია, რადგან უნივერსიტეტის დახურვით მათ დაეკარგებათ სტიპენდია და მაშასადამე, არსებობის წყარო. შეკრებები ამ საგანზე ხდება ხოლ-მე ღოღობერიძესთან და ლიჩკოვთან, რომლებიც ცდილობენ დაარ-წმუნონ სტუდენტები, წაიღონ უკან თავიანთი დოკუმენტები...

ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე — არ არის კავკასიის კომიტეტის სტიპენ-დიანტი, იგი გარიცხულია 1861 წლის არეულობისათვის და ახლა თავის ხარჯზე მყოფი სტუდენტია“.[1]

ეს უაღრესად საინტერესო საბუთია.

---

[1] ЦГИАМ ,ф. 95, оп. 1, д. 121, л. 3, 1863 г.

აქედან არა მარტო დავით ღოღობერიძის აქტიური არალეგალური საქმიანობა მტკიცდება, არამედ ისიც გარკვევით ჩანს, რომ ის გარშემორტყმული ყოფილა კავკასიელ სტუდენტთა ჯგუფით, რომლის ხელმძღვანელობა ამ პერიოდში მას უკისრია. მაშასადამე, პეტერბურგის ქართველი სტუდენტები, ყველა მოწინავე კავკასიელ სტუდენტთან ერთად 1863—1865 წლების უაღრესად ძნელ პირობებშიც განაგრძობდნენ ილია ჭავჭავაძის მიერ მათ შორის დანერგილ ტრადიციებს.

ზემოხსენებული საბუთი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ სტუდენტთა საიდუმლო სალაროს და ბიბლიოთეკის შინაგან ორგანიზაციულ სტრუქტურაზე. დაბოლოს, განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1863 წლის მიწურულში სტუდენტებს კვლავ გაუჩაღებიათ შეკრებები (сходки) და მოუწადინებიათ უნივერსიტეტის კოლექტიურად მიტოვება, რაც სტუდენტთა ახალი მღელვარების აშკარა ნიშანია.

სტუდენტთა ახალი მღელვარების ფაქტს ადასტურებს აგრეთვე დავითის უმცროსი ძმის სიმონის ერთი წერილი, რომელიც მას მოსკოვიდან გაუგზავნია დავითისათვის 1863 წლის ნოემბერში. წერილში ნათქვამია: „... ყველაფერზე საინტერესო იქნება ჩვენთვის, თუ რომ მალე შეგვატყობინებ, მანდ რა ამბავები ხდება უნივერსიტეტში; აქ საშინელი ხმები დაყარეს, წინ დღეებში ამბობდნენ აღრეულობა, როგორც ძველად, იმ გვარები არიანო, დღეს თქვეს კიდევაც უნივერსიტეტი დახურესო. რას გაიგებ, რამდენია ამაში მართალი და რა ტყუილი! იქნება ამ საქმეებმა გააჩერეს წერეთელი (გიორგი), რომელიც თავის დაპირებით უნდა ჩამოსულიყო წარსულ სამშაბათს.

გთხოვ, რაც მალე შეიძლება შემატყობინო მანდაური თქვენი მდგომარეობა, რა მოხდა და რა ხდება,—რისთვისაც ძლიერ მადლიერი ვიქნები.

შენი სიმონი

26 ნოემბერი 63 წ.
მოსკოვი...

ნუ დაგავიწყდება ჩერნიშევსკიზე, რაც იცი, მოიწერო, აქ ამბობენ: ვინ—ჭკუიდან შეიშალაო, ვინ—კატორღაში იგზავნებაო“.[1]

---

1 დ. ღოღობერიძის პირადი წერილების კოლექცია, ფ. 160-161.

აი, ასეთი ამბები დატრიალებულა კვლავ 1863 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში.

მაგრამ მთავრობის ორგანოებსაც არ ეძინათ. ამჯერად ისინი განსაკუთრებული სიფხიზლით იდგნენ თვითმპყრობელობის ინტერესთა სადარაჯოზე. უმაღლეს კომისიას ღოღობერიძისა და ლიჩკოვის საქმიანობის შესახებ მეფისათვის მოუხსენებია და მთელი რიგი ღონისძიებანი გაუტარებია სტუდენტთა არალეგალური რევოლუციური საქმიანობის აღსაკვეთად.

უმაღლესი კომისიის მოხსენებაში, რომელიც მისმა თავმჯდომარემ თავადმა გოლიცინმა 1863 წლის 10 ნოემბერს მეფეს წარუდგინა, ნათქვამი იყო:

„თქვენი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილებაში არსებული ცნობებით, უკვე ადგილი აქვს თვითნებურ მოქმედებას ზოგიერთი სტუდენტის მხრივ, რომლებმაც წამოიწყეს სალაროს და ბიბლიოთეკის შექმნა, ხოლო ორ მათგანთან: ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ს ა და ლ ი ჩ კ ო ვ თ ა ნ ხდება შეკრებები, რომლებზეც თათბირობენ იმის შესახებ, რომ განზრახული აქვთ შეიტანონ თხოვნა უნივერსიტეტიდან განთავისუფლების შესახებ“.[1]

უმაღლესი კომისიის დადგენილებით, რომელიც მეფემ უცვლელად დაამტკიცა, სტუდენტთა მოძრაობის ჩასახშობად სხვადასხვა ღონისძიებების გატარება ევალებოდათ შინაგან საქმეთა მინისტრს, განათლების მინისტრს და პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს. მთავრობის ორგანოებმა ამჯერად მოახერხეს სტუდენტთა მღელვარების დასაწყისშივე ჩაქრობა, მაგრამ სტუდენტთა მოძრაობა არ შეწყვეტილა. დავით ღოღობერიძე შემდეგშიც ამ მოძრაობის ერთერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელთაგანი ჩანს. ის პეტერბურგში საკმაოდ დიდხანს დარჩა, ამის ფორმალურ მიზეზად უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების სიძნელეს ასახელებდა, სინამდვილეში კი მთელ თავის დროსა და ენერგიას არალეგალურ საქმიანობას ახმარდა.

დავითის თბილისელი მეგობრები, განსაკუთრებით კი ოჯახის წევრები, რომლებიც, როგორც ჩანს, მიხვედრილი იყვნენ პეტერბურგში დავითის დიდხანს დარჩენის ნამდვილ მიზეზს, შეშფოთებული იყვნენ და ურჩევდნენ მას დაბრუნებულიყო სამშობლოში.

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 438, л. 30.

მათი შეშფოთება განსაკუთრებით გაძლიერებულა 1866 წლის 4 აპრილის შემდეგ, როცა მეფე ალექსანდრე მეორეზე კარაკოზოვის თავდასხმის გამო მთელ რუსეთში გამეფდა საშინელი თეთრი ტერორი.

აი დამახასიათებელი წერილი, რომელიც 1866 წლის 25 მაისს თბილისიდან გაუგზავნა დავითს მისმა ძმამ ნიკომ:

„საყვარელო ძმაო დავით!

ადვილად შეგიძლიან წარმოიდგინო, როგორ გამაკვირვა მე შენმა უკანასკნელმა წიგნმა. სწორედ გითხრა, მე აღარ მესმის შენი საქციელი და არ ვიცი, რას მივაწერო ამგვარი შენი მოქმედება. ეს სამი წელიწადია, ყოველს წიგნში იწერები, ახლა კი ვერ დავიჭირე ეგზამენიო, მაგრამ ამა და ამ დროს კი უთუოდ (ან უსიკვდილოთ, ან მოუცილებლად) გავათავებო კურსს. მოუთმენლივ ველი ხოლმე, აი ჩამოვა-თქო და ამ დროს კიდევ შენი წიგნი მომდის, რომელშიც ძველს ისტორიას განიმეორებ და კიდევ ახალს იმედს მაძლევ ჩამოსვლისას... რატომ არ იწერები სწორეთ, რა მიზეზია, რომ კურსს არ ათავებ“.[1]

მაგრამ დავითი კვლავ პეტერბურგში რჩებოდა.

1864 წლის 27 ნოემბერს გაგზავნილ წერილში უმცროსი ძმა სიმონი დავითს უსაყვედურებს: ხომ გვაცნობე, რომ უნივერსიტეტის კურსი უკვე დაასრულე, მაშ რატომ აღარ მოდიხარო, დ ა გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს: „ლ ა ვ რ ე ნ კ ო და ნეიკირხი აქ არიან.[2] პეტრე უმიკაშვილიც ჩამოვიდა. როდის იქნება დაიძრეთ თქვენც რუსეთის სტუდენტებო? ცდებით, რომ აგრე იგვიანებთ, ცდებით, თორემ ჩამოხვალთ, თვითონ ნახავთ“.

ამ წერილიდან (და ბევრი სხვა წერილიდანაც) ჩანს, რომ თბილისელ მეგობრებისა და ნათესავების დაბეჯითებით თხოვნა დავითისა და მისი მეგობრებისადმი — თავს გაუფრთხილდითო, წამოსვლა დააჩქარეთო და სხვ. ნაკარნახევი იყო სურვილით გამოეყენებინათ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა კადრები სამშობლოში, სადაც ამ უკანასკნელთ, მათი აზრით, მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ხალხისათვის.

მაგრამ დ. ღოღობერიძეზე არ უმოქმედნია არც ამ არგუმენტს

---

[1] დ. ღოღობერიძის პირადი წერილების კოლექცია, ფ. 206.

[2] ლავრენკო ცნობილი რევოლუციონერი იყო, რომელიც რევოლუციური საქმიანობისათვის ნამესტნიკის ბრძანებით გაძევებული იქნა თბილისიდან; ნეიკირხის შესახებ კი ცნობები არ მოგვეპოვება.

და არც იმ საშინელ ტერორს, რომელიც მეფეზე თავდასხმას მოჰყვა. 1869 წელს ის კვლავ პეტერბურგში ყოფილა. და მხოლოდ 1870 წლის გაზაფხულზე გამხდარა იძულებული დაეტოვებინა პეტერბურგი და წასულიყო არა სამშობლოში, არამედ ქალაქ ოდესაში.

მასალების სიმცირე ჯერჯერობით ნებას არ გვაძლევს გავაშუქოთ დ. ღოღობერიძის საქმიანობა პეტერბურგში 1866—1869 წლებში, მაგრამ ის მცირეოდენი მასალებიც კი, რაც ამჟამად ჩვენს ხელთაა, გვაფიქრებინებს, რომ ხსენებულ პერიოდშიც დავითი განაგრძობდა არალეგალურ საქმიანობას და მხოლოდ პეტერბურგის სტუდენტთა ახალი დიდი პოლიტიკური გამოსვლისა (1869 წელს) და ნეჩაეველთა რევოლუციური ორგანიზაციის აქტიურ წევრთა დაპატიმრების შემდეგ, ის იძულებული გახდა პეტერბურგი დაეტოვებინა.

2. თავდასხმა რუსეთის მეფეზე 1866 წლის 4 აპრილს და ქართველი სტუდენტების — ვარლამ ჩერქეზიშვილისა და ხარლამპი სავანელის მონაწილეობა თავდასხმისათვის მზადებაში.

ჯერ კიდევ 1863 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა, ხოლო 1865 წელს გაფართოვდა და გაძლიერდა რევოლუციონერთა საიდუმლო წრე, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი ნიკოლოზ იშუტინი ხელმძღვანელობდა. ამ წრის წევრები ძირითადად ხალხოსნურ შეხედულებებს იზიარებდნენ და მიზნად ისახავდნენ მშრომელთა სხვადასხვა არტელებისა და ასოციაციების საშუალებით რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე.

არტელებისა და ასოციაციების გარდა, როგორც მკვლევარი შ. ლევინი მიუთითებს, „იშუტინელები დაინტერესებული იყვნენ ბიბლიოთეკებისა და პატარა სკოლების მოწყობით, რომლებსაც უმთავრესად პროპაგანდისა და ორგანიზაციის საყრდენი პუნქტების მნიშვნელობას ანიჭებდნენ“.[1]

იშუტინის მოსკოვის წრე დაკავშირებული იყო პეტერბურგის ანალოგიურ მიმართულების საიდუმლო წრესთან, რომელსაც ნი-

---

[1] Ш. М. Левин, Общественное движение в России в 60-70-ые годы XIX века, 1958, стр. 251.

ჭიერი ლიტერატორი და ცნობილი რევოლუციონერი ივანე ხუდიაკოვი ხელმძღვანელობდა.

1865 წლიდან იშუტინის წრის წევრთა შორის ფეხი მოიკიდა ინდივიდუალური ტერორის შემცდარმა ტაქტიკამ და იმავე ხანებში აღმოცენდა მეფის მოკვლის გეგმა. განსაკუთრებით გულმოდგინეთ ამ გეგმის განხორციელებას ნ. იშუტინის ბიძაშვილი და მისი წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი დიმიტრი კარაკოზოვი შეუდგა.

1866 წლის მარტში დ. კარაკოზოვი მეფის მოკვლის მიზნით პეტერბურგში ჩავიდა და მაშინვე დაუკავშირდა ი. ხუდიაკოვის საიდუმლო წრეს. როგორც ჩანს, ხუდიაკოვმა და მისმა თანამებრძოლებმა (მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იზიარებდნენ ინდივიდუალური ტერორის იდეას) გარკვეული დახმარება აღმოუჩინეს კარაკოზოვს მეფეზე თავდასხმის მომზადებაში.

1866 წლის 4 აპრილს პეტერბურგში, საზაფხულო ბაღის ახლოს კარაკოზოვმა ესროლა მეფე ალექსანდრე II, მაგრამ ააცდინა. კარაკოზოვი შეიპყრეს და იმავე წლის 3 სექტემბერს ჩამოახრჩვეს.

კარაკოზოვის გასროლას მთავრობამ სისტიკი რეაქციით უპასუხა. სპეციალურ საგამომძიებლო კომისიას სათავეში ჩაუყენეს უკიდურესი რეაქციონერი მ. მურავიოვი. მთელ რუსეთში გამეფდა ე. წ. „თეთრი ტერორის“ ხანა. იშუტინისა და ხუდიაკოვის არალეგალური წრეები, როგორც მეფეზე თავდასხმისათვის მზადების ცენტრები, განადგურებულ იქნა. ამ წრეების წევრთა უმრავლესობა შეიპყრეს და სხვადასხვა ვადით კატორღაში ან საპატიმროებში გაგზავნეს.

ამ ბოლო დრომდე ჩვენი საზოგადოებისათვის არ იყო ცნობილი იშუტინ-კარაკოზოვისა და ხუდიაკოვის წრეებთან ქართველი სტუდენტების რაიმე ურთიერთობის ფაქტი, ამჟამად კი, ახლად გამოვლინებული საარქივო მასალების მეოხებით, ცნობილი გახდა შემდეგი გარემოება: მოსკოვში იშუტინ-კარაკოზოვის წრის აქტიური წევრი ყოფილა პეტროვსკის აკადემიის სტუდენტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც შეუპყრიათ, გაუსამართლებიათ და რვა თვის პატიმრობა მიუსჯიათ; ხოლო პეტერბურგში „კარაკოზოვის საქმის თანამონაწილედ“ მესამე განყოფილებას უცვნია პეტერბურგის კონსერვატორიის სტუდენტი ხარლამპი სავანელი, რომელიც სრულიად შემთხვევით გადარჩენია დაპატიმრებას.

გავეცნოთ ზოგიერთ საბუთს, რომლებიც ადასტურებენ ხსენებული ქართველი სტუდენტების რევოლუციურ საქმიანობას.

მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია საქმე, რომელსაც სათაურად აქვს: „საქმე პეტროვსკის აკადემიის ყოფილი სტუდენტის, თავად ვარლამ ჯან-ასლანისძე ჩერქეზოვის[1] მოსკოვში გაჩხრეკის შესახებ“ საიდანაც ჩანს, რომ 1866 წლის 27 აპრილს გაუჩხრეკიათ და იმავე დღეს დაუპატიმრებიათ ვარლამ ჩერქეზიშვილი[2]. მისი დაპატიმრების შესახებ მაშინვე უცნობებიათ პეტერბურგში დაშიფრული დეპეშით, რომელშიც ნათქვამია: „პეტერბურგი სერგიევსკაია გრაფ მიხეილ ნიკოლოზის ძე მურავიოვს პ ე ტ რ ო ვ ს კ ი ს აკადემიის ყოფილი სტუდენტი ვ ა რ ლ ა მ ჯ ა ნ-ა ს ლ ა ნ ი ს ძ ე ჩ ე რ ქ ე ზ ო ვ ი დაპატიმრებულია ხელმოწერა გენერალ-ადიუტანტი თავადი დოლგორუკოვი მოსკოვი 28 აპრილი 1866 წელი ხაზგასმული შიფრით“.[3]

დაპატიმრებული ვ. ჩერქეზიშვილი ერთხანს მოსკოვის ციხეში ჰყოლიათ, შემდეგ კი პეტერბურგში გაუგზავნიათ და პეტრე-პავლეს ციხეში ჩაუსვამთ. აი ამის შესახებ მესამე განყოფილების ცნობა:

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილებას თავის მოვალეობად მიაჩნია აცნობოს პეტერბურგში უმაღლესად დამტკიცებულ კომისიას, რომ გუშინდელი რიცხვით მოსკოვიდან ჩამოყვანილი პატიმარი თავადი ვარლამ ჯან-ასლანის ძე ჩ ე რ ქ ე ზ ო ვ ი იმავე დღეს გაიგზავნა პეტრე-პავლეს ციხეში. 1866 წლის 28 ივლისი“.[4]

თუ რა ბედი ეწია შემდგომში ვ. ჩერქეზიშვილს, ამის შესახებ ვგებულობთ ერთი გვიანდელი საბუთიდან, რომელშიც ნათქვამია:

---

[1] საქმის გარეკანზე, სათაურ ქვეშ წვრილი ასოებით მოწერილია: „ამასთან თანდართულია ქაღალდები სამ ცალკე კონვერტში № 94 და 106“. სამწუხაროდ, ეს ქაღალდები, რომლებიც ვ. ჩერქეზიშვილისათვის ჩხრეკის დროს ჩამოურთმევიათ, საქმეში არ აღმოჩნდა და თუმცა ბევრი ვეძებნეთ, მაგრამ ვერსად ვიპოვნეთ.

[2] საინტერესოა ასეთი დეტალი: წინა დღით, 26 აპრილს პოლიციას დაუპატიმრებია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვინმე გრიგოლ ჩერქეზოვი, გრიგორიანული სარწმუნეობისა, მისი დაპატიმრება მომხდარა შეცდომით, შეშლიათ ვარლამ ჩერქეზიშვილში. შეცდომა მეორე დღესვე გამოურკვევიათ და გრ. ჩერქეზოვი გაუნთავისუფლებიათ (ф. 95, оп. 1, д. 259).

[3] Ф. 95, оп. 1, д.264.

[4] Ф. 95, оп. 1, д. 264.

„სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით, ჩერქეზოვს მისჯილი ჰქონდა 8 თვის პატიმრობა“.[1]

სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ ვ. ჩერქეზიშვილი საპატიმროდან გაუნთავისუფლებიათ 1867 წლის 7 იანვარს, მაგრამ ამის შემდეგაც პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ დარჩენილა. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„პეტერბურგის უნივერსიტეტის (Sic) ყოფილი სტუდენტი თავადი ვარლამ ჩ ე რ ქ ე ზ ო ვ ი, 22 წლისა, თბილისის გუბერნიის მკვიდრი, სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით იმყოფებოდა ციხეში, საიდანაც ყოვლად უმოწყალესი მანიფესტის საფუძველზე განთავისუფლდა 1867 წლის 7 იანვარს, და დარჩა პოლიციის .საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ. ემზადება საბოლოო საკანდიდატო გამოცდებისათვის“.[2]

პატიმრობამ და პოლიციურმა რეპრესიებმა სრულიადაც ვერ ააღებინეს ხელი ვ. ჩერქეზიშვილს რევოლუციურ საქმიანობაზე; პირიქით, დევნა-შევიწროვებამ არაჩვეულებრივად გამოაწრთო და გააძლიერა ახალგაზრდა რევოლუციონერის ნებისყოფა და მალე მისი სახელი ცნობილი გახდა მთელ რუსეთსა და ევროპაში. ბ. კოზმინი ამბობს, რომ ვ. ჩერქეზიშვილი „საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ 1867 წ. საიდუმლო საზოგადოება „სმორგონის აკადემიას“ ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა“.

ამ საიდუმლო საზოგადოებისა და საერთოდ ვ. ჩერქეზიშვილის შემდგომი პერიოდის რევოლუციურ მოღვაწეობაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი, ახლა კი შევეხოთ მეფეზე თავდასხმისათვის მზადებაში მეორე ქართველის, — პეტერბურგის კონსერვატორიის სტუდენტ ხარლამპი სავანელის მონაწილეობას.

როგორც უკვე ითქვა, ხ. სავანელი დაპატიმრებული და დასჯილი არ ყოფილა, მაგრამ მესამე განყოფილების საიდუმლო არქივში აღმოჩნდა ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც უდავოს ხდის მის აქტიურ მონაწილეობას ი. ხუდიაკოვის საიდუმლო წრის მუშაობაში. აი ეს ცნობაც:

„ხ ა რ ლ ა მ პ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე ს ა ვ ა ნ ე ლ ი. ცხოვრობს ზა-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 430, л. 25.

[2] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427. 1868—1869 гг., л. 4.

25 Дек.

Никита Русский. Покупкою разных вещей
Жить при своем домике
Петра Малинина; дом. № 6.
На свободной квартире № 13. Взятых
25-го дня жить мне сейчас
тесь.

Гражданин Никита Иванович Жить на Западной
Севанелли. прибыл 1 янв. № 2 квартиры № 11. Уволен в отставку
по Адриановскому уезду сих
лет помещик Симферо-
вской, которые сы
скольки имеет покупки.
Оба лица Таврической Губернии, не хо-
25 дн. вх обще и не имеющие
ни одного дома, в
коем написаны были
участники, не имеющие 3°
отдыхания или чин на
них. Севанелли.

Мешамі третьої ґубернського канцелярії Таврійської ґубернії про покупки різних речей Жиньо при своєму домі Петра Малинина; дом. № 6. На свободній квартирі № 13. Взятих 25-го дня жить мені сейчас тесь.

Гражданин Никита Іванович Севанелли. Жиньо на Західній прибув 1 янв. № 2 квартиры № 11. Уволен в отставку по Адриановскому уезду сих лет помещик Симферовской, которые сы скольки имеет покупки. Оба лица Таврической Губернии, не хо-
25 дн. вх обще и не имеющие ни одного дома, в коем написаны были участники, не имеющие 3° отдыхания или чин на них. Севанелли.

Третяго ґубернського канцелярії Таврійської ґубернії про покупки різних речей Жиньо при своєму домі Петра Малинина; дом. № 6. На свободній квартирі № 13. Взятих 25-го дня жить мені сейчас тесь.

Гражданин Никита Іванович Севанелли. Жиньо на Західній прибув 1 янв. № 2 квартиры № 11. Уволен в отставку по Адриановскому уезду сих лет помещик Симферовской, которые сы скольки имеет покупки. Оба лица Таврической Губернии, не хо-
25 дн. вх обще и не имеющие ни одного дома, в коем написаны были участники, не имеющие 3° отдыхания или чин на них. Севанелли.

მესამე განყოფილების საიდუმლო არქივში შემონახული ცნობა. იგი ეხება რუსეთის მეფეზე კარაკოზოვის თავდასხმის მომზადებაში ხარლამპი სავანელის მონაწილეობას.

გოროდნის პროსპექტზე, სახლი № 9, ბინა № 11. კონსერვატორიის მოსწავლე (?), კარაკოზოვის საქმის თანამონაწილე. ის აგრეთვე ეხმარებოდა მოეწყოთ ბიბლიოთეკა, რომელიც გაჩხრიკეს ხელმწიფეზე თავდასხმის შემდეგ, თუმცა სწორედ იქ ინახებოდა იმათი საზოგადოების ბეჭედი და წიგნი, რომელშიც ჩაწერილი იყო თანამონაწილეთა სია, მაგრამ მე-3 განყოფილების ჩინოვნიკმა ვერაფერი ვერ იპოვნა (თვით სავანელის სიტყვით)".[1]

ამ ცნობიდან ნათელია, რომ მესამე განყოფილებას ხ. სავანელი უდავოდ მიაჩნდა „კარაკოზოვის საქმის" თანამონაწილედ; ნათელია ისიც, რომ ხ. სავანელი არალეგალური ბიბლიოთეკის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი ყოფილა და თუ მაინც გადაურჩა იგი დაპატიმრებას, ამის მიზეზი იყო მესამე განყოფილების ჩინოვნიკის მოუსაზრებლობა, რის შედეგადაც ჟანდარმებს შემთხვევით დაუკარგავთ მამხილებელი საბუთების ხელში ჩაგდების საუკეთესო შემთხვევა. ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხ. სავანელს სცოდნია, სად იყო დამალული მათი საიდუმლო წრის ბეჭედი და წრის წევრთა სია,[2] რაც იმას მიუთითებს, რომ მას ხსენებულ წრეში აქტიური და ხელმძღვანელი როლი უთამაშნია.

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ მკვლევარ შ. ლევინის აზრი: იშუტინელები საგანგებოდ აწყობდნენ ბიბლიოთეკებს, რომლებსაც რევოლუციური პროპაგანდისა და ორგანიზაციის საყრდენი პუნქტების მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პეტერბურგში კი, როგორც ვიცით, იშუტინელების გზით მიდიოდნენ ხუდიაკოვის წრის წევრები. მაშასადამე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ, ჯერ ერთი, „კარაკოზოვის საქმის" თანამონაწილე ხ. სავანელი სწორედ ხუდიაკოვის წრის წევრი იყო და ამ წრის დავალებით მიიღო მონაწილეობა საიდუმლო ბიბლიოთეკის შექმნაში, ხოლო მეორეც, — რაკი იგი ბიბლიოთეკის — რევოლუციური პროპაგანდისა და ორგანიზაციის ამ საყრდენი პუნქტის — შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა, ცხადია, თვით რევოლუციური პროპაგანდისა და ორგანიზაციის საქმეშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო.

ცნობილია, რომ ხარლამპი სავანელმა პეტერბურგის კონსერვატორია დაამთავრა 1865 წელს. მესამე განყოფილების ზემოთ მო-

[1] ЦГИАМ, ф. 109, секр. арх., оп. 1, д. 3166, л. 1.

[2] მესამე განყოფილების მითითება რომელიღაც წიგნზე, რომელშიც „თანამონაწილეთა" სია იყო, ალბათ გულისხმობს საიდუმლო წრის წევრთა სიას.

ყვანილი ცნობიდან კი ჩანს, რომ 1866 წლის 4 აპრილის შემდეგაც ის ჯერ ისევ პეტერბურგში ყოფილა. რატომ შეჩერდა პეტერბურგში და არ გამოემგზავრა სამშობლოში ხ. სავანელი მას შემდეგ, რაც მან კონსერვატორია დაამთავრა? ამ კითხვის პასუხი თავისთავად იგულისხმება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალ სხვა ქართველ სტუდენტთან ერთად ისიც აქტიურად ყოფილა ჩაბმული რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხარლამპი სავანელი მჭიდროდ დაუკავშირდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა გამოჩენილ ბელადებს და მათი ხელმძღვანელობით თავდადებით იღვწოდა მოწინავე, დემოკრატიული ქართული კულტურის, კერძოდ კი მუსიკალური კულტურის აყვავებისათვის.

ასეთია მოკლედ რუსეთის მეფეზე თავდასხმისათვის მზადებაში ქართველი სტუდენტების ვარლამ ჩერქეზიშვილისა და ხარლამპი სავანელის მონაწილეობის ისტორია. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ მეფეზე თავდასხმისათვის მზადებაში მონაწილეობა სხვა ქართველ სტუდენტებსაც მიეღოთ, მაგრამ ამის შესახებ სარწმუნო ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.[1]

3. თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა. სიმონ წერეთლის რევოლუციური მოღვაწეობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარაკოზოვის გასროლის შემდეგ რუსეთში დადგა სასტიკი რეაქციის პერიოდი, რომელიც ისტორიაში თეთრი ტერორის ეპოქის სახელწოდებით შევიდა. იმდროინდელი მოღვაწენი თავიანთ მოგონებებში ერთხმად ლაპარაკობენ იმ აუტანელ პირობებზე, რომელიც მეფეზე თავდასხმის შემდეგ რუსეთში შეიქმნა არა მარტო რევოლუციონერებისათვის, არამედ ყოველი ცო-

---

1 აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კერძოდ კი მეფეზე კარაკოზოვის თავდასხმის მომზადებაში ქართველი სტუდენტების მონაწილეობის ზოგიერთ ფაქტს აშუქებს ზ. მშველიძე თავის საინტერესო ნაშრომში „რევოლუციურ-ხალხისნური მოძრაობა საქართველოში“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოიცა. ოღონდ უნდა შეენიშნოთ, რომ ფაქტების გადმოცემისას ხსენებული ავტორი, სამწუხაროდ, ვერ იცავს სიზუსტეს. მაგალითად, მისი მსჯელობა ვინმე გრიგოლ ჩერქეზოვის ვითომდა რევოლუციური საქმიანობის შესახებ (გვ. 46) არ შეეფერება სინამდვილეს და გაუგებრობის ნაყოფია.

ტად თუ ბევრად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისათვისაც. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ცნობილი რუსი რევოლუციონერების მიხეილ საჟინისა და პეტრე კროპოტკინის მოგონებები.

„1866—1869 წლებში,—ამბობს მ. საჟინი,—რუსეთი განიცდიდა საშინელ რეაქციას, რაც შედეგად მოჰყვა კარაკოზოვის თავდასხმას ალექსანდრე II-ზე. ყველგან წყვდიადი იყო გამეფებული, არსად არ ჩანდა რაიმე ნიშანწყალი არა თუ პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისაც კი. ყოველგვარი კულტურული წამოწყება აკრძალული იყო და სასტიკად იდევნებოდა პოლიციისაგან, რომელიც ყველგან გამეფებულიყო. სტუდენტობაში არ იყო არც ურთიერთ დახმარების სალაროები, არც საკუთარი ბიბლიოთეკები, არც საერთო სასადილოები“.[1]

სწორედ ასევე აფასებს თეთრი ტერორის ეპოქის ატმოსფეროს მეორე გამოჩენილი რევოლუციონერი და მეცნიერი პ. კროპოტკინი, რომელიც ხუთ წელიწადს ციმბირში ყოფნის შემდეგ 1867 წელს ჩავიდა პეტერბურგში. ის გაკვირვებული იყო იმ დიდი ცვლილებით, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში პეტერბურგის ცხოვრებაში მოხდა და მწუხარებით აღნიშნავდა: „კარაკოზოვის 1866 წლის 4 აპრილის გასროლის შემდეგ III განყოფილება ყოვლისშემძლე გახდა, ვისზედაც ეჰვი ჰქონდათ მიტანილი „რადიკალიზმში“, — სულ ერთია, გააკეთეს მათ რაიმე, თუ არა, — მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდნენ“.[2]

მიუხედავად ასეთი მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, რევოლუციური მუშაობა — როგორც სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი მ. კოზმინი — იმ პერიოდში არ შეწყვეტილა. „ღრმა იატაკქვეშეთში განაგრძობდნენ თუთფუთს და ახალი ბრძოლისათვის ძალებს იკრებდნენ ადამიანები, რომლებსაც ჰყოფნიდათ ძალ-ღონე, გამბედაობა და სინდისი არ შერიგებოდნენ რეაქციის ზეიმს და დარჩენილიყვნენ თავიანთი წინანდელი რწმენის ერთგულნი. ასეთი ადამიანების რიცხვი მცირე იყო“.[3]

პეტერბურგის იმ მცირეოდენ ადამიანთა შორის, რომლებიც არ შეუშინდნენ ცარიზმის საშინელ ტერორს, რეაქციის პირობებშიც

---

[1] М. П. Сажин, Воспоминания, М., 1925 г., стр. 19.

[2] П. А. Кропоткин, Записки революционера, М., 1924 г., стр. 139.

[3] Б. П. Козьмин, Революционное подполье в эпоху «белого террора», М., 1929 г., стр. 162.

დარჩნენ ერთგულნი რევოლუციური იდეებისა და 1866—1869 წლების ხანაშიც განაგრძობდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლას, იყვნენ ქართველი სტუდენტებიც. ისინი, ისევე როგორც წინა წლებში, ამ დროსაც საკმაოდ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ პერიოდის რევოლუციონერთაგან განსაკუთრებით ვრცელი მასალები ჩვენ მოგვეპოვება ნიკოლოზ უიფიანისა და ვარლამ ჩერქეზიშვილის რევოლუციურ მოღვაწეობაზე. რასაც მომდევნო თავებში დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს, ამჟამად კი შევჩერდებით სიმონ წერეთლის მოღვაწეობაზე, რომელიც, დავით ღოღობერიძის მსგავსად, სტუდენტთა საიდუმლო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელთაგანი ჩანს.

1866 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში მესამე განყოფილებაში შესულა შემდეგი შინაარსის უსახელო დასმენა:

„თქვენო აღმატებულებავ! სტუდენტ წერეთელს ბევრი რამ აქვს საეჭვო და მასთან წინათ იკრიბებოდა ბევრი სხვადასხვა პირი, შესაძლოა დამნაშავენიც. ის ცხოვრობს მე-5 ხაზზე, შმიდტის სახლში“.[1]

დასმენას ადევს თვით ჟანდარმთა შეფის შემდეგი რეზოლუცია: „გაიგეთ წერეთლის ვინაობა, 2 მაისი“. ამ ბრძანების შესასრულებლად მაშინვე მიუღიათ ზომები და უკვე ექვს მაისს მესამე განყოფილებაში ასეთი დოკუმენტი (ცნობა) შეუდგენიათ:

„აქაური უნივერსიტეტის სტუდენტი წ ე რ ე თ ე ლ ი, რამდენადაც ჯერჯერობით შესაძლებლობა გვქონდა გაგვეგო, ცხოვრობს ვასილიევის კუნძულის მე-5 ხაზზე, შმიდტის სახლში, ბინაში, სადაც მის გარდა კიდევ 25 სტუდენტი ცხოვრობს.

წარმოშობით ის კავკასიის მხრიდანაა და უნივერსიტეტში სარგებლობს კარგი სტუდენტის რეპუტაციით, ამხანაგებში კი — კეთილი, მაგრამ ცოტა პოეტური კაცის სახელით.

მასთან მცხოვრები სტუდენტები ხშირად ქეიფობაში ატარებენ დროს, მაშინ, როცა წერეთელი მუდამ შინ იმყოფება და განსაკუთრებული სიყვარულით სწავლობს ისტორიას.

როგორც წერეთელზე, ისე ხსენებულ ბინაზე მეთვალყურეობა გრძელდება“.[2]

ასე მოექცა ცარიზმის პოლიტიკური პოლიციის მეთვალყურეო-

[1] ЦГИАМ, ф. 109, секр. архив, опись 1 ,д. 1508, 1866 г. л. 4.

[2] იქვე.

ბის ქვეშ სტუდენტი სიმონ წერეთელი. არ გასულა დიდი დრო, რომ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. 11 მაისს უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარის გრაფ მურავიოვის განკარგულებით მოულოდნელად გაჩხრიკეს და დააპატიმრეს პეტერბურგის სტუდენტ-რევოლუციონერთა ერთი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ივანე შაპეცკი, ალექსეი პრავოშინსკი, ლუჩინცევი და სხვები. დაპატიმრებულებს ჩამოართვეს მრავალი პირადი წერილი, რომლებშიც ნახსენები იყვნენ მათი თანამოაზრენი; ამას გარდა მკაცრი დაკითხვის დროს ზოგიერთი დაპატიმრებულთაგანი იძულებული გახდა დაესახელებია თავისი თანამებრძოლნი, რამაც მურავიოვის კომისიას საშუალება მისცა მიზანში ამოეღო მრავალი ახალი მსხვერპლი, რომელთა შორის აღმოჩნდა უკვე აქამდეც პოლიციის მიერ ეჭვმიტანილი სიმ. წერეთელი.

12 მაისს ბრალდებულმა პრავოშინსკიმ აღიარა: „მე დეპუტატად ვიყავი 1865 წლის მაისსა და სექტემბერში... სხვა წრეებიდან დეპუტატები იყვნენ: პეტრუნკევიჩი, გალოპოლსკი, ჩაიკოვსკი, ანანოვი, წერეთელი, მესხი,[1] ხორდოროვიჩი... 12-მდე წრე იყო“.[2]

რამდენიმე დღის შემდეგ დაპატიმრებულმა სტუდენტებმა კვლავ დაასახელეს ს. წერეთელი, როგორც მათი ამხანაგი და თანამებრძოლი. სტუდენტმა ივანე ფოინიცკიმ 20 მაისს დაკითხვაზე აჩვენა: „მე უბედური დეპუტატად ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გამოუცდელობის გამო და კრებებზე ვესწრებოდი მარტიდან აპრილის შუამდე... ჩემ დროს კრებები იყო კუზნეცოვთან, წერეთელთან და ხამაშურიძესთან“[3].

იმავე დღეს მეორე ბრალდებულმა, სტუდენტმა ა. ვაკულენკომ აჩვენა: ბიბლიოთეკა ინახება შენატანებით თვითეულისაგან თვეში 10 (ათი) კაპ. ვერცხლით. ბიბლიოთეკარად წინათ ანანოვი იყო, მისი სიკვდილის შემდეგ „ი ბიბლიოთეკა გადავიდა წერეთლის[4] ხელში და ამჟამადაც მასთან იმყოფება“[5].

---

[1] აქ როგორც ჩანს იგულისხმება სერგეი მესხი.

[2] ЦГИАМ, ф. 95, опись I, д. 300, 1866 г., л. 9.

[3] იქვე, ფურც. 47.

[4] საქმეში არის ცნობა იმის შესახებ, რომ „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, თბილისის მოქალაქე იოსებ ივანეს ძე ა ნ ა ნ ო ვ ი გარდაიცვალა 1866 წლის 1 აპრილს (იქვე, ფ. 18). მაგრამ ირკვევა, რომ წერეთლის ხელში ბიბლიოთეკა გადასულა ჯერ კიდევ ანანოვის სიცოცხლეში,—ამ უკანასკნელის ავად გახდომის დროიდან.

[5] იქვე, ფურც. 36.

ამ ცნობების მიღების შემდეგ კომისიამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ მიეტანა იერიში სიმ. წერეთელზე. და იმავე დღეს პოლიციამ თავს დაესხა მის ბინას. გაჩხრეკის აქტში, რომელიც საქმეში ინახება. ნათქვამია, რომ ს. წერეთლის ბინა და ნივთები გულმოდგინედ (тщательно) იქნა დათვალიერებული, ხოლო წერილები და სხვადასხვა ბრალდება ჩამოერთვა და დაილუქა უმაღლეს კომისიაში წარსადგენადო.

1866 წლის 21 მაისს მურავიოვის კომისიის წინაშე წარდგა თვითონ ბრალდებული ს. წერეთელი, რომელსაც მაშინვე ჩამოართვეს ჩვენება. პირველი დაკითხვის დროს მას შემდეგი შვიდი კითხვა დაუსვეს: „აგვიხსენით: 1) წრეების შექმნის მიზანი; 2) რას ნიშნავს სიტყვა გაერთიანება, რომელიც ნახმარია სალაროს წესდებაში; 3) ვინ შეადგინა წესდება და ყველა წრისთვის ეს ერთი წესდება იყო თუ არა; 4) გარეშე პირთაგან ვინ ესწრებოდა დეპუტატების კრებებს; 5) რა დამოკიდებულება გაქვთ ნიკოლკისთან, ველიამოვიჩთან და ბელოპოლსკისთან, და რატომ იყვნენ ისინი თქვენს ბინაში მიმდინარე წლის მარტში დეპუტატთა კრების დროს. რაზე იყო ლაპარაკი ამ სხდომაზე და დასახელებულ პირებს გარდა კიდევ ვინ იყვნენ? 6) იცოდა, თუ არა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ან ხელისუფლების სხვა ორგანოებმა წრეების არსებობის შესახებ? 7) როგორ შეიქმნა ბიბლიოთეკა, რა სახსრები გქონდათ და წიგნები ვინ შემოგწირათ“.[1]

სიმ. წერეთელმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მისი ამხანაგები დაპატიმრებული არიან და, მაშასადამე, კომისიას შესაძლებელია უკვე ჰქონდა თვით მის შესახებაც გარკვეული ცნობები, ამიტომ თავიდანვე აღიარა ზოგიერთი ფაქტი, სახელდობრ, რომ მასთან ნამდვილად იკრიბებოდნენ სტუდენტები, რომ ანანოვის შემდეგ თვითონ განაგებდა სტუდენტთა ბიბლიოთეკას და სხვ., მაგრამ იქვე შეეცადა, ამ ფაქტებისათვის მიეცა „უწყინარი“ ხასიათი: კრებებზე მხოლოდ იმაზე გვქონდა საუბარი, თუ რა დახმარება აღმოუჩინოთ გაჭირვებულ სტუდენტებს, ბიბლიოთეკაში სრულებით არ.გვქონია აკრძალული წიგნებიო და ა. შ.

პასუხის გაცემისას ს. წერეთელმა კომისიას დაუმალა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები. ასე მაგალითად, მეხუთე კითხვაზე მან უპა-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, опись I, д. 300, 1866 г., л. 57.

სუხა, რომ დასახელებული პირები მან მხოლოდ ერთხელ ნახა და ისიც არა საკუთარ ბინაში, არამედ სხვასთან (კორსაკოვთან).

მაგრამ, როგორც ჩანს, კომისიამ იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ს. წერეთელი ვარაუდობდა. ამიტომ მისმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა უმაღლესი კომისია და იგი ხელმეორედ გამოიძახეს დასაკითხავად.

„21 მაისს თქვენ აჩვენეთ,—ეუბნებიან მას,—რომ ვილიამოვიჩი და ნიკოლსკი პირველად და უკანასკნელად ნახეთ კორსაკოვთან. კომისიისათვის სავსებით ცნობილია, რომ როგორც ისინი, ისე ბელოპოლსკიც ესწრებოდნენ დეპუტატთა კრებას, რომელიც თქვენს ბინაზე ჩატარდა: აგვიხსენით, რატომ დამალეთ თქვენ მათი თქვენთან ყოფნა და რა მიზნით მოვიდნენ ისინი დეპუტატთა კრებაზე“.[1]

ამ კითხვამ ს. წერეთელი ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა. ამჯერად იგი იძულებული გახდა ეღიარებინა ზემოთ ხსენებული პირების მის ბინაში ყოფნის ფაქტი, მაგრამ როგორ უნდა აეხსნა, თუ რატომ დამალა ეს ფაქტი წინა დაკითხვის დროს? ამ მდგომარეობიდან მან დიდი გაჭირვებით დააღწია თავი მით, რომ გამოიგონა შემდეგი ძნელად დასაჯერებელი ვერსია:

„21 მაისს მე ვაჩვენე, რომ ველიამოვიჩი და ნიკოლსკი ჩემთან არ მინახავს-მეთქი. მაგრამ როცა შინ დავბრუნდი, ამხანაგებისაგან გავიგე, რომ ისინი ყოფილან, თუმცა მე მართლა არ დამინახავს იმიტომ, რომ... ყოველ წუთს გარეთ გამოვდიოდი, პაპიროსის წევისაგან ოთახში დამდგარ ცუდ, გაბოლილ ჰაერს ვერიდებოდი; თებერვლის ბოლოს მე ყელიდან სისხლი წამომივიდა, ექიმებმა გამომიცხადეს, გულ-მკერდი გაქვს დაავადებულიო, და მიბრძანეს, ხშირად ვყოფილიყავი სუფთა ჰაერზე. ამის გამო მე ვცდილობდი, რაც შეიძლება ცოტა ხანს დავრჩენილიყავი კრებებზე, ერთი წუთით შევდიოდი და მაშინვე მეორე ოთახში მივრბოდი ამხანაგთან. იმ დროს მე ძალიან მაწუხებდა ავადმყოფობა, მეტისმეტად დაბნეული და დანაღვლიანებული ვიყავი, რის გამო ისინი შესაძლოა ვერ შევამჩნიე“.[2]

ასეთ საკმაოდ უცნაურ არგუმენტაციას ძნელად თუ დაიჯერებდნენ მეფის მოხელეები, მაგრამ საქმე ის იყო, რომ სიმ. წერეთელს ჩხრეკის დროს ვერ უპოვეს მისი „დანაშაულის“ რაიმე ოდ-

[1] ЦГИАМ, ф. 95, опись I, д. 300. 1866 г., л. 60.

[2] იქვე.

ნავ მაინც დამამტკიცებელი საბუთი, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო მისი დაპატიმრება და სამართალში მიცემა. როგორც ჩანს, სიმონი მოელოდა ჩხრეკას და მოასწრო „საეჭვო“ საბუთების დროზე მოსპობა.

საქმეში დაცულია აქტი, შედგენილი იმ კომისიისაგან, რომელსაც თვით მურავიოვის დავალებით შეუსწავლია სიმ. წერეთლისათვის ჩამორთმეული ქაღალდები. ამ ქაღალდებში კომისიას საეჭვოდ მოჩვენებია ქართულ ენაზე დაწერილი[1] წერილები, რომლებიც მაშინვე გადაუციათ სანდო პირისათვის რუსულად სათარგმნად.[2] თვით წერილები, სამწუხაროდ, არ შენახულა, მათი რუსულად თარგმნილი მოკლე შინაარსიდან კი ჩანს, რომ წერილების უმრავლესობა გაგზავნილი ყოფილა საჩხერიდან და ქუთაისიდან მშობლების ძიერ, აგრეთვე ახლო ამხანაგების მიერ. ხსენებულ წერილებში მოიპოვება საინტერესო ცნობები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოს მაშინდელი ისტორიის შესასწავლად,[3] მაგრამ თითქმის არც ერთ წერილში არ აღმოჩნდა ის, რასაც მეფის მოხელეები დაეძებდნენ. აშკარაა, რომ „საეჭვო“ წერილები სიმ. წერეთელს წინასწარ მოუსპია.

ამრიგად, თითქოს ს. წერეთელის საქმე კარგად მიდიოდა, მას პეტერბურგიდან გასვლის ნებაც კი დართეს. ზაფხულში იგი ქალაქგარეთ გაემგზავრა აგარაკზე, მაგრამ სულ მალე იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო და ხელახლა წამდგარიყო უმაღლესი კომისიის წინაშე.

აი ეს როგორ მოხდა.

1866 წლის აპრილის ბოლოს პეტერბურგის ერთ-ერთი სახლის (ვასილიევის კუნძულზე, ჟუკოვის სახლის) დიასახლისმა შემთხვევით ბუხარში იპოვა რვეული, რომელსაც გარედან ეწერა „შემოსავალ-გასავლის წიგნი“, შიგ კი აღმოჩნდა რილეევის ლექსი „ახალგაზრდა თაობას“ და ამონაწერები „კოლოკოლიდან“. დიასახლისმა ნაპოვნი რვეული პოლიციას გადასცა. მაშინვე გაჩხრიკეს და დააპა-

---

[1] აქტში შეცდომით ეს წერილები მოხსენებულია სომხურად დაწერილად.

[2] წერილების მოკლე შინაარსი რუსულად უთარგმნია ვიღაც კოლეგსკი სოვეტნიკ წერეთელს.

[3] მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ვინმე სიმონ მაკუტაძის წერილი, რომელიც ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს მაშინდელი ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ტიმრეს იმ სახლის ბინადარი სამი სტუდენტი, რომელთაგან ორი აღმოჩნდა ძმები ანდრია და ალექსანდრე კუზმინები, თბილისის მკვიდრნი, რომელთაც თბილისის გიმნაზია ჰქონდათ დამთავრებული და რომლებიც უდავოდ დაახლოვებულნი იყვნენ პეტერბურგის ქართველ სტუდენტებთან, ხოლო მესამე იყო სტუდენტი პეტრე ჟუკოვი. ძმებს კუზმინებს აღმოუჩინეს მრავალი მამხილებელი საბუთი, სახელდობრ: ხელნაწერი რვეული სათაურით „Дело Н. Г. Чернышевского, официальный документ"; დობროლუბოვის, ბესტუჟევის და ოგარიოვის ლექსთა კრებული, ცხრა წერილი, რომლებშიც ლაპარაკი იყო სტუდენტთა წრეებზე, კრებებზე და სალაროებზე; გერცენის, ოგარიოვის, ჩერნიშევსკის, მიხაილოვის და სხვა გამოჩენილ რევოლუციონერთა სურათები, აგრეთვე მრავალი სხვა „საეჭვო" მასალა.[1]

დაიწყო კუზმინებისა და ჟუკოვის საქმის გამოძიება. მალე მურავიოვის კომისიამ დაადგინა, რომ ეს საქმე პირდაპირ კავშირში იყო წინათ დაპატიმრებულ სტუდენტ რევოლუციონერთა საქმესთან, კერძოდ ანანოვისა და წერეთლის არალეგალური ბიბლიოთეკის არსებობასთან (გამოირკვა, რომ ჟუკოვის სახლში წინათ ბიბლიოთეკარი ანანოვი ცხოვრობდა). ძმები კუზმინები დაკითხვებზე მტკიცედ იცავდნენ კონსპირაციის წესებს, კერძოდ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებიათ უმაღლესი კომისია, რომ ხსენებულ ბიბლიოთეკაში არ ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა, მაგრამ ასეთივე სიმტკიცე ვერ გამოიჩინა პეტრე ჟუკოვმა. ქვემოთ მოგვყავს ამონაწერი ჟუკოვის დაკითხვის ოქმიდან, რის საფუძველზეც ს. წერეთელი კვლავ დაიბარეს კომისიაში სასწრაფო ახსნა-განმარტებისათვის და დაუყოვნებლივ გაჩხრიკეს აგრეთვე მეორე ქართველი სტუდენტი ივანე ანდრონიკაშვილი. ეს ამონაწერი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ სავსებით ადასტურებს სიმ. წერეთლისა და მისი გარდაცვლილი მეგობრის იოსებ ანანოვის აქტიურ არალეგალურ საქმიანობას, კერძოდ კი მათ მიერ სტუდენტთა შორის აკრძალული რევოლუციური ლიტერატურის სისტემატურად გავრცელების ფაქტს. დაკითხვის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს თვითონ პ. ჟუკოვი, ნათქვამია:

---

1 სხვათა შორის კუზმინების გაჩხრეკის აქტში ნათქვამია, მათ აღმოაჩნდათ სამი წერილი ქართულ ენაზეო, მაგრამ თვითონ წერილები საქმეში არ ჩანს.

„1866 წლის 14 ივნისს, ს. პეტერბურგში გრაფ. მ. ნ. მურავიოვის თავმჯდომარეობით უმაღლესად დამტკიცებულ საგამომძიებლო კომისიაზე, სტუდენტმა პეტრე ჟუკოვმა მისთვის მიცემულ კითხვაზე აჩვენა.....

სტუდენტთა ბიბლიოთეკაში ნამდვილად იყო საზღვარგარეთ გამოცემული წიგნები, რადგან იგი თვითონაც ღებულობდა ბიბლიოთეკიდან ასეთ წიგნებს, სახელდობრ მან მიიღო: „ხმა რუსეთიდან", „ნამყო და ნააზრევი", „საპატიმრო და გადასახლება", „განხეთქილების შესახებ" — კელესიევის თხზულება, „ეკატერინე II ჩანაწერები" „თავად დაშკოვის ჩანაწერები" და სხვები, რომელთა სათაური აღარ ახსოვს.

აკრძალული წიგნები ბიბლიოთეკაში ყოველი თხზულების თითო ეგზემპლიარი ინახებოდა. ბიბლიოთეკარი მას წასაკითხად ყოველ მსურველს აძლევდა, მაგრამ სახელდობრ ვის მისცა და როდის, არ ვიცი. ამჟამად ეს წიგნები, ჩემი ვარაუდით, თავად ანდრონიკოვთან ინახება. ჩემი ვარაუდი ემყარება შემდეგ გარემოებას: როცა მე მოვინდომე წერეთლისაგან მიმეღო კელესიევის თხზულება „განხეთქილების შესახებ", მას ეს წიგნი სახლში არ აღმოაჩნდა და მზარეული ქალი გაგზავნა წერილით ანდრონიკოვთან. მისი მისამართია: ვისილიევის კუნძული, მე-5 ხაზი, შმიდტის სახლი, ბინა № 13... ზემოთ მოხსენებულ წიგნებს მე ანანოვი მაძლევდა ხოლმე, გარდა კელესიევის წიგნისა „განხეთქილების შესახებ", რომელიც წერეთელმა მომცა. ამასთან ორივენი, ე. ი. ანანოვიც და წერეთელიც ამტკიცებდნენ, რომ ეს წიგნები ბიბლიოთეკას ეკუთვნისო".[1]

სტუდენტ ჟუკოვის ამ აღიარებამ გამოიწვია ფიცხელი განკარგულება სიმ. წერეთლის დაუყოვნებლივ კომისიაში გამოძახებისა და ანდრონიკაშვილის გაჩხრეკის შესახებ. კვლავ ამუშავდა პოლიციის მანქანა, დატრიალდნენ ჟანდარმები. ს. წერეთელი ამ დროს ცხოვრობდა პეტერბურგის გუბერნიის, გდოვსკის მაზრის სოფელ ლეონტიევში. მის წამოსაყვანად გდოვსკის სამაზრო პოლიციის სამმართველოს 22 ივნისს გაეგზავნა შემდეგი შინაარსის განკარგულება:

„სანქტ-პეტერბურგში უმაღლესად დამტკიცებული საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარის, ინფანტერიის გენერალ გრაფ მურავი-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 286, л. 43.

ოვის ბრძანებით, მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო პოლიციის სამმართველოს, ხელწერილით დაავალდებულოთ სოფელ ლეონტიევში, მომრიგებელ მოსამართლე ორლოვსკისთან მცხოვრები, ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი თავადი წერეთელი დაუყოვნებლივ გამოცხადდეს კომისიაში, მისი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის III განყოფილების შენობაში, და მასთან ერთად თვალყური ადევნოთ მის წამოსვლას პეტერბურგში".[1]

გდოვსკის სამაზრო პოლიციის სამმართველომ ეს განკარგულება მიიღო 28 ივნისს. იმავე დღეს სიმ. წერეთელს ჩამოართვეს ხელწერილი და აიძულეს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო პეტერბურგს.

მის ჩამოსვლამდე კი გაჩხრიკეს და დაკითხეს სტუდენტი ივანე ანდრონიკაშვილი, რომლის ჩვენებამ კიდევ უფრო გაურთულა საქმე სიმ. წერეთელს.

ჩვეულებრივად სტუდენტ-რევოლუციონერთა დიდი ნაწილი დაკითხვის დროს ასეთ ტაქტიკას ადგა: აღიარებდა მხოლოდ იმას, რაც ისედაც უკვე ცნობილი იყო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის და რის დამალვასაც, მაშასადამე, აზრი აღარ ქონდა. მაგრამ ისინი ყოველთვის როდი ახერხებდნენ იმის გაგებას, თუ რა იყო ცნობილი პოლიციისათვის და რა—არა. ამიტომ ზოგჯერ პოლიციის მოხელეები ახერხებდნენ მათ შეცდენას და წამოაცდენიებდნენ ხოლმე იმაზე მეტს, რაც სტუდენტს უნდოდა მათთვის გაემხილა. იყო, რა თქმა უნდა, სულმოკლეობისა და სიმხდალის მაგალითებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში სტუდენტებს დაკითხვებზე თავი ღირსეულად ეჭირათ.

ივანე ანდრონიკაშვილს პოლიციამ გაჩხრეკის დროს „საეჭვო" ვერაფერი უპოვნა. დაკითხვაზე მან უარყო სტუდენტ პ. ჟუკოვის მიერ დასახელებული ფაქტი, თითქოს სიმ. წერეთელს მისთვის (ანდრონიკაშვილისთვის) გაეგზავნოს მზარეული ქალი თხოვნით კელესიელებს აკრძალული წიგნი გამომიგზავნეო. მაგრამ სამაგიეროდ მან თავის პასუხში ახსენა ახალი ფაქტი, რომელმაც აშკარად გაურთულა მდგომარეობა სიმ. წერეთელს. აი მისი სიტყვები: „ჰქონდათ თუ არა მათ აკრძალული წიგნები, მე არ ვიცი. მხოლოდ ერთხელ, მიმდინარე წლის მაისის დამდეგს, წერეთელი შემოვიდა ჩემთან და მკითხა,

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 300, л. 134.



თერგდალეულთა საიდუმლო ანბანი, რომელიც სიმ. წერეთლის პირად არქივში აღმოჩნდა.

სად შეიძლება დავმალოთ აკრძალული წიგნებიო, რაზედაც მე ვუპასუხე, რომ არც ერთი სულელი არ იკისრებს მათ შენახვას თქვა".[1]

სულმოკლეობა იყო ეს თუ ანდრონიკაშვილს ეგონა, რომ ისედაც უკვე იციან, ს. წერეთელს რომ ჰქონდა აკრძალული წიგნებიო, — ძნელი სათქმელია. ოღონდ მისმა ჩვენებამ, რომელმაც ფაქტიურად დაადასტურა (თუმცა არა პირდაპირ) პ. ჟუკოვის ჩვენება, უდავოდ გაურთულა საქმე ს. წერეთელს.

და როცა ეს უკანასკნელი კვლავ წარდგა კომისიის წინაშე, ამჯერად იძულებული გახდა თვითონაც ეღიარებინა, რომ აკრძალული წიგნები ბიბლიოთეკაში ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მან იშვიათი მოსაზრებულობა გამოამჟღავნა და კვლავ მოახერხა თავიდან აეცდინა დიდი საფრთხე: აკრძალული წიგნების შენახვისათვის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მან დააკისრა თავის გარდაცვლილ მეგობარს ანანოვს, რომელსაც, ცხადია, აღარაფერი მოეკითხებოდა. ეტყობა სიმ. წერეთელი მოელოდა საქმის ამგვარ გართულებას და მზად იყო ამისათვის; ამჯერად მისი პასუხი წინასწარ კარგად მოფიქრებული ჩანს.[2] გავეცნოთ ზოგიერთ ამონაწერს მისი ჩვენებიდან.

„ანანოვმა ბიბლიოთეკა. როგორც უკვე ვთქვი ჩემს წინანდელ ჩვენებაში, მიიღო რომელიღაც სტუდენტისაგან და მაშინ, როგორც ის მეუბნებოდა, იქ არ ყოფილა აკრძალული წიგნები. მე მისგან ბიბლიოთეკა ჩავიბარე 1866 წლის 3 თებერვალს და ზემოთ ხსენებული წიგნები არც მაშინ ყოფილა, მაგრამ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, ერთ-ნახევარი თუ ორი კვირით ადრე ანანოვის გარდაცვალებამდე, მე პირველად მივედი მის სანახავად და მაშინ მითხრა, რომ მას აქვს ათამდე აკრძალული საკუთარი წიგნი და სურს შესწიროს ისინი ბიბლიოთეკას. პირველად მე არ მინდოდა გამომერთმია, მაგრამ მერე

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, опись 1, д. 300, л. 132; 1866 г.

[2] შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სიმ. წერეთელი, როგორც კი პოლიციამ მას პეტერბურგიდან გასვლის საშუალება მისცა, გაემგზავრა გდოესკის მაზრაში და ცნოვრობდა მომრიგებელ მოსამართლე ორლოვსკისთან. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობა ძალიან ხშირად ამ თანამდებობაზე ნიშნავდა უნივერსიტეტიდან გამოსულ მოწინავე და განათლებულ პირებს. ვის შეეძლო სიმ. წერეთლისათვის იმ კრიტიკულ მომენტში დახმარება გაეწია რჩევა-დარიგებით, თუ არა კანონების მცოდნეს, მოსამართლეს, რომელიც, როგორც ჩანს, ამავე დროს მისი ახლო მეგობარი იყო.

წამოვიღე, დაახლოებით 7 წიგნი იყო. ანანოვის გარდაცვალებიდან დაახლოებით ორი თუ სამი კვირის შემდეგ ჩემ ჭიშკართან შემხვდა რომელიღაც მისი ნაცნობი ქალი და გადმომცა კიდევ ორი წიგნი... წასაკითხავად მე აკრძალული წიგნები არავისთვის არ მიმიცია, გარდა კელესიევის ერთი წიგნისა, რომელიც ჟუკოვს მივეცი... კითხვაზე — მივედი თუ არა მე ანდრონიკოვთან რჩევის საკითხავად, სად შევინახო აკრძალული წიგნები-თქვა, მე განვმარტავ, რომ ანდრონიკოვთან არასოდეს მილაპარაკნია იმ აკრძალულ წიგნებზე, რომლებიც მე მქონდა და ამიტომ არ შემეძლო მისთვის მეკითხა, სად შევინახო ეს წიგნები-თქო, შესაძლოა მე მას ვუთხარი რაიმე აკრძალულ წიგნებზე, რადგან ხშირად დავდიოდი მასთან, მაგრამ რომ ეს წიგნები მე მქონდა, ეს არავინ, გარდა ანანოვის ახლო ამხანაგებისა, არ იცოდა და მეც არავისთან მითქვამს. მე თავიდანვე მინდოდა მომესპო ეს წიგნები, მაგრამ ვერ ვბედავდი, რადგან ჩემი საკუთრება არ იყო და პასუხისმგებლობის მეშინოდა, მაგრამ აპრილში მე გადავწყვიტე მათი დაწვა, რადგან იმ დროს დაიწყეს ჩხრეკა... იმ ქალის გვარი, ე. ი. რომელმაც მე წიგნები გადმომცა, არ ვიცი... აკრძალული წიგნები მე დავწვი დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში ჩემი სახლის ღუმელში".[1]

როგორც დავინახეთ, სიმ. წერეთელი თავდაცვის გონიერ ტაქტიკას ადგა: ის მხოლოდ ისეთ ფაქტებს აღიარებდა (და ისიც შერბილებულად), რომლებიც ხელისუფლების ორგანოებისათვის სხვა წყაროებიდან უკვე ცნობილი იყო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მან შესძლო ბევრი რამ სავსებით დაემალა და მიუწვდომელი გაეხადა საგამომძიებლო კომისიისათვის. მაგრამ ის ფაქტებიც კი, რაც მან თვითონვე აღიარა, თუ მათ კარგად დავაკვირდებით, საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ სიმ. წერეთელი აქტიურად ყოფილა ჩაბმული სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. რა თქმა უნდა, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ რევოლუციურ სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი საიდუმლო ბიბლიოთეკა ჩაებარებინათ მხოლოდ ყველაზე საიმედო და გამოცდილი ამხანაგისათვის. არც ისაა ძნელი გასაგები, რომ სტუდენტები თავიანთ კონსპირაციულ კრებებს, რომლებზეც მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციური პროპაგანდის გაშლის გეგმებს სახავდნენ, ჩვეულებრივ აწყობდნენ

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 300, л. 135.

ისეთი სტუდენტების ბინებში, რომლებიც მათ წრეში უდავოდ ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ. ფრიად საინტერესოა სიმ. წერეთლის ის აღიარებაც, რომ აკრძალული ლიტერატურა მას მოუსპია (თუკი საერთოდ მოუსპია!) მხოლოდ აპრილის შუა ხანებში, რაც იმას ნიშნავს, რომ თვით მეფეზე თავდასხმის შემდეგაც კი, როცა მთელ პეტერბურგს მოედო ჩხრეკისა და დაპატიმრების ტალღა, ის კიდევ დიდხანს ინახავდა აკრძალულ ლიტერატურას და მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვეტა მისი მოსპობა (ან გადამალვა), რაც პოლიციამ პირადად მის შესახებ დაიწყო ცნობების შეგროვება.

დაბოლოს, ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ საინტერესო დეტალს, რომელიც აგრეთვე მაჩვენებელია სიმ. წერეთლის აქტიური არალეგალური საქმიანობისა.

იმ ქაღალდების გულდასმით გადათვალიერებისას, რომლებიც ს. წერეთლისათვის ჩხრეკის დროს ჩამოურთმევიათ, ჩვენ წავაწყდით ჟამთა სვლისაგან გაყვითლებულ ერთ პატარა ფურცელს, რომლის ორივე გვერდზე გარკვევით ჩანს უცნაური ნიშნებით თავმორთული ციფრები და ასოები (ერთ მხარეზე რუსული, მეორე მხარეზე კი ქართული). ამ ციფრებსა და ასოებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ საქმე გვაქვს ფრიად საინტერესო საიდუმლო ანბანის (შიფრის) გასაღებთან. ეს საიდუმლო ანბანი, როგორც რუსულად, ისე ქართულად აგებულია ისეთ ციფრობრივ პრინციპზე, როცა ყოველი ასო სათანადო ციფრით გამოიხატება, მაგრამ ამასთანავე ციფრებს თავზე უზის პირობითი ნიშნები (წერტილები, ტირეები, ორი წერტილები და სხ.), რაც ციფრებს სულ სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს და, ამრიგად, საიდუმლო ანბანს ძნელად ამოსაცნობს ხდის. ასე მაგალითად, თუ ციფრს „2“ თავზე დეფიზის ნიშანი უზის $\overline{\overline{2}}$), მაშინ ის უდრის რუსულ ასო „б“-ს, თუ იმავე „2“-ს თავზე ორი წერტილი უზის ($\ddot{2}$), მაშინ ის უდრის ასო „и“-ს, თუ ერთი წერტილი უზის ($\dot{2}$), მაშინ უდრის ასო „с“-ს, ხოლო თუ ტირე უზის($\bar{2}$),მაშინ კი უდრის ასო „щ“-ს.

ხსენებული ფურცლის ერთ კუთხეში,—იმ მხარეზე, საითაც რუსული შიფრია,—გაკრული ხელით ქართულად ასეთი წარწერაა: „ქეთოს ანბანი რუსული და ქართული, ისე როგორც М. Л. რუსული ანბანი“. ამ ბუნდოვანი წარწერის აზრი შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: ეს საიდუმლო ანბანი, რომლის პირობითი სახელწოდება „ქეთოს ანბანი“ ყოფილა, შეუდგენიათ რომელიღაც სხვა რუსული

საიდუმლო ანბანის მიმსგავსებით, — იმ საიდუმლო ანბანისა, რომლის სახელწოდება მოხსენებულია შემოკლებით, ან კიდევ პირობითად, ასე: „М. Л.“.

როგორც ცნობილია, 60-იანი წლების რუსი რევოლუციონერები, კონსპირაციის მიზნით, ხშირად იყენებდნენ საიდუმლო ანბანს ერთმანეთთან წერილობითი კავშირის დასამყარებლად.[1] თუმცა ჩვენ ჯერჯერობით არ გვინახავს თერგდალეულთა არც ერთი წერილი, რომელიც საიდუმლო ანბანით იყოს დაწერილი, მაგრამ რაკი ირკვევა, რომ მათაც ჰქონიათ თავიანთი საიდუმლო ანბანი, ცხადია, გამოიყენებდნენ კიდევაც.

სიმ. წერეთლისა და მისი ამხანაგების საქმის გამოძიების მასალებიდან, რომლებიც ჩვენ ხელთ გვქონდა, არ ჩანს, რით გათავდა მათი საქმე,—რა სასჯელი დაადვეს ს. წერეთელს ან მის ამ ამხანაგებს; მაგრამ თვით გამოძიების მიმართულება[2] ცხადჰყოფს, რომ იურიდიულად ძალიან ძნელი იყო სიმ. წერეთლის სამართალში მიცემა, რადგან ხელისუფლების ორგანოებს ხელთ არ ჰქონდათ არც ერთი მამხილებელი საბუთი, ხოლო ზოგიერთი ჩვენება, რომელიც მის წინააღმდეგ იყო მიმართული, მან, როგორც დავინახეთ, შედარებით ადვილად გააბათილა.

გაცილებით უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდა მისი მეგობარი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი.

ვიდრე ნიკ. ყიფიანის მოღვაწეობის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ იაკობ ისარლიშვილზე, რომელიც დაახლოებით იმავე ხანებში ჩავარდნია ხელში პოლიციას.

იაკობ პეტრეს ძე ისარლიშვილი, რომელიც 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო, სტუდენტთა მაშინდელ მღელვარებაში მონაწილეობისათვის დაუპატიმრებიათ და სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად კრონშტადტის ციხეში მჯდარა. შემდეგში ის კვლავ აღუდგენიათ უნივერსიტეტში და 1864 წლამდე პეტერბურგში ყოფილა, ხოლო შემდეგ გადასულა კი-

---

1 იხ. მაგალითად, ნ. უტინის წერილი ოგარიოვისადმი („Литературное наследство“, ტ. 62, გვ. 662, 665).

2 საქმეში არის დიდი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ბრალდებულთა დაკითხვის შინაარსი და მოცემულია მისი ანალიზი.

ევში იმ განზრახვით, რომ იქ ჩაებარებია გამოცდები კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. მაგრამ გამოცდების ჩაბარება მას, ავადმყოფობის გამო, ვერ მოუხერხებია და 1866 წელს კვლავ პეტერბურგში გამგზავრებულა. აი სწორედ აქ შემთხვევია მას ხიფათი. პეტერბურგ-ვარშავის რკინიგზის სადგურ დინაბურგში, 16 სექტემბერს, პასპორტის უქონლობის გამო ის დაუკავებიათ და გაუჩხრეკიათ. მის ჩემოდანში პოლიციას აღმოუჩენია გერცენის, ოგარიოვის და ერთი რომელიღაც დეკაბრისტის სურათი, აგრეთვე სურათი კრონშტადტის ციხეში დაპატიმრებული ქართველი სტუდენტების ჯგუფისა, რომელშიც თვით ისარლიშვილიც შედიოდა. ეს საკმარისი აღმოჩენილა იმისათვის, რომ ი. ისარლიშვილი დაეპატიმრებიათ და რამდენიმე თვის განმავლობაში ეწარმოებინათ დეტალური გამოძიება მისი პიროვნებისა და საქმიანობის დასადგენად.[1]

საქმიდან ჩანს, რომ პატიმარი ი. ისარლიშვილი ჯერ ქალაქ ვილნოში გაგზავნეს, სადაც მის საქმეს ვილნოს სამხედრო ოლქის საგამომძიებლო კომისია ირკვევდა, ხოლო ოქტომბრის შუა რიცხვებში ჟანდარმის თანხლებით პეტერბურგში გაამგზავრეს და მისი საქმე მთავრობის უმაღლეს საგამომძიებლო კომისიას გადასცეს. გამოძიების მასალებიდან ჩანს, რომ დაკითხვებზე ისარლიშვილს საკმაოდ გონივრული ტაქტიკა აურჩევია და მოხერხებული პასუხი გაუცია გამომძიებელთა კითხვებზე. ამასთანავე დაპატიმრების პირველ დღეებშივე მოუხერხებია წერილების გაგზავნა პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისათვის, კერძოდ დავით ღოღობერიძისათვის თხოვნით, გამონახეთ ნაცნობები და აღმომიჩინეთ ყველა შესაძლებელი დახმარებაო, რაც, როგორც ჩანს, მეგობრებმა კიდევაც შეუსრულეს.

დამახასიათებელია ასეთი დეტალი: შეკითხვაზე, თუ რატომ ინახავდი გერცენისა და ოგარიოვის პორტრეტებსო, ისარლიშვილმა უპასუხა, მე არც კი ვიცოდი, თუ ამ სურათებზე გერცენი და ოგარიოვია გამოხატულიო; არც ის ვიცი, თუ საიდან მოხვდა ის ჩემ ქაღალდებში, — ალბათ ეს პორტრეტები ჩემი გარდაცვლილი ბიძაშვილის ივანე ისარლიშვილის საკუთრება იყო და შემთხვევით მოხვდა ჩემ წიგნებსა და რვეულებშიო. იმავე დროს დავით ღოღობერიძისადმი გაგზავნილ წერილში ის წერდა[2]: „აქ დინაბურგის ვაგზალში ხელბარ-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 2, д. 396.

[2] დ. ღოღობერიძის პირადი წერილების კოლექცია, ფ. 200.

გი გამიშინჯეს და ისკანდერის,[1] კრონშტადტის ჯგუფისა და ერთი დეკაბრისტის პორტრეტი მიპოვეს და ამისათვის აქ შემაყენეს.“ აქედან ცხადია, რომ მან, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, ვის პორტრეტებსაც ინახავდა.

1866 წლის ნოემბერში ისარლიშვილი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს. საქმიდან არ ჩანს, რომ მას მაინცდამაინც აქტიური მონაწილეობა მიეღოს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. მაგრამ უკვე ის ფაქტიც, რომ 1866 წლის 4 აპრილის გასროლის შემდეგაც კი, ის თან ატარებდა გერცენის, ოგარიოვის, ერთ-ერთი დეკაბრისტისა და კრონშტადტის ციხეში გადაღებული სტუდენტ-რევოლუციონერთა ფოტოსურათებს, ნათელყოფს მის მაშინდელ განწყობილებას, მის აზრებსა და მისწრაფებებს.

ახლა შევუდგეთ ნიკოლოზ ყიფიანის მოღვაწეობის გადმოცემას.

4. თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა. ნიკოლოზ ყიფიანის რევოლუციური მოღვაწეობა.

1868 წლის ზაფხულში პეტერბურგის პოლიციამ დააპატიმრა ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ივანე პენკოვსკი, რომელიც ჯერ კიდევ 1865 წელს იყო დასჯილი რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ამ პენკოვსკის არ ჰქონდა პეტერბურგში ცხოვრების უფლება, არალეგალურად იყო ჩასული დედაქალაქში და სწორედ ეს იყო მიზეზი მისი დაპატიმრებისა. მაგრამ გაჩხრეკის დროს პენკოვსკის უპოვეს ცნობილი რევოლუციონერის მიხაილოვის სურათი და რამდენიმე საეჭვო წერილი, რომელთა ავტორი იყო არალეგალურ რევოლუციურ წრეებთან დაკავშირებული ქალიშვილი ეკატერინე სოლოდოვნიკოვა. პოლიციამ დაუყოვნებლივ გაჩხრიკა ეს უკანასკნელიც და სწორედ მის ქაღალდებში წააწყდა პირველად ნიკ. ყიფიანის რევოლუციური მოღვაწეობის კვალს.

მესამე განყოფილების მიერ ამ საქმის გამო შედგენილ ვრცელ მოხსენებაში, რომელიც უმაღლეს საგამომძიებო კომისიას 1868 წლის 17 სექტემბერს წარედგინა, ნათქვამია: „ქალბატონი სოლოდოვნიკოვაც გავჩხრიკეთ და, სხვათა შორის, წამოვიღეთ... 5) ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის, თბილისის გუბერნიის თა-

[1] ისკანდერი — გერცენის ფსევდონიმია.

ვად-აზნაურთა წინამძღოლის შვილის ნიკოლოზ ყიფიანის წერილი, ვიშნი-ვოლოჩევსკში მცხოვრებ სტეფანე ალექსანდრეს ძე მერკუშევის სახელზე თხოვნით გადაეცა ბატონი ჩერქეზოვისათვის (ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის (?) ყოფილი სტუდენტი თავადი ჩერქეზოვი). ამ წერილში, სხვათა შორის, ლაპარაკია კავკასიელ სტუდენტთა შეკრებებზე, აქ კავკასიელ სტუდენტთა გაერთიანების მიზნით".[1]

როგორც კი პოლიციას ხელში ჩავარდნია ნიკ. ყიფიანის წერილი ვ. ჩერქეზიშვილისადმი, მაშინვე დასხმია თავს მის ბინას და გაუჩხრეკია. როგორც ჩანს, ნ. ყიფიანისათვის ეს ჩხრეკა მოულოდნელი ყოფილა და მას ვერ მოუსწრია მამხილებელი საბუთების მოსპობა. ამით უნდა აიხსნას, რომ მესამე განყოფილებას ხელში ჩავარდნია საკმაოდ მდიდარი ნადავლი. ამის შესახებ მესამე განყოფილების ზემოთ უკვე ხსენებულ მოხსენებაში ნათქვამია:

„ყიფიანს ჩხრეკის დროს უპოვეს: 1) სალაროს წესდება; 2) სია მოსწავლეთა ქართული სალაროს დამფუძნებელი წევრებისა და იმ წევრებისა, რომლებიც სალაროს დაარსების შემდეგ იყვნენ შეყვანილი; 3) სალაროს იმ წევრთა სია, რომლებიც ესწრებოდნენ მოლარისა და მისი მოადგილის არჩევის დროს; 4) წრეების დეპუტატთა ანგარიში სალაროს მდგომარეობის შესახებ; 5) ყიფიანის წერილი წრეების დეპუტატთა კრებისადმი იმ ბრალდების გამო, რომ მან დაარღვია მოლარის მოადგილის მოვალეობანი; 6) მოლარე ჯაფარიძის წინადადება სალაროს წევრებს და 7) ყიფიანის წერილი მამისადმი სალაროს მოწყობის ირგვლივ. გარდა ამისა ნაპოვნია: „კოლოკოლის" 1867 წლის № 233 და 234; ამონაწერები „პოლიარნაია ზვეზდიდან"; სტატია „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი" თარგმანი გერცენის ჟურნალიდან La Cloche; ხელნაწერი „ჩვენი ოჯახური საქმეები"; ა. სერნო-სოლოვიევიჩის პასუხი გერცენს; ბროშურა „Lettre a M. le President du soidisart congres de la paix, par le prince Piere Dolgoroukov;" დახეული კონვერტი, რომელზედაც სხვა გამოცანებთან ერთად არის შემდეგი: ვინ ახრჩობს ყოველთვის ადამიანებს — მეფე; ვინ დასცინის ყოველთვის ღარიბებს — ღმერთი; ვინ არიან ყოველთვის ჭკუიანი ადამიანები — ისინი, ვისაც ახრჩობენ და გადასახლებაში გზავნიან; სად იმყოფებიან ყოველთვის კარგი ადამიანები — ციმბირში; როდის იქნება უკეთესი ცხოვრება —

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, опись 1, д. 427, 1868 г., л. 3.

როცა მეფეები აღარ იქნებიან; მარსელიოზის თარგმანი ქართულ ენაზე; პარიზის მუშებისადმი სენ-სიმონის სიტყვის თარგმანი; მიხაილოვისა და პრუდონის პორტრეტები, ტუშით ნახატი; სხვადასხვა ქაღალდები ქართულ ენაზე; სხვადასხვა ფოტოსურათები, რომელთა შორის არის ჩერნიშევსკის, მიხაილოვისა და პისარევის სურათები".[1]

ნ. ყიფიანისა და მისი თანამოაზრეების გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი მთელი მამხილებელი მასალა სათანადო მოხსენებითურთ მესამე განყოფილებამ გადაუგზავნა უმაღლეს კომისიას, რომელიც გულდასმით გაეცნო საქმეს და 1868 წლის 28 სექტემბერს დაადგინა: „ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლოზ ყ ი ფ ი ა ნ ი იმავე უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ვასილ ს უ ფ შ ი ნ ს კ ი და კოლეჟსკი ასესორის ქალიშვილი ეკატერინე ს ო ლ ო დ ო ვ ნ ი კ ო ვ ა, დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნან".[2]

საქმეში არის ცნობა, რომ ეს დადგენილება დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი.[3] ნ. ყიფიანი ჩაუმწყვდევიათ პოლიციის საპატიმრო სახლში როჟდესტვენსკის ქუჩაზე. ამავე დროს ნ. ყიფიანისთვის ჩამორთმეული, ქართულ ენაზე დაწერილი ქაღალდები კომისიას გადაუცია სათარგმნად და „განსაკუთრებული სიფრთხილით შესამოწმებლად".[4]

დაიწყო დაპატიმრებულთა უაღრესად მძიმე და ხანგრძლივი დაკითხვები. საქმეში მოიპოვება მეტისმეტად საინტერესო, დეტალურად შედგენილი დაკითხვის ოქმები, საიდანაც თვალნათლივ წარმოგვიდგება ნიკოლოზ ყიფიანისა და მისი მეგობრების აქტიური რევოლუციური მოღვაწეობის სურათი. მართალია, თვით ნ. ყიფიანი და მისი დაპატიმრებული თანამოაზრენი ყოველნაირად ცდილობენ უარყონ თავიანთი საქმიანობის პოლიტიკური ხასიათი და არბილებენ, აფუჩეჩებენ უმნიშვნელოვანეს ფაქტებს, რათა შეიმსუბუქონ მდგომარეობა, მაგრამ ნ. ყიფიანის პასუხებიდან, ისევე როგორც მრავალრიცხოვანი მამხილებელი საბუთებიდან, კარგად ჩანს მისი და მისი მეგობრების საქმიანობის ნამდვილი ხასიათი, მათი ფიქრები და გრძნობები, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალები.

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 3-4.
[2] იქვე, ფ. 13.
[3] იქვე, ფ. 16.
[4] იქვე, ფურც. 11.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმები, რომლებიც რუსეთის მაშინდელი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობითაა შედგენილი, უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტებია, საიდანაც კარგად ჩანს არა მარტო ნიკოლოზ ყიფიანის, არამედ XIX საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველი სტუდენტობის რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილება და მოქმედება. ამიტომ ჩვენ თავს ნებას მივცემთ ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით გადმოვცეთ ამ ოქმების შინაარსი. ამასთან ზოგჯერ მოგვიხდება გრძელი ამონაწერების მოყვანა არა მარტო ბრალდებულთა პასუხებიდან, არამედ ბრალმდებელთა შეკითხვებიდანაც, რადგან ზოგჯერ შეკითხვები, გარკვეული მიზეზების გამო, გაცილებით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, ვიდრე პასუხები.

ნ. ყიფიანის დაკითხვა დაიწყო 8 ოქტომბრის (1868 წ.) ამაზე ადრე დაკითხეს მისი თანამოაზრენი ვასილ სუფშინსკი, ეკატერინე სოლოდოვნიკოვა და სხვები. რამდენადაც ამ უკანასკნელთა დაკითხვის ოქმებშიც მოიპოვება საინტერესო ცნობები ქართველი სტუდენტების საქმიანობის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია, ვიდრე ნ. ყიფიანის დაკითხვის შინაარს გადმოვცემდეთ, გაკვრით მაინც შევეხოთ მათ.

ვ. სუფშინსკის, რომელიც 2 ოქტომბერს დაკითხეს, სხვათა შორის, ასეთი კითხვაც მისცეს: „იცნობთ თუ არა თქვენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს ნიკოლაძეს, რა ვითარებაში გაეცანით მას, როგორი დამოკიდებულება გაქვთ მასთან, და სად იმყოფება იგი ამჟამად".[1] სუფშინსკიმ გადაჭრით უპასუხა, ნიკოლაძეს არ ვიცნობო. კომისიამ ასეთივე კითხვებით მიმართა სხვა ბრალდებულებსაც. მაგალითად, 7 ოქტომბერს დაკითხულ ივანე პენკოვსკის კომისიამ დაჟინებით მოთხოვა ეღიარებინა, იცნობდა თუ არა ის ცნობილ რევოლუციონერს, ემიგრანტ მ. ელპიდინს და მის მეგობარს ნ. ნიკოლაძეს და რა ურთიერთობა ჰქონდა მათთან. პენკოვსკიმ აღიარა, რომ იცნობდა და ახლო ურთიერთობაშიც იყო მ. ელპიდინთან, ვიდრე ეს უკანასკნელი რუსეთში ცხოვრობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ემიგრაციაში წავიდა, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვიტეო. რაც შეეხება ნიკოლაძეს, მას სრულებით არ ვიცნობო. ბუნებრივად ისმება კითხვა: რით იყო გამოწვეული უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის ასეთი დაინტერესებულობა ნ. ნიკოლაძის პიროვ-

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, д. 427, л. 24.

ნებით? ცნობილია, რომ ნიკოლაძე იმ ხანებში საზღვარგარეთ იმ-ყოფებოდა და მ. ელპიდინთან და რუსეთის სხვა ემიგრანტ რევო-ლუციონერებთან ერთად, აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. როგორც მესამე 'განყოფილებისა და უმაღლესი კომისიის საქმეებიდან ირკვევა, ხელისუფლებას სე-რიოზული ეჭვი ჰქონდა, რომ ნ. ყიფიანის თანამოაზრენი, კერძოდ კი ეკატ. სოლოდოვნიკოვა დაკავშირებული იყო საზღვარგარეთ მყოფ რევოლუციონერებთან, სახელდობრ ნ. ნიკოლაძესთან. რომ ასეთი ეჭვი მართლაც არსებობდა, ეს ჩანს უმაღლესი კომისიის 5 ოქ-ტომბრის სხდომის ოქმიდან, რომელშიც ნათქვამია „III. კ ო მ ი ს ი-ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა: იმის გამო, რომ აუცილებელია შევადაროთ ხელი ერთ-ერთი წერილისა, რომელიც სოლოდოვნიკოვას ქალმა მიიღო საზღვარგარეთიდან... ეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს გადმოგ-ზავნოს დედანი აქაური უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის ნიკო-ლოზ ნიკოლაძის თხოვნისა მისთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე“.[1]

აქედან ცხადია, თუ რატომ იყო დაინტერესებული უმაღლესი კომისია პეტერბურგში დაპატიმრებულ რევოლუციონერთა კავში-რით ნ .ნიკოლაძესთან. მესამე განყოფილების საქმეებში მრავალი სხვა მასალაც მოიპოვება, საიდანაც ჩანს, რომ იმ პერიოდში ნ. ნი-კოლაძეს მთავრობა უაღრესად საშიშ რევოლუციონერად სთვლიდა. მაგრამ ამ მასალებზე და ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთულ მოღვაწე-ობაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი, ახლა კი დავუბ-რუნდეთ ისევ ნ. ყიფიანის თანამოაზრეთა დაკითხვას.

ეკ. სოლოდოვნიკოვას დაკითხვის ოქმში ქართველი მკითხველი-სათვის განსაკუთრებით საინტერესოა საგამომძიებლო კომისიის ის კითხვები, რომელიც ნიკოლოზ ყიფიანისა და ვარლამ ჩერქეზიშვი-ლის ურთიერთობას და ქართველი სტუდენტების შეკრებებს შეეხე-ბა. მოგვყავს კითხვების ეს ნაწილი მთლიანად: „ვინ არის ვიშნი ვო-ლოჩეკში მცხოვრები სტეფანე ალექსანდრეს ძე მერკუშევი, რომ-ლის სახელზეც თქვენ აღმოგიჩნდათ ნიკოლოზ ყ ი ფ ი ა ნ ი ს წერილი ყოფილ სტუდენტ ჩ ე რ ქ ე ზ ო ვ ი ს ა დ მ ი გადასაცემად. როდის, სად და რა ვითარებაში გაეცანით თქვენ მერკუშევს, ვინ არის იგი და როგორია თქვენი დამოკიდებულება მისდამი და ჩერქეზოვისადმი?

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 449, Журналы, т. 5, я. 2, л. 101.

დიდი ხანია თუ არა იცნობთ ამ უკანასკნელს, და რატომ იკისრეთ ყიფიანსა და ჩერქეზოვს შორის შუამავლის როლი, როგორც ეს ჩანს ხსენებული წერილიდან, რომელიც იწყება სიტყვებით: „კატერინა ალექსანდრეს ასულმა გუშინ გადმომცა თქვენი წერილი“.

აგვიხსენით აგრეთვე ყველაფერი, რაც თქვენთვის ცნობილია ჩერქეზოვისადმი ყიფიანის წერილის შინაარსის ირგვლივ, აქაურ ქართველ სტუდენტთა შეკრებების შესახებ, რა მიზნით იკრიბებოდნენ, ვისთან, სად, როდის, ხშირად თუ არა, და რას ლაპარაკობდნენ ამ შეკრებებზე“.[1]

ე. სოლოდოვნიკოვა დაკითხვაზე თავდაჭერილი იყო და თითქმის ყველაფერს უარყოფდა, რისი უარყოფაც ოდნავ მაინც შეიძლებოდა. ზემოთ ხსენებულ კითხვებზე მან უპასუხა, მერკუშევს სრულიად არ ვიცნობო, ნ. ყიფიანს და ვ. ჩერქეზიშვილს მართალია ვიცნობ, მაგრამ არც ისე ახლოსო და მათი მიწერ-მოწერის შინაარსზე წარმოდგენაც არა მაქვსო; ქართველი სტუდენტების შეკრებებზეც არაფერი ვიციო.

ერთი სიტყვით, არც სოლოდოვნიკოვამ და არც სხვა დაპატიმრებულმა რევოლუციონერებმა ქართველ სტუდენტთა მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობაზე, მათ საიდუმლო შეკრებებზე და სხვ. საგამომცემლო კომისიას არსებითად არაფერი გაუმხილეს. ასევე უშედეგო გამოდგა კომისიის ცდა მიეღო მისთვის ესოდენ საჭირო ცნობები ვ. ჩერქეზიშვილისაგან, რომელიც კომისიაში გამოძახებულ იქნა ახსნა-განმარტებისათვის. ვ. ჩერქეზიშვილი თავის პასუხებში შეეცადა დაერწმუნებია კომისია, რომ ქართველ სტუდენტთა შეკრებებს და მათ საიდუმლო სალაროს სრულიად უწყინარი მიზანი ჰქონდა, სახელდობრ: მატერიალური დახმარების გაწევა ღარიბი სტუდენტებისათვის. თავის თავზე კი ვ. ჩერქეზიშვილმა ის სთქვა, რომ სავსებით ლოიალურად ვარ განწყობილი მთავრობის მიმართ და ვერიდები მონაწილეობა მივიღო ისეთ საქმიანობაში, რომელიც პოლიციის მიერ ნებადართული არ არისო. აი მისი სიტყვები:

„მიმდინარე 1868 წლის იანვარში, ყიფიანმა წინადადება მომცა შევსულიყავი კავკასიელ სტუდენტთა სალაროში. მე მას ვკითხე, რა სალაროა და ნებადართულია თუ არა უფროსებისაგან? ამაზე მან მიპასუხა, რომ სალარო მიზნად ისახავს გაუწიოს ფულადი დახმა-

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 49.

რება გაჭირვებულ ამხანაგებს. რაც შეეხება ნებართვას. თუმცა ის ჯერ არა გვაქვს, მაგრამ ყველა ზომაა მიღებული და იმედია ნებართვას მივიღებთო. მე ვიყავი მარტო ორ კრებაზე, რომლებზეც მსჯელობდნენ, როგორ შეიძლება მივაღწიოთ ნებართვის მიღებას, რომ სალარომ იარსებოსო და საჭიროა თუ არა დავაარსოთ ბიბლიოთეკაო. მაგრამ რადგან ბოლოს და ბოლოს გარკვევით ვერ თქვეს მოახერხებენ თუ ვერა ნებართვის მიღებას, ხოლო ბიბლიოთეკის დაარსებას იქ, სადაც ყოველი მსურველისათვის ღიაა უნივერსიტეტის, საჯარო და ბევრი კერძო ბიბლიოთეკის კარი, მე უადგილოდ ვთვლიდი, და კრებებიც არ იყო დაზღვეული იმისაგან, რომ პოლიციას საშიშად მიეჩნია, ამიტომ უკვე მეორე კრების შემდეგ მე ვითხოვე გამოვეყვანეთ წევრთა შემადგენლობიდან და დავაბრუნე ის 10 მანეთი, რომელიც სესხად წავიღე. იყო თუ არა შემდეგ კრებები და სახელდობრ რანაირი, მე არ ვიცი, რადგან თვითონ აღარ ვესწრებოდი და სხვებისთვისაც მათ შესახებ არაფერი მიკითხავს".[1]

მართალია, სურათი, რომელსაც აქ ვ. ჩერქეზიშვილი უხატავს ხელისუფლების წარმომადგენლებს როგორც ქართველ სტუდენტთა სალაროს საქმიანობის, ისე პირადად მისი საკუთარი განწყობილებისა და მოქმედების დასახასიათებლად, სინადვილესთან შორს იყო, მაგრამ გამოძიებას მის წინააღმდეგ იმ დროს ჯერ კიდევ არ გააჩნდა რაიმე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მასალა და ამით აიხსნება, რომ ვ. ჩერქეზიშვილი იმხანად გადაურჩა დაპატიმრებას. უფრო მეტიც: ვ. ჩერქეზიშვილის და მასთან ერთად დანარჩენი ბრალდებულების თავდაჭერილმა პასუხებმა ქართველ სტუდენტთა სალაროს და ბიბლიოთეკის ირგვლივ უდავოდ შეამსუბუქეს ნ. ყიფიანის ბრალდებათა სიმძიმეც, თუმცა ამ უკანასკნელის მდგომარეობა მაინც ძალიან სერიოზული რჩებოდა.

ნ. ყიფიანის დაკითხვა, როგორც ითქვა, 8 ოქტომბერს დაიწყო, პირველსავე დაკითხვაზე მას დაუსვეს 17 ვრცელი კითხვა, საიდანაც ჩანს, რომ საგამომძიებლო კომისიას საკმაოდ სრული ინფორმაცია ჰქონია ნ. ყიფიანის არალეგალურ მოღვაწეობაზე.

პირველი კითხვა შეეხება ნ. ყიფიანისა და მისი ოჯახის ვინაობის გარკვევას: პასუხიდან ჩანს, რომ იმ დროს ნიკოლოზი 22 წლის ყოფილა. პეტერბურგში ჩასულა დაპატიმრებამდე 4 წლით ადრე:

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 123-124.

აქედან ორი წელი მოუნდომებია უნივერსიტეტში შესასვლელად მზადებისათვის, ხოლო ორი წელი უკვე სტუდენტი ყოფილა. პასუხიდან ჩანს აგრეთვე, რომ მამამისი, — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, — იმ დროს კვლავ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის (წინამძღოლის) პოსტზე ყოფილა, ხოლო უმცროსი ძმა, კოტე ყიფიანი, — ცხოვრობდა მოსკოვში იმ მიზნით, რომ მომზადებულიყო უნივერსიტეტში შესასვლელად.

მეორე კითხვით ნ. ყიფიანისაგან მოითხოვენ დაწერილებით ჩამოთვალოს, თუ სად, ვის ბინებში ცხოვრობდა იგი პეტერბურგში ყოფნის დროს. პასუხიდან ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ნიკოლოზს ერთხანს უცხოვრია თავისი ბიძაშვილის დავით ყიფიანის ნათესავებთან. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ დავით ყიფიანი ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციური საქმიანობის აქტიური მონაწილე იყო, საფუძველი გვექნება ვიფიქროთ: ნიკოლოზის რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე უშუალო გავლენა შესაძლოა სწორედ დავით ყიფიანმა მოახდინა.

მესამე კითხვით გამომძიებლები ნ. ყიფიანს ავალებენ დაწერილებით ჩამოთვალოს, ვინ და ვინ არიან პეტერბურგში, რუსეთის სხვა ქალაქებში ან საზღვარგარეთ მისი ნაცნობები. პასუხად ნ. ყიფიანი ამბობს: პეტერბურგში ვიცნობ ჩემი მიწა-წყლის ხალხს, უნივერსიტეტის ამხანაგებს, სტუდენტებს პოლტორაცკის, ხამაშურიძეს, მაჩაბელს, ლორთქიფანიძეს, შანშიევს, იოანესიანს, ერისთავს, ჯაფარიძეს, რაზუმოვსკის, ფიცხელაურს და სხვებსო; ვიცნობ აგრეთვე ყოფილ სტუდენტებს, რომლებმაც შარშან ან შარშანწინ დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და ამჟამად ამიერკავკასიაში იმყოფებიანო, სახელდობრ — ალექს. პოლტორაცკის, არწრუნს, ენიკოლოფოვს, ლიხაჩევს, ჟღენტს, უმიკოვს, ანდრონიკაშვილს, მესხს; სხვა პირებიდან ვიცნობ პეტერბურგში მყოფ ფლიგელ-ადიუტანტს თავად ალ. ორბელიანს, რომელსაც ვხვდებოდი ხოლმე ქალბატონ დადიანისა და თავად მინგრელსკის ოჯახშიო, აგრეთვე—კავკასიის კომიტეტის ყოფილ უფროსს ბუტკოვს, მამაჩემის მეგობარს ჩიქოვანს და სხვებსო. სხვა ქალაქებში ვიცნობ ვორონცოვის ქვრივს (ოდესა), ელის. ნაზაროვას (სამარა) და სხვებს. ბოლოში მიმატებულია: ჩვე-

ნი მხრის ხალხიდან, რომლებიც ამჟამად აქ იმყოფებიან, კიდევ ვიცნობ ვ. ჩერქეზიშვილსო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავის ნაცნობთა შორის ნ. ყიფიანი არ ასახელებს არც სიმონ წერეთელს და არც დავით ღოღობერიძეს, თუმცა ირკვევა, რომ ორივენი მისი უახლოესი მეგობრები ყოფილან.[1] ეს უთუოდ იმით აიხსნება, რომ წერეთელი და ღოღობერიძე პოლიციას აღრიცხვაზე ყავდა აყვანილი, როგორც მეტად „საეჭვო" პირები და ცხადია, მათთან ნაცნობობის აღიარება არც ნიკოლოზისათვის იქნებოდა ხელსაყრელი და არც ხსენებული მისი მეგობრებისათვის. ნ. ყიფიანი, ეტყობა, მარტო ისეთ ნაცნობებს ასახელებდა, რომლებიც პოლიციის თვალში ნაკლებ ეჭვებს გამოიწვევდა. რაც შეეხება ვ. ჩერქეზიშვილს, ის არ შეიძლებოდა ნ. ყიფიანს არ დაესახელებია თავის ნაცნობთა შორის, რადგან უთუოდ იცოდა, რომ მასთან მიწერილი მისი საკუთარი წერილი პოლიციას უკვე ხელთ ჰქონდა.

შემდეგი რამდენიმე კითხვა შეეხება სხვადასხვა, პოლიციისათვის ცნობილ რევოლუციონერებთან, მათ შორის მ. ელპიდინთან ნ. ყიფიანის დამოკიდებულების გამორკვევას, ხოლო მეშვიდე, მერვე და მეცხრე კითხვები — ქართველ სტუდენტთა სალაროს და მის წესდებას, რომელიც, როგორც ითქვა, ნ. ყიფიანს ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს. პასუხებში ნ. ყიფიანი გადაჭრით უარყოფს გ. ელპიდინთან და სხვა რუს რევოლუციონერებთან თავის კავშირს, ხოლო ქართველ სტუდენტთა სალაროს საქმიანობას ხატავს მხოლოდ როგორც ღარიბი ქართველი სტუდენტებისათვის მატერიალური დახმარების გაწევისაკენ მიმართულ უწყინარ ღონისძიებებს.

ძალიან საინტერესოა მეათე კითხვა და მისი პასუხი. კითხვა ასეთია (მოგვყავს მთლიანად): „ვინ თარგმნა და რა მიზნით „La Cloche"-ს 1864 წ. I-ლი ნოემბრის № 50-დან სტატია: „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი". როდის, ვის მიერ, სად და რა გზით იყო ნაშოვნი „კოლოკოლის" ეს ფურცელი? სად არის და ვის აქვს იგი ამჟამად?"[2]

---

[1] ეს მტკიცდება თვით ნიკოლოზის, აგრეთვე მისი ძმის ,ოტეს პირადი წერილებით, რომლებიც მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება. იხ. ЦГИАМ, ф. 109, оп. 214, д. 492, л. 242; აგრეთვე — ф. 95, оп. 2, д. 213, л. 7.

[2] ЦГИАМ, ф. 95, опись 1, д. 427, л. 99.

ამ კითხვაზე ნ. ყიფიანი ასეთ კარგად მოფიქრებულ პასუხს აძლევს (მოვგყავს მთლიანად):

„ეს სტატია „La Cloche“-ს № 50-დან მე ვთარგმნე. რაიმე განსაკუთრებული მიზანი თარგმნისა არ მქონია, ეს მე გავაკეთე უბრალოდ ჩემთვის და ვარჯიშობის მიზნით. ჩემს მიერ ნათარგმნი რვეულში მქონდა და არ მახსოვს, რომ ვინმესთვის მიმეცეს წასაკითხავად. რუსული ენა მე ისე კარგად არ ვიცი, რომ ჩემი თარგმანისათვის მნიშვნელობა მიმეცა. ფრანგული ენა მე კიდევ უფრო ცუდად ვიცი. მე მრცხვენოდა ვინმესთვის მეჩვენებინა ჩემი ნავარჯიშევი. „კოლოკოლის“ ფურცელი, რომელშიც მოთავსებული იყო ხსენებული სტატია, სხვა აკრძალულ გამოცემებთან ერთად, მე დამიტოვა ჩემმა ამხანაგმა ბოსტაევმა, საიმპერატორო მედიკო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტმა, რომელიც გარდაიცვალა, რამდენადაც მახსოვს, ამა წლის დამდეგს, ე. ი. სწორედ იმ დროს, როდესაც მე ვცხოვრობდი ვასილევის კუნძულზე, მე-9 ხაზზე, ქალბატონ გრიგორიევას ბინაში, რეხენბერგის სახლში. სად იშოვნა და რანაირად იგი ბოსტაევმა, მე არ ვიცი, რადგან მას არ დაუსახელებია ჩემთვის თავისი ნაცნობები, რომლებიც აქ მას ბევრი ჰყავდა. ეს ფურცელი ამჟამად დამეკარგა“.[1]

ამრიგად, ნ. ყიფიანი თვითონვე აღიარებს, რომ მან გერცენის „კოლოკოლიდან“ სთარგმნა ვრცელი სტატია, სათაურით „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი“, რომელიც თავიდან ბოლომდე მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსისაა და დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატის მოღვაწეობის არსებითად სწორ შეფასებას იძლევა. მაშასადამე, ჩვენს წინაშე იშლება ასეთი საინტერესო სურათი: ნ. ჩერნიშევსკის გასამართლებისა და ციმბირში გადასახლების შემდეგ, მას შემდეგ, რაც რევოლუციონერები თავს დაესხნენ მეფე ალექსანდრე მეორეს და მთელ რუსეთში სასტიკი თეთრი ტერორი დამყარდა, თვით პეტერბურგში, სადაც მესამე განყოფილების აგენტები სტუდენტთა ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ, ნ. ყიფიანი ფრანგულიდან რუსულ ენაზე თარგმნის ვრცელ, აშკარად რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილ სტატიას რუსეთის მაშინდელ რევოლუციონერთა ბელადზე, სტატიას, რომელიც ნამდვილი საბ-

[1] ЦГИАМ, ф. 95, опись 1, д. 427, л. 99.

რალმდებლო აქტია მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ეს მეტად საინტერესო ფაქტია!

რაც შეეხება ნ. ყიფიანის პასუხის დანარჩენ ნაწილს, აქ ყველაფერი, როგორც ჩანს, გამოგონილია. მაგალითად, რა დასაჯერებელია, თითქოს მას ხსენებული სტატია რაიმე გარკვეული მიზნის გარეშე, უბრალოდ ფრანგულ ენაში გასავარჯიშებლად ეთარგმნოს?! განა ცოტა მოიპოვებოდა მაშინდელ პეტერბურგში ნებადართული ფრანგული ლიტერატურა, რომლის თარგმნა და, მაშასადამე, ფრანგულ ენაში რამდენიც ადამიანს ნებავდა ვარჯიში, არავითარი პოლიტიკურ საფრთხეს არ წარმოადგენდა!

ასევე ძნელად დასაჯერებელია ვერსია ბოსტაშვილისაგან აკრძალული წიგნების მიღებისა. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთ ხერხს,—მიცვალებული ამხანაგებისათვის პასუხისმგებლობის გადაბრალებას — ყიფიანზე ადრე მიმართეს სიმ. წერეთელმა და ი. ისარლიშვილმა. როგორც ჩანს, მაშინდელ რევოლუციონერებში ეს ხერხი ფართოდ ყოფილა გავრცელებული და პოლიციის ბრჭყალებისაგან თავის დაძვრენის ერთ-ერთ ნაცად საშუალებად მიჩნეული.

გადავიდეთ მეთერთმეტე კითხვაზე, რომელიც აგრეთვე მეტისმეტად საინტერესოა. მოგვყავს კითხვაც და მისი პასუხიც მთლიანად.

„ვის მიერ, როდის, სად და რა მიზნით ითარგმნა ქართულ ენაზე რევოლუციური სიმღერის „მარსელიოზის“ პირველი სტროფი? ვისგან მიიღეთ ამ სიმღერის დედანი. და სად ინახება იგი ამჟამად?“[1]

ამაზე ნ. ყიფიანი პასუხობს: „რევოლუციური სიმღერის „მარსელიოზის“ პირველი სტროფის თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია ჩემს მიერ ამ ორი წლის წინათ პეტერბურგში. მისი თარგმნისას მე არაფერი არ მქონია მხედველობაში, რადგან ვიცოდი, რომ მისი დაბეჭდვა არ შეიძლებოდა. ეს სიმღერა მე ზეპირად ვიცოდი. ის მე ვისწავლე ფრანგებისაგან,. რომელთა შორის ბევრი ნაცნობი მყავდა. მათ შორის მე შემიძლია დავასახელო საფრანგეთის ქვეშევრდომი M. Charlet, რომელსაც მე ხშირად ვხვდებოდი ამ სამი წლის წინად დომინიკას კაფეში, ნევის პროსპექტზე რომაა, ყაზანის ტაძრის პირდაპირ. მე და ის მაშინ ხშირად ვთამაშობდით ბილიარდს და, როგორც იტყვიან, კარგი კამპანია .გვქონდა. მე ის დიდი ხანია ალარ შემხვედრია და ვფიქრობ, რომ პეტერბურგიდან გაემგზავრა“.[2]

---

[1] ЦГИАМ, ф. 25, оп. I, д. 427, л. 100.

[2] იქვე.

აქედან ჩვენ ვტყობილობთ უაღრესად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: ევროპისა და რუსეთის რევოლუციონერთა უკვდავი ჰიმნი „მარსელიოზა“ ქართულ ენაზე ამეტყველებულა ჯერ კიდევ 1866 წელს.[1] მ. ტორეზის სიტყვით, „მარსელიოზა“ რევოლუციური მასების ნებისყოფისა და გმირობის მკაფიო გამოხატულებაა, იგი თვით რევოლუციაა. ეს სიმღერა, — როგორც სამართლიანად აღნიშნა ნ. ხრუშჩოვმა ამას წინად, საფრანგეთში ყოფნის დროს, — ხალხის თავისუფლებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებდა არა მარტო საფრანგეთის სახელოვან რევოლუციონერთა ბატალიონებს, არამედ აგრეთვე რუსეთის დემოკრატებსა და რევოლუციონერებს. დღეს ჩვენთვის ნათელია, რომ ამ უკანასკნელთა შორის ჯერ კიდევ 60-იან წლებში იყვნენ ქართველი დემოკრატები და რევოლუციონერები, რომლებიც ღირსეულად ითვისებდნენ ევროპისა და რუსეთის მოწინავე იდეებს და თავდადებით იბრძოდნენ ხალხის თავისუფლებისათვის.

ნ. ყიფიანის ზემოთ მოყვანილი პასუხიდან კარგად ჩანს ის ატმოსფერო, რომლებშიც ახალგაზრდა ქართველი რევოლუციონერები მოღვაწეობდნენ პეტერბურგში ყოფნის დროს. ნ. ყიფიანს მრავალი ფრანგი მეგობარი ჰყოლია და მათგან ზეპირად დაუსწავლია „მარსელიოზა“. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ხსენებული ფრანგი რევოლუციონერებისაგან ის არა მარტო „მარსელიოზას“ შეისწავლიდა, არამედ იმ აკრძალულ, რევოლუციურ ლიტერატურასაც მიიღებდა, რომლის ერთი ნაწილი, როგორც ზემოთ დავინახეთ, პოლიციამ ჩაიგდო ხელში.

ზემოხსენებულ პასუხში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ნ. ყიფიანის მოსაზრებულობა, რაც ასე დამახასიათებელია მისთვის მთელი ამ დაკითხვის დროს: ის ასახელებს მარტო იმ ფრანგის გვარს, რომელიც პეტერბურგიდან უკვე წასული ყოფილა და რომელსაც, მაშასადამე, პოლიცია ვეღარ მისწვდებოდა, დანარჩენებზე კი სრულიად არაფერს ამბობს.

მეთორმეტე და მეცამეტე კითხვები შეეხება ვ. ჩერქეზიშვილისადმი ნ. ყიფიანის მიერ გაგზავნილი წერილის შინაარს. გამომძიებ-

---

[1] საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის უკანასკნელი (მეორე) გამოცემის ცნობით, „მარსელიოზა“ რუსეთში გავრცელებულა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში (ტ. 26, გვ. 381).

ლები ხედავენ, რომ ეს წერილი მთლიანად რევოლუციური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ამის დამტკიცება ფორმალურად ძნელია, რადგან ნ. ყიფიანს გაუთვალისწინებია ცენზურის საფრთხე და საგანგებოდ შერჩეული ბუნდოვანი და ორაზროვანი გამოთქმები უხმარია, რომელთა აზრი მარტო ადრესატისათვის იქნებოდა საკვლევით გასაგები. გავეცნოთ ამ საინტერესო კითხვებს და მათ პასუხებს.

მეთორმეტე კითხვის შინაარსი ასეთია (მოგვყავს შემოკლებით): „ეკატ. სოლოდოვნიკოვას ქაღალდებში აღმოჩნდა თქვენი (ნ. ყიფიანის) წერილი ვ. ჩერქეზოვისადმი, რომელშიც ლაპარაკია პეტერბურგში მყოფი ქართველი ახალგაზრდობის გაერთიანების აუცილებლობაზე, სალაროზე, შეკრებებზე; თქვენ უკმაყოფილებას გამოთქვამთ იმის გამო, რომ ხშირად უსაგნო კამათში იხარჯება სტუდენტების დრო; „უსაყვედურებთ რა ამის გამო ქართველ ახალგაზრდობას, თქვენ ამბობთ: „სალარო თავისთავად მე მაინტერესებს, როგორც ახალგაზრდობის ორგანიზაციული გაერთიანების ატრიბუტი“... ქართველი ახალგაზრდობის რა ორგანიზაციულ გაერთიანებაზეა ლაპარაკი ამ წერილში? რა მიზანი უნდა ჰქონოდა დასახული ასეთ ორგანიზაციას?“[1]

ნ. ყიფიანი უპასუხებს (მოგვყავს შემოკლებით): „ახალგაზრდობის ორგანიზაციულ გაერთიანებად მე ვგულისხმობდი ახალგაზრდობის ისეთ მდგომარეობას, როგორშიც ის იმყოფებოდა სტუდენტთა 1862 წლის[2] არეულობამდე. მე წინადადებას ვიძლეოდი, რომ ახალგაზრდობას შეექმნა კორპორაციები და ეს კორპორაციები უნდა დაყოფილიყვნენ ცალკეულ ნაწილებად, როგორც ეს გერმანიისა და დერპტის უნივერსიტეტებში არსებობს“.[3] მერე ლაპარაკობს სტუდენტთა ამ კორპორაციების მიზანზე, რაც თითქოს იმაში მდგომარეობდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე ეშუამდგომლა სტუდენტებისათვის სხვადასხვა შეღავათები, მატერიალური დახმარების, სწავლის ფულის შემცირებისა და სხვა მისთანების სახით.

ამ პასუხიდან აშკარაა, რომ ყიფიანი ცდილობს სტუდენტთა

---

[1] ЦГИАМ, ф. 25, опись I, д. 427, л. 101.

[2] დედანში ასეა. უნდა იყოს 1861 წ.

[3] იქვე, ფურც. 101.

ორგანიზაციებს ხელისუფლების წარმომადგენელთა თვალში ჩამოაშოროს პოლიტიკური სარჩული და ყველაფერი ახსნას ვითომდა სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ზრუნვით. მაგრამ მის კარგად შენიღბულ პასუხშიც კი აშკარად გამოსჩვივის ის პოლიტიკური მიზნები, რომელსაც ის სტუდენტთა ორგანიზაციებს უსახავდა; მაგალითად, ის ამბობს: ახალგაზრდობის ისეთი გაერთიანება მინდოდა, როგორიც იყო სტუდენტთა 1861 წლის მღელვარებამდეო. ეს განცხადება გამიზნული იყო მეფის ჩინოვნიკების დასამშვიდებლად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ 1861 წლამდე პეტერბურგის სტუდენტობა მთავრობისადმი ლოიალური იყო და მათ ორგანიზაციებს პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია. მაგრამ დღეს ჩვენ კარგად ვიცით და იმდროინდელმა მოწინავე სტუდენტებსაც (მათ შორის ნ. ყიფიანმაც) კარგად იცოდნენ, რომ სტუდენტთა ორგანიზაციები (წრეები, სალაროები, სამკითხველოები) ჯერ კიდევ 1861 წლის მღელვარებამდე დიდი ხნით ადრე გადაიქცნენ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის ცენტრებად. ჩვენ ვიცით კერძოდ, რომ ქართველ სტუდენტთა წრეში, რომელსაც ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, გატაცებით მსჯელობდნენ „სოვრემენიკის“ პოლიტიკურ სტატიებზე და საქართველოს ეროვნულ ტკივილებზე; რომ ამ წრის წევრები სისტემატურად დადიოდნენ ჩერნიშევსკის ოჯახში, რომელიც მაშინდელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი შტაბის როლს ასრულებდა და ა. შ. მაშასადამე, ნ. ყიფიანი ახერხებდა თავისი გონივრული პასუხით მეფის ჩინოვნიკებიც ცოტად თუ ბევრად დაემშვიდებინა და საკუთარი რწმენისათვისაც არ ეღალატნა; თავისი მრისხანე, მაგრამ გონებაჩლუნგი ბრალმდებლების წინაშე ის დამშვიდებული სინდისით აცხადებდა: ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების საქმის გამგრძელებელი ვარო!

მაგრამ თუ მეთორმეტე კითხვის პასუხი ცოტად თუ ბევრად დამაჯერებლად უნდა მოსჩვენებოდათ მეფის მოხელეებს, სამაგიეროდ მომდევნო მეცამეტე კითხვის პასუხი, ვფიქრობთ, მათთვისაც დაუჯერებელი იქნებოდა.

მეცამეტე კითხვა ასეთია (მოგვყავს მთლიანად): „იმავე წერილში ჩერქეზოვისადმი ნათქვამია: თქვენ დიდ პატივს დებთ მათ (ახალგაზრდებს), როცა ამბობთ, რომ ისინი გამოიჩენენ მზადყოფნას გააკეთონ საქმე, გამოიჩენენ სიმტკიცეს და არ მოერიდებიან

ცეცხლს, როცა გაისმება ხმა და როცა გამოჩნდება ადამიანი, რომელიც წინ გაუძღვება მათ.

გაისარჯეთ, რაც შეიძლება დაწვრილებით აგვიხსნათ ამ ფრაზის ნამდვილი აზრი. რა საქმე მოელოდა ქართველ ახალგაზრდობას, რის გულისთვისაც მას უნდა გამოეჩინა სიმტკიცე და არ მორიდებოდა ცეცხლს? რა მიზანს ისახავდა იგი და რატომაა მისი მიღწევისათვის აუცილებელი, რომ გაისმას ხმა და გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც წინ გაუძღვება ახალგაზრდობას? რა მიზნისაკენ უნდა წაიყვანოს მან ახალგაზრდობა?".[1]

აქ კითხვა-იმგვარად არის დასმული და მოტანილ ფრაზაში ისე აშკარად გამოსჭვივის, რაზედაცაა ლაპარაკი ჩერქეზიშვილ-ყიფიანის მიწერ-მოწერაში, რომ თითქოს ნ. ყიფიანს აღარ გააჩნია თავის დაძვრენის არავითარი საშუალება, მაგრამ ის მაინც ბოლომდე ერთგული რჩება ერთხელ არჩეული ტაქტიკისა და გამომძიებელთა თვალსახვევისათვის თავი არ დაუნებებია: ის ყოველნაირად ცდილობს, როგორმე აიცდინოს და ვ. ჩერქეზიშვილსაც ააცდინოს პოლიტიკური ბრალდება. „ეს სიტყვები, — ამბობს იგი პასუხში, — შეიძლება გავიგოთ ცუდი აზრითაც, როგორც ყოველგვარი მყვირალა სიტყვები, როგორც ყოველგვარი მყვირალა ფრაზა. მაგრამ მე მგონია, რომ ჩერქეზოვი გულისხმობდა შემდეგს (მე, ჩემის მხრით, ასე მესმოდა იგი): ახალგაზრდობა გამოიჩენს მზადყოფნას აკეთოს საქმე. საქმედ მე ვგულისხმობდი მას, რომ ახალგაზრდობა დაიწყებდა ზრუნვას, თხოვნას, მოთხოვნას თავისი საუნივერსიტეტო უფროსებისაგან იმის უფლებისას, რომ მოეწყო შეკრებები და ემსჯელა თავის საჭიროებებზე... საჭირო იყო, როგორც მე მეჩვენებოდა, რომ ვინმეს ამ ახალგაზრდობიდან აემაღლებია ხმა და დაერწმუნებია თავისი ამხანაგები, ყოველივე ეს აუცილებელიაო. უნივერსიტეტის სტუდენტობა ძალიან არა მეგობრულად ღებულობს ამგვარ წინადადებებს... უფროსები თავის მხრით ასევე მკაცრნი არიან. და ამიტომ ისინი, ვინც გაბედავდა გამოეწვია ცუდი დამოკიდებულება ან დევნაც კი განეცადა ამხანაგების მხრივაც და უფროსების მხრივაც. ეს იგივე იქნებოდა, რომ ისინი ცეცხლში წასულიყვნენ".[2]

ამნაირი „ახსნა", რა თქმა უნდა, თვალს ვერავის აუბამდა, მაგ-

---

[1] ЦГИАМ, ф. 25, оп. I, д. 427, л. 102.

[2] იქვე.

რამ საქმე ისაა, რომ იურიდიულად მაინც მეტად ძნელია ზემოთ ხსენებული მიწერ-მოწერის საფუძველზე პოლიტიკური ბრალდების დასაბუთება, რადგან წერილში პირდაპირ არსად არ არის დასახელებული ნამდვილი მიზანი, რომლისთვისაც რევოლუციური სტუდენტობა ცდილობდა შეექმნა სათანადო ორგანიზაცია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგამომძიებლო კომისია შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა აგრეთვე ვ. ჩერქეზიშვილზე, რათა იძულებული გაეხადა იგი, ეღიარებინა ზემოთ ხსენებული წერილის ნამდვილი აზრი, მაგრამ ვ. ჩერქეზიშვილიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მისი პასუხი თუმცა განსხვავდება ნ. ყიფიანის პასუხისაგან (რაც აგრეთვე იმის მაუწყებელია, რომ სიმართლეს ორივე მალავდა), მაგრამ არსებითად ისიც არაფერს შეიცავს პოლიციისათვის ხელმოსაკიდებელს.[1]

შემდეგი, მეთოთხმეტე კითხვიდან, რომელიც მეფის ჩინოვნიკებმა დაპატიმრებულ ნ. ყიფიანს დაუსვეს, ჩვენ ვგებულობთ კიდევ ერთ ფრიად საინტერესო ამბავს. კითხვა შეეხება დიდი ფრანგი სოციალისტ-უტოპისტის სენ-სიმონის რომელიღაც ნაშრომიდან ნაწყვეტის რუსულად თარგმნას ნ. ყიფიანის მიერ. აი ეს კითხვაც: „როდის და რა საჭიროებისათვის გადათარგმნეთ თქვენ რუსულად წარმოდგენილი ნაწყვეტი სენ-სიმონის სიტყვიდან მუშებისადმი? ვის გამოართვით ამ სიტყვის დედანი, და სად ინახება იგი ამჟამად“?[2]

ეს კითხვა იმგვარადაა დასმული, რომ აშკარაა, კომისიას უკვე სცოდნია, ვინც იყო სენ-სიმონის ხსენებული სიტყვიდან ნაწყვეტის მთარგმნელი. ამიტომ ნ. ყიფიანმა, რაკი სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უყოყმანოდ აღიარა, ხსენებული ნაწყვეტი დაახლოებით ერთი წლის წინათ მე ვთარგმნეო. რაც შეეხება თარგმნის მიზანს, ამაზე მან თავისი ჩვეულებრივი ტაქტიკის შესაბამისად უპასუხა: „არავითარი საჭიროება ამ სიტყვის გადათარგმნისა მე მხედველობაში არ მქონდა. ეს გავაკეთე უბრალოდ ვარჯიშობისათვის“.[3]

დიახ, ეს შესაძლოა მართლაც ვარჯიშობა იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ფრანგული ენის შესასწავლად, როგორც ნ. ყიფიანი კომისიას არწმუნებს, არამედ — ფრანგული სოციალიზმის შესასწავ-

---

[1] ЦГИАМ, ф. 25, опись I, д. 427, л. 122-124.

[2] იქვე, ფ. 103.

[3] იქვე, ფურც. 103.

ლად; ეს იყო გონების ვარჯიშობა იმ ქართველი ახალგაზრდობისა,— თერგდალეულებისა, რომლებიც, ილიას სიტყვით, მთელი ოთხი წელიწადი იყვნენ თავის ქვეყანას მოშორებულნი, შორეულ რუსეთში გადახვეწილნი, რათა იქ თავის ტვინსა და გულში გამოენასკვათ ძვირფასი კვირტი მომავალი ცხოვრებისა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ახალგაზრდა თერგდალეულები მარტო გონების ვარჯიშობას როდი სჯერდებოდნენ, ისინი რევოლუციონერები იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ გაევრცელებიათ ხალხში რევოლუციური და სოციალისტური იდეები ძველი წყობილების დასამხობად.

ჩვენთვის დღეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ სენ-სიმონის ხსენებული სიტყვის რუსულად თარგმნა ჩვენი თანამემამულის მიერ იყო არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ სავსებით კანონზომიერი და შეგნებული ნაბიჯი, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობდა ნ. ყიფიანისა და მისი თანამოაზრეების მაშინდელი მოღვაწეობის ხასიათიდან და რომელიც აქტიურად უპასუხებდა იმდროინდელი რუსეთის რევოლუციური პროპაგანდის ამოცანებს.

ამ აზრის საილუსტრაციოდ ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ სენ-სიმონის ხსენებული ნაწარმოების შესახებ და აგრეთვე გავეცნოთ თვით ნ. ყიფიანის თარგმანს.

აღსანიშნავია, რომ ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმიდან არ ჩანს, არც ხსენებული ნაწყვეტის შინაარსი და არც ის, თუ სენ-სიმონის რომელი ნაწარმოებიდან (თუ სიტყვიდან) არის იგი ნათარგმნი, მაგრამ ამის დადგენა მაინც მოხერხდა. იმ ქაღალდების გადათვალიერებისას, რომელიც პოლიციას ნ. ყიფიანისთვის ჩამოურთმევია, ჩვენ წავაწყდით ერთ ფურცელზე წვრილი ხელით რუსულად ნაწერ ტექსტს, რომელიც იწყება სიტყვებით: „Друзья! в Англии много ученых“. ეს ტექსტი არქივის საქმეში აღნუსხულია როგორც ნ. ყიფიანის საკუთარი თხზულება, მაგრამ როგორც გამოირკვა, არქივარიუსებს უნებლიე შეცდომა მოსვლიათ.[1] სინამდვილეში, — რო-

---

1 ასევე შეცდომით .იყო მოსკოვის ცენტრალური საისტორიო არქივის საქმეში ჩანიშნული, თითქოს ნ. ყიფიანია ავტორი სტატიისა Николай Гаврилович Чернышевский, რომელიც — როგორც ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმიდან აშკარად ჩანს, — „კოლოკოლის“ ფრანგული გამოცემიდანაა ნ. ყიფიანის მიერ ნათარგმნი. ეს შეცდომა ადგილზევე ადვილად გასწორდა. ამჟამად კი ვასწორებთ არქივის მუშაკთა ზემოთ ხსენებულ მეორე უნებლიე შეცდომას..

ვორც ეს სენ-სიმონის ნაწერების გულდასმით გადათვალიერებამ დაგვანახა, — სწორედ ეს ტექსტი აღმოჩნდა სენ-სიმონიდან თარგმნილი ნაწყვეტი, რომელზეც ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმშია ლაპარაკი.

სენ-სიმონის იმ ნაწარმოებს, რომლიდანაც ჩვენს თანამემამულეს ჯერ კიდევ 1867 წელს უთარგმნია ზემოთ ხსენებული მეტად საინტერესო ნაწყვეტი, სახელად ჰქვია „Письма женевского обитателя к современникам".[1] ეს არის სენ-სიმონის პირველი დიდი ნაწარმოები, რომელიც გამოქვეყნდა 1803 წელს და რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი ძირითადი სოციალისტური იდეები.[2] ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნ. ყიფიანს ხსენებული ნაწარმოების თარგმნა დაუწყია არა თავიდან, არამედ იმ ადგილიდან, რომელიც რუსეთის იმპერატორის ტირანობას და რუსი გლეხის დაბეჩავებულ მდგომარეობას შეეხება; ეს გარემოება უდავოდ ადასტურებს იმ აზრს, რომ ნ. ყიფიანს სენ-სიმონის თარგმნისთვის ხელი მოუკიდია არა ფრანგული ენის სიყვარულით, არამედ სრულიად გარკვეული პოლიტიკური მიზნით. მკითხველის დასარწმუნებლად მოგვყავს ხსენებული ნაწყვეტი მთლიანად:

„მეგობრებო!

ინგლისში ბევრია მეცნიერები. ზრდილობიანი ინგლისელები მეცნიერებს უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე მეფეებს. ინგლისში ყველამ იცის წერა-კითხვა, ანგარიში; და იქ ყველანი, ჩემო მეგობრებო, ქალაქის მუშებიც და სოფლის მუშებიც კი, ყოველ დღე ხორცს სჭამენ, ლუდს სვამენ და კარგ ტანისამოსს იცვამენ.

რუსეთში კი მეცნიერს, რომელიც რაიმე მიზეზის გამო არ მოეწონება იმპერატორს, ცხვირს და ყურებს სჭრიან და ციმბირში ასახლებენ. რუსეთში გლეხები ისევე უმეცარნი არიან, როგორც მათი ცხენები; და აი, რუს გლეხებს არ ყოფნით სასმელ-საჭმელი, არა აქვთ საკმარისი ტანსაცმელი და მათ ხშირად ჯოხის ცემით უმასპინძლდებიან.

---

[1] Сен-Симон, Избранные сочинения. 1948 г., т. I, гл. 125.

[2] ნაწარმოებს ძირითადად წერილების ფორმა აქვს, მაგრამ ზოგჯერ სენ-სიმონი სიტყვის ფორმითაც მიმართავს თავის მკითხველებს, ამით აიხსნება, რომ ნ. ყიფიანის დაკითხვის ოქმში ზემოხსენებულ ნაწყვეტს იხსენიებენ როგორც სენ-სიმონის სიტყვიდან ნათარგმნს.

დღემდე მდიდრები მარტო იმას აკეთებდნენ, რომ თქვენზე ბრძანებლობდნენ; აიძულეთ ისინი განათლდნენ და გასწავლონ თქვენ; ისინი აიძულებენ თქვენს ხელებს იმუშაონ მათთვის, თქვენ კი აიძულეთ მათი თავები იმუშაონ თქვენთვის. გაუწიეთ მათ სამსახური და გაანთავისუფლეთ ისინი საშინელი მოწყენილობისაგან; ისინი თქვენ ფულს გიხდიან, თქვენ კი გადაუხადეთ პატივისცემით; პატივისცემა ძალიან ძვირფასი მონეტაა და მადლობა ღმერთს, რომ ღარიბებს ის ცოტა მაინც გააჩნიათ. დახარჯეთ ეს მონეტა, თქვენს განკარგულებაში რომაა, და თქვენი ხვედრი მაშინვე გაუმჯობესდება.

იმისათვის, რომ თქვენ იგრძნოთ, რა დიდმნიშვნელოვანია ჩემი რჩევის განხილვა და დაინახოთ სარგებლობა, რაც შეიძლება მოჰყვეს იმ პროექტის განხორციელებას, რომელსაც მე კაცობრიობას ვთავაზობ, — ჩემთვის აუცილებელია ზოგიერთი რამ დეტალურად გადმოგცეთ, მაგრამ მარტო ისეთი დეტალებით შემოვიფარგლები, რომელნიც მე აუცილებლად მიმაჩნია".[1]

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტის შინაარსი ნათლად გვიჩვენებს, რომ ნ. ყიფიანის თარგმანის მიზანს საერთო არაფერი ჰქონია ფრანგული ენის შესწავლასთან; ეს ნაწყვეტი თავისი შინაარსით უაღრესად მწვავე პოლიტიკური ბრალდებაა მეფის რუსეთის მთავრობისადმი, ის ნამდვილი პროკლამაციაა, რომელსაც შეეძლო გარკვეული სამსახური გაეწია მაშინდელი რევოლუციური აგიტაციის ამოცანებისათვის.

მეთხუტმეტე და მეთექვსმეტე კითხვებით გამომძიებლები ცდილობენ გაიგონ: საიდან იშოვნა ან რა მიზნისათვის სჭირდებოდა ნ. ყიფიანს „კოლოკოლის" ორი ფურცელი, აგრეთვე აკრძალული ფრანგული ბროშურები, რომლებიც მას ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს; ვისი ხელითაა გადაწერილი ან სად იშოვნა ა. სერნო-სოლოვიევიჩის

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 2, д. 355, л. 3, 1868 г.; საფიქრებელია, რომ ნ. ყიფიანის მიერ სენ-სიმონიდან თარგმნილი ნაწყვეტის მოცულობა ამაზე გაცილებით მეტი იყო, მაგრამ შესაძლოა იგი მთლიანად არ შენახულა. ასეთი ვარაუდისათვის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება: აქ მოტანილი ნაწყვეტიდან არ ჩანს, საიდანაა ის თარგმნილი და ძნელი დასაჯერებელია, რომ მეფის მოხელეები მარტო ამ ნაწყვეტის მიხედვით მიხვედრილიყვნენ, რომ ის სწორედ სენ-სიმონის „სიტყვის" თარგმანია.

სტატია „Наши домашние дела“[1] „ვის აკითხებდა ამ ფურცლებსა და ბროშურებს; ვინ დახატა პრუდონისა და მიხაილოვის პორტრეტები, საიდან შეიძინა ისინი და აგრეთვე ჩერნიშევსკის ფოტოგრაფიული სურათი ნ. ყიფიანმა, და ა. შ.

ნ. ყიფიანი ყველა ამ კითხვას უპასუხებს მიკიბულ-მოკიბულად და გამოგონილი ამბებით ცდილობს შეარბილოს კითხვების სიმძიმე, გამოაცალოს მათ პოლიტიკური სარჩული. მაგრამ მის პასუხებში მაინც აშკარად გამოსჩვივის ის მიზანი, რისთვისაც ინახავდა იგი აკრძალულ ლიტერატურას და გამოჩენილ რევოლუციონერთა პორტრეტებს. საინტერესოა, რომ ნ. ყიფიანი აქ კვლავ მიმართავს თავის ნაცად ხერხს, — გარდაცვლილი მეგობრისადმი ყველაზე მძიმე „დანაშაულის“ გადაბრალებას. ის ამბობს: „ჩემთან ნაპოვნი „კოლოკოლის“ ორი ფურცელი, აგრეთვე ფრანგული ბროშურა, რომელშიც მოთავსებულია თავად დოლგორუკოვის წერილი და სერნო-სოლოვიევიჩის სტატია „ჩვენი შინაური საქმეები“ სხვა წიგნებთან და ნივთებთან ერთად შეკრული, ამა წლის დასაწყისში დამიტოვა ჩემმა ამხანაგმა სტუდენტმა ბოსტაევმა. ეს ფუთა ბოსტაევმა, რომელიც ჩემთან ორ დღეს იყო, კლინიკაში წასვლისას დამიტოვა და მთხოვა შემინახე, ვიდრე კლინიკაში ვიქნებიო... როცა ბოსტაევი გარდაიცვალა, მისი ნივთები მე დავიტოვე. სერნო-სოლოვიევიჩის სტატია, ჩემი ფიქრით, ბოსტაევის ხელით არის დაწერილი“.[2]

კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ნ. ყიფიანის მიერ აქ მონათხრობი ამბავი მართალია (რაც საშუალებას მოგვცემს რევოლუციონერ ქართველ სტუდენტთა რიგებს კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი, უდროოდ გარდაცვლილი ბოსტაშვილი მივუმატოთ), მაინც არ გვექნება ცოტად თუ ბევრად სერიოზული საფუძველი დავამციროთ თვით ნ. ყიფიანის როლი ზემოხსენებული რევოლუციური ლიტერატურის შენახვისა და გავრცელების საქმეში. ნ. ყიფიანის პასუხიდან

---

[1] ეს სტატია, როგორც ცნობილია, ასახავს ა. გერცენთან რუსეთის ახალგაზრდა ემიგრაციის უთანხმოების მომენტს. ის გამოცემული იყო ცალკე ბროშურის სახით. მისი გადმოწერა ნ. ყიფიანის მიერ მოწმობს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა იჩენდა ევროპაში მყოფი რუსი ემიგრანტების რევოლუციური საქმიანობისადმი. ამ საკითხს, — ქართველი სტუდენტების ურთიერთობას რუს ემიგრანტებთან შევეხებით ქვემოთ, როცა ლაპარაკი გვექნება ნ. ნიკოლაძის რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

[2] ЦГИАМ, ф. 95, опись 1, д. 427, л. 104.

აშკარად ჩანს, რომ მან არა მარტო შეინახა ბოსტაშვილისაგან (ვითომც) დატოვებული აკრძალული ლიტერატურა, არამედ ზოგი მათგანი გადასწერა, გაამრავლა და, უნდა ვიფიქროთ, გაავრცელა კიდევაც. აი, მაგალითად, დავაკვირდეთ ნ. ყიფიანის პასუხის შემდეგ ადგილს: „სერნო-სოლოვიევიჩის სტატია მე გადასაწერად მივეცი ჩემ ამხანაგს, სტუდენტ პოლტორაცკის, რომელიც გადაწერით ფულს შოულობდა. მაგრამ მან იმ დროს სხვა სამუშაო მიიღო და ეს სტატია უკანვე მომიტანა ისე, რომ ვერც კი მოასწრო გადაწერის დაწყება. პოლტორაცკის ის გადასაწერად იმიტომ მივეცი, რომ, ჯერ ერთი, მინდოდა მისთვის სამუშაო გამეჩინა, რადგან გაჭირვებული იყო და ჩემგან პირდაპირ ფულად დახმარებას არ იღებდა; მეორეც, — მე მინდოდა სტატიის გადაწერილი ასლი ბარემ მეჩუქებია სტუდენტ სლუჟკოვისთვის, რომელმაც მანამდე წაიკითხა ეს სტატია და მთხოვა მისთვის მიმეცა“.[1]

მაშასადამე: სტუდენტ სლუჟკოვს სერნო-სოლოვიევიჩის სტატია წაუკითხავს ნ. ყიფიანთან (უნდა ვიფიქროთ, რომ ნ. ყიფიანი მის გარდა სხვასაც ბევრს წააკითხებდა ხსენებულ სტატიას) და უთხოვია გადაეწერა მისთვის ასლი; ნ. ყიფიანს თვითონ უკისრია მისთვის ასლის გადაღება და მიუცია ამ მიზნით სტატია პოლტორაცკისათვის, რომელიც უკვე დახელოვნებული გადამწერი ყოფილა; ამ უკანასკნელს სხვაც ბევრი ჰქონია (ალბათ ამგვარივე ლიტერატურა) გადასაწერი. აქედან ნათელია, რომ ნ. ყიფიანი და მისი მეგობრები უდავოდ ჯგუფურად ეწეოდნენ რევოლუციური ლიტერატურის გადაწერას და გავრცელებას.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: რევოლუციური პროპაგანდისათვის ნ. ყიფიანი და მისი მეგობრები იყენებდნენ არა მარტო აკრძალულ ლიტერატურას, არამედ აგრეთვე გამოჩენილ რევოლუციონერთა პორტრეტებს, რომლებსაც აგრეთვე თვითონ ამრავლებდნენ და ავრცელებდნენ. ნ. ყიფიანი იძულებულია აღიაროს, რომ მან იშოვნა პრუდონის, მიხაილოვისა და ჩერნიშევსკის ფოტოსურათები და გადასცა ისინი 12 წლის ნიჭიერ მხატვარს, გლეხის შვილს ა. კონდრატიევს, რომელიც მისი დავალებით ხატავდა და ამრავლებდა მათ. აი ნ. ყიფიანის სიტყვები: „ხსენებული პორტრეტები ჩემი დაკვეთით დახატა ბიჭმა ანდრია კონდრატიევმა, რომელიც სახატავად

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 105.

დაკვეთებს იღებდა. ეს ბიჭი ჩემთან ერთად ცხოვრობდა ბინაში... მისთვის რომ სამუშაო მეშოვნა და ბარემ ჩემთვისაც მქონოდა ხსენებულ პირთა პორტრეტები. მე ბიჭს მივეცი ფოტოგრაფიული სურათები და მან იქიდან გადამიხატა ისინი. პრუდონისა და მიხაილოვის ფოტო-სურათებიც და ჩერნიშევსკის სურათიც.... მე ვიყიდე... საკანცელარიო ნივთების რომელიღაც ფარდულში, რამდენადაც მახსოვს, ბოლშაია სადოვაიას ქუჩაზე".[1]

აქედან ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ნ. ყიფიანს და მის ჯგუფს რევოლუციური პროპაგანდის მიზნებისთვის გამოუყენებიათ არა მარტო საგანგებო გადამწერები (პოლტარაცკი), არამედ აგრეთვე საგანგებო მხატვრები, რომლებიც რევოლუციონერთა ნდობით სარგებლობდნენ და მათი დავალებით (გარკვეული გასამრჯელოს მიღებით) მუშაობდნენ. ნ. ყიფიანისა და მისი მეგობრების საქმიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა მხატვარი ა. კონდრატიევი ძალიან დაახლოებული იყო რევოლუციონერებთან და თვითონაც, შეძლებისდაგვარად, ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას. ერთ ხანს ა. კონდრატიევი დაახლოებული ყოფილა ცნობილ რევოლუციონერ ხუდიაკოვთან, რომელსაც მისთვის წერა-კითხვა შეუსწავლებია, შემდეგ კი ნ. ყიფიანს დაკავშირებია და მასთან ბინაშიც უცხოვრია. სწორედ ამ კონდრატიევს ხუდიაკოვის ქაღალდებიდან გადმოუწერია და მერე ნ. ყიფიანისათვის გადაუცია ის მწვავე პოლიტიკური ხასიათის გამოცანები, რომლებიც პოლიციამ აღმოუჩინა ამ უკანასკნელს ჩხრეკის დროს. და რომლებიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ.[2] ამ გამოცანების შინაარსი მოწმობს, რომ როგორც ხუდიაკოვს, ისე ყიფიანს ისინი უდავოდ რევოლუციური აგიტაციის მიზნებისათვის სჭირდებოდათ. გამოცანებში გამათრახებულია თვით ხელმწიფე („Кто всегда людей вешает — царь"), აბუჩად აგდებულია ღმერთიც (Кто всегда над бедными смеется — Бог"), დაგმობილია რუსეთის მთელი მაშინდელი წეს-წყობილება („Какие всегда умные люди-- которых вешают и ссылают; где всегда хорошие люди — в Сибири") და გამოთქმულია რწმენა მეფის ხელისუფლების დამხობის და ქვეყნიერებაზე უკეთესი წეს-წყობილების დამყარებისა («Когда лучше будет жить — когда не будет царей»).

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 105

[2] ა. კონდრატიევზე ცნობები იხ.: ЦГИАМ, ф. 95, опись 1, д. 425, стр. 13.



შავი ხელნაწერი (I გვ.) პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საიდუმლო სალაროს წესდებისა, რომელიც მეფის პოლიციამ აღმოუჩინა ნიკოლოზ ყიფიანს ჩხრეკის დროს.

უკანასკნელი, მეჩვიდმეტე კითხვა, რომელიც მეფის მოხელეებმა დაკითხვის დროს ნ. ყიფიანს მისცეს, კვლავ კავკასიელ სტუდენტთა წრეებისა და სალაროს მოწყობის ისტორიას შეეხება. გამომძიებლებმა ნ. ყიფიანს მოთხოვეს, დეტალურად მოეთხრო შემდეგი: როდის, რა მიზნით და რა პირობებში შეიქმნა კავკასიის ახალგაზრდობის წრეები და სალარო, რამდენი წრე არსებობდა, ვინ იყვნენ წევრები, რას აკეთებდნენ, ვის ბინაზე იკრიბებოდნენ, რამდენი ფული შეაგროვეს და რაში დახარჯეს, შეკრებებზე რის შესახებ მსჯელობდნენ, დეპუტატებად ვინ იყვნენ არჩეულნი და ა. შ.

ნ. ყიფიანის პასუხი ამ უკანასკნელ კითხვაზე ძალიან ვრცელია. ეს პასუხი და აგრეთვე რამდენიმე სხვა დოკუმენტი, რომლებიც საქმეში მოიპოვება, სახელდობრ: ქართველ სტუდენტთა სალაროს წესდება, სალაროს წევრთა სიები, ნ. ყიფიანის ვრცელი წერილი მამისადმი, რომელშიც სალაროს დაარსების ისტორიაა გადმოცემული, მისივე წერილი ვ. ჩერქეზიშვილისადმი — შეიცავენ უაღრესად საინტერესო ცნობებს ქართველ სტუდენტთა არალეგალური წრეებისა და საიდუმლო სალაროს საქმიანობის ირგვლივ.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ისეთი გამოჩენილი მკვლევარი, როგორიც პროფ. ბ. კოზმინი იყო, ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა ნიკოლოზ ყიფიანისა და მისი მეგობრების მიერ შექმნილ საიდუმლო სალაროს. ნაშრომში „Революционное подполье в эпоху белого террора“,[1] ის ამბობს: „სალარო, რომელიც ყიფიანმა და მისმა ამხანაგებმა დააარსეს, ერთ-ერთი ცდა იყო სტუდენტთა იმ კორპორაციული ორგანიზაციის აღდგენისა, რომელიც რუსულ უნივერსიტეტებში ალექსანდრე II მეფობის პირველ წლებში არსებობდა და რომელიც მას შემდეგ მოისპო, რაც მთავრობამ 1861 წ. აკრძალა სტუდენტთა შეკრებები, სასამართლოები, ბიბლიოთეკები, ურთიერთდახმარების სალაროები და ა. შ. სალაროს ორგანიზატორები ოცნებობდნენ არა მარტო პეტერბურგის, არამედ მთელი რუსეთის სტუდენტობის გაერთიანებაზე“.[2]

---

[1] ამ კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც რუსი რევოლუციონერების პენკოვსკის, ბოჩკარიოვის და სხვათა მოღვაწეობის გაშუქებისადმია მიძღვნილი, ავტორი გაკვრით ეხება ზოგიერთი ქართველი რევოლუციონერის, კერძოდ ნ. ყიფიანისა და ვ. ჩერქეზიშვილის მოღვაწეობასაც.

[2] Б. П. Козьмин, Реполюционное подполье в эпоху «белого террора», М., 1929 г., стр. 23.

აქედან ცხადია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია ნ. ყიფიანისა და მისი მეგობრების მიერ შექმნილ საიდუმლო სალაროს საქმიანობას რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ისტორიის თვალსაზრისითაც კი; ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართველ სტუდენტთა ხსენებული სალაროს და წრეების მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტია საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისათვის. ამიტომ თავს ნებას მივცემთ, მოკლედ მაინც გავაცნოთ მკითხველს ის ცნობები, რომლებსაც მათ შესახებ შეიცავენ ნ. ყიფიანის საქმის გამოძიების ზემოხსენებული დოკუმენტები და თვით ნ. ყიფიანის პასუხი გამომძიებელთა მე-17 კითხვაზე. ჩვენ ძალიან მოკლედ შევჩერდებით მარტო იმ ცნობებზე, რომლებიც შეეხება ქართველ სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციის ისტორიას, ტაქტიკას, ორგანიზაციულ სტრუქტურას და შემადგენლობას.

როდის ჩაისახა საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის იდეა?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართველი სტუდენტები ი. ჭავჭავაძის დროიდან მოკიდებული ყოველ წელიწადს აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ და იბრძოდნენ სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციების — წრეების, სალაროების, ბიბლიოთეკების და სხვ. შესაქმნელად. მაგრამ საკუთრივ იმ ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც ნიკ. ყიფიანის სახელთანაა დაკავშირებული, ქართველ სტუდენტთა შორის 1867 წელს მეორე ნახევარში ჩასახულა.

ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი? საინტერესოა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის წინაშე ინიციატორის როლი ნ. ყიფიანმა თავის თავზე აიღო. თავის ჩვენებაში ის პირდაპირ ამბობს: „გასული წლის ზამთარში, ოქტომბერსა თუ ნოემბრის თვეში, მე დამებადა აზრი, წარსული წლების მაგალითის მიხედვით, იმ სტუდენტების მაგალითის მიხედვით, რომლებიც აქ იყვნენ სტუდენტთა არეულობამდე, მომეწყო სალარო“.[1] მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ცნობა სწორი არ არის. ჩანს, ნ. ყიფიანს არ უნდოდა გაეცა სალაროს შექმნის ნამდვილი ინიციატორი და ეს საქმე განგებ თავის თავზე დაიბრალა. რომ ნ. ყიფიანი არ არის სალაროს შექმნის ინიციატორი, ეს გარკვევით ჩანს მისი წერილიდან მამისადმი, რომელიც

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 106.

დათარიღებულია 1868 წლის 26 იანვრით და რომელშიც. საკმაოდ დაწვრილებით არის გადმოცემული სალაროს შექმნის ისტორია: წერილში კერძოდ ნათქვამია: „ოქტომბერში თუ ვგონებ სექტემბრის ბოლოს, ერთ-ერთს ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოსულ ახალგაზრდას, რომელმაც ჩვენ ერთმანეთისაგან განცალკევებულს მოგვისწრო, აზრად მოუვიდა წინადადება მოეცა ჩვენთვის, რომ ერთმანეთში კავშირ-ურთიერთობა (общение) დაგვემყარებია: მოგვეწყო ისე, რომ მეცადინეობისაგან თავისუფალ დღეებში შევგროვილიყავით ხოლმე ერთმანეთთან კვირაში ერთხელ ან თუნდაც უფრო იშვიათად. ამის შესახებ მას საუბარი ჰქონდა რამდენიმე ჩვენგანთან, მათ შორის ჩემთანაც. ჩვენ მისი წინადადება, რა თქმა უნდა, თანაგრძნობით მივიღეთ, და გადავწყვიტეთ, შევგროვილიყავით 15-20 კაცამდე იმისათვის, რომ მოგვეთათბირა, როგორ დაგვემყარებინა ერთმანეთში ეს კავშირ-ურთიერთობა.

შევგროვდით, ვიდავიდარაბეთ როგორც იტყვიან, ბევრიც ვიყვარეთ, ვფიცხობდით, მაგრამ გადავწყვიტეთ ასე, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოვაწყოთ სალარო. ამ კრებაზე ორი აზრი გამოჩნდა: ერთნი მოითხოვდნენ, რომ დასაწყისიდანვე სალარო მოგვეწყო და მერე დაგვემყარებინა კავშირ-ურთიერთობა, სხვები და მათ რიცხვში მეც, დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ დაგვემყარებია კავშირ-ურთიერთობა, ე. ი. მოგვეწყო წრეები და შევკრებილიყავით ხოლმე წესიერად-პერიოდულად, — იქ კი, ჩვენი ფიქრით, აუცილებლად თავისთავად აღმოცენდებოდა რაიმე,—ან სალარო, ან ბიბლიოთეკა, ან რუსულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელთა ამხანაგობა ან სხვა რამ ამათი მსგავსი. პირველმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა. შემდეგში ვგროვდებოდით ხოლმე რამდენიმე კაცი იმაზე მოსათათბირებლად, თუ როგორ დაგვეარსებინა სალარო. გადავწყვიტეთ სალაროს დაარსება ათი ან თხუტმეტი კაცისაგან, იმ ვარაუდით, რომ შემდეგ ახალი წევრები მიგვეღო და ამნაირად სალარო გაგვეფართოვებინა ყველასათვის. დამფუძნებელ წევრთა რაოდენობა შემდეგ აღმოჩნდა 20 კაცი... წესდების შესამუშავებლად გამოყვეს კომისია ოთხი დამფუძნებელი წევრისაგან: ცაგარელი (უნივერსიტეტის სტუდენტი, ფილოლოგი), სიმონოვიჩი (ყრუ-მუნჯის შვილი, ნატურალისტი), ჯაფარიძე (იურისტი, ამ წელს ჩამოვიდა) და მე... ახალი წლის წინ დამფუძნებლები შევგროვდით, ჯერ ერთი, რომ შევხვედროდით ახალ

წელს, და მეორეც, რომ ამასთანავე ერთად გაგვეხსნა სალარო. ამ-რიგად, ჩვენი სალარო არსებობს 1868 წლის 1-ლ იანვრიდან".[1]

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ ნ. ყიფიანი არ ყოფილა სალა-როს შექმნის ინიციატორი. კიდევ მეტი: ის იმ სტუდენტების მხარე-ზე ყოფილა, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ჯერხნობით სალაროს შექმნისა და მოითხოვდნენ პირველ რიგში წრეები შეექმნათ და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა (общение) დაემყარე-ბიათ. მაგრამ ნ. ყიფიანის ეს წერილი ჩვენთვის საინტერესოა სხვა მხრივაც: აქ ნ. ყიფიანი ნათლად და მკაფიოდ გადმოგვცემს ქართ-ველ სტუდენტთა მაშინდელ განწყობილებას და იმ ვითარებას, რა-მაც სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია.

ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან გარკვევით ჩანს, რომ სალა-როს შექმნის ძირითადი მიზანი სრულიადაც არ ყოფილა გაჭირვე-ბულ სტუდენტათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა და რომ სალარო პირველ რიგში სწორედ სტუდენტთა შემჭიდროვება-შეკავ-შირებისათვის სჭირდებოდათ. მაგრამ რა მიზნით?

გარეგნულად და ოფიციალურად, კონსპირაციის ინტერესები-სათვის, სტუდენტთა სალაროს ერთადერთი მიზანი ხელმოკლე სტუ-დენტებისათვის ფულადი დახმარება იყო. ნ. ყიფიანი და მისი მე-გობრები ყველგან ასე ლაპარაკობენ, ასევეა ჩაწერილი სალაროს წესდებაშიც. მაგრამ ესაა მხოლოდ ტაქტიკური ხაზი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელთა თვალის ასახვევადაა განკუთვნი-ლი. სინამდვილეში, როგორც ეს თვალნათლივ დავინახეთ ნ. ყიფია-ნისთვის აღმოჩენილი მამხილებელი მასალების განხილვისას, სტუ-დენტთა სალარო და მისი წევრები, სალაროს საფარით, უაღრესად აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ.

მამისადმი გაგზავნილ წერილში ნ. ყიფიანი, ბუნებრივია, თავ-შეკავებულად ეხება სტუდენტთა ორგანიზაციის მიზანს, მაგრამ, იქი-დანაც გარკვევით გამოსჭვივის, რომ საქმე მარტო გაჭირვებული სტუდენტებისადმი დახმარება არ იყო; ამ მხრივ კიდევ უფრო საინ-ტერესოა ნ. ყიფიანის წერილი ვ. ჩერქეზიშვილისადმი, რომელზეც ზემოთ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი. თავის თანატოლს და თანამოაზრეს ნ. ყიფიანი, ცხადია, უფრო გაბედულად და გულახდი-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 2, д. 355, л. 5-6.

ლად მისწერდა თავის გულისნადებს და ამიტომაც ეს წერილი ძალიან საინტერესოა, მაგრამ სიფრთხილის ბეჭედი, რაც ასე გამოადგა დაპატიმრების შემდეგ ნ. ყიფიანს, ამ წერილსაც აშკარად აზის. წერილი დაწერილია 1867 წლის 18 ნოემბერს პეტერბურგში. საინტერესოა ასეთი დეტალი, წერილის ბოლოში მიწერილია ფრაზა: „მომწერეთ, თქვენი მისამართით გამოგზავნილი წერილები ხომ არ ტარდება ჩვენთვის ცნობილ ცენზურაში?“ აქ ცხადია, იგულისხმება საიდუმლო პოლიციის ცენზურა, რომლის შიში ე. წ. „თეთრი ტერორის“ ეპოქაში არ შეიძლებოდა ყოველ რევოლუციონერს არ ჰქონოდა.

მიუხედავად ამისა, ნ. ყიფიანი ასეთ გაბედულ სიტყვებს სწერს თავის მეგობარს: „საქმე, რომელსაც ჩვენ ამჟამად უნდა მივდიოთ, დიდი საქმეა: ჩვენ გვჭირდება ამოძრავება, დარაზმვა და მერე კი, როცა დავირაზმებით, უნდა მოვაწყოთ ყველაფერი, რასაც ჩვენ საჭიროდ დავინახავთ და რაც ჩვენს მოთხოვნილებებს შეეფერება: სალარო, ბიბლიოთეკა, კითხვა, და ვინ იცის, კიდევ რა.“[1]

ნ. ყიფიანის ჩვენება დაკითხვაზე და საქმეში დაცული სხვა დოკუმენტები ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავენ აგრეთვე სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციის შინაგან ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, კონსპირატიულ შეკრებებზე, დეპუტატთა არჩევნების სისტემაზე და ა. შ.

სალაროს დამფუძნებელ წევრებად, როგორც ჩანს, მოწვეული ყოფილან ყველაზე საიმედო და აქტიური სტუდენტები. მათი რიცხვი, თავიდან 10 — 15 კაცის რაოდენობით ყოფილა ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ 20 კაცამდე ასულა. პირველი შეკრება სტუდენტ ხამაშურიძის ბინაში მომხდარა, შემდეგში კი შეკრებები უფრო ხშირად კირილე ლორთქიფანიძის ბინაში ხდებოდა. რამდენჯერმე შეკრება ჩატარებულა აგრეთვე სტუდენტ ცაგარელის და თვით ნ. ყიფიანის ბინებში. „შეკრებები უმეტესად ხუთი-ექვსი კაცისაგან ეწყობოდა, — აჩვენებს ნ. ყიფიანი, — მათ შორის ვიყავით: მე, ცაგარელი, და ეგრეთ წოდებული დეპუტატები წრეებიდან... სალაროს წევრებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა შეედგინათ ორი ან სამი წრე. შედგა ორი წრე, თუმცა განზრახული იყო სამი შეგვედგინა. ერთი წრე ვასილიევის კუნძულზე მცხოვრებთაგან შედგა,

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. II, д. 355, л. 249.

მეორე კი იმათგან, ვინც ქალაქში ცხოვრობდნენ. წრის წევრები ერთმანეთს ხვდებოდნენ უნივერსიტეტში ან სადმე სხვაგან, ხვდებოდნენ ხშირად და საშუალება ჰქონდათ ყველაფერი ეცნობებინათ ერთმანეთისათვის, რაც უნდოდათ. როცა საჭიროება მოითხოვდა, წრე შეიკრიბებოდა და იმსჯელებდა სალაროს საქმეებზე. წრის შეკრების შედეგს დეპუტატის საშუალებით ვაცნობებდით მეორე წრეს, როგორც კი ამ უკანასკნელს შეკრება ექნებოდა. დეპუტატებად ყველანი იყვნენ ხოლმე რიგრიგობით".[1]

როგორც ვხედავთ, ქართველ სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციის საკმაოდ რთული შინაგანი სტრუქტურა გააჩნდა. უნდა ვიფიქროთ, კონსპირაციული მიზნებით იყო ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ შეკრებებს ესწრებოდა არა სალაროს ყველა წევრი, არამედ მარტო 5-6 კაცი, რომელშიც შედიოდნენ მოლარე (ცაგარელი), მისი თანაშემწე (ნ. ყიფიანი) და დეპუტატები, — როგორც წრეების წარმომადგენლები. ეტყობა, ასევე კონსპირაციის დაცვის მიზნით ხვდებოდნენ ერთმანეთს. სალაროს წევრები ცალ-ცალკე როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ, ხოლო წრეებს შორის ინფორმაციის მიწოდება დავალებული ჰქონდა საგანგებო დეპუტატს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დეპუტატების არჩევა დემოკრატიზმის პრინციპის სრული დაცვით ხდებოდა: დეპუტატად რიგრიგობით სალაროს ყველა წევრი უნდა ყოფილიყო არჩეული.

რა თქმა უნდა, ასეთი რთული ორგანიზაციული სტრუქტურა და ასეთი კონსპირაცია სრულებითაც არ იყო საჭირო მარტოოდენ იმისათვის, რომ ხელმოკლე სტუდენტებს ფულის სესხებით ერთმანეთისათვის დახმარება გაეწიათ.

მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

ძალიან საინტერესოა სალაროს წევრთა და აქტიურ მოღვაწეთა შემადგენლობა. საქმეში დაცულია სალაროს წევრთა რამდენიმე სია. გარდა ამისა, ნ. ყიფიანის ჩვენებაშიც ჩამოთვლილია სალაროს წევრთა უმეტესობა. ამ დოკუმენტების საფუძველზე საშუალება გვეძლევა დავადგინოთ, რომ სტუდენტთა საიდუმლო სალაროს დამფუძნებელი წევრები იყვნენ შემდეგი პირები: აბდუშელი[2] დავითი (უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი), ალიხანოვი კონსტ. (უნ. სტუდ.),

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 107.

[2] დედანში ასეა, უნდა იყოს „აბდუშელიშვილი".

ანტონოვი ნიკ. (უნ. ყოფ. სტუდ.), ბებურიშვილი თედო (უნ. სტუდ.), ბეთანიშვილი მიხ. (სამიწათმოქმ. ინსტ. სტუდ.), ჯაფარიძე ბეს. (უნ. სტუდ.), ქვარიანი, ყიფიანი ნიკ. (უნ. სტუდ.), ლორთქიფანიძე კირ. (უნ. ყოფ. სტუდ.), მაღალაშვილი გეგე (მედიკო-ქირურგ. აკად. სტუდ..), მაჩაბელი ვასილი (უნ. სტუდ.), მღებრიშვილი ლევანი (მედიკო-ქირურგ. აკად. სტუდ.), მესხი სერგეი (უნ. ყოფ. სტუდ.), ნადირაძე ლუარსაბი (ხარკოვის უნივ. სტუდ.), ნაცვლიშვილი გიორგი (ტექნ. ინსტ. სტუდ.), სიმონოვიჩი სპირიდონი (უნ. ყოფ. სტუდ.), ხამაშურიძე ბეჟანი (უნ. სტუდ.), ცაგარელი ალექს. (უნ. ყოფ. სტუდ.), ჩოლოყაშვილი ალექს. (უნ. ყოფ. სტუდ.) და ბოლოს, ამათ ემატება აგრეთვე ჩერქეზიშვილი ვარლამი, რომელიც თუმცა არ დასწრებია სალაროს წევრთა პირველ შეკრებას, მაგრამ ნ. ყიფიანის სიტყვით, მაინც მის წევრ-დამფუძნებლებს მიეკუთვნებოდა.

შემდეგში სალაროს წევრებად მიუღიათ აგრეთვე შემდეგი პირები: ორბელიანი ნიკ. (უნ. სტუდ.), შერმაზანი ტიგრანი (ერთი სიაში სახელი „ტიგრანის“ ნაცვლად უწერია „ვართანი“, — მედიკო-ქირურგ. ინსტ. სტუდ.), გრივნაკი კონსტ. (სამთო ინსტ. სტუდ.), პოლტორაცკი სემ. (უნ. სტუდ.), სულხანიშვილი იოს. (უნ. სტუდ.), ჩუბინაშვილი ივ. (უნ. სტუდ.), ქანანოვი ნიკ. (მედიკო-ქირ. აკად. სტუდ.), ყიფიანი კონსტ. (პეტრ. აკად. სტუდ.), რაზუმოვსკი გაბრიელი (უნ. სტუდ.), ჩაკოვიჩი, კოლუბინსკი, ისაკოვი, დე-მონფორი და სხვები.

ამ საინტერესო სიიდან და აგრეთვე სხვა საბუთებიდან, რომლებიც საქმეშია დაცული, ჩვენ ეჭვმიუტანლად ვგებულობთ, რომ იმ ხანებში პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც „არა მარტო პეტერბურგის, არამედ მთელი რუსეთის სტუდენტობის გაერთიანებაზე ოცნებობდა“, სხვა ერების მოწინავე შვილებთან ერთად, პრაქტიკულად იყო ჩაბმული არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობაში და აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა ცარიზმის წინააღმდეგ. როგორც სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი მ. კოზმინი ზემოთ უკვე ციტირებულ ნაშრომში, ქართველ სტუდენტთა საიდუმლო სალაროს პირადი შემადგენლობა იმითაცაა საინტერესო, რომ აქ ერთად გაერთიანდნენ „მოხუცები“, რომლებიც ჯერ კიდევ სტუდენტთა 1861 წლის მღელვარების აქტიური მონაწილენი იყვნენ (მაგალითად, დავით აბდუშელიშვილი, კირილე ლორთქიფანიძე და აბელ ჩოლოყაშვილი) და ახალგაზრდები,

რომლებსაც ახლო მომავალში მოელოდათ მონაწილეობის მიღება პეტერბურგის ახალ, 1869 წლის მღელვარებაში (მაგალითად, ნ. ყიფიანი, ბეს. ჯაფარიძე, ნიკ. ორბელიანი, ლევან მღებრიშვილი).

ჩვენს ხელთ არსებულ მასალების მიხედვით, ქართველ სტუდენტთა საიდუმლო სალაროს და წრეების აქტიურ ორგანიზატორებად, ნიკოლოზ ყიფიანთან ერთად, ჩანან: კირილე ლორთქიფანიძე, ბეჟან ხამაშურიძე, ალექსანდრე ცაგარელი და ბესარიონ ჯაფარიძე. როგორც უკვე ითქვა, ყველაზე ხშირად კირილეს ბინაზე იკრიბებოდნენ. გარდა ამისა კირილეს დაუწერია სალაროს წესდების ერთ-ერთი პროექტი. მოლარის თანამდებობაც პირველად კირილესათვის შეუთავაზებიათ, მაგრამ მას უარი უთქვამს იმის გამო, რომ იმ დროს საკანდიდატო გამოცდებს აბარებდა და ძალიან გადატვირთული იყო. ბეჟან ხამაშურიძის აქტიურ ხელმძღვანელ როლს მოწმობს, ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ სალაროს წევრთა პირველი შეკრება მის ბინაში მომხდარა, ხოლო მეორეც, — მასაც შეუდგენია (ანტონოვთან და აბდუშელიშვილთან ერთად) სალაროს წესდების ერთ-ერთი პროექტი. ფრიად აქტიური როლი უთამაშნია საიდუმლო სალაროს საქმიანობაში აგრეთვე ჩვენს გამოჩენილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ცაგარელს, რომელიც არჩეული იყო მოლარის (ე. ი. სალაროს ხელმძღვანელის) თანამდებობაზე. მის აქტიურ როლზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ის აურჩევიათ სალაროს წესდების საბოლოოდ შემუშავებული კომისიის წევრად. ამავე კომისიაში ცაგარელს გარდა, შედიოდნენ აგრეთვე სპ. სიმონოვიჩი, ნ. ყიფიანი და ბეს. ჯაფარიძე.[2]

გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ნ. ყიფიანის მიერ გ. ნაცვლიშვი-

---

1 ამათ შესახებ სათანადო ცნობებს გვაწვდის ნ. ყიფიანი წერილში მამისადმი, აგრეთვე ჩვენებაში უმაღლესი საგამომძიებლო კომისიისადმი.

2 საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი იყო სალაროს შექმნის თავდაპირველი ინიციატორი, თუმცა საამისო პირდაპირი საბუთი არ მოგვეპოვება. ჩვენი ვარაუდი ემყარება ნ. ყიფიანის შემდეგ ორ ცნობას (წერილში მამისადმი): პირველი, — სტუდენტთა ორგანიზაციის შექმნის აზრი «Пришла в голову... одному из недавно приехавших молодых людей»; მეორე, — „ჯაფარიძე იურისტია, წელს ჩამოვიდაო". ამ ცნობებს ემატება ისიც, რომ ბ. ჯაფარიძე ენერგიულ მონაწილეობას იღებდა სალაროს წესდების შემუშავებაში ,ცოტა გვიან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებაში.

ლისა და ა. ჩოლოყაშვილის დახასიათებას, რომელსაც ვხვდებით მის წერილში ვ. ჩერქეზიშვილისადმი. (1867 წ. 18 ნოემბრის თარიღით). გიორგი ნაცვლიშვილზე ნათქვამია: „ნაცვლიშვილი, რომელიც მე ახლოს გავიცანი ამ უკანასკნელ ხანებში, მშვენიერი ბიჭი აღმოჩნდა, ის ბევრ სხვა ჩვენიანზე უფრო საქმიანია; მალე იგი რიაზ (ანის) გუბ (ერნიაში) მიდის რომელიღაც მემამულესთან მამულის მმართველად, აქ ხომ ის შიმშილობს“.

აბელ ჩოლოყაშვილზე ნათქვამია: „თქვენ იცნობთ, მგონი, ჩოლოყაშვილს: ის რამდენადაც ვიცი, კორპუსში ნაცვლიშვილთან და მაშასადამე თქვენთან იყო; ეს მგონი ყოჩაღი ბიჭია; უკანასკნელ ხანებში ჩვენს კრებებზე ის გამოირჩეოდა როგორც საქმიანი და პატიოსანი ყმაწვილი“.

აი დაახლოებით ის უმთავრესი ცნობები, რომლებიც ჩვენ შეგვეძლო ამოგვეკრიბა ნ. ყიფიანის ჩვენებიდან და აგრეთვე მის საქმეში დაცული დოკუმენტებიდან ქართველ სტუდენტთა საიდუმლო სალაროს და მის წევრთა საქმიანობის ირგვლივ.

ნიკოლოზ ყიფიანისა და მისი რუსი მეგობრების დაპატიმრებას პეტერბურგში გარკვეული შთაბეჭდილება მოუხდენია. დატრიალებულან ნაცნობები და ნათესავები, მათ შორის ნ. ყიფიანის მამის დიმიტრი ყიფიანის გავლენიანი მეგობრები, და ყველა ზომა მიუღიათ, რომ შეემსუბუქებიათ ახალგაზრდა რევოლუციონერთა ხვედრი. ნიკოლოზ ყიფიანმა მოახერხა ციხიდან დაუყოვნებლივ ეცნობებია პეტერბურგში მყოფი ნაცნობებისა და ნათესავებისათვის თავისი მდგომარეობა და ეთხოვნა მათთვის დახმარება. მათ შორის იყო ახლო ნათესავი (ალბათ დედის და), გენერალ-მაიორის ქვრივი ელისაბედ ნაზაროვა. ნ. ყიფიანი აღიარებს: „წერილი გავუგზავნე დეიდას (тетке) გენერალ-მაიორის ქვრივს, ელისაბედ იაგორის ასულ ნაზაროვას, რომლითაც მას ვაცნობებდი ჩემი დაპატიმრების ამბავს და ვთხოვდი დამხმარებოდა და ეთხოვა თავისი ნაცნობებისათვის, რომელთა შორის, რამდენადაც მე ვიცოდი ისეთი პირებიც იყვნენ, რომელთაც უმაღლესი უფროსები იცნობენ, ეშუამდგომლათ პატიმრობიდან ჩემი განთავისუფლების, ჩემი საქმის დაჩქარებისა და ჩემთვის პატიების შესახებ“.[1]

ასეთი თხოვნით ნ. ყიფიანმა სხვა ნაცნობ-ნათესავებსაც მიმარ-

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 152.

თა. ერთ-ერთმა მისმა ახლობელმა და კეთილისმყოფელმა, ვიღაც კუტუზოვმა მოახერხა ციხეშივე ძიეწვდინა გამამხნევებელი წერილი ნ. ყიფიანისათვის. „ამ წერილში, — ამბობს ნ. ყიფიანი, — ბ-ნი კუტუზოვი მაცნობებდა, რომ მზად იყვნენ მე თავდებად დამდგომოდნენ შემდეგი პირები: მისი იმპ. უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი თავადი ორბელიანი, მისი იმპ. უმაღლესობის დიდი მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის ადიუტანტი თავადი ორბელიანი და სტატსკი სოვეტნიკი სეროვი“.[1]

ასეთი გავლენიანი პირების დახმარებითა და თავდებობით ნ. ყიფიანი 1868 წლის 10 ოქტომბერს გაანთავისუფლეს პატიმრობიდან იმ პირობით, რომ მისი საქმის დამთავრებამდე დედაქალაქიდან არსად წასულიყო, თანაც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა დარჩენილიყო.

ამასობაში მისი საქმის გამოძიება გრძელდებოდა. უმაღლესმა საგამომძიებლო კომისიამ რუსულად გადაათარგმნინა ქართულ ენაზე დაწერილი ფურცლები, რომლებიც ნ. ყიფიანს ჩხრეკის დროს ჩამოართვეს. აღმოჩნდა, რომ ამ ფურცლებში ზოგი რამ საეჭვო იყო და ამის გამო 21 ნოემბერს ნ. ყიფიანი კვლავ დაიბარეს უმაღლეს კომისიაში განმეორებით დასაკითხავად.

ვიდრე ნ. ყიფიანის მეორედ დაკითხვას შევეხებოდეთ, ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, თუ რა შინაარსისა იყო ის ქართულად დაწერილი ფურცლები, რომლებიც ნ. ყიფიანს ჩამოართვეს და რომლებიც რუსულად მოკლედ უთარგმნიათ.

შევეხებით მარტო იმ ფურცლებს, რომლებიც, ჩვენი ფიქრით, ასე თუ ისე მკითხველისთვის რაიმე ინტერესს წარმოადგენს, და ისიც მხოლოდ გაკვრით.

მეათე ფურცელზე, მთარგმნელის სიტყვით, ლაპარაკი ყოფილა იმის შესახებ, რომ თითქოს ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც თბილისში გამოდის, მთავრობის განკარგულებით იხურება და ვიღაც კერესელიძე ევროპაში მიემგზავრება იმისათვის, რომ შეხვდეს მაძინის და ვიქტორ ჰიუგოს და მათი დახმარებით ევროპაში გამოსცეს ქართული ჟურნალი.

მეთერთმეტე ფურცელზე მოთავსებული ყოფილა წერილი

---

[1] იქვე.

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორისადმი თხოვნით რომელიღაც ქართული ლექსი დაბეჭდოსო.

მეცამეტე და მეთოთხმეტე ფურცლებზე აღწერილი ყოფილა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრება.

58-ე და 59-ე ფურცლებზე მოთავსებული ყოფილა ლექსად დაწერილი მოთქმა საქართველოში მოწყობილი რაღაც გამოფენის გამო. ხელს აწერს „ქართველი ჰეინე“. შექებულია ჟურნალი ქართულ ენაზეო.

70-ე ფურცელზე მოთავსებული ყოფილა ლექსი „შვილები მშობლებს“, რომელშიც გამოთქმული ყოფილა სინანული, საქართველოში აღარაა პოეტი რუსთაველისთანაო.

75-ე ფურცელზე ჩამოთვლილი ყოფილა საქართველოს გამოჩენილი ადამიანები.

76-ე და 77-ე ფურცლებზე მოთავსებულია „ბიოგრაფია რომელიღაც სოლომონ დოდაევისა“, — ამბობს მთარგმნელი.

161-ე ფურცელზე მოთავსებული ყოფილა ლექსი, რომლის ავტორი, მთარგმნელის სიტყვით, თავის თავს ჟურნალ „ცისკრის“ პუბლიცისტს უწოდებს და ამბობს, რომ ერთგულად შრომობდა მისთვის, მაგრამ ქართველებმა მაინც არ იცნეს.

198 — 232 ფურცლებზე მოთავსებული ყოფილა შემდეგი მასალა: ქართული ხალხური ლექსები, შეგროვილი 1859 წელს, ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ და აგრეთვე ლექსიდან «О похождениях известного разбойника Арсена, грабившего в 1840-х годах проезжающих близ г. Тифлис»[1].

ამ მკირე ნაწყვეტებიდანაც კარგად ჩანს ახალგაზრდა ნიკოლოზ ყიფიანის განწყობილება და შეხედულებანი, მისი სულიერი სამყარო.

მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

უმაღლესი გამომძიებელი კომისია განსაკუთრებით დაუინტერესებია ზემოთ ხსენებულ მეათე ფურცელს, რომელზეც ლაპარაკი ყოფილა კერესელიძის ვითომდა ევროპაში გამგზავრებაზე და იქ მაძინისა და ჰიუგოს დახმარებით ქართული ჟურნალის გამოცემაზე.

---

[1] იქვე, ფ. 213. ცნობილია, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნ. ყიფიანმა დიდი მუშაობა გასწია ხალხური წიგნების გამოსაცემად. მაგალითად, მან პირველმა გამოსცა „არსენას ლექსი“ 1872 წელს.

და აი, მეორედ დაკითხვის დროს, ნ. ყიფიანს ეკითხებიან, თუ ვინაა ეს კერესელიძე, რომელიც ევროპაში მიემგზავრება, რომ იქ გამოსცეს მთავრობის საწინააღმდეგო ჟურნალი. მეფის ჩინოვნიკებმა ნ. ყიფიანს მოსთხოვეს მეათე ფურცლის შინაარსის დეტალური ახსნა-განმარტება, რადგან ეს ფურცელი მათ ძალიან საეჭვო დოკუმენტად მოსჩვენებიათ.

ნ. ყიფიანის პასუხიდან ირკვევა, რომ მეფის ჩინოვნიკების ეჭვები გაუგებრობის შედეგი ყოფილა, რადგან მეათე ფურცლის შინაარსი არაფერს შეიცავს მთავრობის საწინააღმდეგოს და, მაშასადამე, არც შეიძლებოდა ყოფილიყო უმაღლესი კომისიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი; სამაგიეროდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ფურცელი ძვირფასია საერთოდ ქართული ლიტერატურისა და კერძოდ კი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის. საქმე ეხება ნ. ყიფიანის უაღრესად საინტერესო გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს, პოლიტიკურ ფელეტონს, რომელიც მიმართულია ქართველი ლიბერალებისა და მათი ორგანოს ჟურნალ „ცისკრის“ წინააღმდეგ და რომელიც განკუთვნილი ყოფილა თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანოში, ი. ჭავჭავაძის ჟურნალ — „საქართველოს მოამბეში“ დასაბეჭდად.

სამწუხაროდ, ნ. ყიფიანის ამ საინტერესო ფელეტონის ქართული ვარიანტი საქმეში არ ჩანს. სამაგიეროდ დაცულია მისი რუსული თარგმანი, შესრულებული თვით ნ. ყიფიანის მიერ, გამომძიებელი კომისიის მოთხოვნით. თავი რომ ემართლებინა, ნ. ყიფიანი იძულებული გამხდარა სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა თავისი ფელეტონი და სათანადო განმარტებებიც დაერთო მისთვის.

ჩვენ თავს ნებას მივცემთ ქვემოთ მთლიანად გავაცნოთ მკითხველს ნ. ყიფიანის ეს ფელეტონი, ჯერ ერთი, როგორც იმ დროის საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტი, ხოლო მეორე, — როგორც დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ ნ. ყიფიანი და მისი პეტერბურგელი მეგობრები „საქართველოს მოამბის“ საქმის გამგრძელებლები იყვნენ, ილიასთან ერთად თერგდალეულთა ერთ რევოლუციურ-დემოკრატიული დროშის ქვეშ იდგნენ და ერთიანი ფრონტით ებრძოდნენ როგორც აშკარა რეაქციას, ისე თავადაზნაურულ ლიბერალებს.

ფელეტონი მოგვყავს რუსულად, იმ სახით, როგორც ის ნ. ყიფიანს უთარგმნია.

«Вот буквальный и подстрочный перевод моих заметок о г. Кереселидзе и его журнале «Заря»:

1. В «Заре» рассказывают, что г. Молакбэ (псевдоним фелетониста журнала «Заря») путешествовал по всей Европе, видался с разными замечательными людьми: с Гарибальди, Маццини, В. Гюго, Прудоном и др. и что он имел разговор со всеми этими замечательными людьми и сблизился г. Гарибальди и Прудоном. Кроме того рассказывают еще (это уже не пишут в «Заре»), что он видел и Наполеона, Римского Папу и других и что вследствие всего этого он окончательно помешался в уме.

2. Говорят, что г. А. Пурцеладзе (сотрудник журнала «Заря») готовит биографию г. К. Мамацева (приятеля своего), так-как Мамацев преисполнено такими же высокими чувствами, как Гарибальди.

3. Говорят, что по выходе в свет этой статьи[1] и «Заря» захочет завести у себя подобный отдел (юмористический) и назовет этот отдел «Чанчура»[2]. Говорят, что редакторами этого отдела назначаются: помещанный Молакбэ (псевдоним г. Кереселидзе), грузинский Белинский—Керели Бека (псевдоним г. Пурцеладзе), косноязычный Тавхеди[3] и другие разные свистуны и ревуны. К тому-же говорят, очень будет любопытно полюбоваться этим «Чанчура» журнала «Заря»!...

4. Говорят, что грузинское общество приняло к сердцу то, что на первой странице «Грузинского Вестника»[4] напечатано: «издается Ильею Чавчавадзе», а не «князем Ильею Чавчавадзе». Говорят к тому же, что некоторые из наших князей намерены внести в суд и в палату жалобу на Чавчавадзе, за то,

---

[1] Кот, на груз. яз. называется непереводимым словом «Схартула», приблизительно это значит пращъ.

[2] «Чанчура» значит по грузински: человек неуклюжий, неповоротливый, тюфяк, безтолковый.

[3] Тавхеди значит: глупец, неоптесанный и т. п.

[4] Другой груз. журнал, прекратившийся уже. Заметку мою я готовил для помещения в этом журнале в виде юмористического листка.

что он осмелился унизить этим достоинство грузинских князей.

5. Говорят, что груз. общество не станет вперед выписывать журнал «Груз. Вестник», так-как там пишут всё о насильщиках тяжестей[1] и о нищих и притом пишут обо всём этом мужицким слогом. Говорят, что груз. общество с будущего 1864 года оснует новый журнал, в котором будут печататься: сказка об Амиране, сказка о Карамане[2] и подобные возвышенные, сверхестественные вещи. Изложены будут эти предметы глубоким, темным языком П. Иоселиани или Антона Каталикоса (писатели, уважаемые за недоступность и непонятность слога). Мы не знаем, правда-ли всё это.

6. Говорят, что правительство намерено приостановить издание журнала «Заря», так-как «Заря» уж очень либерально стала говорить. К тому-же говорят, что г. г. Кереселидзе, Молакбэ и Керели-Бека (главные сотрудники журнала «Заря») выедут за границу и поселятся в Лондоне вместе с Маццини или в Брюселе вместе с В. Гюго, оснуют там грузинский журнал под названием: «Ревун-плакса».

ასეთია ამ იუმორისტული ფელეტონის შინაარსი. ამთავრებს რა მისი შინაარსის გადმოცემას, ნიკ. ყიფიანი ბოლოში მას ასეთ განმარტებას ურთავს:

«Вышеозначенные заметки были направлены мною против пустот, безсодержательности и самовосхволения редактора и сотрудников журнала «Заря». Все эти слухи и намерения я выдумывал, как средство посмеяться над журналом «Заря», г-ном Кереселидзе и др. Готовил я их для напечатания в журнале «Груз. Вестник», но не докончил их. Не только не были они напечатаны, но никому до сих пор не-

---

[1] Муша, насильщик тяжестей. Под этим названием было стихотворение в «Груз. Вестнике».

[2] Сказки про исполнения невозможностей. Напр. герои этих сказок щелчком обращают в порошок гору Казбек, размахом руки обращают в бегство неприятельское войско,, состоящее из «тюмы-тьму-щей могущих воинов». Подобные сказки в большом почете у груз. общества,

известно, что я имел когда нибудь намерение печатать чтобы-то ни было в груз. журналах»[1].

როდის არის დაწერილი ნ. ყიფიანის ეს ფელეტონი? სამწუხაროდ, მას თარიღი არ უზის, მაგრამ შინაარსის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ის არ შეიძლებოდა დაწერილიყო 1863 წლის აგვისტოზე ადრე (როცა „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა ილიას „სხარტულა“) და იმავე წლის დეკემბერზე გვიან, რამდენადაც მასში ნათქვამია „С будущего 1864 года“.

ამრიგად, ნ. ყიფიანს თავისი ფელეტონი დაუწერია სწორედ იმ დროს, როცა საქართველოში მწვავე იდეური ბრძოლა იყო გაჩაღებული, ერთი მხრივ, თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „საქართველოს მოამბესა“ და, მეორე მხრივ, თავადაზნაურული ლიბერალების ორგანოს, ჟურნალ „ცისკარს“ შორის. ნ. ყიფიანის ფელეტონის შინაარსი მოწმობს, რომ მისი ავტორი სავსებით იზიარებდა და მთელი ენერგიით იცავდა თერგდალეულთა მთავარი ხელმძღვანელის ი. ჭავჭავაძის ხაზს როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ საკითხებში. დამახასიათებელია, რომ ნ. ყიფიანი მწარედ დასცინის ქართველი ლიბერალების საზოგადოებას, რომელსაც არ მოსწონდა „საქართველოს მოამბე“ სწორედ იმიტომ, რომ მასში „მხოლოდ მეკურტნე მუშებზე და ღატაკებზე წერდნენ და თანაც წერდნენ გლეხუჭების ენით“. ძალიან საინტერესოა ის დეტალიც, რომელიც „საქართველოს მოამბის“ გარეკანის წარწერას შეეხება და რომელსაც ნ. ყიფიანის ამ ფელეტონიდან პირველად ვგებულობთ: ეტყობა, ჩვენი თავადები ძალიან შეუშფოთებია იმ გარემოებას, რომ „საქართველოს მოამბეს“ მისმა გამომცემელმა გარედან უბრალოდ დააწერა — „გამოიცემის ი. ჭავჭავაძისაგან“ და არა — „თავად ი. ჭავჭავაძისაგან“; მაშასადამე, ი. ჭავჭავაძეს არაფრად მიაჩნია თავადის ტიტული, მაგრამ ეს ხომ მათი ფიქრით, ქართველი თავადაზნაურობის წარმოუდგენელი დამცირება და შეურაცხყოფა იყო.

ნ. ყიფიანის ეს ფელეტონი ბევრის მხრით საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტია, მაგრამ ახლა მის დაწვრილებით ანალიზს ვეღარ გამოვუდგებით.

---

[1] ЦГИАМ, ф. № 95, оп. 1, д. 427, л. 217.

რით დამთავრდა ნ. ყიფიანის საქმის გამოძიება, რა სასჯელს დაადვეს მას?

უნდა ითქვას, რომ ამჯერად ნ. ყიფიანი შედარებით იოლად გადაურჩა ცარიზმის ქოფაკებს. უმაღლესი გამომძიებელი კომისიის დასკვნით მოხსენებაში მეფისადმი, რომელიც მეფემ უცვლელად დაამტკიცა, ნ. ყიფიანის ბრალდება შედარებით რბილად არის ჩამოყალიბებული და სასჯელიც შედარებით მსუბუქია გათვალისწინებული. აი ზოგიერთი ამონაწერი ამ მოხსენებიდან:

„ყიფიანის ჩვენებიდან ჩანს, რომ 1867 წ. ბოლოს, მისი წინადადებით, ზოგიერთმა აქაურმა სტუდენტმა, ამიერკავკასიის მხარის მკვიდრთაგან, რიცხვით 30 კაცმა, საჭიროდ მიიჩნია დაეარსებინა სალარო უღარიბესი ამხანაგების შემწეობისათვის, იმ ვარაუდით, რომ სათანადო ნებართვა შემდგომ გამოეთხოვათ მთავრობისაგან. ნ. ყიფიანმა პირველსავე დაკითხვაზე სრული გულახდილობით და მონანიებით აღიარა, რომ სალარო მისი ჩანაფიქრით იყო გახსნილი და რომ მის ბინაში ეწყობოდა სტუდენტთა შეკრებები სალაროს მოწყობის საკითხის განსახილველად. სალაროს მხოლოდ და მხოლოდ საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა და შეკრებებზე რაიმე დანაშაულებრივი მსჯელობა-ლაპარაკი არ ყოფილა.

აკრძალული ბროშურებისა და ხელნაწერების შესახებ, ყიფიანმა განმარტა, რომ ისინი მის ბინაში დატოვა სტუდენტმა ბოსტაევმა, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა. რაც შეეხება ამონაწერებს „პოლიარნაია ზვეზდიდან“ და დანაშაულებრივ გამოცანებს, ისინი ეკუთვნოდნენ გლეხის ბავშვს ანდრია კონდრატიევს, რომელიც აღსაზრდელად ჰყავს ყიფიანის ბინის დიასახლისს... მანვე კონდრატიევმა დახატა ყიფიანის თხოვნით მიხაილოვისა და პრუდონის პორტრეტები“.[1]

ამის შესაფერისად კომისია სასჯელსაც შედარებით მსუბუქს ვარაუდობს, სახელდობრ:

„... 4. ყიფიანს — მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ მან სავსებით და გულწრფელად აღიარა და მოინანია დანაშაული, აგრეთვე იმას, რომ არ აღმოჩნდა, რომ მისი ინიციატივით, მთავრობის ნებართვის გარეშე შექმნილი „ქართული სალარო“ ისახავდა რაიმე დანაშაულებრივ მიზანს, — გამოეცხადოს კომისიის თანდასწრებით

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 441, т. 5, л. 268—269.

უსასტიკესი გაკიცხვა (строжайшее внушение), ხელწერილის ჩამორთმევით, რომ მომავალში თავს ნებას არ მისცემს ჩაიდინოს არავითარი კანონის საწინააღმდეგო მოქმედება, და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად დასჯილი იქნება. ამასთანავე ყიფიანზე დაწესებული ზედამხედველობა შეიცვალოს დროებითი საიდუმლო მეთვალყურეობით".[1]

როგორც ვხედავთ, ნ. ყიფიანი შედარებით იოლად დაუძვრა ხელიდან უმაღლეს გამომძიებელ კომისიას, კაცმა რომ თქვას, არსებითად ის არც კი დაუსჯიათ (თუ არ ჩავთვლით წინასწარ პატიმრობას და უმკაცრეს გაკიცხვას). რა იყო ამის მიზეზი?

მკვლევარი ბ. კოზმინი სთვლის, რომ „ყიფიანი იოლად გადარჩა: მხედველობაში მიიღეს მისი სიყმაწვილე (ის იმ დროს მე-21 წელში იყო[2]) და მის მიერ გამოთქმული „მონანიება".[3] შესაძლებელია გამომძიებელმა კომისიამ მართლაც მიიღო მხედველობაში ნ. ყიფიანის სიყმაწვილე და ის ვითომდა „გულწრფელობა", რომელიც მან დაკითხვის დროს გამოიჩინა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ მიზეზებთან ერთად იყო სხვა მიზეზებიც, რომლებსაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ, ვიდრე ბ. კოზმინის მიერ მითითებულ მიზეზებს. ამათგან პირველი და ყველაზე მთავარი მიზეზი, ჩვენი ფიქრით, ის იყო, რომ გამომძიებელმა კომისიამ ვერ მოახერხა იურიდიულად დაემტკიცებია ნ. ყიფიანისათვის წაყენებული მთავარი ბრალდებები. გადამწყვეტი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა „ქართული სალაროს" შექმნის მიზნისა და მისი საქმიანობის ნამდვილი ხასიათის გამორკვევას. მაგრამ როგორც ნ. ყიფიანმა, ისე ვ. ჩერქეზიშვილმა და აგრეთვე სხვა პირებმა, რომლებიც ამ საქმეზე იყვნენ დაკითხულნი დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს და აბსოლუტურად არაფერი გაუმხილეს კომისიას სტუდენტთა სალაროს და წრეების ნამდვილი მიზნების შესახებ, მათი საქმიანობის აშკარა პოლიტიკური ხასიათის შესახებ. რაკი უმაღლესმა კომისიამ ხელთ ვერ იგდო საამისო შესაფერი საბუთები. ის, ცხადია, იძულებული გახდა მეფისათვის მოეხსენებია, რომ „ქართულ სალაროს" რაიმე დანაშაულებრივი მიზანი არ ჰქო-

---

[1] ЦГИАМ. ф. 95, оп. 1, д. 441, т. 5, л. 271.

[2] ეს მთლად ზუსტი არ არის, ნ. ყიფიანი თავის ჩვენებაში ამბობს, 22 წლისა ვარო.

[3] Революционное подполье в эпоху «белого террора», გვ. 24.

ნიაო. ასევე ვერ მოახერხა კომისიამ ხელთ ეგდო იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ნ. ყიფიანი აკრძალულ ლიტერატურას და რევოლუციონერთა პორტრეტებს ინახავდა და ამრავლებდა რევოლუციური პროპაგანდის მიზნით. ამიტომაც ის იძულებული იყო გაეზიარებია ნ. ყიფიანის მიერ მოგონილი ვერსია, რომ თითქოს აკრძალული ლიტერატურის დიდი ნაწილი მას მისმა გარდაცვლილმა მეგობარმა ბოსტაევმა დაუტოვა.

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მთელი ის საქმე, რომლის გამო ნ. ყიფიანი პასუხისგებაში მისცეს, მიმართული იყო არა პეტერბურგის სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციებისა და წრეების წინააღმდეგ (რადგან მთავრობას მიაჩნდა, რომ იმ დროს ეს წრეები ძირითადად მაინც უკვე განადგურებული იყვნენ და რაიმე რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ), არამედ საზღვარგარეთ მყოფი რუსი ემიგრანტების რევოლუციური საქმიანობის წინააღმდეგ. იმ პირებს, რომლებიც ნ. ყიფიანთან ერთად იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი, სახელდობრ: პენკოვსკის, ბოჩკარიოვს, სოლოდოვნიკოვას და სხვებს, ბრალად ედებოდათ საზღვარგარეთ მყოფ რევოლუციონერებთან, კერძოდ კი ელპიდინთან, ნიკოლაძესთან და სხვ. კავშირი, ამიტომ სწორედ აქეთ იყო მიმართული გამომძიებელი კომისიის მთავარი ცეცხლი, ხოლო ქართველ სტუდენტთა სალაროს საკითხს, გამოძიების დროს არსებითად მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

დაბოლოს, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის გავლენა, რაც გამოძიების მსვლელობაზე შეეძლოთ მოეხდინათ და, როგორც ჩანს, მოახდინეს კიდევაც ნ. ყიფიანის მამამ დიმიტრი ყიფიანმა და მისმა მრავალრიცხოვანმა მეგობრებმა, რომლებსაც მეფის მთავრობის სამოხელეო კიბეზე ძალიან მაღალი საფეხურები ეჭირათ. თვით დიმიტრი ყიფიანს იმ დროს ეჭირა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის პოსტი და ძალიან კარგ განწყობილებაში იყო მეფის ძმასთან მიხეილთან, რომელიც მაშინ, როგორც მეფის ნაცვალი კავკასიაში, თბილისში იმყოფებოდა. თვით მეფე ალექსანდრე II ძალიან ნასიამოვნები იყო იმ ხანებში დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობით. ჯერ კიდევ 1866 წლის 29 ნოემბერს მეფეს პირადად მიუღია დიმ. ყიფიანი და ასეთი სიტყვით მიუმართავს მისთვის: „მადლობელი ვარ შენი კარგი სამსახურისათვის; მადლობელი ვარ საყვარელი და ერთგული ქართველი თავადაზნაურობისა, რომ ის

ყოველთვის ამართლებდა ხოლმე ჩემს მოლოდინს და განსაკუთრებით ასე კარგად მოქმედებდა გლეხთა განთავისუფლების საქმეში“.[1] ამის საპასუხოდ 1867 წლის 5 მაისს დიმ. ყიფიანს მოუწვევია თავადაზნაურთა საგუბერნიო კრება, რომელსაც ქება-დიდების შემცველი ადრესით მიუმართავს მეფისათვის. ეს ადრესი მეფეს წაუკითხავს 1867 წლის 17 ივნისს და ზედ ასეთი რეზოლუცია დაუდევს: „წავიკითხე სიამოვნებით“.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ დიმ. ყიფიანს და მის მეგობრებს არ შეეძლოთ გარკვეული გავლენა არ მოეხდინათ ახალგაზრდა ყიფიანის საქმის გამოძიებაზე, რა თქმა უნდა, მისი „დანაშაულის“ შერბილების აზრით.

1868 წლის მიწურულს, მეფის მიერ დამტკიცებული უმაღლეს გამომძიებელ კომისიაში ნიკოლოზ ყიფიანი, როგორც იტყვიან, მაგრად შეახურეს და კომისიის ოთხი წევრის თანდასწრებით ხელი მოაწერინეს შემდეგ პირობაზე: „1868 წელსა დეკემბრის 14-ს, ს. პეტერბურგში უმაღლესად დამტკიცებულ გამომძიებელ კომისიაში, მე. ქვემოთ ხელისმომწერმა, მოვისმინე რა უმაღლესი ბრძანებით ჩემი გაკიცხვა იმ უმსგავსოებაზე, რაც ჩემი საქციელის გამოძიების საქმით გამომჟღავნდა, ვიძლევი ამ ხელწერილს იმაზედ, რომ მომავალში არ მივიღებ მონაწილეობას არავითარ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში და ურთიერთობაში, იმის შიშით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დავისჯები კანონის მთელი სიმკაცრით“.

ამ ხელწერილის დადებიდან სამ თვესაც არ გაუვლია, რომ პეტერბურგში იფეთქა სტუდენტთა ახალმა მღელვარებამ. მეფის ბეკი ჩინოვნიკები ანგარიშში მოსტყუვდნენ: სწორედ იმ დროს, როცა ისინი ფიქრობდნენ „თეთრი ტერორის“ წყალობით საბოლოოდ მოვსპეთ სტუდენტთა რევოლუციური ორგანიზაციებიო, პეტერბურგის სტუდენტობამ მთავრობის საწინააღმდეგო ახალი მძლავრი მოძრაობა გააჩაღა.

როგორც კი სტუდენტთა მღელვარება დაიწყო, ნიკოლოზ ყიფიანმა მაშინვე დაივიწყა მთავრობისათვის მიცემული ხელწერილი და თავის მეგობრებთან ერთად უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა გამოსვლებში, რისთვისაც კიდევაც დაისაჯა.

მაგრამ პეტერბურგის სტუდენტთა 1869 წლის მღელვარებასა

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 12, д. 81, л. 3, 1867 г.

და მასში ქართველი სტუდენტების მონაწილეობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი გვინდა მოკლედ მაინც შევეხოთ ქართველი სტუდენტების, კერძოდ კი ნიკო ნიკოლაძის კავშირ-ურთიერთობას რუსეთის იმ რევოლუციონერებთან, რომლებიც საზღვარგარეთ, უმთავრესად ჟენევაში მოღვაწეობდნენ.

5. რუსეთის რევოლუციური ემიგრაციის საქმიანობა ევროპაში 60-იან წლებში და ქართველი ახალგაზრდობა. ნიკო ნიკოლაძის რევოლუციური მოღვაწეობა

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის დუხჭირი დრო და უკუღმართი წესწყობილება სულს უხუთავდა, ყოველნაირად ავიწროვებდა და სდევნიდა თავისუფალ აზრს, რის გამო რუსეთის საუკეთესო ადამიანები ძალიან ხშირად იძულებული იყვნენ საზღვარგარეთ, ევროპაში გადახვეწილიყვნენ და იქ გაეჩაღებინათ რევოლუციური საქმიანობა ცარიზმის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 60-იან წლებამდე დიდი ხნით ადრე ევროპაში გადასახლდა დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი ა. გერცენი, რომელმაც ნ. ოგარიოვთან ერთად, ლონდონში დააარსა რუსული სტამბა, გარს შემოიკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფი და შექმნა თავისუფალი რუსული პრესა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში.

60-იან წლებში ევროპისაკენ რუს რევოლუციონერ ემიგრანტთა ახალი ტალღა დაიძრა. რაც უფრო ძლიერდებოდა რუსეთში რეაქცია, მით უფრო მეტი ადამიანები ხდებოდნენ იძულებულნი დაეტოვებინათ სამშობლო და შეერთებოდნენ ევროპაში მყოფ რუს ემიგრანტებს. ასე შეიქმნა ევროპაში 60-იანი წლების ე. წ. „ახალგაზრდა ემიგრაცია“, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რუსეთის ისეთი გამოჩენილი რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ ალექსანდრე სერნო-სოლოვიევიჩი, ლევ მეჩნიკოვი, მიხეილ ელპიდინი, ნიკოლოზ უტინი და სხვები.

როგორც ირკვევა, იმ ხანებში ქართველ სტუდენტთა შორისაც ყოფილა მისწრაფება, წასულიყვნენ საზღვარგარეთ და გამოეყენებიათ იქაური, შედარებით თავისუფალი ატმოსფერო ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ამ ამოცანის შესრულება დაკავშირებული იყო მრავალ გადაულახავ სიძნელესთან. მეფის მთავრობა

ფხიზლად ადევნებდა თვალყურს რევოლუციონერების თვითეულ ნაბიჯს და მცირეოდენი ეჭვის აღების შემთხვევაში სასტიკად უკრძალავდა მათ არა მარტო საზღვარგარეთ წასვლას, არამედ რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში ცხოვრებასაც კი.

იმისათვის, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა ძნელი იყო მაშინ ახალგაზრდებისათვის საზღვარგარეთ წასვლა და თანაც გაიცნოს პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობის კიდევ ერთი ქართველი მონაწილის სულისკვეთება, ზედმეტი არ იქნება შევეხოთ მთავრობის უმაღლესი ორგანოების ოფიციალურ მიწერ-მოწერას სტუდენტ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის საზღვარგარეთ წასვლის განზრახვის გამო, რომელზეც გაკვრით უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი.

მესამე განყოფილების არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილს—პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტს, — აქტიური მონაწილეობა მიუღია პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის მღელვარებაში, რისთვისაც სხვა სტუდენტებთან ერთად დაპატიმრებულიც ყოფილა; პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ნ. ალექსი-მესხიშვილს, როგორც მესამე კურსის სტუდენტს, შეეძლო განეგრძო სწავლა, მაგრამ მას უარი უთქვამს მატრიკულის მიღებაზე და სამშობლოში დაბრუნებულა. 1862 წლის ზაფხულში მას მოუწადინებია საზღვარგარეთ წასვლა ვითომდა სამკურნალოდ (რისთვისაც სათანადო საექიმო მოწმობაც უშოვნია) და ნებართვის მისაღებად თხოვნით მიუმართავს კავკასიის მეფის ნაცვლის მოვალეობის ამსრულებელ გრიგოლ ორბელიანისათვის. საქმიდან არ ჩანს, როგორ მოახერხა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან პოლიტიკური მოტივებით გამორიცხულმა სტუდენტმა მოეპოვებინა გრიგოლ ორბელიანის განსაკუთრებული კეთილგანწყობილება, მაგრამ მასალებიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანს მისთვის პირდაპირ თავი გამოუდვია. მას პეტერბურგში, კავკასიის კომიტეტში გაუგზავნია ნ. ალექსი-მესხიშვილის თხოვნა და თან ვრცელი შუამდგომლობა გაუყოლებია, რომელშიც ითხოვდა, მიეცათ ალექსი-მესხიშვილისთვის, როგორც ვითომდა ავადმყოფისათვის, საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა, აგრეთვე უფლება მიეცათ მეფისნაცვლისათვის მომავალში თვითონ გაეცა ნებართვა საზღვარგარეთ წასვლის მსურველ სტუდენტებზე. კავკასიის კომიტეტმა ეს თხოვნა და შუამდგომლობა 1862 წლის 27 ივნისს სათანადო მიმართვით გადაუგზავნა ჟანდარმთა შეფს მეფისა-

თვის მოსახსენებლად.[1] საქმიდან ჩანს, რომ ამ უკანასკნელს, საკითხის „სათანადოდ შესწავლის“ შემდეგ, მართლაც მოუხსენებია მეფისათვის თხოვნაც და შუამდგომლობაც, მაგრამ მეფეს ნ. ალექსი-მესხიშვილისათვის თხოვნაზე ცივი უარი უთქვამს, ხოლო გრ. ორბელიანისათვის უადგილო შუამდგომლობის გამო სრულიად გარკვეული საყვედური გამოუცხადებია.

აი, რა არის ნათქვამი ამის შესახებ კავკასიის კომიტეტის ფრიად საინტერესო პასუხში გრიგოლ ორბელიანისადმი: „მისმა უდიდებულესობამ, მხედველობაში მიიღო რა, რომ ალექსეევ-მესხიევს საზღვარგარეთ წასვლა სურს ცხადია არა მკურნალობისათვის, რადგან ის რომ მართლა ავად იყოს, შეეძლო უფრო ახლოს მდებარე კავკასიის მინერალური წყლებით ესარგებლა, და ამით დაასკვნა რა, რომ ალექსეევ-მესხიევს მიზნად აქვს გაემართოს პარიზს და ლონდონს, უმაღლესად ინება ებრძანებინა: ვაცნობოთ თქვენს ბრწყინვალებას, რომ ალექსეევ-მესხიევი არა თუ არ შეიძლება გავუშვათ საზღვარგარეთ, არამედ ამნაირი წარდგინებით არც უნდა მოგემართათ, თუ გავითვალისწინებთ ალექსეევ-მესხიევის ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებებს მისი გამგზავრების მიზნის შესახებ, და რომ კავკასიის მეფისნაცვალს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეცეს უფლება გაუშვას საზღვარგარეთ ამის მსგავსი პირები, რადგან მისთვის სრულიად უცნობია ამ პირთა მოქმედება უნივერსიტეტებში მათი ყოფნის დროს.“[2]

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მდგომარეობაშიც ჩავარდებოდა გრ. ორბელიანი, რომელსაც თვით ხელმწიფე უცხადებდა: თქვენ არ იცით, რას ჩადიოდნენ უნივერსიტეტში ყოფნის დროს ქართველი სტუდენტები და არც უნდა გაგეწიათ შუამდგომლობა ალექსი-მესხიშვილისთვის, რომელიც საზღვარგარეთ ავადმყოფობის გამო კი არ აპირებს გამგზავრებას, არამედ სულ სხვა მიზნითო. ხოლო თუ რა იყო ეს „სხვა“ მიზანი, ჩანს, კარგად გამოუცვნია ჟანდარმთა შეფს და უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ მისი მოხსენების ხასიათით უნდა იყოს გამოწვეული მეფის პასუხის უჩვეულოდ მკაცრი ტონი თავისი მოადგილისადმი კავკასიაში. ცხადია, ამ ინცინდეხ-

---

[1] იხ. ЦГИАМ, ф. III О, I, экс., оп. 5, д. 277, ч. 13.

[2] იქვე, ფურც. 7.

ტის შემდეგ ჩვენს სტუდენტებს ოცნებაც კი აღარ შეეძლოთ საქართველოდან საზღვარგარეთ ლეგალური გზით წასვლაზე.

და მაინც ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა, დაუკავშირდა ემიგრაციაში მყოფ რუს რევოლუციონერებს და გააჩაღა მუშაობა ცარიზმის წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი ითამაშა გამოჩენილმა თერგდალეულმა ნიკო ნიკოლაძემ, რომელიც მთელი ოთხი წლის (1864 — 1868) განმავლობაში იმყოფებოდა ევროპაში და ეწეოდა უაღრესად აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის საზღვარგარეთ მოღვაწეობის საკითხი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძე არ ყოფილა ერთადერთი სამოციანელი, რომელმაც იმ ხანებში მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა, მაგრამ დანარჩენების მოღვაწეობის შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება.

თუ რამდენად შეუსწავლელია ეს საკითხი, ამას მოწმობს თუნდაც შემდეგი მაგალითი. „ლიტერატურნოე ნასლედსტვოს“ 62-ე ტომში გამოქვეყნდა ცნობილი რევოლუციონერისა და ემიგრანტის არტურ ბენის წერილი ემიგრანტ ვ. კელესიევისადმი (გაგზ. ლონდონს 1862 წ. თებერვალში), სადაც ნათქვამია: „ჩაჩხიანისაგან მე ჯერ არავითარი ცნობა არ მომსვლია, ისიც კი არ ვიცი, პარიზში ჩარჩა იგი თუ უკვე აშენებს ქვის სახლს გალაცში?“[1]

ვინ არის ეს ჩაჩხიანი, ან რა ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა მას რუსეთის ემიგრანტ რევოლუციონერებთან, ჩვენთვის ეს ჯერჯერობით უცნობია.[2] ასევე ცოტა რამ ვიცით ა. ცაგარლის, დ. მიქელაძის და სხვა ქართველ სამოციანელთა იმდროინდელ მოღვაწეობაზე საზღვარგარეთ.

სამაგიეროდ საკმაოდ ვრცელი მასალა მოგვეპოვება საზღვარგარეთ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაზე.

ნ. ნიკოლაძის ახლო მეგობარი და თერგდალეულთა ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი აკაკი წერეთელი სამართლიანად აღნიშ-

---

[1] გვ. 27.

[2] შესაძლებელია, რომ ეს იყოს ნიკოლოზ ჩაჩხიანი, რომელმაც 1859 წელს დაამთავრა პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტი. იმავე ხანებში პეტერბურგში სწავლობდა აგრეთვე კონსტ. ჩაჩხიანი (იხ. ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д. 104, 72).

ნავს იმ დიდ როლს, რომელიც ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძის ცხოვრებაში საზღვარგარეთ მოღვაწეობამ ითამაშა. აკაკი ამბობს: „ნ. ნიკოლაძე ძალიან ახალგაზრდა იყო, რომ გაათავა ქუთაისის გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში; იქ წესწყობილებას ვერ შეურიგდა და გადავარდა საზღვარგარეთ, სადაც გაერია ემიგრანტებში და, როგორც ნიჭიერმა კაცმა, ბევრი რამ კარგი შეიძინა... დაბრუნების ნება არ ჰქონდა. ძალაუნებურად უნდა დარჩენილიყო ევროპაში დავაკაცებამდის და, უნდა სწორე თქვას კაცმა, რომ კეთილადაც მოიხმარა ის დრო“.[1]

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა საზღვარგარეთ 1864 — 1868 წლებში თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრობის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია დ ის საგანგებო, გულდასმით მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს. ამჟამად ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ასეთ ამოცანას, ამიტომ მხოლოდ გაკვრით შევეხებით მისი საქმიანობის მთავარ მომენტებს, შემდეგ კი მკითხველს გავაცნობთ არქივის ზოგიერთ საბუთს, რომლებიც აშკარად მეტყველებენ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და რა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს თვით მეფის მთავრობა ნ. ნიკოლაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას საზღვარგარეთ.

მკითხველს გვინდა მოვაგონოთ, რომ ჯერ კიდევ საზღვარგარეთ წასვლამდე, პეტერბურგში ნ. ნიკოლაძემ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ის ძალიან ახალგაზრდა იყო, რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეობის საკმაოდ თვალსაჩინო სკოლა გაიარა. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სტუდენტთა 1861 წლის მღელვარებაში ნიკოლაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა, რისთვისაც დაპატიმრებულიც იყო, ხოლო საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ დაუახლოვდა ნ. ჩერნიშევსკის, ერთ ხანს ცხოვრობდა მის ბინაზე, სისტემატურად ისმენდა დიდი რევოლუციონერის საუბრებს რუსეთის მაშინდელი ცხოვრების მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. ჩერნიშევსკის გარდა, ნ. ნიკოლაძე დაახლოებული იყო იმდროინდელი რუსეთის ბევრ სხვა რევოლუციონერთან, რომლებიც „სოვრემენიკის“ და „ისკრას“ ირგვლივ იყრიდნენ თავს. ნ. ნიკოლაძის მოგონებიდან ჩანს, რომ ის დაახლოებული იყო ვ. კუროჩკინთან, იგნ. პიოტროვსკისთან, ლევ სამარინთან, ივ. როჟდესტვენსკისთან, ე. სტოპაკევიჩთან და

[1] აკაკი, რჩეული ნაწერები, 1904 წ., გვ. 475.

სხვა მოწინავე მოღვაწეებთან[1]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძე გასცნობია რუსეთის მაშინდელი რევოლუციური ორგანიზაციების ყველაზე რადიკალური ფრთის წარმომადგენლებს, მოსკოვის სტუდენტთა ცნობილი წრის ხელმძღვანელებს პ. ზაიჩნევსკისა და პ. არგიროპულოს, რომლებსაც მოსკოვიდან პეტერბურგში ჩაჰქონდათ და ავრცელებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს თავის თავზე აუღია ამ ლიტერატურის გავრცელება „ქართულ წრეებში".[2]

ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ საზღვარგარეთ წასვლამდე, სახელდობრ 1861 — 1864 წლებში, პეტერბურგში აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციურ მოღვაწეობაში როგორც კალმით, ისე პრაქტიკული საქმიანობით. სწორედ ამ პერიოდში ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა რუსეთის ისეთ მოწინავე ჟურნალ-გაზეთებში, როგორიც იყო „სოვრემენიკი", „ისკრა", „ნაროდნოე ბოგატსტვო". თავის ნიჭიერად დაწერილ სტატიებში ნ. ნიკოლაძე ეხებოდა რუსეთის მაშინდელი ცხოვრებისა და ლიტერატურის მრავალ საჭირბოროტო საკითხს, მარჯვედ აკრიტიკებდა ლიბერალებს და იცავდა რევოლუციურ-დემოკრატიის ხაზს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი სტატია „Критические очерки. Обозрение русской журналистики (первая элегия)", რომელიც „ნაროდნოე ბოგატსტვოს" 24 და 28 იანვრის ნომრებშია დაბეჭდილი. ამ სტატიაში ნ. ნიკოლაძე ამეღავნებს რუსეთის მაშინდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების საფუძვლიან ცოდნას და ფრიად საყურადღებო აზრებს გამოთქვამს რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე, ლიბერალების პოლიტიკურ გაკოტრებაზე და მთელ რიგ სხვა საკითხებზე.[3]

ერთი სიტყვით, უდავოა, რომ ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ საზღვარგარეთ წასვლამდე პეტერბურგის რევოლუციურ წრეებში მიიღო საკმაოდ თვალსაჩინო რევოლუციური წრთობა და გარკვეული წვლი-

---

[1] იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ.1, გვ. 129, 142, 243.

[2] იქვე, გვ. 130 და 134.

[3] ნ. ნიკოლაძის აქტიურ თანამშრომლობაზე გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოში" დაწვრილებით იხ. ა. ქუთელიას სტატია „ლიტერატურული გაზეთის" 1954 წ. 20 მაისის ნომერში.

ლიც შეიტანა პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურ საქმიანობაში.

1865 წლის დამდეგს პარიზში მყოფი ნ. ნიკოლაძე დაუკავშირდა გერცენს და ოგარიოვს, მიიღო მათი წინადადება „კოლოკოლში" თანამშრომლობის შესახებ და სულ მალე ამ ორგანოს ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი გახდა. მან „კოლოკოლში" მოათავსა რამდენიმე უაღრესად საინტერესო წერილი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში. მაგრამ „კოლოკოლში" ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მას უთანხმოება მოუვიდა ამ ორგანოს ხელმძღვანელებთან. ამ რამდენიმე წლის წინათ „ლიტერატურნოე ნასლედსტვოში" გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის პირადი წერილები ოგარიოვისა და გერცენისადმი, საიდანაც აშკარაა, რომ ეს უთანხმოება გამოწვეული იყო ნ. ნიკოლაძის მიერ გერცენის ლიბერალური ილუზიების კრიტიკით.[1] როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნ. ნიკოლაძის ზემოხსენებული წერილების კომენტატორი ი. ჩერნიაკი, გერცენის ლიბერალურმა წერილმა იმპერატორ ალექსანდრე II-დმი „დაიმსახურა კრიტიკა „ახალგაზრდების" ბევრი წარმომადგენელის მხრით და განსაკუთრებით მწვავე და ძლიერი კრიტიკა ნიკოლაძის მხრით".[2] ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ჩამოშორდა გერცენს და უფრო მჭიდროდ დაუახლოვდა ახალგაზრდა ემიგრაციას.

1866 წელს, რუსეთის მეფე ალექსანდრე II-ზე კარაკოზოვის თავდასხმასთან დაკავშირებით, ნ. ნიკოლაძემ „ნიკიფორ გ***-ს" ფსევდონიმით ჟენევაში გამოსცა შესანიშნავი ბროშურა, სათაურით „მთავრობა და ახალი თაობა", რომელშიც ისტორიულ მოვლენათა მატერიალისტური გაგების ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცა. ბროშურაში ღრმა მეცნიერული თვალსაზრისით არის დასაბუთებული ის ისტორიული პირობები, რომელმაც რუსეთის ბატონყმური წესწყობილების ბურჟუაზიული წესწყობილებით შეცვლის აუცილებლობა გამოიწვია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ბროშურას დიდი მო-

---

[1] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ნ. ნიკოლაძის წერილები ოგარიოვისა და გერცენისადმი ი. ზ. ჩერნიაკის კომენტარიებით (Литературное наследство, т, 62, стр. 402 — 412), აგრეთვე ვლ. ზამბახიძის წერილი ჟურნ. „მნათობში", 1955 წლის დეკემბრის ნომერში.

[2] «Литературное наследство», т .62, стр. 403.

წონებით შეხვდა ახალგაზრდა ემიგრაცია. ამ ემიგრაციის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი ა. სერნო-სოლოვიევიჩი გერცენის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ წერილში ამ უკანასკნელს უსაყვედურებდა: „თქვენ არც ერთი სიტყვა არ თქვით ისეთ გონიერად დაწერილ ბროშურზე, როგორიცაა ნიკიფორ გ.***-ს ბროშურა 4 აპრილის გასროლის გამო. თქვენ გაჩუმება არჩიეთ, იმიტომ რომ ისიც ლაპარაკობს, რომ ახალგაზრდა თაობა გაჰყვა ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვს“.[1]

დაახლოებით იმავე ხანებში ნ. ნიკოლაძემ, მ. ელპიდინთან ერთად, წამოიწყო და განახორციელა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმე, სახელდობრ ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემა. აი, რას ამბობს ამის შესახებ მკვლევარი მ. კლევენსკი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა რუსეთის არალეგალურ ლიტერატურაში ჩერნიშევსკის როლის გაშუქებისა და დაფასების საკითხი: „იმ საქმეებიდან, რაც 60-იანი წლების რუსულმა ემიგრაციამ გააკეთა ჩერნიშევსკის შეხედულებათა გასავრცელებლად, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ მისი თხზულებების გამოცემას. უპირველეს ყოვლისა 1867 წ. გამოიცა რომანი „რა ვაკეთოთ?“, შემდეგ 1868 — 1872 წ. წ. გამოვიდა მისი თხზულებათა კრებულის 5 ტომი... გამოცემა წამოიწყო პირთა წრემ, რომელთა შორის მთავარი როლი ითამაშეს ელპიდინმა და ნიკოლაძემ“.[2]

ნ. ნიკოლაძის განსაკუთრებულ როლს ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემის საქმეში ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხსენებული გამოცემის წინასიტყვაობა, რომელიც პირველ ტომს აქვს წამძღვარებული, ნ. ნიკოლაძის მიერაა დაწერილი. როგორც ჩანს, მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ჩერნიშევსკის რომანის „Что делать?“ საზღვარგარეთული გამოცემის წინასიტყვაობაც[3].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისათვის მოსამზადებელ მუშაობაში ნიკოლაძეს ჩაუბამს თავისი ქართველი მეგობრები, კერძოდ კი კირილე ლორთქიფანიძე, რომელიც, როგორც ვიცით, იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა. არსებობს საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ კ. ლორთქიფანიძეს

---

[1] «Литературное наследство», т. 25-26, стр. 555.

[2] იქვე, т. 25-26, стр. 556.

[3] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. იქვე, გვ. 556 და 574.

სერიოზული დახმარება აღმოუჩენია ნიკოლაძისა და ელპიდინისათვის ჩერნიშევსკის თხზულებათა შეგროვებით, გადაწერითა და ქენევაში გადაგზავნით[1]. ამას გარდა ირკვევა, რომ ნ. ნიკოლაძეს და ზოგიერთ სხვა ქართველ რევოლუციონერს მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები გაუღიათ ჩერნიშევსკის თხზულებათა დასაბეჭდად. (მაგალითად, დამტკიცებულია, რომ ვ. ჩერქეზიშვილმა 50 მან. გაგზავნა ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“ გამოსაცემად).[2]

დაბოლოს, კიდევ ერთი დიდი საქმე, რომელსაც ნ. ნიკოლაძემ „კეთილად მოახმარა“ თავისი დრო საზღვარგარეთ ყოფნისას, ესაა ჟურნალ „სოვრემენოსტის“ გამოცემა ცნობილ რევოლუციონერ ლევ მეჩნიკოვთან ერთად. ეს ჟურნალი გამოდიოდა 1868 წელს ქ. ქენევაში[3]. მისი ისტორია დაკავშირებულია იმ უთანხმრებასთან, რომელმაც იმ ხანებში აშკარად იჩინა თავი „ახალგაზრდა ემიგრაციის“ რიგებში.

რუსეთიდან გადახვეწილი ახალგაზრდა რევოლუციონერები, რომლებიც ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მიერ აღზრდილი იყვნენ რეაქციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისა და შეურიგებლობის სულისკვეთებით, ევროპაში ჩასვლისთანავე ამჟღავნებდნენ უკმაყოფილებას გერცენისა და ოგარიოვის ლიბერალური მერყეობის გამო და საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ „პატრიარქებს“ მეფისადმი გაგზავნილი შემარიგებლური წერილებისათვის. ამ მხრივ ახალგაზრდა რევოლუციონერები თითქმის ერთსულოვანი იყვნენ და მას შემდეგ, რაც მათ ვერ მოახერხეს გერცენთან შეთანხმება (1865 წ.), თანდათან ჩამოშორდნენ მას და სცადეს თავიანთ ხელში აეღოთ რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობა. მაგრამ მათ კეთილშობილ მისწრაფებებს ნაადრევად ფრთები შეაკვეცა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ რუსეთში.

მას შემდეგ, რაც რუსეთში განვლო რევოლუციური სიტუაციის პერიოდმა, გაიმარჯვა რეაქციამ და დამყარდა უსასტიკესი „თეთრი

---

[1] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ე. ჩარკვიანის წერილი, პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, გვ. 81—87.

[2] იხ. ვ. კოზმინი, Революционное подполье в эпоху «белого террора», გვ. 117.

[3] დაწვრილებით ცნობებს ამ ჟურნალის შესახებ გვაწვდის სიმ. ხუნდაძე (იხ. ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 429).

ტერორის“ ეპოქა, ემიგრანტი რევოლუციონერების მდგომარეობა ძალიან მძიმე შეექმნა. ხალხის მასებისათვის, რუსეთის მოწინავე ადამიანებისათვის სულ უფროდაუფრო ძნელი ხდებოდა მორალური და მატერიალური დახმარება გაეწიათ რევოლუციონერებისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. 1867 წელს გერცენი იძულებული გახდა დაეხურა „კოლოკოლი“. გაძნელდა კავშირი რუსეთთან, ახალგაზრდა ემიგრანტთა ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიული იყო. რევოლუციონერი ემიგრანტების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი, შექმნილ მძიმე ვითარებაში რა გზას დადგომოდნენ, ან ბრძოლის როგორი ტაქტიკა აერჩიათ. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა მათ შორის უთანხმოება.

ჟურნალი „სოვრემენოსტი“ ჩვენთვის იმ მხრივ არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ მის ფურცლებზე საკმაოდ რელიეფურად ჩანს როგორც ემიგრანტ რევოლუციონერთა წრეში შექმნილი დაძაბული ვითარება და მათ შორის ატეხილი დავა-უთანხმოება, ისე ნ. ნიკოლაძის (და აგრეთვე ლ. მეჩნიკოვის) მიერ ამ უთანხმოების დროს დაკავებული თავისებური პოზიცია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნ. ნიკოლაძის სტატიები „რუსეთის ემიგრაცია“ და „ორი თაობა“, რომლებიც ხსენებულ ჟურნალის ივნისისა და სექტემბრის ნომრებში დაიბეჭდა. საბაბი ამ სტატიების დაწერისა ნიკოლაძეს მისცა შემდეგმა ფაქტმა: 1867 წელს თავისი ნებით ემიგრაციიდან დაბრუნდა და მთავრობას ჩაბარდა რევოლუციონერი ვ. კელესიევი, რომელმაც დასწერა „აღსარება“ და მოინანია წარსული „შეცდომები“, ხოლო შემდეგ პეტერბურგში გამოსცა მოგონებების წიგნი ემიგრაციის ცხოვრებაზე. ამ ფაქტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელი რუსეთისა და ევროპის საზოგადოებაში, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო პოლიტიკური მოღვაწის ცარიზმის მხარეზე გადასვლისა.

ნ. ნიკოლაძემ თავის სტატიებში სცადა ანალიზი გაეკეთებინა 50-60-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენებისათვის და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხსენებულ პერიოდში რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ორი თაობაა გასარჩევი. პირველი თაობა — ესაა ნამდვილი რევოლუციონერების თაობა, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მიმდევრების თაობა, რომელიც, დობროლუბოვის დახასიათებით, აღიარებს რა ისტორიული განვითარების უცვლელ კანონებს, არ იტვირთება გა-

ნუხორციელებელი იმედებით, არ ფიქრობს, რომ მას შეუძლია თავისი სურვილისამებრ გარდაქმნას ისტორია, არ ფიქრობს, რომ ის თავისუფალია გარემოებათა გავლენისაგან. საკუთარი მდგომარეობის მკაფიო წარმოდგენა ნებას არ აძლევს ამ თაობის წარმომადგენლებს აზარტს აჰყვნენ და წვრილმანებს თავი შეაკლან. მაგრამ ამავე დროს ისინი არ ვარდებიან აპატიასა და უგრძნობლობაში, რადგან შეგნებული აქვთ საკუთარი თავის მნიშვნელობა და საკუთარი თავი მიაჩნიათ მანქანის ერთ-ერთ ბორბლად, ერთ-ერთ მონაწილედ იმ გარემოებათა, რომელნიც მსოფლიოს მოვლენათა მსვლელობას განაგებენ[1]. მეორე თაობა, რომლის დასახასიათებლად ნ. ნიკოლაძე კვლავ დობროლუბოვის სიტყვებს მიმართავს, გამსჭვალული იყო მაღალი, მაგრამ რამდენადმე განყენებული მისწრაფებებით. ამ თაობის წარმომადგენლები ჭეშმარიტებისაკენ ისწრაფოდნენ, სიკეთე სურდათ და მშვენიერება ხიბლავდათ, მაგრამ ყველაზე მაღლა მათთვის პრინციპი იდგა. პრინციპად კი სახავდნენ ზოგად ფილოსოფიურ იდეას, რომელიც მიაჩნდათ მთელი თავისი ლოგიკისა და მორალის საფუძვლად... რაკი სინამდვილეს დაშორდნენ თავი პრინციპის მსახურებას შეწირეს, მათ შესაფერისად ვერ შეაფასეს საკუთარი ძალები და ბევრად იმაზე მეტი იკისრეს, ვიდრე მათ შეეძლოთ... მათ ჩინებულად ჰქონდათ შეთვისებული განყენებული ლოგიკა, მაგრამ სრულებით ვერ იცნობდნენ ცხოვრების ლოგიკას.[2]

ამ ამონაწერიდან აშკარაა, რომ ზემოთ ხსენებული პირველი თაობის თვალსაზრისი, როგორც ის, ნიკოლაძის გადმოცემით დობროლუბოვის დახასიათებაშია ჩამოყალიბებული, აშკარად უახლოვდება ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისს, ხოლო მეორე თაობის თვალსაზრისით ასევე აშკარად ატარებს ისტორიის იდეალისტური გაგების ნიშნებს. სტატიაში „რუსეთის ემიგრაცია“ ნ. ნიკოლაძემ ახალგაზრდა ემიგრანტთა უმრავლესობა (სწორედ უმრავლესობა და არა ყველა,—„ნიჭიერები“ აქ არ შედიან) მიაკუთვნა ზემოხსენებულ მეორე კატეგორიას, — ლამაზი, მაგრამ განუხორციელებელი იდეალებით გატაცებულთა კატეგორიას; მან ის აზრი გამოთქვა, რომ რუსეთის ემიგრაციის მაშინდელ მოღვაწეობას პერსპექტივა აღარ გააჩნია და მისი დაშლა-გადაგვარება გარდაუვალიაო.

---

[1] იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 273-274.

[2] იქვე, გვ. 272.

ეს სტატია დაიბეჭდა ავტორის ხელმოუწერლად, ჟურნალის სარედაქციო წერილის სახით, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მის შინაარსს იზიარებდა მისი მეორე რედაქტორ-გამომცემელი ლ. მეჩნიკოვიც[1].

ახალგაზრდა ემიგრანტთა უმრავლესობის მოღვაწეობის ამ ნიკოლაძისეულმა შეფასებამ სასტიკად აღაშფოთა „ახალგაზრდა ემიგრაციის" ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელთაგანი ა. სერნო-სოლოვიევიჩი, რომელმაც ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ დასწერა და ცალკე ბროშურის სახით გამოსცა ლანძღვა-გინებით სავსე პამფლეტი სათაურით „Миколка-публицист".[2] აღსანიშნავია, რომ სერნო-სოლოვიევიჩმა თავის ბროშურაში გვერდი აუარა ნიკოლაძესთან საკამათო საგნის არსებითად განხილვას. მკვლევარ ბ. კოზმინის აზრით, „ნიკოლაძესთან არსებითად კამათს და მისი ბრალდებების უარყოფას სერნო-სოლოვიევიჩი ზედმეტად სთვლიდა".[3]

ჩვენ აქ არ ვკისრულობთ იმის გამორკვევას, თუ ვინ იყო მართალი ნიკოლაძისა და სერნო-სოლოვიევიჩის კამათში, რადგან ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, ოღონდ ამას კი ვიტყვით, რომ ცნობილი საბჭოთა მკვლევარი ბ. კოზმინი, რომელიც თავის ნაშრომებში არა ერთგან ეხება ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთული მოღვაწეობისა და სერნო-სოლოვიევიჩთან მისი უთანხმოების საკითხს, ჩვენი აზრით, ტენდენციურად და არაობიექტურად მსჯელობს ნ. ნი-

---

[1] აქვე გვინდა აღვნიშნოდ, რომ ნ. ნიკოლაძემ, „სოვრემენნოსტის" ფურცლებზე მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე ჟურნალ „ნაროდნოე დელოს" პირველი ნომერი, რომელიც მ. ბაკუნინის, ნ. უტინის და მ. ელპიდინის ჯგუფმა გამოსცა ჟენევაში 1868 წლის სექტემბერში. ჟურნალის პირველ ნომერში სჭარბობდა ბაკუნინის ანარქისტული შეხედულებები, რომელსაც დაუნდობლად ესხმოდა თავს ნ. ნიკოლაძე.

[2] აღსანიშნავია, რომ ა. სერნო-სოლოვიევიჩმა, რომელიც რევოლუციონერთა შორის საერთოდ გამოირჩეოდა უკიდურესი შეურიგებლობით, ამაზე ადრე გამოსცა აგრეთვე მეტისმეტად მკაცრი ტონით დაწერილი ბროშურა ა. გერცენის წინააღმდეგ, რომელშიც ის გერცენს „მკვდარ ადამიანს" უწოდებდა და ამტკიცებდა, თითქოს ახალგაზრდა თაობამ მას „ზიზღით შეაქცია" ზურგი. ამის პასუხად აღშფოთებული გერცენი ერთ კერძო წერილში ბაკუნინისადმი წერდა: „უსაყვარლესო ბაკუნინ, გიგზავნი სერნო-სოლოვიევიჩს (იგულისხმება მისი ბროშურა.—ბ. რ.) ის თავხედი და გიჟია, მაგრამ საშინელი ისაა, რომ ახალგაზრდობის უმეტესობა ა ს ე თ ი ა... მათ მომავალი არა აქვთ". (იხ. „Литературное наследство", ტ. 41-42, გვ. 29).

[3] «Литературное наследство», ტ. 67, გვ. 704.

კოლაძის შესახებ და ამის გამო არასწორად წარმოგვიდგენს როგორც საერთოდ მისი მოღვაწეობის სურათს, ისე მის პოზიციას სერნო-სოლოვიევიჩთან კამათში. აი, მისი მსჯელობის ნიმუშები:

«Наконец, отметим появление за границей в начале 1864 г. известного впоследствии русско-грузинского публициста Н. Я. Николадзе». — ამბობს კოზმინი ნაშრომში «Герцен, Огарев и «Молодая эмиграция», და განაგრძობს: — «Хотя формально он и не был эмигрантом, так как уехал за границу с разрешения правительства, а в 1868 г. свободно (?) возвратился в Россию, в делах эмиграции он играл большую, хотя, как мы увидим ниже, не всегда красивую роль. Революционное прошлое Николадзе исчерпывалось тем, что в 1861 г. он, будучи студентом первого курса Петербургского Университета, принимал некоторое участие в студенческом движении, за что и поплатился полуторамесячным заключением в Кронштадтской крепости. Лично знакомый с семьей Чернышевского, Николадзе любил много рассказывать о своей близости к великому революционеру. Это конечно, весьма импонировало его слушателям»[1].

ვინც ამ ამონაწერს ყურადღებით წაიკითხავს, მას არ შეუძლია არ შენიშნოს მისი ავტორის აშკარა ტენდენციურობა. მართალია ბ. კოზმინი იძულებულია აღიაროს, ნიკოლაძემ დიდი როლი ითამაშა ემიგრაციის საქმიანობაშიო, მაგრამ ამ აღიარებას იქვე ისეთ შენიშვნებს ურთავს, რომ მას ყოველგვარი ფასი ეკარგება.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ნ. ნიკოლაძის „რევოლუციური წარსული“ (ესე იგი მისი რევოლუციური მოღვაწეობა საზღვარგარეთ წასვლამდე) სრულებითაც არ „ამოიწურებოდა“ იმით, რომ 1861 წელს მან „ერთგვარი მონაწილეობა“ („некоторое участие“) მიიღო სტუდენტთა მოძრაობაში; ჩვენ დავინახეთ სახელდობრ, რომ ნ. ნიკოლაძემ სტუდენტთა 1861 წლის მოძრაობაში „ერთგვარი“ კი არა, უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო, რისთვისაც პატიმრობაში სწორედ იმდენ ხანს იყო, რამდენ ხანსაც დანარჩენი სტუდენტი-რევოლუციონერები; ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ნ. ნიკოლაძე საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ — მიუხედავად იმისა, რომ ის მაშინ

---

[1] «Литературное наследство», т. 41-42, стр. 16.

18 წლის ყმაწვილი იყო, — აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში და კალმით თუ პრაქტიკული საქმიანობით თავგამოდებით იბრძოდა რევოლუციურ-დემოკრატიული პრინციპებისათვის. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით არის მოთხრობილი ნ. ნიკოლაძის მოგონებებში, რომელიც რუსულად ჯერ კიდევ 1927 წელს დაიბეჭდა ყველასათვის ცნობილ და ხელმისაწვდომ ჟურნალში.[1]

ისმება კითხვა: რა მონაცემებს ან რა წყაროს ეყრდნობოდა მკვლევარი ბ. კოზმინი, როცა ასე დამცირებულად წარმოგვიდგენდა ნიკოლაძის „რევოლუციურ წარსულს?" როგორც თვითონ გვამცნობს, ამ შემთხვევაში მისი ერთადერთი წყარო ყოფილა ე. გიჟიცკის წერილი „Русские эмигранты", რომელიც დაიბეჭდა 1873 წელს „მოსკოვსკიე ვედომოსტში". ამ წერილში ნიკოლაძის შესახებ ნათქვამია: «Все его политическое преступление состояло в том, что он в Петербурге был знаком с одним политическим преступником» (т. е. Чернышевским)[2].

მაგრამ ვინ არის ეს გიჟიცკი და შეიძლება თუ არა ვენდოთ მის ნათქვამს?

გიჟიცკი იყო სტუდენტთა 1861 წლის მოძრაობის აქტიური მონაწილე, რისთვისაც პეტერბურგიდან გაასახლეს, მოახერხა საზღვარგარეთ გაქცევა, შემდეგ კი რენეგატი გახდა და რუსეთში დაბრუნდა. აი, როგორ ახასიათებს, თვითონ ბ. კოზმინი ე. გიჟიცკისა და მის სტატიას: „После напечатания статьи «Русские эмигранты», полной сплетен и клеветы на эмиграцию, он получил разрешение вернуться в Россию, о чем ранее хлопотал безуспешно"[3] მაშასადამე, იმისათვის, რომ მოეპოვებინა რუსეთში დაბრუნების უფლება, რენეგატმა გიჟიცკიმ, თვით კოზმინის მოწმობით, ტალახში ამოსვარა თავისი ამხანაგები, საჯაროდ ცილი დასწამა მათ და გამოუგონა ათასგვარი ჭორები, რითაც დაიმსახურა მეფის მთავრობის კეთილგანწყობილება.

საკვირველია, რომ ისეთმა სერიოზულმა მკვლევარმა, როგორიც ბ. კოზმინი იყო, შესაძლებლად დაინახა უკრიტიკოდ დაყრდნობოდა რენეგატის და ცილისმწამებლის ე. გიჟიცკის აშკარა ნაყალბევს.

---

[1] ჟურნალი «Каторга и ссылка», 1927 წ., IV.

[2] «Литературное наследство», т. 41-42, стр. 45.

[3] იქვე გვ. 42.

ახლა ვიკითხოთ, რაში გამოიხატებოდა ის, ვითომდა შეუფერებელი როლი („не всегда красивая роль"), რომელსაც, ბ. კოზმინის სიტყვით, ზოგჯერ ნ. ნიკოლაძე თამაშობდა ემიგრანტების ცხოვრებაში? ასეთ, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურ განცხადებას, მკვლევარი აფუძნებს ერთადერთ ამბავზე და ისიც ისეთზე, რომელიც სრულიად შეუსწავლელი და სადავოა. საქმე ეხება ურთიერთდახმარების სალაროს, რომელიც ერთ ხანს ახალგაზრდა ემიგრანტებმა შექმნეს გერცენის „საერთო ფონდის" პარალელურად.

აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს და ნ. ნიკოლაძის „დანაშაულს" ბ. კოზმინი: «История этой кассы известна нам очень мало. Распорядителем кассы был избран Мечников, а кассиром — Николадзе. Касса взаимопомощи просуществовала недолго. В ней обнаружилась недостача денег. Судя по брошюре А. А. Серно-Соловьевича «Миколка-публицист» (Женева, 1868 г.), виновником был кассир Николадзе. Неизвестно, как объяснял он случившееся, но в конце концов эмигранты простили ему растрату. Кончилась эта история тем, что Мечников все оставшиеся в кассе деньги передал в «Общий фонд» Герцена... Это произошло в сентябре 1866 г.»[1].

მაშასადამე, თვით კოზმინის აღიარებით, ხსენებული სალაროს ისტორია შეუსწავლელია და ჩვენ მის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით; სრულებით არაფერი ვიცით აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ ახსნა ნიკოლაძემ სალაროს დანაკლისი, ე. ი. არ ვიცით ის მიზეზები, რამაც დანაკლისი გამოიწვია; სამაგიეროდ ვიცით, რომ ემიგრანტებმა აპატიეს (თუკი რამ იყო საპატიებელი) ნიკოლაძეს „დანაშაული". აქედან ბუნებრივად იბადება აზრი: ან დანაშაული სრულებით არ ყოფილა, ან კიდევ თუ იყო, — ისეთი უმნიშვნელო, რომ მას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ნიკოლაძისა და მისი მეგობრების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ასეთი მტკიცებისათვის საფუძველს გვაძლევს მთელი რიგი ფაქტები.

ცნობილია, რომ მძიმე მატერიალურ პირობებში ჩავარდნილი ახალგაზრდა ემიგრანტები ფულის საკითხში ნიკოლაძეს კი არა, თვით ისეთ დიდ ავტორიტეტს, როგორიც გერცენი იყო, იოტის ოდენს არაფერს უთმობდნენ. ამ ნიადაგზე არა ერთხელ მომხდარა უსიამოვნება

---

[1] იქვე, გვ. 25.

გერცენსა და ახალგაზრდა ემიგრანტებს შორის, რამაც ბოლოს და ბოლოს აიძულა გერცენი სავსებით მოესპო „საერთო ფონდი“. თვითონ კოზმინი ადასტურებს, რომ „Общий фонд не надолго пережил эмигрантскую кассу. В «Колоколе» от 15 мая 1867 г. было помещено объявление о ликвидации «Общего фонда“. Причиной этого были какие-то обвинения, возникшие в связи с «Общим фондом» против Герцена среди эмигрантов. В письме к Г. Н. Вырубову Герцен писал, что он уничтожил фонд «благодаря нахальству эмиграчей»[1].

ასეთ პირობებში, ცხადია, ნიკოლაძეს დანაშაულს არავინ აპატივებდა, მას რომ ემიგრანტთა კუთვნილი ფულები მართლა გაეფლანგა.

ხოლო რომ ადვილად „აპატივეს“ და მთელი ორი წლის განმავლობაში (სერნო-სოლოვიევიჩთან უთანხმოების ჩამოვარდნამდე) ემიგრანტთა ყველა თვალსაჩინო ხელმძღვანელი ნ. ნიკოლაძესთან უახლოეს მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

სერნო-სოლოვიევიჩი 1867 წელს ქებით იხსენიებდა ნიკოლაძის ბროშურას „მთავრობა და ახალი თაობა“.[2] გარდა ამისა იმავე ხანებში სერნო-სოლოვიევიჩი ნ. ნიკოლაძესთან ერთად აქტიურად მუშაობდა ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოსაცემად[3], და ეს საქმე მხოლოდ ნიკოლაძესთან უთანხმოების შემდეგ მიატოვა.

მ. ელპიდინი 1868 წლის ბოლომდე უახლოეს მეგობრულ ურთიერთობაში იყო ნიკოლაძესთან და მასთან ერთად ხელმძღვანელობდა ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემას და მხოლოდ მის შემდეგ, რაც ელპიდინი ანარქისტ ბაკუნინის ჯგუფს მიემხრო, ჩამოშორდა მას ნიკოლაძე.

ნ. უტინი 1867 წელს დაწერილ ერთ კერძო წერილში ნ. ნიკოლაძეს ღრმა პატივისცემით იხსენიებდა და ამბობდა, რომ ის არის „Очень способный публицист“.[4] მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ 1868 წელს, სახელდობრ იმ დროს, როცა ჟენევაში მეორედ ჩავიდა

---

[1] იქვე, გვ. 25.

[2] იხ. «Литературное наследство», т. 25/26, стр. 555.

[3] იხ. იქვე, გვ. 556.

[4] იხ. «Литературное наследство», ტ. 62, გვ. 684.

ცნობილი რევოლუციონერი ივ. ბოჩკარიოვი, უტინი და ნიკოლაძე მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ.

ხოლო ლევ მეჩნიკოვი, რომელიც თვითონ იყო ემიგრანტთა სალაროს განმკარგულებელი და მაშასადამე ყველაზე უკეთ ეცოდინებოდა ფულის დანაკლისის მიზეზები, არა მარტო მეგობრობდა მომდევნო წლებში ნ. ნიკოლაძეს, არამედ როგორც „სოვრემენოსტის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი უდავოდ იზიარებდა მის შეხედულებებს და იწონებდა მის პოზიციას სერნო-სოლოვიევიჩთან კამათში.

ყოველივე აქედან ცხადია, რომ ა. სერნო-სოლოვიევიჩის მიერ პოლემიკური გატაცების დროს ნახსენები ფაქტი, რომლის მიხედვით გამოდის, რომ ემიგრანტთა სალარო თითქოს ნიკოლაძის მიზეზით გაკოტრდა, მეტი რომ არ ვთქვათ, შეუმოწმებელი ფაქტია და არ გამოდგება იმისათვის, რომ ეჭვ ქვეშ დავაყენოთ ნ. ნიკოლაძის უანგარო და თავდადებული მოღვაწეობა მთელი ოთხი წლის განმავლობაში, რუს რევოლუციონერებთან ხელიხელ ჩაკიდებული, ემიგრაციის უმძიმეს პირობებში.

არ შეგვიძლია არაფერი ვთქვათ ბ. კოზმინის ნაშრომზე „ა. სერნო-სოლოვიევიჩი. მასალები ბიოგრაფიისათვის", რომელშიც ავტორი კვლავ ეხება ნიკოლაძისა და სერნო-სოლოვიევიჩის უთანხმოებას. აქ ჩვენ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძის წერილს „რუსეთის ემიგრაცია", რომელშიც ახალგაზრდა ემიგრანტთა უმრავლესობის დახასიათებაა მოცემული, ბ. კოზმინი „ცილისმწამებლურ ბრალდებებს" („клеветнические обвинения")[1] უწოდებს. ავტორს რომ არსებითად გაერჩია ნიკოლაძის ზემოთ ხსენებული წერილი და სათანადო მეცნიერული ანალიზის შედეგად მისულიყო ასეთ მკაცრ დასკვნამდე, ჩვენ აღარაფერი გვეთქმოდა. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ბ. კოზმინი (ისევე როგორც თავის დროზე სერნო-სოლოვიევიჩი) არსებითად არ შეხებია და არ განუხილავს ნ. ნიკოლაძის ზემოთ ხსენებული წერილი და მაინც თავს ნებას აძლევს ასე სასტიკი მსჯავრი დასდოს მას.

დაბოლოს, მკითხველს გვინდა გავაცნოთ კიდევ ერთი მაგალითი ბ. კოზმინის მიერ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისადმი გამოჩენილ არაობიექტურობისა, რითაც დავამთავრებთ ამ საკითხზე საუბარს.

1957 წელს გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში „Русская сек-

---

[1] იხ. «Литературное наследство», ტ. 67, გვ. 404.

ция первого интернационала", ბ. კოზმინი დეტალურად იხილავს 60-იანი წლების ემიგრაციის ცხოვრებას, ანალიზს უკეთებს ემიგრანტთა საქმიანობას და ასეთ საგულისხმო დასკვნამდე მიდის:

«Если молодые эмигранты сходились друг с другом в своем отрицательном отношении к самодержавию и господству дворянства, если против Герцена они выступали — за немногими исключениями — общим, сплоченным фронтом, то это еще не означало, что они представляли собою в идеологическом отношении единое целое. Преклоняясь перед Чернышевским и с гордостью именуя себя, иногда без достаточных на то оснований, его учениками, молодые эмигранты, — или, по крайней мере, большинство их, — в действительности начали забывать уроки Чернышевского и в некоторых, иногда весьма существенных отношениях отступать от его взглядов. К концу 60-х и к началу 70-х годов их отход от идей Чернышевского обозначился с полной ясностью.

Одни из них пошли вслед за Бакуниным и превратились в анархистов (Н. И. Жуковский, В. А. Озеров); другие сделались мирными буржуазными демократами (Н. Я. Николадзе); третьи ренегатством вымолили себе у царского правительства прощение и право на возвращение в Россию (Е. Гижицкий); четвертые, продолжая оставаться за границей, ушли в частную жизнь и обивательщину. Только очень немногие из эмигрантов 60-х годов продолжали в следующем десятилетии активно участвовать в революционной работе»[1].

ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით მსჯელობას იმის შესახებ, თუ რამდენად ახლოა ბ. კოზმინის მიერ 60-იანი წლების ემიგრანტთა უმრავლესობის შესახებ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებანი იმ საინტერესო აზრებთან, რომელიც ამავე საკითხზე ჯერ კიდევ 90 წლის წინათ გამოთქვა ნ. ნიკოლაძემ, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ნ. ნიკოლაძის შემდგომი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ის უდავოდ შემცდარი შეფასება, რომელსაც აქ ბ. კოზმინი გვთავაზობს. ზემოთ მოყვანილ ციტატიდან გამოდის, რომ ნ. ნიკოლაძე უნდა მოვაქციოთ

---

[1] იხ. დასახელებული გვ. 61.

ისეთ მოღვაწეთა რიგებში, რომლებმაც უკვე 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანი წლების დამდეგს „დაიკიწყეს ჩერნიშევსკის გაკვეთილები“, გადაუდგენ თავიანთ მასწავლებელს და უღალატეს 60-იანი წლების მემკვიდრეობას. ავტორი ნ. ნიკოლაძეს არ უთმობს ადგილს 60-იანი წლების ემიგრანტთა იმ მცირე ჯგუფში, რომლებიც მომდევნო ათწლედშიც აქტიურად განაგრძობდნენ რევოლუციურ საქმიანობას და მას რაღაც გაურკვეველი — „მშვიდობიანი ბურჟუაზიული დემოკრატიის“ — მიმართულებას მიაკუთვნებს.

საკითხის ასეთ დაყენებას, ცხადია, არ შეიძლება დავეთანხმოთ. რადგან ამას ეწინააღმდეგება ისტორიული ფაქტები, — ეწინააღმდეგება ნ. ნიკოლაძის მთელი მოღვაწეობა არა მარტო მომდევნო ათწლედში (ე. ი. 70-იან წლებში), არამედ 80-იან წლებშიც კი. ვინც ოდნავ მაინც იცნობს ხსენებულ პერიოდში მის მოღვაწეობას, მას არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ნ. ნიკოლაძე იყო 60-იანი წლების მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და შესანიშნავი გამგრძელებელი, რომელმაც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ხალხის ინტერესების თავდადებული დაცვის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენა. ამ დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ფაქტები, როგორიცაა: ნიკოლაძის აქტიური და ხელმძღვანელი მონაწილეობა 70-იან წლებში თერგდალეულთა მებრძოლ ორგანოებში, გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულში“; მის მიერ იმავე ხანებში, პ. იზმაილოვისა და დ. მიქელაძესთან ერთად, პარიზში სოციალისტური მიმართულების გაზეთის („დროშა“) გამოცემა; მის მიერ 70-იანი წლების ბოლოს დაარსებული, რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ობზორის“ ბრძოლა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ამ გაზეთის დახურვა და ნ. ნიკოლაძის სტავროპოლში გადასახლება; ნიკოლაძის თავდადებული მუცადინეობა 80-იანი წლების დამდეგს ჩერნიშევსკის კატორღიდან განსათავისუფლებლად და მრავალი სხვა.

ახლა ესეც ვიკითხოთ, ვის გულისხმობს ბ. კოზმინი 60-იანი წლების ემიგრანტთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფში („очень немногие“), რომელიც მისი სიტყვით, «Продолжали и в следующем десятилетии активно участвовать в революционной работе»?

მისი მსჯელობიდან, რომელსაც ზემოთ გავეცანით, აშკარად ჩანს, რომ მას მხედველობაში არ ჰყავს ისინი, ვინც ბაკუნინს გაჰყვა და ანარქისტად იქცა (რომ აღარაფერი ვთქვათ ე. გიეიცკის

მსგავს რენეგატებზე); მას არ შეიძლება მხედველობაში ჰყავდეს აგრეთვე ა. სერნო-სოლოვიევიჩი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1869 წელს თავი მოიკლა. შემდეგ, ძნელად საფიქრებელია, რომ მკვლევარს მხედველობაში ჰყოლოდა ლ. მეჩნიკოვი და მ. ელპიდინი, რადგან პირველმა მათგანმა 70-იან წლებში, განსაკუთრებით კი მის შემდეგ, რაც ის იაპონიაში გაემგზავრა, მთელი თავისი დრო და ენერგია თითქოს მთლიანად მეცნიერულ მუშობას (გეოგრაფიაში) მოახმარა, ხოლო ელპიდინი უკვე 70-იანი წლების პირველ ნახევარში იდეურად გაკოტრდა და ბოლოს თავისი პოლიტიკური კარიერა სავსებით სამარცხვინოდ დაამთავრა (80-იანი წლების დასაწყისში რუსეთის პოლიციის აგენტი გახდა).

დაგვრჩა ნ. უტინი და მისი რამდენიმე მიმდევარი, რომლებმაც 1870 წელს ჟენევაში შექმნეს კ. მარქსის მიერ დაარსებული პირველი ინტერნაციონალის რუსული სექცია. ჩანს, კოზმინი სწორედ ნ. უტინს და მის ჯგუფს გულისხმობს 60-იანი წლების იმ ახალგაზრდა ემიგრანტთაგან, რომლებიც 70-იან წლებშიც განაგრძობდნენ „აქტიური მონაწილეობის მიღებას რევოლუციურ მუშაობაში". ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ნ. უტინმა და მისმა ჯგუფმა მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1870-1873 წლებში ბაკუნინისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ პირველ ინტერნაციონალის ბრძოლაში, რასაც ისინი ძირითადად ჩერნიშევსკის პოზიციებიდან აწარმოებდნენ, მაგრამ ისიც ისტორიული ფაქტია, რომ 1873 წლიდან როგორც ნ. უტინი, ისე მისი მიმდევრები (ე. ბორტნეევას გარდა) სავსებით ჩამოშორდნენ პოლიტიკურ მოღვაწეობას და ხელი აიღეს 60-იანი წლების იდეების ყოველგვარ დაცვაზე. ნ. უტინი ჯერ ბელგიაში სწავლობდა საინჟინერო საქმეს, შემდეგ კი რუსეთში დაბრუნდა (1877 წ.), მოინანია „ძველი შეცდომები" და სიკვდილამდე მუშაობდა რიგითი ინჟინრად ურალში. დაახლოვებით იმავე ხანებში ჩამოშორდნენ პოლიტიკურ მოღვაწეობას მისი თანამოაზრენიც (ა. ტრუსოვი, ა. შჩერბაკოვი, ო. ლევაშევა, ე. დიმიტრიევა). თვით ბ. კოზმინის ცნობით, «Наибольшую устойчивость в политическом отношении из всех членов Русской секции проявила Е. Г. Бартнеева»[1], მისი დამსახურება კი ის იყო, რომ «До конца жизни сохранила верность демократическим идеалам своей молодости. За-

[1] Б. П. Козьмин, Русская секция первого интернационала, стр. 368.

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ В Г. МОСКВЕ

III отделение „собственной его императорского величества" канцелярии
секретный архив

Конкурсное дело о назначении за границей в Петербург командированного чина Юридического университета, губернского секретаря Николадзе Н. А., наперечисленного по нарядам наравне с русскими эмигрантами Ивановым И., Гебер Б., Дорсенко Н.

Начато 13 апр. 1872 г. Окончено 23 апр. 1872 г.

На _____ листах

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ В г. МОСКВЕ
Фонд № 109 Опись № 1 Ед. хр. № 430

გარეკანი III განყოფილების საქმისა, რომელშიც ინახება ჟანდარმთა აგენტურის მიერ შეგროვილი მასალა პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ნ. ნიკოლაძეზე.

нималась она по возвращении в Россию литературным трудом, сотрудничая в ряде либеральных и демократических изданий»[1].

ვფიქრობთ სურათი ნათელია.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძის ამორიცხვა 60-იანი წლების იმ ემიგრანტთა სიიდან, რომლებიც შემდეგ ათწლეულშიაც განაგრძობდნენ მონაწილეობის მიღებას რევოლუციურ მუშაობაში, შეცდომაა და ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. მრავალრიცხოვანი, კარგად შემოწმებული ფაქტები მოწმობენ, რომ ნ. ნიკოლაძე 70-იან და აგრეთვე 80-იან წლებში (ყოველ შემთხვევაში 80-იან წლების პირველ ნახევარში მაინც) ერთგული რჩებოდა 60-იანი წლების იდეებისა და აქტიურად იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. ამიტომ სავსებით მართალი იყო ცნობილი რუსი მკვლევარი ი. ჩერნიაკი, რომელმაც 1955 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ ნაშრომში ნ. ნიკოლაძეს უწოდა «Известный грузинский публицист, участник революционно-демократического движения шестидесятых-восьмидесятых годов прошлого столетия»[2].

რა თქმა უნდა, ცალმხრივი და ტენდენციური დამოკიდებულება ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისადმი ისეთი ცნობილი მეცნიერის მხრივ, როგორიც ბ. კოზმინია, რომელსაც უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის კვლევისა და გაშუქების საქმეში, იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადოდ შესწავლილი ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა და აზროვნება საერთოდ, კერძოდ კი მისი საზღვარგარეთული მოღვაწეობა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მოგვაგონებს, თუ რა აქტუალური და გადაუდებელია ნ. ნიკოლაძისა და მასთან ერთად სხვა ქართველი რევოლუციონერების საზღვარგარეთ მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლის საკითხი.

მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

ჟურნალ „სოვრემენნოსტის“ გამოცემა, როგორც უკვე ითქვა, ნ. ნიკოლაძის უკანასკნელი სერიოზული წამოწყება იყო 60-იან წლებში საზღვარგარეთ ყოფნისას. ჩვენი ფიქრით, ის ფაქტი, რომ

---

[1] იქვე.

[2] იხ. «Литературное наследство», т. 62, стр. 402.

ახალგაზრდა ემიგრანტთა შორის უთანხმოების გაჩენის დროს ის ლევ მეჩნიკოვს მიეკედლა და მასთან ერთად სცემდა ზემოხსენებულ ჟურნალს, შემთხვევითი არ არის. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ნ. ნიკოლაძე იდეურად ყველაზე ახლო სწორედ მეჩნიკოვთან იყო, — იმ მეჩნიკოვთან, რომელიც, გ. პლეხანოვის სამართლიანი დახასიათებით, „ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და ყველაზე სიმპათიური წარმომადგენელია სამოციანი წლების თაობისა, რომელმაც ბევრი გააკეთა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ჩვენი მეცნიერებისა და ლიტერატურისათვის“.[1]

ჟურნალი „სოვრემენნოსტი“, ბევრი სხვა ემიგრანტული გამოცემის მსგავსად, დღემოკლე აღმოჩნდა. ის დაიხურა იმავე 1868 წლის ბოლოს. მისი დახურვის შემდეგ ლ. მეჩნიკოვი ესპანეთში გაემგზავრა „ს. პეტერბურგის ვედომოსტების“ კორესპონდენტად, ხოლო ნ. ნიკოლაძემ სამშობლოს მოაშურა.

ჩვენი ფიქრით, ჟურნალის დახურვა და მისი ხელმძღვანელების მიერ ჟენევის ემიგრანტული ცხოვრების მიტოვება დაკავშირებულია იმ თვალსაზრისთან, რომელიც ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა წერილში „რუსეთის ემიგრაცია“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ აღარ სწამდათ, რომ რევოლუციის საქმისათვის ემიგრაციას შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება და კიდევაც დასტოვეს მისი რიგები.

ამასთან დაკავშირებით დროულია გავიხსენოთ ნ. ნიკოლაძის შემდეგი სიტყვები: „ევგენი პეჩატკინმა შეატყობინა ოლგა სოკრატოვნას, რომ ჩერნიშევსკის აუცილებელი დატუსაღება მოელის. მან შეაძლია ფული და პასპორტი სხვის სახელზე, რომლითაც ჩერნიშევსკის შეეძლო საზღვარ-გარეთ წასვლა... ჩერნიშევსკიმ კატეგორიული უარი განაცხადა ამ თავაზიან წინადადებაზე. ის ჩემთან (საუბარში) ამტკიცებდა, რომ ემიგრანტათ გახდომით ის მოსწყდებოდა რუსეთს, მის „საზოგადოებრივ მაჯისცემას“ და უკან ჩამორჩენილი გადაიქცეოდა უსაქმო ყბედად, ბუზღუნად. ეს მისი სიტყვები მე ცხადლივ მახსოვს. ამ სიტყვებმა თითონ მე გადამარჩინეს შემდეგში ემიგრანტობისაგან“.[2]

---

[1] Г. В. Плеханов, Сочинения, т. VII, стр. 329.

[2] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 141

ვფიქრობთ ყველაფერი ნათელია.

ესეც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძის დაბრუნება რუსეთის იმპერიის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ის ემიგრანტად არ ითვლებოდა, არ მომხდარა ისე იოლად, როგორც ეს ბ. კოზმინს წარმოუდგენია. ისეთი სანდო ავტორიტეტი, როგორიც აკაკი წერეთელია, ამ საკითხზე შემდეგს გვაცნობებს: „დაბრუნების ნება არ ჰქონდა... ბოლოს კი, როგორც იქნა, მგონი ბარიათინსკის შემწეობით, მოესწრო იაკობი შვილის ნახვას“.[1]

აქედან ცხადია, რომ ნ. ნიკოლაძეს გარკვეული სიძნელეების გადალახვა დასჭირვებია იმისათვის, რომ სამშობლოში დაბრუნება მოეხერხებია. ეს სიძნელეები კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება თუ ყურადღებით გადავათვალიერებთ მესამე განყოფილების საქმეებში დაცულ საბუთებს, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, აშკარად ადასტურებენ ცარიზმის საიდუმლო პოლიციის განსაკუთრებულ ინტერესს ნ. ნიკოლაძის საქმიანობისადმი.

გავეცნოთ ამ საბუთებს.

ზემოთ, როცა ნ. ყიფიანის რევოლუციურ მოღვაწეობას ვეხებოდით, გაკვრით უკვე აღვნიშნეთ, რომ უმაღლესად დამტკიცებული გამომძიებელი კომისია 1868 წელს დაკინებით ეკითხებოდა დაპატიმრებულ რევოლუციონერებს (ვასილ სუფშინსკის, ივ. პენკოვსკის და სხვ.), .იცნობდნენ, თუ არა ისინი ნ. ნიკოლაძეს; აღვნიშნეთ ისიც, რომ კომისია ფიქრობდა, ნიკოლაძეს (აგრეთვე ელპიდინს) მიწერ-მოწერა აქვს პეტერბურგში მცხოვრებ რევოლუციონერებთანო და ამის გამო დაადგინა, მოეძებნათ ნიკოლაძის ხელნაწერი „საეჭვო წერილებთან“ მისი ხელის შესადარებლად. ქვემოთ მოყვანილ საბუთებიდან კარგად ჩანს, თუ რა გაფაციცებით დაეძებდნენ ცარიზ-

---

[1] აკაკი, რჩეული ნაწერები, 1940 წ., გვ. 475

შეიძლება ზოგ ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს აკაკის ცნობა იმის შესახებ, რომ იაკობი შვილის ნახვას მოესწრო კავკასიის მეფისნაცვლის ბარიათინსკის შემწეობითო, მაგრამ აქ საკვირველი არაფერია. მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა აღეკვეთა ემიგრანტთა საზღვარგარეთული საქმიანობა და ამ მიზნით ზოგჯერ თვითონ უწყობდა ხელს ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნებას. ცნობილია, მაგალითად, რომ 1874 წელს მაისში მეფის მთავრობამ გაზეთებში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ემიგრანტებს წინადადებას აძლევდა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

მის უმაღლესი ადმინისტრაციის ჩინოვნიკები ნ. ნიკოლაძის ხელნაწერს.

უმაღლესად დამტკიცებულ კომისიის ერთ-ერთ საქმეში მოიპოვება მესამე განყოფილების რომელიღაც ჩინოვნიკის მიერ 1868 წლის 3 ოქტომბრის თარიღით კომისიის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ელპიდინის ერთი წერილი აღმოჩნდა და, უფროსების ნებართვით, ვისწრაფვი მოგართვათ... რაც შეეხება ნიკოლაძეს, მისი ხელნაწერი ახლა ჩვენ არა გვაქვს, (გაურკვ.) ეტყობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახება ნიკოლოზ ნიკოლაძის თხოვნა მისთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე (ბ-ნ მინისტრის მიმართვა, — მისი კანცელარიის ხაზით,— ს. პეტერბურგის განყოფილების მთავარი უფროსისადმი 1864 წ. 25 მაისი № 1542). თუ თქვენ ბნებავთ სწრაფად მიიღოთ იგი არაოფიციალური გზით, ასე ეს შეიძლება; ხოლო თუ არა — მაშინ შეიძლება გაკეთდეს ფორმალური მოთხოვნა (ხელმოწერა).

N. B.: ნიკოლაძის შესახებ მე კიდევ მოვძებნი და როგორც კი ვიპოვნი რაიმეს, მაშინვე გაცნობებთ".[1]

ეს ცნობა უმაღლესი კომისიის თავმჯდომარეს მიუღია 4 ოქტომბერს და მეორე დღესვე გაუგზავნია მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, რომელშიც სთხოვს მას გაუგზავნოს „დედანი აქაური უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტის, ნიკოლოზ ნიკოლაძის თხოვნისა, მისთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემის შესახებ."[2]

მაგრამ ეტყობა შინაგან საქმეთა სამინისტროშიც არ აღმოჩენილა ნიკოლაძის განცხადება, რის გამო უმაღლესი კომისია 11 ოქტომბერს მიმართავს პეტერბურგის ობერ-პოლიცმეისტერს შემდეგი თხოვნით: „ს. პეტერბურგის ყოფილმა გენერალ-გუბერნატორმა 1864 წლის 24 ივნისს № 1641 მიმართვა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს, აქაური უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტის ნიკოლოზ ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე, თანახმად მისი თხოვნისა.[3]

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 52.

[2] იქვე, ფ. 59.

[3] აქედან (და აგრეთვე სხვა საქმეებიდან — იხ. ф. III 0,1 эксп., оп. 5, д. 277, ч. 13, л. 17) ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს საზღვარგარეთ წასვლის ნებართვის მიღებაში ქმედითად დახმარებია პეტერბურგის მაშინდელი გენერალ-გუბერნატორი, კეთილი ხასიათის ადამიანი ა. სუვოროვი (სახელგანთქმული მხედართმთა-

იმის გამო, რომ ჩემი თავმჯდომარეობით უმაღლესად დამტკიცებულ გამომძიებელ კომისიაში განსახილველად არის საქმე, რომელთან დაკავშირებით საჭიროა ეს თხოვნა, პატივი მაქვს უმდაბლესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას უბრძანოთ მოძებნონ იგი ყოფ. გენერალ-გუბერნატორის სამმართველოს საპასპორტო განყოფილებაში და გამოუგზავნოთ კომისიას, რაც შეიძლება მოკლე დროში".[1]

პეტერბურგის ობერ-პოლიცმეისტერს, როგორც ეს კომისიის ჟურნალის ჩანაწერიდან ირკვევა, ნ. ნიკოლაძის თხოვნის (განცხადების) მაგიერ უმაღლესი კომისიისათვის გაუგზავნია მთელი „საქმე", რომელიც შეიცავდა მიწერ-მოწერას ნ. ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემის ირგვლივ. ამის შესახებ ჟურნალში (ოქმში) ნათქვამია: „...V. ს. პეტერბურგის ობერ-პოლიცმეისტერმა, 12 ოქტომბრის თარიღით № 6594, კომისიაში გადმოგზავნა საქმე ს. პეტერბურგის ყოფილი სტუდენტის ნიკოლოზ ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთის პასპორტის გაცემაზე. დაადგინეს: ეს საქმე განხილულ იქნას საპატიო მოქალაქის ივანე პენკოვსკის, სოლოდოვნიკოვის ქალის და სხვათა საქმესთან ერთობლივად".[2]

ახლა გავარკვიოთ საკითხი, რატომ დაეძებდა ამ დროს უმაღლესი გამომძიებელი კომისია ასეთი განსაკუთრებული სიბეჯითით ნ. ნიკოლაძის ხელნაწერს?

ამ საკითხის გასარკვევად, აუცილებელია მოკლედ მაინც შევეხოთ რენეგატ ივ. როზანოვისა და აგრეთვე ცნობილი რევოლუციონერის ი. ბოჩკარიოვის დაპატიმრების ისტორიას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რევოლუციონერთა ზემოთ უკვე ხსე-

---

ვრის შვილიშვილი), რომელიც კავკასიაში ნამსახური იყო და როგორც საერთოდ სტუდენტებს, ისე განსაკუთრებით კავკასიელებს მზრუნველობით ეპყრობოდა. მის შესახებ ცნობილი რევოლუციონერი ლ. პანტელეევი ამბობს: „დიდი ბედნიერებაა, რომ მაშინ პეტერბურგში გენერალ-გუბერნატორი იყო ალექსანდრე არკადის ძე სუვოროვი. ის არ იყო ფართო შეხედულების კაცი, არ შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ ის იყო გამჭრიახი და შორსმხედველი პოლიტიკოსი, მაგრამ სუვოროვი იყო კეთილი, ჰუმანური ადამიანი და შესანიშნავი ნდობით ეპყრობოდა ახალგაზრდობას, სტუდენტების მიმართ კი პირდაპირ მამობრივ მგრძნობიარობას იჩენდა" (ლ. პ. პანტელეევი, მოგონებები, გვ. 282).

[1] იქვე, გვ. 122.

[2] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 449, журналы, т. 5-й, часть 2-я, л. 121.

ნებულ ჯგუფის, სახელდობრ ეკ. სოლოდოვნიკოვას, ივ. პენკოვსკის, ნ. ყიფიანის და სხვ. დაპატიმრების საქმესთან.

გზააბნეული ინტელიგენტი ივ. როზანოვი 1867 წ. შემოდგომაზე წავიდა საზღვარგარეთ და იქ დაუახლოვდა ჟენევაში მცხოვრებ ემიგრანტებს, განსაკუთრებით კი მ. ელპიდინს, რომლის გავლენით ერთგვარ მონაწილეობას იღებდა ემიგრანტთა საქმიანობაში და ერთხანს პირველი ინტერნაციონალის წევრიც კი იყო. 1868 წლის ივნისში როზანოვი რუსეთში დაბრუნდა და შემთხვევით კოვნოში დააპატიმრეს ყალბი საკრედიტო ბილეთის გადაცვლის ცდის დროს. როზანოვმა კოვნოს ადგილობრივ ხელისუფლებას მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გაეგზავნათ იგი პეტერბურგში, იმპერატორის ოჯახის წინაალმდეგ ევროპაში შეთქმულებაა და მინდა ამის შესახებ სასწრაფოდ შოვახსენო მთავრობასო. პეტერბურგში ჩასვლისთანავე როზანოვმა შესამე განყოფილებას განუცხადა, მ. ელპიდინი და მისი მეგობრები თითქოს ამზადებენ ფართო შეთქმულებას, რომლის მიზანია ჩერნიშევსკის განთავისუფლება კატორღიდან და პოლიტიკური რეფორმების გატარება რუსეთში, რისთვისაც მათ გაეზრახული აქვთ მეფის ოჯახის რომელიმე წევრი შეიპყრონ და ამ გზით აიძულონ მთავრობა შეასრულოს რევოლუციონერთა მოთხოვნებიო. როზანოვმა დეტალურად გადაუშალა მესამე განყოფილებას შეთქმულების გეგმა, მაგრამ მთავრობამ, როგორც ჩანს, არ დაიჯერა ეს ფანტასტიური ამბავი, თუმცა სიფრთხილის ზომები მაინც მიიღო. სიფრთხილის ერთ-ერთი ასეთი ზომა ის იყო, რომ „ყოვლისშემძლე“ მესამე განყოფილებამ დაუყოვნებლივ შეაგროვა დეტალური ცნობები ემიგრაციის მოღვაწეობაზე. აი ფრიად საინტერესო ამონაწერი ერთ-ერთი საიდუმლო მოხსენებიდან, რომელიც მესამე განყოფილების უფროსმა წარუდგინა (1868 წლის 18 ნოემბერს) უმაღლესად დამტკიცებულ კომისიას.

„გამომძიებელი კომისიის ამა წლის 27 აგვისტოს და 5 ოქტომბრის №№ 217 და 255 მომართვების გამო, პატივი მაქვს მოგახსენოთ ქვემოთ ჩამოთვლილი, საზღვარგარეთ დღემდე შეგროვილი ცნობები გაქცეული პოლიტიკური დამნაშავის მიხეილ ელპიდინისა და შვეიცარიაში მყოფი სხვა რუსი ემიგრანტების მოღვაწეობისა და ურთიერთ ნაცნობობის შესახებ.

ელპიდინმა, რომელიც უკვე 3 წელია ჟენევაში ცხოვრობს, იქ შეისწავლა სტამბის საქმე „პუკისა და პფეფერის“ სტამბაში. შემ-

დეგში შეიძინა რუსული შრიფტი და გახსნა საკუთარი პატარა სტამბა, რომელშიაც მეჩნიკოვთან, ნიკოლაძესთან და ივანოვსკისთან ერთად ბეჭდავდა ჯერ სხვადასხვა პასკვილებს, ბინძური შინაარსის ბროშურებს, შემდეგ კი რევოლუციური მიმართულების ფურცლებს: „პოდპოლნოე სლოვოს“ და „სოვრემენოსტს“. თუმცა ამ უკანასკნელ გამოცემებს არ ჰქონიათ წარმატება და ცოტა საღდებოდნენ. უკანასკნელ დროს ელპიდინმა „სოვრემენოსტის“ გამოცემა გადასცა ნიკოლაძეს, რომელიც ახლა საცხოვრებლად ციურიხში გადავიდა.

ელპიდინი მგზნებარე ნიჰილისტ-კომუნისტია; მისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს...

რაც შეეხება პირადად ნიკოლაძეს, ის ითვლება ჭკუიან და საქმიან კაცად, რომელსაც უნარი შესწევს, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, მოატყუოს ჩვენი მთავრობა. ეს ნიკოლაძე მოდგმით ქართველია. მან ჟენევაში 1866 წელს დაბეჭდა „ნიკიფორ გ***.“ ფსევდონიმით ბროშურა 1866 წლის 4 აპრილის გასროლის გამო, სათაურით „მთავრობა და ახალი თაობა“.

აქამდე არ არის აღმოჩენილი, რომ ელპიდინსა და ნიკოლაძეს რაიმე ჰქონდეთ განზრახული იმპერატორის ოჯახის წინააღმდეგ“.[1]

ივანე ბოჩკარიოვი იყო 60-იანი წლების ერთ-ერთი უაღრესად აქტიური და ენერგიული რევოლუციონერთაგანი, რომელმაც 1867-1868 წლებში სამჯერ იმოგზაურა საზღვარგარეთ იმ მიზნით, რომ ცოცხალი კავშირი დაემყარებია პეტერბურგის არალეგალურ რევოლუციურ წრეებსა და ემიგრანტ-რევოლუციონერებს შორის.[2]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ ბოჩკარიოვი გაემგზავრა რევოლუციონერთა იმ არალეგალური წრის (ე. წ. „სმორგონის აკადემიის“) დავალებით, რომელშიც ერთ-ერთ ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ვარლამ ჩერქეზიშვილი. სწორედ ამ ბოჩკარიოვის საშუალებით გაუგზავნია ვ. ჩერქეზიშვილს ნიკოლაძისა და ელპიდინისათვის 50 მანეთი ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ გამოსაცემად.[3] თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ვ. ჩერქეზიშვი-

---

[1] ЦГИА М,ф. 95, оп. 1, д. 427, л. 222-223.

[2] დაწვრილებითი ცნობები ივ. ბოჩკარიოვისა და ი. როზანოვის შესახებ იხილეთ ბ. კოზმინის ნაშრომში — Революционное подполье в эпоху «белого террора», М., 1929 г.

[3] იხ. იქვე, გვ., 117-118.

ლის ახლო კავშირს ნიკოლოზ ყიფიანთან და საერთოდ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა საიდუმლო სალაროსა თუ წრეებთან, ხოლო, მეორე მხრივ, საზღვარგარეთ მყოფ ნიკოლაძესთან, ნათლად წარმოგვიდგება ურთიერთ კავშირის ის უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ თერგდალეულთა თაობას ერთიან მებრძოლ რაზმად აკავშირებდა. მაგრამ „სმორგონის აკადემიაზე" და მასთან ქართველი სტუდენტების, განსაკუთრებით კი ვ. ჩერქეზიშვილის კავშირზე, ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი დავუბრუნდეთ ისევ ივ. ბოჩკარიოვს.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ, 1868 წლის 12 ოქტომბერს ი. ბოჩკარიოვი დააპატიმრეს. მას უკვე დიდი ხანია ეძებდა უმაღლესი გამომძიებელი კომისია, რომელიც ეკ. სოლოდოვნიკოვას, ივ. პენკოვსკის, ნ. ყიფიანისა და სხვა ჯგუფის საქმის გამოძიების პროცესში წააწყდა ივ. ბოჩკარიოვის რევოლუციური მოღვაწეობის კვალს. ამ კომისიის მიერ მეფისადმი წარდგენილ ერთ-ერთ მოხსენებაში ი. ბოჩკარიოვის შესახებ ნათქვამია: „ბოჩკარიოვი, რომელიც კომისიის განკარგულებით, მოძებნილი და დაპატიმრებული იქნა, თავდაპირველი დაკითხვის დროს ჯიუტად უარყოფდა არა მარტო დანაშაულებრივ საუბრებს ემიგრანტებთან, რაზედაც ლაპარაკი იყო ელპიდინის წერილში სოლოდოვნიკოვასადმი, არამედ მათთან ნაცნობობასაც კი. მხოლოდ კომისიის მიერ ხანგრძლივი, დაჟინებითი შეგონებისა და უცილობელი მხილების შემდეგ მან გადასწყვიტა ბოლოს და ბოლოს ეღიარებინა, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას 1867 და 1868 წლებში, სადაც თითქოს სლავიანური საკითხის შესასწავლად გაემგზავრა, მან ჟენევაში გაიცნო გერცენი, უტინი, ელპიდინი და სხვა ემიგრანტები... ბოჩკარიოვი თავხედურად და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ მას თითქოს არავითარი დანაშაულებრივი საუბრები არ უწარმოებია მათთან. მაგრამ ელპიდინის წერილები და, განსაკუთრებით, ჩვენებები მეშჩანინ როზანოვისა, რომელიც ჟენევაში იმყოფებოდა სწორედ ბოჩკარიოვის იქ ყოფნის დროს, საკმარის საფუძველს გვაძლევს უეჭველად ვიგულისხმოთ, რომ ბოჩკარიოვმა ნამდვილად უამბო ემიგრანტებს, თითქოს რუსეთში არსებობდეს რევოლუციური განზრახვები და საზოგადოებანი".[1]

აქედან ჩანს ის განსაკუთრებული სიმტკიცე, რომელიც ი. ბოჩ-

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 441, т. 5, л. 267.

კარიოვს დაკითხვის დროს გამოუჩენია, რის გამოც უდავოა, რომ მან მოახერხა ბევრი რამ დაემალა კომისიისათვის, მაგრამ ცარიზმის ჩინოვნიკებს დიდი დახმარება გაუწია „მეშჩანინმა როზანოვმა“, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. გამოირკვა, რომ ივ. როზანოვი სწორედ იმ დროს ყოფილა ჟენევაში, როცა იქ ბოჩკარიოვი ჩავიდა და ბევრი რამ სცოდნია ბოჩკარიოვის მისიისა და ემიგრანტებთან მისი ურთიერთობის შესახებ; მოღალატემ ყველაფერი, რაც კი იცოდა, დაწვრილებით უამბო კომისიას; ის პირზე დაადგა ბოჩკარიოვს და აიძულა იგი ზოგ რამეში გამოტეხილიყო.

ქართველი მკითხველისათვის უდავო ინტერესს წარმოადგენს ნ. ნიკოლაძის შესახებ კომისიის საქმეებში გაბნეული ცნობები, რომელთა უმრავლესობა როზანოვის ნაამბობია. ნაწილი ბოჩკარიოვს ეკუთვნის,[1] დანარჩენი კი მესაზე განყოფილების აგენტებს შეუგროვებიათ.

გავეცნოთ ამ მასალებს.

როზანოვის ვრცელი ჩვენებებიდან ნათლად ჩანს ნ. ნიკოლაძის აქტიური როლი ემიგრაციის საქმიანობაში. „ის ელპიდინის ღირსეული თანაამხანაგია, — ამბობს როზანოვი ნიკოლაძეზე, — თუმცა უკანასკნელ დროს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ნიკოლაძე ქებადიდებას ასხამს ჩერნიშევსკის, რომელსაც ყველაზე მაღლა აყენებს, ის ამბობს, რომ მთლად გამსჭვალულია ჩერნიშევსკის იდეებით, რომ არასოდეს არც ერთ ქვეყანას არ წარმოუშვია ისეთი ადამიანი, ისეთი ნიჭი, როგორიც ჩერნიშევსკია“.[2]

საინტერესოა აგრეთვე როზანოვის შემდეგი ცნობა: „Николадзе составил компанию для выписки «Отечественных записок» и стыдил меня за мой отказ в этом участвовать, говоря, что «О. З.» будут продолжением «Современника», т. е. такого журнала, который читать необходимо каждому порядочному человеку, как необходимо дышать»[3].

ეს ცნობები საკმაოდ სწორ წარმოდგენას გვაძლევენ ნ. ნიკოლაძის მაშინდელ განწყობილებაზე და მის პოლიტიკურ რწმენაზე.

---

[1] ამ ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ 1929 წელს გამოაქვეყნა ბ. კოზმინმა ზემოთ უკვე დასახელებულ ნაშრომში.

[2] იხ. ბ. კოზმინის დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.

[3] იხ. ბ. კოზმინის დასახელებული ნაშრომი, გვ. 87.

აღსანიშნავია, რომ როზანოვი ყველაფერს, რაც იცოდა, დაუფარავად უამბობდა კომისიას და ამდენად მისი ნაამბობი შედარებით სანდო წყაროა. რაც შეეხება ი. ბოჩკარიოვის ჩვენებებს, მათი სანდოობა ძალიან ხშირად საეჭვოა. ბოჩკარიოვი ცდილობდა დაემალა სიმართლე.რათა გადაერჩინა მთავრობის ხელში ჩავარდნისაგან პეტერბურგში მყოფი რევოლუციონერები, რომელთა დავალებითაც ის საზღვარგარეთ გაემგზავრა, ამიტომ მის ნათქვამს და მის მიერ დასახელებულ ფაქტებს კრიტიკული თვალით უნდა შევხედოთ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ივ. ბოჩკარიოვის მეორედ ჩასვლა ჟენევაში, რადგან სწორედ ამ დროს ჰქონდა მას გარკვეული დავალებები „სმორგონის აკადემიის“ ხელმძღვანელებისაგან. აი, როგორ აუწერს იგი გამომძევ კომისიას ამ ჩასვლას თავის 30 ოქტომბრის ჩვენებაში:

„ჟენევაში მეორედ რომ ჩავედი, ნივთები სადგურში დავტოვე და რადგან განზრახული მქონდა იქ გაზაფხულამდე დავრჩენილიყავი, წავედი ოთახის საძებნელად. სასაუზმედ Cafe du Nord-ში შევედი და ხელში „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ ავიღე. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან მოდის მამაკაცი... — „ნება მომეცით თქვენს შემდეგ“ — ვაკვირდები მას ყურადღებით, თითქოს ნაცნობი სახეა... — „გამიგონეთ, ჩვენ ხომ ნაცნობები ვართ“. — ამბობს მამაკაცი. — „სავსებით შესაძლებელია“. — თქვენ პეტერბურგიდან ხართ? — თითქმის ასე შევხვდი მე ნიკოლაძეს, რომელიც უნივერსიტეტში მყავდა ნანახი და რომელიც „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ რედაქციაში გავიცანი. მე მას ვუამბე, რომ ჟენევაში გასულ წელსაც ვიყავი, და რომ გავეცანი გერცენს და უტინს. — „ელპიდინს რატომ აღარ გაეცანით?“ — „არ მქონდა არც დრო, არც საჭიროება, არც შემთხვევა“ — „გინდათ, მე გაგაცნობთ მას!“ — „რატომაც არა, ოღონდ როცა შემთხვევა იქნება, განსაკუთრებით კი არ ვიზრუნებ გავეცნო“. — „აი რა, თქვენ შეგეძლოთ ჩემთვის სამსახური გაგეწიათ, მე მინდა მას რვეული და წერილი გადავცე, მაგრამ არ მინდა ეს პირადად გავაკეთო, ხომ არ წაუღებდით თქვენ ვითომც ეს-ესაა რუსეთიდან მოდიხართ“. ჩემთვის უხერხული იყო უარი მეთქვა და დავეთანხმე. ნიკოლაძემ დამინიშნა შეხვედრა ხეივანში, ინგლისური ბაღის იქით, და მე, როცა საუზმე და გაზეთი გავათავე, გავემგზავრე. რვეული რაღაც თარგმნილი ხელნაწერი იყო, ხოლო წერილი რაღაც ისეთ

გაურკვეველს ეხებოდა, რომ ვერც კი წავიკითხე ხეირიანად; მახსოვს მხოლოდ, რომ მასში ლაპარაკი იყო შეხვედრაზე.

როცა ელპიდინთან მივედი, გადავეცი მას წერილი და ხელნაწერი ისე, რომ ჩემი გვარი არ მითქვამს. —„ვისგან არის ეს?“ — „მე მგონია თქვენ იცით, ხოლო თუ არ იცით, მეც არ უნდა გითხრათ“. მე ჩამოვჯექი მასთან რამდენიმე წუთით და დავიწყეთ მუსაიფი.[1]

მკითხველი, ადვილად შეამჩნევს, რომ ბოჩკარიოვის ეს ნაამბობი აშკარად სტოვებს გამოგონილი ამბის შთაბეჭდილებას. მაგალითად, რა დასაჯერებელია, რომ ნიკოლაძემ, რომელიც თითქმის ყოველდღე ხვდებოდა ელპიდინს, მაინცდამაინც რუსეთიდან ახლად ჩამოსული კაცი გამოიყენა, მისთვის ხელნაწერი რვეულის გადასაცემად. ეს, რა თქმა უნდა, გამოგონილია. სინამდვილეში, როგორც ეს უკვე დადგენილია, ბოჩკარიოვმა ელპიდინს გადასცა პეტერბურგიდან წაღებული სარეკომენდაციო წერილი და ხელნაწერი რვეული, რომელიც შეიცავდა ცნობილი ფრანგი სოციალისტის კონსიდერანის ბროშურის რუსულ თარგმანს. ეს ხელნაწერი ბოჩკარიოვმა ჩაუტანა ელპიდინს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს რუსულ ენაზე დაებეჭდა იგი თავის სტამბაში. ბოჩკარიოვის ზემოთ მოყვანილ ნაამბობში აშკარად გამოგონილია აგრეთვე მის მიერ ნიკოლაძესთან კაფეში ვითომდა შემთხვევით შეხვედრის ისტორია. სინამდვილეში ის ნიკოლაძესთან მივიდა, როგორც ნაცნობთან, რომელსაც ადვილად შეეძლო დაეკავშირებია იგი დანარჩენ ემიგრანტებთან.

მეფის ჩინოვნიკები ისე გულუბრყვილები არ იყვნენ, რომ ბოჩკარიოვის ნაამბობი ადვილად დაეჯერებიათ. ამით აიხსნება, რომ 6 ნოემბერს ბოჩკარიოვი კვლავ დაკითხეს. ამჯერად გამომძიებელ კომისიას განსაკუთრებით აინტერესებდა გაეგო რაიმე პეტერბურგის იმ რევოლუციონერებზე, რომლებმაც, როგორც ის საფუძვლიანად ფიქრობდა, ბოჩკარიოვი ჟენევაში გარკვეული დავალებით გაგზავნეს. ეს დაკითხვა ქართველი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესოა, ამიტომ მოგვყავს ოქმის ჩანაწერი მთლიანად:

„1. კ ი თ ხ ვ ა: ჟენევაში ყოფნის დროს, თქვენ აქაურ ემიგრანტებთან თავს ასაღებდით სხვადასხვა რევოლუციური საზოგადოებების მონაწილედ, და ელპიდინს ჩაუტანეთ ერთ-ერთი იმ საზოგადოების

---

[1] იქვე, გვ. 99-100.

მეთაურისაგან სარეკომენდაციო წერილი, რომლის ნამდვილობაში, თუმცა, ელპიდინი დაეჭვებული იყო.

ვალდებული ხართ აგვიხსნათ, სახელდობრ რომელი საზოგადოებების მონაწილედ ასაღებდით თქვენ თავს ჟენევაში, აგრეთვე ვისგან და რა შინაარსის წერილი ჩაუტანეთ ელპიდინს?

1. პ ა ს უ ხ ი: არავითარი რევოლუციური ან იმის მსგავსი საზოგადოების მონაწილედ მე თავი არ გამისაღებია. წერილი ელპიდინს გადავეცი სწორედ ის, რომელიც ნიკოლაძისაგან მივიღე და სხვა არავითარი წერილი არ გადამიცია; მისი შინაარსი არ ვიცი, რადგან გზაში რომ მივდიოდი, არ შემეძლო მისი წაკითხვა.

ივანე ბოჩკარიოვი, მეშჩანინი.

2. კ ი თ ხ ვ ა: იმ წერილთან ერთად, რომელიც წინა კითხვაშია მოხსენებული, თქვენ ელპიდინს დასაბეჭდად ჩაუტანეთ ძველი ნათარგმნი ხელნაწერი, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კაცობრიობამ, თუ მას სურს გადარჩეს, უნდა შექმნას მსოფლიო რესპუბლიკა ცენტრალური მთავრობით, რომელიც მოაწყობდა შრომის, საზღაურისა და სიამოვნების განაწილებას.

სახელდობრ ვისგან და რა საჭიროებისათვის იშოვნეთ და წაუღეთ ხსენებული ხელნაწერი ელპიდინს, და სად ინახება იგი ამჟამად?

2. პ ა ს უ ხ ი: მე ნამდვილად გადავეცი ელპიდინს რვეული, რომელიც ნიკოლაძისაგან მივიღე, გადავეცი ნიკოლაძის თხოვნით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე; მისი შინაარსი არ ვიცი, რადგან არ წამიკითხავს.

ივანე ბოჩკარიოვი, მეშჩანინი."[1]

როგორც ვხედავთ, ი. ბოჩკარიოვი მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე და არ აძლევდა საშუალებას გამომძიებლებს, გაეგოთ საქმის ნამდვილი არსი. ასეთი სიმტკიცით ბოჩკარიოვმა შესძლო განადგურებისაგან გადაერჩინა პეტერბურგის რევოლუციური ორგანიზაცია „სმორგონის აკადემია", რაც მისი დიდი ისტორიული დამსახურებაა.

მაგრამ საინტერესოა გაირკვეს კითხვა, ყველაფერი გამოგონილი იყო ბოჩკარიოვის ზემოთ მოყვანილ ჩვენებებში, თუ მის ნაამბობში არის სიმართლის ნაწილი. ირკვევა, რომ მის ჩვენებებში, გამოგო-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, д. 427, л. 198-199.

ნილ ამბებთან ერთად, ნამდვილი, მართალი ფაქტებიც მოიპოვება. ბოჩკარიოვს მის მდგომარეობაში სჭირდებოდა ტყუილ-მართლის იმგვარად შეზავება, რომ მთავარი სიმართლე დაემალა, ხოლო მეორე ხარისხოვანი ფაქტები სიმართლით ეღიარებინა, რათა მის ნათქვამს ცოტად თუ ბევრად დამაჯერებელი სახე ჰქონოდა, ეს გამომძიებელ კომისიას (თავისი როზანოვითურთ) ასე თუ ისე საფუძველს გამოაცლიდა და შემდგომში ჩაციების საშუალებას წაართმევდა. ბოჩკარიოვმა ამ ძნელ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი, სიმართლით აღიარა რა ზოგიერთი ნამდვილი ფაქტი, რომელიც ნ. ნიკოლაძესთან მის დამოკიდებულებას შეეხებოდა.

მაინც რა ფაქტებია ეს ფაქტები?

ჯერ ერთი, ის, რომ ივ. ბოჩკარიოვი ნიკოლაძის ნაცნობი ყოფილა პეტერბურგიდანვე; მეორე, — ჟენევაში ჩასვლისას ის პირველად ნიკოლაძესთან მისულა და მისი საშუალებით გაუცვნია ელპიდინი და მისი დანარჩენი მეგობრები (ეს სრულიად ბუნებრივია: როგორც ჩანს, პეტერბურგის რევოლუციურმა ორგანიზაციამ, იცოდა ნიკოლაძე-ბოჩკარიოვის ურთიერთ ნაცნობობის ფაქტი და სწორედ მასთან გაგზავნა ეს უკანასკნელი); შემდეგ, — ნიკოლაძეს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩენია ბოჩკარიოვისათვის, ისიც კი უკისრია, რომ მისთვის ფრანგული ენა ესწავლებია. ეს ფაქტები უმაღლესმა გამომძიებელმა კომისიამ ყოველმხრივ შეამოწმა, ამიტომაცაა, რომ ამ კომისიის მიერ მეფისათვის წარდგენილ ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამია შემდეგი:

„ბოჩკარიოვი ჟენევაში შეხვდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს ნიკოლაძეს, რომელსაც იცნობდა ჯერ კიდევ რუსეთიდან; მასთან ბოჩკარიოვი სწავლობდა ფრანგულ ენას და მისივე საშუალებით გაეცნო ელპიდინს და ჟენევის სხვა ემიგრანტებს.“[1]

ამრიგად, მრავალრიცხოვანი ფაქტებით უდავოდ დასტურდება, რომ ნ. ნიკოლაძე უაღრესად აქტიურ და თვალსაჩინო როლს თამაშობდა რუსეთის ემიგრაციის წრეებში 1864 — 1868 წლების პერიოდში, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მაშინდელი რევოლუციონერები მას სთვლიდნენ ფრიად ნიჭიერ და საქმიან მოღვაწედ, ჩერნიშევსკის ერთგულ მიმდევრად, ხოლო მეფის პოლიტიკური პოლიცია თვალს ადევნებდა მის ყოველ ნაბიჯს.

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 441, докл. т. 5-й, л. 240, 1869 г.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ნ. ნიკოლაძეზე მთავრობამ სასტიკი პოლიციური მეთვალყურეობა დააწესა, რის გამო მას მუდამ დასდევდნენ უკან პოლიციის აგენტები; მის საჟურნალ-გაზეთო წერილებს განსაკუთრებული სიფრთხილით იხილავდნენ ცენზორები; მის წინააღმდეგ ფარულად თუ აშკარად მოქმედებდნენ მეფის მთავრობის გავლენიანი ჩინოვნიკები, მოქმედებდა რეაქციის მსახურთა მთელი ხროვა, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ მაინც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა, ის იყო თერგდალეულთა სახელოვანი რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის ერთ-ერთი გამოჩენილი და ნიჭიერი ხელმძღვანელი.

ასეთია მოკლედ საკითხების ის წრე, რომელიც გასულ საუკუნის 60-იან წლებში ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობას.

თავი მესამე

რევოლუციური მოძრაობა რუსეთში 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში და ქართველი სტუდენტობა.

1. პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება 1869 წელს და მასში ქართველი სტუდენტების მონაწილეობა

60-იანი წლების მიწურული და 70-იანი წლების დამდეგი რუსეთში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი გამოცოცხლებით აღინიშნა. ამ გამოცოცხლების პროცესის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იყო სტუდენტთა ახალი სერიოზული მღელვარება, რომელმაც იფეთქა პეტერბურგში 1869 წლის გაზაფხულზე.

სტუდენტთა ეს ახალი პოლიტიკური გამოსვლა მზადდებოდა „თეთრი ტერორის" უძნელეს პირობებში. ზემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რეაქციის სასტიკი მძვინვარების მიუხედავად, პეტერბურგის სტუდენტები არ წყვეტდნენ მუშაობას და ცდილობდნენ „მცირე რამ" მაინც გაეკეთებინათ რევოლუციის საქმისათვის, რისთვისაც აწყობდნენ საიდუმლო შეკრებებს, ადგენდნენ ურთიერთ დახმარების სალაროებს, აარსებდნენ ბიბლიოთეკებს და ა. შ. სტუდენტებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ასეთი თანდათანი და ბეჯითი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იყო მთავრობის წინააღმდეგ სერიოზული გამოსვლების მომზადება. ცნობილი რევოლუციონერი ვერა ზასულიჩი სწორად გადმოგვცემს იმ რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდობის განწყობილებას, რომელიც ტერორის ეპოქაშიც არ წყვეტდა ნაკლებ ეფექტიურს, მაგრამ აუცილებელ მოსამზადებელ მუშაობას მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. მისი სიტყვით, რევოლუციონერი სტუდენტები იმ დროს ასე მსჯელობდნენ:

„რა თქმა უნდა, ეს არ არის „საქმე“, არ არის მუშაობა „ხალხის კეთილდღეობისათვის“, არ არის „რევოლუცია“, მაგრამ მაინც „რაღაც“ არის, რაღაც „ცხოვრებაა“... სალაროებს, კაცმა რომ თქვას, მიუხედავად უკიდურესი სიღარიბისა, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლეოდა: მოვახერხებთ მათ შექმნას — კარგია, მაგრამ თუ ვერ მოვახერხეთ, მაინც კარგია; შეკრებები მომზიდველია თავისთავადაც“.[1]

ჩვენ ხელთ არსებული საარქივო მასალები მოწმობენ, რომ პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდში მიდიოდა როგორც ტერორის ეპოქაში, როცა მზადდებოდა სტუდენტთა ახალი გამოსვლა, ისე 1869 წლის მღელვარების დღეებში. ქართველი სტუდენტების რევოლუციური განწყობილება, მათი მზადყოფნა პრაქტიკულად გაერთიანებულიყვნენ მაღალი მიზნებისათვის, დარაზმულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სრულიად გარკვევით ჩანს მაშინდელი საბუთებიდან, კერძოდ სტუდენტთა მიწერ-მოწერიდან. დავაკვირდეთ, მაგალითად, ამ საინტერესო სტრიქონებს:

„ერთი თვის წინათ შევგროვდით ჩვენ პირველად ოცდაათამდე კაცი, ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ და დავამყაროთ ერთმანეთ შორის კავშირ-ურთიერთობა. საქმე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებდა, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფოდით, ეს იყო გაერთიანება, ჯერჯერობით თუნდაც მარტო კავკასიელი ახალგაზრდობისა. ვითათბირეთ, ვიკამათეთ, ვიყვირეთ... გადავწყვიტეთ: გავიყოთ რამდენიმე წრედ — თვითეულში ათ-ათი კაცი — ეს წრეები შეგროვდნენ ხოლმე კვირაში ერთხელ შაბათობით, ხოლო წრეებს შორის განცალკევება რომ არ მოხდეს, კვირაობით შეიკრიბოს ხოლმე სხვადასხვა წრის წევრები, თვითეული წრიდან ორი ან სამი წარმომადგენლის შემადგენლობით, მაგრამ ამ წრეებისაგან დამოუკიდებლად.... გადავწყვიტეთ შევქმნათ სალარო.... ეს კარგი საქმეა, თუმცა თავისთავად სალარო მე მაინტერესებს მხოლოდ როგორც ახალგაზრდობის ორგანიზაციული გაერთიანების ატრიბუტი....

სხვა დროს მე თქვენ დაწვრილებით გიამბობთ იმ გეგმების შესახებ, რომელთა განხორციელება განზრახული აქვს რამდენიმე კაცს და მათ შორის მეც“.[2]

---

[1] Вера Засулич, Воспоминания, М. 1931 г., стр. 20-21.

[2] ЦГИАМ, ф. 95, оп. 2, д. 335, л. 249.

ეს სტრიქონები ამოღებულია ნიკოლოზ ყიფიანის ჩვენთვის უკვე ცნობილი წერილიდან ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი. წერილს უზის თარიღი: 1867 წ. 18 ნოემბერი. თუმცა ავტორს ეჭვი ჰქონია, რომ მისი წერილი ადვილად შეიძლებოდა ცენზურას ჩავარდნოდა ხელში, მაგრამ ამასაც არ მორიდებია და საკმაოდ ნათლად ჩამოუყალიბებია ქართველ სტუდენტთა მაშინდელი სულისკვეთება.

კიდევ უფრო საინტერესოა ვ. ჩერქეზიშვილის სიტყვები, რომლებიც ნ. ყიფიანის იმავე წერილშია მოყვანილი. თუ ყიფიანი ჯერ კიდევ არ იყო მთლად დარწმუნებული, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის უმრავლესობა შესძლებდა მოკლე ხანში აქტიურად ჩაბმულიყო რევოლუციურ მოძრაობაში, უფრო გამოცდილ ჩერქეზიშვილს ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ის სრული რწმენით აცხადებდა, რომ ახალგაზრდობა „გამოიჩენს მზადყოფნას გააკეთოს საქმე და სიმტკიცეს წავიდეს ცეცხლში, როცა გაისმის ხმა და გაჩნდება ადამიანი, რომელიც წინ გაუძღვება მათ“[1].

ასე ფიქრობდნენ, ასე ირაზმებოდნენ და ემზადებოდნენ ჩვენი სტუდენტები ნამდვილი „საქმისთვის“, ე.ი. ცარიზმის წინააღმდეგ, სერიოზული პოლიტიკური გამოსვლისათვის, და ეს ასეთი გამოსვლის დღეც მალე დადგა. სტუდენტთა მოძრაობა შესამჩნევად გაძლიერდა. ჯერ კიდევ 1868 წლის შემოდგომაზე, აშკარა მღელვარება კი დაიწყო 1869 წლის 6 მარტს, სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტთა შორის. მალე მედიკების მაგალითს მიბაძეს ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და დაიწყო სტუდენტთა ხალხმრავალი, მღელვარე შეკრებები, რომლებიც მთელ კვირას გრძელდებოდა. სტუდენტები მოითხოვდნენ შეკრებათა თავისუფლებას, სალაროებისა და სხვა სტუდენტთა ორგანიზაციების შექმნის უფლებას, ადამიანურ მოპყრობას.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა მოძრაობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ანარქისტული მიმართულების რევოლუციონერთა ჯგუფი, რომლის მოღვაწეობა ცნობილი რევოლუციონერის სერგეი ნეჩაევის სახელთანაა დაკავშირებული. როგორც მკვლევარი შ. ლევინი მიუთითებს, „ნეჩაევი და მისი მომხრეები ცდილობდნენ შეექმნათ თავიანთი სრულიად რუსეთის ორგანიზაცია და სტუდენტთა

1 იქვე,

მღელვარებას უყურებდნენ როგორც ისეთ შემთხვევას, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ამოცანის სწრაფად გადაჭრას".[1] ნეჩაეველებს, რომლებიც ცნობილ ანარქისტ მ. ბაკუნინის მითითებით ხელმძღვანელობდნენ, ამ დროისათვის უკვე გამომუშავებული ჰქონდათ „რევოლუციური მოქმედების პროგრამა", რომლის ავტორი, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, ან თვით ნეჩაევი იყო, ან მისი თანამოაზრე ტკაჩევი. ამ გაბედული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა მოძრაობა უნდა გამხდარიყო გამოსავალი წერტილი, დასაწყისი უფრო ფართო მოძრაობისა, რომელიც 1870 წლის გაზაფხულისათვის საერთო აჯანყებად უნდა გადაქცეულიყო.

მაგრამ ნეჩაეველებმა ვერ შესძლეს სტუდენტთა მოძრაობა თავის გავლენის ქვეშ მოექციათ, რადგან უკვე მაშინ გამომჟღავნდა ნეჩაევის მუშაობის მეთოდების აშკარად მცდარი და არსებითად პროვოკაციული ხასიათი (მოტყუება, მისტიფიკაცია, შანტაჟი).

მთავრობამ უდიდესი საფრთხე დაინახა სტუდენტთა მღელვარებაში და გადამწყვეტი ზომები მიიღო მის ჩასახშობად. სამედიცინო-ქირურგიული აკადემია დახურეს; „არეულობაში" მონაწილე სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები დააპატიმრეს; აამოქმედეს საგანგებო სასამართლოები, რომლებიც მასობრივად რიცხავდნენ „დამნაშავე" სტუდენტებს უმაღლესი სასწავლებლიდან. ჟანდარმთა შეფის განკარგულებით ბევრი სტუდენტი დაუყოვნებლივ გაასახლეს პეტერბურგიდან.

აღსანიშნავია, რომ პეტერბურგის სტუდენტთა 1869 წლის მღელვარების ისტორია საერთოდ და კერძოდ, კი ქართველების მასში მონაწილეობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, ამიტომ ჩვენი ცნობები ქართველ სტუდენტების მასში მონაწილეობაზე სრული არ არის. მიუხედავად ამისა, უკვე ის ცნობებიც, რაც ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს, საფუძველს გვაძლევენ სრულიად გარკვევით განვაცხადოთ, რომ ქართველ სტუდენტებს 1869 წლის მღელვარებაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიუღიათ, რისთვისაც ბევრი მათგანი მთავრობას მკაცრად დაუსჯია. ჩვენ საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ აგრეთვე, რომ ქართველ ახალგაზრდებს და საერთოდ კავკასიელებს, მათი დაპატიმრებისა და გასამართლე-

---

[1] Ш. М. Левин, Общественное движение в России в 60-70-ые годы XIX века, М., 1958, стр. 261.

ბის დროს თავი ეჭირათ უშიშრად, როგორც ნამდვილ გამოცდილ რევოლუციონერებს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის სასამართლოზე მათ განუცხადებიათ: ჩვენ უარს არ ვამბობთ ჩვენს მოთხოვნილებებზე და განზრახული გვაქვს მომავალშიც მონაწილეობა მივიღოთ სტუდენტთა შეკრებაშიო[1].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთავრობას დიდხანს ახსოვდა კავკასიელ სტუდენტთა ეს გაბედული განცხადება. შემდეგში, როცა დაისვა საკითხი: ხომ არ შეიძლება პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გამორიცხული კავკასიელი სტუდენტები რომელიმე სხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხონ სწავლის დასამთავრებლადო, განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი ასეთ დათმობას დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ ზოგიერთი, ნაკლებად დამნაშავე სტუდენტის მიმართ და ისიც შემდეგი პირობით: „უნივერსიტეტებში მიღების დროს მათ ჩამოერთვათ ხელწერილი, რომ უარს ამბობენ თავიანთ განცხადებაზე, რომელიც მათ უნივერსიტეტის სასამართლოზე გააკეთეს იმის შესახებ რომ მომავალშიც განზრახული აქვთ მიიღონ მონაწილეობა სტუდენტთა შეკრებებში“.[2]

ახლა გავარკვიოთ, ვინ იყვნენ ის ქართველი სტუდენტები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა ზემოხსენებულ მღელვარებაში და მთავრობის რისხვაც დაიმსახურეს?

დღემდე ცნობილი იყო, რომ მღელვარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და მკაცრად დაისაჯა სამი ქართველი სტუდენტი, სახელდობრ ბესარიონ ჯაფარიძე, თედო ბებურიშვილი და ნიკოლოზ ორბელიანი, რომლებიც შემდეგ შეტანილი იქნენ ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონში „Деятели революционного движения в России“. ამ ლექსიკონის მეორე ტომში, რომელიც ჯერ კიდევ 1928 წელს დაიბეჭდა, ხსენებული სტუდენტების შესახებ შემდეგი იყო ნათქვამი:

„ბებურიშვილი, თედორე, სპბ. უნ-ტის სტუდ. 1868-69 წწ. სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული და დამწყვდეული იყო პეტრე-პავლეს ციხეში. 1869 წ. 27 მარტს ჟანდარმთა შეფის განკარგულებით გადასახლებული იქნა სამშობლოში“[3].

---

[1] ЦГИА, ф. 17, д. 26, л. 75.

[2] იქვე

[3] იქვე, გვ. 45.

„ჯაფარიძე, ბესარიონი, სპბ. უნ-ტის სტუდ. 1868-69 წწ. სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის იყო დაპატიმრებული, იჯდა პეტრე-პავლეს ციხეში და 1869 წ. 27 მარტს გადაასახლეს ქუთაისში ჟანდარმთა შეფის განკარგულებით“.[1]

„ორბელიანი, ნიკოლოზ ვახტანგის ძე, თავადი, გენერალ-მაიორის შ(ვილი), სპბ. უნ-ტის სტუდ., მონაწილეობას ღებულობდა 1868-69 წწ. პეტერბ. სტუდ. მღელვარებაში, 1869 წ. დაპატიმრებული იყო და პეტრე-პავლეს ციხეში ყოფნის მერე ჟანდარმთა შეფის განკარგულებით 27 მარტს გადასახლებული იქნა სამშობლოში თბილისის გუბ., იმავე წლის აგვისტოში მიიღო ნებართვა შესულიყო კიევის უნ-ტის იურიდ. ფაკ., იყო ნაფიცი ვექილი. 1879 წ. განთავისუფლდა ზედამხედველობისაგან“.[2]

ამჟამად ჩვენ მიერ ახლად მიკვლეული საარქივო მასალები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ზემოხსენებულ სტუდენტებს გარდა მღელვარებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ და მკაცრად ყოფილან დასჯილი შემდეგი ქართველი სტუდენტები: ნიკოლოზ ყიფიანი, დიმიტრი სულხანიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და ლეონ მღებრიშვილი, აგრეთვე სომეხი ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენლები, თბილისელები—სტეფანე ზარაპოვი, პავლე იზმაილოვი და ვასილ შავერდოვი.

ყველა ზემოთ დასახელებული სტუდენტის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ერთ-ერთ საქმეში, რომელსაც სათაურად აქვს „О беспорядках в высш. учеб. заведениях и об исключенных из них студентах“. ამ საქმიდან ვგებულობთ, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი სტუდენტი გაურიცხავთ სასწავლებლიდან და ჟანდარმთა შეფის განკარგულებით გადმოუსახლებიათ ამიერკავკასიაში. სტუდენტების გადმოსახლება მომხდარა სასწრაფო წესით და თანაც მკაცრი პოლიციური წესების დაცვით. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქ. ვორონეჟამდე თვითეულ სტუდენტს მოჰყვებოდა პოლიციის საგანგებო წარმომადგენელი, ხოლო ვორონეჟიდან დანიშნულების ადგილამდე სტუდენტები მიდიოდნენ გადასახლებულთათვის დადგენილი ჩვეულებრივი წესით. გარდა ამისა პეტერბურგის ობერ-

[1] გვ. 102.
[2] იქვე, გვ. 294.

პოლიცმეისტერი ტრეპოვი თვითეული გადმოსახლებული სტუდენტის შესახებ გუბერნატორს უგზავნიდა საგანგებო მიმართვას. მოგვყავს სანიმუშოდ ერთ-ერთი მიმართვის შინაარსი:

„ბატონ თბილისის გუბერნატორს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა არეულობასთან დაკავშირებით აუცილებლად იქნა ცნობილი გადმოსახლდეს სამშობლოში, ქ. თბილისში, უნივერსიტეტიდან გამორიცხული სტუდენტი ნიკოლოზ ყიფიანი.

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კანცელარიის III განყოფილების ბ-ნმა მთავარმა უფროსმა ინება ნება დაერთო, რომ ყიფიანი გამოიგზავნოს ქ. ვორონეჟამდე რკინიგზით პოლიციელის (городовой) თანხლებით, ხოლო იქედან დანიშნულების ადგილამდე—დაწესებული წესრიგით.“[1]

მღელვარების აქტიურ მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობა გადმოსახლებული იყო თბილისის გუბერნიაში, ხოლო ორი სტუდენტი, სახელდობრ თედო ბებურიშვილი და ბესარიონ ჯაფარიძე—ქუთაისის გუბერნიაში.

საქმიდან ჩანს, რომ გუბერნატორებმა თავდაპირველად არ იცოდნენ, რა დანაშაული ჰქონდათ ან როგორ მოპყრობოდნენ გადმოსახლებულებს. ამის გამო გამართულა მიწერ-მოწერა ადგილობრივ ხელისუფლებასა და პეტერბურგს შორის, საიდანაც ბევრი საინტერესო ფაქტი ირკვევა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ყველა ზემოხსენებულ გადმოსახლებულ სტუდენტზე დააწესეს მკაცრი პოლიციური მეთვალყურეობა. აი, რა იყო ამის შესახებ ნათქვამი შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართვაში გუბერნატორისადმი: „იმ ვითარებასთან დაკავშირებით, რამაც ს. პეტერბურგიდან ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მომხდარი არეულობის მონაწილეთა გაძევება გამოიწვია, საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ამ არეულობის გამო გადასახლებულ პირებზე დაწესდეს პოლიციური ზედამხედველობა, ამასთან აეკრძალათ მათ იმ ადგილებიდან გასვლა, სადაც ისინი იქნებიან გადასახლებული და აგრეთვე დედაქალაქებში და დედაქალაქების გუბერნიებში შესვლა“.[2]

ცოტა უფრო გვიან ჟანდარმთა შეფმა საგანგებო მომართვა გა-

---

[1] ЦГИА, ф. 17, д. 26, л. 3.

[2] იქვე, ფ. 28.

მოუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს, რომელშიც დაწვრილებით განმარტავდა სტუდენტთა მოძრაობის მიზეზებს, მიუთითებდა იმ საფრთხეზე, რომელსაც ეს მოძრაობა შეიცავდა და სთხოვდა მიეღო საგანგებო ზომები იმისათვის, რომ ზაფხულში, არდადეგებზე მყოფ სტუდენტებს არ მისცემოდათ საშუალება დაკავშირებოდნენ საზოგადოების „დაბალ კლასებს". ეს დოკუმენტი ძალიან საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ მასში კარგად ჩანს, როგორ ესმოდა მთავრობას სტუდენტთა მღელვარების აღმოცენების მიზეზები, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მთავრობა სტუდენტთა მოძრაობას და როგორ ეშინოდა რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების საქმიანობისა მაშინაც კი, როცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლებასა და პოლიციის სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. გავეცნოთ ამ დოკუმენტის შინაარსს.

მეფის ნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი 1869 წლის 25 ივნისს საგანგებო მიმართვას უგზავნის გუბერნატორებს, რომელშიც ნათქვამია: „ჟანდარმა შეფმა, მიმდ. წლის 7 ივნისს, აცნობა დიდ მთავარს მეფისნაცვალს, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარი არეულობა მიზეზი გახდა ვრცელი საქმის შედგენისა, საიდანაც ჯერჯერობით გამოირკვა ორი უცილობელი ფაქტი:

1) სტუდენტებისთვის სრულიად გარეშე პირები, რომლებიც საზღვარგარეთ მყოფ რუსეთიდან წასულებთან კავშირში იმყოფებიან, ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ სტუდენტებზე, სარგებლობდნენ რა მათი გამოუცდელობით, იმ მიზნით, რომ მათი საშუალებით განეხორციელებინათ თავიანთი მთავრობის საწინააღმდეგო ზრახვები. ზოგიერთებმა ამ პირთაგან, რომლებიც თავის დროზე არ იყვნენ დაპატიმრებულნი, მოასწრეს საზღვარგარეთ დამალვა, საიდანაც ისინი უდიდესი რაოდენობით გზავნიან იმპერიის სხვადასხვა ადგილებში ყოვლად აღმაშფოთებელ პროკლამაციებს.

2) ამ მავნე პირების პროპაგანდის გავლენით ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა შორის შეიქმნა წრეები, რომელთა მიზანია ისარგებლონ არდადეგების დროთი იმისათვის, რომ წავიდნენ თავიანთი ბინადრობის ადგილებში და იქ გასწიონ პროპაგანდა დაბალი წოდების ხალხში, უმთავრესად იმ მიზნით, რომ დამახინჯებულად წარმოადგინონ გლეხთა მდგომარეობა და გამოიწვიონ,

თუ შესაძლებელი იქნა, გაუგებრობა და არეულობა 1870 წლის დადგომასთან დაკავშირებით.

რადგანაც მომავალი 1870 წლიდან ბატონყმობიდან გამოსულ გლეხთა სავალდებულო დამოკიდებულება მემამულესთან საბოლოოდ ისპობა, ზემოხსენებულის მსგავსი პროპაგანდა განსაკუთრებით საშიშია. ამიტომაც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით, გუბერნიების ყველა უფროსს აუცილებელ მოვალეობად ეკისრება დააწესოს, მიმდინარე წლის ზაფხულში, უაღრესად გულმოდგინე მეთვალყურეობა ახალგაზრდობაზე, განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე, რომლებიც მათი მმართველობის რაიონში იქნებიან, და თვალყური ადევნოს მათ ურთიერთობას მოსახლეობის დაბალ კლასებთან, იმ ანგარიშით, რომ ასეთი ახალგაზრდების მოქმედებაში თუკი ოდნავ მაინც რაიმე აღმოჩნდეს დასაგმობი, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, ვითარების მიხედვით"[1].

აქედან ცხადია, თუ რა დიდ საფრთხეს ხედავდა მთავრობა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. ამიტომაც იყო, რომ უნივერსიტეტიდან გამორიცხულ სტუდენტებს წლების განმავლობაში არ მოაშორეს პოლიციის ზედამხედველობა და არ მისცეს საშუალება (ზოგიერთ გამონაკლისს გარდა) გაეგრძელებიათ სწავლა რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში.

ამ მხრივ დამახასიათებელია მაგალითი ნიკოლოზ ყიფიანისა, რომელმაც, მამამისის დიდი გავლენიანობის მიუხედავად, ვეღარ მოახერხა სწავლის გაგრძელება. არქივის ზემოთ ხსენებულ საქმეში არის ცნობა, რომ1870 წელს 16 იანვარს დიმიტრი ყიფიანმა თვითონ მიმართა მთავრობას თხოვნით, ნება დაერთოთ მისი შვილისათვის გაეგრძელებია სწავლა ოდესის ან ხარკოვის უნივერსიტეტში, თანაც მხცოვანი მოღვაწე აცხადებდა, რომ პირადად ის იქნებოდა თავდები შვილის ლოიალობისა მთავრობის მიმართ, მაგრამ ამ თხოვნამაც არ გასჭრა.

რაკი დარწმუნდა, რომ უმაღლესის დამთავრების საშუალებას მთავრობა მას აღარ მისცემდა, ნიკ. ყიფიანმა გადაწყვიტა სამსახურში შესულიყო, რისთვისაც 1870 წლის მაისში მან სათანადო თხოვ-

---

1 იქვე, ფ. 53-54.

ნით მიმართა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს. თხოვნაში ნათქვამია:

„უკანასკნელ დრომდე მე იმედი მქონდა, რომ უმაღლესი უფროსებისაგან მივიღებდი ნებართვას ჩამებარებია რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში საბოლოო გამოცდა იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ, რადგან ეს იმედი ამ ბოლო დროს განუხორციელებელი შეიქმნა, მე გადავწყვიტე უმდაბლესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ არ მითხრას უარი და გამომითხოვოს ნებართვა შევიდე სახელმწიფო სამსახურში“.[1]

საქმიდან ჩანს, რომ ნ. ყიფიანისთვის (აგრეთვე ალ. მღებრიშვილისთვის) უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს, შესულიყო სამსახურში, ოღონდ იმ პირობით, რომ კვლავ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დარჩენილიყო. დაახლოებით ორი წლის შემდეგ თბილისის გუბერნატორს ხელახლა აღუძრავს შუამდგომლობა, მოეხსნათ ნ. ყიფიანისა და მისი მეგობრებისათვის პოლიციური ზედამხედველობა, მაგრამ ამჯერადაც ზემდგომი ორგანოებიდან უარი მიიღია.[2]

ახლა ვიკითხოთ. რა ხდება პეტერბურგში მას შემდეგ, რაც იქ სტუდენტთა მღელვარება ჩაახშვეს და მისი აქტიური მონაწილენი გადაასახლეს?

პეტერბურგში რეაქცია შეტევაზე გადავიდა. გაუსწორდა რა სტუდენტებს, მთავრობამ ენერგიულად მოჭიდა ხელი ნეჩაეველთა საიდუმლო ორგანიზაციის, ე.წ. „ნაროდნაია რასპრავას“ განადგურებას. ჯერ კიდევ სტუდენტთა მღელვარების დროს დააპატიმრეს ამ ორგანიზაციის აქტიური წევრები პეტერბურგში, ხოლო ცოტა გვიან, სახელდობრ 1869-70 წწ. ზამთარში, გაანადგურეს ნეჩაეველთა მოსკოვის ორგანიზაციაც. მთავრობამ დაპატიმრებულები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ნეჩაევის მეთოდებს არ იწონებდნენ და მას ოპოზიციაში ედგნენ, პასუხისგებაში მისცა. რევოლუციონერებს ყველგან სასტიკად სდევნიდნენ, მეფის მთავრობა გამარჯვებას ზეიმობდა.

ასეთ პირობებში, ცხადია, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ქართველი სტუდენტები, რომლებიც სტუდენტთა მღელვარების

---

1 იქვე, ფურც. 81.
2 იხ. იქვე, ფურც. 149.

შემდეგ შემთხვევით გადაურჩენ რეპრესიებს და ისევ პეტერბურგში ცხოვრობდნენ. ბევრი მათგანი მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობაში პოლიციას დიდი ხანია შემჩნეული ჰყავდა და ისინი იძულებული იყვნენ გასცლოდნენ პეტერბურგს. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად, ჩვენთვის უკვე ცნობილი დავით ღოღობერიძე, რომელსაც 1870 წლის დამდეგს დაუტოვებია პეტერბურგი და გამგზავრებულა ოდესაში.

ჩვენ ხელთა გვაქვს დავით ღოღობერიძის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის, სტუდენტ ივანე ერისთავის სამი წერილი (რუსულად დაწერილი), რომლებიც მას 1870 წლის დამდეგს პეტერბურგიდან გაუგზავნია დავითისთვის ოდესაში. მართალია ამ წერილებში ძალიან ფრთხილად და მხოლოდ გადაკვრით არის ლაპარაკი პეტერბურგის მაშინდელ ქართველ სტუდენტთა პოლიტიკურ მისწრაფებებზე, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანს, ჯერ ერთი, ის ატმოსფერო, რომელშიც დ. ღოღობერიძეს უხდებოდა მოღვაწეობა პეტერბურგში მისი ყოფნის უკანასკნელ წლებში, ხოლო მეორეც,—პეტერბურგიდან მისი წასვლის ნამდვილი მიზეზები.

გავეცნოთ რამდენიმე ამონაწერს ამ წერილებიდან.

პირველ წერილში, რომელიც დაწერილია 1870 წლის 22 თებერვალს ნათქვამია: „გამარჯობა, ძოხუცო! როგორ ცხოვრობ სამხრეთის თბილ და მშვენიერ ოდესაში? ხმა გაგვეცი! შენ წერილს ყველა ველოდებით... შენი წასვლის შემდეგ ჩვენი სალონი საბოლოოდ დაიშალა. კირილე სავსებით გადაბარგდა პეტერბურგის მხარეში.... მას და ბეთანოვს, ამბობენ, დაუსრულებელი დისპუტები აქვთ ანტონოვიჩისა და პისარევის გამო.“[1]

მეორე წერილიდან (1870 წლის 10 მარტს) ჩვენ ვგებულობთ, თუ კიდევ ვინ შედიოდა იმ ხანებში—ზემოთ ხსენებულ პირებს გარდა—ქართველი სტუდენტების სალონში ანუ წრეში; გადასცემს რა თავის მეგობარს იმ ხანად პეტერბურგში ჩატარებული ერთ-ერთ საინტერესო ლექციის ჩატარების ამბავს, წერილის ავტორი დასძენს: „დამსწრეთა უმრავლესობას ლექციაზე შეადგენდნენ ქალები, სტუდენტები და პროფესორები. ჩვენებიდან იყვნენ ალხაზოვი, დავით გლუხარიჩი, ნაცვალოვი და მე.“[2]

---

1 დ. ღოღობერიძის პირადი წერილების კოლექცია, ფურც. 301.

2 იქვე, ფ. 309.

დაბოლოს, მესამე წერილში (1870 წლის 31 მარტს) ლაპარაკია პეტერბურგიდან ქართველი სტუდენტების წრის კიდევ ორი თვალსაჩინო წევრის გიორგი ნაცვლიშვილისა და კირილე ლორთქიფანიძის წასვლის შესახებ. აი ავტორის სიტყვები:

„მეგობარო დავით! ამ საღამოს მივიღე შენი წერილი. ნამდვილად ყოჩაღი ბიჭი მყავხარ, ყოჩაღი ხარ და ისაა! ამის შესახებ მეტის თქმა არ შეიძლება... გაცნობებ ზოგიერთ ახალ ამბავს ჩვენი წრის შესახებ... ნაცვალოვი წავიდა პეტერბურგიდან. აი ეს როგორ მოხდა. ერთი მრავალთაგანი ერისთავი, რომელსაც კაზაკის ქალი ჰყავს ცოლად და კიევში ცხოვრობს, ჩამოვიდა აქ თავის საქმეებზე და წინადადება მისცა ნაცვალოვს ემუშავნა მასთან მმართველად მისი ცოლის ერთ-ერთი მამულისა, რომელიც 2.000 დ(ესეტინაა), ჯამაგირით წელიწადში 500 მან. ნაცვალოვი მამულში მარტო იცხოვრებს (სახლი 6 ოთახისაგან მის განკარგულებაში იქნება) და მამულს თავისი შეხედულებებისამებრ უხელმძღვანელებს. ის დაეთანხმა ამ წინადადებას და გაემგზავრა. წასვლის წინ ცოტა მოწყენილი იყო... ამ დღეებში, სახელდობრ კი, მგონი 6 აგვისტოს (?) პეტერბურგში მოხდება არაჩვეულებრივი ამბავი... ამ დიდმნიშვნელოვან დღეს განხორციელდება კირილე ლორთქიფანიძის საზეიმო წასვლა დედაქალაქიდან და შვიდი დღის შემდეგ ოდესა მიიღებს მას თავის წიაღში.“[1]

ამ ამონაწერებიდან ჩვენ უპირველეს ყოვლისა ვგებულობთ, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროიდან არსებული ქართველი სტუდენტების სალონი ანუ პოლიტიკურ თანამოაზრეთა წრე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა და განუწყვეტლივ ივსებოდა საქართველოდან ჩასული ახალ-ახალი კადრებით, 70-იანი წლების დამდეგისათვის, გაძლიერებული რეაქციის შედეგად, საბოლოოდ დაშლილა. დ. ღოღობერიძის შემდეგ პეტერბურგს გასცლიან აგრეთვე ქართული წრის ისეთი თვალსაჩინო წევრები, როგორიც იყვნენ კ. ლორთქიფანიძე და გ. ნაცვლიშვილი.

ზემოთ მოყვანილი ამონაწერები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ნაწილობრივ მაინც ახალ შუქს ჰფენს ქართველ სტუდენტთა წრის შემადგელობას; კერძოდ, ირკვევა, რომ დ. ღოღობერიძესთან, კ.

---

[1] იქვე, ფ. 297-298.

ლორთქიფანიძესთან და სხვა გამოჩენილ სტუდენტ-რევოლუციონერებთან უახლოეს კავშირ-ურთიერთობაში ყოფილან ქართველ სტუდენტთა წრის შედარებით ნაკლებად ცნობილი წევრები, სახელდობრ: თვით ზემოთ ციტირებული წერილების ავტორი ივანე (ვანო) ერისთავი, ბეთანელი (ბეთანიშვილი),[1] იაკობ (იაშა) ალხაზიშვილი და დავით გლუხარიჩი,[2] სამწუხაროდ, ამ სტუდენტთა რევოლუციურ მოღვაწეობაზე კონკრეტული ფაქტები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

დაბოლოს, მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ზემოთ ციტირებული წერილების იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია კირილე ლორთქიფანიძისა და მიხ. ბეთანელის „გაუთავებელ დისპუტებზე ანტონოვიჩისა და პისარევის გამო". ახალგაზრდა ქართველ რევოლუციონერებს დაუსრულებელი კამათი ჰქონიათ იმ დიდი იდეური პოლემიკის ირგვლივ, რომელსაც 60-იან წლებში ადგილი ჰქონდა რუსეთის ორ ყველაზე გამოჩენილ რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანოს—ჟურნალ „სოვრემენიკსა" და ჟურნალ „რუსკოე სლოვოს" შორის. როგორც ცნობილია, „სოვრემენიკის" მხრიდან ამ კამათში მთავარ როლს თამაშობდა ჩერნიშევსკის მოწაფე მ. ანტონოვიჩი, ხოლო „რუსკოე სლოვოს" მხრიდან ნიჭიერი პუბლიცისტი დ. პისარევი. მათი კამათი შეეხებოდა მაშინდელი რუსეთის ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დასმულ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და სხვ. პრობლემებს, რომლებიც მაშინდელი რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობას აღელვებდა.

ჯერ კიდევ 1866 წელს, მეფეზე კარაკოზოვის თავდასხმის შემდეგ, მთავრობამ საბოლოოდ დახურა როგორც „სოვრემენიკი", ისე „რუსკოე სლოვო", მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ჟურნალების

---

1 წერილში ნახსენები „ბეთანელი", როგორც ჩანს, იგივე მიხეილ ბეთანიშვილია, რომელმაც 1869 წელს პეტერბურგში ქართულად გამოსცა ილია ჭავჭავაძის „კაცია, ადამიანი?!"

თუ გავიხსენებთ,რომ ამაზე ადრე (1864 წ.) კირილე ლორთქიფანიძემ იმავე პეტერბურგში გამოსცა შესანიშნავი, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი კრებული „ჩონგური", გასაგები გახდება, რომ „ქართული სალონის" წევრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საგამომცემლო საქმიანობას.

2 აქ ჩანს იგულისხმება დავით ერისთავი, —გიორგი ერისთავის (გლუხარიჩის) ვაჟი.

ფურცლებზე ატეხილი იდეური კამათი მრავალ წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ღრმავდებოდა რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობაში.

და აი, ზემოთ ხსენებული წერილიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ 1869 წლის სასტიკი რეპრესიების შემდეგაც კი პეტერბურგში დარჩენილი თითო-ოროლა ქართველი სამოციანელი, რომლებიც უკვე სტოვებდნენ ბრძოლის ველს, კვლავ დაუსრულებლად კამათობენ მწვავე პოლიტიკურ საკითხებზე. კამათობენ იმის შესახებ, თუ როგორ დახმარებოდნენ, რა გზით ეშველათ დაჩაგრული ხალხისათვის. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ფაქტი გვიჩვენებს ჩვენი ახალგაზრდა რევოლუციონერების მორალურ სიმტკიცეს, მათს დიდ ნებისყოფას და შეურყეველ რწმენას უკეთესი მომავლისადმი.

დაბოლოს, მკითხველს გვინდა გავაცნოთ კიდევ ერთი მეტისმეტად საინტერესო საბუთი, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს ახალგაზრდა ქართველი სამოციანელების მაშინდელ სულისკვეთებას. მხედველობაში გვაქვს ნიკოლოზ ყიფიანის მიერ 1869 წლის 11 სექტემბერს ქვიშხეთიდან პეტერბურგში, გ. ნაცვლიშვილის სახელზე გაგზავნილი პირადი წერილი, რომელიც, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, აღმოჩნდა დ. ღოღობერიძის პირადი წერილების ზემოთ უკვე მრავალჯერ ხსენებულ კოლექციაში.[1]

წერილი დაწერილია რუსულად. მასში ნათქვამია:

„ძვირფასო მეგობარო ნაცვლიშვილო!

სირცხვილია, ძმაო, ბევრი ჩემი ამხანაგისათვის და შენთვის ხომ სირცხვილზე უარესია, რომ არაფერი მომწერეთ. ნახევარი წელიწადია არაფერი არ ვიცი, რა კეთდება მანდ თქვენთან ან თქვენ თვითონ რას აკეთებთ. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. თქვენთან კაცი რას გააწყობს!

ჩემი ანდერძის ამსრულებლებად მას შემდეგ, რაც მე პოლიციამ პეტერბურგში სიცოცხლე მომისპო, დარჩით შენ, არღუთინსკი, ქანანოვი. მე მანდ დამრჩა: 1) ვალები წვრილ-წვრილი და დიდრონები საკმაო რაოდენობით, 2) წიგნები და სხვადასხვა ნივთები. წიგნების ნაწილი მე დავტოვე კუტუზოვებთან, მათ ბინაში, ნაწილი ტკაჩევთან, ნაწილი კი ხელზე აქვს ჩვენს საერთო ამხანაგებს და ნაცნობებს.

მინდა გთხოვოთ შენ, არღუთინსკის, კუტუზოვებს და საერთოდ

---

1 ფურც. 310-311

ამხანაგებს შემდეგი: ვ ა ლ ე ბ ი“... (აქ ნ. ყიფიანი დაწვრილებით ჩამოთვლის, ვისი რა ვალი მართებს და სთხოვს ნაცვლიშვილს, აცნობოს მოვალეებს, რომ მალე ყველას გაისტუმრებს. აქვე ირკვევა, რომ ნ. ყიფიანის ცოტაოდენი ვალიც ჰქონიათ მის ახლო ამხანაგებს, სახელდობრ დავით ღოღობერიძეს, ჩერქეზიშვილს და კიდევ ვიღაც „ალ. ივ.“-ს).„. . . ნ ი ვ თ ე ბ ი მე ცოტა დამრჩა: წერილები, ჩანაწერები, რვეულები, პორტრეტი და ა.შ. გთხოვთ საერთო ძალებით შეაგროვოთ ყოველივე ეს, შეკრათ და გადინახოთ რომელიმე მიყრუებულ ადგილს, ვიდრე საშუალება იქნებოდეს, რომ გამომიგზავნოთ. ამ ნივთებში ისეთებიც არის, რომლებიც მე ძალიან მჭირდება.

წ ი გ ნ ე ბ ი: უპირველეს ყოვლისა „სოვრემენიკი“, თუ რაიმე წმიდა გაგაჩნიათ ამქვეყნად, შემინახეთ იგი, შეაგროვეთ და როგორც კი ფულს გამოგიგზავნით, თუ საშუალება იქნეს, შეავსეთ. წიგნები, რომლებიც ტკაჩევთანაა, მის დებს ვთხოვ შემინახონ; გამოვგზავნი ფულს, რომელიც მე მმართებს ტკაჩევისა და კომპ. და მაშინ გადმოიტანეთ ისინი რომელიმე თქვენგანთან და შემინახეთ. ჩემი წიგნები, რომლებიც ხელზე აქვთ, რამენაირად საერთო ძალ-ღონით შემიგროვეთ. ჯერ-ჯერობით დაე ისინი იყოს წესრიგში და ვისაც სურს ისარგებლოს პატარა ბიბლიოთეკით, რომელიც შედგება. ფული არა მაქვს, თორემ გამოვგზავნიდი ცოტას მაინც იმისათვის, რომ ყდაში ჩაგესვათ „სოვრემენიკი“, განსაკუთრებით კი ჩერნიშევსკის სტატიები. მართლა, ღვთის გულისათვის, არ დაგავიწყდეთ ზოგიერთი ხელნაწერი და ა. შ. ნივთები, მსგავსად „ჩერნიშევსკის საკუთრებისა“, — გამაბედნიერებდით არა მარტო მე, რომ შეძლებდეთ და მიუმატებდეთ ზოგ რამეს ჩემს ბიბლიოთეკას, მაგ., სოკოლოვის ხელნაწერს, წიგნებს — ფრანგ. და სხვ. და ა.შ.

აი, ძმაო ნაცვლიშვილო, დავალება, რომელიც რამენაირად უნდა შემისრულოთ საერთო ძალ-ღონით. მაგრამ მთავარი დავალებაა—მომწერეთ ვინმემ რამდენიმე სტრიქონი. სხვათაშორის, ჰკითხე ისარლოვს, რომელსაც დაბლა თავს ვუკრავ, ვის სახელზე და როდის გამოუგზავნეს ფული ჯაფარიძეს, რომელზეც ის წერდა . . . ჯაფარიძეს იქედან ფული არ მიუღია. ამის პასუხი გადაუდებლად მაცნობე (შეიძლება დაგვჭირდეს ჯაფ(არიძის) მისამართი: ქართული გაზეთის „დროების“ რედაქციაში. იმის შესახებ, რომ გადაეცეს ამას-და ამას (ჯაფ.), დააწერონ შიგნით. ის ქუთაისშია, მაგრამ ფულის ან წერილის გადმოგზავნა აქ უფრო სანდოა.

ვჩქარობ, ძმაო, წერას. როგორც კი მივიღებ თქვენგან რომელიმესაგან წერილს, ე.ი. როცა გავიგებ, ცოცხალი ხართ თუ არა და ა.შ., მაშინ მოგწერთ ჩემ ამბავს.

მომიკითხე ძვირფასი მეგობრები.

ნიკოლოზ ყიფიანი.

11 სექტემბერი, ქვიშხეთი — 1869წ.“

როგორც ვხედავთ, ამ წერილში დიდი სიმართლითა და უშუალობით არის გადმოცემული ერთ-ერთი ძალიან აქტიური და მრავალმხრივ საინტერესო ახალგაზრდა სამოციანელის განწყობილება. ავტორი თითქოს გულს გვიხსნის, საკუთარ სულში გვახედებს და ჩვენ ნათლად ვხედავთ არა სასჯელისაგან შეშინებულ, ცხოვრებაზე გულგატეხილ ადამიანს, არამედ მებრძოლს, რომელიც თუმცა დამარცხდა, მაგრამ სრულიადაც არ ფიქრობს, ხელი აიღოს თავის წმინდა იდეალებზე. ამასთანავე ერთად, წერილში საკმაოდ გარკვევით მოჩანს პეტერბურგის მაშინდელი ვითარების სურათი. ავტორი თითქოს ფარდას ხდის წარსულის ერთ კუთხეს და მკითხველი გადაჰყავს ისტორიაში, სადაც ის ხელშესახებად გრძნობს დიდი ცხოვრების მაჯისცემას, ხედავს უკვე მიტოვებულ ბრძოლის ველს და მებრძოლთა გაფანტულ წრეს, რომელიც სულიერად ჯერ ისევ შეკრულია ერთი ფიქრითა და ერთი გრძნობით.

მეცნიერული თვალსაზრისით ამ წერილის ღირსება ისაა, რომ საშუალებას გვაძლევს დავასაბუთოთ რიგი მნიშვნელოვანი დებულებები.

უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იქცევს ნ. ყიფიანის მდიდარი ბიბლიოთეკა. წერილიდან აშკარაა, რომ ნ. ყიფიანს აკრძალულ ლიტერატურის, ხელნაწერებისა და სხვ. გაცილებით უფრო მდიდარი კოლექცია ჰქონია, ვიდრე ეს შეიძლებოდა გვეფიქრა პოლიციის მიერ ჩხრეკის დროს მისთვის ჩამორთმეული ლიტერატურისა და ხელნაწერების მიხედვით. ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ნ. ყიფიანის პირადი ბიბლიოთეკით, რომელშიც ყველაზე საპატიო ადგილი ჩერნიშევსკის ნაწერებს სჭერიათ ,ფართოდ სარგებლობდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერები, ნ. ყიფიანის მრავალრიცხოვანი მეგობრები და თანამოაზრენი.

შემდეგ დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ წერილიდან სრულიად გარკვევით ჩანს ნ. ყიფიანის ახლო ურთიერთობა ცნობილ

რევოლუციონერ პეტრე ტკაჩევთან. უდავოდ მიგვაჩნია, რომ ეს სწორედ ის ტკაჩევია, რომელიც ნეჩაევთან ერთად ხელმძღვანელ როლს თამაშობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში 1868-69 წლებში. რაკი ნ. ყიფიანს თავისი წიგნების ნაწილი ტკაჩევის ოჯახში ჰქონია შენახული და თვით ტკაჩევის ფულიც მართებია, ცხადია, ის მისი ახლო მეგობარი ყოფილა. ნ. ყიფიანის წერილის შინაარსი და ტონი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტკაჩევს ახლოს იცნობდა არა მარტო თვით ნ. ყიფიანი, არამედ მისი ადრესატი გ. ნაცვლიშვილი და აგრეთვე სხვა ქართველი სტუდენტები. ქართველი სტუდენტების ასეთი დაახლოვება ტკაჩევთან, და მაშასადამე, ნეჩაევთანაც, ბუნებრივია მოხდებოდა ვ. ჩერქეზიშვილის საშუალებით, რომელიც ამ უკანასკნელთა უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო.

მაშასადამე, შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ ნ. ყიფიანი და სხვა ქართველი სტუდენტი-რევოლუციონერები შემთხვევით და სტიქიურად კი არ ჩაბმულან სტუდენტთა 1869 წლის მღელვარებაში, არამედ დაკავშირებული ყოფილან საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელებთან და სრულიად შეგნებულად აუფრიალებიათ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა.

დაბოლოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო ზემოთ ხსენებული წერილი ჩვენთვის იმის გამოა, რომ მასში სრულიად გარკვევით ჩანს მისი ავტორის ურყევი ერთგულება სამოციანი წლების პრინციპებისადმი და მისი მზადყოფნა, განაგრძოს ბრძოლა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გამარჯვებისათვის. „თუ რაიმე წმინდა გაგაჩნიათ ამ ქვეყნად, შემინახეთ „სოვრემენიკიო“ — ეევედრება ნ. ყიფიანი თავის მეგობარს და ამ სიტყვებში ჩანს მთელი მისი პოლიტიკური მრწამსი. აღსანიშნავია ისიც, რომ „სოვრემენიკი“, ჩერნიშევსკის სტატიები და სხვა პოლიტიკური ლიტერატურა ნ. ყიფიანს მარტო თავისთვის როდი სჭირდებოდა და მარტო პირად საკუთრებად კი არ მიაჩნდა, არამედ — საერთო საგანძურად, საერთო საქმისათვის აუცილებელ საბრძოლო იარაღად; ეს კარგად ჩანს მისი სიტყვებიდან: „ვისაც სურს, ისარგებლოს ჩემი ბიბლიოთეკითო“, ან „გამაბედნიერებდით არა მარტო მე, რომ შეძლებდეთ და მიუმატებდეთ რამეს ჩემს ბიბლიოთეკასო“.

ამრიგად, ნიკოლოზ ყიფიანის ზემოთ ხსენებული წერილი, ისე-

ვე როგორც მრავალი სხვა უტყუარი საბუთი მოწმობს, რომ ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილი, მიუხედავად რეაქციის გაძლიერებისა და სტუდენტთა მღელვარების კვლავ ჩახრჩობისა, მიუხედავად სასჯელისა, დევნისა და გადასახლებისა, მაინც ერთგული დარჩა სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისა.

დასრულდა ბობოქარი 60-ანი წლები, გაიმარჯვა რეაქციამ, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილი, — თერგდალეულთა სახელოვანი თაობა კვლავ უშიშრად იდგა ხალხისა და ერის ინტერესების სადარაჯოზე, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილით გულანთებული.

ქვემოთ ჩვენ ძალიან მოკლედ შევეხებით რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას 60-ანი წლების ბოლოს და 70-ანი წლების დაჟდეგს და ვეცდებით შეძლებისდაგვარად გავაშუქოთ ის უაღრესად თვალსაჩინო როლი, რომელიც მასში ითამაშა ქართველ სამოციანელთა კიდევ ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა.

2. სმორგონის აკადემია. ნეჩაეველთა არალეგალური ორგანიზაცია. ვარლამ ჩერქეზიშვილის რევოლუციური მოღვაწეობა

1867 წლის დამდეგს პეტერბურგში შეიქმნა და დაახლოებით ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა რევოლუციონერთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი წრე, რომელიც ისტორიაში „სმორგონის აკადემიის“ პირობითი სახელწოდებითაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ წრის გაბედული გეგმები პრაქტიკულად არ განხორციელებულა, მკვლევარები მას მაინც საპატიო ადგილს უთმობენ რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში. მაგალითად, ბ. კოზმინი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ხსენებული წრის ისტორია, ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს მის საქმიანობას და ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდ როლს, რომელიც ამ წრემ ითამაშა იმდროინდელი პეტერბურგის რევოლუციონერთა ცხოვრებაში.

ნაშრომში „Революционное подполье в эпоху „белого террора“, კოზმინი ამბობს:

„სმორგონის აკადემია მისი აღმოცენების დროს ერთ-ერთი ისეთივე „კომუნა“ იყო, როგორსაც ხშირად აწყობდა ხოლმე 60-იანი წლების რადიკალური ახალგაზრდობა. ახლო ამხანაგების ჯგუფი,—

ნაწილობრივ ერთად გასამართლებულები (იგულისხმება მეფეზე თავდასხმის გამო გასამართლებული თანამოაზრენი — პ. რ.), ნაწილობრივ კი ერთი მხრის ხალხი (მასში, უმეტესობას სარატოველები და სარატოვის სასწავლებლებში აღზრდილები შეადგენდნენ), დასახლდნენ ერთ ბინაში. ასე წარმოიშვა „სმორგონის აკადემია“, მაგრამ ის მალე გასცილდა „კომუნის“ ფარგლებს. საღამოებმა, რომლებიც თავდაპირველად „კომუნის“ წევრთა ბინაში ეწყობოდა, მერე კი განსაკუთრებულ შენობაში (კოზლოვსკაიას სასადილოში), საშუალება მისცა „კომუნის“ წევრებს გაეფართოვებინათ ნაცნობთა წრე. დაემყარებინათ კავშირი მათთვის საინტერესო ადამიანებთან და ჩაებათ ისინი რევოლუციურ მოძრაობაში... „კომუნის“ ბევრმა წევრმა და აგრეთვე ირგვლივ შემოკრებილმა ბევრმა ადამიანმა სულ მალე გამოიჩინეს თავი როგორც სტუდენტთა იმ მღელვარების აქტიურმა მონაწილეებმა, რომელმაც 1868 — 1869 წ. მოიცვა პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლები, ზოგიერთი მათგანი კი 1869 წელს ნეჩაევის ორგანიზაციის „ნაროდნაია რასპრავას“ წევრი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ მათ „კომუნაში“ და მის ირგვლივ თავს იყრიდა თითქმის მთელი იმდროინდელი პეტერბურგის რევოლუციური ახალგაზრდობა“[1].

„სმორგონის აკადემია“ მიზნად ისახავდა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება რუსეთში, მოეწყო რევოლუციური იდეების ფართო პროპაგანდა, დაემყარებინა კავშირი პირველ ინტერნაციონალთან, გაენთავისუფლებინა კატორღაში მყოფი ჩერნიშევსკი და ა. შ.

მართალია ვერც ერთი ამ ამოცანის შესრულება მან ვერ შესძლო, მაგრამ მის მოღვაწეობას მაინც ამაოდ არ ჩაუვლია. „თუ მხედველობაში მივიღებთ, — ამბობს კოზმინი, — იმ მძიმე ვითარებას, რომელშიც ამ წრის წევრებს მუშაობა უხდებოდათ, უნდა ვაღიაროთ: მათი მოღვაწეობა სრულიადაც არ ყოფილა ისე უშედეგო, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. პოლიტიკურ თემებზე მოწყობილი დისკუსიებიც, ის პროპაგანდაც, რომელსაც წრის წევრები ეწეოდნენ პეტერბურგის სტუდენტთა შორის — მათთვის მისაწვდომ ამ ერთადერთ გარემოში, — ის რეფერატებიც, რომლებსაც ისინი აწყობდნენ, ის სასადილოც (кухмистерская), რომელიც მათ

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

შექმნეს და რომელიც მაშინდელ პეტერბურგში თითქმის ერთადერთი რევოლუციური ცენტრი იყო, — „ყველა ეს პატარა და შეუმჩნეველი საქმეები იმდროისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო“[1].

ამ ამონაწერებიდან ნათელია, რომ თეთრი ტერორის ეპოქის მეტისმეტად მძიმე პირობებშიც კი რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობა განაგრძობდა ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „სმორგონის აკადემიის“ საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1868 წელს, მოწმობს პეტერბურგის დემოკრატიული ახალგაზრდობის რევოლუციურ სულისკვეთებას, მის შეუნელებელ საბრძოლო განწყობილებას, მიმართულს ძველი წესწყობილების წინააღმდეგ.

სწორედ ამ განწყობილების თავიანთი მიზნებისათვის გამოყენება განიზრახეს ნეჩაევ-ბაკუნინის ტიპის ანარქისტულ-ბუნტარული მიმართულების რევოლუციონერებმა, რომლებმაც 1869 წელს სცადეს შეექმნათ საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაცია „ნაროდნაია რასპრავა“. ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ნეჩაეველებმა ჯერ კიდევ სტუდენტთა მღელვარების დაწყებამდე შეიმუშავეს „რევოლუციური მოქმედების პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავდა აჯანყების მომზადებას 1870 წლის გაზაფხულისათვის. ნეჩაეველებმა სცადეს გამოეყენებიათ პეტერბურგის სტუდენტთა 1869 წლის მღელვარება ზემოხსენებული პროგრამის განსახორციელებლად, მაგრამ მათ ვერ შესძლეს სტუდენტთა მოძრაობის თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევა. მთავრობამ, როგორც ვიცით, შედარებით ადვილად მოახერხა სტუდენტთა მღელვარების ჩახშობა, აქტიური სტუდენტ-რევოლუციონერები კი დააპატიმრეს და პეტერბურგიდან გაასახლეს. იმავე დროს მთავრობამ დააპატიმრა ნეჩაევთან დაკავშირებული რევოლუციონერების დიდი უმრავლესობა, ხოლო თვითონ ნეჩაევმა საზღვარგარეთ წასვლა მოასწრო.

საზღვარგარეთ (შვეიცარიაში) ყოფნისას ნეჩაევი დაუახლოვდა ბაკუნინს და მასთან ერთად გააჩაღა სააგიტაციო მუშაობა ანარქისტული შეხედულებების გასავრცელებლად რუსეთის ახალგაზრდობაში. 1869 წლის შემოდგომაზე ნეჩაევი კვლავ დაბრუნდა რუ-

---

[1] იქვე, გვ. 162-163.

სეთში და ენერგიულად შეუდგა (ამჯერად მოსკოვში) საიდუმლო ორგანიზაციის შექმნას. თავის მასწავლებელ ბაკუნინთან ერთად ნეჩაევი მოუწოდებდა რუსეთის ახალგაზრდობას „დატანჯული რუსი ხალხის საყოველთაო სახალხო აჯანყებისაკენ“, მაგრამ ბრძოლის ფორმები, რომელსაც ის აყენებდა და მეთოდი, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა, აშკარად ყალბი, ავანტურისტული და მისტიფიკაციური იყო.

ახალგაზრდობის ნაწილს უკვე მაშინ ესმოდა ნეჩაევშჩინის ეს მანკიერი მხარეები და ცდილობდა შეექმნა ოპოზიცია ნეჩაევის წინააღმდეგ, მაგრამ ახალგაზრდობის მეორე ნაწილს არ შეეძლო სწრაფად გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში და სჯეროდა მყვირალა რევოლუციური ფრაზებისა, ბრმად მოჰყვებოდა ნეჩაევს. ახალგაზრდობაზე გავლენის მოხდენას ნეჩაევი უმთავრესად მოტყუებით და მისტიფიკაციით ახერხებდა. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით მკვლევარი შ. ლევინი: „როცა ნეჩაევი რუსეთში დაბრუნდა, ბაკუნინმა მას გამოატანა თავისი ხელმოწერით მანდატი, რომელშიც ნეჩაევი განდიდებული იყო როგორც „მსოფლიო რევოლუციური კავშირის“ რუსული განყოფილების ერთ-ერთი „ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი“. ამ მანდატმა და ნეჩაევის ახსნა-განმარტებებმა, თითქოს ის მითიური ორგანიზაცია, რომლის სახელითაც ის მოქმედებდა, პირველი ინტერნაციონალის ნაწილი, და თანაც ვითომ ყველაზე რევოლუციური და გავლენიანი ნაწილი იყო, გააადვილეს ხალხის მოგროვება საიდუმლო საზოგადოებისათვის „ნაროდნაია რასპრავა“, რომლის შექმნა ნეჩაევმა მოსკოვში დაიწყო“[1].

ნეჩაეველთა ორგანიზაცია მეფის მთავრობის ორგანოებმა აღმოაჩინეს და გაანადგურეს 1869—1870 წლის ზამთარში. თვითონ ნეჩაევმა მოახერხა საზღვარგარეთ გაქცევა, მაგრამ 1872 წელს შვეიცარიის მთავრობამ ის დააპატიმრა და გადასცა რუსეთის მთავრობას. ნეჩაევი გაასამართლეს, ხანგრძლივი კატორღა და პატიმრობა მიუსაჯეს. მასზე ადრე კი, 1871 წლის ზაფხულში გაასამართლეს ნეჩაევის ორგანიზაციის აქტიური წევრები და ამ ორგანიზაციასთან

---

[1] Ш. М. Левин, Общественное движение в России в 60—70-ые годы XIX века, М. 1958 г., გვ. 267.

По описи № 264

Дѣло 10

По обыску въ Москвѣ у бывшаго слушателя Петровской Академіи, Князя Варлама Джанъ-Ясламова Черкасова.

[illegible]

[illegible]

Начато 27 апрѣля 1866 г.
Кончено 3 іюня 1867 г.
На 12 листах

[illegible] № 1350

თავფურცელი III განყოფილების საქმისა, რომელშიც ინახება მასალები ვარლამ ჩერქეზიშვილის დაპატიმრების შესახებ.
1866 წ.

ასე თუ ისე დაახლოებული რევოლუციონერები. გასამართლებულთა შორის იყო თვალსაჩინო ქართველი სამოციანელი ვარლამ ჩერქეზიშვილიც.

ახლა შევეხოთ საკითხს: რა მონაწილეობა მიიღო ვარლამ ჩერქეზიშვილმა საიდუმლო ორგანიზაციების „სმორგონის აკადემიისა“ და „ნაროდნაია რასპრავას“ საქმიანობაში, აგრეთვე — როგორი იყო მისი დამოკიდებულება ნეჩაევთან?

— ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ 1866 წელს, მეფეზე კარაკოზოვის თავდასხმასთან დაკავშირებით, ვ. ჩერქეზიშვილი შეიპყრეს, გაასამართლეს და 8 თვის პატიმრობა მიუსაჯეს. 1867 წლის იანვარში ჩერქეზიშვილი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ციხიდან გამოსვლისთანავე ის კვლავ ჩაბმულა უაღრესად აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში, კერძოდ მას ხელმძღვანელი როლი უთამაშნია „სმორგონის აკადემიის“ დაარსებასა და საქმიანობაში. ცნობილ ბიო-ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში „Деятели революционного движения в России“, რომელიც 1927 წელს დაიბეჭდა, პირდაპირ არის ნათქვამი. რომ „ჩერქეზიშვილი... 1867 წელს იყო საიდუმლო ორგანიზაცია „სმორგონის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი“. ამასვე იმეორებს ბ. კოზმინიც თავის „შენიშვნებში“, რომლებიც დართული აქვს 1931 წელს გამოცემულ მასალების კრებულს „Нечаев и Нечаевцы“[1].

ფრიად საინტერესო ცნობებს ვარლამ ჩერქეზიშვილის იმდროინდელი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ შეიცავს მაქს ნეტლაუს მიერ 1925 წელს, ჩერქეზიშვილის გარდაცვალებაზე დაწერილი ნეკროლოგი, რომელიც გამოქვეყნდა ფრანგულ ჟურნალში „Plus loin“. ამ ნეკროლოგის შინაარსი რუსულად გამოაქვეყნა მ. კოზმინმა. მასში ნათქვამია: „1867 წელს ჩერქეზიშვილი პეტერბურგში გადავიდა. ის დრო განცალკავებისა და უმოქმედობის დრო იყო. მხოლოდ 1868 წელს დაიწყეს ცოტ-ცოტად ორგანიზება, მოაწყვეს კოოპერაციული სასადილო, რომელიც სტუდენტ ახალგაზრდებს იზიდავდა. ყალიბდება ჯგუფი, რომელშიც შედის ტკაჩევი, იმ დროს უკვე რევოლუციური წარსულის მქონე, დემოკრატი და ბლანკისტი. ეს ჯგუფი გზავნის შვეიცარიაში ბოჩკარიოვს... ჩერქეზიშვილმა 50 მანეთი გაგზავნა „რა ვაკეთოთ?“ გამოსაცემად... ჩერ-

---

1 გვ. 220.

ქეზიშვილი ამ დროს დაუკავშირდა ახალგაზრდა სერბებს — სავვა გრუიჩს (მომავალ სამხედრო მინისტრს), ნიკოლიჩს და სვეტოზარ მარკოვიჩს... გრუიჩი ბერლინში იყო ნამყოფი და ლაბალის თხზულებებს იცნობდა, მაგრამ სამივენი რუს პროგრესისტებად იცნობდნენ მარტო აკსაკოვის ტიპის სლავიანოფილებს, რომლებსაც ისინი გულის სიღრმეში საკმაოდ რეაქციონერებად სთვლიდნენ. ჩერქეზიშვილმა აუხილა მათ თვალები, მისცა წასაკითხად ჩერნიშევსკის თხზულებები, განსაკუთრებით განთქმული კრიტიკა პანსლავიზმისა („Национальная бестактность"). ისინი აღფრთოვანებულნი იყვნენ და დაუახლოვდნენ წრეს, სადაც ბაკუნინს კითხულობდნენ[1].

კოზმინს გადაჭარბებულად მიაჩნია ნეტლაუს ცნობა, სერბ რევოლუციონერებს ჩერქეზიშვილმა აუხილა თვალები და გააცნო მათ ჩერნიშევსკის ნაწერები; ამასთან დაკავშირებით კოზმინი შენიშნავს, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის მსმენელი სერბები ჩერქეზიშვილთან შეხვედრამდე არ იცნობდნენ ჩერნიშევსკის ნაშრომებსო. ეს შენიშვნა შესაძლოა საფუძვლიანიც იყოს, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ სერბი რევოლუციონერები მანამდეც იცნობდნენ ჩერნიშევსკის ზოგიერთ ნაშრომს, მაგრამ ასეა თუ ისე ნეტლაუს ცნობიდან მაინც უდავოდ ჩანს, ვ. ჩერქეზიშვილის როგორც აქტიური რევოლუციონერის მოღვაწეობა, სახელდობრ აშკარად ჩანს მისი სიახლოვე ტკაჩევთან. ბოჩკარიოვთან და მათ ჯგუფთან, აგრეთვე სერბ რევოლუციონერებთან, ჩანს მისი ზრუნვა ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისათვის და ა. შ.

ვ. ჩერქეზიშვილის უაღრესად აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას კიდევ უფრო ცხადჰყოფენ საარქივო მასალები, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის აქამდე არ იყო ცნობილი.

მესამე განყოფილების ფონდში მოიპოვება ფრიად საინტერესო საქმე, რომელსაც სათაურად აქვს: „ელიზავეტპოლში უცნაური წარწერით სახელმწიფო ბეჭდის შეკვეთისა და შეგდებული წერილის შესახებ, რომელშიც არის ცნობა ხელმწიფე იმპერატორის პიროვნების წინააღმდეგ ავაზაკურ განზრახულობაზე (კონტუშევი, ტროიცკი, ბორისოვი, ვოსკრესენსკი, თავადი ჩერქეზოვი, კოროვა-

---

[1] М. Козьмин, «Революционное подполье в эпоху «белого террора», гз. 117-118.

ევი, სოკოლოვსკი და სხვ.)". საქმე დაწყებულია 1869 წლის 25 ნოემბერს, დაუმთავრებიათ 1870 წლის 29 აპრილს. საქმე იხსნება მესამე განყოფილების მოხსენებით უმაღლესად დამტკიცებული გამომძიებელი კომისიისადმი, რომელიც ფარდას ხდის „სმორგონის აკადემიასთან" დაკავშირებული რევოლუციონერების აქტიური არალეგალური საქმიანობის ზოგიერთ საინტერესო მხარეს. ეს მოხსენება კომისიას მიუღია 1869 წლის 25 ოქტომბერს. მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

ქ. ელიზავეტგრადში 1868 წლის 25 ივნისს ვიღაც უცნობმა ახალგაზრდამ ებრაელ ხელოსანს დრანკოვს შეუკვეთა ბეჭედი საჰელმწიფო ღერბის გამოსატულებით და წარწერით: „Одесса, второй Гимн Богу, 1868 года"; ღერბის ორივე მხარეზე უნდა ყოფილიყო ასოები „И" და „Л". ამ უცნაური წარწერით დაეჭვებულმა დრანკოვმა ეს ამბავი პოლიციას აცნობა. მოინდომეს უცნობის შეპყრობა, მაგრამ მან, როგორც ჩანს დროზე შეიტყო, რასაც უპირებდნენ და მიიმალა. ამ ამბავმა შეაშფოთა არა მარტო ელიზავეტგრადის პოლიცია, არამედ მთელი გუბერნიის ჩინოვნიკობა, დაიწყეს კვლევა-ძიება, ეძებდნენ საიდუმლო ორგანიზაციას, რომელიც, მათი აზრით, ოდესაში ან სამხრეთის რომელიმე სხვა ქალაქში უნდა არსებულიყო, მაგრამ საიდუმლო ორგანიზაციის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს.

არ გაუვლია დიდხანს, რომ იმავე ელიზავეტგრადის პოლიცმეისტერმა მიიღო ცნობა (26 ოქტომბერს), რომლითაც მას ვიღაც უცნობი (თითქოს პოლიციის აგენტი) შემდეგ დიდმნიშვნელოვან ამბავს ატყობინებდა: ელიზავეტგრადში დასახლდა ორი უცნობი ახალგაზრდა რევოლუციონერი, რომლებიც ელოდებიან აქ ხელმწიფის ჩამოსვლას, რათა მას თავს დაესხანო (იმ ხანებში ხელმწიფე მართლაც უნდა ჩასულიყო ელიზავეტგრადში ჯარების დასათვალიერებლად); რევოლუციონერებს განზრახული აქვთ რკინიგზის რელსებს ქვეშ ხვრელი გაიყვანონ და ააფეთქონ ხელმწიფის მატარებელი.

პოლიცია სასწრაფოდ შეუდგა ამ საქმის გამოძიებას. გამოირკვა, რომ წერილის ავტორის მიერ მითითებულ ბინაზე (პოტიომკინის სახლში) მართლაც ცხოვრობდა ორი ახალგაზრდა რევოლუციონერი, რომელთა გვარები იყო ტროიცკი და კონტუშევი. დაუყოვ-

ნებლივ დაესხნენ თავს ხსენებულ ბინას და დააპატიმრეს კონტუშევი, ხოლო ტროიცკიმ მოახერხა მიმალვა.

შემდეგ მესამე განყოფილების მოხსენებაში დაწვრილებით არის გადმოცემული კონტუშევის ბიოგრაფია და ის ცნობები, რომლებიც ჟანდარმებს შეუგროვებიათ მისი რევოლუციური საქმიანობის შესახებ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მოხსენების ის ადგილი, სადაც გადმოცემულია კონტუშევის ჩვენება მის ყოფნაზე პეტერბურგში და მის კავშირზე „სმორგონოს აკადემიის“ ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. აი ეს ადგილიც: „კონტუშევი... 1867 წლის აგვისტოში ჩამოვიდა სარატოვიდან პეტერბურგში ყაზანის გიმნაზიის მოსწავლე ვიღაც ნიკოლაევთან ერთად, ისინი დასახლდნენ ნიკოლაევის ნაცნობთან — ვოსკრესენსკისთან, ვასილიევის კუნძულის მე-7 ხაზზე, სადაც ერთ ბინაში ვოსკრესენსკის გარდა ცხოვრობდნენ: თავადი ჩერქეზოვი, შჩერბაკოვი, სერგიევსკი, ჟიგმანოვსკი, ორფანოვი და კატინ-იარცევი. მათთან წრეში დადიოდა მრავალი ახალგაზრდა კაცი, დადიოდნენ აგრეთვე თმაშეკრეჭილი ქალიშვილები. ამ შეკრებების მიზანი და მათი მსჯელობის საგანი იყო ციმბირში გადასახლებული ჩერნიშევსკის განთავისუფლება. ვოსკრესენსკის განკარგულებაში მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები იყო; საიდან იღებდა იგი მათ — კონტუშევმა არ იცის...

1868 წლის თებერვალში ვოსკრესენსკიმ კონტუშევი და კატინიარცევი გაგზავნა სარატოვში, სადაც მათთვის შემდეგ 1000 მანეთი უნდა გადაეგზავნა იმ მიზნით, რომ ისინი წასულიყვნენ ციმბირში და გადაეცათ ეს ფული ჩერნიშევსკისათვის, მაგრამ ვოსკრესენსკიმ ეს აღარ შეასრულა...

თითქმის ყველა პირი, რომლებიც კონტუშევმა დაასახელა, ცნობილია III განყოფილებისათვის, ზოგი მათგანი როგორც 1866 წლის 4 აპრილს თავდასხმის საქმეში, სხვები კი — უკანასკნელ სტუდენტთა მღელვარებაში შემჩნეული“[1].

მესამე განყოფილების ამ მოხსენების საფუძველზე უმაღლესად დამტკიცებული კომისია, მეფის მითითებით, დაუყოვნებლივ შეუდგა კონტუშევისა და მისი თანამოაზრეების საქმის კვლევა-ძიებას. უკვე 26 ნოემბერს, ე. ი. ზემოხსენებული მოხსენების მიღების მეორე დღესვე, კომისია საგანგებო მიმართვას უგზავნის მესამე გან-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 430, л. 1-5.

ყოფილებას თხოვნით: მოძებნოს და შეატყობინოს, სად იმყოფებიან ვ. ჩერქეზიშვილი და მისი თანამოაზრენი.

ორი დღის შემდეგ, სახელდობრ 1869 წლის 28 ნოემბერს კომისია კვლავ უგზავნის მესამე განყოფილებას ამ საქმეზე მიმართვას, საიდანაც ჩანს, რომ იუსტიციის სამინისტროს საშუალებით კომისიას უკვე შეუმოწმებია კონტუშევის ჩვენების ერთი ნაწილი და დაუდგენია ის ფაქტი, რომ „სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლოს მიერ 8 თვის პატიმრობამისჯილნი: ვოსკრესენსკი, სერგიევსკი და თავადი ჩერქეზოვი, 1867 წლის აგვისტოში ცხოვრობდნენ ვასილიევის კუნძულის მე-7 ხაზზე, ერთ საერთო ბინაში და თანაც მრავალ სხვა პირთან ერთად“[1].

28 ნოემბრის მიმართვაში კომისია კვლავ დაჟინებით მოითხოვს მესამე განყოფილებისაგან, დაგვიზუსტეთ სად იმყოფებიან ამჟამად ზემოთ ხსენებული პირები და ისიც გვაცნობეთ, არის თუ არა მათზე დაწესებული პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობაო. იმავე 28 ნოემბერს ანალოგიური შინაარსის მიმართვა კომისიას გაუგზავნია აგრეთვე პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერისათვის[2].

30 ნოემბერს კომისიამ მეფეს წარუდგინა ვრცელი მოხსენება, სადაც ხაზგასმულია, რომ კონტუშევის ჩვენებებიდან „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ ის 1867 წლის აგვისტოში ჩამოვიდა პეტერბურგში, სადაც დასახლდა ზემოთ ხსენებულ ვოსკრესენსკისა და სერგიევსკისთან, აგრეთვე ჩერქეზოვთან[3] და სხვებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ ერთ ბინაზე, ვასილიევის კუნძულზე. მათთან თავს იყრიდა ბევრი მამაკაცი და თმაშეკრეჭილი ქალიშვილი, იმაზე მოსათათბირებლად თუ როგორ გაენთავისუფლებინათ კატორღიდან სახელმწიფო დამნაშავე ჩერნიშევსკი“[4].

მოხსენებაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ „ამ საქმის გამოძიებამ მიგვიყვანა ფრიად მნიშვნელოვან გარემოებათა გახსნამდე, რაც საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთმა ბოროტმოქმედმა

---

[1] იქვე, ფურც. 15.

[2] იქვე, ფურც. 17.

[3] ამ ადგილს მოხსენებას ახლავს შემდეგი შენიშვნა (სქოლიოში): «Приговором Верховного уголовного Суда, Черкезов был осужден к 8-ми месячному заключению в крепости».

[4] იქვე, ფურც. 25.

რუსეთის სამხრეთი აირჩია თავისი დანაშაულებრივი მოღვაწეობის ადგილად"[1].

ამასთან დაკავშირებით მოხსენების ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ სამხრეთში გაეგზავნათ კომისიის წევრი პერეიასლავცევი, რომელსაც ადგილზე უნდა შეესწავლა მდგომარეობა. მეფემ მოიწონა ეს აზრი და 1869 წლის დეკემბერში პერეიასლავცევი ოდესაში ჩავიდა. დაახლოებით იმავე ხანებში უმაღლესად დამტკიცებული კომისიის წინადადებით მესამე განყოფილებამ დაიწყო ამ საქმის კვლევა-ძიება ქ. სარატოვშიც, სადაც აგრეთვე აქტიურად მოქმედებდნენ „სმორგონის აკადემიასთან" დაკავშირებული რევოლუციონერები.

მაგრამ ვერც ოდესასა და სარატოვში და ვერც პეტერბურგში მეფის კომისიამ ვერ იპოვნა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მამხილებელი საბუთები და იმხანად ვერ მოახერხა სამართალში მიეცა ვოსკრესენსკი, სერგიევსკი, ჩერქეზიშვილი და მათი დანარჩენი თანამოაზრენი. მიუხედავად, ამისა, კომისიის მიერ შეგროვილი მასალები ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, რადგან ნათლად და აშკარად გვიჩვენებს ზემოთ ხსენებულ პირთა გაბედულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს საქმეში დაცული კონტუშევის ერთ-ერთი ჩვენება. ჩვენება ჩაწერილია კომისიის წევრ პერეიასლავცევის მიერ და გვამცნობს „სმორგონის აკადემიის" საქმიანობის ფრიად საინტერესო დეტალებს. ამ ჩვენებიდან სავსებით აშკარაა, რომ ვ. ჩერქეზიშვილი შედიოდა „სმორგონის აკადემიის" ხელმძღვანელ ბირთვში. კონტუშევი ამბობს: „ვოსკრესენსკი... ცხოვრობდა სრედნე-მეშჩანსკის ქუჩაზე თავად ჩერქეზოვთან, შჩერბაკოვთან, სერგიევსკისთან, ჟიგმანოვსკისთან და ორფანოვთან ერთად. ვოსკრესენსკისთან მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა დადიოდა, კითხულობდნენ ჩერნიშევსკის და ჩვეულებრივად კიდევაც ქეიფობდნენ, მსჯელობდნენ 4 აპრილის თავდასხმაზე, ზოგიერთები ლანძღავდნენ კარაკოზოვს, ზოგი კი მის მოქმედებაში იმ სარგებლობას ხედავდნენ, რომ ახალგაზრდობამ იმის ნაცვლად, რომ მარტო საკუთარ სარგებლობაზე ეზრუნა, იწყო საზოგადოებისათვის სასარგებლო გეგმების გამოჩენა. ასე იცხოვრეს მათ 3 კვირა, მერე გადავიდნენ ვასილიევის

---

[1] იქვე, ფურც. 23.

კუნძულის მე-7 ხაზზე იმ სახლში, რომელიც ლარინის გიმნაზიის პირდაპირ დგას; აქ იკრიბებოდნენ იგივე პირები და იმგვარადვე ატარებდნენ დროს. ხამხედროებიდან იყო ხოლმე ოფიცერი ბობორიკოვი და მისი მეუღლე, დადიოდნენ ხოლმე ქალები, მეტწილად ახალგაზრდები, თმაშეკრეჭილები, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საერთო კითხვასა და ქეიფობაში. ყველაზე ახლოს ერთმანეთთან იყვნენ ვოსკრესენსკი, სერგიევსკი, ჟიგმანოვსკი და თავ. ჩერქეზოვი... ნამდვილი მიზანი ყველა ამ შეკრებისა ჩერნიშევსკის განთავისუფლება იყო"[1].

ამას გარდა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე საქმეში დაცული პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერის მოხსენება, რომელიც ამ უკანასკნელს კომისიისათვის წარუდგენია 1869 წლის 13 დეკემბერს. ამ მოხსენებიდან ირკვევა, რომ პოლიციას მთელი ორი წლის განმავლობაში საიდუმლო მეთვალყურეობა ჰქონია დაწესებული ჩერქეზიშვილსა და მის მეგობრებზე — ვოსკრესენსკისა და სერგიევსკიზე, რომლებიც ერთად იხდიდნენ სასჯელს მეფეზე თავდასხმისათვის მზადებაში მონაწილეობისათვის და ერთადვე განაგრძობდნენ რევოლუციურ მუშაობას პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ. მოხსენებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ 1868 წლის ბოლოს ვ. ჩერქეზიშვილი კავკასიაში წამოსულა, მაგრამ პოლიციას საიდუმლო მეთვალყურეობა მასზე აქაც გაუგრძელებია. „თავადი ვარლამ ჩერქეზოვი, — ნაოქვამია ობერპოლიცმეისტერის მოხსენებაში, — თბილისის გუბერნიის მკვიდრი, 1868 წ. 27 დეკემბერს აღინიშნა როგორც კავკასიაში წასული... ვოსკრესენსკი, სერგიევსკი და თავადი ჩერქეზოვი, როცა ისინი ს. პეტერბურგის ციხიდან გაანთავისუფლეს, დაქვემდებარებული იყვნენ... საიდუმლო პოლიციურ ზედამხედველობას, რაც დღემდე გრძელდება: ვოსკრესენსკისადმი — პეტერბურგში, სერგიევსკისადმი — ოდესაში, ხოლო ჩერქეზოვისადმი ზედამხედველობის გაგრძელებას მე ვთხოვე თბილისის გუბერნატორს 1869 წ. 11 იანვრის № 166 მიმართვით"[2].

დაბოლოს ყურადღებას იპყრობს საქმეში დაცული ზოგიერთი ცნობა იმ სტუდენტებისა და ახალგაზრდა რევოლუციონერების შესახებ, რომლებიც ვოსკრესენსკის, სერგიევსკისა და ჩერქეზიშვი-

---

[1] იქვე, ფურც. 77-78.
[2] იქვე, ფურც. 56-57.

ლის ირგვლივ (ე. ი. „სმორგონის აკადემიაში“) იყრიდა თავს. კომისიის ერთ-ერთ (1869 წ. 20 დეკემბრის) დოკუმენტში ნათქვამია: „პეტერბურგში მოხდენილი საიდუმლო გამოძიებით გამორკვეულია, რომ კონტუშევის მიერ მითითებული პირები ნამდვილად ცხოვრობდნენ 1867 წ. ვასილიევის კუნძულზე, მასთან ერთ ბინაში, და რომ მათთან იკრიბებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, აგრეთვე კოლაჩევსკაია, კოზლოვსკაია და ცნობილი ნიჰილისტი ქალი ზასულიჩი“[1].

სხვა ადგილას ნახსენებია ჩვენთვის უკვე ცნობილი ეკატერინე სოლოდოვნიკოვა, რომელსაც აქტიური მიწერ-მოწერა ჰქონია კარაკოზოვის გასროლასთან დაკავშირებით დასჯილ ა. მაკოვეევთან. ამ უკანასკნელის შესახებ კი დოკუმენტში ნათქვამია: „მაკოვეევი დაუახლოვდა ზოგიერთ ხსენებულ პირს და ესწრებოდა ეგრეთწოდებული ნიჰილისტების შეკრებებს (კომუნებს)“[2].

საქმიდან არ ჩანს, იყვნენ თუ არა ქართველები იმ სტუდენტთა შორის, რომლებიც სისტემატიურად დადიოდნენ „სმორგონის აკადემიაში“, მაგრამ თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ვ. ჩერქეზიშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველ სტუდენტთა საიდუმლო სალაროს წევრებთან და ერთხანს თვითონაც ამ სალაროს წევრი იყო, აგრეთვე თუ გავიხსენებთ ნიკოლოზ ყიფიანის ახლო ურთიერთობას არა მარტო ვ. ჩერქეზიშვილთან, არამედ სოლოდოვნიკოვასთანაც, ცხადი გახდება, რომ ქართველი სტუდენტები „სმორგონის“ ხშირი სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ. არც ის გარემოებაა გამორიცხული, რომ დავით ყიფიანის (ხოლო ცოტა უფრო გვიან კირილე ლორთქიფანიძის) გამგზავრება ოდესაში სწორედ 1869—1870 წლების ზამთარში, როცა იქ კონტუშევის საქმის გამოსაძიებლად უმაღლესი გამომძიები კომისიის წევრი პერეიასლაველი იმყოფებოდა, შესაძლოა დაკავშირებული იყო „სმორგონის აკადემიის“ რევოლუციურ საქმიანობასთან.

როგორც უკვე ითქვა, „სმორგონის აკადემიამ“ ვერ შესძლო მთავრობის საწინააღმდეგო დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიებების გატარება, მაგრამ მან უდავოდ ხელი შეუწყო ახალ-

---

[1] იქვე, ფ. 60; აქ ნახსენები „ზასულიჩი“, როგორც ჩანს, ცნობილი რევოლუციონერი ქალი ვერა ზასულიჩია.

[2] იქვე, ფურც., 68.

გაზრდობაში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებას და მოამზადა რევოლუციონერთა აქტიური კადრები, ერთი მხრივ, სტუდენტთა 1869 წლის მღელვარებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ნეჩაეველთა ორგანიზაციისათვის.

კონტუშევისა და მასთან დაკავშირებული „სმორგონის აკადემიის“ მოღვაწეთა საქმის გამოძიება არც კი იყო დამთავრებული, რომ უმაღლესად დამტკიცებული გამომძიები კომისია იძულებული გახდა დაეწყო ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რევოლუციური ორგანიზაციის, სახელდობრ ნეჩაეველთა „ნაროდნაია რასპრავას“ მონაწილეთა საქმის გამოძიება. ამ საქმის კვლევა-ძიების პროცესში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ვ. ჩერქეზიშვილის აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა.

მესამე განყოფილების არქივში დაცულია საყურადღებო საქმე — „უწესრიგობისა და კანონის საწინააღმდეგო კრებების და ყრილობების შესახებ სამიწათმოქმედო ინსტიტუტში“, რომელშიც მოიპოვება ჩვენთვის საინტერესო ცნობები. უპირველეს ყოვლისა ირკვევა, რომ ხსენებული ინსტიტუტის სტუდენტთა მღელვარებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია მეორე კურსის სტუდენტს — ალექსანდრე ივანეს ძე ბაქრაძეს, რომელსაც თბილისის გიმნაზია დაუმთავრებია და პეტერბურგში 1869 წელს ჩასულა[1].

შემდეგ, იმავე საქმიდან ირკვევა, რომ სტუდენტთა კანონსაწინააღმდეგო შეკრებებში და, მაშასადამე, სტუდენტთა მღელვარების მომზადებაში მონაწილეობა მიუღია აგრეთვე გამოჩენილ ქართველ ფიზიოლოგს ივანე რამაზის ძე თარხნიშვილს, რომელსაც იმ დროს ახლად დამთავრებული ჰქონდა უმაღლესი სასწავლებელი. საქმეში მოიპოვება საყურადღებო მიწერ-მოწერა ივ. თარხნიშვილის უმაღლესად დამტკიცებულ კომისიაში გამოძახების შესახებ და მისი საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენება, საიდანაც სრულიად გარკვევით ჩანს თარხნიშვილის მონაწილეობა სტუდენტთა მღელვარების მომზადებაში[2].

და ბოლოს, ზემოთ ხსენებულ საქმეში მოიპოვება იმდროინდელი რუსეთის ყველაზე გამოჩენილ და მთავრობისათვის საშიშ რე-

---

[1] დაწვრილებით ალ. ბაქრაძის რევოლუციურ საქმიანობაზე იხ. ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 434. ч. II, л. 122-123, 289, 290.

[2] იხ. იქვე, ფურცლები 56, 59, 76-78.

ვოლუციონერთა სია, რომელთა საქმეს საგანგებოდ იკვლევდა სენატორი ჩემადუროვი. ამ სიაში, რომელიც შედგენილია 1870 წ. 1-ლ დეკემბერს, სულ 147 კაცია, მათ შორის მე-47 ნომრად ჩანიშნულია „ვარლამ ჩერქეზიშვილი", რომელსაც გვერდზე მიწერილი აქვს: „დაპატიმრებულია"[1]. სხვა საქმეებიდან ირკვევა, რომ სულ მალე ვ. ჩერქეზიშვილი გაუსამართლებიათ და ციმბირში გადაუსახლებიათ, საიდანაც მოუხერხებია ევროპაში გაქცევა.

რუსულ ისტორიოგრაფიაში ნეჩაეველების, — მათ შორის ვ. ჩერქეზიშვილის, — გასამართლებისა და დასჯის ისტორია დიდი ხანია შესწავლილი და გაშუქებულია[2], მაგრამ ქართულად ამ საკითხზე თითქმის არაფერი მოგვეპოვება; ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, მოკლედ მაინც მოვუთხროთ მკითხველს, რა პირობებში დააპატიმრეს და გაასამართლეს ვ. ჩერქეზიშვილი, რა ხასიათის ბრალდებები წაუყენეს, როგორი იყო მისი დამოკიდებულება ს. ნეჩაევთან და როგორ მოახერხა მან ციმბირიდან გამოქცევა.

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც მთავრობამ ჩაახშო პეტერბურგის სტუდენტთა 1869 წლის მოძრაობა და აქტიურ სტუდენტებთან ერთად ნეჩაევის მიმდევართა უმრავლესობაც დააპატიმრა, ნეჩაეველთა მოქმედების ცენტრმა პეტერბურგიდან მოსკოვში გადაინაცვლა. 1869 წლის შემოდგომაზე ნეჩაევი, როგორც უკვე ითქვა, დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და ენერგიულად შეუდგა თავისი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნას მოსკოვში. სწორედ ამ დროს დატოვა პეტერბურგი და მოსკოვს მიაშურა ვ. ჩერქეზიშვილმაც.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1869 წლის ნოემბრის ბოლოს ვ. ჩერქეზიშვილს მოსკოვში ალექსეევის სახელზე დაუქირავებია ბინა, რომელიც ნეჩაეველთა რევოლუციური ორგანიზაციის წევრთა საიდუმლო შეხვედრების ადგილი ყოფილა[3]. იმავე მასალებიდან ჩანს, რომ თვითონ ჩერქეზიშვილი არალეგალურად ცხოვრობდა ვიღაც პეტროვას სახლში, რომელშიც აგრეთვე ხდებოდა რევოლუციონერთა საიდუმლო კრებები[4].

---

[1] იქვე, ფ. 107.

[2] მაგალითად, იხ. მასალების კრებული. Нечаев и нечаевцы, 1931 წ., ბ. კოზმინის რედაქციით.

[3] Нечаев и нечаевцы, стр. 41-42.

[4] იქვე, გვ. 41.

მესამე განყოფილების არქივში ინახება სპეციალური ჟურნალი, რომელშიც დაწვრილებითი ცნობები მოიპოვება ნეჩაეველთა საქმის გამოძიების პროცესზე. ამ ჟურნალის 1869 წლის 28 დეკემბრის ჩანაწერიდან ჩანს, რომ ჟანდარმერიას მიუგნია ნეჩაევის უახლოესი თანამებრძოლების ნიკოლაევისა და ჩერქეზიშვილის კვალისათვის და დაუყოვნებლივ მიუღია ზომები მათ დასაპატიმრებლად. აი, ეს საინტერესო ჩანაწერიც:

„28 დეკემბერი... ა. მისმა ბრწყინვალებამ ბატონმა ჟანდარმთ: შეფმა მოსკოვში გენერალ სლეზკინის სახელზე გაგზავნა შემდეკი დეპეშები:

„... ბ) ეს-ესაა მივიღეთ ფრიად სანდო ცნობა რომ ნიკოლაევი და ჩერქეზოვი იმალებიან რაზგულიაეში პეტროვის სახლში არ დაკარგოთ არც ერთი წუთი შემოარტყით ალყა სახლს დააპატიმრეთ ორთავენი მოახდინეთ ბინის უმკაცრესი ჩხრეკა შესაძლოა სხვისი სახელით და გვარით იმალებიან თქვენს ყურადღებას მივაქცევ მათი დაპატიმრების დიდ მნიშვნელობაზე თუ დეპეშა დღისით მიიღოთ გაჩხრეკამდე შეამოწმეთ შინ არიან თუ არა დამნაშავენი თუ შინ არ იყვნენ გადასდეთ საღამომდე“[1].

ჟანდარმათა შეფის ბრძანება, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული და მეორე დღესვე ვ. ჩერქეზიშვილი დააპატიმრეს. დაიწყო მისი საქმის გამოძიება.

მესამე განყოფილების ზემოთ ხსენებულ ჟურნალში ვ. ჩერქეზიშვილის შესახებ მოიპოვება სხვა ჩანაწერიც, საიდანაც ჩანს, თუ რა დიდმნიშვნელობას ანიჭებდნენ გამომძიებლები მის როლს ნეჩაეველთა საქმეში. გავეცნოთ ამ ჩანაწერსაც: „15 იანვარი... 7. გენერალ სლეზკინს დეპეშით ეცნობა დაუყოვნებლივ გადმოგზავნოს ჩერქეზოვის ყველა ქაღალდი რადგანაც ბატონ პროკურორის განცხადებით მათში უნდა იყოს საქმისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ბარათი, რომელშიაც ტულის გუბერნიის ზოგიერთი გლეხის სახელი და გვარია მოხსენიებული“[2].

გამოძიების მასალებშიც არა ერთი საბუთი მოიპოვება, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ ვ. ჩერქეზიშვილის აქტიური რევოლუციური მოღვაწეობის ფაქტს. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს.

---

[1] ЦГИАМ, ф. III О, 3 экс., д. 115, часть 24-ая, л. 52-53

[2] იქვე, ფ. 91.

ბრალდებული ალექსი დე ტეილსი აღიარებს, რომ მას პირველად ვ. ჩერქეზიშვილმა მისცა წინადადება, შესულიყო არალეგალურ ორგანიზაციაში; იმავე ჩერქეზიშვილს მიუცია მისთვის შესანახად რაღაც დიდმნიშვნელოვანი შინაარსის საიდუმლო პაკეტები, რომელთა დანიშნულებას დე ტეილსი კომისიას არ უმხელს[1]. გამოძიების მასალებიდან ჩანს, რომ ანალოგიური საიდუმლო პაკეტები ჩერქეზიშვილს გადაუცია აგრეთვე მეორე ბრალდებულისათვის, სახელდობრ პორუჩიკ ბობორიკოვისათვის[2]. ჩვენ არ ვიცით, რა შინაარსის ან რა დანიშნულების იყო ეს პაკეტები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გამომძიები კომისიის წევრები მათ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და დაჟინებით ცდილობდნენ მათ პოვნას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქმე ეხება რევოლუციური ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს.

ვ. ჩერქეზიშვილის აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობაზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს აგრეთვე ნეჩაეველების ვ. სმირნოვისა და ფ. რიპმანის ჩვენებები[3]. ეს უკანასკნელი თბილისის გიმნაზიის აღზრდილია, შემდეგ პეტროვსკის აკადემიაში უსწავლია და, როგორც ჩანს, იქ დაახლოვებია ვ. ჩერქეზიშვილს.

გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ ვ. ჩერქეზიშვილი ძალიან დამეგობრებული ყოფილა ნეჩაევთან და ამ უკანასკნელის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნეჩაევის საზღვარგარეთ გაქცევისას ჩერქეზიშვილს მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩხრეკის დროს ვ. ჩერქეზიშვილს უპოვეს ტულის გუბერნიის იმ გლეხების სია, რომლებიც რევოლუციურ იდეებს იზიარებდნენ. ეს ფაქტი მოწმობს აქტიური ნეჩაეველების, კერძოდ კი ვ. ჩერქეზიშვილს რეალურ ცდებს დაკავშირებოდნენ გლეხობას და გაეფართოებიათ რევოლუციური მოძრაობის ფრონტი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვ. ჩერქეზიშვილს ნეჩაეველთა საიდუმლო ორგანიზაციის სალაროში მნიშვნელოვანი თანხა (200 მანეთამდე) შეუტანია. თუ აქ იმ ფაქტსაც გავიხსენებთ, რომ ამაზე

---

[1] იქვე, გვ. 78.
[2] იქვე, გვ. 80, 81.
[3] Нечаев и нечаевцы, стр. 94-95; 114-116.

ადრე ვ. ჩერქეზიშვილმა ენერგიული მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთ რევოლუციონერ ივ. ბოჩკარიოვის გაგზავნის მოწყობაში და მას გარკვეული თანხა გაატანა ჟენევაში ჩერნიშევსკის ნაწერების გამოსაცემად, საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგება ვ. ჩერქეზიშვილის დაუღალავი და უანგარო რევოლუციური მოღვაწეობა.

განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელშიც თითქმის ამომწურავად არის ჩამოყალიბებული ვ. ჩერქეზიშვილის როლი ნეჩაეველთა ორგანიზაციაში, წარმოადგენს იუსტიციის მინისტრის საგანგებო მოხსენება ნეჩაეველთა საქმეზე, რომელიც 194 გვერდისაგან შედგება. ამ მოხსენებაში, რომელიც მესამე განყოფილების არქივში ინახება, დაწვრილებით არის გადმოცემული ნეჩაევისა და მისი ჯგუფის რევოლუციური საქმიანობის მთელი ისტორია. მოხსენების შესავალ ნაწილში სხვათა შორის ნათქვამია: ს. ნეჩაევი საზღვარგარეთიდან მოსკოვში ჩამოსვლისას უშუალოდ დაუკავშირდა რამდენიმე ცნობილ რევოლუციონერს, მათ შორის ვ. ჩერქეზიშვილს და მათგან შექმნა საიდუმლო საზოგადოებაო[1]. შემდეგ ლაპარაკია ნეჩაეველთა საქმიანობის მრავალრიცხოვან კონკრეტულ ფაქტებზე. მოხსენების დასკვნით ნაწილში კი იუსტიციის მინისტრი მოკლედ აყალიბებს თვითეული ბრალდებულის დანაშაულს, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ნეჩაეველთა გასამართლებას. ვ. ჩერქეზიშვილის ბრალდებებს მოხსენების ავტორი შემდეგნაირად აყალიბებს:

„36. კერძო ინჟინერმა თავადმა ვარლამ ჩერქეზოვმა, 23 წლისამ, აგრეთვე აღიარა, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში, ამასთან განმარტა, რომ იგი სავსებით თანაუგრძნობს არსებული წეს-წყობილების დამხობის მისწრაფებებს, რადგან მთავრობა ხელს უშლის ახალგაზრდობის განათლებას, მდიდრები ექსპლოატაციას უწევენ ღარიბებს და არ არის პრესის თავისუფლება. ჩერქეზოვმა საიდუმლო საზოგადოებაში ჩაიბა ალექსანდროვსკაია, ბობორიკოვი, დეტაილსი, მნიშვნელოვანი თანხა (დაახლოებით 200 მანეთი) შეიტანა საზოგადოების სალაროში; მას განსაკუთრებით ახლო მეგობრობა ჰქონდა ნეჩაევთან და მოეხმარა მას, რომ დაეთანხმებია ალექსანდროვსკაია გაქცეულიყო მასთან ერთად საზღვარგარეთ. დაბოლოს, ჩერქეზოვსვე უპოვეს ნაგლეჯი ნეჩაევის მიერ კოპენჰაგენიდან 21

[1] ЦГИАМ, ф. III О, 3 эксп. опись 154, д. 115, л. 9.

დეკემბერს გამოგზავნილი დეპეშისა, რომელშიც ის საზღვარზე მშვიდობით გადასვლას იტყობინებოდა, და, ამას გარდა, უპოვეს სია ტულის გუბერნიის გლეხებისა და სხვა პირებისა, რომლებიც თითქოს მზად იყვნენ მიეღოთ რევოლუციის დანაშაულებრივი იდეები"[1].

აქედან ცხადია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო უაღრესად აქტიური, ენერგიული და უშიშარი რევოლუციონერი, რომელიც ცარიზმის მრისხანე ჟანდარმების წინაშეც არ შედრკა და გაბედულად ჩამოაყალიბა თავისი რევოლუციური მრწამსი.

თვითმპყრობელობამ მკაცრად დასაჯა აქტიური ნეჩაეველები, მათ შორს ვ. ჩერქეზიშვილი. სასამართლო პროცესი დაიწყო 1871 წელს 1-ლ ივლისს და თვეზე მეტ ხანს გასტანა. 6 აგვისტოს გამოაცხადეს განაჩენი. ვ. ჩერქეზიშვილს მიუსაჯეს ყოველგვარი უფლებების ჩამორთმევა და ხანგრძლივი ვადით ციმბირში გადასახლება.

აღსანიშნავია, რომ მკაცრმა სასჯელმაც ვერ გასტეხა ეს შეუდრეკელი რევოლუციონერი და პატიმრობაში ყოფნის დროსაც კი იგი განაგრძობდა ბრძოლას მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ერთ სანდო წყაროში ნათქვამია, ჩერქეზიშვილი, როცა ის გასამართლების შემდეგ გადასასახლებელ დამნაშავეთა საგანგებო ციხეში იმყოფებოდა, პატიმართა შორის ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდასო[2].

1871 წლის 13 დეკემბერს ვ. ჩერქეზიშვილი ეტაპით გაგზავნეს ციმბირში, ქ. ტიუმენში, ხოლო 1873 წლის 28 ნოემბერს გადაასახლეს ქ. ტომსკში, სადაც დაახლოებით კიდევ ორ წელიწადს იხდიდა სასჯელს, 1876 წლის 20 იანვარს კი მოახერხა ციმბირიდან ევროპაში გაქცევა.

ციმბირში ჩერქეზიშვილის ყოფნისა და შემდეგ კი ევროპაში გაქცევის ისტორია, აგრეთვე ის ზომები, რასაც მეფის მთავრობა იღებდა მის შესაპყრობად, დაწვრილებით არის აღნუსხული მესამე განყოფილების საქმეებში. ეს მასალა, ჩვენი ფიქრით, საუკეთესო ილუსტრაციაა, ერთი მხრივ, მაშინდელ რევოლუციონერთა სიმტკიცისა და შეუპოვრობისა, ხოლო, მეორე მხრივ, ცარიზმის დამსჯელი ორგანოების სისუსტისა და უძლურებისა. ზედმეტი არ იქნება მოკლედ მაინც გავეცნოთ მას.

---

[1]. იქვე, ფ. 27.

[2] Деятели революционного движения в России, т. 1.

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ნეჩაეველთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი მოღვაწეების გადასახლებას შეეხება, მოიპოვება შემდეგი ცნობა:

„მოხსენდა მის უდიდებულესობას.

1876 წ. 7 მარტს.

შეკითხვაზე, რომელიც დეპეშით გაეგზავნა ტომსკის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ნეჩაევის საქმის გამო გადასახლებულ (ყოფილ თავად) ჩერქეზოვზე, პოლკოვნიკმა ვილმა გვიპასუხა: „გადასახლებული ჩერქეზოვი მიიმალა; დაწვრილებით ფოსტით"[1].

ამ ცნობას ფანქრით (როგორც ჩანს, ჟანდარმთა შეფის ხელით) აწერია: „გაზეთ „ვპერიოდში" წერენ, ჩერქეზოვი ლონდონშიაო".

ამ ცნობას მოსდევს პოლკოვნიკ ვილის ვრცელი მოხსენებითი ბარათი მესამე განყოფილების მმართველის სახელზე,[2] რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი ქ. ტომსკში ვ. ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და საქმიანობის, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ გაქცევის ისტორია. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ტომსკში ვ. ჩერქეზიშვილი, თავისი მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად ერთხანს მდიდარი ადგილობრივი ვაჭრის, გვარად ფედოროვის ოჯახს დაახლოვებია და მისი ბავშვების მასწავლებლობა უკისრია, მაგრამ შემდეგ ფედოროვთან უთანხმოება მოსვლია და ულუკმაპუროდ დარჩენილა. გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩერქეზიშვილს იშვიათი მხნეობა და მოხერხებულობა გამოუჩენია; მას 1875 წლის ივლისში ვიღაც ახალგაზრდა ვაჭარ პეტროვისაგან ერთი წლის ვადით იჯარით აუღია სანთლის ქარხანა, მოუძებნია და შეუამხანაგებია ტომსკის გუბერნიაში გადასახლებული ორი ქართველი თანამემამულე, სახელდობრ სალუქ ფოცხვერაშვილი და სპირიდონ გრიგოლის ძე აღნიაშვილი და მათთან ერთად შედგომია სანთლების წარმოებას. ამ გზით ვ. ჩერქეზიშვილს უშოვნია საკმაო რაოდენობის ფული და შედგომია მზადებას საზღვარგარეთ გასაქცევად.

1876 წლის 24 იანვარს ვ. ჩერქეზიშვილს შეუჩერებია სანთლის წარმოება და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის გამოუცხადებია, მივემგზავრები ქ. სემიპალატინსკში ქარხნისათვის საჭირო ნედლეულის (ქონის) შესაძენადო. სინამდვილეში ამ დროს მას უკვე

---

[1] ЦГИАМ, ф. III О, 3 экс. опись 154, д. 114, ч. 20, л. 121.

[2] იქვე, ფურც. 122-124.

ჯიბეში ედო პასპორტი (ვინმე ალექსი კადიშნიკოვის სახელზე) და ყველაფერი მომზადებული ჰქონდა საზღვარგარეთ წასასვლელად. როგორც ჩანს, მისმა მეგობრებმა ფოცხვერაშვილმა და აღნიაშვილმა იცოდნენ მისი განზრახვა და კიდევაც ეხმარებოდნენ მას. ეს მტკიცდება თუნდაც იქიდან, რომ ტომსკიდან ვ. ჩერქეზიშვილის წასვლისთანავე, როგორც პოლკოვნიკი ვილი ამბობს, მათაც მიუტოვებიათ ქარხანა და გაპარულან „გამოურკვეველი მიმართულებით".[1]

საზღვარგარეთ მიმავალმა ვ. ჩერქეზიშვილმა 6 თებერვალს ქ. სიზრანსკში ფოსტაში ჩააგდო წერილი, რომლითაც ატყობინებდა ქარხნის პატრონს პეტროვს, რომ ის საზღვარგარეთ მიემგზავრება. ამ უკანასკნელმა წერილი მიღებისთანავე (27 თებერვალს) წარუდგინა პოლიციას, მაგრამ უკვე გვიანი იყო, სულ მალე ვ. ჩერქეზიშვილმა ლონდონში ამოჰყო თავი.

თვალსაჩინო რევოლუციონერის ციმბირიდან ევროპაში გაქცევის ფაქტმა დიდი შეშფოთება და დაბნეულობა გამოიწვია მეფის ხელისუფლების უმაღლეს სფეროებში. გაიმართა საიდუმლო მიწერ-მოწერა და დაიწყო ფიცხელი კვლევა-ძიება იმისა, თუ როგორ მოახერხა „სახელმწიფო დამნაშავემ" ციმბირიდან გაქცევა, ვინ მისცა პასპორტი და ა. შ. მთავრობის დამსჯელი ორგანოების ამ საიდუმლო მიწერ-მოწერიდან ირკვევა ვ. ჩერქეზიშვილის საზღვარგარეთ გაქცევის ზოგიერთი საინტერესო დეტალი, კერძოდ ირკვევა, რომ ტომსკში ნაშოვნი პასპორტით ვ. ჩერქეზიშვილი ჯერ მოსკოვში ჩასულა, იქ შეხვედრია თავის მეგობრებს (ალბათ რევოლუციონერებს) და მათი საშუალებით უშოვნია საზღვარგარეთის პასპორტი, რომელიც საზღვარზე გასვლის შემდეგ უკანვე, მოსკოვში გადმოუგზავნია. აი, რა არის ამაზე ნათქვამი მესამე განყოფილების ერთ ცნობაში: „ვენელი აგენტი 1/13 ივნისს გვატყობინებს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ბერნში გამოჩნდა ვინმე ჩერქეზოვი, რომელიც თითქოს გამოიქცა ტომსკიდან, სადაც გადასახლებული იყო ნეჩაევის საქმეში მონაწილეობისათვის. მას ჰქონდა პასპორტი თუ ლეგიტიმაციური მოწმობა, გაცემული ტომსკის პოლიციის მიერ მალგუდოვიჩის სახელზე.[2] ამ მოწმობით ჩერქეზოვი ჩავიდა მოსკოვში, სადაც ნაცნობები-

---

[1] იქვე, 124.

[2] პოლკოვნიკ ვილის ცნობით კი ჩერქეზიშვილს პასპორტი ჰქონდა არა მალგუდოვიჩის, არამედ კადიშნიკოვის სახელზე; შესაძლოა აგენტს შეცდომა მოუვიდა, ან იქნებ ჩერქეზიშვილს ორი პასპორტიც ჰქონდა.

საგან მიიღო საზღვარგარეთული პასპორტი, რომლითაც რუსეთიდან წავიდა. ეს უკანასკნელი პასპორტი ჩერქეზოვმა, საზღვარგარეთ რომ ჩავიდა, უკანვე, მოსკოვში გამოგზავნა".

1877 წლის ზაფხულში დასავლეთის საზღვარზე ჟანდარმებმა დააპატიმრეს რუსეთის არმიის პორუჩიკი ზაქარია ნეპეიცევი, რომელიც წინათ გაპარული იყო საზღვარგარეთ და ახლა უკანვე ბრუნდებოდა. დაკითხვაზე ნეპეიცევმა აჩვენა, შვეიცარიაში გავეცანი ემიგრაციაში მყოფ რუს რევოლუციონერებს, მათ შორის ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელსაც ამჟამად განზრახული აქვს არალეგალურად დაბრუნდეს რუსეთშიო. აი სათანადო ადგილი ნეპეიცევის ჩვენებიდან: „საზღვარგარეთ მე მეტწილად მოხეტიალე ცხოვრებას ვეწეოდი, ერთი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდი, ვიყავი სამხრეთ გერმანიაში, ჩრდილოეთ ავსტრიაში და ბოლოს ვინახულე შვეიცარია, სადაც ქ. ლინდაუში შევხვდი ბევრ რუს ემიგრანტს, რომელთა უმრავლესობა, როგორც თვითონ ამბობდნენ, პოლიტიკური დამნაშავენი იყვნენ; მათ შორის იყო პიროვნება, რომელიც თავის თავს თავად ჩერქეზოვს უწოდებდა. მან მითხრა, გადასახლებული ვიყავი ციმბირში კარაკოზოვის[1] საქმის გამოო, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მივიღე, დაახლოებით 2 წლის წინათ მოვახერხე გადასახლებიდან გამოქცევა და საზღვარგარეთ ჩასვლაო. ჩერქეზოვმა, სხვათა შორის, მითხრა, რომ ამჟამად ის არის აღმზრდელად ერთი მოსკოველი ვაჭრის ცოლთან (გვარი არ მახსოვს), რომელსაც 6 წლის გოგონა ჰყავს, მას განზრახული აქვს ამ ვაჭრის ცოლთან ერთად აუცილებლად წავიდეს მოსკოვში ამ ერთ-ნახევარ კვირაში სხვისი გვარით"[2].

ამ ცნობამ პირდაპირ ააფორიაქა ცარიზმის მთელი პოლიციისა და ჟანდარმერიის აპარატი. ჟანდარმთა შეფმა, რომელსაც დაუყოვნებლივ ეცნობა ვ. ჩერქეზიშვილის განზრახვა, განკარგულება გასცა მიეღოთ სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები მის შესაპყრობად. 1877 წლის პირველ აგვისტოს მესამე განყოფილებამ ფიცხელი განკარგულება გაუგზავნა დასავლეთის საზღვრის ჟანდარმთა ოლქების უფროსებს იმის შესახებ, რომ დაეპატიმრებინათ ვ. ჩერქეზიშვილი, როგორც კი იგი საზღვარზე გადმოვიდოდა. მიმართვაში, რომელიც გაეგზავნა ვარშავის, ბესარაბიის, ფინლანდიის, კოვნოს და სხვ.

[1] შეცდომაა, უნდა იყოს „ნეჩაევის საქმის გამო"; — პ. რ.

[2] იქვე, ფ. 145

ოლქების უფროსებს, კერძოდ ნათქვამი იყო: „ციმბირიდან საზღვარგარეთ გაქცეულ, ნეჩაევის საქმის გამო მსჯავრდებულ დამნაშავეს (ყოფილ თავადს) ვარლამ ნიკოლოზის ძე[1] ჩერქეზოვს განზრახული აქვს დაბრუნდეს რუსეთში სხვისი გვარით, როგორც აღმზრდელი რომელიღაც მოსკოველი ვაჭრის ცოლთან, რომელსაც გოგონა ჰყავს...

მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმ-ბას გასცეთ განკარგულება ჩერქეზოვის დაპატიმრებისა და გადმოგზავნისა მისი იმპ. უდ. საკუთ. კანცელარიის III განყოფილებაში"[2].

ამ ბრძანების მიღებისთანავე დაფაცურდნენ პოლიციისა და ჟანდარმერიის მოხელენი, შეკრეს გზები, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილებში გაგზავნეს საიდუმლო აგენტები, დააგეს მახეები, მაგრამ გამოცდილი რევოლუციონერის შეპყრობა ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. თუ რა სერიოზულ სიძნელეებს აწყდებოდნენ ჟანდარმები რუსეთის მთელი დასავლეთ საზღვრის უზარმაზარ ტერიტორიაზე საიმედო კონტროლის დაწესებაში, ამას მოწმობს ფინლანდიის ჟანდარმთა სამმართველოს მიწერ-მოწერა მესამე განყოფილებასთან. ფინლანდიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი საგანგებო მიმართვით ატყობინებდა ჟანდარმთა შეფს, რომ ჩრდილოეთის საზღვარი შვეციასთან ადგილის თავისებურებისა და სათანადო სახსრების უქონლობის გამო არ არის საიმედოდ გამაგრებული და რომ ამის გამო უაზრო იქნება იქ ჟანდარმთა ოფიცრების გაგზავნა ვ. ჩერქეზიშვილის შესაპყრობად. მესამე განყოფილება იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ წინადადებას და ფინლანდიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს შემდეგი პასუხი გაუგზავნა:

„6/18 სექტემბრის თარიღით გამოგზავნილ № 153 მომართვის გამო, მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს აღმ-ბას, რომ თქვენს მიერ დასახელებული შვეციასთან ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრის ადგილ-

---

[1] აქ და ზოგიერთ სხვა საბუთში ვ. ჩერქეზიშვილი იხსენიება „ნიკოლოზის ძედ", საბუთების უმრავლესობაში კი — „ჯან-ასლანის ძედ", ბიო-ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში „Деятели рев. движения в России" მისი მამის ორივე ზემოხსენებული სახელია შეტანილი, ოღონდ „ჯან-ასლანი" ფრჩხილებშია ჩასმული. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ვ. ჩერქეზიშვილის მამის ნამდვილი სახელი ნიკოლოზი ყოფილა, ხოლო „ჯან-ასლანი" მისი შერქმეული სახელი უნდა იყოს.

[2] ЦГИАМ, ф. 109, 3 экс., д. 115, ч. 20, л. 147.

მდებარეობის არახელსაყრელი პირობების გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ არ მოიპოვება საშუალებები იქ მეთვალყურეობისა და პროპაგანდისტ ჩერქეზოვის შესაპყრობად, არაა აუცილებელი ტორპოში ჟანდარმთა მოხელეების მივლინება და საკმარისი იქნება დავკმაყოფილდეთ ამ მიზნით თქვენს მიერ უკვე მიღებული ზომებით, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს ზომები ზუსტად იქნას შესრულებული".[1]

აქედან ჩანს, რომ ცარიზმის უზარმაზარი პოლიციური სახელმწიფოს აპარატიც კი ზოგჯერ უძლური იყო ხელი შეეშალა რევოლუციონერთა საქმიანობისათვის. როგორადაც არ ეცადნენ ჟანდარმები, მათ ვერ მოახერხეს იმჟამად შეეპყროთ ვ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც ევროპაში ჩასვლისთანავე აქტიური მუშაობა გააჩაღა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის არ იქნება ინტერესს მოკლებული ვარლამ ჩერქეზიშვილის გარეგნობის აღწერა, რომელიც ჟანდარმერიას ზემოთ ხსენებული ზაქარია ნეპეიცევის ჩვენების საფუძველზე შეუდგენია; აი, ეს აღწერაც: „ჩერქეზოვის ნიშნები შემდეგია: დაახლოებით 30 წლისაა, საშუალო ტანისა, თვალები წაბლის ფერი, თმები თავზე შავი და შეთხელებული, ატარებს პატარა წვერს და ულვაშებს, ცხვირი ზომიერი, სახეზე ნაყვავილარი აჩნევია. ჩაცმულია ღარიბულად, ნაცრისფერი ტანისამოსი აცვია, ქუდი (шляпа) შავი ხურავს, მრგვალი, დიდფარფლებიანი".[2]

ამ აღწერისა და ყოველივე იმის წაკითხვის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, მკითხველისათვის ძნელი არ იქნება წარმოიდგინოს, ნაცრისფერ ტანსაცმელში ღარიბულად ჩაცმული ადამიანის სახე, რომელსაც რკინისებური ნებისყოფა ჰქონდა და რომელიც ყოველ წუთს მზად იყო, თავისი მცირე ქონებაც და თავისი სიცოცხლეც ხალხის ინტერესებისათვის შეეწირა.

ჩვენ აქ აღარ ვილაპარაკებთ ვ. ჩერქეზიშვილის შემდგომს, ფრიად ენერგიულ და ხანგრძლივ რევოლუციურ მოღვაწეობაზე, რადგან ეს ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება, მაგრამ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით მაინც არ შევეხოთ მის დამოკიდებულებას ე. წ. ნეჩაევშჩინისა და თვით ს. ნეჩაევის პიროვნებისადმი.

---

[1] იქვე, ფ. 190.

[2] იქვე, ფურც. 145.

ზემოთ, როცა ჩვენ ნეჩაევშჩინის მანკიერ მხარეებზე ვლაპარაკობდით, აღვნიშნეთ, რომ ს. ნეჩაევის მიმდევართა ერთი ნაწილი ბრმად მიჰყვებოდა თავის მასწავლებელს, მეორე ნაწილი კი აოიწონებდა ს. ნეჩაევის ავანტიურისტულ მეთოდებს და ცდილობდა მისთვის ოპოზიცია შეექმნა. როგორც ირკვევა, ვ. ჩერქეზიშვილი. მიუხედავად მისი დიდი სიახლოვისა ს. ნეჩაევთან, იმ ახალგაზრდა რევოლუციონერთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელსაც არ სჯეროდა ნეჩაევის მყვირალა ფრაზებისა და სრულიადაც არ სთვლიდა მას მოძრაობის ნამდვილ, ავტორიტეტიან და იდეურად მომზადებულ ხელმძღვანელად. არსებობს მასალები, საიდანაც გარკვევით ჩანს, რომ ვ. ჩერქეზიშვილი ს. ნეჩაევს სთვლიდა იდეურად მოუმწიფებელ და განუვითარებელ პიროვნებად, თუმცა მის პირად გაბედულებას. რევოლუციის საქმისათვის თავდადებას დიდად აფასებდა. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ ვ. ჩერქეზიშვილის პირად წერილზე რევოლუციონერ ი. ნ. ლიხუტინისადმი. ეს საინტერესო წერილი ვ. ჩერქეზიშვილს 1870 წელს ციხიდან გაუგზავნია ლიხუტინისათვის ამ უკანასკნელის თხოვნით, მაგრამ ადრესატამდე ვერ მიუღწევია და მესამე განყოფილებას ჩავარდნია ხელში. აი მისი შინაარსი: „ლიხუტინ, ვასრულებ შენს სურვილს მით უფრო ხალისით, რომ, შესაძლებელია, პირველად და უკანასკნელად მიხდება საუბარი შენთან როგორც ისეთ კაცთან, რომელიც სახალხო საქმისათვის იბრძვის. ნეჩაევი ჩემ თვალში არ არის მაინცდამაინც ნათელი და ფართო განვითარების კაცი, კაცი, რომელსაც არა მარტო ის არ შეუძლია, რომ მიმართულება მისცეს — ამას ის სად შესწვდება!—არამედ თუნდაც იყოს წარმომადგენელი რომელიმე სერიოზული და თანმიმდევარი აგიტაციისა. მაგრამ მას აქვს ერთი თვისება—გამბედაობა. რომელიც ურჯუკობამდე მიდის,[1] სახალხო საქმისათვის მუშაობისადმი სიყვარული და ფანატიზმამდე მისული ერთგულება. ამ უკანასკნელი თვისებით უნდა აიხსნას ის გავლენა, რომელიც მას ჰქონდა ადამი-

[1] აღსანიშნავია, რომ ა. გერცენიც დიდად აფასებდა ნეჩაევის ვაჟკაცობას, თუმცა მისი მოღვაწეობა (ისევე როგორც ბაკუნინისა და ოგარიოვის მიერ მისთვის მხრის დაკერა) არადროულად და მავნედ მიაჩნდა. წერილში ოგარიოვისადმი, ნეჩაევის მეორედ საზღვარგარეთ ჩასვლის გამო, გერცენი წერდა: „მე შემიძლია ენახო ყმაწვილი და მის ვაჟკაცობასაც დიდად ეაფასებ, მაგრამ მის მოღვაწეობას და აგრეთვე ორი მოხუცისას (ბაკუნინისა და ოგარიოვისა, პ. რ.) გარკვევით ვთვლი მავნედ და არადროულად" (იხ. „Литературное наследство", ტ. 61, გვ. 454),

ანების გარკვეულ ჯგუფზე. ამ ადამიანებს მან ვერაფერი ვერ მისცა, ვერ დაეხმარა განვითარებაში — ისინი განვითარებით მასზე მაღლა იდგნენ; ვერ გამოურკვია მათ ვერც პროგრამა, ვერც სახალხო საქმის მდგომარეობა, — მათ ყოველივე ეს იცოდნენ მის გარეშე და მასზე უკეთესად. არაფერი არ მისცა რა მათ, მან ჩააბა ისინი საქმეში; როგორც ენერგიული და საქმიანი კაცი, ის მივიდა მათთან იმ საქმის დამცველად, რომელიც მათ მასზე უფრო ცხადად და უფრო ფართოდ ესმოდათ. მაგრამ ის პირველი იყო იმ საქმეში, რომელშიც სხვებმა შეიტანეს ბევრი აზრი და, რაც უმთავრესია, — ბევრი სიწმინდე და პატიოსნება, დიდი მატერიალური სახსრები, შეიყვანეს ნაცნობთა ვრცელი წრე. რაც შეეხება მის პირად თვისებებს, როგორც პიროვნებისა, მე ერთი უნდა ვთქვა: მისი პიროვნება ამ მხრივ არც ისე მიმზიდველია. მე ვიცნობ ნეჩაევს წელიწადზე მეტია. მის პიროვნებას ჩემთვის ერთი მნიშვნელობა ჰქონდა შუამავალი ცალკეულ უკმაყოფილო პიროვნებათა შორის; მაგრამ მისი შუამავლობა ზედმეტი ხდება, როგორც კი პიროვნებანი ერთმანეთს შეხვდებიან".[1]

აქედან სავსებით ნათელია, რომ ვ. ჩერქეზიშვილი სრულიადაც არ ყოფილა ნეჩაევის ბრმად მიმდევარი და მისი ნება-სურვილის უბრალო ამსრულებელი; პირიქით, ის მიეკუთვნებოდა რევოლუციონერთა იმ ჯგუფს, რომელსაც საკუთარი გზა და საკუთარი აზრები გააჩნდა და რომელიც, ნეჩაევთან შედარებით, უთუოდ გამოირჩეოდა აზრების სიღრმით, გრძნობების სიწმინდითა და მოქმედების კეთილსინდისიერებით.

ასეთია მოკლედ ვარლამ ჩერქეზიშვილის რევოლუციური მოღვაწეობის სურათი 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანი წლების დამდეგს.

რა თქმა უნდა, ვ. ჩერქეზიშვილიც და 60-იანი წლების დანარჩენი რევოლუციონერებიც, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ხალხის ინტერესებისათვის, შემცდარი და არასწორი გზით მიდიოდნენ, რადგან მათ არ იცოდნენ ხალხის განთავისუფლების ნამდვილი გზები. მაგრამ ამის მიუხედავად, ძნელია გადაჭარბებით შეევაფასოთ მათი ისტორიული ღვაწლი რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, 3 экз. д. 115, ч. VI, л. 147.

თავი მეოთხე

თერგდალეულთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საგამომცემლო საქმიანობა. ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა

აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა თერგდალეულთა არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობაზე რუსეთში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მათი მოღვაწეობის სურათი ცოტად თუ ბევრად სრული ვერ იქნება, თუ არაფერი ვთქვით პეტერბურგში (და საერთოდ რუსეთში) მყოფ ქართველ სტუდენტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ და საგამომცემლო საქმიანობაზე, რაც მათი რევოლუციური მოღვაწეობის განუყრელი შემადგენელი ნაწილი და ლეგალური ფორმა იყო. ამასთანავე გვინდა გაკვრით მაინც შევეხოთ თერგდალეულთა იმ ძირითად სახელმძღვანელო იდეებს, რომელთა განხორციელებისათვის ისინი ასე თავგანწირვით იბრძოდნენ და, ბოლოს, გავაკეთოთ მოკლე დასკვნები.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღენიშნოთ, რომ ამჯერად ჩვენ მიზნად არ ვისახავთ არც პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საგამომცემლო საქმიანობის ამომწურავ გაშუქებას და არც მათი საზოგადოებრივი იდეების ვრცელ დახასიათებას. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ძალიან მოკლედ შევეხოთ თერგდალეულთა იდეოლოგიის ძირითად საკვანძო საკითხებს და მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ, აქამდე ნაკლებად ცნობილ ფაქტზე.

1. რევოლუციური აგიტაცია ქართულ და რუსულ პრესაში. ლექსთა კრებული „ჩონგური"

როგორც ცნობილია, პეტერბურგში მყოფმა თერგდალეულებმა ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე დიდი ხნით ადრე გააჩაღეს უაღრესად ენერგიული და ნაყოფიერი ლიტერატურულ-პუბლიცის-

ტური მოღვაწეობა, რომლის მიზანი ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა და მშრომელი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვება იყო. საკმარისია ადამიანმა თვალი გადაავლოს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძის, დავით ყიფიანის და სხვა გამოჩენილ თერგდალეულთა ადრინდელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რათა დარწმუნდეს იმ აზრის სისწორეში, რომ სწორედ პეტერბურგში (და მის ახლო მდებარე სააგარაკო ადგილებში) იბადებოდა ახალი ქართული ლიტერატურისა და რევოლუციური პუბლიცისტიკის პირველი ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებშიც ასახული იყო მაშინდელი საქართველოს ტკივილები, ქართველი გლეხობის ფიქრები, განწყობილებები და მისწრაფებები.

უნდა აღინიშნოს, რომ 1861 წლიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძე საქართველოში დაბრუნდა და თანამებრძოლთა გუნდი გარს შემოიკრიბა, თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ცენტრმა პეტერბურგიდან თბილისში გადმოინაცვლა. არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას თერგდალეულები, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ეწეოდნენ,[1] მაგრამ მათ მთავარ საზრუნავს მაინც ლეგალური ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა შეადგენდა, ვინაიდან მათ სწამდათ, რომ ხალხში ახალი იდეების გავრცელება და მშრომელი მასების გათვითცნობიერება იმდროინდელ პირობებში ყველაზე უკეთ სწორედ მხატვრული ლიტერატურისა და პოპულარული პუბლიცისტური წერილების საშუალებით შეიძლებოდა. ამით აიხსნება, რომ ჯერ ჟურნალ „ცისკრის", ხოლო შემდეგ „საქართველოს მოამბის" და „დროების" ფურცლებზე ზედიზედ იბეჭდებოდა თერგდალეულთა მებრძოლი, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი ლექსები, პოემები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები; მთელი ამ ლიტერატურის მიზანი ახალი იდეების ქადაგება და ხალხის გათვითცნობიერება იყო, ამიტომ მას რევოლუციური აგიტაციის მნიშვნელობა ჰქონდა.

სწორედ ასეთსავე მიზანს ემსახურებოდნენ პეტერბურგში დარჩენილი თერგდალეულებიც. მრავალრიცხოვანი ფაქტები მოწმობენ, რომ თბილისსა და პეტერბურგს შორის თერგდალეულებმა განუწყვეტელი ცოცხალი კავშირი დაამყარეს, რის შედეგად მათ შორის

---

[1] ამ საკითხზე ცალკე ნაშრომში გვექნება მკითხველთან საუბარი.

შეუფერხებლად ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, სამოქმედო გეგმების შეთანხმება, სხვადასხვა წამოწყებათა განხორციელებაში ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა. ყოველივე ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან თერგდალეულები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, — საქართველოში, რუსეთში თუ ევროპაში, — ერთ მიზანს ემსახურებოდნენ, ერთი და იმავე საქმისათვის იბრძოდნენ და იღწვოდნენ, ეს საქმე დაჩაგრული ქართველი ხალხის კეთილდღეობისა და მონობის უღლისაგან მისი განთავისუფლების საქმე იყო.

პეტერბურგში მყოფ მოწინავე ქართველ სტუდენტთა ლეგალური საქმიანობა ძირითადად სამი მიმართულებით ხორციელდებოდა: ჯერ ერთი, ქართულ პრესაში თანამშრომლობა და ქართველი მკითხველისათვის რუსეთის მოწინავე, რევოლუციური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნა; მეორე, თვით რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობა და ამ მიზნით რუსულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა; ხოლო მესამე, პეტერბურგის შედარებით უკეთესი ცენზურული პირობების გამოყენება და ქართულ ენაზე თერგდალეულთა ლიტერატურის გამოცემა, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოში ფართოდ გასავრცელებლად.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ორიგინალურ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაწარმოებების აღნუსხვასა და ანალიზს, რადგან ეს საკითხი საკმარისად არის შესწავლილი და, ვფიქრობთ, მკითხველისათვისაც ცნობილია. ასევე ცნობილია ჩვენი მკითხველისათვის რუსული და უცხოური ლიტერატურის იმ საუკეთესო ნიმუშების თარგმანები, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში (მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ი. ჭავჭავაძის ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.), რომელშიც დაიბეჭდა ბელინსკის, დობროლუბოვის, ლერმონტოვის, ვ. ჰიუგოს და სხვა გამოჩენილ ავტორთა მრავალრიცხოვანი თარგმანები); ამიტომ ჩვენ ამ საკითხის არსებით განხილვასაც გვერდს ავუვლით, ოღონდ საჭიროდ მიგვაჩნია ამასთან დაკავშირებით მკითხველს გავაცნოთ ახალ საარქივო მასალებში შემონახული ზოგიერთი ცნობა, საიდანაც მტკიცდება, რომ პეტერბურგსა და მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტები კოლექტი-

ურად და სისტემატურად მუშაობდნენ თარგმანებზე. აი ეს ცნობებიც:

მოსკოვიდან პეტერბურგში 1862 წლის 7 ნოემბერს გაგზავნილ ერთ კერძო წერილში სიმონ ღოღობერიძე თავის ძმას დავითს სწერს: „გადათარგმნეთ თუ არა რომანი, რომელსაც თარგმნიდით? აქაც სთარგმნიან სხვადასხვა სტატიებს ნელ-ნელად...“[1]

იმავე ავტორის სხვა წერილში, რომელიც აგრეთვე გაგზავნილია მოსკოვიდან და რომელსაც თარიღად უზის 1862 წლის 22 სექტემბერი, ნათქვამია: „ქართველ სტუდენტებს აქვთ აქ შაბათობით შეკრებულება, რომელზედაც კითხულობენ რუსულ ენიდან ნათარგმს“.[2]

დაბოლოს, 1863 წლის 11 იანვარს სიმონი მოსკოვიდან დავითს ატყობინებს: „...ჩვენ ყველანი კარგად ვართ. შაბათობით ვიკრიბებით ხოლმე და ვთარგმნით სხვადასხვა რამეებს. ამას გარდა ვიწერთ ორს ქართულ ჟურნალებს, სოვრემენიკს და ახლა გვინდა ერთი გაზეთი გამოვიწეროთ“.[3]

ამ ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ პეტერბურგშიც და მოსკოვშიც ქართველ სტუდენტებს კოლექტიურად და სისტემატურად უწარმოებიათ რუსული და უცხოური ლიტერატურის თარგმნა, რომლის ნაწილი მაშინდელ ქართულ პრესაში იბეჭდებოდა, ხოლო მეორე ნაწილი, შესაძლოა, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა საქართველოში. ზემოთ, როცა ჩვენ ნიკოლოზ ყიფიანის რევოლუციურ მოღვაწეობაზე ვლაპარაკობდით, დავინახეთ, რომ პეტერბურგში ქართველ რევოლუციონერებს საგანგებო გადამწერნი და მხატვარი ჰყავდათ, რომლებსაც აკრძალულ ლიტერატურას გადააწერინებდნენ. ან ცნობილ რევოლუციონერთა პორტრეტებს დაახატვინებდნენ ხოლმე, ახლა ვხედავთ, რომ მათ ჰყოლიათ აგრეთვე საგანგებო მთარგმნელები, რომლებიც ქართულ ენაზე თარგმნიდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული აგიტაციისა და ხალხის გათვითცნობიერებისათვის საჭირო ლიტერატურას.

როგორც ვთქვით, რუსეთში მყოფი ქართველი თერგდალეულები მიზნად ისახავდნენ აგრეთვე რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობას და ამ მიზნით რუ-

---

[1] ЦГИАМ. ф. 109, оп. 214, д. 492, л. 153.
[2] იქვე, ფურ;. 202.
[3] იქვე, ფურ; 103.

სულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა 60-იანი წლების დასაწყისში. თავის ადგილას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნიკოლაძე იმ ხანებში აქტიურად მონაწილეობდა ისეთ მოწინავე ორგანოებში, როგორიც იყო „ისკრა", „სოვრემენიკი" და „ნაროდნოე ბოგატსტვო". ის ენერგიულად იცავდა რევოლუციური დემოკრატიზმის ხაზს, მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის ლიბერალებს და ა. შ.

მაგრამ ისმება კითხვა: რა გააკეთეს ამ მიმართულებით დანარჩენმა თერგდალეულებმა, რომლებიც რუსეთში იმყოფებოდნენ? ჩვენს ხელთ არსებულ ახალ საარქივო მასალებში მოიპოვება ცოტად თუ ბევრად საყურადღებო ცნობები, რომლებიც საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ რუსეთის მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში უთუოდ არის გაბნეული თერგდალეულთა ნაწერები (ხელმოუწერლად, ან ფსევდონიმებით), რომელთა გამოვლინება და შესწავლა ფრიად საპატიო საქმეა. ასეთი ვარაუდისათვის საფუძველს გვაძლევს ერთ-ერთი თერგდალეულის, სახელდობრ ზემოთ უკვე ხსენებული სიმონ ღოღობერიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური საქმიანობა, რომლის შესახებ ლაპარაკია მის პირად წერილებში და რომელზედაც ჩვენ აქამდე არაფერი ვიცოდით.

1864 წლის 10 თებერვალს მოსკოვიდან სიმონი სწერს პეტერბურგში მყოფ ძმას დავითს: „შენი სურვილი და რჩევა აღსრულდა— მე დავწერე წერილი მოსკოვიდამ „Что делалось в Москве", რომელსაც ვატან ოქრომჭედელს (ალბათ ილია ოქრომჭედლიშვილს— პ. რ.). ასრე გამოვედი სალიტერატურო ასპარეზზე!..."[1]

დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ, 1864 წელს 7 მარტს, სიმონი კვლავ უგზავნის წერილს დავითს, სადაც ნათქვამია: „გიგზავნი... ახალს ჩემს წიგნს (ე. ი. სტატიას, — პ. რ.) მოსკოვიდამ. მე ვგონებ ეს უფრო სისტემატური არის და დაბეჭდონ. შენ მიუტანე ეს სტატია, და ადრინდელიც აჩვენე... სვირიდენკოს, კანაზჩიკოვის მაგაზინში... სთხოვე გადასცეს ელისეევს... და თუ მოიწონოს ელისეევმა, შეუძლია მას დაბეჭდოს „სოვრემენიკში" — ეს დიდი პატივი იქნება — ან „ისკრაში" და ან სხვაგან სადმე...

---

[1] იქვე, ფურც. 81.

პსევდონიმი იყოს ухимерюнец, და ან „Московский ульхирфон—Гуникен“ (?)...

ეს ჩემი სტატია აჩვენე დ. ბაქრაძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ლოლუას და სხვ., და შემომითვალე, როგორ მიიღონ, მათი შენიშვნები და სხვ. ადრინდელი კი, სტატია, გთხოვთ უთუოდ გამომიგზავნო“.[1]

ერთი წლის შემდეგ, როცა ს. ღოღობერიძე უკვე კიევში იმყოფებოდა, მას კვლავ დაუწერია ახალი სტატია და გაუგზავნია იგი პეტერბურგში გამოსაქვეყნებლად. 1865 წლის 17 მარტის წერილში დავითისადმი ასეთი სტრიქონი გვხვდება: „ჩემს სტატიას აქამდე უთუოდ მიიღებდი. როგორ მოგწონთ?“[2]

ჩვენ არ ვიცით, მოახერხა თუ ვერა ს. ღოღობერიძემ თავისი სტატიების დაბეჭდვა რუსულ დემოკრატიულ პრესაში, არც სხვა თერგდალეულებზე (გარდა ნ. ნიკოლაძისა) მოგვეპოვება იმ დროისათვის საამისო ცნობები, მაგრამ თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ იმდროინდელ რუსულ ჟურნალებში პუბლიცისტური წერილების დიდი უმრავლესობა ხელმოუწერლად ან ფსევდონიმებით იბეჭდებოდა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ავტორები დღესაც უცნობია, საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ მომავალმა კვლევა-ძიებამ ამ მიმართულებით შესაძლოა დაადასტუროს ზემოთ ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიმ. ღოღობერიძეს კალამი უცდია არა მარტო პუბლიცისტიკაში, არამედ აგრეთვე დრამატურგიაშიც. 1864 წელს თუ 1865 წლის დასაწყისში მას რუსულ ენაზე დაუწერია კომედია, სათაურით: „Сорная трава нашей нивы“, რომელიც აგრეთვე პეტერბურგში გაუგზავნია იმისათვის, რომ ამხანაგებს გაეცნოთ და კრიტიკულად გაესინჯათ, შემდეგ კი რომელიმე რუსულ ჟურნალში დაებეჭდათ. ამ კომედიის დაწერის ისტორიისა და თემატიკის ირგვლივ საინტერესო ცნობებს ვხვდებით ერთ ძალიან ვრცელ კერძო წერილში, რომელიც სიმონს 1865 წლის 9 მარტს გაუგზავნია დავითისთვის კიევიდან პეტერბურგში. მოგვყავს ნაწყვეტები ამ წერილიდან:

„საყვარელო ძმაო, დავით! იმ დღეს თქვენ გამიკეთეთ მე სურპრიზი, გამომიგზავნეთ „ჩონგური“, რომელსაც მე არ მოველოდი;

---

[1] იქვე, ფურც. 109.
[2] იქვე, ფურც. 54.

მაგიერს გიხდი მე ეხლა — გიგზავნი შედგენილს ჩემგან კომედიას. იტყვი, რა დროს კომედიის წერაა, ცხვირზე ეკზამენიები გვაღგიაო — მეც ბევრი ვებრძოლე ჩემ თავს, დროც დავკარგე, რამდენჯერ მიმიტოვებია ხოლმე, მაგრამ მოსვენებაში აღარ ვიყავი, მოვკიდე თუ არა ერთხელ ხელი, ვეღარ მოვსცილდი... სახელზე რა მოგწერო? ჩემი სურვილი არის დარჩეს „Сорная трава нашей нивы“ ჰაზრი დაწერისა კარგა ხანია მქონდა... კარგი იქნებოდა, რომ ვინმემ გამოხატოს ჩვენი კრეჩინსკები და რასპ [ლიუევები]... მინდოდა ბოლო გამომეყვანა სასაცილოდ და დამესაჯა. მაგრამ ერთი (რომ) დრო აღარა მაქვს, და მეორეც — დაძველდა ტეორია, რომლის მიწერილობით კარგი მოქმედებანი დაიჯილდოვოს და ცუდი დაისაჯოს. წინააღმდეგს ბევრს ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში! მინდოდა საორგინალურად გამომეყვანა იმერელი ჩვენი ბიჭი, მაგრამ, ვიმეორებ, აღარა მაქვს მოცლა... იმ ბატონიშვილების დაცემა ჩემი ჰაზრით საჭიროა — დახედე ვაჩნაძეს, მუხრანსკის, მესხს (ერთ რიგათ) და სხვ. და სხვ. სუყველა ქორწილიდან მოელიან ბედნიერებას და სამწუხარო არ იქნება ამ შესაზარებმა კაცებმა რომ იქონიონ უფრო მეტი ზემოქმედება ვინემ „მქონებელმან წმინდა ცეცხლის!“.. მე რაც მოვიგონე მათზე ნაამბობი, არ დავზოგე ჩამეწერა, ბევრი სცენები კი ძალდატანებული არიან, მაგ. ლაპარაკიც პავლოვსკის სკანდალზე[1], შეიძლება ეს მოკლედ ითქვას პირველ მონოლოგში. ამას თქვენც გადაასწორებთ, თუ საჭირო იქნა. მინდოდა აგრეთვე გამომეყვანა თქვენი სტეფანოვიჩი და დობროვოლსკი — მაგრამ ბევრი პირები იქნებოდნენ: ისინიც ხომ მათთანვე „Одного поля ягоды“ არიან“[2].

ამ ამონაწერებიდან ჩანს, რომ ს. ღოღობერიძის ხსენებული კომედიის შინაარსი აღებული ყოფილა 50-60-იანი წლების საქართველოსა და რუსეთის ცხოვრებიდან და მასში თავისი დროის ფრიად საჭირბოროტო საზოგადოებრივი საკითხები ყოფილა ასახული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხსენებულ ნაწარმოებს თუ მხატვრული არა, ისტორიული მნიშვნელობა დღესაც უთუოდ ექნება და კარგი იქნებოდა, რომ სადმე აღმოჩნდებოდეს.

---

[1] აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება პროფ. პავლოვის პეტერბურგიდან გასახლების ისტორია და ამის გამო სტუდენტ-რევოლუციონერთა პროტესტი, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

[2] იქვე, ფურც. 25.

სიმ. ღოღობერიძე 60-იანი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო და განათლებული მოღვაწე იყო.[1] ამიტომ უდავოა, რომ მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა ჩვენთვის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. ზემოთ ხსენებული ფაქტები უტყუარად გვიჩვენებენ, რომ თერგდალეულთა მდიდარი მემკვიდრეობიდან ჩვენთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია და რომ აუცილებელია შემდგომი, ბეჯითი მუშაობა იმ ღირსშესანიშნავი ეპოქისა და მისი ადამიანების ცხოვრების, მოღვაწეობის, შემოქმედების ყოველმხრივ შესასწავლად.

პეტერბურგში მყოფ ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობის ერთ-ერთ ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს აგრეთვე მათი საგამომცემლო საქმიანობა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო შედეგი იყო მოწინავე ქართველი პოეტების ლექსთა კრებულის „ჩონგურის“ გამოცემა პეტერბურგში 1864 წელს.

ვინც ამ შესანიშნავ კრებულს ხელში აიღებს, ის უთუოდ იგრძნობს იმ განსაკუთრებულ გემოვნებას, პასუხისმგებლობას და სიყვარულს, რომელიც მის შემდგენელს, ჩვენს თვალსაჩინო, მაგრამ ჩუმსა და უპრეტენზიო საზოგადო მოღვაწეს კირილე ლორთქიფანიძეს მისი მომზადების დროს გამოუჩენია. უკვე თვით სათაური „ჩონგური“, — ყოველი ქართველისათვის ასე მახლობელი და ბევრის მთქმელი სიტყვა, — კარგად არის მოფიქრებული და შერჩეული. გარეკანზე, სათაურს ქვემოთ, წარწერილია ქვესათაურიც: „ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან“. ამას მოსდევს კრებულის ეპიგრაფად აღებული (აგრეთვე მოფიქრებულად და აზრიანად შერჩეული) ნ. ბარათაშვილის უკვდავი სიტყვები:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის აულისკვეთება.

კრებული იხსნება ნ. ნეკრასოვის ცნობილი პოემით „პოეტი და მოქალაქე“, რომელიც, როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს საგანგებოდ უთარგმნია „ჩონგურისათვის“. ცნობილია, რომ ამ პოემაში რომლის ავტორი თვითონაც 60-იანი წლების ყველაზე გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატთა წრეს ეკუთვნოდა, ჩამოყალიბებუ-

[1] ამაზე იხ. ექვთ. თაყაიშვილის „მოგონებები“, ჟურნ. „მნათობი“ 1959 წ., № 3, გვ. 183.

ლია სამოციანელთა შეხედულებანი ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე და დასახულია მთელი პროგრამა ხალხის ინტერესებისათვის მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლისა. სწორედ ამიტომ წაუმძღვარებია იგი კ. ლორთქიფანიძეს ქართველი პოეტების ლექსთა კრებულისათვის, როგორც ამ კრებულის ერთგვარი შესავალი. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც კრებულის შემდგენელი სავსებით სწორად მოქცეულა; ნეკრასოვის ხსენებული პოემა ნამდვილად ჰარმონიულად ერწყმის კრებულის მთელ შინაარსს.

ნეკრასოვის პოემის თარგმანს კრებულში მისდევს ილია ჭავჭავაძის უკვდავი ლექსი „პოეტი", რომელიც პირდაპირ ეხმაურება რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ პოეზიას და მკაფიოდ განსაზღვრავს ქართველი პოეტების, მწერლების, და საერთოდ იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პოზიციას ცარიზმის და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლის ბარიკადებზე:

ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

ეს იყო სამოციანელთა დეკლარაცია, მათი მრწამსი, მათი საბრძოლო მოწოდება. აქედან გამომდინარეობდა მათი წმინდა მოვალეობაც, ებრძოლათ ხალხის მტარვალთა წინააღმდეგ, მათი მზადყოფნა „რომ წარვუძღვეთ წინა ერსაო".

ამრიგად, „ჩონგურის" უკვე შესავალ ნაწილშივე, ნეკრასოვის პოემისა და ილია ჭავჭავაძის ლექსის ძირითადი ლაიტმოტივიდან მშვენივრად ჩანს კრებულის საერთო მიზანდასახულება, მისი ხასიათი და დანიშნულება.

„ჩონგურის" ძირითადი ავტორები, როგორც ეს კრებულის ქვესათაურიდანაც დავინახეთ, არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ბარათაშვილის ლექსებიდან კრებულში შესულია: „მერანი", „ფიქრი მტკვრის პირზედ", „თვალები",[1] „მადლი შენს გამჩენს", „ჩონგურს", „პეპელა", „სულო ბოროტო", „სული ობოლი", „ფანტაზია" (ვპოვე ტაძარი...) და პოემა „ბედი ქართლისა"; ილიას პოეზიიდან შეტანილია ლექსები და

[1] ეს და ზოგიერთი სხვა ლექსიც შემდგენელს, როგორც ჩანს, თვითონ დაუსათაურებია.

პოემები: „პოეტი“, „ქართველის დედას“, „არაგვი“ (ნაწყვეტი პოემა „აჩრდილიდან“), „ხმა სამარიდამ“, „ჩემო კალამო“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „მუშა“, „მას აქეთ რაკი შენდამი“, „რამდენიმე სურათი“ (ნაწყვეტი „კაკო ყაჩაღიდან“), „ნანა“ და „იანიჩარი“; აკაკის ლექსებიდან დაბეჭდილია: „მოგონება“, „ამაო ძებნა“, „ზღაპარი“, „ფუტურო“, „ფარისეველი“, „აპელაციის მცოდნე“, „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „სალამური“, „გლეხის აღსარება“, „შიქასტა“, „საბრალო გული“.

ამ სამ პოეტს გარდა კრებულში რამდენიმე ლექსით წარმოდგენილი არიან აგრეთვე რაფიელ ერისთავი და გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ერთი ლექსი აბელ მაჩაბელის კალამს ეკუთვნის. რ. ერისთავის ლექსებიდან დაბეჭდილია: „ყადის ჯორი“, „სიყვარული“, „ნაამბობი მოხუცისა“ და „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, ხოლო გრ. ორბელიანის ლექსებიდან — „ლოთური მუხამბაზი“ და „იარალისადმი“.

აქედან ჩანს, ქართული პოეზიის რა მშვენიერი თაიგული შეუკრავს „ჩონგურის“ შემდგენელს. თუ გავიხსენებთ, რომ ეს პირველი ლექსთა კრებულია ჩვენი პოეზიის ისეთი ვარსკვლავებისა, როგორიც იყვნენ ნ. ბარათაშვილი, ილია და აკაკი, ადვილად წარმოვიდგენთ, რა აღტაცებით შეხვდებოდა „ჩონგურს“ ყოველი შეგნებული ქართველი.

აქედან ჩანს აგრეთვე, რომ ლექსთა კრებული „ჩონგური“ შედგენილი იყო 60-იანი წლების იდეების, ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების იდეების ფართო მასებში გავრცელების მიზნით; ის თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით და პირდაპირ სცემდა მიზანში, ხელს უწყობდა რა ხალხის გამოღვიძებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კრებულის გამოცემა იმ დროს თვით საქართველოში ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო, რადგან საქართველოში ცენზურა, გარკვეული მიზეზების გამო, გაცილებით უფრო მკაცრი იყო, ვიდრე პეტერბურგში. ნიკოლოზ ღოღობერიძე ერთ-ერთ კერძო წერილში პეტერბურგში მყოფ თერგდალეულებს 1866 წლის იანვარში წერდა: „...ვთხოვთ ყველა ჩვენ ყმაწვილებს, რომ თანამშრომლობა გაგვიწიონ ამ გაზეთის (ლაპარაკია „დროებაზე“—პ. რ.) გამოცემაში, თუ სტატიების შედგენითა, თუ თარგმანითა შესანიშნავი პატარა თხზულებებისა უცხო ენიდამ... ერთის სიტყვით, თქვენ თვითონ კარგად იცით, რა არის საჭირო ჩვე-

ნი ხალხისათვის. ამასთანავე უნდა გქონდესთ მხედველობაში, რომ აქაური ცენზურა მანდაურ განსვენებულ ცენზურასთან შედარებით ჯოჯოხეთია, არაფერს ცხოველს არ გაუშვებს".[1] თუ როგორ უხუთავდა სულს ცენზურა ჩვენს რევოლუციონერ დემოკრატებს, ეს კარგად ჩანს აგრეთვე ილიას წერილიდან კ. ლორთქიფანიძისადმი, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1864 წლის ზაფხულში, როცა კ. ლორთქიფანიძე „ჩონგურისა,ის" მასალებს აგროვებდა. ილია სწერს: „რამდენიმე სურათი" ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს ამიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაური ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი, რაოდენიც „საქართველოს მოამბეშია", თუ გნებავს დაბეჭდე".[2]

მხოლოდ ახალგაზრდა თერგდალეულთა რევოლუციურ მგზნებარებას და სახალხო საქმისათვის მათ თავგანწირვას შეეძლო ასეთ პირობებში დაეძლია ყოველგვარი დაბრკოლება და დაებეჭდა აშკარად რევოლუციური შინაარსის ლექსები.

„ჩონგურის" გამოცემას, გარდა პეტერბურგის საერთოდ შედარებით უკეთესი საცენზურო პირობებისა, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო იმ კერძო შემთხვევამაც, რომ მისი ცენზურა მთავრობამ მიანდო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ ქართველ მეცნიერს და პატრიოტს დ. ჩუბინაშვილს (ალბათ იმის გამო, რომ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტს არ გააჩნდა ქართული ენის მცოდნე ცენზურები). ჩუბინაშვილი, რა თქმა უნდა, მოვალე იყო დაეცვა ცენზურის მოთხოვნები, მაგრამ მას ამავე დროს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია და ზოგი რამ არ დაეთმო რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობისათვისაც.

„ჩონგურის" ფურცლებს აშკარად აჩნევია ცენზორის ხელი. მას ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა" ამოუღია მთელი რიგი ადგილები, კერძოდ კი ის ადგილი, სადაც სოლომონ მსაჯული ცდილობს დაარწმუნოს ერეკლე მეორე, ქართველებს „არად მიაჩნიათ უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლებაო" და

---

1 ЦГИАМ, ф. 109, оп. 214, д. 492, л. 167.

2 ილია ჭავჭავაძე, წერილები, 1949 წ., გვ. 29.

ეეედრება მეფეს, არ „განვისყიდოთ თავისუფლებაო“. ასევე შეუკვეცია ცენზორს ილიას „კაკო ყაჩაღის“ ის ნაწყვეტიც კი, რომელიც კრებულშია მოთავსებული, კერძოდ ამოუღია ის ადგილი, სადაც სიცოცხლე გამწარებული ზაქრო ამბობს: „გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი, ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელშიო“. გარდა ამისა თითქმის ყველგან, სადაც კი ცენზორს შეხვედრია სიტყვები „ერთობა“, „თავისუფლება“ და სხვა მისთანები, ყველგან წაუშლია ისინი და მათ მაგიერ მრავალი წერტილები დაუსვამს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ჩონგურში“ მაინც ბლომად დარჩენილა მოწინავე ქართული სიტყვის ძვირფასი მარგალიტები, რომლებიც, ვინ იცის, რამდენ ქართველს აუთრთოლებდნენ გულს მამულის სიყვარულით და რამდენს გაამხნევებდნენ, ძალას შემატებდნენ მშრომელი ადამიანების მტარვალთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

განა ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, თუ როგორ შეხვდებოდა ბატონყმობის უღლით დაჩაგრული ქართველი გლეხი ილიას და აკაკის გულში ჩამწვდომ სიტყვებს — იმ სიტყვებს, რომლებიც თვით გლეხს უტრიალებდა თავში და თვით გლეხის იდუმალ ფიქრებს და აზრებს გამოხატავდა!

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუ-ად აყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება.

ან:

ოხ დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!...
თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ მაზიხარ.

განა ასევე ცხადი არ არის, თუ როგორ მიიღებდა ქართველი მკითხველი, რომელსაც ოდნავ მაინც შერჩენოდა ქართველობა, ერის ტკივილებით გულდამწვარი პოეტის გოდებას:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ან კიდევ რად ღირს თუნდაც პოეტის ეს ამონაკვნესი, რომელიც თავგანწირული მოწოდებაა ერისა სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომისაკენ:

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!..

ასეთს და მრავალ ამის მსგავს ცეცხლოვან სიტყვებს კითხულობდნენ, იმეორებდნენ, იზეპირებდნენ ქართულ ქოხებში, ქალაქად და სოფლად — ყველგან, სადაც კი ქართული სიტყვა ცოცხლობდა.

ხოლო რომ „ჩონგური" ვრცელდებოდა ყველგან, თითქმის მთელ საქართველოში და რომ ხალხში მას თვითონ თერგდალეულები ავრცელებდნენ, ამას მოწმობს საარქივო მასალები, სადაც ამის თაობაზე შემონახულია ფრიად საინტერესო ცნობები.

1865 წლის 16 აპრილის თარიღით დაწერილ პირად წერილში ნიკოლოზ ღოღობერიძე სწერს პეტერბურგში მყოფ ძმას დავითს: „...კირილეს უთხარი, ეს მისი წერილი ერთი თვე იქნება მივიღე და წიგნები (ლაპარაკია „ჩონგურზე"—პ. რ.) მხოლოდ 7 აპრილს. წიგნები იმედია გავა"[1].

დაახლოებით ცხრა თვის შემდეგ, 1866 წლის იანვარში ნიკოლოზი სიხარულით ატყობინებს თვითონ კირილეს: „ჩვენი ყმაწვილები მომეხმარენ კარგად ჩონგურის გაყიდვაში: ესტ. მაღალაშვილმა გაასაღა გორში 39 ეკზ,. ილ. ჭავჭავაძემ დუშეთში — 20 ეკზ., ჩიქოვანმა თელავში — 16, გოგებაშვილმა აქ — 20 ეკზ. და სხვა"[2].

კიდევ, სამი თვის შემდეგ, 1866 წლის 17 აპრილს ნიკოლოზი კვლავ ახარებს პეტერბურგელ მეგობრებს: „საყვარელო ძმაო, დათიკო!... კირილეს უთხარი „ჩონგურის" ფასი ჯერ სამი თუმანი შემოვიდა, იმის გარდა, რაც აქამდის გამოვუგზავნე, დანარჩენი რიცხვი „ჩონგურისა" თითქმის სულ დარიგებულია, მაგრამ ჯერ ფული არ მიმიღია"[3].

თუ როგორი სიხარულით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა „ჩონგურის" გამოცემას, ამას მოწმობს აკაკი წერეთლის აღფრთოვანებული რეცენზია, რომელიც 1865 წელს დაიბეჭდა „ცისკარში". „ძლივს ერთი ხეირიანი წიგნი გვეღირსა,—ამბობს აკაკი,—უ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება „ჩონგური", რომელმაც მოუ-

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, оп. 214, д. 492 л. 10.

[2] ქუთაისის სამხარეთმც. მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის ფონდი, საქმე, № 821.

[3] ЦГИАМ, ф. 109, оп. 214, д. 492, л. 166.

ლოდნელად გაგვახარა და ისე გულწრფელობითაც არის ეს ჩვენი სიხარული, როგორც პირმშო შვილის ძეობაზე მისი მშობლებისა და ახლო მონათესავეებისა... სიტყვა „პირმშო“ აქ ჩვენ უმიზეზოდ არ გვიხმარია: ეს „ჩონგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული; სტირის და ჰკვნესის ქართველების კვნესით და მაშ რაღა საეჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?... მიზეზიც ამის არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: ფ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე.. ჩონგურის გამოცემით ლორთქიფანიძემ დაიმსახურა საზოგადო მადლობა... ესეც შევიტყვეთ, რომ ლორთქიფანიძეს თავისი შრომა ტყუილათ, ე. ი. უინტერესოთ შეუწირავს ხალხისათვის და იმ ფასით ჰყიდის წიგნს, რამდენიც თვითონ დაჯდომია იმის გამოცემა“[1].

პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტთა საგამომცემლო საქმიანობა, რა თქმა უნდა, მარტო ერთი კრებულის გამოცემით არ ამოიწურებოდა (ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია ადამიანის?!“ გამოცემა მ. ბეთანიშვილის მიერ 1869 წელს, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი), მაგრამ რევოლუციური შინაარსის ლექსების ცალკე წიგნად გამოცემა და ხალხში მისი გავრცელება სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენში ბატონყმობის გაუქმება დღის წესრიგში იდგა და საზოგადოებრივ პოლიტიკური ატმოსფერო უაღრესად დაძაბული იყო, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ფაქტია. „ჩონგურის“ გამოცემა თერგდალეულთა მოღვაწეობის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია, პეტერბურგში მათი ლეგალური საქმიანობის ნამდვილი გვირგვინია.

ასეთია, ძალიან მოკლედ, პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც ემატება და ავსებს მათს არალეგალურ საქმიანობას და ამრიგად გვიხატავს მათი სახელოვანი მოღვაწეობის ცოტად თუ ბევრად სრულ სურათს.

დროა ჩამოვაყალიბოთ თერგდალეულთა ძირითადი სახელმძღვანელო იდეები და შევაჯამოთ ყოველივე ზემოთ ნათქვამი.

---

1 აკაკის თხზ. სრ. კრებ., ტ. XI, 1960, გვ. 20—33.

2. ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა. გლეხთა ინტერესების დაცვა

ძირითადი საზოგადოებრივი საკითხი, რომლის გადაწყვეტისათვისაც რუსეთის მაშინდელი რევოლუციონერი დემოკრატები იბრძოდნენ და რომლითაც, ლენინის აზრით, **ყ ვ ე ლ ა** დანარჩენი საკითხი განისაზღვრებოდა, ეს იყო ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.[1] საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობის საკითხი ისევე მწვავედ იდგა ჩვენში, როგორც რუსეთში. ამიტომ თუ ჩვენ გვინდა თერგდალეულთა საზოგადოებრივი შეხედულებების არსი გავიგოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ მათი პოზიცია ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ საკითხზე ბევრი თქმულა და დაწერილა. დღეს ჩვენში თითქოს აღარავისათვის არ არის სადავო, რომ თერგდალეულები აქტიურად გამოდიოდნენ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ. ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები მრავლად მოიპოვება როგორც თერგდალეულთა მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში, ისე მათ პრაქტიკულ საქმიანობაში, განსაკუთრებით კი მათ არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობაში, რომლის მიზანი სწორედ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებისა და მისი დამცველი თვითმპყრობელობის დამხობა იყო. ეს მრავალრიცხოვანი საბუთები და მასალები ქართველი მკითხველისათვის ნაწილობრივ აქამდეც ცნობილი იყო, ნაწილობრივ კი ცნობილ გახდა ახლად გამოვლინებული საარქივო მასალების მეოხებით, რომელიც ზემოთ გავიცანით. ამიტომ ჩვენ აქ უფლებას მივცემთ ჩვენ თავს, ბატონყმობასთან თერგდალეულების დამოკიდებულების საკითხი განვიხილოთ არა ყოველმხრივ, ყველა მის ასპექტში, არამედ შევჩერდეთ მხოლოდ საკითხის ერთ მხარეზე და ხაზი გავუსვათ მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს, სახელდობრ გავარკვიოთ: იყვნენ თუ არა ჩვენი თერგდალეულები ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში ისეთსავე მოწინავე პოზიციებზე, როგორც რუსეთის დიდი რევოლუციური დემოკრატები? ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აყენებდნენ თუ არა ისინი გლეხთა განთავისუფლების საკითხში ისეთსავე რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებს როგორ მოთხოვნებსაც რუსეთის რევოლუციური დემოკრატები აყენებდნენ?

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 628.

ვიტყვით პირდაპირ: რუსეთის გამოჩენილი რევოლუციონერი დემოკრატებისა და თერგდალეულთა ხელმძღვანელი მოღვაწეების საზოგადოებრივ შეხედულებათა გულდასმით შესწავლამ და ამ შეხედულებათა ერთმანეთთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ქართველი სამოციანელები თავიანთი რუსი მასწავლებლების ერთგული მიმდევრები და ღირსეული თანამებრძოლები იყვნენ და სავსებით მათ სიმაღლეზე იდგნენ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ყველა ძირითად საკითხში, კერძოდ კი გლეხთა განთავისუფლების პირობების საკითხში.

როგორც ცნობილია, რუსეთის რევოლუციური დემოკრატები გლეხობის იდეოლოგები იყვნენ და ობიექტურად რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ე. წ. „ამერიკული გზისათვის“ იბრძოდნენ. რას ნიშნავს ეს? როგორ უნდა გვესმოდეს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ის პროგრესული, რევოლუციური გზა, რომლისთვისაც ეპოქის ყველაზე საუკეთესო ადამიანები იბრძოდნენ?

ეს საკითხი უაღრესად ცხადად და ნათლად აქვს გარკვეული ვ. ი. ლენინს, რომელმაც მრავალი გენიალური ნაშრომი მიუძღვნა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პრობლემების მეცნიერულ შესწავლას. გავიხსენოთ ლენინის აზრები ამ საკითხზე.

„საქმეს ობიექტურად რომ შევხედოთ, — ამბობს ლენინი სტატიაში „პ. მასლოვის „პასუხის“ გამო“, — რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში საკითხი ასე და მხოლოდ ასეა დასმული: შეუგუებს თუ არა სტოლიპინი (ე. ი. მემამულეები და თვითმპყრობელობა) მიწის ძველ საკუთრებას კაპიტალიზმს, თუ ამას იზამენ თვითონ გლეხთა მასები, მემამულეებისა და მეფის ძალაუფლებას რომ დაამხობენ. პირველ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ შეგუება რეფორმების გზით, ე. ი. სანახევრო, უსასრულოდ გრძელი შეგუება, რომელიც ნიშნავს საწარმოო ძალთა გაცილებით უფრო ნელ ზრდას, დემოკრატიზმის სულ მცირედ განვითარებას, შეგუება, რომელიც რუსეთს ხვედრად განუმზადებს იუნკრის ხანგრძლივად ბატონობას. მეორე შემთხვევაში შესაძლებელია, მხოლოდ რევოლუციური შეგუება, ე. ი. ისეთი შეგუება რომელიც ძალდატანებით აღგვის მემამულეთა მამულებს და უზრუნველყოფს საწარმოო ძალთა უაღრესად სწრაფ განვითარებას“[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 316.

ლენინის ამ სიტყვებში მოკლედ და შეკუმშულად ჩამოყალიბებულია კაპიტალიზმის განვითარების ორი გზის, ე. წ. „პრუსიული“ და „ამერიკული“ გზების ძირითადი შინაარსი, მათი არსი. ნაშრომში „აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს“, ლენინი იძლევა კაპიტალიზმის განვითარების ამ ორი გზის უფრო ვრცელ დახასიათებას და უაღრესად ღრმა ანალიზს უკეთებს რუსეთის ცხოვრებისა ძველი და ახალი ძალების ჭიდილს, მათი ბრძოლის განვითარების შესაძლებელ გზებს. ის ამბობს:

„კაპიტალისტური განვითარების ორივე ეს გზა საკმაოდ ნათლად დაისახა რუსეთში 1861 წლის შემდეგ... ქვეყნის შემდგომი განვითარების მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ განვითარების ამ გზებიდან რომელი გაიმარჯვებს საბოლოოდ მეორეზე და, ამის შესაბამისად, რომელი კლასი გაატარებს აუცილებელსა და გარდუვალ გარდაქმნას: ძველი მებატონე-მიწათმფლობელი თუ თავისუფალი გლეხი ფერმერი“[1].

ლენინი არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთში აბსოლუტურად აუცილებელი და გარდუვალი იყო „ძველის, დრომოჭმულის მსხვრევა“[2] და რომ ამ მსხვრევას „ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეუშლიდა ხელს“[3]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთში აუცილებელი იყო ბურჟუაზიული რევოლუცია და, იმისდა მიხედვით თუ ვინ, რომელი კლასი მოახდენდა „ძველის მსხვრევას“, ბურჟუაზიული რევოლუციის განვითარებაც შეიძლებოდა წარმართულიყო ან ნამდვილად რევოლუციური, პროგრესული გზით, ან კიდევ მემამულური გზით. წერილში „მიმდინარე მომენტის შეფასებისათვის“, ლენინი ამბობს:

„თუ ძველი რუსული სოფლის საფუძვლები ძალდატანებით, რევოლუციურად არ იქნა დამსხვრეული, ისე შეუძლებელია რუსეთის განვითარება. ბრძოლა წარმოებს, — თუმცა ეს შეგნებული არა აქვს მის ძალიან ბევრ მონაწილეს, — მ ხ ო ლ ო დ იმის გამო, იქნება ეს მემამულური მონარქიის ძალადობა გლეხების მიმართ თუ გლეხური რესპუბლიკის ძალადობა მემამულეთა მიმართ. ორივე შემთხვევაში გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა ბურჟუაზიული, და არა რომელიმე სხვა, აგრა-

---

[1] იქვე, გვ. 154.

[2] იქვე, გვ. 157.

[3] იქვე, გვ. 115.

რული რევოლუცია რუსეთში, მაგრამ პირველ შემთხვევაში ნელი და წამებით აღსავსე, მეორე შემთხვევაში კი — სწრაფი, ფართო და თავისუფალი"[1].

იმ ძალების სათავეში, რომლებიც იბრძოდნენ ძველი, მემამულურ-ბატონყმური რუსეთის კაპიტალისტურად გარდაქმნისათვის ისეთი გზით, რომელსაც ლენინმა „პრუსიული გზა" უწოდა და რომელიც „წამებით აღსავსე" გზა იყო, — იდგნენ ლიბერალები, ხოლო იმ ძალების სათავეში, რომლებიც იბრძოდნენ რუსეთის გარდაქმნისათვის პროგრესულ-რევოლუციური გზით, — იდგნენ რევოლუციური დემოკრატები. ლენინი იძლევა ამ ორი ისტორიული ძალის, ორი ისტორიული ტენდენციის ამომწურავ დახასიათებას.

„ლიბერალები, — ამბობს იგი, — ისევე, როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე, ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მ ო ს პ ო ბ ი ს შესახებ, ამ ბატონობის ს რ უ ლ ი დ ა მ ხ ო ბ ი ს შესახებ...

ლიბერალებს უნდოდათ რუსეთი „გაეთავისუფლებინათ" „ზევიდან", არ დაერღვიათ არც მეფის მონარქია, არც მემამულეთა მიწათმფლობელობა და ბატონობა, და მხოლოდ ურჩევდნენ მათ „დაეთმოთ" დროის მოთხოვნილებისათვის. ლიბერალები იყვნენ და დარჩნენ ბურჟუაზიის იდეოლოგებად, ბურჟუაზიისა, რომელსაც არ შეუძლია შეურიგდეს ბატონყმობას, მაგრამ ეშინია რევოლუციისა, ეშინია მასების მოძრაობისა, რასაც შეუძლია მონარქიის დამხობა და მემამულეთა ბატონობის მოსპობა. ამიტომ ლიბერალები სჯერდებიან „რეფორმებისათვის ბრძოლას", „უფლებებისათვის ბრძოლას", ე. ი. მებატონეებსა და ბურჟუაზიას შორის ძალაუფლების გაყოფას"[2].

სულ სხვაგვარია რევოლუციური დემოკრატების ლენინისეული დახასიათება: „თუ მთელი საუკუნეების მონობამ იმდენად დააბეჩავა და დააჩლუნგა გლეხთა მასები, რომ მათ რეფორმის დროს არაფრის უნარი არ შესწევდათ, გარდა დაქსაქსული, განცალკევებული აჯანყებებისა, უფრო კი „ბუნტებისა", რომლებიც არავითარი პოლიტიკური შეგნებით არ იყო გაშუქებული, — სამაგიეროდ მაშინაც იყვნენ რუსეთში რევოლუციონერები, რომელნიც გლეხობის მხარეზე

---

[1] იქვე, გვ. 326.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 128-129.

იდგნენ და რომელთაც ესმოდათ ყბადაღებული „საგლეხო რეფორმის“ მთელი შეზღუდულობა, მთელი უბადრუკობა, მთელი მისი ბატონყმური ხასიათი. მაშინ მეტად მცირერიცხოვან ამ რევოლუციონერებს სათავეში ედგა ნ. გ. ჩერნიშევსკი...

ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრადფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შეჰქმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტი-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას“[1].

ლენინის ამ ნათელმა სახელმძღვანელო აზრებმა ხელი შეუწყვეს საბჭოთა ისტორიკოსებს სწორად გაეგოთ და ღირსეულად დაეფასებიათ 60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატებისა და მათი იდეური ბელადის ნ. ჩერნიშევსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. ამჟამად საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სავსებით გამორკვეული და მეცნიერულად შესწავლილია რუსეთის რევოლუციური დემოკრატების, კერძოდ კი ჩერნიშევსკის პოლიტიკური პროგრამა. მეცნიერ-ისტორიკოსების მიერ საყოველთაოდ აღიარებულია ის აზრი, რომ ნ. ჩერნიშევსკის მემამულეთა მიწათმფლობელობა მიაჩნდა ისტორიულ უკანონობად, უსამართლობად, რაც ადრე თუ გვიან უთუოდ უნდა გასწორებულიყო და მიწის მეპატრონედ გლეხი გამხდარიყო. ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ 1861 წლის რეფორმამდე მიხვდა, რომ მეფის მთავრობა და მემამულეები არ დაუშვებდნენ ისეთი რეფორმების გატარებას, რომელიც გლეხობას დააკმაყოფილებდა და რუსეთის სწრაფ განვითარებას ხელს შეუწყობდა. სწორედ ამიტომ მიაჩნდა მას საჭიროდ რევოლუციური მოქმედება და გლეხთა მოძრაობისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა, რათა ამ გზით დაემხო

[1] იქვე, გვ. 128-130.

მეფისა და მემამულეების ბატონობა და ძალაუფლება გადაეცა დემოკრატიის ხელში.

მაგრამ ასეთი აშკარა რევოლუციური პროგრამით გამოსვლა მაშინდელ პრესაში და ასეთი აზრების ლეგალურად ხალხში ქადაგება იმ დროს, ყოვლად შეუძლებელი საქმე იყო. საბჭოთა მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ ნ. ჩერნიშევსკის არ შეეძლო პრესაში გამოსულიყო თავისი პოლიტიკური პროგრამის ქადაგებით[1]. მას იმის უფლებაც კი არ ჰქონდა, რომ აშკარად გამოეთქვა აზრი, გლეხებს გამოსყიდვის გარეშე (ე. ი. უფასოდ) მიცემოდათ თუნდაც ის მიწები, რომლებსაც ისინი ბატონყმობის დროს ფაქტიურად ფლობდნენ და რომლებიც მათი მამა-პაპის ოფლით იყო მორწყული. ცნობილია, რომ თვით ლიბერალი კაველინიც კი, რომელიც მეფესთან დაახლოებული პირი იყო დასაჯეს იმის გამო, რომ გლეხთა განთავისუფლების მისი პროგრამა ოდნავ განსხვავდებოდა მთავრობის პროგრამისაგან.

ჩერნიშევსკის პროგრამის სრული განხორციელებისათვის საჭირო იყო გლეხობის მძლავრი რევოლუციური მოძრაობა, საყოველთაო-სახალხო აჯანყება, მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითებდა ლენინი, „მაშინ რუსეთში რევოლუციური მ ო ძ რ ა ო ბ ა არარაობამდე სუსტი იყო, ხოლო რევოლუციური კლასი დაჩაგრულ მასებში ჯერ კიდევ სულაც არ არსებობდა“[2]. ასეთ პირობებში რევოლუციური-დემოკრატების ამოცანა არ შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო, თუ არა ისეთი, როგორიც ეს სინამდვილეში იყო და როგორადაც ესმოდათ იგი თვით რევოლუციურ დემოკრატებს, სახელდობრ: ერთი მხრივ, გაეჩაღებინათ არალეგალური რევოლუციური საქმიანობა, შეექმნათ საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციები, მოემზადებიათ რევოლუციონერთა კადრები და ამ გზით დაეჩქარებინათ სახალხო აჯანყება, რასაც ისინი სასოებით მოელოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, აქტიურად ეწარმოებინათ ლეგალური მუშაობა და ყველა შესაძლებელი ლეგალური საშუალებით ებრძოლათ გლეხთა

---

[1] იხ. ამ საკითხზე მკვლევარ ვ. ი. ზევინის ნაშრომი: Политические взгляды и политическая программа Н. Г. Чернышевского, М., 1953 г., გვ. 241, აგრეთვე ე. ნ. ფილატოვის გამოკვლევა — Экономические взгляды Герцена и Огарева, М., 1953 г., გვ. 180.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 126.

ინტერესების თუნდაც ნაწილობრივ დაცვისათვის, ნაწილობრივი დათმობისათვის, მტრის პოზიციის ნაწილობრივ მაინც აღებისათვის, ე. ი. გაეკეთებიათ თავიანთი მიზნის მისაღწევად ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა თვითმპყრობელობის სულისშემხუთავ პირობებში. ამასთან რევოლუციურ დემოკრატებს, რა თქმა უნდა, მშვენივრად ესმოდათ, რომ მათი ლეგალური საქმიანობა, მათი აგიტაცია, მათი ბრძოლა გლეხთა განთავისუფლების პირობების ნაწილობრივ მაინც შემსუბუქებისათვის, ამავე დროს იყო გლეხთა კლასობრივი გათვითცნობიერებისა და, მაშასადამე, გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების მძლავრი საშუალება.

ერთი სიტყვით, ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები იყვნენ ნამდვილი რევოლუციონერები. ხოლო „რევოლუციონერები, — გვასწავლის დიდი ლენინი, — რა თქმა უნდა, არასოდეს არ იტყვიან ღარს რეფორმებისთვის ბრძოლაზე. იმაზე, რომ ხელში ჩაიგდონ მტრის თუნდაც უმნიშვნელო და კერძო პოზიცია, თ უ კ ი ეს პოზიცია გააძლიერებს მათს იერიშს და გაადვილებს სრულ გამარჯვებას“[1].

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩერნიშევსკისა და მისი მიმდევრების, მათ შორის თერგდალეულების ლეგალურ გამოსვლებს, მათ პუბლიცისტურ ნაწერებს, რომლებიც მაშინდელ ლეგალურ პრესაში იბეჭდებოდა და, მაშასადამე, მეფის მთავრობის სასტიკი ცენზურის ქვეშ იყო გატარებული, ვერ მოვთხოვთ პირდაპირ, დაუფარავად და სრულად გადმოგვიშალოს მათი ავტორების პოლიტიკური შეხედულებანი. რევოლუციურ დემოკრატებს ლეგალურ პრესაში შეეძლოთ ეწერათ მხოლოდ ნაწილობრივ და კერძო დათმობებზე, გლეხთა განთავისუფლების პირობების მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე[2]. ამით აიხსნება, რომ ჩერნიშევსკის მრავალ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 81.

[2] ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ გერცენი და ოგარიოვი, რომლებიც ლონდონში ყოველგვარი ცენზურის გარეშე სცემდნენ „კოლოკოლს“. მათ შეეძლოთ თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრები, მაგრამ გერცენს და მის მეგობარ ოგარიოვს ახასიათებდათ ლიბერალური მერყეობა; მათ ერთხანს იმედი ჰქონდათ, რომ გლეხების ინტერესებს დააკმაყოფილებდა თვითონ მეფის მთავრობა და თავად-აზნაურთა შეგნებული ნაწილი, მაგრამ 19 თებერვლის შემდეგ მათაც აშკარად დაინახეს, რომ გლეხობა მოატყუეს და უფრო აქტიურად გააჩაღეს რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლა „მიწისა და თავისუფლებისათვის“.

რიცხოვან ნაწერებში საგლეხო რეფორმის ირგვლივ ლაპარაკია არა ისეთ რევოლუციურ მოთხოვნებზე, როგორიც იყო მემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობა, ან თუნდაც გლეხებისათვის მიწის იმ ნაკვეთების უფასოდ გადაცემა, რომლებიც მათ ბატონყმობის დროს ეჭირათ, არამედ უმთავრესად გლეხთა განთავისუფლების შედარებით „ზომიერ“ პირობებზე, კერძოდ ნადელების გამოსყიდვის ცოტად თუ ბევრად რეალურ ფასზე, გამოსყიდვის საქმეში გლეხობისათვის დახმარების გაწევაზე, ნადელებისა და გადასახადების შედარებით სამართლიან ნორმაზე, გლეხებისათვის ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლების მიცემაზე და სხვა ამის მსგავს საკითხებზე. განსაზღვრულ ფარგლებში ასეთ საკითხებზე მსჯელობა მაშინდელი რუსეთის ცენტრალურ პრესაში ნებადართული იყო, რამდენადაც ამ საკითხებს იხილავდნენ თვითმთავრობისა და თავადაზნაურობის მრავალრიცხოვან კომისიებში და აგრეთვე საზოგადოების ლიბერალურად განწყობილ წრეებში.

აღსანიშნავია, რომ ლიბერალები, რომლებიც იძულებული იყვნენ დროის მოთხოვნილებისათვის გაეწიათ ანგარიში, ხშირად ლაპარაკობდნენ გლეხობისათვის ზოგიერთი მცირე და ნაწილობრივი დათმობის აუცილებლობაზე და ამის გამო თავი მოჰქონდათ გლეხთა ინტერესების დამცველებად. მაგრამ სინამდვილეში მათი პოზიცია ისევე ძირფესვიანად განსხვავდებოდა რევოლუციური დემოკრატების პოზიციისაგან, როგორც ბურჟუაზიის ინტერესები განსხვავდებოდა გლეხობის ინტერესებისაგან. საქმე ისაა, რომ ლიბერალები მცირე და ნაწილობრივ დათმობებს იქით აღარ მიდიოდნენ, ე. ი. კუდმოკვეცილ რეფორმას სჯერდებოდნენ, რევოლუციური დემოკრატები კი ნაწილობრივი დათმობებისათვის ბრძოლას უყურებდნენ როგორც ტაქტიკურ ხაზს, რომელსაც უნდა გამოეღვიძებია გლეხობა და გაეძლიერებია მათი რევოლუციური შეტევა. ამით აიხსნება, რომ, ერთგვარი გარეგნული მსგავსების მიუხედავად, რევოლუციურ დემოკრატთა ლეგალური ნაწერები არსებითად და პრინციპულად განსხვავდება ლიბერალთა ნაწერებისაგან, ჩერნიშევსკი და მისი მიმდევრები, მათ შორის ჩვენი თერგდალეულები, ახერხებდნენ საცენზურო დაბრკოლებათა გადალახვას და თავიანთ ნაწერებში გარკვევით ატარებდნენ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ მასების ბრძოლის იდეას, გლეხთა რევოლუციის იდეას.

საქართველოში საცენზურო პირობები კიდევ უფრო მკაცრი იყო, ვიდრე რუსეთში. მიუხედავად ამისა, თერგდალეულებმა მოახერხეს ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ხაზის გატარება არა მარტო თავიანთ მხატვრულ ნაწერებში (სადაც შედარებით ადვილი იყო ბეცი ცენზორებისათვის თვალის ახვევა), არამედ პუბლიცისტურ წერილებშიც და აგრეთვე ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში ანონიმურად წარდგენილ ფრიად საინტერესო დოკუმენტში.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო კონკრეტულად.

თერგდალეულთა ლეგალურ პუბლიცისტურ ნაწერებში გარკვევით გამოსჭვივის ის რევოლუციურ-დემოკრატიული აზრი, რომ მემამულეთა მიწათმოქმედება დამყარებულია უკანონობასა და უსამართლობაზე და რომ ადრე თუ გვიან ეს უსამართლობა უნდა გასწორდეს და მიწის მეპატრონედ გახდეს გლეხი. ამის მაგალითები მრავლად არის გაბნეული თერგდალეულთა ნაწერებში. მაგალითისათვის შეგვიძლია მივუთითოთ ი. ჭავჭავაძის ისეთ საყურადღებო ეკონომიურ ნაშრომებზე, როგორიცაა: „ირლანდია და ინგლისი", „ცხოვრება და კანონი",, „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა", „ხიზნების საქმე" და მრავალი სხვა. აი, რას ამბობს, მაგალითად, ილია წერილში „ხიზნების საქმის თაობაზე".

„მეცნიერთა გამოკვლევით, საკუთრებას ორი ელემენტი აქვს: ერთი საზოგადოებრივი, ანუ თემობრივი, და მეორე კერძოობრივი. ყველგან პირველ-ჟამურ თემთა შორის—აზიაში, აფრიკაში, თუ ევროპაში — თემობრივს თვისებას საკუთრებისას სჭერია უპირველესი ადგილი. ინდოელებს, სლავიანებს, გერმანელებს მიწა სათემო საკუთრებად ჰქონიათ ისე, როგორც დღეს რუსეთშია და იავას კუნძულზედა. თვითეულს თემის კაცის სახლობას წილად ხდომილი მიწა სჭერია დროებით. დროგამოშვებით, ეგრე გაწილადებულს მიწებს ისევ თემი დაიბრუნებდა ხოლმე და ხელახლად დაუყოფდა წილის-ყრით თემის კაცებს, რომ თითოეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა. თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ სახით დამკვიდრებულიიყო, მეტ-ნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შეღობილი ჰქონდა; მიწის მშრომელი და მიწის-მფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო (ხაზი ჩემია — პ რ.). უმამულობა ამ-გვარს წყობაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა.

დროთა მიმავლობაში ეს წყობა შეიცვალა და კერძოობრივმა საკუთრებამ ძირი გაიკეთა...

რაკი კერძო საკუთრება შეეპარა სათემო მფლობელობას, მას მერმეთ — დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტაციობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება კერძოობითი. ეს კერძოდ დარჩება მამულებისა დროთა მიმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლეს ჩამოართვა თითქმის მიწები და უმცირესს დაულოცა...

ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა"[1].

მაგრამ რა გზით უნდა გასწორდეს ეს უსამართლობა? რა საშუალებით უნდა მოეღოს ბოლო დიდკაცობის მძლავრობას და დაუბრუნდეს მიწა მიწის მშრომელს?

ვინც ყურადღებით წაიკითხავს თერგდალეულთა 60-იანი წლების ნაწერებს, მისთვის ძნელი არ იქნება იპოვოს ამ კითხვების პასუხი. თავიც რომ დავანებოთ თერგდალეულთა მხატვრულ ნაწარმოებებს (ისეთებს, მაგალითად, როგორიცაა „აჩრდილი", „კაკო ყაჩაღი". და სხვ.), რომლებშიც სრულიად გარკვევითაა გატარებული გლეხთა რევოლუციის იდეა, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ასეთივე იდეა ვიპოვოთ მათ პუბლიცისტურ წერილებში. გავიხსენოთ, მაგალითად, ილიას „საქართველოს მოამბე" და ის ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ამ ჟურნალში იბეჭდებოდა.

„საქართველოს მოამბეში" საუბარი იყო სხვადასხვა ქვეყნების ისტორიასა და ცხოვრებაზე, მაგრამ თითქმის ყველგან საქართველოს ისტორია და საქართველოს ცხოვრება იგულისხმებოდა; იქ ლაპარაკი იყო დიდი ერების მიერ პატარა ერების ჩაგვრის უკანონობაზე, მდიდრების მიერ ღარიბების ექსპლოატაციის უსამართლობაზე, დემოკრატიაზე, რესპუბლიკურ წყობილებაზე, რევოლუციაზე, კომუნაზე და ყველაფერ ამაში საქართველოს ცხოვრება, მისი აწმყო თუ მომავალი იგულისხმებოდა.

აბა, დააკვირდით დავით ყიფიანის ამ სიტყვებს: „ჩვენ რასაც

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1952 წ., გვ. 298—302.

ვიტყვით, მკითხველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ყოველის ფერში, მეტადრე ლიტერატურაში, ჩვენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში; ამისათვის, გთხოვ, რომ სხვადასხვა ქვეყნებისა სხვადასხვა დროებაში მდგომარეობა, მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოგიდგინო ხოლმე, მოიფიქრე ხოლმე შენ ქვეყანაზე, ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე, იმის თანამედროვე მაცოცხლებელსა თუ მამაკვდინებელ აზრებზე, თუცა უაზრობაზე, მოიფიქრე ხოლმე და შენ ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ"[1].

ამ სიტყვების შემდეგ ავტორი ქართველ მკითხველს აწოდებს საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესის მეტად საინტერესო და დამაფიქრებელ მიმოხილვას, რომელშიც ის აზრია გატარებული, რომ ისტორიის შემოქმედი ხალხია და რომ ხალხმა ძალით უნდა მოსპოს ქვეყნად უსამართლობა და დაამყაროს თანასწორობა. ამ შესანიშნავი წერილის ქვინტესეციაა ის ადგილი, სადაც ავტორი მიუთითებს საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაზე როგორც იმდროინდელი საზოგადოების წინააღმდეგობათა გადაჭრის საუკეთესო მეთოდზე. წარმოუდგენელია მაშინდელი ცენზურის პირობებში რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისის იმაზე ნათლად ჩამოყალიბება, ვიდრე ამას დ. ყიფიანი სჩადის. მოვუსმინოთ:

„...და რაკი, როგორც ზემოთა ვსთქვით, საზოგადოებაში უსამართლობა, დაწყობილობის ურიგობა იქამდინ მივიდა, რომ ხალხსა თავის დამონებაში ლუკმა პურის მოგების ღონისძიება აღარა ჰქონდა — მაშინ მოხდა ფრანციელების საზოგადო აღრევა, რევოლუცია. საზოგადოების დაწყებულებაში ყოველ წესიერებას იჭვი ჩაუგდეს და გარდააგდეს ყოველი ძველებური დაწყებულება, და რასაც მაშინდელი თანამედროვე სამართლიანობა მოითხოვდა, საზოგადოების რიგი ისე დააწყეს. მაშინ განხორციელდა ხალხში ყოველი ზნეობის სამოქალაქო სარწმუნოება: პატივისცემა კაცისა, როგორც კაცისა, და მეტადრე — როგორც საზოგადოების წევრისა.

მაშინ წამოდგა თავისუფლება როგორც კაცისა კერძოობით, ისე ხალხისა საზოგადოდ. მასუკან ამ საუკუნეებისაგან შედგენილ მო-

---

[1] „საქართველოს მომბე", № 4, გვ. 96-96.

თხოვნილების განხორციელებასა და განვრცელებასა (ხაზი ჩემია — პ. რ.) დაადგა კაცი"[1].

კიდევ უფრო საინტერესოა კირილე ლორთქიფანიძის სტატია „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა", რომელშიც იშვიათი გაბედულებითაა გადმოცემული რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებანი. ავტორის მიზანს, რა თქმა უნდა, არ შეადგენს ამერიკის ისტორიის პრობლემების გარკვევა; ამერიკის ისტორია მხოლოდ საბაბია, ფონია, რომელსაც კ. ლორთქიფანიძე მარჯვედ და მოხერხებულად იყენებს რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის. მაგალითად, როგორც კი ავტორი სიტყვა „პარლამენტს" ახსენებს, მაშინვე იძლევა სქოლიოში ამ სიტყვის განმარტებას; განმარტება კი ისეთია, რომ პირდაპირ ეხმაურება ჩერნიშევსკის პროკლამაციას „Барскім крестьянам." მოვუსმინოთ:

„პარლამენტი ჰქვიან წარმომადგენლობითს კრებას. ე. ი. იმ პირთ კრებას, რომელნიც გამოირჩია ხალხმა იმისთვის, რომ ისინი იყვნენ ხალხის სურვილის და ჰაზრის წარმომადგენელნი. რომ იმათ ისე განსაჯონ ყოველივე საზოგადო საქმე, როგორც ხალხს უნდა და როგორც ხალხის საჭიროება მოითხოვს. ძველს საბერძნეთის სახელმწიფოებში, ათინასა და სპარტაში, ყოველივე საზოგადო საქმეს სწყვეტდა თვითონ ხალხი... ევროპიულს სახელმწიფოებში წარმომადგენლობას აღარა აქვს არც ის იდეალური გარეგანი ფორმა, არც შინაგანი არსება. წარმომადგენლობა უნდა იყოს ხალხის ჰაზრის და ნების გამომთქმელი. თვითონ წარმომადგენლობის ჰაზრი მოითხოვს, რომ წარმომადგენლობითს კრებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული აღსრულებითი უფლება, ამგვარად არის მხოლოდ ინგლისში, ჩრდილოეთის ამერიკის და შვეიცარიის შტატებში. ინგლისში თუმცა ხელმწიფება არის მემკვიდრეობითი, მაგრამ კოროლს არაფერი არ შეუძლიან უპარლამენტოდ. ამერიკაში პრეზიდენტია ხალხისაგან ამორჩეული და თავის ნებაზედ მოქმედება სრულიად არ შეუძლიან. ამ გვარადვე უჭირავს ხალხს ხელში აღსრულებითი უფლება შვეიცარიის შტატებშიც"[2].

ამგვარადვეა ავტორის მიერ განმარტებული ცნებები: „კონსტიტუცია", „დემოკრატია", „კოლონია" და ა. შ.

---

[1] იქვე, გვ. 106-107.

[2] „საქართველოს მოამბე", № 11, გვ. 38-39.

განსაკუთრებით საინტერესოა „კომმუნის“ განმარტება. აი, ეს ადგილიც (მოგვყავს შემოკლებით):

„ვსთქვათ რომ არის ერთი საზოგადოება, რომელშიაც კერძოობითი საკუთრება არ არის, ე. ი. საცა მიწა საზიარაა (საერთო, დაუყოფელი), საცა საზოგადოების წევრები ყველაფერს ზიარად მუშაობენ და შრომის ნაყოფს ზიარად ხარჯავენ, საცა ყველა წევრები თანასწორი სიმართლით სარგებლობენ, ყმაწვილებს საზოგადო ხარჯზედ ზრდიან და ასწავლიან, მმართველობა და მსაჯულება თვითონ ხალხს ეკუთვნის, აი ამისთანა საზოგადოებას უწოდებენ „კომმუნას“. ძველს დროში ყოველს ხალხის საზოგადოებებს რაღაც ამისი მზგავსი დაწყობილება ჰქონიათ ე. ი. კომმუნური, და ახლაც არის ზოგიერთს ხალხში... მუდამ ყოფილან და არიან კიდეც იმისთანა კაცები, რომელნიც სრულს კომმუნურს დაწყობილობაჟი ხედვენ ზოგად-წყობილების იდეალსა, და ამბობენ, რომ კაცობრივობა ამ იდეალისაკენ მიისწრაფისო, რომ კაცობრივობის ზოგად-წყობილების პროგრესსი, წინ მსვლელობა ის არისო, რომ ახლდებოდესო ძველებური კომმუნური წყობილება, მაგრამ ამასთანავე უფრო იხსნებოდესო, უფრო სისრულეში მოდიოდესო. — კაცობრივობას ჯერ ვერ მიუწვევიაო ამ იდეალთან სხვადასხვა გარეგან გარემოებების გამო და ამისათვის ყოველი კაცი იმას უნდა სცდილობდესო, რომ ეს გარემოებები ღობესავით გადაამტვრიოსო (ხაზი ჩემია — პ. რ.). მაგრამ იმათ ვინ აჰყვება“.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა („იმათ ვინი აჰყვებაო“) ცენზურის თვალისასახვევადაა აქ ნათქვამი, მთელი დანარჩენი მსჯელობა კი კომუნისტური იდეების (იგულისხმება, ცხადია, უტოპიური კომუნიზმი) შეგნებული და წინასწარ განზრახული პროპაგანდაა.

ასეთი აზრების ქადაგება ჯერ კიდევ 1863 წელს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნამდვილ რევოლუციურ-დემოკრატებს შეეძლოთ.

ამის მსგავსი მაგალითები, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ, რომ თერგდალეულები იდგნენ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რევოლუციური გზით დამხობის, მემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობისა და დემოკრატიული წყობილების დამყარების რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე, მრავლად არის გაბნეული მათს ნაწერებში. შემთხვევითი როდი იყო, რომ ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1861 წელს „მგზავრის წერილებში“ ამბობდა“, რევოლუცია და-

წყნარების სათავეაო". რევოლუციის იდეით იმ დროს გაჟღენთილი იყო თერგდალეულთა მთელი ლიტერატურა.

მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკის პოლიტიკურ პროგრამაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მოთხოვნას გლეხებისათვის იმ მიწების უფასოდ გადაცემის შესახებ, რომლებსაც ისინი ბატონყმობის დროს ფაქტიურად ფლობდნენ. თერგდალეულები მთლიანად და სავსებით იზიარებდნენ ჩერნიშევსკის პროგრამის ამ პუნქტსაც და აქტიურად იბრძოდნენ იმისათვის, რომ გლეხებს უფასოდ ყოველგვარი გამოსყიდვისა და ჩამონაჭრების გარეშე მიეღოთ მათი მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყული მიწა. ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ნ. ნიკოლაძის შესანიშნავი წერილი, რომელიც „კოლოკოლის" ფურცლებზე დაიბეჭდა და რომელშიც უდავოდ თერგდალეულთა საერთო აზრია გამოხატული:

„რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება ყოველად შეუძლებელი იყო, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — რუსეთის მთავრობამ... გლეხთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები... რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება"[1]. შემდეგ ავტორი მკაცრად აკრიტიკებს გლეხთა განთავისუფლების დებულებას, რომელმაც, მისი სიტყვით, „ახალი ბატონყმობა" დაამყარა, და განაგრძობს: „რ ო ცა მ თ ა ვ რ ო ბ ა მ გ ლ ე ხ ებ ს მ ი წ ა წ ა ა რ თ ვ ა დ ა ი გ ი თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა ს დ ა უ მ ტ კ ი ც ა (ხაზი ჩემია. — პ. რ.) მთავრობას ის მაინც უნდა ექნა, რომ რაიმე დაეკანონებია გამოსყიდვის შესახებ და ამასთანავე ხელი შეეწყო გლეხებისათვის ფულის სესხით"[2].

აქედან ცხადია, რომ, თერგდალეულების აზრით, მიწა გლეხისაა, მას ეკუთვნის, მაგრამ მთავრობამ მას ძალით წაართვა იგი და გადასცა თავადაზნაურობას. საკითხის სწორედ ასეთ გაგებას ვხვდებით ი. ჭავჭავაძის ნაწერებშიც. ილია არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა, „საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის—პატრონად შეიქ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 177.

[2] იქვე, გვ. 181.

შესო"[1]. ნ. ნიკოლაძის მსგავსად, ილიაც მკაცრად აკრიტიკებდა საგლეხო რეფორმას სწორედ იმის გამო, რომ რეფორმის დროს „გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს"[2].

აქედან ცხადია, რომ თერგდალეულები ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებშიც სავსებით ჩერნიშევსკის რევოლუციური პროგრამის სიმაღლეზე არიან.

ასეთია თერგდალეულების მიერ 60-იანი წლების ძირითადი სოციალური საკითხის პრინციპული დაყენება და გადაწყვეტა, რაც მათ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდში აყენებს.

რაც შეეხება თერგდალეულთა შეხედულებებს ისეთ კერძო საკითხებში, რომლებიც რეფორმის დროს ნაწილობრივი დათმობებისა და გლეხთა ინტერესების ნაწილობრივი დაცვის სფეროს განეკუთვნებიან (ნადელისა და გადასახადების ნორმა, გამოსყიდვის შეღავათიანი პირობები, ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება და სხვა მისთანები), — მათი შეხედულებები ამ კერძო საკითხებშიც სავსებით ემთხვევა ნ. ჩერნიშევსკისა და მისი გამოჩენილი თანამებრძოლების შეხედულებებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ცნობილი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ილია ჭავჭავაძის კალამს უნდა ეკუთვნოდეს და რომელიც 1864 წლის 6 მაისს ანონიმურად იყო შეტანილი ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში; მხედველობაში გვაქვს „Критические замечания по параграфам предварительного проэкта местного положения о поземельном устройстве крестьян водворенных на помещичьих землях в Тифлисской губернии". ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შინაარსისა და ღირსება-ნაკლოვანებების აღნუსხვას, რადგან ეს ცალკე გამოკვლევის საგანია, მაგრამ ამას კი გაბედვით ვიტყვით, რომ მისი შინაარსი თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციის, გლეხთა ინტერესებისათვის მათი თავდადებული ბრძოლის საუკეთესო ილუსტრაციაა.

ამრიგად, ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, რომ თერგდალეულები ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1952 წ., გვ. 241.

[2] იქვე, გვ. 233.

რომელიც 60-იანი წლების რუსეთის უმთავრესი საზოგადოებრივი საკითხი იყო, ისეთსავე მოწინავე პოზიციებზე იდგნენ და ისეთსავე რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებს აყენებენ, როგორც რუსეთის დიდი რევოლუციური დემოკრატები, რომელთა სათავეში სახელოვანი ნ. გ. ჩერნიშევსკი იდგა. მართალია მაშინდელმა რევოლუციონერებმა, მათ შორის თერგდალეულებმა, ვერ მიაღწიეს თავის მიზანს, გლეხობამ ვერ ითამაშა დამოუკიდებელი რევოლუციური როლი, რეფორმა კუდშეკეცილი აღმოჩნდა და საჭირო გახდა კიდევ რამდენიმე ათეული წლის მედგარი ბრძოლა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, რათა განხორციელებულიყო ის დიდი ამოცანა, რომელიც ისტორიამ წამოაყენა და რომლის გადაწყვეტისათვის ჩერნიშევსკის თაობა იბრძოდა, მაგრამ ამის მიუხედავად 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატთა როლი მაინც უდიდესია. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „61 წლის რევოლუციონერები ერთეულებად დარჩნენ და მათ, თითქოს, სრული დამარცხებაც განიცადეს. ნამდვილად კი სწორედ ისინი იყვნენ იმ ეპოქის დიდი მოღვაწენი, და რაც უფრო ვშორდებით იმ ეპოქას, მით უფრო ცხადი ხდება ჩვენთვის მათი სიდიადე“.[1]

3. ეროვნული საკითხი. ბრძოლა ქართველი ხალხის თავისუფლებისა და თვითმყოფობისათვის.

მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც აგრეთვე უაღრესად მწვავედ იდგა როგორც რუსეთის, ისე განსაკუთრებით რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი ერების მოწინავე მოღვაწეების წინაშე გასული საუკუნის 60-იან წლებში, ეს იყო ეროვნული (ნაციონალური) საკითხი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული უთანასწორობის მოსპობის საკითხი, ცარიზმის მიერ ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საკითხი, ერთა შორის უთანასწორობისა და მეგობრული კავშირ-ურთიერთობის დამყარების საკითხი. კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთის იმპერიაში და ამასთან დაკავშირებით იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ერთა კონსოლიდაციის პროცესმა, ეს საკითხი წამოაყენა როგორც იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და სა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 134.

ჭირბოროტო საკითხი, რომელიც ადრე თუ გვიან გადაჭრას მოითხოვდა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული საკითხი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჯერ კიდევ ამ მოძრაობის პირველ, თავადაზნაურულ პერიოდში აღმოცენდა. უკვე პოლონეთის 1830—1831 წლის აჯანყებამ ნაციონალური საკითხი მკვეთრად დააყენა რუსეთის მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში. ამ საკითხის გადაჭრის პირველი ცდა ეკუთვნის რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული ეტაპის რევოლუციონერებს — სახელოვან დეკაბრისტებს, რომლებმაც წამოაყენეს პოლონეთის დამოუკიდებლობის ლოზუნგი და პრაქტიკულადაც სცადეს დაემყარებიათ კავშირი პოლონელ რევოლუციონერებთან იმ მიზნით, რომ საერთო ძალ-ღონით გამოსულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ დეკაბრისტებმა ვერ შესძლეს მოეცათ ეროვნული საკითხის ნამდვილად დემოკრატიული გადაწყვეტა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სავსებით გამორკვეულია ის მიზეზები, რამაც დეკაბრისტების ისტორიული შეზღუდულობა გამოიწვია და ხელი შეუშალა მათ. გადაეწყვიტათ ეროვნული საკითხი დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად. როგორც სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი ი. შჩიპანოვი, „დეკაბრისტები ეროვნებათა შორის მტრობის მოწინააღმდეგენი იყვნენ. ისინი გმობდნენ მეფის მთავრობას პოლონელი ხალხის მიმართ გამოჩენილი სისასტიკისათვის, მაგრამ მათ მიერ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა თავადაზნაურული შეზღუდულობით ხასიათდებოდა“.[1] ამ აზრს კიდევ უფრო ნათლად აყალიბებს და თანაც შემდგომ ანვითარებს მკვლევარი ლ. მედვედსკაია, რომელიც ამბობს: „თავადაზნაურულმა შეზღუდულობამ, რაც მთლიანად დეკაბრისტთა მთელ რევოლუციურ მოძრაობას ახასიათებდა, თავი იჩინა მათს შეხედულებებშიც პოლონეთის საკითხზე და გავლენა მოახდინა პოლონელებთან მათი ურთიერთობის პრაქტიკაზე, რაც, კერძოდ, გამოიხატა ჯერ კიდევ აღმოუფხვრელ დიდმპყრობელურ ტენდენციებში“.[1]

აქედან ცხადია, რომ თავადაზნაურულმა რევოლუციონერებმა

---

[1] Избранные социально-политические и философские произведения декабристов, т. 1, М. 1951 г., стр. 35.

[2] Очерки из истории движения декабристов, М., 1954 г., стр. 319.

(დეკაბრისტებმა) პოლონეთის საკითხშიც კი ვერ შესძლეს ბოლო-მდე დაეძლიათ იმდროინდელ ოფიციალურ რუსეთში გაბატონებული დიდმპყრობელური ტენდენციები. ხოლო რაც შეეხება რუსეთის იმ-პერიაში შემავალ მცირე ერებს, რომლებსაც არ შეეძლოთ ეროვნუ-ლი თავისუფლებისათვის ბრძოლაში პოლონეთის ოდენი ენერგია გამოეჩინათ, მათი ეროვნული ინტერესები დეკაბრისტების მიერ სრულებით უგულველყოფილი იყო. ამ აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონაწერს პ. ი. პესტელის „რუსკაია პრავდიდან", რომ-ელიც, როგორც ცნობილია, დეკაბრისტების ყველაზე მნიშვნელოვანი და რადიკალური საპროგრამო დოკუმენტია.

„ხალხები, — ნათქვამია ხსენებულ დოკუმენტში, — რომლე-ბიც დიდი სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში იმყოფებიან და წარმო-შობით ეკუთვნიან არა მასში გაბატონებულ ტომს, არამედ სხვა ტო-მებს, ყოველთვის მოსურნენი არიან მოიპოვონ დამოუკიდებლობა და ცალკე პოლიტიკური არსებობა, ემყარებიან რა უფლებას შეად-გინონ განსაკუთრებული სახელმწიფო და უწოდებენ რა მას ეროვ-ნულობის უფლებას... ეროვნულობის უფლება ჭეშმარიტად მარტო იმ ხალხებისათვის არსებობს, რომლებსაც, სარგებლობენ რა ამ უფ-ლებით, შესაძლებლობა აქვთ შეინარჩუნონ. იგი... ტომები, რომლე-ბიც დიდი სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში არიან და რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი სისუსტის გამო ისარგებლონ თავისთავადი პოლიტიკური დამოუკიდებლობით და იძულებულნი არიან, მაშასა-დამე, აუცილებლად იყვნენ რომელიმე დიდი მეზობელი სახელმწი-ფოს მფლობელობაში ან მფარველობაში, არ შეიძლება იქნან დაცუ-ლი ეროვნული უფლებით, რადგან ეს უფლება მათთვის მოჩვენე-ბითი და არ არსებულია... ამიტომაც უკეთესი და სასარგებლო იქნე-ბა თვითონ მათთვის, როცა ისინი შეუერთდებიან სულიერად და სა-ზოგადოებით დიდ სახელმწიფოს და საკუთარ შეურევენ (сольют) თავის ნაციონალობას გაბატონებულ ნაციონალობასთან, შეადგენენ რა მასთან მხოლოდ ერთ ხალხს და თავს დაანებებენ რა უსარგებლო ოცნებას შეუძლებელ და შეუსრულებელ საქმეზე".[1]

საკითხის ამგვარ გადაწყვეტას პესტელი ხსნის რუსეთის სახელ-მწიფოს „უშიშროების ინტერესებით", მაგრამ ეს გარემოება, ცხა-

---

[1] Избранные социально-политические и философские произведения декабристов, т. II, 1951, стр. 87-88.

,დია, არ სცვლის ეროვნულ საკითხში დეკაბრისტთა პოზიციის ,ერსს; ძნელი მისახვედრი არაა, რომ ხსენებულ დოკუმენტს, ისევე როგორც მთლიანად დეკაბრისტების საზოგადოებრივ შეხედულებებს, აშკარად აჩნევია თავადაზნაურული შეზღუდულობისა და დიდმპყრობელური პოლიტიკის კვალი.

აქედან ცხადია, რომ დეკაბრისტების პროგრამა ეროვნულ საკითხში ვერ მიიზიდავდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელ მოღვაწეებს, რომელთა წინაშე ეროვნული საკითხი იმთავითვე მწვავედ იყო დასმული. ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში, როცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფ· ლებელი მოძრაობა ის-ის იყო ისახებოდა, მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიცია ეროვნულ საკითხში. მაგალითად, ფრიად საინტერესო პროკლამაციაში, რომელიც ს. დოდაშვილს ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს, ნათქვამია: „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი. მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქონდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა. რაისათვის არს ესე ესრეთ, ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა პაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა რაისათვის ვცოცხალვართ“.[1]

ამ პროკლამაციიდან, აგრეთვე მრავალი სხვა დოკუმენტიდან ნათელია, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი, თავადაზნაურული ეტაპის რევოლუციონერებმა სრულიად გარკვევით წამოაყენეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებმა კარგად იცოდ-

---

[1] გ. გოზალაშვილი, „1932 წლის შეთქმულება“, გვ. 95-96.

ნენ, რომ მათი საკუთარი ძალები არ კმაროდა თვითმპყრობელობის ძლიერი სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ისინი განსაკუთრებულს იმედებს ამყარებდნენ პოლონეთის 1830—1831 წლის აჯანყებაზე და თავიანთი გეგმების განხორციელებას პოლონელთა წარმატებას უკავშირებდნენ; ამითვე უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ქართველმა შეთქმულებმა იმედით მიაპყრეს თვალი დეკაბრისტებს, რომლებმაც საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ აღმართეს იარაღი.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამორკვეულია, რომ დეკაბრისტებმა 1832 წლის შეთქმულებაზე გარკვეული იდეური გავლენა მოახდინეს. როგორც შეთქმულების გამოძიების მასალებიდან ირკვევა, შეთქმულთა ერთ ნაწილში ის აზრიც კი ტრიალებდა, რომ დეკაბრისტები მათ დახმარებას გაუწევდნენ ეროვნული თავისუფლების მოპოვებაში. მაგალითად, დაპატიმრებულმა ანტონ აფხაზმა თავის ჩვენებაში დაადასტურა, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებული ზაქარია ჩოლოყაშვილი დანარჩენ შეთქმულებს არწმუნებდა, თითქოს „პესტელი ურჩევდა, რომ აუცილებლად პოლონეთი, საქართველო და სხვა ოლქები მათ მფლობელთ უნდა დაუბრუნდეთ, ხოლო ძირითადი გუბერნიები, რომლებიც მოსკოვთან ახლო არიან, რუსეთს უნდა დარჩესო“.[1] ეს ფაქტი მოწმობს, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ერთ ნაწილს მაინც იმედი ჰქონდა დეკაბრისტების მხარდაჭერისა და დახმარებისა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ეს იმედი ძალიან სუსტი და, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული იყო. ამიტომ რაიმე სერიოზული იდეურ-ორგანიზაციული კავშირი და თანამშრომლობა დეკაბრისტებსა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის მოღვაწეებს შორის არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. ქართველ შეთქმულებს (ყოველ შემთხვევაში მათ ნაწილს მაინც) დეკაბრისტებთან აახლოვებდა და ანათესავებდა თვითმპყრობელობისადმი სიძულვილი და დესპოტური სახელმწიფოს რესპუბლიკური წყობილებით შეცვლის სურვილი. მაგრამ ჩვენებურ შეთქმულთა პროგრამაში მთავარი და გადამწყვეტი საკითხი იყო საქართველოს

[1] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 63.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება (ბატონყმობის მოსპობის საკითხი მათ ნაკლებად აწუხებდათ); დეკაბრისტები კი სწორედ ამ პუნქტებში, ე. ი. ეროვნულ საკითხში დიამეტრალურად შორდებოდნენ მათ.

მაშასადამე, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ, თავადაზნაურულ პერიოდში (რომელსაც ძირითადად ემთხვევა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი, თავადაზნაურული პერიოდიც) ჯერ კიდევ არ არსებობდა პირობები რუსეთისა და საქართველოს მოწინავე, რევოლუციური ძალების ურთიერთ დაახლოვებისა და ერთობლივი მოქმედებისათვის. ასეთი პირობები შეიქმნა განმათავისუფლებელი მოძრაობის მხოლოდ მეორე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ანუ რაზნოჩინულ ეტაპზე, როცა, ერთი მხრივ, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა (განსაკუთრებით კი ნ. გ. ჩერნიშევსკიმ) შეიმუშავეს ნაციონალური საკითხის გადაჭრის დემოკრატიული პროგრამა და უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თერგდალეულებმა — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპის წარმომადგენლებმა, როგორც ზემოთ დავინახეთ, გააჩაღეს შეუპოვარი ბრძოლა ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსასპობად. ამიერიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის რევოლუციურ განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის ერთ-ერთ შენაკადად, მის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და გასაგებია, რომ ჩერნიშევსკის ბინა 60-იან წლებში ანდამატივით იზიდავდა ქართველ რევოლუციონერებს, რომლებიც განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ამ გამოჩენილ ბელადს, ხოლო თავის მხრივ ჩერნიშევსკიც ასე ფართოდ უღებდა თავისი ოჯახის კარებს ქართველ რევოლუციონერებს.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო კონკრეტულად.

როგორც ცნობილია, უკვე გასული საუკუნის 40—50-იან წლებში რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას დაეტყო ახალი ნიშნები, რაც თავადაზნაურული რევოლუციურობის დემოკრატიულ რევოლუციურობაში გადაზრდის აშკარა მაჩვენებელი იყო. სწორედ

ამ ხანებში აღმოცენდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია და ჩაისახა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა, რომლის მთავარი მიზანი ყმა გლეხობის ინტერესების დაცვა იყო. ახალ იდეოლოგიას არ შეეძლო გვერდი აევლო ეროვნული საკითხისათვის იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ცარიზმი სულ უფრო და უფრო აძლიერებდა კოლონიურ პოლიტიკას, რაზედაც კაპიტალიზმის განვითარებით გამოღვიძებული და შემჭიდროებული ჩაგრული ხალხები ეროვნული მოძრაობის გაძლიერებით უპასუხებდნენ, ხოლო მეორეც, — ეროვნული საკითხი ამ დროს უკვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის ჩაგრული ერების მშრომელი მასების, პირველ რიგში კი გლეხობის ინტერესების დაცვასთან. მაშასადამე, თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგი ეროვნული საკითხის დემოკრატიულ საფუძველზე გადაჭრის აუცილებლობა.

განსაკუთრებით მწვავედ ეროვნული საკითხი რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის წინაშე დაისვა 60-იანი წლების დამდეგს, როცა პოლონელმა პატრიოტებმა კვლავ ააფრიალეს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა. იმავე ხანებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა უკრაინაში, ფინეთში, საქართველოში და რუსეთის იმპერიის სხვა არარუს ხალხებში, რასაც აქტიურად უჭერდნენ მხარს გამოჩენილი რუსი რევოლუციური დემოკრატები.

ცარიზმის მიერ შევიწროებული და დაჩაგრული ხალხებისათვის გრანდიოზული მნიშვნელობა ჰქონდა გერცენისა და ოგარიოვის მიერ „კოლოკოლის“ ფურცლებზე გაჩაღებულ ბრძოლას აჯანყებული პოლონეთის დასაცავად. ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს ვ. ი. ლენინის შემდეგი შესანიშნავი სიტყვებიდან:

„როცა რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ერთბაშად ჩამოშორდა გერცენს პოლონეთის დაცვისათვის, როცა მთელმა „განათლებულმა საზოგადოებამ“ ზურგი შეაქცია „კოლოკოლს“, გერცენი არ შეიდრკალა. იგი განაგრძობდა პოლონეთის თავისუფლების დაცვას და ალექსანდრე II-ის მსახურ დამწყნარებელთა, ჯალათთა, ჩამომხრჩობთა გამათრახებას. გერცენმა იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება“.[1]

გერცენის მხარდაჭერას დიდად აფასებდნენ პოლონეთის რე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 17

ოლუციონერი-დემოკრატები. გერცენში ისინი ხედავდნენ თავიანთ მოკავშირეს და მეგობარს. აი, მაგალითად, რა განაცხადა პოლონეთის რევოლუციური დემოკრატიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა 1862 წლის 3 იანვარს გერცენის ვაჟის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე ჟ. ჰაიდელბერგში: „...გერცენი და ყოველი ადამიანი, რომლებიც იზიარებენ მის შეხედულებებს, — ჩვენი მოკავშირეები არიან, მათ და ჩვენ ერთი მტერი გვყავს — ესაა დესპოტიზმი, ერთნაირი აწმყო გვაქვს — ესაა საერთო ჩაგვრა, დაბოლოს, ჩვენი მიზნებიც თითქმის ერთნაირია, რადგან თქვენ გსურთ დესპოტიზმის დამხობა, რომელიც სულს უხუთავს თქვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას, ჩვენ კი გვსურს ჩვენი ხალხის თვითმყოფობის აღდგენა, ურომლისოდაც თავისუფლება და თანასწორობა ჩვენთვის, და ალბათ, თქვენთვისაც, — წარმოუდგენელია“.[1]

ამ საინტერესო განცხადებიდან მშვენივრად ჩანს, თუ როგორ გადაეჯაჭვა 60-იან წლებში ერთი მეორეს რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა და რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუსი რევოლუციური დემოკრატები მბარს უჭერდნენ, არა მარტო პოლონეთის, არამედ რუსეთის იმპერიის ყველა ჩაგრული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. აი, მაგალითად, რას ამბობდა გერცენის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ოგარიოვი 1863 წელს ფინეთის შესახებ: „ჩვენთვის ფინეთის დამოუკიდებლობა ისეთივე ძვირფასს, შინაგან აზრად და მიზნად იქცევა, როგორც ფინებისათვის რუსეთის ძირფესვიანი გარდაქმნა პეტერბურგის რუსეთიდან სახალხო და ფედერატიულ რუსეთად“.[2]

ოგარიოვის ეს აზრი ფინეთის მიმართ უდავოდ გამოხატავს რუსი რევოლუციური დემოკრატების საერთო აზრს და შეიძლება განმეორებული იქნას რუსეთის იმპერიის დანარჩენი ჩაგრული ერების მიმართაც. ოგარიოვის სიტყვებიდან ნათლად ჩანს არა მარტო მისი და მისი თანამებრძოლების უდავო მხარდაჭერა ფინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, არამედ, თავის მხრივ, ფინეთის მოწინავე ადამიანთა პირდაპირი დაინტერესებაც რუსეთის

---

[1] «Литературное наследство», т. 64, стр. 758.

[2] «Литературное наследство», т. 61, стр. 521.

ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნით და მათი იდეური სიახლოვე რუსეთის რევოლუციური დემოკრატიისადმი.

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს ეროვნული განთავისუფლების საკითხს, უდავოა, რომ ეს საკითხიც რეალურად იდგა რუსეთის რევოლუციური დემოკრატების წინაშე ჯერ კიდევ 1861 წლის საგლეხო რეფორმამდე. ამას მოწმობს თუნდაც ერთი საინტერესო ადგილი გერცენის წერილიდან, რომელიც რეფორმამდე ორი წლით ადრეა დაწერილი და რომელშიც პირდაპირაა მოხსენიებული საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის საკითხი. მართალია ამ წერილში პირველი რიგის ამოცანად გლეხთა მიწიანად განთავისუფლებაა აღიარებული, მაგრამ საქართველოს (და აგრეთვე ფინეთის) განთავისუფლებაც მნიშვნელოვან საკითხადაა მიჩნეული. აი ეს ადგილიც: გლეხთა მიწიანად განთავისუფლება „ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, გამოიყოფა თუ არა ფინეთი ან საქართველო რუსეთისაგან“.[1]

აქედან ცხადია, რომ გერცენი და მისი თანამებრძოლები რუსეთის მაშინდელი ცხოვრების ყველაზე მწვავე და ყველაზე „უფრო მნიშვნელოვან“ საკითხად გლეხთა მიწიანად განთავისუფლებას მიიჩნევდნენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათ მიერ ცარიზმის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლება (ფინეთთან ერთად) ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იყო აღიარებული.

საქართველოს, და საერთოდ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა არარუსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩერნიშევსკის პოლიტიკურ პროგრამას, რომელშიც საპატიო ადგილი ეჭირა ეროვნულ საკითხს. რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს კარგად ესმოდა, რომ რუსეთის მაშინდელი რევოლუციური მოძრაობის მიზანი და ამოცანები მჭიდროდ იყო დაკავშირებული და გადაჯაჭვულ-გადანასკვული რუსეთის იმპერიის არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანთან და ამოცანებთან. როგორც სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი ვ. ზევინი, „ჩერნიშევსკის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე, მისი დამოკიდებულება ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი მოძ-

---

[1] А. И. Герцен, Полное собрание сочинений и писем, т. IX. стр. 522.

რაობისადმი შემადგენელი ნაწილი იყო მისი რევოლუციურ-დემოკრატიული პროგრამისა... ჩაგრული ხალხების ბრძოლა ჩერნიშევსკის მიაჩნდა როგორც საერთოდემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი".[1]

ამიტომაც იყო, რომ მძიმე ცენზურული პირობების მიუხედავად, ჩერნიშევსკი ახერხებდა თავის ნაწერებში გაეტარებია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა და ერთა თანასწორუფლებიანობის იდეა. ის მოითხოვდა, რომ ყველა ხალხს ჰქონოდა უფლება, თავისი სურვილისამებრ გადაეწყვიტა საკუთარი ბედი. „იყოლიო შენს დამოკიდებულებაში სხვა ტომის ხალხი, — წერდა ჩერნიშევსკი, — რომელიც აღშფოთებულია უცხოური ბატონობით, არ მისცე დამოუკიდებლობა ხალხს მარტო იმიტომ, რომ ეს შენ სამხედრო ძლიერებისა და სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური გავლენისათვის სასარგებლოდ გეჩვენება, — საზიზღრობაა".[2]

ან კიდევ:

„...ერთი ტომის კაცი მეორე ტომის საქმეების მოსამართლედ არ გამოდგება, და უკეთესი ის იქნება, რომ თვითეული ჩვენი მაგალითის მიხედვით მოიქცეს: ნუ ჩაერევი სხვა ხალხების საქმეებში, ნუ მოახვევ მათ თავს შენს აზრებს, არამედ მიეცი საშუალება თვითეულ მათგანს იცხოვროს თავისთავად, როგორც თვითონ სურს. მკითხველმა იცის, როგორ შეურყეველად ვიცავთ ჩვენ ამ წესს".[3]

ძნელი მისახვედრი არაა, თუ როგორი კმაყოფილება და აღტაცება უნდა გამოეწვია ჩაგრული ერების მოწინავე წარმომადგენლებში ჩერნიშევსკის ასეთ პოზიციას.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელთა შეხედულებანი და პროგრამა როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ საკითხში სავსებით უპასუხებდა და აკმაყოფილებდა ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ადამიანების — თერგდალეულების მისწრაფებებს. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა თერგდალეულთა დაახლოვება რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატებთან და აგრეთვე მათი აქტიური ჩაბმა

---

[1] В. Я. Зевин, Политические взгляды и политическая программа Н. Г. Чернышевского, М. 1953, стр. 200.

[2] Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, т. VI, стр. 105.

[3] დასახელებული გამოცემა. ტ. VIII, გვ. 383.

რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ეს მოძრაობა შეიძლება შევადაროთ დიდ მდინარეს, რომელსაც კიდევ უფრო ადიდებდა შენაკადები პოლონეთიდან, ლიტვიდან, უკრაინიდან, ფინეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და რუსეთის თვალუწვდენი იმპერიის სხვა განაპირა მხარეებიდან.

თუ რამდენად აქტუალურად იდგა ნაციონალური საკითხი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიაში, ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს 60-იანი წლების არალეგალურ ლიტერატურასა და დაპატიმრებულ რევოლუციონერთა დაკითხვის მასალებში, რომლებიც მესამე განყოფილების არქივმა შემოგვინახა. მაგალითად, პროკლამაციაში „Молодая Россия", რომელიც 1862 წლის მაისში გავრცელდა და რომელმაც არაჩვეულებრივად დააფრთხო მეფის მთავრობა, ნათქვამი იყო:

„ჩვენ მოვითხოვთ პოლონეთისა და ლიტვის სრულ დამოუკიდებლობას, როგორც ისეთი ოლქებისას, რომლებმაც გამოაცხადეს თავიანთი სურვილი, რომ არ სურთ რუსეთთან დარჩენა.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა ოლქს მიეცეს საშუალება ხმის უმრავლესობით გადაწყვიტოს, სურს თუ არა შევიდეს რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში".[1]

ფრიად საინტერესოა აგრეთვე ერთ-ერთი დაპატიმრებული რევოლუციონერის — მურავსკის გაბედული განცხადება, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული 60-იანი წლების რევოლუციონერთა თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში. უმაღლესად დამტკიცებული გამომძიებელი კომისიის ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც ამ კომისიას 1862 წ. მეფისათვის წარუდგენია, ვკითხულობთ:

„ორენბურგში დაპატიმრებულმა, ხარკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა მურავსკიმ... გამოიჩინა თავხედობა და შემდეგი განაცხადა: „ამ უკანასკნელი სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში მე იმ მტკიცე დასკვნამდე მივედი, რომ რუსეთის მთავრობისაგან (რაშიდაც მე ვგულისხმობ იმპერატორსა და მთელ ახლანდელ ხელისუფლებას) მის ქვეშევრდომობაში მყოფი ერები არ უნდა მოელოდნენ არავითარ არსებითს სასარგებლო გარდაქმნას, რადგან მთავრობას არა აქვს არც უნარი და არც სურვილი გააკეთოს რაიმე ამგვარი ხალხისათვის და რომ ერთადერთი საშუალება ახლანდელი

[1] კრებული Политические процессы 60-х гг. М., Л., 1923 г., стр. 267. 1923 г., стр. 267.

წესრიგის შესაცვლელად, ჩემი აზრით, ესაა ძალდატანებითი რევოლუციის გზა".[1]

ეჭვს გარეშეა, რომ სწორედ ასე ფიქრობდა იმ დროს ყოველ ნამდვილი რევოლუციონერი-დემოკრატი და ასევე ფიქრობდნენ ჩვენი თერგდალეულებიც. რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი იყო მაშინდელი რუსეთის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო, ხოლო ამ ატმოსფეროს განუყოფელ შემადგენელ ნაწილს ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენდა. 60-იანი წლები ჰეშმარიტად შესანიშნავი და თვალწარმტაცი დრო იყო; ეს იყო დიდი იმედების, წმინდა იდეალებით გატაცების, რაინდული თავგანწირვის, ქვეყნად ძმობის, ერთობის, სოციალური და ეროვნული თავისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის წლები. ეს იყო დრო, როდესაც ეპოქას სჭირდებოდა დიდი ადამიანები, ნამდვილი გმირები და წარმოშვა კიდევაც ისინი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იმდროინდელ რუსეთში მოწინავე იდეების, კერძოდ კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გაძლიერებას იწვევდა არა მარტო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი კანონზომიერებანი, — თუმცა, რა თქმა უნდა, სწორედ ეს იყო მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი, — არამედ მაშინდელი ევროპისა და ამერიკის უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებიც. სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში და გარიბალდის ბრწყინვალე გამარჯვებები იტალიაში, რამაც მთელი პროგრესული მსოფლიოს აღტაცება გამოიწვია, ხელს უწყობდნენ თავისუფლების იდეების გავრცელებას მთელ რუსეთში.

მეტად დამახასიათებელი ფაქტია, რომ თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე იტალიაში აპირებდა წასვლას, რათა გარიბალდის რაზმში მოხალისედ ჩაწერილიყო, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი აიღო იმიტომ, რომ თვითონ მის სამშობლოს სჭირდებოდა შველა, სჭირდებოდა ერთგული და განათლებული შვილები, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლები. ეს კარგად იცოდა ილია ჭავჭავაძემ და ამიტომაც იყო, რომ კრიტიკულ მომენტში მან მიატოვა სწავლა, დაივიწყა გამოცდები და სასწრაფოდ მოაშურა საყვარელ სამშობლოს. იმ დროს მან უდავოდ მშვენივრად იცოდა ჩერნიშევსკის აზრები და განზრახვები, რადგან პირადად იცნობდა მას

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 437, л. 91.

და სარგებლობდა მისი ნდობით; მან იცოდა აგრეთვე ყველაფერი, რასაც წერდნენ გერცენი და ოგარიოვი თავიანთ სახელოვან „კოლოკოლში“. ის მეგობრობდა პოლონელების, უკრაინელების, სომხების და რუსეთის სხვა დაჩაგრული ერების მოწინავე ადამიანებს და, მაშასადამე, იცოდა მათი განწყობილებები, ფიქრები და მისწრაფებები; მან იცოდა, რომ სულ მალე უნდა გამოცხადებულიყო რუსეთის გლეხთა განთავისუფლების მანიფესტი და სავსებით დარწმუნებულიც იყო, რომ ამას გლეხთა დიდი მოძრაობა და აჯანყებები მოჰყვებოდა; დაბოლოს, მას თვალწინ ედგა გარიბალდის ლეგენდარული რაზმის ლაშქრობის ცოცხალი სურათი — იმ სახელოვანი ლაშქრობისა, რომელიც სწორედ იმ ხანებში, სახელდობრ 1860 წელს აგვისტო-სექტემბერში უბრწყინვალესი გამარჯვებებით დაგვირგვინდა.

მაშ რაღა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში და ასეთი ფიქრებითა და აზრებით აღტაცებული პატრიოტის გულსა და ტვინში ჩაისახა თერგდალეულთა თაობის საბრძოლო რევოლუციური ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. ცხადია, ეს ლოზუნგი ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ნაწილის, თერგდალეულების მისწრაფებებს გამოხატავდა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ის ამავე დროს იყო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელთა მიერ აღიარებული და მათი რევოლუციური პროგრამიდან გამომდინარე შეხედულებების გამოხატულებაც.

და კიდევაც რომ არ აღმოჩნდეს იმ აზრის დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთი, რომ 1861 წლის დამდეგს ი. ჭავჭავაძე პეტერბურგიდან საქართველოში რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელთა დავალებით გამოემგზავრა, სულ ერთია, ის და მასთან ერთად თერგდალეულთა ის გუნდი, რომელმაც საქართველოში ბატონყმობისა და თვიმპყრობელობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა, მაინც ჩაითვლებიან ჩერნიშევსკის თანამებრძოლებად და მიმდევრებად, ე. ი. რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების გამტარებლებად თავიანთ სამშობლოში.

თერგდალეულებმა ააფრიალეს დიადი საბრძოლო რევოლუციური დროშა, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო დროშა კლასობრივი ბრძოლისაც და ეროვნული ბრძოლისაც. ამ დროშას ერთ მხარეზე ეწერა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლოზუნგი: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, ხოლო მეორე მხარეს — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვე-

ნადვე გვეყუდნესო!"; ორივე ეს ლოზუნგი თავისი შინაარსით რევოლუციური იყო და გამოხატავდა ქართველი ხალხის (ძირითადად გლეხობის) მისწრაფებებს. ცხადია, ეს დროშა ქართული დროშა იყო და მის ქვეშ დარაზმული მებრძოლებიც ქართველები იყვნენ, მაგრამ ამ დროშას აღიარებდა, პატივს სცემდა და მხარს უჭერდა ყოველივე კარგი, მოწინავე და ცოცხალი, რაც კი მაშინ მოიპოვებოდა რუსეთსა და რუსეთის ვრცელ იმპერიაში.

დაბოლოს, ესეც უნდა აღვნიშნოთ: თვითმპყრობელობისა და მემამულეების წინააღმდეგ თერგდალეულთა ბრძოლის ტაქტიკური ხაზი ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა; ეს ხაზი იცვლებოდა იმდროინდელი რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების შეცვლასთან ერთად. ასე, მაგალითად, თუ საგლეხო რეფორმამდე თერგდალეულები სოციალურ და ეროვნულ საკითხებს ერთნაირად საჭირბოროტო და მწვავე საკითხებად სთვლიდნენ და მათ შორის რაიმე არსებით განსხვავებას ვერ ხედავდნენ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მათ აშკარად წამოსწიეს წინა პლანზე ეროვნული საკითხი. ამის მიზეზი იყო მაშინდელ რუსეთსა და საქართველოში პოლიტიკური ვითარების შეცვლა და ამასთან დაკავშირებით ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება. მას შემდეგ, რაც მეფის მთავრობამ მოახერხა რუსეთის რევოლუციონერთა ძალების განადგურება და პოლონეთის განმათავისუფლებელი აჯანყების ჩახშობა, აგრეთვე კავკასიის მთიელთა საბოლოოდ დამარცხება და ამ მხარეში თავისი პოზიციების განმტკიცება, მას შემდეგ, რაც მთელ რუსეთში დამყარდა სასტიკი რეაქცია და აზვირთდა დიდმპყრობელური შოვინიზმის ტალღა, რომელიც მცირერიცხოვან ერებს ჩაყლაპვით ემუქრებოდა, — თერგდალეულებმა ეროვნული საკითხი ყველაზე მწვავე და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად, ქართველი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გამოაცხადეს, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი მას დაუქვემდებარეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ თერგდალეულთა ის განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული საკითხისადმი, რამაც ისინი შემდგომში წოდებათა შერიგების ქადაგებამდე მიიყვანა, დამახასიათებელი იყო არა მარტო ქართველი სამოციანელებისათვის, არამედ მრავალი სხვა, იმ დროს დაჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვისაც. მაგალითად, პოლონელი რევოლუციონერები არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მათი უმთავრესი და

უპირველესი ამოცანა (ხოლო ზოგიერთი მათგანის აზრით, ერთადერთი ამოცანაც) პოლონეთის ეროვნული განთავისუფლება იყო. ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს პეტერბურგში მყოფი პოლონელი სტუდენტების (რევოლუციონერების) წერილი, რომელიც ჯერ კიდევ 1861 წლის გაზაფხულზეა შედგენილი და წარმოადგენს პასუხს ცნობილი რუსი რევოლუციონერის პ. გ. ზაიჩნევსკის მოწოდებაზე, ერთად ვიმოქმედოთო. ამ დოკუმენტში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენი მთავარი მისწრაფება ერის განთავისუფლებაა. სანამდე ხალხი სხვას ემორჩილება, მასში პარტიები არ უნდა იყოს. ყველა ისინი საერთო მიზნის მისაღწევად — უცხოური უღლისაგან ხალხის განსათავისუფლებლად უნდა გაერთიანდნენ... ჩვენი ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა — აი ჩვენი ერთადერთი ლოზუნგი“.[1]

თუ ჩვენი მკითხველი გაითვალისწინებს, ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ პოლონეთისა და საქართველოს მდგომარეობა 60-იან წლებში არსებითად ერთნაირი იყო, რის გამო თვით მარქსიც კი სთვლიდა, რომ „საქართველო... რუსეთის პოლონეთია კავკასიაში“,[2] ხოლო, მეორე მხრივ, გაიხსენებს იმ მაღალ შეფასებას, რომელსაც მარქსი, ენგელსი და ლენინი აძლევდნენ იმდროინდელ პოლონელ რევოლუციონერთა ბრძოლას პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის,[3] ვფიქრობთ ის დაგვეთანხმება, რომ ეროვნული საკითხის პრიორიტეტის აღიარება და ეროვნული თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ყველა წოდების გაერთიანების ქადაგება იყო არა თერგდალეულთა რაიმე პირადი უარყოფითი თვისებების შედეგი, არამედ საქართველოს მაშინდელი ცხოვრების ვითარებით გამოწვეული აუცილებელი ტაქტიკური ხაზი, რომელიც სრულიადაც არ ამტკიცებს არც მათ ღალატს რევოლუციის საქმისადმი და არც მათ რაიმე გადახრას მეფისა და მემამულეების პოზიციისაკენ.

აი, თითქმის ყველაფერი, რაც ამჯერად გვინდოდა გვეთქვა თერგდალეულთა პოზიციისა და თვალსაზრისის დასახასიათებლად ეროვნულ საკითხში.

---

[1] იხ. დოკუმენტების კრებული «Политические процессы 60-х гг.» т. I, М.—Л., 1923 г., стр. 144.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 11, стр. 639.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20.

*
* *

ამრიგად, ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ჩვენ ვცადეთ მოგვეხაზა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში თერგდალეულთა მონაწილეობის ცოტად თუ ბევრად სრული სურათი. მკითხველი გაეცნო იმდროინდელი ქართველი ახალგაზრდობის ღირსსახსოვარი მოღვაწეობის მრავალ საინტერესო ფაქტს, რომლებიც მანამდე ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობი იყო.

რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ამ ფაქტებიდან?

პირველი უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც სრული სიფუძვლით შეგვიძლია გავაკეთოთ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტებიდან, შემდეგია: გასული საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა, ე. წ. თერგდალეულების თაობა, რომლის იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო, არა მარტო კალმით (ე. ი. თეორიულ-ლიტერატურულად), არამედ პრაქტიკულადაც იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში და რუსეთის რევოლუციონერებთან ერთად თავდადებით იბრძოდა მშრომელი ხალხის (გლეხობის) ინტერესების დასაცავად, საძულველი თვითმპყრობელობისა და მასთან ერთად რუსეთის ბატონყმურ-მემამულური წყობილების დასამხობად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თერგდალეულები ისეთივე რევოლუციონერი დემოკრატები იყვნენ, როგორიც რუსეთის სახელოვანი რევოლუციონერი დემოკრატები: ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, გერცენი, ოგარიოვი, შელგუნოვი, ნ. სერნო-სოლოვიევიჩი და სხვები.

მეორე უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც ხსენებული ფაქტებიდან გამომდინარეობს ისაა, რომ თერგდალეულები თავიანთი სამშობლოს და ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების საქმეს შეგნებულად უკავშირებდნენ რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ისინი მიიჩნევდნენ როგორც საკუთარ საქმეს და რომლის წარმატებისათვისაც არ იშურებდნენ არა მარტო ძალ-ღონეს, არამედ თვით სიცოცხლესაც კი. თერგდალეულებს ესმოდათ და ამაყობდნენ კიდევაც მით, რომ ისინი თავიანთი აზრებითა და შეხედულებებით, თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობით ეკუთვნოდნენ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბანაკს — რევოლუციურ-დემოკრატთა იმ სახელოვან ბანაკს, რომელსაც ნ. გ. ჩერნიშევსკი მეთაურობდა. ამით აიხსნე-

ბა, რომ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა თერგდალეულებისათვისაც ისევე აქტუალური და უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა იყო, როგორც ეს რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატებისათვის; თერგდალეულები თავგამოდებით იბრძოდნენ გლეხთა სოციალური (კლასობრივი) განთავისუფლებისათვის და საგლეხო რეფორმის შემდეგაც შეუნელებლად განაგრძობდნენ ბრძოლას გლეხობის მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის — „მიწისა და თავისუფლებისათვის“.

დაბოლოს, მესამე უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც ამ ნაშრომში განხილული ფაქტებიდან გამომდინარეობს ისაა, რომ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ანუ რაზნოჩინული ეტაპის ხელმძღვანელები, რომლებიც ეროვნულ საკითხს თავიანთი რევოლუციურ-დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად სწყვეტდნენ და უყოყმანოდ აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, გადაჭრით უჭერდნენ მხარს რუსეთის იმპერიის ჩაგრული ერების, მათ შორის ქართველების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და ცდილობდნენ იდეურ-ორგანიზაციული კავშირი დაემყარებინათ ჩაგრული ერების მოწინავე წარმომადგენლებთან, რათა საერთო ძალ-ღონით, ე. ი. როგორც სოციალური, ისე ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალთა გაერთიანებით, დაემხოთ საძულველი თვითმპყრობელობა და უზრუნველეყოთ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის საერთო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო და, მაშასადამე, მისი მნიშვნელობა იმგვარადვე უნდა დაფასდეს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, როგორც რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობაა დაფასებული რუსეთის ისტორიაში.

როგორც ცნობილია, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადებს ვ. ი. ლენინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებად სთვლიდა.[1] ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს, რომ ეს მაღალი შეფასება გავავრცელოთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადებზეც. რა თქმა უნდა, არც თერგდალეულები და არც რუსი რევოლუციური დემოკრატები არ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 462.

ყოფილან მეცნიერული სოციალიზმის წარმომადგენლები; მათ ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული როლი და ვერ შესძლეს ეპოვნათ სწორი გზა მშრომელი ხალხის ნამდვილად ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს ამ შესანიშნავი ადამიანების უდიდეს ისტორიულ როლს.

თერგდალეულებმა გამოაღვიძეს, გაათვითცნობიერეს და მოამზადეს ქართველი ხალხი თავისუფლებისათვის საბრძოლველად; მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აქედან დღესავით ნათელია, რომ თერგდალეულთა ღვაწლი ქართველი ერის წინაშე ფასდაუდებელია, მათი სახელი კი — დაუვიწყარი და უკვდავი.

დამატება

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი[1]

თემა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი“ მეტისმეტად ვრცელი თემაა და მოიცავს მეცნიერებისათვის უაღრესად საინტერესო საკითხების ფართო წრეს. ამ წრის საკითხებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებასთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება; კლასებისა და კლასთა ბრძოლის თეორიის ილიასეული გაგება; კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის მისი თეორიული და პრაქტიკული ბრძოლა; მის მიერ ჩაფიქრებული „სამართლიანი საზოგადოების“ პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათი და შინაარსი; საერთაშორისო ურთიერთობისა და ევროპის მუშათა მოძრაობის ილიასეული გაგება-შეფასება და მრავალი სხვა. ყველა ამ საკითხის ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი გაშუქება ერთ წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამიტომ შევეხებით სხენებული თემის მარტო ორ მნიშვნელოვან საკითხს, რომელთა გაშუქება საშუალებას მოგვცემს დაახლოვებით მაინც წარმოდგენა ვიქონიოთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე საერთოდ.

პირველი საკითხი, რომელსაც ჩვენ გვინდა შევეხოთ და შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ, ესაა ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი საზოგადოების განვითარების ზოგად კანონებზე, ე. ი. მისი ისტორიული კონცეპცია, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი სოციოლოგიური შეხედულებანი.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერების გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ის, როგორც მოაზროვნე, სავსებით თავისი ეპოქის მოწინავე აზრის სიმაღლეზე დგას.

აქ ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს საზოგადოებრივი აზროვნების მარქსამდელი პერიოდი, რომელმაც თავის უმაღლეს განვითარებას დიდი რუსი ფილოსოფოსებისა და რევოლუციური

---

[1] წაკითხული იყო მოხსენების სახით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1957 წ. 18 ოქტომბერს, შემდეგ კი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (იხ. 1958 წ. № 3).

დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ნაშრომებში მიაღწია. ი. ჭავჭავაძე ამ გამოჩენილ მოაზროვნეთა მოწაფე და მეგობარი იყო და სავსებით იდგა რუსეთის მაშინდელი მოწინავე აზრის დონეზე. შეიძლება უფრო მეტიც ითქვას: მას შემდეგ, რაც ხსენებული რუსი რევოლუციური დემოკრატები ისტორიული სცენიდან ჩამოვიდნენ და რუსეთში საკმაოდ დიდხანს გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა იდეალისტურ-სუბიექტივისტურმა, ნაროდნიკულმა მიმართულებამ,—რამაც უდავოდ დააქვეითა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების დონე,[1] — ილია ჭავჭავაძემ შესძლო გვერდი აევლო გაბატონებული იდეალისტურ-სუბიექტივისტურ მოძღვრების დამღუპველი გავლენისათვის და არა მარტო შეინარჩუნა 60-იანი წლების მატერიალისტური აზროვნების ბრწყინვალე ტრადიციები, არამედ შემდგომ განავითარა კიდეც ისინი ახალი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის დროს.

როგორც ცნობილია, კაცობრიობის საუკეთესო გონებანი საუკუნეთა მანძილზე ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ საზოგადოების განვითარების შინაგან კანონზომიერებას და გაეგოთ მისი მამოძრავებელი ძალების ხასიათი. კაცობრიობის ისტორიის ძველ და საშუალო საუკუნეთა საფეხურებზე არ მოხერხებულა რაიმე, ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი თვალსაზრისის შემუშავება ამ საკითხზე. ადამიანის აზრი, რომელიც მაშინ თეოლოგიის ტყვეობაში იმყოფებოდა, შორი ახლოს უტრიალებდა სოციოლოგიის ძირითად პრობლემებს და ამაოდ ეძებდა ცივილიზაციისა და პროგრესის მიზეზებს.

ახალ ხანაში, ფეოდალური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩამოყალიბების ეპოქაში, ევროპის მოწინავე სახელმწიფოების გამოჩენილმა მოაზროვნეებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ და უკუაგდეს თეოლოგიურ-სქოლასტიკური აზროვნების დოგმები. მაგრამ XVIII საუკუნეში თითქმის საყოველთაოდ გაბატონდა ისტორიის გაგების იდეალისტური თვალსაზრისი, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ფრანგმა მატერიალისტებმა და განმანათლებლებმა ჩამოაყალიბეს. ამ თვალსაზრისის მიხედვით საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს სუბიექტური ფაქტორი— ადამიანის გონება, აზრი. „აზრი მართავს ქვეყანასო,“ — ასე ფიქ-

[1] გ. პლეხანოვი, თხზულებანი, ტ. XXIII, გვ. 259

რობდნენ ფრანგი მატერიალისტები და თუმცა თავიანთი მოძღვრებით მათ სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს თეოლოგიას, მაგრამ ისტორიის ნამდვილი, მეცნიერული გაგებიდან ისინი ჯერ კიდევ ძალიან შორს იყვნენ.

ბურჟუაზიული რევოლუციების ქარიშხლიანმა ეპოქამ და მასთან დაკავშირებულმა მასების დიდმა მოძრაობამ შეარყია ფრანგი მატერიალისტების მოძღვრება და უკვე XIX საუკუნის ოციან წლებში იმავე საფრანგეთში ისახება ახალი ისტორიული კონცეპცია, რომლის წარმომადგენლები — ცნობილი ისტორიკოსები: ტიერი, გიზო, მენიე, — ისტორიის მამოძრავებელ ძალებს ეძებენ უკვე არა ადამიანის გონებაში, აზრში, არამედ ადამიანთა სამოქალაქო ცხოვრებაში, სამიწათმოქმედო ურთიერთობაში, ან კიდევ საერთოდ ქონებრივ ურთიერთობაში. მაგრამ საიდან წარმოიშვა თვითონ ქონებრივი ან სამიწათმოქმედო ურთიერთობა? სხვა სიტყვებით — რა განსაზღვრავს თვითონ სამოქალაქო ცხოვრებას? ამ კითხვის პასუხი ახალმა მიმართულებამ ვერ იპოვნა, ამიტომ ის იძულებული გახდა ისევ XVIII საუკუნის იდეალისტური ფილოსოფიის საგანძურს დაბრუნებოდა და ისტორიის ახსნა „ადამიანის ბუნების“ საშუალებით ეცადნა.

„ადამიანის ბუნების“ თვალსაზრისი მეტისმეტად გავრცელებული თვალსაზრისია მე-19 საუკუნის ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა შორის. მარქსამდელი მოაზროვნეები ცდილობდნენ ადამიანის როგორც ბიოლოგიური არსების თვისებებით აეხსნათ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი. თვით ლუდვიგ ფოიერბახიც კი, რომლის აზროვნება მარქსამდელი გერმანული მატერიალისტური ფილოსოფიის მწვერვალს წარმოადგენს, ადამიანის ანთროპოლოგიურ გაგებას ემყარებოდა და ვერ ამაღლდა ადამიანის როგორც სოციალური არსების გაგებამდე.

მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა შესძლეს მოეხდინათ უდიდესი რევოლუცია საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში და შეექმნათ ისტორიული მატერიალიზმის თეორია, რომელიც იძლევა საზოგადოების განვითარების პროცესის ნამდვილ, მეცნიერულ ახსნას. როგორც ლენინი მიუთითებს, ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ ინდივიდუმების მოქმედება დაიყვანა კლასების მოქმედებამდე, რომელთა ბრძოლა განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას.

ისტორიული მატერიალიზმის თეორიის შემუშავება XIX საუ-

კუნის 40—50 წლებში მოხდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ისტორიის გაგების ეს ერთადერთი სწორი და მეცნიერული თეორია ერთბაშად როდი გამხდარა საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ თეორიად. ახალი მოძღვრება, რომელმაც თავის ეპოქას გაუსწრო, საკმაოდ დიდხანს იკვლევდა გზას მრავალრიცხოვანი იდეალისტურ-სუბიექტივისტური ნააზრევის ეკალ-ბარდებში. ევროპის მოწინავე სახელმწიფოების პროგრესულ მოაზროვნეთა შორისაც კი მარქსიზმის არსი დიდხანს გაუგებარი რჩებოდა.

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ფრანც მერინგის ერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ თვით მუშათა მიმდინარეობის შიგნითაც კი 70 წლებში ევროპის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს წარმოდგენაც არ ჰქონდა მარქსიზმზე. აი, მაგალითად, რას ამბობს მერინგი საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ ბელადზე ჟიულ გედზე. «Жюль Гед в своих воззрениях не отличался теоретической ясностью... Хотя «Капитал» уже был переведен и издан на французском языке, Гед не имел понятия о Марксе, с теориями которого его впервые ознакомил Карл Гирш» (Ф. Меринг, «К. Маркс, история его жизни», стр. 545).

რაც შეხება რუსეთს, რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ისეთი შესანიშნავი მცოდნე, როგორიც გიორგი პლეხანოვია, გვიმოწმებს, რომ რუსი რევოლუციური დემოკრატები არ იცნობდნენ მარქსიზმს და, მაშასადამე, მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მარქსიზმის მოძღვრებას არავითარი გავლენა არ მოუხდენიაო. აი, მაგალითად, რას ამბობს პლეხანოვი ჩერნიშევსკის შესახებ:

«Чернышевскому не пришлось ознакомиться с философией Маркса и Энгельса, выросшей из Фейербаховской философии .А так как философия Маркса и Энгельса представляла собою, несомненно, большой шаг вперед сравнительно с системой Фейербаха, то можно сказать, что последнее слово философской мысли осталось, к сожалению, неизвестным нашему автору. Но в то время оно было и на Западе известно лишь немногим» («Сочинения», т. V, стр. 248).

ის, რასაც აქ პლეხანოვი ჩერნიშევსკის შესახებ ამბობს, შეეხება რუსეთის დანარჩენ რევოლუციურ დემოკრატებსაც. თვით გერცენიც კი, რომელიც ევროპაში ცხოვრობდა და რომელმაც 1870

წლამდე იცოცხლა, ვერ ჩასწვდა ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრებას და მან ვერ გაიგო მარქსიზმის არსი. აქედან ცხადია, თუ რა ძნელი იყო მაშინდელი, თუნდაც ყველაზე გამოჩენილ მოაზროვნეებისათვის მარქსის მოძღვრების გაგება და სათანადოდ დაფასება. სიძნელე წაკითხულის გაგებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ იმ ჭეშმარიტებათა აღიარებაში, რასაც მარქსის მოძღვრება შეიცავდა; ამაში კი მაშინდელ მოაზროვნეებს ხელს უშლიდა მათივე საკუთარი, წლობით შემუშავებული თვალსაზრისი, რომელიც სოციალურად გლეხურ იდეოლოგიას გამოხატავდა. აქ საქმეს ამა თუ იმ მოაზროვნის პირადი ნიჭიერება კი არ სწყვეტდა, არამედ ის ვითარება, რომელიც მას გარს ერტყა, და თუ ამ გარემოებას კარგად გავითვალისწინებთ, იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ შემდეგი ჭეშმარიტება:: როგორც გამოჩენილი რუსი რევოლუციური დემოკრატები, ისე მათი სახელოვანი ქართველი თანამებრძოლი ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი მოაზროვნეები იყვნენ.

სავსებით სამართლიანად ამბობდა პლეხანოვი ჩერნიშევსკის შესახებ: საკვირველი ის კი არაა, რომ ჩერნიშევსკი ჩამორჩა მარქსსა და ენგელსს, საკვირველი ისაა, რომ იგი ასე ცოტათი ჩამორჩა მათო. ეს სიტყვები სავსებით შეიძლება გავიმეოროთ ილია ჭავჭავაძის მიმართაც.

უდავოა, რომ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები და მათი ქართველი მეგობრები სწორ გზაზე იდგნენ. ეს გზა მიდიოდა დიალექტიკური მატერიალიზმისაკენ. მართალია მაშინდელი რუსეთისა და საქართველოს ჩამორჩენილობის გამო მათ ვერ შესძლეს ამ გზის ბოლომდე გავლა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ისინი მთელი რიგი საკითხების გაგებაში მჭიდროდ მიუახლოვდნენ მარქსიზმს. მათი ნააზრევის ეს სიახლოვე მარქსიზმთან იმდენად აშკარა და თვალში საცემია, რომ ზოგიერთი მეცნიერების მტკიცებით ამ მიახლოვების ფაქტი მხოლოდ მარქსის ნაწერების უშუალო გავლენით შეიძლება აიხსნას. ანალოგიური აზრი დიდი ხანია გამოთქმულია ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში. მაგალითად, პროფ. გ. თავზიშვილმა ჯერ კიდევ 1938 წელს გამოთქვა ასეთი აზრი და შემდეგ კვლავ გაიმეორა იგი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ ნაშრომში „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში“ (გვ. 493).

„ილია ჭავჭავაძე, — ამბობს გ. თავზიშვილი, — კარგად იცნობ-

და კ. მარქსის ნაშრომებს და ამ შემთხვევაში — აზრისა და მოქმედების განმარტების და მათი ურთიერთ დამოკიდებულების საკითხში, ის უეჭველად მარქსის მოძღვრების გავლენის ქვეშ იმყოფება" (იხ. ი. ჭავჭავაძე, „პედაგოგიური თხზულებანი", 1938 წ. გვ. 26.).

ეს აზრი თავისთავად ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია, რადგან არ არსებობს არავითარი საფუძველი ვამტკიცოთ, თითქოს ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მარქსის ნაწერებს რაიმე გავლენა მოეხდინოს, მაგრამ პროფ. თავზიშვილის სიტყვები ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა როგორც მოწმობა მარქსიზმთან ილიას აზრების სიახლოვისა. მართლაც, ვინც იცნობს მარქსისტულ დებულებებს ისტორიული მატერიალიზმის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა: აზრისა და არსის ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიური ცხოვრების როლი საზოგადოების განვითარებაში, ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობა, მასებისა და პიროვნების როლი ისტორიაში, და ვინც არ მოერიდება შრომას შეადაროს ეს დებულებები ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ აზრებთან იმავე საკითხებზე, — ის თვალნათლივ დაინახავს დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის შეხედულებათა საოცარ სიახლოვეს მარქსიზმის შეხედულებებთან.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე არა მარტო რუსეთის 60-იანი წლების ყველაზე მოწინავე აზროვნების სიმაღლეზე იდგა, არამედ, როგორც უკვე ვთქვით, მან გარკვეული ნაბიჯი გადადგა ამ აზროვნების ტრადიციების შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების მიმართულებით 70-80-იანი წლების პირობებში.

როგორც ცნობილია, რუსეთში 60-იანი წლების შემდეგ საზოგადოებრივი აზრის განვითარება ნაროდნიკობის გზით წავიდა. ნაროდნიკებმა შეითვისეს ჩერნიშევსკი-გერცენის მოძღვრების სუსტი მხარეები, განავითარეს ეს სუსტი მხარეები იდეალიზმის მიმართულებით და გადააქციეს ის აბსურდულ თეორიად, რომლის მიხედვით კაცობრიობის ისტორიას წარმართავენ „კრიტიკულად მოაზროვნე" ცალკეული პირები — გმირები, ხოლო ხალხი უბრალო ბრბოა, რომელიც ბრმად მიყვება ყოვლისშემძლე გმირებს.

ილია ჭავჭავაძე არ გაჰყვა ნაროდნიკობის გზას და არ მიიღო მათი სუბიექტურ-იდეალისტური თეორია. მან შეითვისა ჩერნიშევსკის მოძღვრების საუკეთესო მხარეები და ბოლომდე დარჩა დიდ მატერიალისტ-მოაზროვნედ. ნაროდნიკების ფილოსოფიური შეხე-

დულუბანი თავისი ფეოკეებით ,ფეიერბახ-ჩერნიშევსკის ანთროპოლოგიურ პრინციპს ,ეყრდნობოდნენ და აბსებითად ამ პრინციპიდან გამომდინარე დასკვნების საზოგადოების განვითარების მიმართ მიყენების ,ცდას ,წარმოადგენენ. ილია ჭავჭავაძემ კი არ გაიზიარა ანთროპოლოგიური პრინციპი და ბრძოლა გამოუცხადა ნაროდნიკების შიერ ამ პრინციპის საფუძველზე განვითარებულ იდეალისტურ ისტორიულ ,კონცეფციას.

თუ რამდენად დიდი იყო ილია ,ჭავჭავაძის როლი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში, კერძოდ კი იდეალისტურ-ნაროდნიკული და ნიჰილისტური ისტორიული კონცეპციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს მშვენივრად ჩანს თუნდაც ნაროდნიკ ივ .ჯაბადარის წინააღმდეგ ილიას ბრწყინვალე გამოსვლებიდან.

ილიას წერილებს ,ჯაბადარის წინააღმდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ შათი ავტორის ისტორიული კონცეპციის, მისი სოციოლოგიური შეხედულებების გასარკვევად; ამიტომ თავს ნებას მივცემ შოკლედ შევჩერდე ამ წერილებზე.

როგორც ცნობილია, 1889 წელს ივ. ,ჯაბადარმა ,ჟურნალ „Северный вестник“-ში გამოაქვეყნა ოთხი წერილი, საერთო სათაურით „Письма о Грузии“ (იხ. №№ 2, 3, 9 და 10). ამ წერილებში ,ავტორი ანვითარებდა იდეალისტურ-ნიჰილისტურ თვალსაზრისს და უხეშად აყალბებდა საქართველოს ისტორიის ფაქტებს. ავტორი ,რუს მკითხველებს არწმუნებდა, ქართველები თამარ მეფის ხანაშიც ,კი მეტისმეტად ჩამორჩენილი, ბარბაროსი ხალხი იყო და მათი კულ-ტურა სახსენებელიც არ არისო. საქართველოს განვითარება ისე ,ნელა მიდიოდა, რომ ქართული ფეოდალიზმი მუდამ პირველყოფილ თემური წყობილებით (родовой строй) იყო გაჟღენთილიო. «Эти патриархально родовые основы грузинского феодализма остались незыблемы до наших дней“ (№ 3, გვ. 43), — აცხადებდა ,ჯაბადარი. თუ როგორ ნელა ვითარდებოდა ქართველებში პირვანდელი ,ჩანასახებიც კი მატერიალური კულტურისა, ეს იქედანაც ,ჩანს, რომ ისინი დღესაც იმ წესით ეწევიან მიწათმოქმედებას, რომელიც მათ 3. 000 წლის წინათ ისწავლეს ეგვიპტელებისაგანო. კანონმდებლობა ახალ დრომდე სრულიად არ გააჩნდათ, ანბანი განუვითარებელი და პრიმიტიული აქვთ, ლიტერატურა უაღრესად ,ჩამორჩენილი და მთლიანად სპარსულის მიბაძვაა, არც ერთი ორიგინალური

ნაწარმოები არ აქვთო: განსაკუთრებით მკაცრად ჯაბადარი თავს ესხმოდა და მიწასთან ასწორებდა რუსთაველის პოემას „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც, მისი აზრით, იყო სპარსეთიდან გადმოკეთებული, სრულიად უსუსური ნაწარმოები. „Грузинская литература становится вялой, безжизненной и не в силах разобраться ни в своих, ни в чужих явлениях истории, жизни и мыслей» (№ 3. გვ. 56), — ამთავრებდა თავის მსჯელობას ჯაბადარი.

ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ასეთი აბუჩად აგდება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა უპასუხოდ დარჩენილიყო და ილია ჭავჭავაძემ თავს იდო პასუხი გაეცა საქართველოს ისტორიის ამ გზააბნეული „მკვლევარისათვის“. პასუხი მართლაც საკადრისი გამოვიდა! ილიამ გასწია უდიდესი შრომა და დაწერა წერილების მთელი სერია საერთო სათაურით „აი ისტორია“, რომელმაც გააცამტვერა ჯაბადარის იდეალისტურ-ნიჰილისტური მონაჩმახი.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ილიასა და ივ. ჯაბადარის კამათის შინაარსის გადმოცემას, ან კიდევ საქართველოს ისტორიის კონკრეტულ საკითხებზე მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებების შეფასებას, რადგან ეს ცალკე გამოკვლევის საგანია. ჩვენ ორიოდე სიტყვას ვიტყვით კამათის მხოლოდ მეთოდოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ მხარეზე.

ილიამ წინა პლანზე წამოაყენა საკითხის სწორედ მეთოდოლოგიური მხარე და მეცნიერული საფუძვლიანობით გააკრიტიკა ჯაბადარის მცდარი მსჯელობა ერის სიბერეზე, აგრეთვე „ინტენსიური ცხოვრების“ მნიშვნელობაზე ერის წინასვლა-განვითარების საქმეში. ილიამ მიუთითა, ჯაბადარის ისტორიული კონცეფცია არსებითად ეყრდნობა დრეპერის თეორიას, რომელიც ყალბი და დრომოჭმულიაო. აი, ილიას სიტყვები: „აშკარაა, ავტორს, ცოტად თუ ბევრად უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუვნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვის“ (1940, ტ. II, გვ. 316).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი იზიარებს ილია ჭავჭავაძის აზრს და თავის მხრივ ადასტურებს, რომ „იგი (ივ. ჯაბადარი—პ. რ.) დრეპერის ოდესღაც გავრცელებულს აზრს ემყარებოდა, ვითომდა

ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე, ეწვეოდეს ხოლმე" („ი. ჭავჭავაძე და საქ. ისტორია", 1938 წ., გვ. 6).

მაგრამ თვით ჯაბადარი ერთ-ერთ თავის საპასუხო წერილში, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „Новое обозрение"-ს 1889 წლის 5 მაისის ნომერში, კატეგორიულად უარყოფს თავისი კონცეფციის დრეპერისეულობას და აცხადებს, რომ ის ეყრდნობა არა დრეპერს, ან თუნდაც სპენსერს, არამედ გაცილებით უფრო ახალს და უფრო მეცნიერულ სოციოლოგიურ მოძღვრებას, რომელიც ჩამოყალიბებულია ლეტურნოს შრომებში. «Не имея ни малейшего понятия о сложных законах эволюции и экономии народных и общественных сил — ამბობს ჯაბადარი ილიას მისამართით, где же ему догадаться, что разъяснения этой мысли следует искать не у Дрепера и даже не у Спенсера, а в других, более новых и более научно обоснованных социологических трактатах, — ну хотя бы, например, у Летурно, в его «Социология, основанная на этнографии».

ილია ჭავჭავაძე ჯაბადართან კამათის დროს ამ საკითხს ალარ დაბრუნებია და არ გამოუთქვამს თავისი შეხედულება ლეტურნოს კონცეფციაზე. ეს შესაძლოა იმითაც აიხსნებოდეს, რომ, როგორც ჩანს, ლეტურნოს ნაშრომები მაშინ რუსულად ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი, ფრანგული გამოცემები კი ალბათ თბილისში არ იშოვებოდა.

ასე იყო, თუ ისე, ჯაბადარმა ილიასთან კამათის დროს მოახერხა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს მას უსაფუძვლოდ დასწამეს დრეპერის თეორიის მიმდევრობა და რომ სინამდვილეში ის ლეტურნოს გაცილებით უფრო მეცნიერულ ნაშრომებს ეყრდნობოდა.

ჩვენ საგანგებოდ გადავათვალიერეთ და ერთმანეთს შევადარეთ ამერიკელი ისტორიკოსის დრეპერისა და ფრანგი ისტორიკოსის ლეტურნოს შრომები და გამოვარკვიეთ, რომ ლეტურნო სავსებით, იმავე კონფერენციას ეყრდნობა, რომელსაც დრეპერი და ე. წ. ორგანიული თეორიის შემქმნელი სპენსერი ეყრდნობოდნენ. ყველა ისინი „ადამიანის ბუნების" იდეალისტური პრინციპით ხელმძღვანელობენ და ადამიანის როგორც ბიოლოგიური არსების თვისებებით ცდილობენ საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესის ახსნას.

ვილიამ დრეპერი თავის კაპიტალურ ნაშრომში „История умственного развития Европы» (С. Петербург, 1873 г.), ამბობს: «Общественный прогресс также вполне управляется естественным законом, как и физический рост человека. Жизнь отдельного человека есть минятюра жизни народа» (том 1, страница 1). მეორე ნაშრომში, რომლის სათაურია «Физиология человека» (Санкт-Петербург, 1867 г., часть первая) დრეპერი გვარწმუნებს, რომ ისტორია სოციოლოგიის ნაწილია, ხოლო სოციოლოგია თავის მხრით ფიზიოლოგიის შემადგენელი ნაწილიაო. ის ამბობს: «История составляет в сущности только ветв физиологической науки» (стр. IX).

ემყარება რა ასეთ თვალსაზრისს, დრეპერი ცდილობს შეისწავლოს ცხოველთა და ადამიანთა ფიზიოლოგია და მისი კანონების საფუძველზე ახსნას საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი.

ზუსტად ასეთივე გზას ადგას შარლ ლეტურნოც თავის სქელტანიან ნაშრომებში: «Физиология страстей» (С. Петербург, 1896), «Эволюция рабства» (Москва, 1898 г.), «Социология, основанная на этнографии». მისი აზრით, «Человек, есть ничто иное, как животное, стоящее лишь на более высокой ступени развития, чем другие животные» (Соц. etc, стр. 60).

ამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ ადამიანთა საზოგადოების კანონების გასაგებად ლეტურნო დიდი გულმოდგინებით იკვლევს ჭიანჭველების, ფუტკრების და სხვა ცხოველთა ცხოვრებას. ლეტურნოს სწორედ იმ ნაშრომში, საიდანაც ახალი აზრების „ძვირფას მარგალიტებს“ ჰკრებდა ჩვენი ნაროდნიკი ივანე ჯაბადარი, განყოფილება, რომლის სათაურია „Общественная жизнь“, იწყება ქვესათაურით «Половые отношения в животном царстве», ხოლო ოჯახის პრობლემის გარკვევა იწყება ქვეთავით: „Семья у животных“. ამ თავში ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ჭიანჭველების საზოგადოება ადამიანთა მრავალ საზოგადოებაზე მაღლა დგას“-ო. (გვ. 220). სხვა ნაშრომში ავტორი ისევ უბრუნდება ჭიანჭველებს და იმ აზრს ასაბუთებს, რომ «Многие муравьиныя общества еще не додумались до введения у себя рабства» («Эв. р.», 19).

როცა აზრის ისეთ გიგანტს, როგორიც ილია ჭავჭავაძეა, ადარებ დრეპერ-ლეტურნოს ტიპის მოაზროვნეებს, ან კიდევ მათი

გზით მიმავალ ნაროდნიკ-სოციოლოგებს, არ შეიძლება არ აღიარო, რომ დიდი ქართველი მწერალი მათზე მთელი თავით მაღლა იდგა და რომ ის მარქსამდელი მატერიალისტური აზროვნების ყველაზე მოწინავე წარმომადგენლებს უტოლდებოდა.

დრეპერ-ჯაბადარის ერის სიბერისა და კვდომის თეორიას ილიამ გამანადგურებელი კრიტიკა დაუპირისპირა. „რას გვიქვიან ერის სიბერე? ან, როგორ შეიძლება, რომ „ინტენსიურმა ცხოვრებამ" ერი ძალ-ღონისაგან დაცალოს? — კითხულობდა ილია და თვითონვე უპასუხებდა — „სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც — კი ყოვლად შეუძლებელია... „ინტენსიური ცხოვრება" ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს. გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგია ფარი და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში" (ტ. II, გვ. 318).

ილიას წერილებში „აი ისტორია" გამოთქმულია მრავალი უაღრესად საინტერესო და ღრმად მეცნიერული აზრი, რომლებიც მატერიალისტური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებად ჩაითვლება და რომლებიც მარგალიტებივით ამშვენებენ ქართული საზოგადოებრივი აზრის მდიდარ საგანძურს. მოვიტანოთ მარტო ორი ციტატი:

„ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტ-ნაკლებობა, რწმუნება (верование) იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წეს-წყობილება ოჯახური, საზოგადოებური, სამოქალაქო კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელსამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისი მეტნაკლებობით"...

„ცივილიზაცია ანუ წარმატებულობა ადამიანისა, მიზეზი კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად

კრებულად მოქმედებენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან“ (ტ. II, გვ. 322)

ან კიდევ:

„ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა... ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“ (იქვე, გვ. 346).

აქ სავსებით ნათლად არის გამოთქმული დიალექტიკის ის დებულება, რომ ჭეშმარიტება კონკრეტულია, და რომ ყველაფერი დამოკიდებულია დროსა, ადგილსა და ვითარებაზე.

ასეთი იყო მოკლედ ილია ჭავჭავაძის ისტორიის ფილოსოფია, ანუ მისი სოციოლოგიური კონცეპცია. თუ რა განუზომლად მაღლა იდგა ის ივ. ჯაბადარზე, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ მათი კამათის ერთი ადგილი, სადაც საქართველოს ისტორიის კონკრეტული ფაქტის სულ სხვადასხვანაირი შეფასებაა წარმოდგენილი.

ივ. ჯაბადარი ეხება თამარ მეფის დროს ქართველთა ჯარის ყარსზე გალაშქრების ფაქტს და სერიოზულად ამტკიცებს, ეს გალაშქრება მარტო იმიტომ მოხდა, რომ თამარ მეფეს თავისი ახლად შობილი შვილის გიორგის ბედის გამოცდა უნდოდაო. ამ ნიადაგზე ის თავს ესხმის თამარ მეფეს და ბრალს სდებს მას, ტყუილ-უბრალოდ აქცევდა ქვეშევრდომთა სისხლსაო.

ამაზე ილია ჭავჭავაძე ასეთ ბრძნულ პასუხს აძლევს: „ნუთუ ძველის-ძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს, რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა — ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გამოსულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებედნარა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა... განა სულელები იყვნენ დავით აღმაშენებელი და მისნი შემდგომნი თა-

მარამდე და თამარის შემდეგ სხვა მეფენიც, რომ სულ აქეთ იწევდნენ საომრად? (ტ. II, გვ. 347)

მსგავსი მეცნიერული გაგება საქართველოს ისტორიის ფაქტებისა და მოვლენებისა უხვად არის გაბნეული ილია ჭავჭავაძის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული, მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელია.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ილიას შეხედულებანი ევროპისა და რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე და აგრეთვე მისი დროის საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე. ევროპის სახელმწიფოთა ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა და ამავე დროს, ძალიან ხშირ შემთხვევებში, მატერიალისტური თვალსაზრისის მომარჯვება ილიას საშუალებას აძლევდა საოცარი სიზუსტით განესაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალურ პრობლემათა არსი და არაიშვიათად წინასწარ განეჭვრიტა მოვლენათა შემდგომი განვითარება. როცა ილია ევროპის ხალხთა გამათავისუფლებელ მოძრაობას ეხება, ან რომელიმე „აღმოსავლეთის საკითხის“ არსს არჩევს, ან კიდევ ბისმარკის პოლიტიკას აფასებს, ის სრულიადაც არ ხელმძღვანელობს იდეალისტური კონცეფციებით — „ადამიანის ბუნების“, „კრიტიკულად მოაზროვნე“ გმირთა ნება-სურვილების და სხვა მისთანების მსგავსი იდეალისტური აბდაუბდით, ის ეყრდნობა სახელმწიფოთა ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ანალიზს და კლასთა მდგომარეობის ანალიზს, ე. ი. მატერიალისტურ თვალსაზრისს. სწორედ აქედანაა მისი საოცარი მიხვედრები და იშვიათი უნარი საერთაშორისო მოვლენათა განჭვრეტისა, რაც არა ერთ მკვლევარს აღუნიშნავს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ილია ჭავჭავაძის 80-90-იანი წლების ნაწერები საერთაშორისო ურთიერთობისა და მუშათა საერთაშორისო მოძრაობის საკითხებზე, ისევე როგორც მისი ნაწერები მთელ რიგ სხვა საკითხებზეც, წარმოადგენს რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე მატერიალისტური აზროვნების შემდგომ განვითარებას.

დიდი ლენინი, რომელიც დაუნდობლად ებრძოდა ნაროდნიკულ იდეოლოგიას, მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატთა აზრების სიახლოვეს მარქსის მოწაფეების აზრებთან. ლენინი სთვლიდა, რომ ჩერნიშევსკი და მისი უახლოესი თანამებრძოლები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის

წინამორბედები იყვნენ. თუ ჩვენ ქართული საბჭოთა ისტორიული-მეცნიერების უახლოეს გამოკვლევებს დავეყრდნობით და ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს დამხახურებულად შევაფასებთ, ჩვენც ვალდებული ვიქნებით დავადასტუროთ მათი აზრების დიდი სიახლოვე მარქსიზმთან და ვაღიაროთ, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი, ჩვენი სახელოვანი თერგდალეულები საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წინამორბედები იყვნენ.

აი დაახლოვებით ყველაფერი, რისი თქმაც გვინდოდა ილია ჭავჭავაძის სოციოლოგიურ შეხედულებათა შესახებ.

ახლა ორიოდე სიტყვას ვიტყვით კიდევ ერთ საკითხზე, რომელსაც ილიას საზოგადოებრივ შეხედულებებში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს, სახელდობრ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ილიასეული გაგების საკითხზე. ეს საკითხი ვრცელი საკითხია და მრავალი ასპექტი გააჩნია, მაგრამ ამჟამად ჩვენი სურვილია ხაზი გავუსვათ იმ მეთოდს, რომლითაც დიდი ილია მის გადაწყვეტას უდგებოდა.

ცნობილია, რომ ეროვნულ საკითხს ილია ჭავჭავაძის შეხედულებებსა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ძალიან დიდი, შეიძლება ითქვას, უმთავრესი ადგილი უჭირავს. ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად ებრძოდა არა მარტო ბატონყმობასა და საერთოდ სოციალურ უკეთესმართობას, არამედ აგრეთვე ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის პოლიტიკას. იმ დროშას, რომელიც ი. ჭავჭავაძემ 60-იან წლებში მაღლა აღმართა, ერთ მხარეს ეწერა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლოზუნგი — „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“, ხოლო მეორე მხარეს, ქართველი ხალხის ეროვნული ლოზუნგი — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

მაგრამ როგორ უნდა გვესმოდეს ამ უკანასკნელი ლოზუნგის შინაარსი? შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მისი შინაარსი XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის მანძილზე მუდამ ერთნაირი და უცვლელი იყო. პირიქით, ილიას ნაწერების გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ხსენებული ლოზუნგის შინაარსი შეიცვალა საქართველოსა და რუსეთის ცხოვრების პირობების შეცვლის შესაბამისად. პირველ პერიოდში — სახელდობრ 60-იან წლებში— ამ ლოზუნგის ქვეშ ილია გულისხმობდა თავისუფლებისა და დამო-

უკიდებლობის მოპოვებას საყოველთაო-სახალხო აჯანყების გზით. ამიტომაც იყო, რომ იმ ხანებში დაწერილ მხატვრულ ნაწერებში მას აშკარად აქვს გატარებული ეროვნული თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის იდეა.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

ამბობდა ილია და ასეთი მოწოდება დამახასიათებელია მისი მაშინდელი პოზიციისათვის.

მაგრამ მეორე პერიოდში — სახელდობრ 80-იან წლებში — ილიამ შეიცვალა პოზიცია, უარყო რუსეთისაგან იმ დროს საქართველოს გამოყოფის აზრი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანად დასახა ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებშივე ქართველი ხალხის პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად. ამიერიდან ი. ჭავჭავაძე ცდილობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მოეწესრიგებინა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის საფუძველზე, რისთვისაც უაღრესად ენერგიული ბრძოლა გააჩაღა. ამის შესაბამისად შეიცვალა ლოზუნგის „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ შინაარსიც.

ილიას პოზიციის ასეთი შეცვლა გამოწვეული იყო იმ ღრმა ცვლილებებით, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში რეფორმის შემდგომ ხანაში მოხდა. ისეთ დიდ მოაზროვნეს, როგორიც ი. ჭავჭავაძე იყო არ შეიძლებოდა არ დაენახა, რომ რეფორმის შემდგომ რუსეთის ცხოვრება სწრაფად წავიდა წინ და ის სულ უფრო და უფრო მზარდ დადებით გავლენას ახდენდა საქართველოს ცხოვრებაზე; ილიას არ შეეძლო არ მიხვედრილიყო, რომ რუსეთის ცხოვრებასთან საქართველოს მჭიდრო კავშირი უაღრესად სასარგებლო იყო საქართველოსათვის და რომ ამის გამო რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფა იმ დროს არ იქნებოდა პროგრესული და სასარგებლო ნაბიჯი საქართველოსათვის. ამით აიხსნება, რომ ილიამ თავისი სამშობლოს ბედი უყოყმანოდ დაუკავშირა რუსეთის ბედს და უკეთესი მომავლის რწმენა ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის მოწინავე ძალების ბრძოლას დაუკავშირა. ამრიგად ილია ჭავჭავაძემ საქართველოს

ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა სწორ გზაზე დააყენა და იმ ძნელ პირობებში, როდესაც ეროვნულ ბურჟუაზიის იდეოლოგთა ერთი ნაწილი ცდილობდა სეპარატიზმის შხამით მოეწამლა პოლიტიკური ატმოსფერო, დიდმა მწერალმა მაღლა აღმართა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის დროშა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ ნაციონალური საკითხის დაყენება და გადაწყვეტა დაახლოვებით ანალოგიურია იმ პოზიციისა, რომელიც მის დროს პოლონელმა რევოლუციონერებმა დაიკავეს ნაციონალურ საკითხში. როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში მარქსი და ენგელსი სამართლიანად სთვლიდნენ და პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდნენ რუსეთისაგან პოლონეთის გამოყოფას, რისთვისაც პოლონელი პატრიოტები იბრძოდნენ. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს პოლონელმა რევოლუციონერებმა შეიცვალეს პოზიცია და უკუაგდეს რუსეთისაგან გამოყოფის იდეა, რადგან ამ დროისთვის ღრმა ცვლილებები მოხდა რუსეთისა და პოლონეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის როგორც მოაზროვნის დამსახურება სწორედ ნაციონალური საკითხის დიალექტიკურ დაყენებაშია. ილიას მეთოდი, მისი მიდგომა ნაციონალური საკითხის დაყენებისადმი სავსებით სწორი და მეცნიერულია.

მაგრამ ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალისტურად განწყობილ იდეოლოგთა ერთმა ნაწილმა, კერძოდ ცნობილმა პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ (იხ. მისი თხზ. ტ. II, გვ. 110-111) და მისმა თანამოაზრეებმა ილია ჭავჭავაძეს დანაშაულად ჩაუთვალეს ის, რაც ჩვენ მის უდიდეს დამსახურებად მიგვაჩნია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში ილიას პოზიციის ზემოთ ხსენებულ შეცვლასთან დაკავშირებით ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შექმნეს ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს 80-იან წლებში ილია ცარიზმისა და მემამულეებისაკენ გადაიხარა და უღალატა თავის წინანდელ პროგრესულ შეხედულებებს. ამის შესაბამისად ისინი ილიას მოღვაწეობისა და შემოქმედების ხანას ორ პერიოდად ყოფდნენ: 80-იან წლებამდე, როცა ის თითქოს პროგრესული მოღვაწე და მწერალი იყო, და 80-იანი წლებიდან,—როცა თითქოს მის მსოფლმხედველო-

ბაში ძირეული გარდატეხა მოხდა და მწერალი რეაქციის მხარეზე გადავიდა. ამ შემცდარ შეხედულებას, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაშიც ფართო გასაქანი აქვს.

მიგრამ საკითხის დეტალურმა შესწავლამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს და სრული უაზრობაა ლაპარაკი ილიას რაიმე გადახრაზე რეაქციისაკენ, მის მიერ წინანდელი შეხედულებების რაიმე ღალატზე. უახლესი გამოკვლევებით საკმაოდ დამტკიცებულია, რომ ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდე დარჩა თავისი ახალგაზრდობის დროინდელი პროგრესული იდეალების ერთგული, მაშასადამე, მშრომელი ხალხისა და სამშობლოს ინტერესების ერთგული. ამიტომ ილიას მოღვაწეობისა და შემოქმედების ორპერიოდიანობის უაზრო თეორია უთუოდ უნდა ამოიკვეთოს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან. სამაგიეროდ ამ ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩავწეროთ ვაჟა-ფშაველას შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: „ამბობენ, ილია ჭავჭავაძემ თავის პირვანდელ მიმართულებას ულალატაო. მე ეს არა მჯერა, პირიქით, უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, ილია სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი“ („ი. ჭ. საიუბ. კრებ.“ 1939, 491).

ამაზე უკეთ ვეღარ იტყვი.

ქართველი ერის დიდი მოამაგე[1]

I

ილია ჭავჭავაძის სახელი ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიის მთელ ეტაპს განასახიერებს.

ამ დიდი ადამიანის მოღვაწეობისა და შემოქმედების ყველაზე უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი სამშობლოსადმი უანგარო და თავდადებული სამსახურია. ქართველი ერი და მშობლიური მიწა-წყალი იყო ილიას სათაყვანებელი და სწორედ საქართველოს სიყვარულს, ქართველი ერის ინტერესების თავგანწირულ დაცვას ანაცვალა მან მთელი თავისი სახელოვანი სიცოცხლე.

პირველსავე ლექსში „ყვარლის მთებს“, რომელიც სამშობლოზე შეყვარებული ახალგაზრდა პოეტის გულის ამონაკვნესია, მშვენივრად მოჩანს ილიას მრწამსი:

> აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
> თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
> გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი.

იმ მძიმე დროს, როდესაც საქართველო სასტიკი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელ ქვეშ გმინავდა, ხოლო გადაგვარების გზაზე შემდგარი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა დედა ენაზე ლაპარაკსაც კი თაკილობდა, დიდი პოეტი და მოქალაქე ამაყობდა თავისი ქართველობით და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდა ქართველი ერის მტრებს. „აჩრდილში“ და „მგზავრის წერილებში“, რომლებიც ილიას პირველი დიდი ნაწარმოებებია, საქართველოს

---

[1] ეს სტატია მცირე შემოკლებით დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“, 1957 წ. 12/IX ნომერში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი პროგრამაა გადაშლილი.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა აღმართა დიადი, რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოებრივი მოძრაობის დროშა, რომლის ერთ მხარეს ეწერა: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, ხოლო მეორე მხარეს, — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. ამ დროშით იბრძოდა და მიდიოდა წინ ქართველი ხალხის ყველაზე მოწინავე და პროგრესული ნაწილი მეცხრამეტე საუკუნის მთელ მეორე ნახევარში.

ილია ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ დიდბუნებოვან ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მზად არიან თავიანთ რწმენას შესწირონ ყველაფერი, თვით სიცოცხლეც კი. ილიას სიყვარული სამშობლოსადმი იყო უაღრესად წმინდა, ამაღლებული და უსაზღვრო. ძნელია აუღელვებლად წაიკითხო პოეტის სიტყვები, რომლითაც ის სამშობლოს მიმართავს:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრე ჩემი და დღე ღამდება.

მაგრამ ილიას სიყვარული სამშობლოსადმი როდი იყო პასიური, მშვრეტელობითი ხასიათის სიყვარული, პირიქით, მისი პატრიოტიზმი გამოირჩევა მებრძოლი სულისკვეთებით. ილია ჭავჭავაძე მეხად ევლინებოდა ქართველი ხალხის გარეშე თუ შინაურ მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ენისა და კულტურის, ჩვენი ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფას და აბუჩად აგდებას. ილიას პასუხი შავრაზმელი კატკოვისადმი, მისი ბრძოლა იანოვსკისა და მეფის მთავრობის სხვა მოხელეების წინააღმდეგ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის, მისი ინტერესების თავგანწირული დაცვის შესანიშნავი მაგალითებია.

ასევე დაუნდობლად ებრძოდა ილია ჭავჭავაძე ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იმ ნაწილსაც, რომელიც ქართველი ხალხის ნაოფლარით ცხოვრობდა, ხალხის კეთილდღეობასა და სამშობლოს ინტერესების დაცვაზე კი სრულიად არ ზრუნავდა. როდესაც 1871 წელს, საქართველოში რუსეთის მეფის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა ქართველი თავადაზნაურობის ლაქიური სული, ილია ჭავჭავაძემ დასწერა უაღრესად მწვავე პამფლეტები, რომლებშიც სასტიკად გა-

ამათრახა თავადაზნაურობის ყველაზე გავლენიანი პირები. ეს პამფლეტები ხალხში არალეგალურად ვრცელდებოდა და ხელიდან ხელში გადადიოდა; როდესაც 80-იანი წლების დამდეგს ქართველმა თავადაზნაურობამ კვლავ შეირცხვინა თავი და მისმა დეპუტატებმა პეტერბურგში მეფეს ქართველი კონვოელებისათვის ვენზელების მიცემა სთხოვეს, — ნაცვლად იმისა, რომ, პოლონელი დეპუტატების მსგავსად, ეროვნული უფლებების გაფართოვება ეთხოვათ, — ილია ჭავჭავაძე ნაღვლიანი ირონიით წერდა:

„ეს რა ცოდვაა, ან გული რათ უნდა მოგვდიოდეს!... ჩვენებმა თავიანთ ნათესავ, ან მეგობრებ კონვოელებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისათვის სხვადასხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშად სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა, და ეჭირვებოდა — რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედა-ენა შემოეღოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატზედ“ უკეთ ეცოდინებოდათ.

ჩვენი „დეპუტატები“ ასე როგორ შეირცხვენდნენ თავსა; დარწმუნებული ვართ, რომ ეკითხათ, ყველა მათგანი იტყოდა, ჩვენ რუსული უფრო კარგად გვესმის, ვიდრე ქართულიო, — ოღონდ, ოღონდ...“

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქართველი ერის ბედნიერება და წინსვლა, მისი ცხოვრების აყვავება მის ერთიანობაზე და მტკიცედ შემჭიდროებაზეა დამოკიდებულიო. ილიას გულს უკლავდა ის შუღლი და მტრობა, რომელიც მაშინ ქართველებში იყო ფეხგადგმული. მას სურდა დაეძლია თავისი დროის სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობანი, მოესპო ქართველებს შორის მტრობა და შუღლი, შეეკავშირებია და შეერთებია მთელი ქართველი ხალხი ერთ მთლიან, ძმურ ოჯახად. მართალია ასეთი კეთილშობილი მიზნის მიღწევა მის დროს შეუძლებელი საქმე იყო, მაგრამ ილიას მხურვალე მოწოდებები ქართველების შეკავშირების აუცილებლობის, მათ შორის ერთიანობისა და ძმობის დამყარების შესახებ უკვალოდ მაინც არ დაკარგულა. ამ მოწოდებებმა ღრმა კვალი დააჩნია ქართველი ერის ფსიქოლოგიას.

ილია ჭავჭავაძის ძლიერი ხმა მთელი ორმოცდაათი წლის გან-

შავლობაში ისმოდა ყველგან, სადაც კი საქართველოს, ან მის რომელიმე ცალკე კუთხეს, გასაჭირი ადგა. გავიხსენოთ თუნდაც მისი დაუვიწყარი გამოსვლები აჭარის განთავისუფლების დროს იქაური ქართველებისადმი დახმარების გაწევის სასარგებლოდ. „ქართველობავ, — წერდა იგი „ივერიაში“, — ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შეევწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმელით, საცმელით, ხორაგით!... შეევწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლადშემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!... ქართველობავ, ჩვენი უწმინდესი ვალია, უნდა მივეშველნეთ! ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის, — რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში“.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას არა ერთხელ გაცრუებია იმედები და დამსხვრევია ათეული წლების მანძილზე ნაშენები გეგმები, მას მაინც არასოდეს არ დაუკარგავს ქართველი ხალხის უკეთესი მომავლის რწმენა. მისი მსოფლმხედველობა უაღრესად ოპტიმისტური მსოფლმხედველობაა, მისი ფილოსოფია სიცოცხლის ფილოსოფიაა.

თუ რამდენად ძლიერია ილია ჭავჭავაძის სიყვარული ერისადმი, მისი რწმენა ხალხის შემოქმედებითი გენიისადმი — ეს კარგად ჩანს მისი უკვდავი სიტყვებიდან, რომლებიც ცარიზმის სასტიკი რეაქციის ხანაში, სახელდობრ 1885 წელს დაიწერა:

„ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თითონ ბაღნარი — კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკნობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდ-გაშლილი, როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა.

მართალია, ხან ცა მოუღრუბლებს ხოლმე და მშვიდობიანი, მორცხვი, კდემით-მოსილი ია ნაღვლიანად თავს ჩაჰკიდებს, ყელმოღერებული და თავმომწონე ზამბახი წელში გადაიხრება, ეშხით ცეცხლმოდებული არშიყი ვარდი აღარ აკვნესებს თავის ბუჩქებში ტრფიალებით დამთვრალს და გახელებულს ბულბულსა, მაგრამ ბაღ-

ნარი მაინც ბაღნარია, მაინც ჰყვავის, მაინც ფშვენს, მაინც სიცოცხლის ძარღვი დაუღალავად უცემს სიცოცხლისათვისვე და ემზადება კარგის დღისთვის, სხვა უკეთეს დროსთვის. აბა ახლა მაშინ ნახეთ ერი, როცა ფირუზის ფრად გადაწმენდილი ცა, უღრუბლო და შუქმოფენილი, თავის უშველებელ ფრთებს ზედ გადმოშლის ხოლმე, როგორც ფრინველი თავის ბღარტებს; მაშინ ნახეთ ის ტურფა საბაღნარო, რომელსაც მე სული და გული ერისა დავარქვი, რა ყვავილების კონას შეჰკრავს!...

მაშ გაუმარჯოს დაუჭკნობელს სიჭაბუკესა, აწ და მარადის!"

ასე შესტრფოდა ილია ერის „ტურფა საბაღნაროს", მის ბედნიერ მომავალს. მისი გამჭრიახი გონება თითქოს შორიდან, ცარიზმის შავბნელი ეპოქიდან ხედავდა ჩვენს დღევანდელობას, — „ფირუზის ფრად გადაწმენდილ ცას, უღრუბლოს და შუქმოფენილს".

მაგრამ ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ ი. ჭავჭავაძის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსა და ერისადმი სრულიადაც არ ყოფილა ყოველივე ქართულისადმი ბრმა თაყვანის ცემა, ავკარგიანობის განურჩევლად. „ჩვენ ქართველში, — ამბობდა ილია, — გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მქონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორნივ წყალში გადასაყარნი იქნებიან". სწორედ იმიტომ, რომ მისი გული სამშობლოს ტრფიალებით იყო ანთებული, ილია განსაკუთრებული დაუნდობლობით ამხელდა და აკრიტიკებდა ჩვენი ცხოვრების მანკიერ მხარეებს, ქართველი ხალხის ნაკლოვანებებს.

„ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი", — ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე და აქედან სავსებით გასაგები ხდება იმ ადამიანის სულისკვეთება და შინაგანი გულისდუღილი, რომლის კალამმა ცრემლნარევი სარკაზმით სავსე ლექსი „ბედნიერი ერი" დასწერა.

II

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე ის არის, რომ დიდი მწერალი აქტიურად გამოდიოდა ნაციონალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ და დაუღალავად ქადაგებდა ერთა ურთიერთ თანამშრომლობისა და მეგობრობის იდეას. ქართველი ერის უსაზღვრო სიყვარული სრულიადაც არ უშლიდა

მას ხელს უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით მოპყრობოდა სხვა ერების, განსაკუთრებით დაჩაგრული ერების ინტერესებსა და მისწრაფებებს. ილიას პატრიოტიზმი თავისი შინაარსით ინტერნაციონალური ხასიათის პატრიოტიზმი იყო.

ი. ჭავჭავაძემ მშვენივრად იცოდა რომ „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა-სწრაფვა, თავისი ღირსება". მან იცოდა აგრეთვე რომ „ბუნება ადამიანის — ქართველია თუ გარმიანელი — ავკარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზედ არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი". ემყარებოდა რა ასეთ სწორ, მეცნიერულ თვალსაზრისს, ი. ჭავჭავაძე უდიდეს გულისხმიერებით ეპყრობოდა დაჩაგრული ერების მისწრაფებებს და საჭირო შემთხვევაში გაბედულადაც გამოდიოდა მათი ინტერესების დასაცავად. საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს ილიას პატარა, მაგრამ ბრწყინვალედ დაწერილი წერილი: „ევროპის დიდი და პატარა ონავრები", რათა თვალნათლივ დარწმუნდეს, რა მხურვალე და თანმიმდევარი დამცველია დიდი ქართველი პატრიოტი ყველა ქვეყნის დაჩაგრული ერებისა.

ი. ჭავჭავაძე არა ერთხელ გამოსულა პრესაში ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ დაჩაგრული ერების: იტალიელების, პოლონელების, ჩეხების, ბულგარელების, უნგრელების, ირლანდიელების, ებრაელების, ოსმალეთში მცხოვრები სომხებისა და სხვათა დასაცავად. ილიას ზოგიერთი ამგვარი წერილი ვრცელი მეცნიერული გამოკვლევაა, რომლებშიც დიდი მატერიალისტი-მოაზროვნე დაწვრილებით იხილავს ევროპის ერთა ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას და საფუძვლიანად ასაბუთებს ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის გამომწვევ მიზეზებს. ასეთია, მაგალითად, მისი შესანიშნავი გამოკვლევა „ირლანდია და ინგლისი", რომელშიც გამოაშკარავებულია ირლანდის მიმართ ინგლისის ძალმომრეობის საშინელი ფაქტები და დაუფარავი სიმპატიით არის გადმოცემული ირლანდიის სახელოვან შვილთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შემთხვევით როდი იყო, რომ ი. ჭავჭავაძემ სიყვარულით თარგმნა ქართულად ტომას მურის მშვენიერი ლექსი „ირლანდიისადმი", რომელიც გულში ჩამწვდომი სიტყვებით იწყება:

არ დაგივიწყებ, არა არა!... ვიდრე ჰფეთქს გული,
ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული!
ვიდრე სიცოცხლის ჩემის ძაფი სრულ არ გასწყდება,
შენი, სამშობლოვ, უბედურო, ხსოვნა მექნება.

როცა დაჩაგრული ერების შესახებ ილიას ნაწერებს კითხულობ, ნათელი ხდება, რომ მათი წერის დროს ავტორს თვალწინ მუდამ საკუთარი, უფლებააყრილი და შევიწროვებული სამშობლო ედგა. ილია ენერგიულად უჭერდა მხარს და უმღეროდა მსოფლიოს დაჩაგრული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ის საკუთარი ერის განთავისუფლების საქმეს უკავშირებდა. ილია ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც ქართველი ხალხი გადაიგდებდა კისრიდან ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელს და მოიპოვებდა სრულ თავისუფლებას. თავისი განწყობილება და გრძნობები ილიამ იშვიათი გაბედულებით და თანაც კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბა პატარა, ორ ტაეპიან ლექსში, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის საგალობელია:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა,

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
,გამაგონე ჩემს მამულში!

მთელ რიგ პუბლიცისტურ წერილებში ი. ჭავჭავაძე ცდილობს გამოიკვლიოს და გააშუქოს სხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსი და ფორმები იმ მიზნით, რომ გამოიყენოს სხვა ქვეყნების გამოცდილება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაძლიერებლად. თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების გმირობისა და თავდადების მაგალითებით ილია აღაფრთოვანებდა თავის თანამემამულეებს, ამაღლებდა ქართველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას, ამზადებდა და ზრდიდა ქართველ ახალგაზრდობას სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მის მიერ სლავიანებზე,

კერძოდ ჩეხებზე ნათქვამი უაღრესად საყურადღებო სიტყვები, რომლებშიც ქართველი პატრიოტების მოქმედების მთელი პროგრამაა გადაშლილი.

„სლავიანებმა, — ამბობს ილია, — რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს (ლაპარაკია ნაციონალურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებაზე. — პ. რ.) მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა-სცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, ბისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულისა, ძველის ქველობისა. ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარხმალით შეჭურვილი... ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას“.

სწორედ აქ ნაჩვენები გზით მიდიოდნენ თვით ილია და მისი თანამოაზრენი, ე. წ. თერგდალეულები — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს სახელოვანი მოღვაწენი. ქართველი ხალხის ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება ილიას

და მის თანამებრძოლებს მიაჩნდათ ყველაზე მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად, რომლის გადაწყვეტისათვის ისინი მთელი ძალღონით იბრძოდნენ ათეული წლების მანძილზე.

III

ილია ჭავჭავაძის დიდი პოლიტიკური და მეცნიერული ალღო, მისი შორსმჭვრეტელობა მთელი სიცხადით გამოჩნდა მის მიერ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის გაგებაშიც.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მიზნად ი. ჭავჭავაძეს ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლა და ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლება მიაჩნდა. მაგრამ იმის გამო, რომ ეროვნულ საკითხს ის პირველ რიგში აყენებდა, მის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე სწორი თვალსაზრისის შემუშავების ამოცანა.

ი. ჭავჭავაძის როგორც მოაზროვნის ძლიერება სწორედ იმაშია, რომ ნაციონალურ საკითხს ის აყენებდა არა ზოგადად, დროისა და სივრცის გარეშე, არამედ კონკრეტულ-ისტორიულად, ე. ი. ისტორიული ვითარების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ამის შესაბამისად 60-იან წლებში ის ფიქრობდა, რომ ქართველი ერისათვის ნაციონალური საკითხის ყველაზე სწორი გადაწყვეტა იქნებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება საყოველთაო-სახალხო აჯანყების გზით. ამიტომაცაა, რომ იმ ხანებში დაწერილ ლექსებსა და პოემებში ილია ქართველ ხალხს შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

ეს სიტყვები ამოღებულია პოემიდან „ქართვლის დედა“, რომელიც 1860 წელს დაიწერა. ამ პოემაში გატარებული იდეა — სახალხო აჯანყების გზით ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა, დამახასიათებელია ილიას პოეზიისათვის 60-იან წლებში.

მაგრამ უფრო გვიან, სახელდობრ 80-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ შეიცვალა პოზიცია: მან უარყო რუსეთისაგან აჯანყების გზით სა-

ქართველოს გამოყოფის აზრი და ამოცანად დაისახა ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებშივე.

ილიას პოზიციის ასეთი შეცვლა გამოწვეული იყო მაშინდელი ისტორიული ვითარების შეცვლით. დიდი მწერლის გამჭრიახმა თვალმა შეამჩნია, რომ რეფორმის შემდეგ ხანაში სწრაფად მიდიოდა წინ რუსეთის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ დადებით გავლენას ახდენდა საქართველოს ცხოვრებაზე. ილიასთვის ნათელი გახდა, რომ რუსეთისაგან გამოყოფა იმ ვითარებაში არ იქნებოდა ხელსაყრელი საქართველოსათვის, არ იქნებოდა პროგრესული ნაბიჯი. ამიტომაც იყო, რომ მან თავისი სამშობლოს ბედი უყოყმანოდ დაუკავშირა დიდი რუსეთის ბედს და უკეთესი მომავალი იმედები რუსეთის პროგრესულ ძალებზე დაამყარა.

საინტერესოა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ი.ჭავჭავაძის მიერ ნაციონალური საკითხის დაყენება და გადაწყვეტა დაახლოებით ანალოგიურია იმ პოზიციისა, რომელიც მის დროს პოლონელმა რევოლუციონერებმა დაიკავეს ნაციონალურ საკითხში. როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში მარქსი და ენგელსი სამართლიანად სთვლიდნენ და პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდნენ რუსეთისაგან პოლონეთის გამოყოფას, რისთვისაც პოლონელი პატრიოტები იბრძოდნენ. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს პოლონელმა რევოლუციონერებმა შეიცვალეს პოზიცია და უარყვეს რუსეთისაგან გამოყოფის იდეა, რადგან ამ დროისათვის ღრმა ცვლილებები მოხდა რუსეთისა და პოლონეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

თავის ბრძოლაში საქართველოს ეროვნული უფლებების მოსაპოვებლად ი. ჭავჭავაძე ეყრდნობოდა არა მარტო ქართველი ხალხის მოწინავე ძალებს, არამედ აგრეთვე რუსეთის პროგრესულ ადამიანებს, რომლებიც მუდამ აღიარებდნენ და მხარს უჭერდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების იდეას. ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი დიდი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ ის ნათლად ხედავდა ორ რუსეთს: მეფისა და მემამულეების რუსეთს და ჩერნიშევსკისა და პუშკინის რუსეთს. დაუნდობლად ებრძოდა რა ცარიზმს და რეაქციას, ილია ამავე დროს უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა რუსი ხალხის სახელოვან მწერლებსა და მოაზროვნეებს: პუშკინს, ლერმონტოვს,

ბოგოლს, ტოლსტოის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს, და სხვებს.

ი. ჭავჭავაძე მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა რუსული ენისა და რუსული კულტურის უდიდეს მნიშვნელობას ქართველი ხალხისათვის. მაგრამ მას მიაჩნდა, რომ რუსული ენის შესწავლას, ისევე როგორც ყოველგვარი ცოდნისა და გამოცდილების გადმოღებას, სხვა ერებისაგან, საფუძვლად ქართული ენისა და კულტურის ცოდნა უნდა დადებოდა. მისი შეხედულება ამ საკითხზე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამოყალიბებულია წერილში „თერგდალეულნი" და ახალი თაობა", სადაც ნათქვამია:

„ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესოა და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. მართლაც, რუსეთი ყოვლის მხრით იმდენად შესანიშნავია, რომ დაწინაურებული ევროპა, საიდანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარს ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდგანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარსა განათლებისას, ჰკვირობს რუსულის მწერლობის სიმდიდრეს და თავისებურებას. ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და შეუმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... მაგალითად, თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია, თუ ეს ენა კარგად შევითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით... ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ერთისა და მეორის შესწავლა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა; მხოლოდ იმ პირობით — კი, რომ რაც შეიძლება მეტი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენ მწერლობას და საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად ყოველისავე ცოდნისა".

ი. ჭავჭავაძე დაუნდობლად ებრძოდა და სასტიკად ამათრახებდა როგორც რეაქციონერ რუს და ქართველ მოხელეებს, რომლებიც ქადაგებდნენ, დიდმა ერებმა პატარა ერები უნდა ჩაყლაპონო, ისე

მოლიბერალო ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც თუმცა სიტყვით სამშობლოს ერთგულებას აღიარებდნენ, მაგრამ საქმით მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს და თვითონაც გადაგვარების გზაზე იდგნენ. ი. ჭავჭავაძე იმ აზრისა იყო, რომ რუსეთის სიყვარული ქართველ ხალხში მხოლოდ საქართველოს სიყვარულზე შეიძლება აშენდესო. მისი აზრით, „ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარ-უყვია, გულიდამ ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვ-სას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს“.

ემყარებოდა რა ასეთ შეხედულებას დიდი მწერალი არაჩვეულებრივი ენერგიით, შეუპოვრობითა და თანმიმდევრობით ქადაგებდა სავსებით სწორ, მოწინავე და ამავე დროს უაღრესად პატრიოტულ თვალსაზრისს, რომელიც ჩამოყალიბებულია მის ღრმააზროვან სიტყვებში: „სიყვარული ჩვენი სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერ ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა... სიყვარული ჩვენი სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთეს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან“.

IV

ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმის ერთ-ერთი უმთავრესი და დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მისი სიყვარულის, ზრუნვისა და განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო უპირველეს ყოვლისა მშრომელი ხალხი, ანუ, როგორც ის ამბობდა „უბრალო გლეხობა, — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“.

ქართველ გლეხს, მის გუთანს, მის შრომასა და ბრძოლას ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, მისი ცხოვრების უკეთ მოწყობის პრობლემებს მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ თავისი ყველაზე საუკეთესო მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები. ილიას აზრით, თავისუფალი გლეხის შრომა იყო ის უმთავრესი ეკონომიური საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ქართველი ერის კეთილდღეობა. ამიტომაც იყო, რომ დიდი მწერალი თავს ევლებოდა გლეხობას, იცავდა მას ძალმომრეობისაგან, იბრძოდა გლეხობის გა-

ნათლებისა და შეგნების ამაღლებისათვის. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ილიას მთელი სიმპატიები კაკოს, ზაქროს, გაბროს, პეპიას, ოთარაანთ ქვრივის, გიორგის და მშრომელი გლეხობის წრიდან გამოსული სხვა შესანიშნავი გმირების მხარეზეა.

ამავე დროს ილია დაუნდობლად ებრძვის მუქთახორა თავადაზნაურებს, რომლებსაც „გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ, და ჰყვირიან, მასვით და მაჭამეთო". ილიამ ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გააკრა ლუარსაბ თათქარიძის წოდება. მაგრამ დიდი მწერალი ამითაც არ დაკმაყოფილდა. მისი მახვილი კალამი ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც მისწვდა და მკაცრად გააკრიტიკა ეს „ჩვენი ქვეყნის წურბელები", რომლებიც მარტო პირად გამდიდრებაზე ზრუნავდნენ, ხოლო ერის ინტერესები ოდნავაც არ აწუხებდათ.

მართალია, საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურებათა გამო, კერძოდ იმის გამო, რომ საქართველო ეკონომიურად ჩამორჩენილი, ხოლო პოლიტიკურად დაჩაგრული, კოლონიური ქვეყანა იყო, ი. ჭავჭავაძემ ვერ შეძლო, ან უკეთ რომ ვთქვათ, მას არ შეეძლო ამაღლებულიყო ისტორიის მატერიალისტურ, მარქსისტულ გაგებამდე, არ შეეძლო გაეგო მუშათა კლასის ისტორიული როლი და, მაშასადამე, ეპოვნა ნამდვილი გზა ქართველი ხალხის ბედნიერებისაკენ, მაგრამ ისიც უდავოა, რომ თავისი დიდი მეცნიერული ალღოს წყალობით ილია მჭიდროდ მიუახლოვდა მარქსიზმს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი საკითხების გაგებაში.

ილია ჭავჭავაძემ მშვენივრად იცოდა, რომ მისი დროის საზოგადოება, როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და ევროპაშიც, დაყოფილი იყო კლასებად და მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. თვითონ ილია ჩაბმული იყო ამ ბრძოლაში და სიტყვით თუ საქმით აქტიურად ეხმარებოდა მშრომელ ხალხს — მუშებს და გლეხებს.

როდესაც საქართველოში მოვიდა ცნობა პარიზის კომუნარების უმაგალითო გმირობის შესახებ, ილიამ დასწერა უკვდავი ლექსი „1871 წელი. 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)", რომელშიც არაჩვეულებრივი ძლიერებით უმღერა პარიზის სახელოვან კომუნას. კომუნის დროშას მან „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა" უწოდა, კომუნარების მიერ დაღვრილ სისხლს — „წმინდა

სისხლი“, ხოლო კომუნის ჯალათებს გაბედულად დაარქვა „გამარჯ-ვებულნი მტარვალნი“. როგორც სამართლიანად აღნიშნავს რუსი მწერალი ვ. გოლცევი, არა მარტო ქართულ, არამედ არც რუსულ პოეზიაში მოიპოვება სხვა ლექსი, რომელშიც ასე ძლიერად და ცხადად იყოს შექებული პარიზის კომუნის მებრძოლთა გმირობა.

მეოცე საუკუნის მიჯნაზე, იმ დროს, როდესაც საქართველოს მუშები და გლეხები დაირაზმნენ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, როდესაც 1905 წლის რევოლუციური ჰექა-ქუხილი ახლოვდებოდა, ი. ჭავჭავაძე წერდა:

„დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე, ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს“.

ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მეოცე საუკუნე ღირსეულად ასრულებს ამ დიდ ანდერძს. ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ყველა ხალხთან ერთად, მოესწრო იმ ბედნიერებას, რომლისთვისაც ასე თავდადებით იბრძოდნენ კაცობრიობის ყველაზე უკეთესი ადამიანები.

მადლიერი ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს და მუდამ სიყვარულით მოიგონებს თავისი სახელოვანი შვილების ხსოვნას, რომელთა შორის უკვდავ შარავანდედად ბრწყინავს ბრძენი ილიას ნათელი სახე.

სარჩევი

წინასიტყვაობა. 3

შესავალი

თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგებისათვის 5
1. საკითხის ისტორიისათვის . . . 8
2. შემცდარი შეხედულებების გავრცელება ამჟამად და მათი დაძლევის აუცილებლობის პრობლემა . . 27
3. ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული როლის ორგვარი გაგება: ყალბი და მეცნიერული . . 46
4. ბურჟუაზიული რეფორმების ეპოქაში ნამდვილი დემოკრატია გლეხური დემოკრატიაა . . . 57
5. გლეხური დემოკრატია და ეროვნული საკითხი 77

თავი პირველი

რევოლუციური მოძრაობა რუსეთში XIX ს. 60-იანი წლების დამდეგს და ქართველი სტუდენტობა
1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რუსეთში XIX საუკუნის 50—60-იან წლებში 108
2. სტუდენტთა მოძრაობის დაწყება პეტერბურგში და ქართველი სტუდენტობა, ილია ჭავჭავაძის როლი . . . 115
3. პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება 1861 წელს და ქართველი სტუდენტობა. ნიკოლოზ ღოღობერიძის როლი . 132
4. საიდუმლო საზოგადოება „ზემლია ი ვოლია“ და ქართველი სტუდენტობა. ბესარიონ ღოღობერიძის რევოლუციური მოღვაწეობა 145

თავი მეორე

რეაქციისა და თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა
1. პეტერბურგის სტუდენტთა არალეგალური საქმიანობა 1862 — 1865 წლებში. დავით ღოღობერიძის რევოლუციური მოღვაწეობა 170
2. თავდასხმა რუსეთის მეფეზე 1866 წლის 4 აპრილს და ქართველი სტუდენტების — ვარლამ ჩერქეზიშვილისა და ხარლამპი სავანელის მონაწილეობა თავდასხმისათვის მზადებაში . 187
3. თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა.

სიმონ წერეთლის რევოლუციური მოღვაწეობა . . 193
4. თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა. ნიკოლოზ ყიფიანის რევოლუციური მოღვაწეობა . . . 209
5. რუსეთის რევოლუციური ემიგრაციის საქმიანობა ევროპაში 60-იან წლებში და ქართველი ახალგაზრდობა. ნიკო ნიკოლაძის რევოლუციური მოღვაწეობა 251

თავი მესამე

რევოლუციური მოძრაობა რუსეთში 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში და ქართველი სტუდენტობა.
1. პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება 1869 წელს და მასში ქართველი სტუდენტების მონაწილეობა . . 286
2. სმორგონის აკადემია. ნეჩაეველთა არალეგალური ორგანიზაცია. ვარლამ ჩერქეზიშვილის რევოლუციური მოღვაწეობა 303

თავი მეოთხე

თერგდალეულთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საგამომცემლო საქმიანობა. ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა.
1. რევოლუციური აგიტაცია ქართულ და რუსულ პრესაში. ლექსთა კრებული „ჩონგური“ . . 329
2. ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა. გლეხთა ინტერესების დაცვა 343
3. ეროვნული საკითხი. ბრძოლა ქართველი ხალხის თავისუფლებისა და თვითმყოფობისათვის 358
დამატება 377
ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი 379
ქართველი ერის დიდი მოამაგე 396

Прокофий Константинович Ратиани

Из истории революционной деятельности грузинских шестидесятников (по новым архивным материалам)

(на грузинском языке)

из-во „Сабчота мцерали“
19 Тбилиси 62

რედაქტორი თ. კოპლატაძე
მხატვარი ირ. ჯანაშვილი
ტექრედაქტორი მ. ქოიავა
კორექტორი გ. თათეიშვილი

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/V-1962 წ.,
ანაწყობის ზომა 6×9,25,
პირობით ფ. რაოდენობა 21,55,
ფიზიკურ ფ. რაოდენობა 25,75,

უე 03696 ტირაჟი 2.000. შეკვ. № 765
ფასი 1 მ. 18 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.